

Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი



ლენინი

თხზულებანი

25

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1949

აკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

ბამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1952

ვ.ი. ლენინი

ტომი

25

1917 ივნისი — სექტემბერი

წინასიტყვაობა

ოცდამეხუთე ტომი შეიცავს იმ ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ 1917 წლის ივნისიდან სექტემბრამდე — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში.

ტომი იხსნება ვ. ი. ლენინის გამოსვლებით მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების I სრულიად რუსეთის ყრილობაზე. ამ გამოსვლებში, აგრეთვე სტატიებში «დაბნეულნი და დაშინებულნი», «წინააღმდეგური პოზიცია», «თვრამეტი ივნისი», «რევოლუცია, შეტევა და ჩვენი პარტია», «სად მიიყვანეს რევოლუცია ესერებმა და აწშევიკებმა?», «კლასობრივი ძვრა» ლენინი აშხელს დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციურ პოლიტიკას და მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლობას, ასაბუთებს რევოლუციის ძირითადი საკითხების გადაწყვეტისათვის ბრძოლის ბოლშევიკურ პროგრამას და განმარტავს, რომ მხოლოდ საბჭოების ძალაუფლებას შეუძლია გამოიყვანოს ქვეყანა ომიდან და ნგრევიდან, მიაღწიოს ზავს და მისცეს მიწა გლეხებს.

მთელ რიგ სტატიებში: «პოლიტიკური მდგომარეობა», «ლოზუნგებისათვის», «კონსტიტუციური ილუზიების შესახებ», «რევოლუციის ვაკცეოლები» ლენინი სახავს ბოლშევიკური პარტიის ახალ ტაქტიკას 3—5 ივლისის ამბების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით.

ნაშრომში «კატასტროფის ხელშია და როგორ უნდა ვებრძოლოთ მას» ლენინი გადმოგვცემს ბოლშევიკური პარტიის ეკონომიკურ

პლატფორმას და დაასკვნის, რომ მოახლოებული კატასტროფისაგან ქვეყნის ხსნის ერთადერთ საშუალებას პროლეტარული რევოლუცია წარმოადგენს.

ტომში შედის ვანოქმული შრომა «სახელმწიფო და რევოლუცია», რომელშიც ლენინმა განავითარა სახელმწიფოს მარქსისტული თეორია და დაიცვა იგი ოპორტუნისტების მიერ დამახინჯებისა და შერყვნისაგან.

ტომში შეტანილია შვიდი სტატია, რომელიც წინათ არ შედიოდა ვ. ი. ლენინის თხზულებებში. სტატიებში «რევოლუციის შესაჩერებელი კავშირი», «რუსეთის რევოლუციის საგარეო პოლიტიკა», «მმართველი და პასუხისმგებელი პარტიები» ლენინი განმარტავს, რომ დროებითი მთავრობა არის კაპიტალისტების კავშირი მენშევიკებთან და ესერებთან რევოლუციის სალიკვიდაციოდ, რომ ბრალი ახლანდელი კონტრრევოლუციური საგარეო და საშინაო პოლიტიკისათვის და იმ კატასტროფისათვის, რომელიც უახლოვდება ჩვენს ქვეყანას, ეკისრება მმართველ შეთანხმებელ პარტიებს. სტატიაში **«როგორ იმართლებს თავს როძიანკო»** ლენინი ამხელს IV სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ თავმჯდომარეს როძიანკოს პროვოკატორ მალინოვსკის დაფარვაში. სტატიებში «დრეიფუსის ახალი საქმე?», «მადლობა თავად გ. ე. ლვოვს» ლენინი ააშკარავებს პროვოკაციულ მეთოდებს, რომლებსაც კერენსკის მთავრობა მიმართავს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. სტატიაში «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!» ლენინი ასაბუთებს ბოლშევიკური პარტიის ლოზუნგს მთელი სახელმწიფო ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ.

ტომში შესული ყველა ნაწარმოები, რომელიც კი 1917 წლის ივლისის დღეების შემდგომ პერიოდს ეკუთვნის, ლენინის მიერ დაწერილია იატაკქვეშეთში, როდესაც იგი იმალებოდა დროებითი მთავრობის დევნისაგან თავის დასაცავად.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების I სრულიად რუსეთის ყრილობა [1]

1917 წ. 3 — 24 ივნისი (16 ივნისი — 7 ივლისი)

1

სიტყვა დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ

4 (17) ივნისი

ამხანაგებო, ჩემთვის მოცემული მოკლე დროის მანძილზე მე შევძლებ შევჩერდე, — და ვფიქრობ, ეს უფრო მიზანშეწონილია, — მხოლოდ ძირითად პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც წამოაყენეს აღმასრულებელი კომიტეტის მომხსენებელმა და შემდგომმა ორატორებმა.

პირველი და ძირითადი საკითხი, რომელიც ჩვენს წინაშე იდგა, არის საკითხი, **სადა** ვართ ჩვენ, — რა არის ის საბჭოები, რომლებიც შეიკრიბნენ ახლა სრულიად რუსეთის ყრილობაზე, რა არის ის რევოლუციური დემოკრატია, რომელზედაც აქ ესოდენ უზომოდ ბევრს ლაპარაკობენ, რათა მიჩქმალონ მისი სრული გაუგებლობა და მასზე საკუთარი ხელისაღება. ვინაიდან ლაპარაკი რევოლუციურ დემოკრატიაზე საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის წინაშე და მიფუჩეჩება ამ დაწესებულების ხასიათისა, მისი კლასობრივი შემადგენლობისა, მისი როლისა რევოლუციაში, სრული სიჩუმე ამაზე და ამავე დროს პრეტენზია დემოკრატების წოდებაზე — ეს უცნაური რამ არის. ჩვენ გვიხატავენ ბურჟუაზიული პარლამენტური რესპუბლიკის პროგრამას, რომელიც ჰქონიათ მთელ დასავლეთ ევროპაში, ჩვენ გვიხატავენ იმ რეფორმების პროგრამას, რომლებსაც ახლა აღიარებს ყველა ბურჟუაზიული მთავრობა, მათ შორის ჩვენი მთავრობაც, და ამასთან ერთად ჩვენ გველაპარაკებიან რევოლუციურ დემოკრატიაზე. გველაპარაკებიან ვის წინაშე? საბჭოების წინაშე. მე კი თქვენ გეკითხებით, არის კი ისეთი

ქვეყანა ევროპაში, ბურჟუაზიული, დემოკრატიული, რესპუბლიკური ქვეყანა, სადაც არსებობდეს ამ საბჭოების რაიმე მსგავსი? თქვენ უნდა გვიპასუხოთ, რომ არ არის. მსგავსი დაწესებულება არსად არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან ორში ერთი უნდა იყოს: **ან** ბურჟუაზიული მთავრობა რეფორმების იმ «გეგმებით», რომლებსაც ჩვენ გვიხატავენ და რომლებიც ათეულჯერ ყოფილა წამოყენებული ყველა ქვეყანაში და ჭაღალდზე დარჩენილა, **ან** ის დაწესებულება, რომელსაც ახლა მიმართავენ, ის ახალი ტიპის «მთავრობა», რომელიც რევოლუციამ შექმნა და რომელსაც მაგალითები მოეპოვება მხოლოდ რევოლუციების უდიდესი ალმავლობის ისტორიაში, მაგალითად, 1792 წელს საფრანგეთში, 1871 წელს იქვე, 1905 წელს რუსეთში. საბჭოები — ეს არის დაწესებულება, რომელიც არც ერთს ჩვეულებრივი ტიპის ბურჟუაზიულ-პარლამენტურ სახელმწიფოში არ არსებობს და ბურჟუაზიული მთავრობის გვერდით არ შეიძლება არსებობდეს. ეს არის სახელმწიფოს ის ახალი, უფრო დემოკრატიული ტიპი, რომელსაც ჩვენს პარტიულ რეზოლუციებში ჩვენ ვუწოდეთ გლეხურ-პროლეტარული დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც ერთადერთი ძალაუფლება მუშების და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოების ხელში იქნებოდა. ტყუილად ფიქრობენ, რომ ეს თეორიული საკითხია, ტყუილად ცდილობენ ისე წარმოგვიდგინონ საქმე, თითქოს შეიძლებოდეს მისთვის გვერდის ავლა, ტყუილად აღნიშნავენ ხოლმე, რომ ახლა ამგვარი თუ იმგვარი დაწესებულებანი სწორედ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან ერთად არსებობენ. დიახ, ისინი ერთად არსებობენ. მაგრამ სწორედ ეს წარმოშობს უამრავ გაუგებრობას, კონფლიქტებსა და შეხლა-შემოხლას. სწორედ ეს იწვევს რუსეთის რევოლუციის გადასვლას მისი პირველი ალმავლობიდან, მისი პირველი წინსვლიდან მისი შეჩერებისა და ნაბიჯების უკან გადადგმისაკენ, რასაც ჩვენ ახლა ვხედავთ ჩვენს კოალიციურ მთავრობაში, მთელ ხაშინაო და საგარეო პოლიტიკაში, იმპერიალისტურ შეტევასთან დაკავშირებით, რომელიც მზადდება.

ორში ერთი: ან ჩვეულებრივი ბურჟუაზიული მთავრობა — და მაშინ გლეხთა, მუშათა, ჯარისკაცთა და სხვა საბჭოები საჭირო არ არის, მაშინ ისინი ან გარეკილი იქნებიან იმ გენერლების, კონტრრევოლუციური გენერლების მიერ, რომლებსაც ხელში უჭირავთ არმია და რომლებიც არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მინისტრ კერენსკის ორატორობას, ანდა ისინი მოკვდებიან უსახელო სიკვდილით. სხვა გზა არა აქვთ ამ დაწესებულებებს, რომლებსაც არც უკან სვლა შეუძლიათ, არც ერთ ადგილზე დგომა, არამედ არსებობა შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, თუ წინ იცლიან. აი სახელმწიფოს ის ტიპი, რომელიც რუსების მიერ არ არის გამოგონილი, რომელიც წამოყენებულია რევოლუციის მიერ, ვინაიდან სხვანაირად რევოლუციას არ შეუძლია გაიმარჯვოს. სრულიად რუსეთის საბჭოს წიაღში გარდუვალია პარტიების შეხლა-შემოხლა, ბრძოლა ძალაუფლებისათვის. მაგრამ ეს შესაძლებელი შეცდომებისა და ილუზიების აღმოფხვრა იქნება მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური გამოცდილებით (ხ მ ა უ რ ო ბ ა) და არა იმ მოხსენებებით, რომლებსაც აკეთებენ მინისტრები, იმოწმებენ რა იმას, რაც გუშინ ილაპარაკეს, რასაც ხვალ დახსწერენ და ზეგ შეგვპირდებიან. ეს სასაცილოა, ამხანაგებო, იმ დაწესებულების თვალსაზრისით, რომელიც რუსეთის რევოლუციამ შექმნა და რომლის წინაშე ახლა დგას საკითხი: ყოფნა თუ არ ყოფნა. არსებობის ისე განგრძობა, როგორც ისინი ახლა არსებობენ, საბჭოებს არ შეუძლიათ. მოწიფული ადამიანები, მუშები და გლეხები, უნდა იკრიბებოდნენ, რეზოლუციებს იღებდნენ და მოხსენებებს ისმენდნენ, რომელთა არავითარი დოკუმენტური შემოწმება არ შეიძლება! ამგვარი დაწესებულებანი გადასვლაა იმ რესპუბლიკისაკენ, რომელიც მტკიცე ხელისუფლებას შექმნის პოლიციის, მუდმივი არმიის გარეშე, არა სიტყვიერად, არამედ ნამდვილად, იმ ხელისუფლებას, რომელიც დასავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ არ შეიძლება არსებობდეს, იმ ხელისუფლებას, ურომლისოდაც რუსეთის რევოლუცია ვერ გაიმარჯვებს მემამულეებზე გამარჯვების აზრით, იმპერიალიზმზე გამარჯვების აზრით.

უამხელისუფლებოდ ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ ჩვენ თვითონ მოვიპოვოთ ამგვარი გამარჯვება, და რაც უფრო ვაკვირდებით იმ პროგრამას, რომელსაც ჩვენ აქ გვირჩევენ, და იმ ფაქტებს, რომელთა წინაშეც ჩვენ ვდგებით, მით უფრო აშკარა ხდება ძირითადი წინააღმდეგურობა. ჩვენ გვეუბნებიან, როგორც ამბობდნენ მომხსენებელი და სხვა ორატორები, აი პირველი დროებითი მთავრობა ცუდი იყოო! ხოლო მაშინ, როცა ბოლშევიკები, ავბედიანი ბოლშევიკები, ამბობდნენ: «არავითარი მხარის დაჭერა, არავითარი ნდობა ამ მთავრობასაო», მაშინ ბრალდებას ბრალდებაზე გვაყრიდნენ — «ანარქისტები» არიანო. ახლა კი ყველა ამბობს, რომ წინანდელი მთავრობა ცუდი იყო, მაგრამ კოალიციური მთავრობა რალაა თითქმის-სოციალისტი მინისტრებით, რით განსხვავდება იგი წინანდელისაგან? განა არ კმარა ლაპარაკი პროგრამებზე, პროექტებზე, განა არ კმარა ყოველივე ეს, განა დრო არ არის საქმეზე გადავიდეთ? აი უკვე განვლო თვემ მას შემდეგ, რაც 6 მაისს შეიქმნა კოალიციური მთავრობა. შეხედეთ საქმეებს, შეხედეთ ნგრევას, რომელიც არსებობს რუსეთში და რომელიც არსებობს იმპერიალისტურ ომში ჩაბმულ ყველა ქვეყანაში. რით აიხსნება ნგრევა? კაპიტალისტების მტაცებლობით. აი სად არის ნამდვილი ანარქია. და ეს იმ აღიარებული ცნობებით, რომლებიც გამოაქვეყნა არა ჩვენმა გაზეთმა, არა რომელიმე ბოლშევიკურმა გაზეთმა, ღმერთმა დაგვიფაროს, არამედ სამინისტროს «რაბოჩაია გაზეტამ» [2]; «რევოლუციურმა» მთავრობამ გაადიდა ნახშირის მიწოდების სამრეწველო ფასები!! და კოალიციურ მთავრობას არაფერი არ შეუცვლია ამ მხრივ. ჩვენ გვეუბნებიან, შეიძლება თუ არა რუსეთში სოციალიზმი შემოვიღოთ, საერთოდ ერთბაშად მოვახდინოთ ძირეული გარდაქმნანიო — ყოველივე ეს ფუჭი მომიზეზებაა, ამხანაგებო. მარქსისა და ენგელსის დოქტრინა, როგორც ისინი ყოველთვის განმარტავდნენ, აი რაში მდგომარეობს: «ჩვენი მოძღვრება დოგმა კი არ არის, არამედ მოქმედების სახელმძღვანელოაო» [3]. წმინდა კაპიტალიზმი, რომელიც წმინდა სოციალიზმში გადადის, ქვეყნად არსად არ

არის და არც შეიძლება იყოს ომის დროს, არამედ არის რაღაც საშუალო, რაღაც ახალი, გაუგონარი, რადგან იღუპება ასეული მილიონობით ადამიანი, რომლებიც ჩათრეული არიან კაპიტალისტებს შორის წარმოებულ დანაშაულებრივ ომში. საკითხი ეხება არა რეფორმების დაპირებას, — ეს ფუჭი სიტყვებია, საკითხი ეხება იმას, რომ გადავდგათ ის ნაბიჯი, რომელიც ჩვენ ახლა გვესაჭიროება.

თუ თქვენ გსურთ დაიმოწმოთ **«რევოლუციური»** დემოკრატია, განასხვავეთ ეს ცნება კაპიტალისტური სამინისტროს **რეფორმისტული** დემოკრატიისაგან, იმიტომ რომ, ბოლოს და ბოლოს, დროა გადავიდეთ ფრაზებიდან «რევოლუციური დემოკრატიის» შესახებ, ერთმანეთისადმი «რევოლუციური დემოკრატიის» მილოცვებიდან **კლასობრივ** დახასიათებაზე, რასაც ჩვენ გვასწავლიდა მარქსიზმი და საერთოდ მეცნიერული სოციალიზმი. ის, რასაც ჩვენ გვთავაზობენ, არის გადასვლა კაპიტალისტური სამინისტროს რეფორმისტულ დემოკრატიაზე. ეს, იქნებ, საუცხოო იყოს დასავლეთ ევროპის ჩვეულებრივი ნიმუშების თვალსაზრისით. ახლა კი მთელი რიგი ქვეყნები დაღუპვის პირასაა, და ის პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც თითქოს ისე რთულია, რომ მათი გატარება ძნელია, რომ საჭიროა მათი განსაკუთრებით დამუშავება, როგორც ამბობდა წინანდელი ორატორი, მოქალაქე მინისტრი ფოსტა-ტელეგრაფისა, — ეს ღონისძიებანი სავსებით ნათელია. ის ამბობდა, რუსეთში არ არის ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც გამოთქვამდა მზადყოფნას მთლიანად აეღო თავის ხელში ძალაუფლებაო. მე ვუპასუხებ: «არის! არც ერთ პარტიას არ შეუძლია უარი თქვას ამაზე, და ჩვენი პარტიაც უარს არ ამბობს ამაზე: იგი ყოველ წუთს მზად არის მთლიანად აიღოს ძალაუფლება». (ტაში, სიცილი.) თქვენ შეგიძლიათ იცინოთ, რამდენიც გნებავთ, მაგრამ თუ მოქალაქე მინისტრი ჩვენ დაგვაყენებს ამ საკითხის წინაშე მემარჯვენე პარტიის გვერდით, ის ჯეროვან პასუხს მიიღებს. არც ერთ პარტიას არ შეუძლია ამაზე უარი თქვას. და, ვიდრე არსებობს თავისუფლება, ვიდრე დაპატიმრებისა და ციმბირში გადასახ-

ლების მუქარა, — მუქარა არის კონტრრევოლუციონერებისა, რომლებთანაც კოლეგიაში იმყოფებიან ჩვენი თითქმის-სოციალისტი მინისტრები, ვიდრე ეს მხოლოდ მუქარაა, — ასეთ მომენტში ყოველი პარტია ამბობს: აღმოგვიჩინეთ ნდობა, და ჩვენ მოგცემთ ჩვენს პროგრამასაო.

ჩვენმა კონფერენციამ 29 აპრილს მოგვცა ეს პროგრამა[4]. სამწუხაროდ, ამ პროგრამას ანგარიშს არ უწევენ და მით არ ხელმძღვანელობენ. ეტყობა, საჭიროა მისი პოპულარულად განმარტება. მე შევეცდები პოპულარულად ავუხსნა ფოსტა-ტელეგრაფის მოქალაქე მინისტრს ჩვენი რეზოლუცია, ჩვენი პროგრამა. ჩვენი პროგრამა ეკონომიური კრიზისის მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ დაუყოვნებლივ, — ამისათვის საქმის არავითარი გადადება არ არის საჭირო, — მოვითხოვოთ მთელი იმ გაუგონარი მოგების პუბლიკაცია, რომელიც აღწევს 500 — 800 პროცენტს, რასაც კაპიტალისტები იღებენ, არა როგორც კაპიტალისტები თავისუფალ ბაზარზე, «წმინდა» კაპიტალიზმში, არამედ სამხედრო მიწოდებათა მეოხებით. აი მართლაც სად არის მუშათა კონტროლი აუცილებელი და შესაძლებელი. აი ის ღონისძიება, რომელიც თქვენ, თუ თავს «რევოლუციურ» დემოკრატიას უწოდებთ, უნდა განახორციელოთ საბჭოს სახელით და რომელიც შეიძლება განხორციელდეს დღეს-ხვალ. ეს სოციალიზმი არ არის. ეს არის ხალხისათვის თვალის ახელა იმ ნამდვილ ანარქიაზე და იმ ნამდვილ თამაშზე იმპერიალიზმთან, თამაშზე ხალხის ავლადიდებასთან, ასეული ათასობით ადამიანთა სიცოცხლესთან, რომლებიც ხვალ დაიღუპებიან იმის გამო, რომ ჩვენ განვაგრძობთ საბერძნეთის დახრჩობას. — გამოაქვეყნეთ, თუ როგორია ბატონი კაპიტალისტების მოგება, დააპატიმრეთ 50 თუ 100 უმსხვილესი მილიონერი. საკმარისია დააკავოთ ისინი რამდენიმე კვირას, თუნდაც ისეთსავე შეღავათიან პირობებში, რა პირობებშიც გყავთ ნიკოლოზ რომანოვი, იმ უბრალო მიზნით, რომ აიძულოთ გამოამჟღავნონ გაბმული ძაფები, თვალთმაქცური ოინები, სიბინძურე, ანგარება, რაც ახალი მთავრობის დროსაც ყოველდღე ათასებად და მილიო-

ნებად უჯდება ჩვენს ქვეყანას. აი ანარქიისა და ნგრევის ძირითადი მიზეზი, აი რატომ ვამბობთ ჩვენ: ჩვენში ყველაფერი ძველებურად დარჩა, კოალიციურ სამინისტროს არაფერი არ შეუცვლია, მან მხოლოდ დეკლარაციების, მაღალფარდოვანი განცხადებების გროვა დაუმატა. რაც უნდა გულწრფელნი იყვნენ ადამიანები, რაც უნდა გულწრფელად სურდეთ მათ სიკეთე მშრომელებისათვის, საქმე არ შეცვლილა — **იგივე კლასი** დარჩა ძალაუფლების სათავეში. ის პოლიტიკა, რომელიც ტარდება, დემოკრატიული პოლიტიკა არ არის.

ჩვენ გველაპარაკებიან «ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დემოკრატიზაციაზე». ნუთუ არ იცით, რომ მხოლოდ რუსეთისათვის არის ეს სიტყვები ახალი რამ? რომ სხვა ქვეყნებში ათობით ჩამოსათვლელი თითქმის-სოციალისტი მინისტრი მიმართავდა ქვეყანას ამგვარი დაპირებებით? რას ნიშნავს ეს დაპირებანი, როდესაც ჩვენს წინაშეა ცოცხალი კონკრეტული ფაქტი: ადგილობრივი მოსახლეობა ირჩევს ხელისუფლებას, ხოლო დემოკრატიის ანაბანას არღვევს ცენტრის პრეტენზია — დანიშნოს ან დაამტკიცოს ადგილობრივი ხელისუფალნი. კაპიტალისტების მიერ ხალხის დოვლათის დატაცება გრძელდება. იმპერიალისტური ომი გრძელდება. ჩვენ კი გვპირდებიან რეფორმებს, რეფორმებსა და რეფორმებს, რომლებიც ამ ფარგლებში საერთოდ არ შეიძლება განხორციელდეს, რადგან ომი ყველაფერს თრგუნავს, ყველაფერს განსაზღვრავს. რატომ არ ეთანხმებით იმათ, ვინც ამბობს, რომ ომი წარმოებს ა რ ა კაპიტალისტთა მოგებისათვის? რაშია კრიტერიუმი? უწინარეს ყოვლისა, იმაში, თუ რომელი კლასი დგას ძალაუფლების სათავეში, რომელი კლასია ისევ ბატონ-პატრონი, რომელი კლასი იგებს ისევ ასეულ მილიარდებს საბანკო და ფინანსური ოპერაციების წყალობით? ისევ იგივე კაპიტალისტური კლასი, და ამიტომაც გრძელდება იმპერიალისტური ომი. პირველ დროებითს მთავრობასაც და თითქმის-სოციალისტი მინისტრების მონაწილეობით შექმნილ მთავრობასაც არაფერი არ შეუცვლია: საიდუმლო ხელშეკრულებანი საიდუმლო რჩება, რუსეთი ომობს სრუტეებისათვის,

იმისათვის, რომ განაგრძოს ლიახოვის პოლიტიკა სპარსეთში [5] და სხვ.

მე ვიცი, რომ თქვენ ეს არა გსურთ, რომ თქვენს უმრავლესობას ეს არა სურს და რომ მინისტრებს ეს არა სურთ, იმიტომ რომ არ შეიძლება ეს გსურდეთ, რადგან ეს ასეული მილიონობით ადამიანის ხოცვა-ჟლეტაა. მაგრამ აიღეთ ის შეტევა, რომელზედაც ახლა ესოდენ ბევრს ლაპარაკობენ მილიუკოვები და მაკლაკოვები. მათ ჩინებულად ესმით, თუ რაშია საქმე; მათ იციან, რომ ეს დაკავშირებულია ძალაუფლების საკითხთან, რევოლუციის საკითხთან. ჩვენ გვეუბნებიან, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ პოლიტიკური და სტრატეგიული საკითხებიო. სასაცილოა ამგვარი საკითხის დასმაც კი. კადეტებს მშვენივრად ესმით, რომ ისმება პოლიტიკური საკითხი.

ქვემოდან დაწყებულ რევოლუციურ ბრძოლას მშვიდობიანობის შეეძლო სეპარაციული ზავი გამოეწვიაო, — ეს ცილისწამებაა. ჩვენი პირველი ნაბიჯი, რომელსაც განვახორციელებდით, ძალაუფლება რომ ხელთ გვქონდეს, იქნებოდა: დავაპატიმრებდით უმსხვილეს კაპიტალისტებს, გავწყვეტდით მათი ინტრიგების ყველა ძაფს. უამისოდ ყოველი ფრაზა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის შესახებ ყოვლად ფუჭი სიტყვებია. მეორე ჩვენი ნაბიჯი ის იქნებოდა, რომ ხალხებს მთავრობებისაგან ცალკე გამოვუცხადებდით, რომ ჩვენ ყაჩაღებად მიგვაჩნია ყველა კაპიტალისტი, ტერეშჩენკოც, რომელიც სრულიად არ სჯობია მილიუკოვს, ოღონდ ის ცოტათი უფრო სულელია, ფრანგი და ინგლისელი კაპიტალისტებიც და ყველა სხვაც.

თქვენი საკუთარი «იზვესტია» [6] დაიბნა, და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ნაცვლად წინადადებას იძლევა დარჩეს **status quo** *. არა, ჩვენ ასე არ გვესმის «უანექსიო» ზავი. და აქ ჰეშმარიტებას უფრო უახლოვდება გლეხთა ყრილობაც

* — არსებული მდგომარეობა; ამ შემთხვევაში — ომამდე არსებული მდგომარეობა. რ ე დ.

კი[7], რომელიც «ფედერაციულ» რესპუბლიკაზე ლაპარაკობს და ამით იმ აზრს გამოთქვამს, რომ რუსეთის რესპუბლიკას არა სურს არც ერთი ხალხის ჩაგვრა არც ახლებურად, არც ძველებურად, არა სურს ძალადობის საფუძველზე ცხოვრება არც ერთ ხალხთან, არც ფინეთთან, არც უკრაინასთან, რომლებსაც ასე გადაჰკიდებია სამხედრო მინისტრი და რომლებთანაც იქმნება დაუშვებელი და შეუწყნარებელი კონფლიქტები. ჩვენ გვსურს რუსეთის ერთიანი და განუყოფელი რესპუბლიკა მტკიცე ხელისუფლებით, მაგრამ მტკიცე ხელისუფლებას ხალხთა ნებაყოფლობითი თანხმობა იძლევა. «რევოლუციური დემოკრატია» — ეს დიდი სიტყვებია, მაგრამ ამ სიტყვებს ხმარობენ იმ მთავრობის მიმართ, რომელიც უბადრუკი შარის მოდებით ართულებს უკრაინასა და ფინეთთან დამოკიდებულების საკითხს, თუმცა მათ არც კი მოუსურვებიათ გამოყოფა, არამედ მხოლოდ ამბობენ, — დამფუძნებელ კრებამდე ნუ გადასდებთ დემოკრატიის ანაბანას გამოყენებასაო!

უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის დადება შეუძლებელია, ვიდრე თქვენ უარს არ იტყვით საკუთარ ანექსიებზე. ეს ხომ სასაცილოა, ეს თამაშია, ამას დასცინის ევროპაში ყოველი მუშა, — ის ამბობს: სიტყვიერად ისინი მზვერმეტყველნი არიან, მოუწოდებენ ხალხებს დაამხონ ბანკირები, თვითონ კი თავიანთ ბანკირებს სამინისტროში გზავნიანო. დააპატიმრეთ ისინი, გამოამჟღავნეთ ოინები, გახსენით ძაფები — ამას თქვენ არ შვრებით, თუმცა მოგეპოვებათ ძალაუფლებიანი ორგანიზაციები, რომელთაც წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ. თქვენ გამოიარეთ 1905 და 1917 წლები, თქვენ იცით, რომ რევოლუცია დაკვეთით არ ხდება, რომ რევოლუციები სხვა ქვეყნებში ხდებოდა სისხლისმღვრელ აჯანყებათა მძიმე გზით, რუსეთში კი არ არის ისეთი ჯგუფი, არ არის ისეთი კლასი, რომელიც შესძლებდა საბჭოების ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევას. რუსეთში ეს რევოლუცია შესაძლებელია, გამონაკლისის სახით, როგორც მშვიდობიანი რევოლუცია. ამ რევოლუციამ დღეს თუ ხვალ ზავი რომ შესთავაზოს

ყველა ხალხს, კაპიტალისტთა ყველა კლასთან კავშირის გაწყვეტის გზით, სულ მოკლე ხნის განმავლობაში საფრანგეთისაგანაც და გერმანიისაგანაც მათი ხალხთა სახით მიღებული იქნება თანხმობა, რადგან ეს ქვეყნები ღელავენ, რადგან გერმანიის მდგომარეობა უიმედოა, რადგან მას არ შეუძლია ხანის თავი, რადგან საფრანგეთი...

(თავმჯდომარე: «თქვენი დრო ამოიწურა».)

მე ნახევარ წუთში გავათავებ... (ხმაურობა, თხოვნა ადგილებიდან — განაგრძოს, პროტესტები, ტაში.)

(თავმჯდომარე: «მოვახსენებ ყრილობას, რომ პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა განგრძობილ იქნას ორატორის სიტყვის ვადა. ვინ არის წინააღმდეგი? უმრავლესობა სიტყვის განგრძობის მომხრეა».)

მე იმაზე შევჩერდი, რუსეთში რევოლუციური დემოკრატია რომ დემოკრატია იყოს არა სიტყვიერად, არამედ ნამდვილად, მაშინ იგი დაიწყებდა რევოლუციის წინწაწევას და არა შეთანხმებას კაპიტალისტებთან, არა ლაპარაკს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავზე, იგი მოსპობდა ანექსიებს რუსეთში და პირდაპირ გამოაცხადებდა, რომ ყოველგვარი ანექსია მას დანაშაულებრივ და ავაზაკურ საქმედ მიაჩნია. მაშინ შესაძლებელი იქნებოდა თავიდან აგვეცდინა იმპერიალისტური შეტევა, რომელიც დღეს ემუქრება ათასობით და მილიონობით ადამიანს სპარსეთის, ბალკანეთის გაყოფის გულისათვის. მაშინ გაიხსნებოდა გზა ზავისაკენ, არა უბრალო გზა — ამას ჩვენ არ ვამბობთ, — გაიხსნებოდა გზა, რომელიც არ გამორიცხავს ნამდვილად რევოლუციურ ომს.

ჩვენ არ ვაყენებთ ამ საკითხს ისე, როგორც აყენებს დღეს ბაზაროვი «ნოვაია ჟიზნში» [8]; ჩვენ მხოლოდ ვამბობთ, რუსეთი ჩაყენებულია ისეთ პირობებში, რომ იმპერიალისტური ომის დამლევს მისი ამოცანები უფრო ადვილია, ვიდრე შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა. და იგი ჩაყენებულია ისეთ გეოგრაფიულ პირობებში, რომ ის სახელმწიფოები, რომლებიც გაბედავდნენ დაურღნობოდნენ კაპიტალსა და მის მტაცებლურ ინტერესებს

და აღმდგარიყვნენ რუსეთის მუშათა კლასისა და მისი მომხრე ნახევრადპროლეტარიატის, ე. ი. უღარიბესი გლეხობის წინააღმდეგ, — თუ ისინი ამას ჩაიდენდნენ, ეს მათთვის უაღრესად ძნელი ამოცანა იქნებოდა. გერმანია დალუპვის პირასაა და ამერიკის გამოსვლის შემდეგ, რომელსაც სურს შესანსლოს მექსიკა და რომელიც ხვალ, ალბათ, ბრძოლას დაიწყებს იაპონიასთან, — ამ გამოსვლის შემდეგ გერმანიის მდგომარეობა უიმედოა — მას მოსპობენ. საფრანგეთმა, რომელიც გეოგრაფიულად ისეთ მდგომარეობაშია, რომ იგი ყველაზე მეტს ზარალობს და მისი გამოფიტვა მაქსიმუმს აღწევს, ამ ქვეყანამ, რომელიც გერმანიაზე ნაკლებად არის დამშეული, გაცილებით მეტი ხალხი დაკარგა, ვიდრე გერმანიამ. და აი, პირველი ნაბიჯი რომ იქით გადაგედგათ, რომ აღგეკვეთათ რუსი კაპიტალისტების მოგება და წაგერთმიათ მათთვის ასეული მილიონების ჩაჯიბვის ყოველგვარი შესაძლებლობა, **ყველა** ხალხისათვის. რომ შეგეთავაზებინათ ზავი **ყველა** ქვეყნის კაპიტალისტების წინააღმდეგ და პირდაპირ განგეცხადებინათ, რომ თქვენ გერმანელ კაპიტალისტებთან და იმათთან, ვინც თუნდაც პირდაპირ ან არაპირდაპირ აქეზებს მათ, ან საქმეს ხლართავს მათთან, არავითარ მოლაპარაკებას არ მართავთ, არავითარ ურთიერთობას არ აბამთ და რომ თქვენ უარს ამბობთ ელაპარაკოთ ფრანგ და ინგლისელ კაპიტალისტებს, — მაშინ თქვენ გამოხვიდოდით, რათა გაგემტყუნებინათ ისინი მუშების წინაშე. თქვენ არ მიიჩნევდით გამარჯვებად იმას, რომ პასპორტი მისცეს მაკდონალდს[9], რომელიც არასოდეს არ აწარმოებდა რევოლუციურ ბრძოლას კაპიტალთან და რომელსაც უშვებენ იმიტომ, რომ იგი არ გამოხატავს ინგლისელი კაპიტალისტების წინააღმდეგ იმ რევოლუციური ბრძოლის არც იდეებს, არც პრინციპებს, არც პრაქტიკასა და არც გამოცდილებას, რომლისთვისაც ჩვენი ამხანაგი მაკლინი და ასობით სხვა ინგლისელი სოციალისტი სხედან საპყრობილეებში და რისთვისაც ზის ჩვენი ამხანაგი ლიბკნეხტი, რომელიც დამწყვდეულია საკატორღო საპყრობილეში იმისა-

თვის, რომ თქვა: «გერმანელო ჯარისკაცებო, ტყვია დაუშინეთ თქვენს კაიზერსაო».

განა უფრო მართებული არ იქნებოდა, რომ იმპერიალისტ-კაპიტალისტები გაგეგზავნათ სწორედ იმ კატორღაში, რომელსაც ჩვენ დროებითი მთავრობის წევრთა უმრავლესობა საამისოდ სპეციალურად აღდგენილ მესამე სათათბიროში, — თუმცალა, მე არ ვიცი, რომელია იგი რიცხვით, მესამე თუ მეოთხე, — ყოველდღე გვიმზადებს და გვპირდება, და ამის შესახებ კანონების ახალ პროექტებს იუსტიციის სამინისტროს ხაზით უკვე სწერს? მაკლინი და ლიბკნეხტი, აი იმ სოციალისტთა სახელები, რომელნიც ახორციელებენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის იდეას. აი რა უნდა უთხრათ ყველა მთავრობას, რომ ზავისათვის იბრძოლოთ, უნდა გაამტყუნოთ ისინი ხალხთა წინაშე. მაშინ თქვენ გახლართულ მდგომარეობაში ჩააგდებთ ყველა იმპერიალისტურ მთავრობას. ახლა კი თვითონ თქვენა ხართ გახლართული, როცა 14 მარტს მიმართეთ ხალხს მოწოდებით ზავის შესახებ [10] და თქვით: «დაამხეთ თქვენი მეფეები, თქვენი კოროლები და თქვენი ბანკირებიო», და ამავე დროს ჩვენ, რომლებსაც ხელთა გვაქვს გაუგონარი, რიცხობრივად, გამოცდილებით, მატერიალური ძლიერებით მდიდარი ორგანიზაცია, როგორიც არის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, ჩვენს ბანკირებთან ვდებთ ბლოკს, ვქმნით კოალიციურ, თითქმის-სოციალისტურ მთავრობას და ვწერთ რეფორმების პროექტებს, რომლებიც ევროპაში ათეული და ათეული წლების განმავლობაში იწერებოდა. იქ, ევროპაში, დასცინიან ამგვარ ბრძოლას ზავისათვის. იქ ამ ბრძოლას მხოლოდ მაშინ გაიგებენ, როცა საბჭოები ძალაუფლებას აიღებენ ხელში და რევოლუციურად გამოვლენ.

მსოფლიოში მხოლოდ ერთი ქვეყანა შესძლებს გადადგას ნაბიჯები იქითკენ, რომ შეწყვიტოს ახლა იმპერიალისტური ომი კლასობრივი მასშტაბით, კაპიტალისტების წინააღმდეგ, სისხლისმღვრელი რევოლუციის გარეშე, მხოლოდ ერთი ქვეყანა შესძლებს ამას, და ეს ქვეყანა არის რუსეთი. და

რუსეთი ასეთად რჩება მანამდე, სანამ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო არსებობს. ეს საბჭო ჩვეულებრივი ტიპის დროებითი მთავრობის გვერდით დიდხანს ვერ იარსებებს. და იგი წინანდებურად დარჩება მხოლოდ მანამდე, სანამ არ განხორციელდება ეს გადასვლა შეტევაზე. შეტევაზე გადასვლა არის რუსეთის რევოლუციის მთელი პოლიტიკის გარდატეხა, ე. ი. ზავის მოლოდინიდან, ქვემოდან რევოლუციური აჯანყებით ზავის მომზადებიდან ომის განახლებაზე გადასვლა. ერთ ფრონტზე დაძმობილებიდან გადასვლა ყველა ფრონტზე დაძმობილებისაკენ, სტიქიური დაძმობილებიდან, როცა ადამიანები პურის ქერქს უცვლიდნენ მშიერ გერმანელ პროლეტარს ჯიბის დანაში, რისთვისაც მათ კატორღას ემუქრებიან, შეგნებულ დაძმობილებაზე გადასვლა, — აი რა გზა ისახებოდა.

როდესაც ჩვენ ხელთ ავიღებთ ძალაუფლებას, მაშინ ჩვენ ავლაგმავთ კაპიტალისტებს და მაშინ ეს იქნება **არა ის** ომი, როგორიც ახლა წარმოებს, — იმიტომ რომ ომი განისაზღვრება იმით, თუ რომელი კლასი აწარმოებს მას, და არა იმით, რაც ქაღალდებში წერია. ქაღალდებში შეგიძლიათ რაც გინდათ დაწეროთ. მაგრამ ვიდრე კაპიტალისტთა კლასი მთავრობაში წარმოდგენილია უმრავლესობით, რაც უნდა დაწეროთ, რაც უნდა მჭევრმეტყველი იყოთ, თითქმის-სოციალისტი მინისტრების რანაირი შემადგენლობაც უნდა გყავდეთ, ომი იმპერიალისტური რჩება. ეს ყველამ იცის, ამას ყველა ხედავს. და აი ალბანეთის მაგალითმა, საბერძნეთის, სპარსეთის მაგალითმა [11] ეს ისე ნათლად და თვალსაჩინოდ დაგვანახა, რომ მე მაკვირვებს, რატომ ყველა თავს ესხმის ჩვენს წერილობითს დეკლარაციას შეტევის შესახებ [12] და არავინ კრინტსაც არა ძრავს კონკრეტულ მაგალითებზე! პროექტების შეპირება ადვილია, კონკრეტულ ღონისძიებებს კი სულ შემდეგისათვის სდებენ. უანექსიო ზავზე დეკლარაციის წერა ადვილია, მაგრამ ალბანეთის, საბერძნეთის, სპარსეთის მაგალითი ხომ კოალიციური სამინისტროს შექმნის **შემდეგ** მოხდა. მათ შესახებ ხომ «დელო ნაროდა» [13], არა ჩვენი პარტიის ორგანო, არამედ მთავრობის ორგანო, მინისტრების ორგანო, წერდა, ასე აბუ-

ჩად იგდებენ რუსეთის დემოკრატიას, ახრჩობენ საბერძნეთსაო. და იგივე მილიუკოვი, რომელიც თქვენ, ღმერთმა იცის, თუ როგორ წარმოგიდგენიათ, — ის თავისი პარტიის რიგითი წევრია, — ტერეშჩენკო მისგან არაფრით არ განსხვავდება, — იგივე მილიუკოვი წერდა, რომ საბერძნეთს მოკავშირეთა დიპლომატია აწვებოდაო. ომი იმპერიალისტური რჩება და, რაც უნდა გსურდეთ თქვენ ზავი, რაც უნდა გულწრფელი იყოს თქვენი თანაგრძნობა მშრომელებისადმი და რაც უნდა გულწრფელი იყოს თქვენი სურვილი ზავისა, — სავსებით ვარ დარწმუნებული, რომ ეს სურვილი არ შეიძლება საერთოდ გულწრფელი სურვილი არ იყოს, — თქვენ უძლურნი ხართ იმიტომ, რომ ომი შეუძლებელია სხვანაირად გათავდეს, თუ არა მხოლოდ რევოლუციის შემდგომი განვითარებით. როდესაც რუსეთში რევოლუცია დაიწყო, ქვემოდან დაიწყო რევოლუციური ბრძოლაც ზავისათვის. თქვენ რომ ხელთ აიღებდეთ ძალაუფლებას, ძალაუფლება რომ გადავიდეს რევოლუციური ორგანიზაციების ხელში რუსი კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაშინ სხვა ქვეყნების მშრომელნი თქვენ დაგიჯერებდნენ, მაშინ თქვენ შეგეძლოთ ზავი შეგეთავაზებინათ. მაშინ ჩვენი ზავი უზრუნველყოფილი იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ორი მხრივ, ორი ხალხის მხრივ, რომელნიც სისხლისაგან იცლებიან და რომელთა საქმე უიმედოა, — გერმანიისა და საფრანგეთის მხრივ. და თუ მაშინ გარემოება ჩვენ ჩაგვაყენებდა რევოლუციური ომის მდგომარეობაში, — ეს არავინ იცის, ჩვენ ამაზე პირობას არა ვდებთ, — ჩვენ ვიტყოდით: «ჩვენ პაციფისტები არა ვართ, ჩვენ უარს არ ვამბობთ ომზე, თუ რევოლუციური კლასი ძალაუფლების სათავეში დგას, თუ მან ნამდვილად ჩამოაშორა კაპიტალისტები ყოველგვარ გავლენას საქმის დაყენებაზე, იმ ნგრევის გადიდებაზე, რომელიც საშუალებას აძლევს მათ ასეული მილიონები ჩაიჯიბონ». რევოლუციური ხელისუფლება უკლებლივ ყველა ხალხს აუხსნიდა და ეტყოდა, რომ ყველა ხალხი თავისუფალი უნდა იყოს, რომ როგორც გერმანელი ხალხი ვერ

გაბედავს იომოს ელზას-ლორენის შესანარჩუნებლად, ისე ფრანგი ხალხი ვერ გაბედავს იომოს თავისი კოლონიებისათვის, ვინაიდან, თუ საფრანგეთი ომობს თავისი კოლონიებისათვის, რუსეთს აქვს ხივა და ბუხარა, ესეც რაღაც კოლონიების მსგავსია, და მაშინ დაიწყება კოლონიების გაყოფა. მაგრამ როგორ უნდა გაიყონ კოლონიები, რა ნორმით? ძალის მიხედვით. ძალა კი შეიცვალა, კაპიტალისტების მდგომარეობა ისეთია, რომ სხვა გამოსავალი, გარდა ომისა, არ არის. როცა თქვენ ხელთ აიღებთ რევოლუციურ ძალაუფლებას, თქვენ გექნებათ ზავის რევოლუციური გზა: მიმართვა ხალხებისადმი რევოლუციური მოწოდებით, ტაქტიკის განმარტება თქვენი მაგალითით. მაშინ თქვენი გზა რევოლუციურად მოპოვებული ზავისაკენ გაიხსნება იმის უდიდესი შესაძლებლობით, რომ თქვენ თავიდან აიცდენთ ასეული ათასობით ადამიანის დაღუპვას. მაშინ თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ გერმანელი და ფრანგი ხალხები თქვენ დაგიჭერენ მხარს. ხოლო ინგლისელ, ამერიკელ და იაპონელ კაპიტალისტებს, მათ კიდევაც რომ უნდოდეთ ომი რევოლუციური მუშათა კლასის წინააღმდეგ, — რომლის ძალები გაათკეცდება, როცა კაპიტალისტები ალაგმულნი, ჩამოშორებულნი იქნებიან და კონტროლი მუშათა კლასის ხელში გადავა, — ამერიკელ, ინგლისელ და იაპონელ კაპიტალისტებს კიდევაც რომ უნდოდეთ ომი, 99 პროცენტი 100-დან იმას გვეუბნება, რომ ისინი ვერ შესძლებენ ომის წარმოებას. საკმარისი იქნება განაცხადოთ, რომ თქვენ პაციფისტები არა ხართ, რომ თქვენ დაიცავთ თქვენს რესპუბლიკას, მუშურ, პროლეტარულ, დემოკრატიას გერმანელი, ფრანგი და სხვა კაპიტალისტებისაგან, ეს საკმარისი იქნება, რომ ზავი უზრუნველყოფილ იქნას.

აი რატომ ვაძლევდით ჩვენს განცხადებას შეტევის შესახებ ესოდენ ძირითად მნიშვნელობას. დადგა გარდატეხის ხანა რუსეთის რევოლუციის მთელ ისტორიაში. რუსეთის რევოლუცია იქიდან დაიწყო, რომ მას ეხმარებოდა ინგლისის იმპერიალისტური ბურჟუაზია, რომელიც ფიქრობდა, რომ რუსეთი ჩინეთის თუ ინდოეთის მაგვარი რამ არის[illegible]

ნაცვლად მთავრობის გვერდით, რომელშიც ახლა უმრავლესობას მემამულეები და კაპიტალისტები შეადგენენ, წარმოიშვა საბჭოები, — ძლიერების მხრივ ქვეყნად გაუგონარი, უნახავი წარმომადგენლობითი დაწესებულება, რომელსაც თქვენ ჰკლავთ ბურჟუაზიის კოალიციურ სამინისტროში მონაწილეობით. ამის ნაცვლად რუსეთის რევოლუციამ ჰქნა ის, რომ ქვემოდან მომდინარე რევოლუციურ ბრძოლას კაპიტალისტური მთავრობის წინააღმდეგ ყველგან, ყველა ქვეყანაში, სამმაგად უფრო თანაგრძნობით ხვდებიან. საკითხი ასე დგას: წინ ვიაროთ თუ უკან. რევოლუციურ დროს ერთსა და იმავე ადგილზე დგომა არ შეიძლება. აი რატომ არის შეტევა მთელი რუსეთის რევოლუციის გარდატეხა შეტევის სტრატეგიული მნიშვნელობით კი არა, არამედ პოლიტიკური, ეკონომიური მნიშვნელობით. შეტევა ახლა, — ობიექტურად, ამა თუ იმ მინისტრის ნებისა და შეგნების დამოუკიდებლად, — ნიშნავს იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის განგრძობას, ნიშნავს ასეული ათასობით, მილიონობით ადამიანის დაღუპვას სპარსეთისა და სხვა სუსტი ხალხების დასახრჩობად. ძალაუფლების გადასვლა რევოლუციური პროლეტარიატის ხელში, უღარიბესი გლეხობის მხარის დაჭერით, არის გადასვლა რევოლუციურ ბრძოლაზე ზავისათვის უაღრესად უზრუნველყოფილ, უაღრესად უმტკივნეულო ფორმებში, როგორიც კი სცოდნია კაცობრიობას, გადასვლა იმაზე, რომ რევოლუციური მუშების ძალაუფლება და გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება რუსეთშიც და მთელ მსოფლიოშიც. (ქრებისერთი ნაწილის ტაში.)

«პრავდა» №№ 82 და 83;
1917 წ. 28 (15) და 29 (16) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ვ. ი. ლენინის მიერ შესწორებულ სტენოგრამასთან

2

სიტყვა ომის შესახებ
9 (22) ივნისი

ამხანაგებო, ნება მომეცით ომის საკითხის განხილვის შესავლის გასაკეთებლად მოგაგონოთ ორი ადგილი ყველა ქვეყნისადმი მიმართული მოწოდებიდან, რომელიც გამოაქვეყნა 14 მარტს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ. «დადგა დრო» — ნათქვამი იყო ამ მოწოდებაში, — «დავიწყოთ გადამწყვეტი ბრძოლა ყველა ქვეყნის მთავრობათა დაპყრობითს მისწრაფებებთან, დადგა დრო, რომ ხალხებმა ხელთ აიღონ ომისა და ზავის საკითხის გადაწყვეტა». მეორე ადგილი მიმართვისა — ავსტრია-გერმანიის კოალიციის პროლეტარებისადმი, სადაც ნათქვამია: «უარი თქვით იმაზე, რომ დაპყრობისა და ძალადობის იარაღი იყოთ მეფეების, მემამულეებისა და ბანკირების ხელში». აი ეს ორი ადგილი, რომელიც სხვადასხვა ფორმულირებით განმეორებულია რუსეთის მუშათა და გლეხთა ათობით, ასობით, იმასაც კი ვფიქრობ, ათასობით რეზოლუციაში.

ეს ორი ადგილი, ჩემი შეხედულებით, ყველაზე უკეთ ცხადყოფს იმ წინააღმდეგურ, საშინლად დახლართულ მდგომარეობას, რომელშიც ჩაცვივდნენ რევოლუციური მუშები

და გლეხები მენშევიკებისა და ნაროდნიკების ახლანდელი პოლიტიკის წყალობით. ერთი მხრივ, ისინი მხარს უჭერენ ომს, მეორე მხრივ, ეკუთვნიან იმ კლასების წარმომადგენლებს, რომლებიც დაინტერესებული არ არიან არც ერთი ქვეყნის მთავრობის დაპყრობითი მისწრაფებებით, და მათ არ შეუძლიათ ეს არა თქვან. ეს ფსიქოლოგია და იდეოლოგია, რაც უნდა ბუნდოვანი იყოს იგი, არაჩვეულებრივ ღრმად არის ჩაქსოვილი თითქმის ყოველ მუშასა და გლეხში. ეს არის შეგნება იმისა, რომ ომი ყველა ქვეყნის მთავრობების დაპყრობითს მისწრაფებათა გულისათვის წარმოებს. მაგრამ ამასთან ერთად უაღრესად ბუნდოვანია იმის გაგება, ან გაუგებლობაც კი არის იმისა, რომ მთავრობა, მმართველობის რა ფორმისაც უნდა იყოს იგი, გამოხატავს გარკვეული კლასების ინტერესებს, რომ ამიტომ მთავრობისა და ხალხის დაპირისპირება, როგორც ეს არის ჩემ მიერ მოყვანილ პირველ ციტატში, უდიდესი თეორიული დაბნეულობაა, უდიდესი პოლიტიკური უმწეობაა, იმის აღიარებაა, რომ თქვენს თავსაც და მთელ თქვენს პოლიტიკასაც განუმზადოთ უაღრესად მერყევი, უმტკიცო მდგომარეობა და მოჭმედება. და სწორედ ასევე დასკვნითი სიტყვები მეორე ციტატისა, რომელიც მე წაგიკითხეთ, ეს საუცხოო მიმართვა: «უარი თქვით იმაზე, რომ დაპყრობისა და ძალადობის იარაღი იყოთ მეფეების, მემამულეებისა და ბანკირების ხელში», ჩინებულია, მაგრამ... «აგრეთვე თავისი საკუთარი მეფეების, მემამულეებისა და ბანკირების ხელშიც», რადგან, თუ თქვენ, რუსი მუშები და გლეხები, მიმართავთ ავსტრიისა და გერმანიის მუშებსა და გლეხებს, რომელთა მთავრობები და რომელთა მმართველი კლასები ეწევიან ისეთსავე ავაზაკურ და მძარცველურ ომს, როგორსაც ეწევიან რუსი კაპიტალისტები და ბანკირები, როგორსაც ეწევიან ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტები და ბანკირები, — თუ თქვენ ამბობთ: «ხელი აიღეთ იმაზე, რომ იარაღი იყოთ თქვენი ბანკირების ხელშიო», ხოლო საკუთარ ბანკირებს სამინისტროში უშვებთ და სოციალისტ მინისტრებთან ერთად სვამთ, მაშინ ყველა თქვენს მოწოდებას არარად აქცევთ, მთელ თქვენს პოლიტიკას სინამდვი-

ლეში აქარწყლებთ. სინამდვილეში თითქოს არ ყოფილა თქვენი საუცხოო მისწრაფებანი თუ სურვილები, რადგან თქვენ ეხმარებით იმას, რომ რუსეთმა აწარმოოს იგივე იმპერიალისტური ომი, იგივე დაპყრობითი ომი. თქვენ წინააღმდეგობაში ვარდებით იმ მასებთან, რომელთა წარმომადგენლებიც თქვენა ხართ, რადგან ეს მასები არასოდეს არ დადგებიან კაპიტალისტების თვალსაზრისზე, იმ თვალსაზრისზე, რასაც აშკარად გამოთქვამენ მილიუკოვი, მაკლაკოვი და სხვები, რომლებიც ამბობენ: «არ არის იმაზე უფრო დანაშაულებრივი იდეა, რომ თითქოს ომი კაპიტალის ინტერესებისათვის წარმოებსო».

მე არ ვიცი, დანაშაულებრივია თუ არა ეს იდეა, ეჭვი არ მეპარება, რომ იმათი თვალსაზრისით, ვინც დღეს ნახევრად არსებობს, ხოლო ხვალ, იქნებ, ვერ იარსებოს, ეს იდეა დანაშაულებრივია, მაგრამ იგი ერთადერთი სწორი იდეაა, მხოლოდ იგი გამოხატავს ამ ომის ჩვენს გაგებას, მხოლოდ ეს იდეაა, რომელიც გამოხატავს ჩაგრული კლასების ინტერესებს, როგორც ბრძოლას მჩაგვრელთა წინააღმდეგ; და როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ომი კაპიტალისტურია, დაპყრობითია, ილუზიებს არ უნდა მივეცეთ: აქ არ არის იმის ნასახიც კი, თითქოს ცალკეული პირების, ცალკეული მეფეების დანაშაულობას შეეძლო ასეთი ომის გამოწვევა.

იმპერიალიზმი გარკვეული საფეხურია მსოფლიო კაპიტალის განვითარებაში; კაპიტალიზმი, რომელიც ათეული წლობით მზადდებოდა, იმად გადაიქცა, რომ უაღრესად მდიდარი ქვეყნების მცირე ჯგუფმა, — ასეთი ქვეყანა ოთხზე მეტი არ არის: ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და ამერიკა, — ამ ჯგუფმა ისეთი რაოდენობით დააგროვა ასეულ მილიარდებად ღირებული სიმდიდრე, დააგროვა ისეთი ძალა მსხვილი ბანკებისა და მსხვილი კაპიტალისტების ხელში — მათი რიცხვი ორი თუ, მაქსიმუმ, ნახევარი დუჟინია თვითეულ ამ ქვეყანაში, — ისეთი გიგანტური ძალა, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა, სიტყვასიტყვით მთელი დედამიწა გაიყო ტერიტორიულად, კოლონიების მიხედვით. ამ სახელმწიფოთა კოლონიები ერთმანეთს შეხვდა დედამიწის ყველა ქვეყანაში. ამ სახელმწი-

ფოებმა ურთიერთშორის გაიყვეს დედამიწა ეკონომიურადაც, რადგანაც არ არის ისეთი ნაკეთი მიწა დედამიწაზე, სადაც არ შეელწიოს კონცესიებს, სადაც არ შესწვდომოდეს ფინანსური კაპიტალის ძაფები. აი ანექსიების საფუძვლები. ანექსიები გამონაგონი კი არ არის, ანექსიები გაჩნდა არა იმიტომ, რომ ადამიანები თავისუფლების მოყვარულთა ნაცვლად უცებ რეაქციონერებად გადაიქცნენ. ანექსიები სხვა არა არის რა, თუ არა პოლიტიკური გამოხატულება და პოლიტიკური ფორმა უზარმაზარი ბანკების იმ ბატონობისა, რომელიც გარდუვალად წარმოსდგა კაპიტალიზმისაგან და არა ვისიმე მიზეზით, რადგან აქციები—აი ბანკების საფუძველი, ხოლო აქციების დაგროვება—აი იმპერიალიზმის საფუძველი. მსხვილი ბანკები კი, რომლებიც ბატონობენ მთელ მსოფლიოში ასეული და ასეული მილიარდიანი კაპიტალით და მრეწველობის მთელ დარგებს აერთებენ კაპიტალისტებისა და მონოპოლისტების კავშირებთან, აი რა არის იმპერიალიზმი, რომელმაც მთელი მსოფლიო გასთიშა უალრესად მდიდარ მტაცებელთა სამ ჯგუფად.

ერთი ჯგუფის, პირველი ჯგუფის სათავეში, რომელიც უფრო ახლოსაა ჩვენთან ევროპაში, დგას ინგლისი, ორი სხვა ჯგუფის სათავეში დგანან გერმანია და ამერიკა, დანარჩენი ხელშემწყობნი 'იძულებული არიან დაეხმარონ, ვიდრე კაპიტალისტური ურთიერთობა არსებობს. ამიტომ, თუ თქვენ ნათლად წარმოიდგენთ საქმის ამ არსს, რომელსაც ყოველი ჩაგრული კაცი ინსტინქტურად გრძნობს, რომელსაც ყოველი რუსი მუშა და გლეხი, მათი უდიდესი უმრავლესობა, ინსტინქტურად გრძნობს, თუ საქმის ამ არსს თქვენ ნათლად წარმოიდგენთ, მიხვდებით, თუ რა სასაცილოა აზრი, რომ ბრძოლა ომის წინააღმდეგ აწარმოო სიტყვებით, მანიფესტებით, პროკლამაციებით, სოციალისტური ყრილობებით. ასეთი აზრი სასაცილოა იმიტომ, რომ, რამდენიც უნდა გამოაქვეყნოთ ასეთი დეკლარაციები, რამდენიც უნდა მოახდინოთ პოლიტიკური გადატრიალებანი, — თქვენ დაამხეთ ნიკოლოზ რომანოვი რუსეთში, რამდენადმე გახდით რესპუბლიკა; რუსეთმა გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ, შეიძლება დაეწია თითქმის ერთბაშად

საფრანგეთს, რომელსაც სხვა პირობებში საამისოდ ასი წელი დასჭირდა და რომელიც კაპიტალისტური დარჩა, — ბანკები ყოვლის შემძლენი რჩებიან. კაპიტალისტები რჩებიან. თუ ისინი შეივწროვდნენ, ისინი შეივწროვდნენ 1905 წელსაც, მაგრამ განა ამან მათ ძირი გამოუთხარა? თუ რუსებისათვის ეს ახალი ამბავია, სამაგიეროდ ევროპაში ყოველი რევოლუცია ცხადყოფდა, რომ რევოლუციური ტალღის ყოველი აზვირთებისას მუშები აღწევენ რაოდენადმე მეტს, მაგრამ კაპიტალისტების ძალაუფლება ძალაუფლებად რჩება. იმპერიალისტურ ომთან ბრძოლა შეუძლებელია სხვანაირად, თუ არა როგორც რევოლუციური კლასების ბრძოლა გაბატონებული კლასების წინააღმდეგ მსოფლიო მასშტაბით. ესენი საერთოდ მემამულენი როდი არიან, თუმცა მემამულენი არიან რუსეთში და ისინი უფრო დიდ როლს ასრულებენ რუსეთში, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში, მაგრამ ეს არ არის ის კლასი, რომელმაც იმპერიალიზმი შექმნა. ეს არის კაპიტალისტების კლასი, რომელსაც სათავეში უდგანან უმსხვილესი ფინანსისტ-მაგნატები და ბანკები, და ვიდრე ეს კლასი, — რომელიც ბატონობს ჩაგრულ პროლეტარებზე და მათთან ერთად უღარიბეს გლეხებზე — ნახევრად-პროლეტარებზე, როგორც მათ ეწოდება ჩვენს პროგრამაში, — ვიდრე ეს კლასი არ დაუმხიათ, ამ ომიდან გამოსავალი არ არის. და ისეთი ილუზიებით საზრდოობა, რომ თქვენ შეგიძლიათ პროკლამაციებით, სხვა ხალხებისადმი მიმართვებით შეაერთოთ ყველა ქვეყნის მშრომელნი, შესაძლებელია მხოლოდ შეზღუდული რუსული თვალსაზრისით, რომელმაც არ იცის, თუ დასავლეთ-ევროპის პრესა, სადაც მუშები და გლეხები შეეჩვივნენ პოლიტიკურ გადატრიალებებს, სადაც მათ ათობით ასეთი გადატრიალება უნახავთ, — თუ როგორ დასცინის ეს პრესა ამგვარ ფრაზებსა და მიმართვებს. მათ არ იციან, რომ რუსეთში მართლაც ადგა მუშათა მასა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა გულწრფელად დარწმუნებულია ყველა ქვეყნის კაპიტალისტთა დაპყრობითს მისწრაფებებში, გმობს ამ მისწრაფებებს და მოწადინებულია ხალხთა განთავისუფლებას ბანკირებისაგან. მაგრამ მათ, ევროპელებს, არ ესმით,

რატომ არის, რომ თქვენ, ისეთი ორგანიზაციების მჭონენი, რომლებიც არც ერთს ხალხს მსოფლიოში არ მოეპოვება, როგორიცაა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც შეიარაღებულნი არიან, რატომ არის, რომ თქვენ გზავნით თქვენს სოციალისტებს მინისტრებად. თქვენ მაინც ამ ბანკირებს აძლევთ ხელში ძალაუფლებას. საზღვარგარეთ თქვენ მარტო გულუბრყვილობას არ გდებენ ბრალად, ეს კიდევ არაფერია — ევროპელები გადაეჩვივნენ იმის გაგებას, თუ რა არის გულუბრყვილობა პოლიტიკაში, გადაეჩვივნენ იმის გაგებას, რომ რუსეთში არიან ათეული მილიონობით ადამიანები, რომლებიც პირველად იწყებენ შეგნებულ ცხოვრებას, რომ რუსეთში არ იციან, თუ რა არის კლასების კავშირი მთავრობასთან, თუ რა არის მთავრობის კავშირი ომთან. ომი არის ბურჟუაზიული პოლიტიკის განგრძობა და მეტი არაფერი. კლასი, რომელიც ბატონობს, განსაზღვრავს პოლიტიკას ომშიც. ომი მთლად პოლიტიკაა, ამ კლასების მიერ იმავე მიზნების სხვა გზით განხორციელების განგრძობაა. ამიტომ, როცა თქვენ წერთ თქვენს მუშათა და გლეხთა მოწოდებებში: «დაამხეთ თქვენი ბანკირებიო», — ევროპული ქვეყნის ყოველი შეგნებული მუშა ან დაგცინით, ან მწარედ ტირის და ეუბნება თავის თავს: «რა შეგვიძლია ჩვენ, თუ იქ დაამხეს ნახევრადველური იდიოტი და მტარვალი მონარქი, რომლისთანები ჩვენ დიდიხანია თავიდან მოვიშორეთ, — ეს არის მთელი ჩვენი დანაშაული, — და ახლა მხარს უჭერენ თავიანთი «თითქმის-სოციალისტი» მინისტრებით რუს ბანკირებს?!».

ბანკირები რჩებიან ხელისუფლების სათავეში, ეწევიან საგარეო პოლიტიკას იმპერიალისტური ომის გზით, მთლიანად მხარს უჭერენ იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც დადებულია რუსეთში ნიკოლოზ მეორის მიერ. ჩვენში ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა. რუსეთის საგარეო იმპერიალისტური პოლიტიკის მთელი საფუძველი წინასწარ განსაზღვრულია არა ახლანდელი კაპიტალისტების მიერ, არამედ წინანდელი მთავრობის მიერ ნიკოლოზ მეორის მეთაურობით, რომელიც ჩვენ დავამხეთ. მან დასდო ეს ხელშეკრულებანი, ისინი საიდუმლონი

რჩებიან, კაპიტალისტებს არ შეუძლიათ მათი გამოქვეყნება, რადგან ისინი კაპიტალისტები არიან. მაგრამ ვერც ერთი მუშა და გლეხი ვერ გაიგებს ამ დომხალს, რადგან ის ამბობს: თუ ჩვენ მოვუწოდებთ დაამხონ კაპიტალისტები სხვა ქვეყნებში, მაშინ უწინარეს ყოვლისა ძირს ჩვენი ბანკირები, თორემ ჩვენ არავინ არ დაგვიჯერებს და სერიოზულად ანგარიშს არ გაგვიწევს, ჩვენზე იტყვიან — თქვენ გულუბრყვილო რუსი ველურები ხართ, რომლებიც წერთ სიტყვებს, თავისთავად ჩინებულს, მაგრამ პოლიტიკურ შინაარსს მოკლებულს, ან უარესსაც იფიქრებენ, რომ თქვენ თვალთმაქცნი ხართ. ასეთ რამეებს თქვენ შეხვდებით საზღვარგარეთულ პრესაში, იგი რომ, ყველა ნაირსახეობის პრესა, თავისუფლად შემოდიოდეს რუსეთში საზღვრიდან და ტორნეოში არ აკავებდნენ ინგლისელი და ფრანგი ხელისუფალნი. სხვას რომ თავი დავანებოთ, საზღვარგარეთული გაზეთებიდან ამოკრებილი ციტატებითაც კი დარწმუნდებოდით, თუ რა აშკარა წინააღმდეგურობაში ვარდებით, დარწმუნდებოდით, თუ რა წარმოუდგენლად სასაცილო და მცდარია ეს იდეა, რომ ამ ომის წინააღმდეგ იბრძოლოთ სოციალისტური კონფერენციებით, ყრილობებზე სოციალისტებთან შეთანხმებებით. იმპერიალიზმი რომ ცალკეულ პირთა ბრალი თუ დანაშაული იყოს, მაშინ სოციალიზმი შეიძლებოდა სოციალიზმად დარჩენილიყო. იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელი საფეხური, როდესაც იგი იქამდე მივიდა, რომ გაინაწილა მთელი მსოფლიო და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება ერთმანეთს ორი გიგანტური ჯგუფი. ან ერთს ემსახურე, ან მეორეს, ანდა დაამხე ორივე ეს ჯგუფი, არავითარი სხვა გზა აქ არ არის. როდესაც თქვენ სეპარაციულ ზავზე უარს ამბობთ იმის გამო, რომ ჩვენ არა გვსურს გერმანიის იმპერიალიზმს ვემსახუროთო, — ეს სავსებით სწორია, ამიტომ ჩვენც წინააღმდეგი ვართ სეპარაციული ზავისა. მაგრამ თქვენ ფაქტიურად, თქვენი სურვილის წინააღმდეგ, ისევ ემსახურებით ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმს, ისეთივე დაპყრობითი, მძარცველური მისწრაფებებით გაჟღენთილს, რომლებიც რუსმა კაპიტალისტებმაც,

ნიკოლოზ რომანოვის დახმარებით, ხელშეკრულებებად აქციეს. ჩვენ არ ვიცნობათ ამ ხელშეკრულებათა ტექსტებს, მაგრამ ყველამ, ვინც კი თვალს ადევნებდა პოლიტიკურ ლიტერატურას, ვისაც თუნდაც ერთი წიგნაკი წაუკითხავს ეკონომიკისა და დიპლომატიის შესახებ, იმან იცის ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მილიუკოვიც, რამდენადაც მახსოვს, თავის წიგნებში წერდა ამ ხელშეკრულებებზე და დაპირებებზე, რომ ესენი გაძარცვავენ გალიციას, გაძარცვავენ სრუტეებს, სომხეთს, შეინარჩუნებენ ძველ ანექსიებს და ბლომად მიიღებენ ახალ ანექსიებს. ეს ყველამ იცის, ხოლო ხელშეკრულებებს ისევ მალავენ, ჩვენ კი გვეუბნებიან, თუ მათ გააუქმებთ, ეს მოკავშირეებთან ურთიერთობის გაწყვეტა იქნებაო.

სეპარაციული ზავის საკითხზე მე უკვე ვთქვი, რომ სეპარაციული ზავი ჩვენთვის არ შეიძლება იყოს, და ჩვენი პარტიის რეზოლუციის მიხედვით ეჭვის ნასახიც კი არ არის, რომ ჩვენ მას უარვყოფთ, როგორც ყოველგვარ შეთანხმებას კაპიტალისტებთან. ჩვენთვის სეპარაციული ზავი არის შეთანხმება გერმანელ ავაზაკებთან, რადგან ისინი ისევე ძარცვავენ, როგორც სხვები. მაგრამ ასეთივე სეპარაციული ზავია შეთანხმება რუსეთის კაპიტალთან რუსეთის დროებითს მთავრობაში. მეფის ხელშეკრულებანი დარჩენილია, ეს ხელშეკრულებანი აგრეთვე ძარცვავენ და ახშობენ სხვა ხალხებს. როცა ამბობენ: «უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი!», როგორც უნდა ამბობდეს ყოველი რუსი მუშა და გლეხი, რადგან ცხოვრება ამას ასწავლის მას, რადგან ის დაინტერესებული არ არის ბანკების მოგებით, რადგან მას სურს იცხოვროს, — მე მათ ვუპასუხებ, რომ ამ ლოზუნგში დაიბნენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ახლანდელი საბჭოს თქვენი ბელადები — ნაროდნიკებისა და მენშევიკების პარტიებიდან. მათ თავიანთ «იზვესტიაში» თქვეს, რომ ეს ნიშნავს **status quo**-ს, ე. ი. ომამდელ მდგომარეობას — დაუბრუნდი იმას, რაც ომამდე იყოო. განა ეს კაპიტალისტური ზავი არ არის? და ამასთან რანაირი კაპიტალისტური ზავი! თუ თქვენ ასეთ ლოზუნგს აყენებთ, იცოდეთ, რომ მოვლენათა მსვლელობას

შეუძლია თქვენი პარტიები ხელისუფლების სათავეში მოაქციოს, რევოლუციის დროს ეს შესაძლებელია, თქვენ იძულებული იქნებით აკეთოთ ის, რასაც ამბობთ, ხოლო თუ თქვენ ახლა შესთავაზებთ უანექსიო ზავს, მას მიიღებენ გერმანელები და არ მიიღებენ ინგლისელები, რადგან ინგლისელ კაპიტალისტებს არც ერთი მტკაველი მიწა არ დაუკარგავთ, ხოლო ნაძარცვი მსოფლიოს ყველა კუთხეში აქვთ. გერმანელებმა ბევრი რამ გაძარცვეს, მაგრამ ბევრიც დაკარგეს, და არათუ ბევრი დაკარგეს, არამედ მათ მოევლინა ამერიკა, ყველაზე გიგანტური მტერი. თუ თქვენ, უანექსიო ზავს რომ სთავაზობთ, **status quo**-ს გულისხმობთ, თქვენ იქითკენ ეშვებით, რომ თქვენი წინადადებიდან გამოდის სეპარაციული ზავი კაპიტალისტებთან, რადგან თუ თქვენ ამას შესთავაზებთ, მაშინ გერმანელი კაპიტალისტები, რაკი თვალწინ ხედავენ ამერიკასა და იტალიას, რომლებთანაც წინათ ხელშეკრულებებს სდებდნენ, გეტყვიან: «დიახ, ჩვენ თანახმანი ვართ ამ უანექსიო ზავისა. იგი ჩვენთვის დამარცხება არ არის, იგი ჩვენთვის გამარჯვებაა ამერიკასა და იტალიაზეო». თქვენ ობიექტურად ეშვებით იმ სეპარაციულ ზავამდე კაპიტალისტებთან, რომელსაც ბრალად გვდებთ ჩვენ, რადგან თქვენ პრინციპულად თქვენი პოლიტიკით, საქმით, თქვენი პრაქტიკული ნაბიჯებით, კავშირს არ წყვეტთ იმ ბანკირებთან, როგორც მთელ მსოფლიოში იმპერიალისტური ბატონობის გამომხატველებთან, რომლებსაც დროებითს მთავრობაში თქვენ და თქვენი «სოციალისტი» მინისტრები მხარს უჭერთ.

ამით თქვენ იქმნით იმ წინააღმდეგურ და მერყეულ მდგომარეობას, რომლის დროსაც მასებს ასე არ ესმით თქვენი საქციელი. მასები, რომლებიც ანექსიებით არ არიან დაინტერესებულნი, ამბობენ: ჩვენ არ გვინდა ვიომოთ არავითარი კაპიტალისტებისთვისაო. როცა ჩვენ გვეუბნებიან, რომ ამგვარი პოლიტიკა შეიძლება შეწყვიტონ ყველა ქვეყნის სოციალისტთა ყრილობებმა და შეთანხმებებმაო, ჩვენ ვუპასუხებთ: იმპერიალიზმი რომ ცალკეულ დამნაშავეთა საქმე იყოს — ეს, იქნებ, შესაძლებელია; მაგრამ იმპერიალიზმი არის მსოფლიო

კაპიტალიზმის განვითარება, რომელთანაც დაკავშირებულია მუშათა მოძრაობა.

იმპერიალიზმის გამარჯვება არის დასაწყისი სოციალისტების გარდუვალი, ყველა ქვეყანაში აუცილებელი გათიშვისა ორ ბანაკად. ვინც ახლა განაგრძობს ლაპარაკს სოციალისტებზე, როგორც მთლიან რამეზე, როგორც ისეთ რამეზე, რაც შეიძლება მთელი იყოს, ის თავის თავსაც იტყუებს და სხვებსაც ატყუებს. ომის მთელი მსვლელობა, ომის მთელი ორნახევარი წელი იწვევდა ამ გათიშვას — მას შემდეგ, რაც ბაზელის მანიფესტმა[14], რომელიც ერთხმად იყო ხელმოწერილი, თქვა, რომ ეს ომი იმპერიალისტური კაპიტალიზმის ნიადაგზეა წარმოშობილი. მასში, ბაზელის მანიფესტში, ერთი სიტყვაც კი არ არის «სამშობლოს დაცვაზე». არ შეიძლებოდა სხვანაირი მანიფესტი დაწერილიყო ომის წინ, — ისევე როგორც ახლა არც ერთი სოციალისტი არ წამოაყენებს წინადადებას დაიწეროს მანიფესტი «სამშობლოს დაცვაზე» იაპონია-ამერიკის ომში, როდესაც საქმე ეხება არა საკუთარ ტყავს, არა საკუთარ კაპიტალისტებსა და არა საკუთარ მინისტრებს. დაწერეთ რეზოლუცია საერთაშორისო ყრილობებისათვის! თქვენ იცით, რომ ომი იაპონიასა და ამერიკას შორის უკვე მზად არის, იგი მომზადებულია ათეული წლებით, იგი შემთხვევითი არ არის; ტაქტიკა იმაზე არ არის დამოკიდებული, თუ პირველი ვინ დაუშვებს. ეს სასაცილოა. თქვენ ჩინებულად იცით, რომ იაპონიის კაპიტალიზმი და ამერიკის კაპიტალიზმი თანაბრად ავაზაკურია. «სამშობლოს დაცვაზე» ორივე მხარე ილაპარაკებს; ეს იქნება ან დანაშაული ან საშინელი სისულტე, გამოწვეული ჩვენი მტრების — კაპიტალისტების ინტერესთა «დაცვით». აი რატომ ვამბობთ ჩვენ, რომ სოციალიზმი საბოლოოდ გაითიშა. სოციალისტები სავსებით ჩამოშორდნენ სოციალიზმს, სახელდობრ ისინი, ვინც გადავიდა თავისი მთავრობის ანუ თავისი ბანკირების, თავისი კაპიტალისტების მხარეზე, რაც უნდა ემიჯნებოდნენ, რაც უნდა გმობდნენ მათ. საქმე დაგმობა როდია. მაგრამ ზოგჯერ დაგმობა იმისა, რომ გერმანე-

ლები მხარს უჭერენ თავიანთ კაპიტალისტებს, ფარავს რუსების იმავე «ცოდვის» დაცვას! თუ თქვენ ამტყუნებთ გერმანელ სოციალ-შოვინისტებს, ე. ი. ადამიანებს, რომლებიც სიტყვიერად სოციალისტები არიან, — შეიძლება, ბევრი მათგანი გულში სოციალისტია, — ხოლო სინამდვილეში შოვინისტები არიან, სინამდვილეში იცავენ არა გერმანელ ხალხს, არამედ იცავენ ბილწ, ანგარებიან და ავაზაკ გერმანელ კაპიტალისტებს, მაშინ ნუ დაიცავთ ინგლისელ, ფრანგ და რუს კაპიტალისტებს. გერმანელი სოციალ-შოვინისტები იმათზე უარესნი არ არიან, ვინც ჩვენს სამინისტროში განაგრძობენ საიდუმლო ხელშეკრულებათა იმავე პოლიტიკას, ძარცვის იმავე პოლიტიკას და ამას ფარავენ კეთილი, უწყინარი სურვილებით, რომლებშიც ბევრი რამ არის კეთილი, რომლებშიც მასების თვალსაზრისით მე აღვიარებ ყოვლად აბსოლუტურ გულწრფელობას, მაგრამ რომლებშიც მე არ ვცნობ და არ შემიძლია ვცნო პოლიტიკური სიმართლის თუნდაც ერთი სიტყვა. ეს მხოლოდ თქვენი სურვილია, ომი კი კვლავ რჩება ისეთივე იმპერიალისტურ ომად და იმავე საიდუმლო ხელშეკრულებათათვის! თქვენ სხვა ხალხებს მოუწოდებთ დაამხონ ბანკირები, მაგრამ მხარს უჭერთ საკუთარ ბანკირებს! ზავზე რომ ლაპარაკობდით, თქვენ არ გითქვამთ, რანაირი ზავი უნდა იყოს. **Status quo**-ს საფუძველზე ზავის გამო ჩვენთვის არავის არ უპასუხნია, როდესაც ჩვენ ეს აშკარა წინააღმდეგობა აღვნიშნეთ. თქვენ ვერ შესძლებთ თქვენს რეზოლუციაში, რომელშიც ილაპარაკებთ უანექსიო ზავზე, თქვათ, რომ ეს არ არის **status quo**. თქვენ არ შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს არის **status quo**, ე. ი. ომამდელი მდგომარეობის აღდგენა. მაშ, რა არის? წაერთვას ინგლისს გერმანიის კოლონიები? სცადეთ მშვიდობიანი შეთანხმებებით! თქვენ ყველანი სასაცილოდ აგიგდებენ. სცადეთ წაართვათ იაპონიას გაძარცული კიაო-ჩაუ და წყნარი ოკეანის კუნძულები ურევოლუციოდ [15]!

თქვენ გაიხლართეთ გამოუვალ წინააღმდეგურობაში. და როცა ჩვენ ვამბობთ: «უანექსიოდაო», ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენთვის ეს ლოზუნგი არის მხოლოდ დაქვემდებარებული

ნაწილი მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა. ჩვენ ვამბობთ, რომ გვსურს ყველა ხალხი გავათავისუფლოთ და დავიწყოთ ჩვენი ხალხებით. თქვენ ლაპარაკობთ ომზე ანექსიების წინააღმდეგ და უანექსიო ზავზე, ხოლო რუსეთში განაგრძობთ ანექსიების პოლიტიკას შიგნით. ეს გაუგონარი რამ არის. თქვენ და თქვენი მთავრობა, თქვენი ახალი მინისტრები სინამდვილეში განაგრძობთ ანექსიების პოლიტიკას ფინეთისა და უკრაინის მიმართ. თქვენ გადაჰკიდებიხართ უკრაინელთა ყრილობას, კრძალავთ მის კრებებს თქვენი მინისტრების მეშვეობით[16]. განა ეს ანექსია არ არის? ეს არის პოლიტიკა, აბუჩადამგდები იმ ეროვნების უფლებებისა, რომელიც ტანჯვა-წამებას განიცდიდა მეფეებისაგან იმიტომ, რომ ამ ეროვნების ბავშვებს უნდოდათ დედაენაზე ლაპარაკი. ეს იმას ნიშნავს, რომ გეშინოდეთ ცალკეული რესპუბლიკებისა. მუშათა და გლეხთა თვალსაზრისით ეს საშიში არ არის. დაე, რუსეთი თავისუფალ რესპუბლიკათა კავშირი იყოს. ამის ხელის შესაშლელად მუშათა და გლეხთა მასები არ იომებენ. დაე, ყოველი ხალხი განთავისუფლდეს, უწინარეს ყოვლისა დაე განთავისუფლდეს ყველა ის ეროვნება, რომლებთანაც ერთად თქვენ რევოლუციას ახდენთ რუსეთში. უამნაბიჯოდ თქვენ დაამტკიცებთ, რომ მხოლოდ სიტყვიერად ხართ «რევოლუციური დემოკრატია», ნამდვილად კი მთელი თქვენი პოლიტიკა კონტრრევოლუციურია.

თქვენი საგარეო პოლიტიკა ანტიდემოკრატიული და კონტრრევოლუციურია, ხოლო რევოლუციურ პოლიტიკას შეუძლია ჩაგაყენოთ რევოლუციური ომის აუცილებლობის მდგომარეობაში. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამ პუნქტზე ბევრჯერ ჩერდებოდა მომხსენებელიც და პრესაც ამ ბოლო ხანს. მეც ძალიან მსურს შევჩერდე ამ პუნქტზე.

როგორ წარმოგვიდგენია ჩვენ პრაქტიკულად ამ ომიდან გამოსვლა? ჩვენ ვამბობთ: გამოსავალი ამ ომიდან მხოლოდ რევოლუციაა. მხარი დაუჭირეთ კაპიტალისტების მიერ დაჩაგრული კლასების რევოლუციას, დაამხეთ კაპიტალისტების კლასი საკუთარ ქვეყანაში და ამით უჩვენეთ მაგალითი სხვა

ქვეყნებს. მხოლოდ ამაშია სოციალიზმი. მხოლოდ ამაშია ბრძოლა ომთან. ყოველივე დანარჩენი დაპირებაა ან ფრაზები, ან უწყინარი კეთილი სურვილები. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სოციალიზმი გაითიშა. თქვენ ისევ გზა-კვალი გებნევათ, რომ ურთიერთობა გაქვთ იმ სოციალისტებთან, რომლებიც მხარს უჭერენ თავიანთ მთავრობას, და გავიწყდებათ, რომ ინგლისსა და გერმანიაში ნამდვილი სოციალისტები, რომლებიც მასების სოციალიზმს გამოხატავენ, ერთეულები დარჩნენ და საპატიმროებში სხედან. მაგრამ მხოლოდ ისინი გამოხატავენ პროლეტარული მოძრაობის ინტერესებს. მაგრამ რუსეთში რომ ჩაგრული კლასი ხელისუფლების სათავეში აღმოჩენილიყო? როცა ჩვენ გვეუბნებიან: როგორ დააღწევთ თავს ომს ცალკეო, ჩვენ ვუპასუხებთ: ცალკე თავის დაღწევა შეუძლებელია. ჩვენი პარტიის ყოველი რეზოლუცია, მიტინგზე გამოსული ჩვენი ორატორის ყოველი სიტყვა ამბობს, რომ ეს უაზრობაა, თითქოს ამ ომიდან შესაძლებელი იყოს ცალკე თავის დაღწევა. ასობით მილიონი ადამიანის, ასობით მილიარდი კაპიტალი გახლართა ამ ომში. არ არის ომიდან გამოსვლის სხვა საშუალება, თუ არა ძალაუფლების გადასვლა რევოლუციური კლასის ხელში, რომელიც ნამდვილად ვალდებულია მოსპოს იმპერიალიზმი, ე. ი. გაწყვიტოს ფინანსური, საბანკო და ანექსიონისტური ძაფები. ვიდრე ეს სინამდვილეში არ გაკეთებულა, — არაფერი არ არის გაკეთებული. გადატრიალება იმით განისაზღვრა, რომ ცარიზმისა და იმპერიალიზმის ნაცვლად თქვენ მიიღეთ თითქმის თავით-ბოლომდე იმპერიალისტური რესპუბლიკა, რომელსაც რევოლუციური მუშებისა და გლეხების წარმომადგენელთა სახითაც კი არ შეუძლია ფინეთსა და უკრაინას მოეპყრას დემოკრატიულად, ე. ი. გაყოფის შიში არ ჰქონდეს.

როცა ამბობენ, რომ ჩვენ სეპარაციული ზავი გვსურს, ეს მართალი არ არის. ჩვენ ვამბობთ: არავითარი სეპარაციული ზავი, არავითარ კაპიტალისტებთან, უწინარეს ყოვლისა რუსეთის კაპიტალისტებთან. დროებით მთავრობას კი აქვს სეპარაციული ზავი რუსეთის კაპიტალისტებთან. ძირს ეს სეპარა-

ციული ზავი! (ტ ა შ ი.) არავითარ სეპარაციულ ზავს გერმანელ კაპიტალისტებთან ჩვენ არ ვცნობთ და არავითარ მოლაპარაკებას არ გავმართავთ, მაგრამ არავითარი სეპარაციული ზავი არც ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტებთან. ჩვენ გვეუბნებიან, მათთან კავშირის გაწყვეტა გერმანელ იმპერიალისტებთან შეთანხმებას ნიშნავსო. არ არის მართალი, მათთან დაუყოვნებლივ უნდა გავწყვიტოთ კავშირი, რადგან ეს ძარცვა-გლეჯის კავშირია. ამბობენ, არ შეიძლება ხელშეკრულებათა გამოქვეყნება, რადგან ეს იქნებოდა მთელი ჩვენი მთავრობის, მთელი ჩვენი პოლიტიკის შერცხვენა ყოველი მუშისა და ყოველი გლეხის თვალშიო. ეს ხელშეკრულებანი რომ გამოვაქვეყნოთ და ნათლად ვუთხრათ კრებებზე რუს მუშებსა და რუს გლეხებს, განსაკუთრებით ყოველ მივარდნილ სოფელში: აი რისთვის ომობ შენ ახლა, სრუტეებისათვის, სომხეთის შენარჩუნებისათვისაო, ყველა იტყვის: ასეთი ომი ჩვენ არ გვჭირდება. (თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: «თქვენი დრო გავიდა». ხ მ ე ბ ი: «გთხოვთ».) კიდევ ათი წუთი (ხ მ ე ბ ი: «გთხოვთ».)

მე ვამბობ, რომ სწორი არ არის ეს დაპირისპირება: «ან ინგლისელ იმპერიალისტებთან, ან გერმანელ იმპერიალისტებთან». თუ გერმანელ იმპერიალისტებთან ზავი, მაშინ ინგლისელ იმპერიალისტებთან ომიო, და პირიქით. ეს დაპირისპირება ნებავთ იმათ, ვინც კავშირს არ წყვეტს თავის კაპიტალისტებთან და ბანკირებთან, რაღაც კავშირს უშვებს მათთან. ეს ჩვენ არ გვნებავს. ჩვენ ვამბობთ, რომ ვიცავთ კავშირს ჩაგრულ კლასთან, ჩაგრულ ხალხებთან. ერთგულნი დარჩით ასეთი კავშირისა — მაშინ თქვენ რევოლუციური დემოკრატია იქნებით. ეს ადვილი ამოცანა როდია. ეს ამოცანა ნებას არ გვაძლევს დავივიწყოთ ის, რომ გარკვეულ პირობებში რევოლუციური ომი აუცილებელია. ვერც ერთი რევოლუციური კლასი ვერ იტყვის უარს რევოლუციურ ომზე, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სასაცილო პაციფიზმს იხდის თავის ხვედრად. ჩვენ ტოლსტოველები არა ვართ. თუ რევოლუციური კლასი ძალაუფლებას აიღებს, თუ მის სახელმწიფოში ანექსიები არ დარჩება, თუ ძალაუფლება არ ექნება ბანკებსა და მსხვილ

კაპიტალს, რაც ადვილი არ არის რუსეთში, მაშინ ასეთი კლასი გასწევს რევოლუციურ ომს არა სიტყვიერად, არამედ ნამდვილად. ამ ომზე ხელისაღება არ შეიძლება. ეს ნიშნავს ტოლსტოველობას, ფილისტერობას, ნიშნავს იმას, რომ დაივიწყო მარქსიზმის მთელი მეცნიერება, ყველა ევროპული რევოლუციის გამოცდილება.

რუსეთს მარტო ვერ ამოშლი ომიდან. მაგრამ მას ეზრდება გიგანტური მოკავშირენი, რომელთაც ახლა არ სჯერათ თქვენი, სწორედ იმიტომ, რომ თქვენი პოზიცია წინააღმდეგურია ან გულუბრყვილოა, სწორედ იმიტომ, რომ თქვენ სხვა ხალხებს ურჩევთ: «ძირს ანექსიებიო», საკუთარ ქვეყანაში კი მათ ახორციელებთ. სხვა ხალხებს ეუბნებით: დაამხეთ ბანკირებიო. თქვენს ბანკირებს კი არ ამხობთ. სცადეთ სხვანაირი პოლიტიკა. გამოაქვეყნეთ ხელშეკრულებანი და სასტიკად დაგმეთ ისინი ყოველი მუშისა და გლეხის წინაშე და კრებებზე. თქვით: არავითარი ზავი გერმანელ კაპიტალისტებთან და კავშირის სავსებით გაწყვეტა ინგლისელ და ფრანგ კაპიტალისტებთან. დაე, ინგლისელები გაეთრიონ თურქეთიდან და ნუ ომობენ ბაღდადისათვის. დაე, გაეთრიონ ისინი ინდოეთიდან და ეგვიპტიდან. ჩვენ არ გვინდა ვიომოთ იმისათვის, რომ შეინარჩუნონ ნაძარცვი დავლა, ისე როგორც არც ერთ ატომს ჩვენს ენერგიას არ დავხარჯავთ, რომ გერმანელმა ავაზაკებმა შეინარჩუნონ თავიანთი ნადავლი. თუ თქვენ ამას **იზამთ**, — თქვენ კი ამას მხოლოდ ამბობდით, — პოლიტიკაში სიტყვებს არ უჯერიან და კარგად იქცევიან, რომ არ უჯერიან, — თუ თქვენ არა თუ იტყვით, არამედ კიდევაც იზამთ, მაშინ ის მოკავშირენი, რომელნიც ახლა არიან, თავს იჩენენ. დააკვირდით ყოველი ჩაგრული მუშისა და გლეხის განწყობილებას, ისინი თანაგიგრძნობენ და ნანობენ, რომ თქვენ ესოდენ სუსტნი ხართ, რომ, თუმცა იარაღი გაქვთ, ბანკირებს მაინც სტოვებთ. თქვენი მოკავშირენი ყველა ქვეყნის ჩაგრული მუშები არიან. იქნება ის, რაც 1905 წლის რევოლუციამ სინამდვილეში გვიჩვენა. როდესაც ეს რევოლუცია იწყებოდა, იგი საშინლად სუსტი იყო. ხოლო როგორია მისი საერთაშორისო შედეგი?

როგორ განისაზღვრა ამ პოლიტიკით, 1905 წლის ისტორიით რუსეთის რევოლუციის საგარეო პოლიტიკა? ახლა რუსეთის რევოლუციის საგარეო პოლიტიკას თქვენ მთლიანად ეწევით კაპიტალისტებთან ერთად. 1905 წელმა კი ცხადყო, თუ როგორი უნდა იყოს რუსეთის რევოლუციის საგარეო პოლიტიკა. უეჭველი ფაქტია, რომ 1905 წლის 17 ოქტომბრის შემდეგ ვენასა და პრაღაში დაიწყო მასობრივი მღელვარება ჭუჩებში და ბარიკადების აგება. 1905 წლის შემდეგ დადგა 1908 წელი თურქეთში, 1909 წელი სპარსეთში და 1910 წელი ჩინეთში [17]. თუ თქვენ მართლაც მოუწოდებთ რევოლუციურ დემოკრატიას, მუშათა კლასს, ჩაგრულთ და არ ივლით კაპიტალისტებთან შეთანხმების გზით, თქვენი მოკავშირენი იქნებიან — არა მჩაგვრელი, არამედ ჩაგრული კლასები, არა ის ეროვნებანი, რომლებშიც ახლა დროებით ბატონობენ მჩაგვრელი კლასები, არა ეროვნებანი, რომლებსაც ახლა ნაწილ-ნაწილად გლეჯენ.

აქ ჩვენ მოგვაგონებენ გერმანიის ფრონტს: იქ არც ერთს ჩვენგანს არ მოუთხოვია რაიმე გარდაქმნა, გარდა ჩვენი მოწოდებების თავისუფალი გავრცელებისა, რომლებიც ერთი მხრივ დაწერილია რუსულად, მეორე მხრივ — გერმანულად. იქ ნათქვამია: ორივე ქვეყნის კაპიტალისტები ავაზაკები არიან. მათი ჩამოშორება მხოლოდ ნაბიჯია ზავისაკენაო. მაგრამ არის სხვა ფრონტები. თურქეთის ფრონტზე არის ჩვენი არმია, რომლის რაოდენობა მე არ ვიცი. ვთქვათ, იქ დაახლოებით 3 მილიონი კაცია. ეს არმია, რომელიც ახლა სომხეთშია და ახდენს ანექსიებს, რასაც თქვენ ითმენთ, ხოლო სხვა ხალხებს უქადაგებთ უანექსიო ზავს, თუმცა თქვენს ხელშია ძალაუფლება, ეს არმია რომ ამ პროგრამაზე გადავიდოდეს, იგი სომხეთს დამოუკიდებელი სომხეთის რესპუბლიკად აქცევდეს, და იმ ფულს, რასაც ჩვენგან იღებენ ინგლისისა და საფრანგეთის ფინანსისტები, მათ მისცემდეს, ეს უკეთესი იქნებოდა.

ამბობენ, რომ ჩვენ ინგლისისა და საფრანგეთის მხრივ ფინანსური დახმარების გაუწევლად ვერ გავძლებთო. მაგ-

რამ ეს დახმარება ისე «გვეხმარება», როგორც თოკი ჩამოხრჩობილს. დაე, რუსეთის რევოლუციურმა კლასმა თქვას: მოგვაშორეთ ეს დახმარება, მე არ ვცნობ ფრანგი და ინგლისელი კაპიტალისტებისაგან აღებულ ვალებს, მე ყველას მოვუწოდებ აჯანყებისაკენ კაპიტალისტების წინააღმდეგ. არავითარი ზავი გერმანელ კაპიტალისტებთან და არავითარი კავშირი ინგლისელებთან და ფრანგებთან! თუ ეს პოლიტიკა ნამდვილად გატარდება, მაშინ შეგვეძლო თურქეთის წინააღმდეგ მიმართული ჩვენი არმია გაგვენთავისუფლებინა და დაგვებრუნებინა სხვა ფრონტებზე, იმიტომ რომ აზიის ყველა ხალხი დაინახავდა, რომ რუსი ხალხი მარტო სიტყვიერად კი არ აცხადებს უანექსიო ზავს ერების თვითგამორკვევის საფუძველზე, რომ რუსი მუშა და გლეხი ნამდვილად დგება ყველა ჩაგრულ ეროვნებათა სათავეში, რომ მისთვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ცარიელი სურვილი და მინისტრის საპარადო ფრაზა კი არ არის, არამედ რევოლუციის სასიცოცხლო ინტერესია.

ჩვენი მდგომარეობა ისეთია, რომ რევოლუციური ომი ჩვენ შეიძლება მოგველოდეს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ აუცილებლად მოხდება, რადგან ინგლისელმა იმპერიალისტებმა არა გვგონია შესძლონ ომის წარმოება ჩვენს წინააღმდეგ, თუ თქვენ იმ ხალხებს, რომლებიც მთელ რუსეთს გარს ახვევიან, მიმართავთ თქვენი საქმიანი მაგალითით. დაამტკიცეთ, რომ თქვენ ათავისუფლებთ სომხეთის რესპუბლიკას, უთანხმდებით მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს ყოველ ქვეყანაში, რომ თქვენ თავისუფალი რესპუბლიკის მომხრენი ხართ, მაშინ რუსეთის რევოლუციის საგარეო პოლიტიკა ნამდვილად რევოლუციური, ნამდვილად დემოკრატიული გახდებოდა. ახლა იგი მხოლოდ სიტყვიერად არის ასეთი, ნამდვილად კი კონტრრევოლუციურია, რადგან თქვენ შებოჭილი ხართ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის მიერ და არ გინდათ ეს აშკარად თქვათ, გეშინიათ ეს აღიაროთ. უკეთესი იქნებოდა, თქვენ რომ ნაცვლად ამ მოწოდებისა «სხვისი ბანკირების დამხობის» შესახებ პირ-

დაპირ გეთქვათ რუსი ხალხისათვის, მუშებისა და გლეხებისათვის: «ჩვენ ძალიან სუსტნი ვართ, ჩვენ არ შეგვიძლია ჩამოვიგდოთ ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტების უღელი, ჩვენ მათი მონები ვართ, ამიტომ ვომობთო». ეს იქნებოდა მწარე სიმართლე. მას ექნებოდა რევოლუციური მნიშვნელობა, იგი ნამდვილად მოგვიახლოებდა ამ მძარცველური ომის დასასრულს. აი რა ნიშნავს ათასჯერ უფრო მეტს, ვიდრე შეთანხმება ფრანგ და ინგლისელ სოციალ-შოვინისტებთან, ვიდრე ყრილობათა მოწვევა, რომლებზედაც ისინი წავლენ, ვიდრე ამ პოლიტიკის განგრძობა, როდესაც თქვენ სინამდვილეში გეშინიათ ერთი ქვეყნის იმპერიალისტებთან კავშირის გაწყვეტისა და ამავე დროს რჩებით მეორე ქვეყნის მოკავშირეებად. თქვენ შეგიძლიათ დაეყრდნოთ ევროპული ქვეყნების ჩაგრულ კლასებს, უფრო სუსტი ქვეყნების ჩაგრულ ხალხებს, რომლებსაც რუსეთი მეფეების დროს ახშობდა და რომლებსაც იგი ახშობს, როგორც ახლა — სომხეთს; მათზე დაყრდნობით თქვენ შეგიძლიათ მისცეთ მათ თავისუფლება, მათი მუშათა და გლეხთა კომიტეტებისათვის დახმარების გაწევით თქვენ სათავეში ჩაუდგებოდით ყველა ჩაგრულ კლასს, ყველა ჩაგრულ ხალხს გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართულ ომში; ისინი ვერ შესძლებენ თქვენს წინააღმდეგ შეერთებას იმიტომ, რომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან ერთმანეთს, იმიტომ, რომ ისინი გამოუსწორებელ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, როდესაც რუსეთის რევოლუციის საგარეო პოლიტიკას, ნამდვილად გულწრფელ კავშირს ჩაგრულ კლასებთან, ჩაგრულ ხალხებთან შეიძლება წარმატება ჰქონდეს, 99 შანსია 100-დან, რომ მას წარმატება ექნება!

ამას წინათ ჩვენი პარტიის მოსკოვის გაზეთში ჩვენ შევხვდით გლეხის წერილს, რომელშიც ის გადმოგვცემს ჩვენს პროგრამას. ნებას მივცემ თავს ჩემი სიტყვა დავამთავრო მოკლე ციტატით ამ წერილიდან, რომელიც გვიჩვე-

ნებს, თუ როგორ გაიგო გლეხმა ჩვენი პროგრამა. ეს წერილი მოთავსებულია ჩვენი პარტიის მოსკოვის გაზეთის «სოციალ-დემოკრატის»[18] 59 №-ში და გადაბეჭდილია «პრავდის»[19] 68 №-ში:

«საჭიროა უფრო მეტად დავაწვეთ ბურჟუაზიას, რათა იგი მთლად გასკდეს. მაშინ ომი გათავდება. მაგრამ თუ ასე ძლიერ არ დავაწვებით ბურჟუაზიას, მაშინ საქმე ცუდად იქნება». (ტ ა შ ი.)

«პრავდა» № № 95, 96 და 97;
1917 წ. 13 ივლისი (30 ივნისი),
14 (1) და 15 (2) ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ვ. ი. ლენინის მიერ გასწორებულ სტენოგრამასთან

ნგრევა და პროლეტარული ბრძოლა მასთან

დღევანდელ ნომერში ჩვენ ვბეჭდავთ რეზოლუციას ნგრევასთან ბრძოლის ეკონომიურ ღონისძიებათა საკითხზე. რეზოლუცია მიღებულია ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა კონფერენციის მიერ [20].

ამ რეზოლუციის ძირითადი აზრია დაუპირისპიროს ბურჟუაზიულ და მეშჩანურ-მოხელურ ფრაზას კონტროლის შესახებ პირობები ნამდვილი კონტროლისა კაპიტალისტების მიმართ, წარმოების მიმართ. ბურჟუები სტყუიან, როდესაც «კონტროლად» ასაღებენ კაპიტალისტების სამმაგი, თუ ათმაგი არა, მოგების უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივ-გეგმაზომიერ ღონისძიებებს. წვრილი ბურჟუები ნახევრად გულუბრყვილოდ, ნახევრად ანგარებით ენდობიან კაპიტალისტებსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოს, კმაყოფილდებიან რა ყოვლად ფუჭი მოხელური პროექტიორობით კონტროლის შესახებ. მუშების მიერ მიღებული რეზოლუცია პირველ რიგში აყენებს მთავარს: 1) რა უნდა გაკეთდეს, რომ სინამდვილეში «არ იქნას დაცული» კაპიტალისტთა მოგება; 2) რომ ჩამოგლეჯილ იქნას კომერციული საიდუმლოების საბურველი; 3) რომ მუშებს მიეცეს უმრავლესობა საკონტროლო დაწესებულებებში; 4) რომ (კონტროლისა და ხელმძღვანელობის) ორგანიზაციას, რომელიც «სერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბის» ორგანიზაცია არის, წარმართავდნენ არა კაპიტალისტები,

არამედ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები.

უამისოდ ყოველგვარი ლაპარაკი კონტროლსა და მოწესრიგებაზე ფუჭი სიტყვებია ან ხალხის აშკარა მოტყუებაც კი.

და აი ამ ჭეშმარიტების წინააღმდეგ, რომელიც ერთბაშად გასაგებია ყოველი შეგნებული და დაკვირვებული მუშისათვის, აჯანყდნენ ჩვენი წვრილი ბურჟუაზიის ბელადები, ნაროდნიკები და მენშევიკები («იზვესტია», «რაბოჩაია გაზეტა»). ამჯერად, სამწუხაროდ, მათკენ დაეშვნენ «ნოვაია ჟიზნის» მწერლებიც, რომლებიც არაერთხელ მერყეობდნენ ჩვენსა და მათ შორის.

ამხანაგები ავილოვი და ბაზაროვი წვრილბურჟუაზიული გულმინდობილობისა, შემთანხმებლობისა და მოხელური პროჟექტიორობის ჭაობში თავიანთ «ჩაფლობას» ფარავენ მარქსისტული იერის საბუთებით. ვნახოთ ეს საბუთები.

ჩვენ, პრავდისტები, როცა ვიცავთ ორგანიზაციული ბიუროს რეზოლუციას (მიღებულს კონფერენციის მიერ), ვითომ ვუხვევთ მარქსიზმიდან სინდიკალიზმისაკენ!! გრცხვენოდეთ, ამხ. ავილოვ და ბაზაროვ, — ამგვარი უყურადღებობა (ან ამგვარი გადასხვაფერება) მხოლოდ «რეჩისა» [21] და «ედინსტვოს» [22] საკადრისია! ჩვენ იმის ნასახიც კი არაფერი გვაქვს, რომ ემსგავსებოდეს რკინიგზების იუმორისტულ გადასვლას რკინიგზელთა ხელში, ტყავეულის ქარხნებისა — ტყავეულის დარგის მუშების ხელში, არამედ არის მ უ შ ე ბ ი ს კ ო ნ ტ რ ო ლ ი, რომელიც იქცევა მუშების მიერ წარმოებისა და განაწილების სრულ მოწესრიგებად, პროდუქტებზე პურის გაცვლის «საერთო-სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად» და სხვ. («ქალაქისა და სოფლის კოოპერატივების ფართო მონაწილეობით»), არის იმის მოთხოვნა, რომ «მ თ ე ლ ი სახელმწიფო ძალაუფლება გადავიდეს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში».

მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ბოლომდე არ წაუკითხავთ რეზოლუცია ან რომლებმაც არ იციან კითხვა,

შეეძლოთ კეთილსინდისიერად დაენახათ მასში სინდიკალიზმი.

და მხოლოდ პედანტებს, რომლებსაც მარქსიზმი ისე გაუგიათ, როგორც «გაეგებოდა» სტრუვეს და ყველა ლიბერალურ მოხელეს, შეუძლიათ ასე იმსჯელონ: «სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმზე გადაბიჯება უტოპიაა», «თვით მოწესრიგების ტიპმა ჩვენშიც უნდა შეინარჩუნოს სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური ხასიათი».

აიღეთ შაქრის სინდიკატი ან სახაზინო რკინიგზები რუსეთში ანდა ნავთის მეფეები და სხვ.. რა არის ეს, თუ არა სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი? განა შეიძლება «გადახტე» იმას, რაც უკვე არსებობს?

საქმეც ის არის, რომ კონკრეტულ ამოცანებს, წამოყენებულს ნამდვილი ცხოვრებით, რომელმაც პრაქტიკულად შეაერთა რუსეთში მრეწველობის სინდიკატები და სოფლის წვრილი გლეხური მეურნეობანი, ამ კონკრეტულ ამოცანებს ადამიანები, რომლებსაც მარქსიზმი რაღაც «ბურჟუაზიულად-გახევებულ» მოძღვრებად გადაუქცევიათ, თავს არიდებენ ვითომდა-მეცნიერული, ნამდვილად კი ყოვლად ფუჭი მსჯელობით «პერმანენტულ რევოლუციაზე», სოციალიზმის «შემოღებაზე» და სხვა სისულელეზე.

საქმე, საქმე! ნაკლები მომიზეზება, უფრო ახლოს პრაქტიკასთან! დარჩეს თუ არა ხელუხლებლად სამხედრო დაკვეთათა მოგება, მოგება 500%-ს რაოდენობით და მისთანანი? ჰო თუ არა? დარჩეს თუ არა ხელუხლებლად კომერციული საიდუმლოება? ჰო თუ არა? მიეცეს თუ არა მუშებს კონტროლის შესაძლებლობა? ჰო თუ არა?

აი ამ საქმიან კითხვებზე ამბ. ავილოვი და ბაზაროვი არ იძლევიან პასუხს — და თავისდა შეუმჩნევლად — ქვეითდებიან ბურჟუაზიის ხელშემწყობთა როლამდე «სტრუვისტული», «თითქმის-მარქსისტული» იერის მსჯელობის საშუალებით. ბურჟუას ისე არაფერი სურს, როგორც უპასუხოს ხალხის შეკითხვებზე სამხედრო საქონლის მიმწოდებელთა

სკანდალური მოგების გამო და ნგრევის გამო «მეცნიერული» მსჯელობით სოციალიზმის «უტოპიურობის» შესახებ.

ეს მსჯელობა სასაცილოდ სტერეოტიპულია, რადგან სოციალიზმის ობიექტური შეუძლებლობა დაკავშირებულია წვრილ მეურნეობასთან, რომლის არათუ ექსპროპრიირებას, არამედ მოწესრიგებასაც კი, კონტროლსაც კი ჩვენ სრულიად არ ვჩემულობთ.

ის «სახელმწიფოებრივი მოწესრიგება», რაზედაც მენშევიკები, ნაროდნიკები და ყველა მოხელე (რომლებმაც აიყოლიეს ამხ. ავილოვი და ბაზაროვი) ლაპარაკობენ, რათა რაიმე მოიმიზეზონ, პროექტიორობენ, რათა დაიცვან კაპიტალისტების მოგება, ებედობენ, რათა ხელუხლებელი დასტოვონ კომერციული საიდუმლოება, — ჩვენ ვცდილობთ, რომ ეს სახელმწიფოებრივი მოწესრიგება არ გადაიქცეს მატყუარობად. აი რა არის თავიდათავი, საყვარელო თითქმის-მარქსისტებო, და არა სოციალიზმის «შემოღება»!

მოწესრიგება და კონტროლი არა კაპიტალისტების კლასისა მუშების მიმართ, არამედ პირიქით — აი თავიდათავი. არა ლუი ბლანების შესაფერისი ნდობა «სახელმწიფოსადმი», არამედ იმ სახელმწიფოს მოთხოვნა, რომელსაც პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები უხელძღვანელებენ, — აი როგორი უნდა იყოს ბრძოლა ნგრევასთან. საკითხის ყოველი სხვანაირი გადაწყვეტა ლათაიებია და მატყუარობა.

«პრავდა» № 73,
1917 წ. 17 (4) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კაპიტალისტების ათასპირველი სიცრუე

«რეჩი» წერს დღეს მოწინავეში:

«გერმანიაში რომ მოქმედებდეს თავისი ლენინი უცხოელ რობერტ გრიმებისა და რაკოვსკების თავაზიანი ხელშეწყობით, მაშინ უნდა გვევარაუდა, რომ ინტერნაციონალს არ სურს ხელი შეუშალოს რუსეთის დიდ რევოლუციას თავისი პოზიციების განმტკიცებაში, და, რაც მთავარია, თავისი კალაპოტის გალრმავებაში. მაგრამ ჯერჯერობით გერმანელებმა ზრდილობიანად უპასუხეს, რომ ისინი რესპუბლიკას არ საჭიროებენ და კმაყოფილი არიან თავისი ვილჰელმით. კიდევ უფრო თავაზიანად ამტკიცებს, მაგალითად, «Vorwärts»[23], რომ რუსეთის დემოკრატიამ არ უნდა მოითმინოს სანდუმლო ხელშეკრულებანი; გერმანიის დემოკრატიაზე კი სოციალისტური ორგანო თავმდაბლად სდუმს».

«რობერტ გრიმებსა და რაკოვსკებს» რომ რამენაირად «ხელი შეეწყოთ» ბოლშევიკებისათვის (რომლებსაც ისინი არასოდეს არ ეთანხმებოდნენ), ეს სიცრუეა.

«გერმანელი» პლეხანოვების არევა (სწორედ ისინი და მხოლოდ ისინი წერენ «Vorwärts»-ში) გერმანელ რევოლუციონერ ინტერნაციონალისტებში, რომლებიც ასობით სხედან გერმანიის საპატიმროებში (კარლ ლიბკნეხტის მსგავსად), ეს არის «რეჩისა» და საერთოდ კაპიტალისტების ათასპირველი ყოვლად საზიზღარი და ყოვლად უტიფარი სიცრუე.

არის ორი ინტერნაციონალი: 1) ინტერნაციონალი პლეხანოვებისა, ე. ი. სოციალიზმის მოღალატეებისა, ე. ი. ადამიანებისა, რომლებიც თავიანთ მთავრობათა მხარეზე გადავიდნენ: პლეხანოვი, გედი, შეიდემანი, სამბა, ტომა, ჰენდერსონი, ვანდერველდე, ბისოლატი და კომპ.;

2) ინტერნაციონალი რევოლუციური ინტერნაციონალისტებისა, რომლებიც ყველგან იბრძვიან რევოლუციურად, ომის დროსაც, თავიანთ მთავრობათა წინააღმდეგ, თავიანთი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

«რუსეთის დიდ რევოლუციას» შეუძლია «დიდი» გახდეს, შეუძლია «განამტკიცოს თავისი პოზიციები» და «გააღრმავოს თავისი კალაპოტი» მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მხარს აღარ დაუჭერს იმპერიალისტურ «კოალიციურ» მთავრობას, მხარს აღარ დაუჭერს ამ მთავრობის მიერ წარმოებულ იმპერიალისტურ ომს, მხარს აღარ დაუჭერს საერთოდ კაპიტალისტთა კლასს.

«პრავდა» № 73,
1917 წ. 17 (4) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სამი ივნისის ზუბრები დაუყოვნებლივს შეტევას მოითხოვენ

ბატონი სამივნისელები, ისინი, ვინც ეხმარებოდნენ ნიკოლოზ რომანოვს 1905 წლის შემდეგ, რომ სისხლით მოერწყო ჩვენი ქვეყანა, დაეხრჩო რევოლუციონერები, აღედგინა მემამულეთა და კაპიტალისტთა ყოვლისშემძლეობა, შეიკრიბნენ თავიანთ თათბირებზე საბჭოების ყრილობის დროს[24].

მაშინ როცა წერეთელი, ბურჟუაზიის ტყვის მდგომარეობაში ჩავარდნილი, ათასნაირი ხრიკებით ცდილობდა იმის მიფუჩეჩებას, თუ რამდენად საარსებო, მნიშვნელოვანი და საჭიროა დაუყოვნებლივი შეტევის პოლიტიკური საკითხი, სამი ივნისის ზუბრები, ნიკოლოზ პირსისხლიანისა და სტოლიპინ-ჩამომხრჩობის თანამებრძოლები, მემამულეები და კაპიტალისტები, არ შეუშინდნენ იმას, რომ პირდაპირ, აშკარად დაესვათ საკითხი. აი უკანასკნელი და უალრესად არსებითი, მათ მიერ ე რ თ ხ მ ა დ მიღებული, რეზოლუცია შეტევის შესახებ:

«საბელმწიფო საათბირო (??) აღიარებს, რომ მხოლოდ დაუყოვნებლივი შეტევა, მოკავშირეებთან მჭიდრო ურთიერთობით, არის ომის მალე დამთავრების მიღწევისა და ხალხის მიერ მოპოვებულ თავისუფლებათა ხმუდამოდ განმტკიცების საწინდარი».

აი ეს ნათელია.

აი ესენი არიან პოლიტიკოსები, საქმის ხალხი, თ ა ვ ი ს ი კლასის, მემამულეებისა და კაპიტალისტების ერთგული მსახური

ხოლო როგორ ემსახურებიან თ ა ვ ი ს კლასს წერეთელი, ჩერნოვი და კომპ.? ისინი სიტყვიერად კეთილ სურვილებს გამოთქვამენ, სინამდვილეში კი მხარს უჭერენ კაპიტალისტებს.

წერეთელი ირწმუნებოდა, დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ ი შეტევის საკითხის დასმაც კი არ შეიძლებაო, ვინაიდან მე, მინისტრმა წერეთელმა, რომ ვიცოდე «დაუყოვნებლივი» შეტევის ამბავი, მე, მინისტრი, ამას არავის არ ვეტყოდიო. წერეთელს, როცა ის ამას ამბობდა, ფიქრადაც არ მოსვლია (ჰოი გულუბრყვილობავ!), რომ ის გ ა ა ბ ა თ ი ლ ე ს სამი ივნისის ზუბრებმა, გააბათილეს ს ა ქ მ ი თ, რადგან სრულიადაც არ შეშინებიათ იმისაც კი, რომ რეზოლუციაში, საქვეყნოდ, ელაპარაკნათ არა შეტევაზე საერთოდ, არამედ სწორედ დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ ს შეტევაზე. და ისინი მართალნი იყვნენ, ვინაიდან ეს არის პოლიტიკური საკითხი, მთელი ჩვენი რევოლუციის ბედის საკითხი.

აქ საშუალო რამ არ არის: «დაუყოვნებლივი შეტევა» — მომხრე ხართ თუ წინააღმდეგი; აქ თავის შეკავება არ შეიძლება; აქ სამხედრო საიდუმლოებაზე მითითებით ან გადაკრული ლაპარაკით თავის არიდება არასაკადრისი იქნებოდა პასუხისმგებელი პოლიტიკოსისათვის.

დაუყოვნებლივი შეტევის მხარის დაჭერა იმას ნიშნავს, რომ მხარი დაუჭირო იმპერიალისტური ომის განგრძობას, რუსი მუშებისა და გლეხების ხოცვა-ჟლეტას სპარსეთის, საბერძნეთის, გალიციის, ბალკანეთის ხალხებისა და სხვათა ჩასახშობად, მხარი დაუჭირო კონტრრევოლუციის გამოცოცხლებასა და განმტკიცებას, «უანექსიო ზავის» შესახებ ფრაზების საბოლოოდ არარად ქცევას, ომს ანექსიების გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს.

დაუყოვნებლივი შეტევის წინააღმდეგობა იმას ნიშნავს, რომ მხარი დაუჭირო მთელი ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში, ჩაგრული კლასების რევოლუციური თანხმობის გამოღვიძებას, მხარი დაუჭირო იმას, რომ ყ ვ ე ლ ა ქვეყნის მუშებმა დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ მოითხოვონ «უანექსიო

ზავი», ზავი კაპიტალის უღლის დამხობისა და უკლებლივ ყ ვ ე ლ ა კოლონიის, უკლებლივ ყ ვ ე ლ ა ჩაგრული თუ არასრულუფლებიანი ეროვნების განთავისუფლების ზუსტი პირობების საფუძველზე.

პირველი გზაა კაპიტალისტებთან ერთად სიარულის გზა, კაპიტალისტების ინტერესების, კაპიტალისტების მიზნების მიღწევის გულისათვის, კაპიტალისტებისადმი ნდობის გზა, რომლებიც მესამე წელია გვპირდებიან ყველაფერს ამ ქვეყნად და კიდევ ბევრ სხვა რამეს, იმ პირობით, რომ «განგრძობილ იქნას» ომი «გამარჯვებამდე».

მეორე გზაა კაპიტალისტებთან კავშირის გაწყვეტის, მათდამი უნდობლობის, მათი ბინძური ანგარებისა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით ასეული მილიონების გამორჩომის აღკვეთის გზა, ყ ვ ე ლ ა ქვეყნის ჩაგრული კლასებისადმი და უწინარეს ყოვლისა მუშებისადმი ნდობის გზა, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ საერთაშორისო მ უ შ ა თ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ა დ მ ი ნდობის გზა, მისი ყოველნაირად მხარის დაჭერის გზა.

არჩევანი არის მხოლოდ ამ ორ გზას შორის. წერეთელი, ჩერნოვი და კომპ. საშუალო გზების მოყვარულნი არიან. ამ პუნქტში საშუალო რამ არ შეიძლება იყოს, და, თუ ისინი განაგრძობენ მერყეობას ან ფრაზებით თავის დაძვრენას, ისინი, წერეთელი, ჩერნოვი და კომპ., საბოლოოდ დაექანებიან კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის იარაღის როლამდე.

«პრავდა» № 74,
1917 წ. 19 (6) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

რევოლუციის შესაჩერებელი კავშირი

ყველას როდი ესმის, რომ ახალი კოალიციური მთავრობა კაპიტალისტების სწორედ ამგვარი კავშირია ნაროდნიკებისა და მენშევიკების ბელადებთან. შესაძლებელია, რომ მინისტრებსაც, რომლებიც ამ უკანასკნელ პარტიებს ეკუთვნიან, ეს არ ესმოდეთ. ნამდვილად კი ეს ფაქტია.

და განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოაშკარავდა ეს ფაქტი კვირას, 4 ივნისს, როდესაც დილას პრესაში გამოქვეყნდა მესამე სათათბიროს კონტრრევოლუციონერთა კრებაზე (ნიკოლოზ რომანოვისა და სტოლიპინ-ჩამომხრჩობის ტრადიციით, ეგრეთწოდებული «სახელმწიფო სათათბირო») მილიუკოვისა და მაკლაკოვის მიერ წარმოთქმული სიტყვების ანგარიში, ხოლო საღამოს ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობაზე მინისტრები წერეთელი და სხვ. გამოვიდნენ სიტყვებით მთავრობის დასაცავად, შეტევის პოლიტიკის დასაცავად.

მილიუკოვი და მაკლაკოვი, ისევე როგორც კაპიტალისტებისა და კონტრრევოლუციის რადმე ღირებული ყველა ბელადი, საქმის კაცები არიან, რომლებსაც ჩინებულად ესმით კლასობრივი ბრძოლის აზრი, როცა ეს მ ა თ ს კლასს ეხება. ამიტომ შეტევის საკითხი მათ სრული სიცხადით დააყენეს, ამასთან ერთი წუთიც კი არ დაუკარგავთ ყოველად ფუჭ ლაყბობაზე შეტევის შესახებ სტრატეგიული თვალსაზრისით, ლაყბობაზე, რომლითაც თავს იტყუებდა და სხვებსაც ატყუებდა წერეთელი.

არა, კადეტებმა იციან, სად მარხია ძაღლის თავი. მათ იციან, რომ შეტევის საკითხი ახლა ცხოვრების მიერ დასმულია სრულიადაც არა როგორც სტრატეგიული, არამედ როგორც პოლიტიკური საკითხი, როგორც მთელი რუსეთის რევოლუციის გარდატეხის საკითხი. სწორედ პოლიტიკურად დააყენეს იგი კადეტებმა «სახელმწიფო სათათბიროში», — ისევე როგორც ჯერ კიდევ შაბათ საღამოს, თავის წერილობითს განცხადებაში საბჭოების ყრილობის პრეზიდიუმისადმი, დააყენეს იგი ბოლშევიკებმა და საერთოდ ინტერნაციონალისტებმა.

«რუსეთის ბედი მისივე ხელშია», — გამოაცხადა სტოლიპინ-ჩამომხრჩობის ცნობილმა ხელშემწყობმა მაკლაკოვმა, — და ეს ბედი ძალიან მალე გადაწყდება» (მართალია! მართალია!). «თუ ჩვენ მართლაც მოვახერხებთ შეტევას და ომის წარმოებას არა მარტო რეზოლუციებით, არა მარტო სიტყვებით მიტინგებზე და დროშებით, რომლებიც ქალაქში დააქვთ, არამედ ომის წარმოებას ისევე სერიოზულად, როგორც ჩვენ მას წინათ ვაწარმოებდით» (ყური დაუგდეთ! ყური დაუგდეთ! ეს კაპიტალისტთა ბელადის ისტორიული სიტყვებია: «როგორც ჩვენ მას წინათ ვაწარმოებდით»!), «მაშინ მალე მოხდება რუსეთის სრული გაჯანსაღება».

ეს შესანიშნავი სიტყვებია, რომლებიც უნდა გაიზეპირო და ბევრჯერ უნდა გაისაზრო. შესანიშნავია იმით, რომ კლასობრივ სიმართლეს მეტყველებენ. ეს კლასობრივი სიმართლე განიმეორა, ცოტათი სხვანაირად, მილიუკოვმაც, რომელმაც უსაყვედურა პეტროგრადის საბჭოს, «რატომ (მის) განცხადებაში არაფერია ნათქვამი შეტევაზეო», — და ხაზი გაუსვა, რომ იტალიელმა იმპერიალისტებმა დააყენეს «ერთი უბრალო» (ბ-ნ მილიუკოვის ირონიაა!) «საკითხი: გადახვალთ თუ არა თქვენ შეტევაზე? ამ კითხვაზე მათაც არ მიუღიათ» (პეტროგრადის საბჭოსაგან) «გარკვეული პასუხი». მაკლაკოვმა ამასთან გამოთქვა «თავისი ღრმა პატივისცემა» კერენსკისადმი, ხოლო მილიუკოვმა განმარტა ეს:

«ეს ძალიან გვიშოშობ, — თქვა მილიუკოვმა, — რომ ის, რაც მოგვარებულია ჩვენი» (სწორედ! ჩვენი, ე. ი. კაპიტალისტების ხელში მყოფი!) «სამხედრო მინისტრის მიერ, ისევ დაიშლება აქედან და რომ ჩვენ ხელიდან გავუშვებთ უკანასკნელ დროს, როცა ჩვენი მოკავშირეების კითხვაზე,

გავილაშქრებთ თუ არა, ჩვენ ჯერ კიდევ» (ყური დაუგდეთ ამ «ჯერ კიდევ»!) «შეგვიძლია გავცეთ ჩვენიც და მათიც დამაკმაყოფილებელი პასუხი».

«ჩვენიც და მათიც» — რუსი იმპერიალისტებისაც და ინგლისელი და ფრანგი და სხვა იმპერიალისტებისაც! შეტევას «ჯერ კიდევ შეუძლია» «დააკმაყოფილოს» ისინი, ე. ი. დაეხმაროს, რომ საბოლოოდ დაახრჩონ სპარსეთი, ალბანეთი, საბერძნეთი, მესოპოტამია, უზრუნველყონ გერმანელებისაგან ნაძარცვი მთელი დავლის შენარჩუნება და გერმანელი ავაზაკების მიერ ნაძარცვი დავლის წართმევა. აი თავიდათავი. აი კლასობრივი სიმართლე შეტევის პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ. რუსეთის, ინგლისისა და სხვა იმპერიალისტების მადის დაკმაყოფილება, იმპერიალისტური, დაპყრობითი ომის გაჭიანურება, სიარული ა რ ა უანექსიო ზავის გზით (ამ გზით სვლა შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციის განგრძობისას), არამედ ა ნ ე ქ ს ი ე ბ ი ს გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს ომის გზით.

ასეთია შეტევის არსი საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით. მაკლაკოვმა კი ზემომოყვანილ ისტორიულ ფრაზაში ეს არსი განსაზღვრა ს ა შ ი ნ ა ო პოლიტიკის თვალსაზრისით. «რუსეთის სრული გაჯანსაღება», მაკლაკოვის პირით წარმოთქმული, ნიშნავს კონტრრევოლუციის სრულ გამარჯვებას. ვისაც არ დავიწყებია მაკლაკოვის საუცხოო სიტყვები 1905 წლისა და 1907 — 1913 წლების ეპოქის შესახებ, ის მისი თითქმის ყოველი სიტყვიდან იღებდა ამ შეფასების დადასტურებას.

ომის წარმოება, «რ ო გ ო რ ც მ ა ს ჩ ვ ე ნ წ ი ნ ა თ ც ა წ ა რ მ ო ე ბ დ ი თ», — «ჩვენ», ე. ი. კაპიტალისტები მეფის მეთაურობით! — იმპერიალისტების ამ ომის წარმოება ნიშნავს რუსეთის «გაჯანსაღებას», ე. ი. კაპიტალისტთა და მემამულეთა გამარჯვების უზრუნველყოფას.

ეს კლასობრივი სიმართლეა.

შეტევა, როგორც უნდა გათავდეს იგი სამხედრო თვალსაზრისით, პოლიტიკურად ნიშნავს იმპერიალიზმის სულისკვეთების, იმპერიალიზმის განწყობილების, იმპერიალიზმით გა-

ტაცების განმტკიცებას, არმიის ძველ, არგადაყენებულ მეთაურთა შემადგენლობის განმტკიცებას («ომის წარმოება, როგორც ჩვენ მას წინათ ვაწარმოებდით»), კონტრრევოლუციის ძირითადი პოზიციების განმტკიცებას.

სრულიად დამოუკიდებლად იმისა, სურთ თუ არა მათ ეს, შეგნებული აქვთ თუ არა ეს, წერეთელმა და კერენსკიმ, სკობელევმა და ჩერნოვმა — არა როგორც პიროვნებებმა, არამედ როგორც ნაროდნიკებისა და მენშევიკების პარტიათა ბელადებმა — მხარი დაუჭირეს კონტრრევოლუციას, გადავიდნენ — ამ გადამწყვეტ მომენტში — მის მხარეზე, დაიკავეს პოზიცია იმ კავშირის შიგნით, რომლის მიზანია რევოლუციის შეჩერება და ომის განგრძობა, «როგორც ჩვენ მას წინათ ვაწარმოებდითო».

არ უნდა მოვტყუვდეთ ამ საქმეში.

«პრავდა» № 74,
1917 წ. 19 (6) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მადლობა

ჩვენ ძალიან მადლობელი ვართ შოვინისტური გაზეთის «ვოლია ნაროდა» [25]-სი იმისათვის, რომ მან 4 ივნისის №-ში გადაბეჭდა ჩვენი დოკუმენტები გერმანიაზე გამოვლის შესახებ. ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ჯ ე რ კ ი დ ე ვ მ ა შ ი ნ «საეჭვოდ» მივიჩნიეთ გრიმის საქციელი და უარი ვთქვით მის სამსახურზე.

ეს ფაქტია, და ფაქტებისაგან თავის დაძვრენა არ შეიძლება.

ხოლო «ვოლია ნაროდას» ბუნდოვან გადაკრულ სიტყვებზე ვუპასუხებთ: ნუ ხართ ლაჩარნი, ბატონებო, ა შ კ ა რ ა დ დაგვაბრალეთ ესა და ეს დანაშაული თუ შეცოდება! შინჯეთ! ნუთუ ძნელია იმის გაგება, რომ თუ დასჯერდებით ბუნდოვან გადაკრულ სიტყვებს და შეგაშინებთ საკუთარი ხელმოწერილი ბრალდებით გამოსვლა — ეს უ პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ა ა?

«პრავდა» № 74,
1917 წ. 19 (6) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

არსებობს თუ არა სამართლიანი ზავის გზა?

არსებობს თუ არა გზა ისეთი ზავისაკენ, რომელიც გამორიცხავს ანექსიების (დაპყრობილი ადგილების) გაცვლას, ნადავლის გაყოფას კაპიტალისტ-ავაზაკების მიერ?

არსებობს — ეს გზაა მუშათა რევოლუცია ყველა ქვეყნის კაპიტალისტების წინააღმდეგ.

რუსეთი ახლა ყველაზე ახლოსაა ასეთი რევოლუციის დასაწყისთან.

მხოლოდ რუსეთშია შესაძლებელი ძალაუფლების გადასვლა მზა დაწესებულებათა ხელში, საბჭოების ხელში ერთბაშად, მშვიდობიანად, აუჯანყებლად, ვინაიდან მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებისათვის წინააღმდეგობის გაწევას კაპიტალისტები ვერ შესძლებენ.

ძალაუფლების ასეთი გადასვლით შესაძლებელი იქნებოდა კაპიტალისტთა ალაგმვა, რომელნიც მილიარდებს იჯიბავენ საქონლის მიწოდების წყალობით, ყველა მათი ოინის გამოაშკარავება, ხაზინის ქურდ-მილიონერების დაპატიმრება, მათი ყოვლისშემძლეობის გატეხა.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ძალაუფლება ჩაგრული კლასების ხელში გადავიდოდა, რუსეთი შესძლებდა მიემართა სხვა ქვეყნების ჩაგრული კლასებისათვის არა ფუჭი სიტყვებით, არა ცარიელი მოწოდებებით, არამედ თავის მაგალითზე მითითებით და ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ზ ა ვ ი ს ნათელი პირობების დაუყოვნებლივი, ზუსტი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი თ.

ამხანაგებო, ყველა ქვეყნის მუშებო და მშრომელებო! — ნათქვამი იქნებოდა დაუყოვნებლივი ზავის ამ წინადადებაში. კმარა სისხლისღვრა. ზავი შესაძლებელია. სამართლიანი ზავი არის უანექსიო ზავი, ისეთი ზავი, როცა დაპყრობას არ ექნება ადგილი. დაე, იცოდნენ გერმანელმა ავაზაკმა კაპიტალისტებმა და მათმა გვირგვინოსანმა ავაზაკმა ვილჰელმმა, რომ ჩვენ მათთან მოლაპარაკებას არ გავმართავთ, რომ მათ დაპყრობილ მიწაწყლად ჩვენ მიგვაჩნია არა მარტო ის, რაც მათ ომის შემდეგ მიიტაცეს, არამედ ელზას-ლორენიც, პრუსიის დანიური და პოლონური მიწაწყალიც.

რუსი მეფეებისა და კაპიტალისტების დაპყრობილ მიწაწყლად ჩვენ მიგვაჩნია პოლონეთიც, ფინეთიც, უკრაინაც და დანარჩენი არაველიკორუსული მიწაწყალი.

ინგლისელი, ფრანგი და სხვა კაპიტალისტების დაპყრობილ ადგილებად ჩვენ მიგვაჩნია ყ ვ ე ლ ა მათი კოლონია, ირლანდია და ასე შემდეგ.

• ჩვენ, რუსი მუშები და გლეხები, ძალდატანებით ა რ შევინარჩუნებთ ა რ ც ე რ თ ს ველიკორუსულ მიწაწყალს თუ კოლონიას (როგორიცაა თურქესტანი, მონღოლეთი, სპარსეთი). ძირს ომი, წარმოებული კ ო ლ ო ნ ი ე ბ ი ს გაყოფისათვის, ანექსიების (დაპყრობილი ადგილების) გაყოფისათვის, კაპიტალისტთა ნადავლის გაყოფისათვის!

რუსი მუშების მაგალითს გარდუვალად გაჰყვებიან — იქნებ, არა ხვალ (რევოლუციები დაკვეთით არ ხდება), მაგრამ გარდუვალად — ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ო რ ი დ ი დ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს — გერმანიისა და საფრანგეთის მუშები და მშრომელები.

ვინაიდან ო რ ი ვ ე ი ღ უ პ ე ბ ა, პირველი — შიმშილისაგან, მეორე — გაუკაცრიელებისაგან. ორივე დასდებს ზავს ჩვენი, სამართლიანი, პირობების საფუძველზე თ ა ვ ი ა ნ თ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ურ მ თ ა ვ რ ო ბ ა თ ა ნ ე ბ ა-ს უ რ ვ ი ლ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

გზა მშვიდობიანობისაკენ ჩვენს წინ ძევს.

თუ ინგლისის, იაპონიის, ამერიკის კაპიტალისტები შეეცდებიან წინააღმდეგობა გაუწიონ ასეთ ზავს, მაშინ ჩაგრული კლასები რუსეთისაც და სხვა ქვეყნებისაც არ შეუშინდებიან რევოლუციურ ომს კაპიტალისტების წინააღმდეგ. ასეთ ომში ისინი დაამარცხებენ არა მარტო რუსეთისაგან შორსმდებარე და საკუთარი მეტოქეობით გართული სამი ქვეყნის კაპიტალისტებს, ისინი დაამარცხებენ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტებს.

გზა სამართლიანი ზავისაკენ ჩვენს წინ ძევს. ნუ შეგვეშინდება ფეხი შევდგათ ამ გზაზე.

«პრავდა» № 75,
1917 წ. 20 (7) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ხალხის მტრების შესახებ

ამას წინათ პლეხანოვის «ედინსტვომ» (რომელსაც ესერული «დელო ნაროდაც» კი სამართლიანად უწოდებს ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ერთობის გაზეთს) გაიხსენა საფრანგეთის რესპუბლიკის 1793 წლის კანონი ხალხის მტრების შესახებ.

ეს გახსენება მეტად დროიანია.

1793 წლის იაკობინელები XVIII საუკუნის ყველაზე რევოლუციური კლასის, ქალაქისა და სოფლის ღარიბთა წარმომადგენელნი იყვნენ. ამ კლასის წინააღმდეგ, რომელმაც ნამდვილად (და არა სიტყვიერად) ანგარიში გაუსწორა თავის მონარქს, თავის მემამულეებს, თავის ზომიერ ბურჟუებს უაღრესად რევოლუციური ზომების, თვით გილიოტინის საშუალებით, XVIII საუკუნის ამ ჭეშმარიტად რევოლუციური კლასის წინააღმდეგ ომს აწარმოებდნენ ევროპის გაერთიანებული მონარქები.

იაკობინელებმა ხალხის მტრებად გამოაცხადეს ისინი, ვინც «ხელს უწყობს რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულს გაერთიანებული ტირანების ზრახვებს».

იაკობინელთა მაგალითი ჭკუის მასწავლებელია. ეს მაგალითი ახლაც არ მოძველებულა, ოღონდ იგი უნდა შეეფარდოს XX საუკუნის რევოლუციურ კლასს, მუშებსა და ნახევრადპროლეტარებს. ხალხის მტრები ამ კლასისათვის XX საუკუნეში არიან არა მონარქები, არამედ მემამულეები და კაპიტალისტები, როგორც კლასი.

ძალაუფლება რომ გადავიდოდეს XX საუკუნის «იაკობინელთა», პროლეტართა და ნახევრადპროლეტართა ხელში, ისინი ხალხის მტრებად გამოაცხადებდნენ კაპიტალისტებს, რომლებიც მილიარდებს იჯიბავენ იმპერიალისტური ომის, ე ს ე ი გ ი კაპიტალისტთა ნადავლისა და მოგების გაყოფისათვის წარმოებული ომის წყალობით.

XX საუკუნის «იაკობინელები» არ დაიწყებდნენ კაპიტალისტების გილიოტინით დასჯას — კარგი ნიმუშის მიბაძვა არ ნიშნავს მის პირდაპირ გადმოლებას. საკმარისი იქნებოდა დაგვეპატიმრებინა საბანკო კაპიტალის 50 — 100 მაგნატი და ბობოლა, ხაზინის ქურდობისა და საბანკო მძარცველობის მთავარი რაინდები: საკმარისი იქნებოდა დაგვეპატიმრებინა ისინი რამდენიმე კვირით, რ ა თ ა გ ა მ ო გ ვ ე ა შ კ ა რ ა ვ ე ბ ი ნ ა მ ა თ ი ო ი ნ ე ბ ი, რათა გვეჩვენებინა ყველა ექსპლოატირებულისათვის, თუ «ვის სჭირდება ომი». როცა გამოვააშკარავებდით ბანკების მეფეების ოინებს, შეგვეძლო ისინი გამოგვეშვა და მუშათა კონტროლქვეშ დაგვეყენებინა კაპიტალისტთა ბანკებიც და სინდიკატებიც და ყველა მოიჯარადრეც, რომლებიც ხაზინისათვის «მუშაობენ».

1793 წლის იაკობინელები ისტორიაში შევიდნენ იმის დიად ნიმუშად, თუ როგორ უნდა აწარმოოს ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ტ ო რ თ ა კ ლ ა ს თ ა ნ ნამდვილი რევოლუციური ბრძოლა მ შ რ ო მ ე ლ თ ა და ჩ ა გ რ უ ლ თ ა კ ლ ა ს მა, რომელმაც ხელთ აიღო მ თ ე ლ ი სახელმწიფო ძალაუფლება.

სავალალო «ედინსტვოს» (რომელთან ბლოკისა შერცხვათ მენშევიკ-ობორონცებს) სურს გადმოიღოს იაკობინიზმის ასო და არა მისი სულისკვეთება, — მისი პოლიტიკის გარეგნული გამოვლინება და არა შინაარსი. ეს არსებითად უდრის XX საუკუნის რევოლუციის ღალატს, ღალატს, რომელიც შენიღბულია XVIII საუკუნის რევოლუციონერთა ყალბი დამოწმებით.

«პრავდა» № 75,
1917 წ. 20 (7) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

შენიშვნა

6 ივნისის «ნოვოე ვრემია»-დან [26]:

«რატომ გამოწვდენილა საიდანღაც ეს შავი ხელი თავისუფლების დღეებში და ათამაშებს რუსეთის დემოკრატიის მარიონეტებს? ლენინი!... მაგრამ მისი სახელი ლეგიონია. ყოველ გზაჯვარედინზე გამოხტება ხოლმე ლენინი. და აშკარა ხდება, რომ აქ ძალა არა თვითონ ლენინშია, არამედ იმაში, რომ ნიადაგი ანარქიისა და სიგიჟის თესლს ითვისებს».

ანარქიულს ჩვენ ვუწოდებთ კაპიტალისტების მიერ სასკანდალო მოგების მიღებას საქონლის მიწოდების წყალობით. სიგიჟეს ჩვენ ვუწოდებთ ომის წარმოებას ანექსიების გაყოფის გულისათვის, კაპიტალისტთა მოგების გაყოფის გულისათვის. და თუ «ყოველ გზაჯვარედინზე» სწორედ ამ შეხედულებებს ხვდებიან თანაგრძნობით, ამის მიზეზია ის, რომ ეს შეხედულებანი სწორად გამოხატავენ პროლეტარიატის ინტერესებს, ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ინტერესებს.

«პრავდა» № 75,
1917 წ. 20 (7) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

«დიადი ჩამოშორება»

«დიადი ჩამოშორება ბურჟუაზიისა მთავრობისაგან» — ასე უწოდა კვირას აღმასრულებელი კომიტეტის მომხსენებელმა კოალიციური მთავრობის შექმნას, ყოფილი სოციალისტების შესვლას სამინისტროში [27].

ამ თქმაში მხოლოდ ორი პირველი სიტყვაა სწორი. «დიადი ჩამოშორება» მართლაც დამახასიათებელია ექვსი მაისის (კოალიციური მთავრობის შექმნა) გასაგებად. «დიადი ჩამოშორება» მართლაც დაიწყო ანუ, უფრო სწორად რომ ითქვას, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოვლინდა მაშინ. ოღონდ ეს იყო არა ბურჟუაზიის დიადი ჩამოშორება მთავრობისაგან, არამედ მენშევიზმისა და ნაროდნიკობის ბელადთა დიადი ჩამოშორება რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ა გ ა ნ.

ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოების ახლანდელი ყრილობის მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ მან საუცხოო სიმკვეთრით ცხადყო ეს.

ექვსი მაისი მომგებიანი დღე იყო ბურჟუაზიისათვის. მისი მთავრობა დალუპვის პირას იდგა. მასები აშკარად და უდავოდ, მგზნებარედ და შეურიგებლად იყვნენ მისი წინააღმდეგი. საბჭოს ნაროდნიკული და მენშევიკური ბელადების ერთი სიტყვაც კი საკმარისი იყო, რომ მთავრობას უყოყმანოდ დაეთმო თავისი ძალაუფლება; ლვოვი მარინეს სასახლეში შემდგარ სხდომაზე იძულებული იყო აშკარად აღეარებინა ეს.

ბურჟუაზიამ მიმართა ოსტატურ მანევრს, რომელიც უცხო ხილია რუსეთის წვრილი ბურჟუებისათვის, საერთოდ

რუსეთის ფართო მასებისთვისაც, მანევრს, რომელმაც გააბრუა მენშევიზმისა და ნაროდნიკობის ინტელიგენტი ბელადები და რომელმაც სწორად გაითვალისწინა მათი ლუიბლანისებური ბუნება. მოგაგონებთ, რომ ლუი ბლანი სახელგანთქმული წვრილბურჟუაზიული სოციალისტი იყო, რომელიც შევიდა მთავრობაში 1848 წელს და რომელმაც ასევე სავალალოდ გაითქვა სახელი 1871 წელს. ლუი ბლანს ეგონა, რომ ის იყო ბ ე ლ ა დ ი «მშრომელი დემოკრატიისა» ანუ «სოციალისტური დემოკრატიისა» (სწორედ ეს უკანასკნელი სიტყვა ისევე ხშირად იხმარებოდა საფრანგეთში 1848 წელს, როგორც იხმარება ე ს ე რ ე ბ ი ს ა და მენშევიკების ლიტერატურაში 1917 წელს), ნამდვილად კი ლუი ბლანი იყო ბურჟუაზიის მ ა ჩ ა ნ ჩ ა ლ ა, სათამაშო მის ხელში.

თითქმის 70 წლის მანძილზე, რამაც განვლო იმ დროიდან, მრავალზე-მრავალჯერ მიუმართავს დასავლეთის ბურჟუაზიას მანევრისათვის, რომელიც უცხო ხილი იყო რუსეთისათვის. მანევრის არსი ის არის, რომ «სოციალისტური დემოკრატიის» ბელადები, რომლებიც სოციალიზმსა და რევოლუციას «შორდებიან», ჩააყენონ ბურჟუაზიული მთავრობის დ ა ნ ა მ ა ტ ი ს მდგომარეობაში, დანამატისა, რომელიც უვნებელი იქნება ბურჟუაზიისათვის, დაფაროს ეს მთავრობა ხალხისაგან თითქმის-სოციალისტი მინისტრების საშუალებით, დამალონ ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურობა «სოციალისტური» მინისტერიალიზმის კრიალა, ეფექტური აბრით.

საფრანგეთში განსაკუთრებით კარგად არის დამუშავებული ბურჟუაზიის ეს ხერხი, რომელიც მრავალჯერ ყოფილა ნაცადი ანგლო-საქსურ ქვეყნებშიც, სკანდინავიის ქვეყნებშიც, ბევრ რომანულ ქვეყანაშიც. 1917 წლის ექვსი მაისი რუსეთში სწორედ ასეთი მანევრი იყო.

«ჩვენი» თითქმის-სოციალისტი მინისტრები სწორედ ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომ ბურჟუაზიამ იწყო ნარის ჭლეჯა მ ა თ ი ხელით, იწყო მ ა თ ი მ ე შ ვ ე ო ბ ი თ

იმის კეთება, რასაც იგი უმათოდ ვერასოდეს ვერ გააკეთებდა.

გუჩკოვის მეშვეობით შეუძლებელი იყო მასების გაყოლიება იმპერიალისტური, დაპყრობითი ომის, კოლონიებისა და საერთოდ ანექსიების გაყოფისათვის წარმოებული ომის განსაგრძობად. კერენსკის მეშვეობით (და წერეთლისა, რომელიც უფრო ტერეშჩენკოს დაცვით არის გართული, ვიდრე ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა დაცვით) ბურჟუაზიას, როგორც ეს სწორად აღიარეს მილიუკოვმა და მაკლაკოვმა, შეეძლო ამის გაკეთება, შეეძლო სწორედ ასეთი ომის განგრძობის «მოგვარება».

შინგარიოვის მეშვეობით არ შეიძლებოდა მემამულური მიწათმფლობელობის შენარჩუნების უზრუნველყოფა თუნდაც დამფუძნებელ კრებამდე (თუ შეტევა განხორციელდება, ეს იქნება «რუსეთის სრული გაჯანსაღებაო», — თქვა მაკლაკოვმა; მაშასადამე, დამფუძნებელი კრებაც «გაჯანსაღებული» იქნება). ჩერნოვის მეშვეობით მოხერხდება ამის გატარება. გლეხებს ჩააგონეს, თუმცა მათ არცთუ ისე ხალისით შეითვისეს ეს, რომ მემამულეებისაგან მიწის იჯარით აღება ცალკეულ მემამულეებთან შეთანხმების გზით არის «წესრიგი», ხოლო მემამულური მიწათმფლობელობის ერთბაშად გაუქმება და ყოფილი მემამულური მიწის იჯარით აღება ხალხისაგან, დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, არის «ანარქია». თუ არა ჩერნოვის მეშვეობით, ამ მემამულური, კონტრრევოლუციური იდეის გატარება ვერ მოხერხდებოდა.

კონოვალოვის მეშვეობით შეუძლებელი იქნებოდა გაეტარებინათ სამხედრო მასალის მიწოდებასთან დაკავშირებული სასჯელდალი მოგების დაცვა (დაგადიდება: იხ. სამინისტროს გაზეთი «რაბოჩაია გაზეტა» ქვანახშირის მრეწველობა შესახებ). სკობელევის მეშვეობით ან მისი მონაწილეობით შეიძლება ამ დაცვის გატარება ძველის ვითომდა შენარჩუნების ფორმით, სოციალიზმის «შემოღების» შესაძლებლობის ითქმის-«მარქსისტული» უარყოფის ფორმით.

სოციალიზმის შემოღება არ შეიძლება, ა მ ი ტ ო მ კაპიტალისტთა სკანდალური მაღალი მოგება მათს არა წმინდა-კაპიტალისტურ მეურნეობაში, ა რ ა მ ე დ ჯ ა რ ი ს ა თ ვ ი ს, ხ ა ზ ი ნ ი ს ა თ ვ ი ს ს ა ქ ო ნ ლ ი ს მ ი წ ო დ ე ბ ი ს ს ა ქ მ ე შ ი — ეს მოგება შ ე ი ძ ლ ე ბ ა კიდევაც დაუმალო ხალხს და კიდევაც შემოინახო! — აი ის საუცხოო სტრუვესებური მსჯელობა, რაშიც ტერეშჩენკო და ლვოვი გაერთიანდნენ «მარქსისტ» სკობელევთან.

ლვოვის, მილიუკოვის, ტერეშჩენკოს, შინგარიოვისა და კომპ. მეშვეობით არ შეიძლება გავლენის მოხდენა სახალხო კრებებზე და საბჭოებზე. წერეთლის, ჩერნოვისა და კომპ. მეშვეობით შეიძლება გავლენა მოახდინო მათზე იმავე ბურჟუაზიული მიმართულებით, გაატარო ი გ ი ვ ე ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური პოლიტიკა განსაკუთრებით ეფექტური და განსაკუთრებით «კეთილად» მჟღერი ფრაზების დახმარებით, გაატარო იქამდეც კი, რომ უარყო ელემენტარულ-დემოკრატიული უფლება — ადგილობრივ ხელისუფალთა ა რ ჩ ე ვ ი ს ა და არ დაუშვა მათი არც დანიშვნა, არც დამტკიცება ზემოდან.

ამ უფლების უარყოფით წერეთელი, ჩერნოვი და კომპ. ყოფილი სოციალისტების ნაცვლად სინამდვილეში, თავისდა შეუმჩნევლად, ყოფილი დემოკრატები გახდნენ.

უეჭველად «დიადი ჩამოშორებაა»!

«პრავდა» № 76,
1917 წ. 21 (8) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

არსებითი პოლემიკის სარგებლობის შესახებ

საყვარელო ამხანაგებო, «ნოვაია ჟიზნის» მწერლებო! თქვენ კმაყოფილი არა ხართ ჩვენი კრიტიკისა და ბრაზიანს უწოდებთ მას. შევეცდებით რბილნი და თავაზიანნი ვიყოთ.

დასაწყისისათვის ავიღოთ თქვენ მიერ დასმული ორი საკითხი. განა შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი წარმოების კონტროლზე, მოწესრიგებას რომ თავი დავანებოთ, თუ არ უკუვაგდებთ «კომერციული საიდუმლოების ხელუხლებლობას»?

ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ამ «საქმიან» კითხვაზე «ნოვაია ჟიზნი» პასუხს არ იძლევა. «ნოვაია ჟიზნი» გვეუბნება, ამ კითხვის პასუხს «რაბოჩაია გაზეტაშიც» «კი» «იპოვნითო».

ვერ ვპოულობთ, საყვარელო ამხანაგებო! თქვენც ვერასოდეს ვერ იპოვნით. ეძიეთ უფრო გულმოდგინედ — ვერ იპოვნით.

ბოდიში, «ნოვაია ჟიზნი» სწორედ იმით სცოდავდა, რომ «კონტროლის» შესახებ დეკლამატორობდა, საქმიანად კი მას საქმიანი საკითხი — კომერციული საიდუმლოების ხელუხლებლობის საკითხი არ დაუსვამს.

მეორე საკითხი: განა შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ სოციალიზმის დაუყოვნებლივ შემოღება (რის წინააღმდეგაც «ნოვაია ჟიზნი» დაობდა და რაც ჩვენ არ წამოგვიყენებია) და ბანკებისა და სინდიკატების დაუყოვნებლივ მოქცევა საქმიან კონტროლქვეშ? როცა ჩვენ ამ კითხვას ვუპასუ-

ხეთ იმაზე მითითებით, რომ ჩვენ არ ვჩემულობთ წვრილი მეურნეობის არც ექსპროპრიირებას, არც მოწესრიგებას და არც კონტროლსაო, «ნოვაია ჟიზნი» შემოგვედავა: «საგულისხმო აღიარებაა», «კანონიერია», მაგრამ იგი «მეტისმეტად ნაჩქარევიაო».

რას ბრძანებთ, საყვარელო ამხანაგებო, რა «ნაჩქარევობაა» აქ — ეს ხომ ჩვენი კონფერენციის ვრცელი და დასაბუთებული რეზოლუციის მოკლე გადმოცემაა. ან იქნებ თქვენ არ დაინტერესებულხართ, რომ წაგეკითხათ ეს რეზოლუცია?

სასარგებლოა არსებითი კამათი. მავნებელია ასეთი კამათისაგან მიკიბ-მოკიბვით თავის დაძვრენა.

«პრავდა» № 76,
1917 წ. 21 (8) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ბულვინდობილობის ეპიდემია

«ამხანაგებო, კაპიტალისტების წინააღმდეგობა, ეტყობა, გატეხილია».

სასიამოვნო ესე ამბავი ჩვენ მინისტრ პეშეხონოვის სიტყვიდან შევიტყეთ. თავბრუდამხვევი ამბავია! «კაპიტალისტების წინააღმდეგობა გატეხილიაო»...

და მინისტრის ამგვარ სიტყვებს უსმენენ, მინისტრის ამგვარ განცხადებებს ტაშს უკრავენ. რით არ არის ეს გულმინდობილობის ეპიდემია?

ერთი მხრივ, ყველაზე მეტად აშინებენ საკუთარ თავსაც და აშინებენ ხალხსაც «პროლეტარიატის დიქტატურით». მეორე მხრივ, რითღა განსხვავდება «პროლეტარიატის დიქტატურის» ცნება კაპიტალისტთა წინააღმდეგობის გატეხისაგან? სრულიად არაფრით. პროლეტარიატის დიქტატურა მეცნიერული ტერმინია, რაიც განსაზღვრავს იმ კლასს, რომელიც ამ საქმეში როლს ასრულებს. და სახელმწიფო ძალაუფლების იმ განსაკუთრებულ ფორმას, რომელსაც დიქტატურა ეწოდება, — სახელდობრ: ძალაუფლებისა, რომელიც ემყარება არა კანონს, არა არჩევნებს, არამედ უშუალოდ მოსახლეობის ამა თუ იმ ნაწილის შეიარაღებულ ძალას.

რაში მდგომარეობს პროლეტარიატის დიქტატურის აზრი და მნიშვნელობა? სწორედ კაპიტალისტთა წინააღმდეგობის გატეხაში! და თუ რუსეთში «კაპიტალისტების წინააღმდეგობა, ეტყობა, გატეხილია», მაშინ ეს ფრაზა სავსებით უდრის

იმას, ჩვენ რომ ვთქვათ: რუსეთში «პროლეტარიატის დიქტატურა, ეტყობა, განხორციელებულია».

უბედურება «მხოლოდ» ისაა, რომ ჩვენს წინაშეა მხოლოდ მინისტრის ფრაზა. ისეთი რამ, რაც წააგავს სკობელევისებურ ყოჩაღურ შეძახილს: «100% მოგებას ავიღებო» [28]. ერთ-ერთი თაიგული იმ «რევოლუციურ-დემოკრატიული» მჭევრმეტყველებისა, რომელიც ახლა მოდებული აქვს რუსეთს, აბრუებს წვრილ ბურჟუაზიას, ხრწნის და აჩლუნგებს ხალხის მასებს, უხვად ჰფანტავს გულმინდობილობის ეპიდემიის ბაცილებს.

ერთ ფრანგულ კომედიაში — ფრანგებმა, მგონი, სხვა ხალხებზე უკეთ გაიარეს სოციალისტური სამინისტროების თამაშის კურსი — აი ამ კომედიაში გამოსახულია გრამოფონი, რომელიც ამომრჩეველთა კრებების წინაშე საფრანგეთის ყველა კუთხეში იმეორებს «სოციალისტი» მინისტრის დაპირებებით სავსე სიტყვას. ვფიქრობთ, რომ მოქალაქე პეშეხონოვმა გრამოფონის ფირფიტების გამავრცელებელ საზოგადოებას უნდა გადასცეს თავისი ისტორიული ფრაზა: «ამხანაგებო, კაპიტალისტების წინააღმდეგობა, ეტყობა, გატეხილია». მეტად მოხერხებული და სასარგებლო იქნება (კაპიტალისტებისათვის) გაავრცელოთ ეს ფრაზა ყველა ენაზე და მთელ მსოფლიოში: აი, ბურჟუაზიისა და სოციალისტების კოალიციური სამინისტროს რუსული გამოცდილების ბრწყინვალე წარმატებაო!

და მაინც არას დააშავებს მოქალაქე-მინისტრი პეშეხონოვი, — რომელსაც ახლა, წერეთელთან და ჩერნოვთან ერთად სამინისტროში შესვლის შემდეგ, სოციალისტს უწოდებენ მენშევიკებიცა და ესერებიც (თუმცა ისინი 1906 წელს ემიჯნებოდნენ მას პრესაში, როგორც წვრილ ბურჟუას, რომელმაც მეტისმეტად შეტოპა მარჯვნივ), — დიახ, არას დააშავებს მოქალაქე პეშეხონოვი, თუ გვიპასუხებს უბრალო და მოკრძალებულ კითხვაზე:

— აბა, სად შეგვიძლია ვიკისროთ ის, რომ გავტეხოთ კაპიტალისტთა წინააღმდეგობა! ხომ არ შევუდგეთ მუშათა კავშირების წინაშე და ყველა უდიდესი პარტიის წინაშე კაპიტალისტთა გაუგონარი მოგების გამომჟღავნებას? კომერციული საიდუმლოების გაუქმებას?

— აბა, სად შეგვიძლია ლაპარაკი «პროლეტარიატის დიქტატურაზე» («კაპიტალისტების წინააღმდეგობის გატეხა»)! ხომ არ აჯობებს, რომ ხაზინის ქურდობის გამომჟღავნებას შევუდგეთ?

თუ ნახშირის მიწოდების ფასი გადიდებულია რევოლუციური მთავრობის მიერ, როგორც იუწყებოდა სამინისტროს «რაბოჩაია გაზეტა», ვანა ეს ხაზინის ქურდობას არა ჰგავს? ხომ არ აჯობებს თუნდაც ყოველკვირეულად ბეჭდოთ ბანკების «საგარანტიო წერილები» და სხვა დოკუმენტები სამხედრო მასალის მიწოდებაზე და ამ მიწოდების ფასებზე, ვიდრე იორატოროთ «კაპიტალისტთა წინააღმდეგობის გატეხის» გამო?

«პრავდა» № 76,
1917 წ. 21 (8) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ხვალინდელი ჭათამი თუ დღევანდელი კვერცხი

მინისტრმა პეშეხონოვმა თავის სიტყვაში ბევრი რამ ილაპარაკა საუცხოო და ჩინებული: იმაზედაც, «რომ თანაბრად განაწილდეს ის, რაც ჩვენ გვაქვს», იმაზედაც, რომ «კაპიტალისტების წინააღმდეგობა, ეტყობა, გატეხილია», და ბევრი სხვა ამის მსგავსი.

მაგრამ ზუსტი ციფრი მან მხოლოდ ერთი მოიყვანა. ზუსტი ფაქტი მის სიტყვაში მხოლოდ ერთია აღნიშნული, და მას ექვსი სტრიქონი აქვს დათმობილი რვა სვეტზე მოთავსებული სიტყვიდან. აი ეს ფაქტი: ლურსმანს ქარხნებიდან უშვებენ 20 კაპიკად გირვანქას, ხოლო მოსახლეობამდე იგი აღწევს 2 მანეთად გირვანქა.

ხომ არ შეიძლება, თუ «კაპიტალისტების წინააღმდეგობა გატეხილია», გატარდეს კანონი იმის შესახებ, რომ გამოქვეყნდეს: 1) ყველა საგარანტიო წერილი საქონლის მიწოდების ფასებზე? 2) ხაზინისთვის საქონლის მიწოდების ყველა ფასი საერთოდ? 3) ხაზინისთვის მიწოდებული პროდუქტების თვითღირებულება? 4) ხომ არ შეიძლება მიეცეს მუშათა ორგანიზაციებს შესაძლებლობა შეამოწმონ ყველა ამგვარი ფაქტი?

«პრავდა» № 76,
1917 წ. 21 (8) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სოციალიზმის შემოღება თუ ხაზინის ქურდობის გამომჟღავნება?

გადაწყვეტილია და ხელმოწერილი, რომ სოციალიზმის შემოღება რუსეთში შეუძლებელია. ეს დაამტკიცა — თითქმის საკვანძო მარქსისტულად — ბ-მა მილიუკოვმა სამი ივნისის ზუბრების თათბირზე, მენშევიკურ-მინისტრული «რაბოჩაია გაზეტას» კვალდაკვალ. ამას დაეთანხმა ყველაზე დიდი პარტია — ყველაზე დიდი რუსეთშიც საერთოდ და საბჭოების ყრილობაზედაც კერძოდ — სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია, რომელიც არათუ ყველაზე დიდი პარტიაა, არამედ ამასთან ერთად ყველაზე დიდ იდეურ (არაანგარებიანს) შიშს განიცდის სოციალიზმის მიმართულებით რევოლუციის განგრძობის წინაშე.

ნამდვილად რომ ითქვას, 1917 წლის 24 — 29 აპრილის ბოლშევიკური კონფერენციის რეზოლუციის უბრალო გაცნობაც კი გვიჩვენებს, რომ ბოლშევიკებიც შეუძლებლად სთვლიან სოციალიზმის დაუყოვნებლივ «შემოღებას» რუსეთში.

რაზეა დავა? რის გამოა ხმაური?

იმის გამო, რომ რუსეთში სოციალიზმის «შემოღების» წინააღმდეგ ყვირილით მხარს უჭერენ (ბევრნი ამის შეუგნებლად) იმათ მეცადინეობას, ვინც წინააღმდეგობას უწევს ხ ა ზ ი ნ ი ს ქ უ რ დ ო ბ ი ს გ ა მ ო მ ჟ ღ ა ვ ნ ე ბ ა ს.

ნუ დავიწყებთ დავას სიტყვების გამო, მოქალაქენო! ეს საკადრისი არ არის არათუ «რევოლუციური დემოკრატებისათვის», არამედ საერთოდ მოწიფული ადამიანებისთვის. ნუ

ვილაპარაკებთ სოციალიზმის «შემოღებაზე», რაც «ყველას მიერ» უკუგდებულია. მოდი ვილაპარაკოთ ხაზინის ქურდობის გამომჟღავნებაზე.

როდესაც კაპიტალისტები მუშაობენ თავდაცვისათვის, ე. ი. ხაზინისათვის, ეს უკვე, აშკარაა, «წმინდა» კაპიტალიზმი კი არ არის, არამედ სახალხო მეურნეობის განსაკუთრებული სახეობაა. წმინდა კაპიტალიზმი არის სასაქონლო წარმოება. სასაქონლო წარმოება არის უ ც ნ ო ბ ი და თავისუფალი ბაზრისათვის მუშაობა. თავდაცვისათვის «მომუშავე» კაპიტალისტი კი «მუშაობს» სრულიადაც არა ბაზრისათვის, არამედ ხაზინის დ ა კ კ ვ ე თ ი თ, ძალიან ხშირად იმ ფულით, რაც მან სესხად ხაზინისაგან მიიღო.

ჩვენი აზრით, ამ თავისებური ოპერაციით მიღებული მოგების ოდენობის დამალვა და მოგების მითვისება იმაზე ზევით, რაც საჭიროა წარმოების ნამდვილი მონაწილე ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი ხარჯების დასაფარავად, არის ხ ა ზ ი ნ ი ს ქ უ რ დ ო ბ ა.

თუ ამ აზრს არ იზიარებთ, თქვენ აშკარად არ ეთანხმებით მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას. სრულიად უეჭველია, რომ რუსეთის მუშათა და გლეხთა უზარმაზარი მასა ასეთ აზრს იზიარებს და ამ აზრს ისინი პირდაპირ გამოთქვამენ, თუ საკითხი მათ წინაშე მიუკიბ-მოუკიბავად, უხრიკებოდ, დიპლომატიური საბურველის გამოუყენებლად დაისმებოდა.

ხოლო თუ იზიარებთ, მოდი ერთად ვიბრძოლოთ მიკიბ-მოკიბვისა და ხრიკიანობის წინააღმდეგ.

რაც შეიძლება უფრო დამთმობი რომ ვიყოთ ისეთ ე რ თ ო ბ ლ ი ვ წამოწყებაში, როგორიცაა ეს ბრძოლა, მაქსიმუმი სირბილე რომ გამოვიჩინოთ, ჩვენ ნებას ვაძლევთ თავს წარვუდგინოთ საბჭოების ყრილობას რეზოლუციის შემდეგი პროექტი:

«წარმოებისა და განაწილების ყოველი არათუ მოწესრიგების, არამედ თუნდაც უბრალო კონტროლის პირველი ნაბიჯი» (შენიშვნა, რომელიც არ შედის რეზოლუციის ტექსტში: აკი მინისტრი პეშეხონოვიც კი შეგვპირდა ეცადოს,

«რომ თანაბრად განაწილდეს ის, რაც ჩვენ გვაქვს»), «ნგრევასთან და ჩვენი ქვეყნის კარსმომდგარ კატასტროფასთან ყოველი სერიოზული ბრძოლის პირველი ნაბიჯი უნდა იყოს დადგენილება კომერციული (მათ შორის საბანკო) საიდუმლოების გაუქმების შესახებ ყველა იმ საქმეზე, რაც დაკავშირებულია ხაზინისათვის ან საერთოდ თავდაცვისათვის საქონლის მიწოდებასთან. ასეთ დადგენილებას დაუყოვნებლივ დაემატება კანონი, რომელიც სისხლის სამართლის წესით სჯის სააშისო დოკუმენტებისა თუ ფაქტების იმ პირებისა ან ჯგუფებისაგან დამალვის ცდებისათვის, რომლებსაც რწმუნებულება აქვთ:

ა) მუშათა ან ჯარისკაცთა ან გლეხთა დეპუტატების ყოველი საბჭოსაგან;

ბ) მუშათა ან მოსამსახურეთა და მისთანათა ყოველი პროფესიული კავშირისაგან;

გ) ყოველი დიდი პოლიტიკური პარტიისაგან (ცნების «დიდი» პარტიის ზუსტად განსაზღვრით, თუნდაც ამომრჩეველთა რიცხვის მიხედვით)».

ყველა თანახმაა, რომ სოციალიზმის დაუყოვნებლივ შემოღება რუსეთში შეუძლებელია.

ყველა თანახმაა თუ არა, რომ ხაზინის ქურდობის დაუყოვნებლივ გამომქლავნება აუცილებელია?

«პრავდა» № 77,
1917 წ. 22 (9) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

დაბნეულნი და დაშინებულნი

შიშისა და დაშინების ატმოსფერო სუფევს ახლა პიტერში და პირდაპირ გაუგონარ მასშტაბს აღწევს.

პატარა შემთხვევამ ეს ცხადყო უფრო ადრე, ვიდრე მოხდებოდა იმ დემონსტრაციის აკრძალვის დიდი შემთხვევა, რომელსაც ნიშნავდა ჩვენი პარტია შაბათისათვის [29].

პატარა შემთხვევა დაკავშირებული იყო დურნოვოს აგარაკის ხელში ჩაგდებასთან: მინისტრმა პერევერზევმა ჯერ დაადგინა დაეცლევინებინა დურნოვოს აგარაკი, შემდეგ კი ყრილობაზე განაცხადა, აგარაკთან არსებულ ბაღსაც ხალხს ვუტოვებ, პროფესიულ კავშირებსაც დურნოვოს ამავე აგარაკიდან სრულიადაც არ ვასახლებო! საჭიროა მხოლოდ დაპატიმრება რამდენიმე ანარქისტისაო [30].

თუ დურნოვოს აგარაკის ხელში ჩაგდება უკანონოა, მაშინ არ შეიძლებოდა არც ბაღის დატოვება ხალხისათვის, არც პროფესიული კავშირების დატოვება აგარაკზე. თუ იყო კანონიერი საბაბი დაპატიმრებისა, მაშინ პირთა დაპატიმრებას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს აგარაკთან, ვინაიდან დაპატიმრება აგარაკზედაც და აგარაკის გარეთაც მოხდებოდა. ისე გამოვიდა, რომ არც აგარაკია «განთავისუფლებული», არც დაპატიმრება მომხდარა. მთავრობა დაბნეულ და დაშინებულ ადამიანთა მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ ადამიანებს რომ არ ენერვიულათ, «ინციდენტი» არ იქნებოდა, ვინაიდან მთელი საქმე სულერთია ძველებურად დარჩა.

დიდი შემთხვევა მოხდა დემონსტრაციასთან დაკავშირებით. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი მთელ რიგ სხვა ორგანიზაციებთან, მათ შორის პროფესიული კავშირების ბიუროსთან ერთად, ადგენს დაინიშნოს მშვიდობიანი დემონსტრაცია, პროცესია სატახტო ქალაქის ქუჩებში. ყოველ კონსტიტუციურ ქვეყანაში ასეთი დემონსტრაციების მოწყობა მოქალაქეთა ყოვლად უდავო უფლებაა. ქუჩის მშვიდობიან დემონსტრაციაში, სხვათა შორის, იმ ლოზუნგით, რომ შეიცვალოს კონსტიტუცია ან შეიცვალოს მთავრობის შემადგენლობა, არც ერთი თავისუფალი ქვეყნის არავითარი კანონმდებლობა არ ხედავს რაიმე კანონსაწინააღმდეგოს.

დაბნეული და დაშინებული ადამიანები, მათ შორის მეტადრე საბჭოების ყრილობის უმრავლესობა, ამ დემონსტრაციის გამო ქმნიან გაუგონარ «ისტორიას». საბჭოების ყრილობის უმრავლესობა იღებს მრისხანე, ჩვენი პარტიის მიმართ საშინლად მკაცრი სიტყვებით აღსავსე რეზოლუციას დემონსტრაციის წინააღმდეგ და კ რ ძ ა ლ ა ვ ს ყოველგვარ, მათ შორის მშვიდობიან, დემონსტრაციას სამი დღით.

როდესაც ასეთი ფორმალური გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი პარასკევს, უკვე ღამის ორ საათზე, ადგენს დემონსტრაციის გადადებას. შაბათს, დილას, სასწრაფოდ მოწვეულ თათბირზე რაიონების წარმომადგენლებთან ერთად ეს დადგენილება ტარდება ცხოვრებაში.

რჩება საკითხი, რით ხ ს ნ ი ს ჩვენი მეორე «მთავრობა», საბჭოების ყრილობა, ამ აკრძალვას. რა თქმა უნდა, ყოველ პარტიას თავისუფალ ქვეყანაში უფლება აქვს მოაწყოს დემონსტრაციები, ყოველ მთავრობას საგანგებო მდგომარეობის შემოღების გზით შეუძლია აკრძალოს ეს დემონსტრაციები, მაგრამ რჩება პოლიტიკური საკითხი: რისთვის აკრძალეს დემონსტრაცია?

აი ერთადერთი პოლიტიკური მოტივი, რომელიც ნათლად არის აღნიშნული საბჭოების ყრილობის რეზოლუციაში:

...«ჩვენ ვიცით, რომ მიმალულ კონტრრევოლუციონერებს უნდათ ისარგებლონ თქვენი (ე. ი. ჩვენი პარტიის მიერ მოწყობილი) გამოსვლით»...

ასეთია მშვიდობიანი დემონსტრაციის აკრძალვის მიზეზი. საბჭოების ყრილობამ «იცის», რომ «მიმალული კონტრრევოლუციონერები» არიან და რომ მათ უნდოდათ «ესარგებლნათ» სწორედ იმ გამოსვლით, რომელიც ჩვენმა პარტიამ დასახა.

ეს საბჭოების ყრილობის მეტისმეტად მნიშვნელოვანი განცხადებაა. და საჭირო ხდება კიდევ და კიდევ ხაზი გაესვას ამ ფ ა ქ ტ ი უ რ განცხადებას, რომელიც გამოირჩევა თავისი ფაქტიურობით ჩვენს წინააღმდეგ მიმართული სალანძღავი სიტყვების კორიანტელიდან. რა ზომებს იღებს ჩვენი მეორე მთავრობა «მიმალული კონტრრევოლუციონერების» წინააღმდეგ? სახელდობრ რა «იცის» ამ მთავრობამ? სახელდობრ როგორ უნდოდათ კონტრრევოლუციონერებს ესარგებლნათ ამა თუ იმ საბაბით?

ხალხი ვერც დაელოდება და არც დაელოდება მოთმინებითა და პასიურად, ვიდრე ეს მიმალული კონტრრევოლუცია გამოვიდოდეს.

თუ ჩვენს მეორე მთავრობას არა სურს დარჩეს იმ ადამიანთა მდგომარეობაში, რომლებიც აკრძალვითა და ლანძღვა-გინების კორიანტელით ჩქმალავენ იმას, რომ ისინი დაიბნენ და მემარჯვენეთა წინაშე შიშმა შეიპყრო, — მაშინ იგი იძულებული იქნება ბევრი რამ უ თ ხ რ ა ს ხალხს «მიმალული კონტრრევოლუციონერების» შესახებ და ბევრი რამ გ ა ა კ ე თ ო ს მათ წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლისათვის.

«პრავდა» № 79,
1917 წ. 24 (11) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

გადაკრული სიტყვები

გააფთრებულნი, გამძვინვარებულნი, გაცოფებულნი, კბილთამღრჭენნი, რომელნიც ჩვენს პარტიას განუწყვეტელ წვიმასავით ანთხევენ ლანძღვისა და აწიოკების სიტყვებს, აშკარად არაფერს გვდებენ ჩვენ ბრალად, არამედ «გადაკვრით» ლაპარაკობენ».

რას?

მხოლოდ ერთი რამის თქმა შეუძლიათ გადაკვრით: ბოლშევიკებს უნდოდათ სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინათ, ისინი კატილინები[31] არიან, აი რატომ არიან ისინი გაგლეჯის ღირსი ურჩხულნი და ურჯულკნიო.

ამ სისულელის აშკარად თქმას ჩვენი მტრები ვერ ბედავენ, და აი ისინი იძულებული ხდებიან «გადაკვრით ილაპარაკონ» და ბრაზმორეულებმა «სიტყვიერების» კორიანტელი დააყენონ. ვინაიდან უაღრესად სულელურია ეს ბრალდება: სახელმწიფო გადატრიალება მშვიდობიანი დემონსტრაციის საშუალებით, რომლის გამართვაც ხუთშაბათს გადაწყდა, შაბათისათვის დაინიშნა და რომლის შესახებ ცნობაც შაბათ დილას გამოქვეყნდა! ჰოდა, ვინ გინდათ გააოცოთ, ბატონებო, უაზრობით აღსავსე თქვენი გადაკრული ლაპარაკით?

«დროებითი მთავრობის დამხობის მოთხოვნაო», — ნათქვამია საბჭოების ყრილობის რეზოლუციაში. დროებითი მთავრობიდან მინისტრთა ერთი ნაწილის განდევნა (განზრახული დროშების ერთ-ერთი წარწერა ამბობდა: ძირს მთავ-

რობის ბურჟუაზიული წევრები) სახელმწიფო გადატრიალებაა??

რატომ არავინ ცდილა და არც კი დამუქრებია მიეცათ სამართალში ისინი, ვისაც პიტერის ქუჩებში უთვალავჯერ გამოუტანია დროშა «მთელი ძალაუფლება საბჭოს»?

საკუთარი თავისა შეეშინდათ გააფთრებულთ.

იმ მთავრობას, რომელმაც იცის, რომ მ თ ე ლ ი მისი შემადგენლობა ხალხის უმრავლესობის ნებას ეყრდნობა, არ შეუძლია წინასწარ გამოცხადებული მანიფესტაციებისა ეშინოდეს.

ასეთ მანიფესტაციებს იგი არ აკრძალავს.

მხოლოდ იმას, ვინც იცის, რომ მას უმრავლესობა არა ჰყავს, ხალხის მასების თანხმობა არა აქვს, შეუძლია ასე ველურად შმაგობდეს, ა ს ე თ ი გ ა დ ა კ რ უ ლ ი სიტყვები წამოისროლოს ღვარძლიან სტატიებში.

«პრავდა» № 79,
1917 წ. 24 (11) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

«მოსახლეობის ამაღელვებელი სიტყვები»

დროებითი მთავრობა მოუწოდებს დღეს «მოსახლეობას» სიმშვიდისაკენ «ქალაქში გავრცელებული და მოსახლეობის ამაღელვებელი ხმების» გამო.

ხომ არ ფიქრობს ეს დროებითი მთავრობა, რომ საბჭოების ყრილობის რეზოლუციის ერთი ფრაზა ყოველგვარ «ხმაზე» ათასჯერ უფრო აღელვებს და უნდა აღელვებდეს მოსახლეობას, სახელდობრ შემდეგი ფრაზა:

«ჩვენ ვიცით, რომ მიმალულ კონტრრევოლუციონერებს უნდათ ისარგებლონ თქვენი (ბოლშევიკური) გამოსვლით»?

განა შეიძლება ასეთი რამ, «ხმებზე უფრო მეტი», არ აღელვებდეს მოსახლეობას?

«პრავდა» № 79,
1917 წ. 24 (11) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

გამოცანა

რით განსხვავდება ჩვეულებრივი ბურჟუაზიული მთავრობა არაჩვეულებრივი, რევოლუციური, მთავრობისაგან, რომელიც თავის თავს ბურჟუაზიულ მთავრობად არა თვლის?

ამბობენ, შემდეგით:

ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ მთავრობას შეუძლია აკრძალოს მანიფესტაციები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ანგარიშს გაუწევს კონსტიტუციას და ჯერ შემოიღებს სამხედრო მდგომარეობას.

არაჩვეულებრივსა და თითქმის-სოციალისტურ მთავრობას შეუძლია აკრძალოს დემონსტრაციები ყოველგვარი პირობის დაუცველად და ისეთი «ფაქტების» დამოწმებით, რომლებიც მარტო მან იცის.

«პრავდა» № 79,
1917 წ. 24 (11) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

პროექტი რსდმპ(ბ) ც. კ.-ისა და ბოლშევიკების ფრაქციის ბიუროს განცხადებისა საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის მიმართ დემონსტრაციის აკრძალვის გამო[33]

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავისებური დაწესებულება, რომელსაც მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა დეპუტატების საბჭოები ეწოდება, ყველაზე მეტად უახლოვდება ხალხის უმრავლესობის ნების საყოველთაო-სახალხო ორგანოს, რევოლუციურ პარლამენტს.

ჩვენ პრინციპულად მომხრენი ვიყავით და ვართ მთელი ძალაუფლების გადასვლისა ასეთი ორგანოს ხელში, მიუხედავად იმისა, რომ ახლა იგი ობორონცული და პროლეტარიატის პარტიისადმი მტრული პარტიების — მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების ხელშია.

საბჭოების შინაგან-წინააღმდეგური, მერყეევი, უმტკიცო, კონტრრევოლუციის მიმართ უმწეო მდგომარეობა იმაზეა დამოკიდებული, რომ ისინი ითმენენ კონტრრევოლუციის ბუდეს: 10 ბურჟუაზიულ მინისტრს და კავშირს არ წყვეტენ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტურ კაპიტალთან. ეს მერყეობა სათავეა საბჭოების ახლანდელი უმრავლესობის ნერვიულობისა და მათი ლანძღვა-გინებისა, ვინც ამ მერყეობაზე მიუთითებს.

ჩვენ უარს ვამბობთ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის კოორდინირებაზე, შეთანხმებაზე ობორონცული და მინისტერიალისტური პარტიების «ბრძოლასთან».

ჩვენ არ შეგვიძლია საბჭოების გადაწყვეტილებანი ვცნოთ მართებული ხელისუფლების მართებულ გადაწყვეტილებებად, ვიდრე რჩება სავსებით მილიუკოვისებური და მილიუკოვის კლასის 10 ბურჟუაზიული, კონტრრევოლუციური მინისტრი. მაგრამ საბჭოებს კიდეც რომ აეღოთ მთელი ძალაუფლება (რაც ჩვენ გვსურს და რასაც ჩვენ ყოველთვის დავუჭერდით მხარს), საბჭოები რომ გამხდარიყვნენ ყოვლისშემძლე რევოლუციურ პარლამენტად, ჩვენ არ დავემორჩილებოდით მის ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეზღუდავდნენ ჩვენი აგიტაციის თავისუფლებას, მაგალითად, აკრძალავდნენ პროკლამაციებს ზურგში ან ფრონტზე, აკრძალავდნენ მშვიდობიან მანიფესტაციებს და სხვ.. ჩვენ ასეთ შემთხვევაში ვამჯობინებდით არალეგალური, ოფიციალურად დევნილი პარტიის მდგომარეობაზე გადასვლას, მაგრამ უარს არ ვიტყოდით ჩვენს მარქსისტულ, ინტერნაციონალისტურ პრინციპებზე.

ასეთივე იქნება ჩვენი მოქმედება, თუ საბჭოების ყრილობა ინებებს ოფიციალურად, რუსეთის მთელი მოსახლეობის წინაშე, გვცნოს ჩვენ «ხალხის მტრებად» ან «რევოლუციის მტრებად».

მანიფესტაციის სამი დღით აკრძალვის მოტივებიდან ჩვენ პირობითად სწორ მოტივად ვთვლით მხოლოდ ერთს, სახელდობრ: რომ მიმალულ კონტრრევოლუციონერებს ფარულად უნდოდათ ესარგებლნათ ამ მანიფესტაციით. ნამდვილი რომ იყოს ის ფაქტები, რომლებიც საფუძვლად უდევთ ამ მოტივს, მთელმა საბჭომ რომ იცოდეს კონტრრევოლუციონერთა სახელები (როგორც ეს ვიცით ჩვენ კერძო სახით ლიბერისა და სხვათა მიერ აღმასრულებელ კომიტეტში გამოქვეყნებული სიტყვიერი ინფორმაციიდან), აუცილებელი იქნებოდა ამ კონტრრევოლუციონერების დაუყოვნებლივ გამოცხადება

ხალხის მტრებად, მათი დაპატიმრება და მათი მომხრეებისა და ხელშემწყობთა საქმის გამოძიება.

საბჭოს მიერ ასეთი ზომების მიუღებლობა მის სწორ მოტივსაც მხოლოდ პირობითად სწორად ან სრულიად არასწორად ხდის.

დაწერილია 1917 წ. 11 (24) ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ «ბოლშევიკში» № 24

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა, წარმოთქმული რსდმპ(ბ) პეტროგრადის კომიტეტის სხდომაზე 1917 წ. 11 (24) ივნისს, დემონსტრაციის აკრძალვის გამო

ამხანაგების უმეტესობის უკმაყოფილება დემონსტრაციის გადადების გამო სავსებით კანონიერია, მაგრამ ცენტრალური კომიტეტი სხვანაირად ვერ მოიქცეოდა ორი მიზეზით: ჯერ ერთი, ხელისუფლების ნაჩქარორგანომ ფორმალურად აკრძალა დემონსტრაციის გამართვა, მეორეც, ეს აკრძალვა ასე იყო მოტივირებული: «ჩვენ ვიცით, რომ მიმალულ კონტრრევოლუციონერებს უნდათ ისარგებლონ თქვენი გამოსვლითო». მოტივირების დასადასტურებლად ჩვენ დაგვისახელეს. მაგალითად, ერთი გენერალი, რომელსაც სამი დღის შემდეგ დავაპატიმრებთო, დაგვისახელეს სხვა პირებიც; განაცხადეს, რომ 10 ივნისისათვის დანიშნულია შაკრაზმელთა დემონსტრაცია, რომლებიც უნდა ჩარეულიყვნენ თქვენს დემონსტრაციაში და ხოცვა-ჟლეტად გადაექციათ იგი.

უბრალო ომშიც კი ხდება ხოლმე, რომ იძულებული არიან დანიშნული შეტევა გადასდონ სტრატეგიული მიზეზებით, მით უფრო შეიძლება ეს კლასობრივ ბრძოლაში — საშუალო წვრილბურჟუაზიული ფენების მერყეობის გამო. უნდა შეგვეძლოს მომენტის გათვალისწინება და გაბედულება გადაწყვეტილების განხორციელებაში.

დემონსტრაციაზე უარისთქმა უთუო აუცილებლობა იყო, რაც მტკიცდება შემდგომი ამბებით. დღეს წერეთელმა წარმოთქვა თავისი ისტორიული და ისტერიული სიტყვა[33]. დღეს რეკოლუცია შეიცდა თავისი განვითარების ახალ ფაზაში. მათ დაიწყეს ჩვენი მშვიდობიანი დემონსტრაციის სამი დღის

მანძილზე აკრძალვით, უნდათ აკრძალონ დემონსტრაცია ყრილობის მთელი ხნის განმავლობაში, ისინი მოითხოვენ ჩვენგან, რომ ყრილობის გადაწყვეტილებას დავემორჩილოთ და გვემუქრებიან ყრილობის შემადგენლობიდან გარიცხვას. მაგრამ ჩვენ განვაცხადეთ, რომ ვამჯობინებთ დაგვაპატიმრონ, აგიტაციის თავისუფლებაზე კი ხელს არ ავიღებთო.

წერეთელმა, რომელიც თავის სიტყვაში აშკარა კონტრრევოლუციონერად მოგვევლინა, განაცხადა, რომ ბოლშევიკებს უნდა ვებრძოლოთ არა სიტყვებით, არა რეზოლუციებით, არამედ უნდა წავართვათ მათ ხელში არსებული ყველა ტექნიკური საშუალებაო. ბურჟუაზიული რევოლუციების შედეგი: ჯერ შეიარაღონ პროლეტარიატი, შემდეგ განაიარაღონ, რათა იგი უფრო შორს არ წავიდეს. თუ საჭირო გახდა მშვიდობიანი დემონსტრაციის აკრძალვა, მდგომარეობა მეტად სერიოზული ყოფილა.

წერეთელმა, რომელიც ყრილობაზე გამოცხადდა დროებითი მთავრობის წიალიდან, გამოთქვა აშკარა სურვილი მუშების განიარაღებისა. მან გამოიჩინა ველური სიცოფე, ის მოითხოვდა, რომ ბოლშევიკები მიჩნეულ იყვნენ რევოლუციური დემოკრატიის რიგებს გარეთ მდგომ პარტიად. მუშებმა ფხიზლად უნდა გაითვალისწინონ, რომ მშვიდობიან დემონსტრაციაზე ახლა ლაპარაკიც არ შეიძლება. მდგომარეობა გაცილებით უფრო სერიოზულია, ვიდრე ჩვენ გვეგონა. ჩვენ ვაწყობდით მშვიდობიან დემონსტრაციას, რათა მაქსიმალური ზეგავლენა მოგვეხდინა ყრილობის გადაწყვეტილებებზე — ეს ჩვენი უფლებაა, — ჩვენ კი ბრალად გვდებენ, შეთქმულება მოაწყეთ, რათა მთავრობა დაგეპატიმრებინათო.

წერეთელი ამბობს, რომ, გარდა ბოლშევიკებისა, კონტრრევოლუციონერები არ არიანო. კრება, რომელიც ჩვენ მსჯავრს გვდებდა, ორგანიზებული იყო განსაკუთრებული ზეიმით, მას ესწრებოდა ყრილობის პრეზიდიუმი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი სრული შემადგენლობით, ყრილობის ყველა პარტიის ფრაქციათა

ბიუროები, და ამ კრებაზე მათ ჩვენს წინაშე წამოაყრანტალეს მთელი სიმართლე, ისინი ჩვენ შეტევას გვიცხადებენ.

პროლეტარიატის მხრივ პასუხად შეიძლება იყოს მაქსიმუმი სიმშვიდე, სიფრთხილე, თავდაჭერილობა, ორგანიზებულობა და იმის დამახსოვრება, რომ მშვიდობიანი დემონსტრაციები — ეს წარსულის საქმეა.

ჩვენ არ უნდა ვიძლეოდეთ თავდასხმის საბაბს, დაე ისინი დაგვესხან თავს, და მუშები მიხვდებიან, რომ თავდამსხმელები ხელყოფენ თვით პროლეტარიატის არსებობას. მაგრამ ცხოვრება ჩვენს მხარეზეა, — და კიდევ საკითხავია, თუ როგორ მოახერხებენ ისინი თავდასხმას: ფრონტზე ჯარები დგანან, უკმაყოფილების სულისკვეთება მათში ძალიან ძლიერია, ზურგში სიძვირეა, ნგრევაა და სხვ.

ცენტრალურ კომიტეტს არა სურს ზედმოქმედება მოახდინოს თქვენს გადაწყვეტილებაზე. თქვენი უფლება — უფლება პროტესტი განაცხადოთ ცენტრალური კომიტეტის მოქმედების წინააღმდეგ, კანონიერია, და თქვენი გადაწყვეტილება თავისუფალი უნდა იყოს.

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს ჟურნალ «კრასნაია ლეტოპისში», № 9

იბეჭდება რსდმპ (ბ) პეტროგრადის კომიტეტის 1917 წლის სხდომათა ოქმების ტექსტის მიხედვით

გარდატეხის გზაზე

რუსეთის რევოლუციამ თავისი განვითარების პირველ ეტაპზე ძალაუფლება გადასცა იმპერიალისტურ ბურჟუაზიას და ამ ხელისუფლების გვერდით შექმნა დეპუტატთა საბჭოები, სადაც უმრავლესობა წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას ეკუთვნოდა. რევოლუციის მეორე ეტაპმა (6 მაისი) ფორმალურად ჩამოაშორა ხელისუფლებას იმპერიალიზმის ცინიკურად გულახდილი წარმომადგენლები მილიუკოვი და გუჩკოვი და საბჭოების უმრავლესობის პარტიები ფაქტიურად გადააქცია მთავრობის პარტიებად. ჩვენი პარტია 6 მაისამდეც და შემდეგაც ოპოზიციური უმცირესობის მდგომარეობაში რჩებოდა. ეს გარდუვალი იყო, ვინაიდან ჩვენ ვართ სოციალისტური პროლეტარიატის პარტია, რომელიც ინტერნაციონალიზმის ნიადაგზე დგას. სოციალისტური პროლეტარიატი, რომელიც ინტერნაციონალისტურ პოზიციაზე დგას იმპერიალისტური ომის დროს, არ შეიძლება არ იყოს ოპოზიციაში ყოველი ხელისუფლებისადმი, რომელიც კი ამ ომს აწარმოებს, არის ეს მონარქისტული, რესპუბლიკური ხელისუფლება თუ «სოციალისტ»-ობორონცების ხელისუფლება. და სოციალისტური პროლეტარიატის პარტია გარდუვალად შემოიკრებს თავის გარშემო გაჭიანურებული ომით გაჩანაგებული მოსახლეობის უფრო და უფრო ფართო მასებს; ეს მოსახლეობა უკვე კარგავს ნდობას «სოციალისტებისადმი», რომლებიც შებოჭილი არიან იმპერიალიზმის სამსახურით, ისევე როგორც მან წინათ დაკარგა ნდობა პირ-

წავარდნილი იმპერიალისტებისადმი. ამიტომ ბრძოლა ჩვენი პარტიის წინააღმდეგ დაიწყო რევოლუციის პირველ დღეებიდანვე. და რაგინდ უმსგავსი და საზიზღარი ფორმები მიიღოს ბბ. კადეტებისა და პლეხანოველების ბრძოლამ პროლეტარიატის პარტიის წინააღმდეგ, ამ ბრძოლის დედაარსი ნათელია. ეს იგივე ბრძოლაა, რომელსაც ეწეოდნენ იმპერიალისტები და შეიდემანელები ლიბკნეხტისა და ფ. ადლერის წინააღმდეგ (ორივენი ხომ «გიჟებად» გამოაცხადა გერმანელი «სოციალისტების» ცენტრალურმა ორგანომ, რომ აღარაფერი ვთქვათ ბურჟუაზიულ პრესაზე, რომელიც ამ ამხანაგებს «მოღალატეებად», ინგლისის სასარგებლოდ მომუშავეებად აცხადებდა). ეს არის ბრძოლა მ თ ე ლ ი ბურჟუაზიული საზოგადოებისა, მ ა თ შ ო რ ი ს წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ა ც, რაგინდ რ-რ-რევოლუციური იყოს იგი, — ბრძოლა სოციალისტური, ინტერნაციონალისტური პროლეტარიატის წინააღმდეგ.

რუსეთში ეს ბრძოლა იმ საფეხურამდე ავიდა, როდესაც იმპერიალისტები ცდილობენ — წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ბელადების, წერეთლების, ჩერნოვების და სხვათა ხელით — ერთი მკვეთრი და გადამწყვეტი დარტყმით ბოლო მოუღონ პროლეტარული პარტიის მზარდ ძალას. და ამ გადამწყვეტი დარტყმის საბაბად მინისტრმა წერეთელმა მონახა კონტრრევოლუციების მიერ უკვე არაერთხელ გამოყენებული ხერხი: შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ი ს დ ა ბ რ ა ლ ე ბ ა. ეს ბრალდება მხოლოდ საბაბია. საქმის არსი ის არის, რომ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისათვის, რომელიც ხელში ჰყავთ ჩაჭერილი რუს და მოკავშირე იმპერიალისტებს, აუცილებელია ერთხელ და სამუდამოდ მოუღოს ბოლო სოციალისტ-ინტერნაციონალისტებს. მათ დარტყმისათვის მომენტი მომწიფებულად მიაჩნიათ. მათ, აჟიოტაციით, შაშით მოცულებმა, თავიანთი ბატონების წკეპლის ზედმოქმედებით გადაწყვიტეს: ახლა ან არასოდეს.

სოციალისტურმა პროლეტარიატმა და ჩვენმა პარტიამ უნდა მოიკრიბონ მთელი თავიანთი სიმშვიდე, გაშოიჩინონ

მაქსიმუმი სიმტკიცე და სიფხიზლე: დაე მომავალმა კავენიაკებმა[34] დაიწყონ პირველებმა. ხოლო მათი მოსვლის შესახებ ჩვენი პარტია ჯერ კიდევ თავის კონფერენციაზე იძლეოდა გაფრთხილებას. პეტროგრადის პროლეტარიატი მათ შესაძლებლობას არ მისცემს, რომ პასუხისმგებლობა მოიხსნან. იგი დაელოდება, თავის ძალებს მოიკრებს და გასამკლავებლად მოემზადება, რ ო დ ე ს ა ც ეს ვაჟბატონები გაბედავენ სიტყვიდან საქმეზე გადასვლას.

«პრავდა» № 80,
1917 წ. 26 (13) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

წერილი რედაქციის მიმართ

მეკითხებიან, თუ რატომ არ ვიყავი ყრილობის აღმასრულებელი კომიტეტის, პრეზიდიუმისა და ყველა ფრაქციის ბიუროების კვირა-საღამოს სხდომაზე. მიზეზი ის არის, რომ მე ვიცავდი ბოლშევიკების პრინციპულ უარს ამ თათბირში მონაწილეობის მიღებაზე, მათ მიერ წარდგენილ წერილობით განცხადებას: არავითარ თათბირში ასეთ საკითხებზე (მანიფესტაციების აკრძალვა) არ ვმონაწილეობთ.

ნ. ლენინი

«პრავდა» № 80,
1917 წ. 26 (13) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

რუსეთის რევოლუციის საგარეო პოლიტიკა

არ არის იმაზე უფრო მცდარი და უფრო მავნე იდეა, ვიდრე საგარეო პოლიტიკის მოწყვეტა საშინაო პოლიტიკისაგან. სწორედ ომის დროს ასეთი მოწყვეტის საოცარი შეუსაბამობა კიდევ უფრო საოცარი ხდება. ხოლო ბურჟუაზია ყოველივე შესაძლებელსა და ყოველივე შეუძლებელს სჩადის, რომ ჩაგვაგონოს და დაიცვას ეს იდეა. საგარეო პოლიტიკის უცოდინარობა მოსახლეობის მასებისა განუზომლად უფრო გავრცელებულია, ვიდრე უმეცრება საშინაო დარგში. დიპლომატიურ ურთიერთობათა «საიდუმლოებას» წმიდად იცავენ ყველაზე თავისუფალ კაპიტალისტურ ქვეყნებში, ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკებში.

ხალხის მასების მოტყუება ოსტატურად არის დამუშავებული საგარეო პოლიტიკის «საქმეთა» მიმართ, და ჩვენს რევოლუციას ამ მოტყუების გამო ძალიან დიდი გასაჭირი ადგება. ბურჟუაზიული გაზეთების მილიონობით ეგზემპლარები ყველგან ავრცელებენ მატყუარობის შხამს.

იმპერიალისტი მტაცებლების ორი უაღრესად მდიდარი და უაღრესად ძლიერი ჯგუფიდან ან ერთთან ან მეორესთან — ასე აყენებს ახლანდელი საგარეო პოლიტიკის ძირითად საკითხს კაპიტალისტური სინამდვილე. ასე აყენებს ამ საკითხს კაპიტალისტების კლასი. რა თქმა უნდა, ასე აყენებს საკითხს ფართო წვრილბურჟუაზიული მასაც, რომელიც

ინარჩუნებს ძველ კაპიტალისტურ შეხედულებებსა და ცრურწმენებს.

იმისთვის, ვისი აზრიც კაპიტალისტურ ურთიერთობათა ფარგლებს არ სცილდება, გაუგებარია, რომ მუშათა კლასი, თუ იგი შეგნებულია, იმპერიალისტ მტაცებელთა ვ ე რ ც ე რ თ ჯგუფს ვერ დაუჭერს მხარს. პირიქით, მუშისათვის გაუგებარია ბრალდება, რომ მიდრეკილებას იჩენენ გერმანელებთან სეპარაციული ზავისადმი ან ფაქტიურად ემსახურებიან ასეთ ზავსაო, — ეს ბრალდება მიმართულია იმ სოციალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ერთგულნი დარჩნენ ყველა ქვეყნის მუშათა კავშირისა ყველა ქვეყნის კაპიტალისტების წინააღმდეგ. ასეთი სოციალისტები (მაშასადამე, მათ შორის ბოლშევიკებიც) ვერავითარ შემთხვევაში ვერ დასთანხმდებიან რაიმე სეპარაციულ ზავს კაპიტალისტებს შორის. არც სეპარაციული ზავი გერმანელ კაპიტალისტებთან, არც კავშირი ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებთან — აი შეგნებული პროლეტარიატის საგარეო პოლიტიკის საფუძველი.

ჩვენი მენშევიკები და ესერები, რომლებიც ამ პროგრამის წინააღმდეგ ილაშქრებენ და რომლებსაც «ინგლისთან და საფრანგეთთან» კავშირის გაწყვეტისა ეშინიათ, ფაქტიურად ატარებენ საგარეო პოლიტიკის კაპიტალისტურ პროგრამას, ამასთან თავს იძვრენენ იმით, რომ ამ პროგრამას ამკობენ უწყინარი მჭევრმეტყველების ყვავილებით, როგორიცაა «ხელშეკრულებათა გადასინჯვა», განცხადებანი «უანექსიო ზავის» სასარგებლოდ და სხვ.. მთელი ამ კეთილი სურვილების ხვედრია დარჩნენ ფუჭ სურვილებად, რადგან კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი სინამდვილე საკითხს გადაჭრით აყენებს: ან ერთ-ერთი ჯგუფის იმპერიალისტებისადმი დამორჩილება, ან რევოლუციური ბრძოლა ყოველგვარი იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

არიან თუ არა მოკავშირენი ასეთი ბრძოლისათვის? არიან. ევროპის ჩაგრული კლასები, პროლეტარიატი უწინარეს ყოვლისა; იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ხალხები,

უწინარეს ყოვლისა აზიის ხალხები, როგორც ჩვენი მეზობლები.

მენშევიკები და ესერები, რომლებიც თავიანთ თავს «რევოლუციურ დემოკრატებს» უწოდებენ, სინამდვილეში კონტრრევოლუციურ და ანტიდემოკრატიულ საგარეო პოლიტიკას ატარებენ. ისინი რევოლუციონერები რომ ყოფილიყვნენ, ურჩევდნენ რუსეთის მუშებსა და გლეხებს სათავეში ჩასდგომოდნენ იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრულ ყველა ხალხსა და ყველა დაჩაგრულ კლასს.

«მაშინ რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანდებიან ყველა დანარჩენი ქვეყნის კაპიტალისტებიო» — გვიპასუხებენ დაშინებული ფილისტერები. ეს შეუძლებელი არ არის. «რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ» დემოკრატს უფლება არა აქვს ხელი აიღოს ყოველნაირ რევოლუციურ ომზე. მაგრამ პრაქტიკულად ასეთი ომის შესაძლებლობა მცირეა. ინგლისელი და გერმანელი იმპერიალისტები ვერ შესძლებენ ერთმანეთთან «მორიგებას» რევოლუციური რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთის რევოლუცია, რომელმაც უკვე 1905 წელს გამოიწვია რევოლუციები თურქეთში, სპარსეთში, ჩინეთში, ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა გერმანელ და ინგლისელ იმპერიალისტებსაც, თუ ეგი დაიწყებდა ნამდვილი რევოლუციური კავშირის განხორციელებას კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების მუშებთან და გლეხებთან დესპოტების წინააღმდეგ, ხანების წინააღმდეგ, იმისათვის, რომ გერმანელები განდევნილ იქნან თურქეთიდან, ინგლისელები — თურქეთიდან, სპარსეთიდან, ინდოეთიდან, ეგვიპტიდან და ა. შ.

სოციალ-შოვინისტებს, ფრანგებსაც და რუსებსაც, უყვართ 1793 წლის დამოწმება, რათა ეფექტური დამოწმებით მიჩქმალონ თავიანთი ღალატი რევოლუციისადმი. ჩვენში არა სურთ ჩაუფიქრდნენ სწორედ იმას, რომ რუსეთის ნ ა მ დ ვ ი ლ «რევოლუციურ» დემოკრატიას შეუძლია და კიდევაც უნდა გამოვიდეს ჩაგრულ და ჩამორჩენილ ხალხთა მიმართ 1793 წლის მ ს გ ა ვ ს ა დ.

იმპერიალისტებთან «კავშირი», ე. ი. სამარცხვინო დამოკიდებულება მათგან, — ასეთია კაპიტალისტებისა და წვრილი ბურჟუების საგარეო პოლიტიკა. მოწინავე ქვეყნების რევოლუციონერებთან და ყველა ჩაგრულ ხალხთან კავშირი ყოველგვარი და ყველა იმპერიალისტის წინააღმდეგ — ასეთია პროლეტარიატის საგარეო პოლიტიკა.

«პრავდა» № 81,
1917 წ. 27 (14) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

წინააღმდეგობრივი პოზიცია

დღეს გაზეთებში მოთავსებულ ყრილობის რეზოლუციას, რომელიც გმობს ჩვენს პარტიას, უეჭველია, ყოველი შეგნებული მუშა და ჯარისკაცი შეადარებს ჩვენს პარტიულ განცხადებას საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობისადმი, განცხადებას, რომელიც 11-ს გამოქვეყნდა და დღეს დაბეჭდილია «პრავდაში»[35].

ყრილობის ბელადთა პოზიციის წინააღმდეგურობა გამოაშკარავდა მათს რეზოლუციაში და განსაკუთრებით თვალსაჩინოდ არის გამოაშკარავებული ჩვენი განცხადებით.

«რუსეთის რევოლუციის წარმატებისა და ძლიერების საფუძველს წარმოადგენს მთელი რევოლუციური დემოკრატიის — მუშების, ჯარისკაცების და გლეხების ერთიანობა», — ასე ამბობს ყრილობის რეზოლუციის პირველი და უმნიშვნელოვანესი პუნქტი. და, რა თქმა უნდა, ეს პუნქტი უდავოდ სწორი იქნებოდა, «ერთიანობად» აქ რომ ესმოდეთ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანობა. მაგრამ რა ვქნათ, თუ «მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა» გარკვეული ნაწილი თავისი ბელადების მეშვეობით ბლოკსა კრავს, ერთიანდება კონტრრევოლუციასთან? განა ცხადი არ არის, რომ «დემოკრატიის» სწორედ ეს ნაწილი სინამდვილეში ალარ არის «რევოლუციური»?

ალბათ, ნაროდნიკები (ესერები) და მენშევიკები აღშფოთდებიან ჩვენი მხრით იმ აზრის მარტოოდენ დაშვები-

თაც კი, თითქოს შესაძლებელი იყოს, თითქოს წარმოსადგენი იყოს «მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა» ამა თუ იმ ნაწილის გაერთიანება «კონტრრევოლუციასთან».

იმათ, ვინც შეეცდებოდა ამგვარი აღშფოთებით მიეჩქმალა ჩვენი საბუთები და მიეფუჩეჩებინა საქმის დედაარსი, ჩვენ ვუპასუხებთ უბრალო მითითებით იმავე რეზოლუციის მე-3 პუნქტზე: «...იზრდება მჭონებელი კლასების კონტრრევოლუციური ფენების წინააღმდეგობა». აი ეს საქმიანი მოსაზრებაა! აი ეს სავსებით მართალი იქნებოდა, რომ ეთქვათ: ბურჟუაზიისა ანუ კაპიტალისტებისა და მემამულეებისა (ნაცვლად «მჭონებელი კლასებისა», რომლებსაც წვრილი ბურჟუაზიის შეძლებული ნაწილიც ეკუთვნის).

უეჭველია, ბურჟუაზიის წინააღმდეგობა იზრდება.

მაგრამ ხომ სწორედ ბურჟუაზიის ხელშია დროებითი მთავრობის უმრავლესობა, რომელთანაც გაერთიანებული არიან — არა მარტო ზოგადპოლიტიკური აზრით, არამედ ორგანიზაციულადაც, ერთ დაწესებულებაში, სამინისტროში — ესერებისა და მენშევიკების ბელადები!

აი რა შეადგენს საბჭოს ბელადთა წინააღმდეგური პოზიციის არსს, აი მთელი მათი პოლიტიკის მერყეობის ძირითადი წყარო: ისინი შეკავშირებული არიან ბურჟუაზიასთან მთავრობის მეშვეობით, ისინი ემორჩილებიან მთავრობაში ბურჟუაზიის მინისტრების უმრავლესობას — და ამავე დროს იძულებული არიან აღიარონ, რომ «მჭონებელი კლასების კონტრრევოლუციური ფენების წინააღმდეგობა იზრდება»!!

ცხადია, რომ საქმის ასეთი მდგომარეობის დროს რევოლუციური პროლეტარიატის პარტიას შეუძლია სცნოს ყბადაღებული «რევოლუციური» (სიტყვიერად, მაგრამ არა ნამდვილად) დემოკრატიის «ერთიანობა» მხოლოდ «იმდენად, რამდენადაც». ჩვენ ამ დემოკრატიასთან ერთიანობის მომხრენი ვართ, რამდენადაც იგი ებრძვის კონტრრევოლუციას.

ჩვენ არა ვართ მასთან ერთიანობის მომხრენი, რამდენადაც იგი ერთიანდება კონტრრევოლუციასთან.

დღის წესრიგში ცხოვრებამ დასვა სწორედ საკითხი კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის «მზარდი წინააღმდეგობისა»: ამ მთავარი და ძირითადი საკითხის გვერდის ავლა ზოგადი ფრაზებით «რევოლუციური დემოკრატიის მოქმედების ერთიანობის ან შეთანხმების» შესახებ და ამავე დროს მისი ერთი ნაწილის კონტრრევოლუციასთან ერთიანობის ან შეთანხმების მიჩქმალვა ულოგიკობაა, არაგონივრულია.

აქედან გასაგებია, რომ თავისთავად ქარწყლდება, პრინციპული საფუძვლების გამო, ყრილობის რეზოლუციის ყოველი მსჯელობა ჩვენი დემონსტრაციის, როგორც «ფარულის», დაგმობის შესახებ, იმის შესახებ, რომ მასობრივი გამოსვლები და მანიფესტაციები დასაშვებია მხოლოდ საბჭოების თანხმობით ან ისე, რომ მათ იცოდნენ. ამ მსჯელობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. პროლეტარული პარტია არასოდეს არ სცნობს მას, როგორც ეს უკვე ნათქვამია ჩვენს განცხადებაში სრულიად რუსეთის ყრილობისადმი, ვინაიდან ყოველი მანიფესტაცია, რაკი იგი მშვიდობიანია, არის მხოლოდ აგიტაცია, და აგიტაციის აკრძალვა ან აგიტაციის ერთიანობის თავზე მოხვევა არ შეიძლება.

ფორმალურად რეზოლუცია კიდევ უფრო სუსტია. რომ აკრძალო ან განკარგულება გასცე, ხელისუფლება უნდა იყო სახელმწიფოში. გახდით ხელისუფლება, საბჭოების ახლანდელო ბატონო ბელადებო, — ჩვენ ამის მომხრენი ვართ, თუმცა თქვენ ჩვენი მოწინააღმდეგენი ხართ, — და მაშინ თქვენ უფლება გექნებათ აკრძალოთ ან განკარგულება გასცეთ. ჯერ კი თქვენ საერთო-სახელმწიფოებრივი ძალაუფლება არა გაქვთ, ჯერ თქვენ ითმენთ ბურჟუაზიის 10 მინისტრის ძალაუფლებას თქვენს მიმართ, — თქვენ გაიხლართეთ თქვენს საკუთარ სისუსტესა და გაუბედაობაში.

არ შეიძლება თავის დაძვრენა ფრაზებით «აშკარად გამოხატული ნების» შესახებ და სხვ.: ნება, თუ იგი სახელმწიფოებრივია, გამოხატული უნდა იყოს როგორც ხელისუფლების მიერ დადგენილი კანონი; სხვანაირად სიტყვა «ნება» ჰაერის ფუჭი შერხევაა ფუჭი ბგერით. ხოლო როგორც კი იფიქრებდით, ბატონებო, კანონზე, არ შეგეძლოთ არ გაგხსენებოდათ, რომ თავისუფალი რესპუბლიკების კონსტიტუციას არ შეუძლია აუკრძალოს მშვიდობიანი მანიფესტაციები და რაიმე მასობრივი გამოსვლები არც ერთ პარტიას, არც ერთ ჯგუფს, როგორიც უნდა იყოს იგი.

პოზიციის წინააღმდეგურობამ წარმოშვა სრული უცნაურობა რევოლუციური იდეებისა, — კონტრრევოლუციასთან ბრძოლის იდეებისა, — სახელმწიფოებრივი (კონსტიტუციური) იდეებისა, — საერთოდ იურიდიული იდეებისა. როდესაც ჩვენი პარტიის წინააღმდეგ მიმართული უხამსი ლანძღვა-გინება გაქარწყლდა, აღარაფერი, სრულიად აღარაფერი არ დარჩა!

ჩვენი მანიფესტაციის ინიციატივის წინააღმდეგ უხამსი ლანძღვა-გინების შემდეგ — მანიფესტაციის დანიშვნა... ერთი კვირით უფრო გვიან.

«პრავდა» № 81,
1917 წ. 27 (14) ივნისი

•ბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

უკრაინა

ახალი, კოალიციური, დროებითი მთავრობის პოლიტიკის კრახი სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ისახება. უკრაინის წყობილების «უნივერსალური აქტი», რომელიც გამოსცა უკრაინის ცენტრალურმა რადამ და 1917 წლის 11 ივნისს მიიღო სრულიად უკრაინის საჯარისო ყრილობამ, ამ პოლიტიკის აშკარა მხილებასა და მისი კრახის დოკუმენტურ მოწმობას წარმოადგენს.

«უკრაინელ ხალხს, რომელიც არ გამოეყოფა მთელ რუსეთს, არ გამოეთიშება რუსეთის სახელმწიფოს, — ნათქვამია ამ აქტში, — დაე ჰქონდეს უფლება თავის მიწაწყალზე თვითონ განაგოს თავისი ცხოვრება... მხოლოდ ჩვენს უკრაინულ კრებას აქვს უფლება გამოსცეს ყველა კანონი, რომლებითაც უნდა დადგინდეს წესრიგი აქ, უკრაინაში; იმ კანონებს კი, რომლებითაც დადგინდება წესრიგი მთელი რუსეთის სახელმწიფოს სივრცეზე, უნდა სცემდეს სრულიად რუსეთის პარლამენტი».

ეს სავსებით ნათელი სიტყვებია. ამ სიტყვებში ყოვლად სრული სიზუსტით განცხადებულია, რომ უკრაინელ ხალხს ამჟამად არა სურს გამოეყოს რუსეთს. იგი მოითხოვს ავტონომიას, მაგრამ ამავე დროს ოდნავადაც არ უარყოფს «სრულიად რუსეთის პარლამენტის» საჭიროებასა და უმაღლეს ძალაუფლებას. ვერც ერთი დემოკრატი, რომ აღარაფერი ვთქვათ სოციალისტზე, ვერ გაბედავს უარყოს უკრაინის

მოთხოვნათა ყოვლად სრული კანონიერება. არც ერთ დემოკრატს არ შეუძლია აგრეთვე უარყოს უკრაინის უ ფ ლ ე ბ ა — თავისუფლად გამოეყოს რუსეთს: სწორედ ამ უფლების უყოყმანოდ აღიარება იძლევა ერთადერთ შესაძლებლობას გაწეულ იქნას აგიტაცია უკრაინელთა და ველიკორუსთა თავისუფალი კავშირის სასარგებლოდ, ამ ორი ხალხის ერთ სახელმწიფოდ ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ ი შეერთების სასარგებლოდ. სწორედ ამ უფლების უყოყმანოდ აღიარება არის ერთადერთი საშუალება, რომ ნამდვილად, საბოლოოდ, ბოლომდე გაწყვეტილ იქნას კავშირი წყეულ ცარისტულ წარსულთან, რომელმაც ყ ო ვ ე ლ ი ვ ე მოიმოქმედა ენითაც, საცხოვრებელი ადგილითაც, ხასიათითაც და ისტორიითაც ესოდენ მახლობელი ხალხების უ რ თ ი ე რ თ ჩ ა მ ო შ ო რ ე ბ ი ს თ ვ ი ს. წყეული ცარიზმი ველიკორუსებს აქცევდა უკრაინელი ხალხის ჯალათებად, ყოველნაირად ასაზრდოებდა ამ ხალხში სიძულვილს იმათთადმი, ვინც უკრაინელ ბავშვებსაც კი უკრძალავდა დედაენაზე ლაპარაკსა და სწავლას.

რუსეთის რევოლუციურმა დემოკრატიამ, თუ მას სურს იყოს ნამდვილად რევოლუციური, ნამდვილი დემოკრატია, უნდა გაწყვიტოს კავშირი ამ წარსულთან, უნდა დაიბრუნოს თვითონ, უნდა დაუბრუნოს რუსეთის მუშებსა და გლეხებს უკრაინის მუშებისა და გლეხების ძმური ნდობა. ეს კი შეუძლებელია, თუ საკმაოდ არ სცანი უკრაინის უფლებები, მათ შორის თავისუფალი გამოყოფის უ ფ ლ ე ბ ა.

ჩვენ წვრილ სახელმწიფოთა მომხრენი არა ვართ. ჩვენ მომხრენი ვართ ყველა ქვეყნის მუშათა უმჭიდროესი კავშირისა როგორც «საკუთარი», ისე საერთოდ ყველა ქვეყნის კაპიტალისტების წინააღმდეგ. მაგრამ სწორედ იმისათვის, რომ ეს კავშირი ნებაყოფლობითი იყოს, რუსი მუშა, რომელიც არაფერში და არც ერთი წუთით არ ენდობა არც რუს ბურჟუაზიას, არც უკრაინელ ბურჟუაზიას, მხარს უჭერს ახლა უკრაინელთა გამოყოფის უფლებას, თ ა ვ ს კ ი არ ა ხ ვ ე ვ ს მათ თავის მეგობრობას, არამედ მ ო ი პ ო ვ ე ბ ს მას იმით, რომ

ეპყრობა მათ როგორც თანასწორს, როგორც მოკავშირეს და ძმას სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

* * *

გაბოროტებულ, ცოფისაგან ნახევრად გაგიჟებულ ბურჟუაზიულ კონტრრევოლუციონერთა გაზეთი «რეჩი» მხეცივით თავს ეცემა უკრაინელებს, მათ «თვითნებურ» გადაწყვეტილებას, «უკრაინელთა საქციელი» ვითომ «არის აშკარა დანაშაული კანონის წინააღმდეგ, დანაშაული, რომელიც იწვევს სასტიკი კანონიერი სასჯელის დაუყოვნებლივ გამოყენებას». ამ გამხეცებული ბურჟუაზიული კონტრრევოლუციონერების ასეთ გამოლაშქრებას ვერაფერს მიუმატებ. ძირს ბურჟუაზიის კონტრრევოლუციონერები! გაუმარჯოს თავისუფალი უკრაინის თავისუფალ გლეხთა და მუშათა თავისუფალ კავშირს რევოლუციური რუსეთის მუშებთან და გლეხებთან!

«პრავდა» № 82,
917 წ. 28 (15) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

რა კლასობრივი სათავიდან მოდიან და «მოვლენ» კავენიაკები?

«როდესაც ნამდვილი კავენიაკი მოვა, ჩვენ ვიბრძოლებთ თქვენთან ერთად, ერთ რიგებშიო», — წერდა № 80-ში ჩვენი მისამართით «რაბოჩაია გაზეტა», სწორედ იმ მენშევიკური პარტიის ორგანო, რომლის წევრი, მინისტრი წერეთელი, თავის სავალალოდ-განთქმულ სიტყვაში იქამდე მივიდა, რომ პეტროგრადის მუშებს განიარაღებით დაემუქრა.

«რაბოჩაია გაზეტას» ზემოთმოყვანილი თქმა განსაკუთრებით ნათლად ააშკარავებს რუსეთის ორივე მმართველი პარტიის, — როგორც მენშევიკურის, ისე ესერულის, — ძირითად შეცდომებს, და ამიტომ ყურადღების ღირსია. თქვენ უდროო დროს ან უადგილო ადგილას ეძებთ კავენიაკსაო — ასეთია მინისტრული ორგანოს მსჯელობის აზრი.

გავიხსენოთ კავენიაკის კლასობრივი როლი. 1848 წლის თებერვალს საფრანგეთში დამხობილ იქნა მონარქია. ბურჟუაზიული რესპუბლიკელები ხელისუფლების სათავეში არიან. მათაც, ისევე როგორც ჩვენს კადეტებს, სურთ «წესრიგი» და ამ «წესრიგად» მათ მიაჩნიათ მასების ჩაგვრის მონარქისტული იარაღის — პოლიციის, მუდმივი არმიის, პრივილეგიური მოხელეობის აღდგენა და განმტკიცება. მათაც, ისევე როგორც ჩვენს კადეტებს, სურთ ბოლო მოუღონ რევოლუციას, სძულთ რევოლუციური პროლეტარიატი და მაშინ ჯერ კიდევ მეტად ბუნდოვანი მისი «სოციალური» (ე. ი. სოციალისტური) მისწრაფებანი. ისინიც, ისევე როგორც ჩვენი კადეტები, დაუნდობელი მტრობით ეკიდებოდნენ საფრანგეთის რევოლუციის

მთელ ევროპაში გადატანის პოლიტიკას, მისი მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციად გადაქცევის პოლიტიკას. მათაც, ისევე როგორც ჩვენმა კადეტებმა, ოსტატურად გამოიყენეს ლუი ბლანის წვრილბურჟუაზიული «სოციალიზმი», აიყვანეს იგი მინისტრად, გადააქციეს იგი სოციალისტი მუშების ბელადის ნაცვლად, როგორადაც მას სურდა ყოფილიყო, ბურჟუაზიის დანამატად, მაჩანჩალად.

ასეთი იყო გაბატონებული კლასის კლასობრივი ინტერესები, პოზიცია და პოლიტიკა.

მეორე ძირითადი საზოგადოებრივი ძალა იყო წვრილი ბურჟუაზია, რომელიც მერყეობდა, დაშინებული იყო წითელი აჩრდილით, ემორჩილებოდა ყვირილის ზეგავლენას «ანარქისტების» წინააღმდეგ. წვრილ ბურჟუაზიას, რომელიც თავის მისწრაფებაში ოცნებითა და სიტყვიერად «სოციალისტური» იყო და რომელიც თავის თავს ხალისით უწოდებდა «სოციალისტურ დემოკრატიას» (სწორედ ამ ტერმინსაც კი იღებენ ახლა ესერები მენშევიკებთან ერთად!), ეშინოდა მინდობოდა რევოლუციური პროლეტარიატის ხელმძღვანელობას და არ ესმოდა, რომ ეს შიში მას იძულებულს გახდიდა, რომ ბურჟუაზიას ნდობოდა, ვინაიდან ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის საზოგადოებაში, მეტადრე მაშინ, როცა გარდუვალია ამ ბრძოლის გამწვავება რევოლუციით, არ შეიძლება «საშუალო» ხაზი იყოს. ხოლო წვრილი ბურჟუაზიის კლასობრივი პოზიციისა და მისწრაფებათა მთელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სურდეს შეუძლებელი, ესწრაფოდეს შეუძლებელს, ე. ი. სწორედ ასეთ «საშუალო ხაზს».

მესამე გადამწყვეტი კლასობრივი ძალა იყო პროლეტარიატი, რომელიც ესწრაფოდა არა «შერიგებას» ბურჟუაზიასთან, არამედ გამარჯვებას მასზე, ესწრაფოდა რევოლუციის უშიშარი განვითარების წინ წაწევას და ამასთან საერთაშორისო მასშტაბით.

აი როგორი იყო ობიექტური ისტორიული ნიადაგი, რომელმაც წარმოშვა კავენიაკი. მერყეობამ წვრილი ბურ-

ჟუაზია «ჩამოაშორა» აქტიური მოღვაწის როლს, და ფრანგმა კადეტმა, გენერალმა კავენიაკმა ისარგებლა წვრილი ბურჟუაზიის შიშით — პროლეტარებისადმი ნდობის შიშით, და გ ა ნ ა ი ა რ ა ღ ა პარიზელი მუშები, მასობრივად გაჟლიტა ისინი.

რევოლუცია დამთავრდა ამ ისტორიული ჟლეტით: წვრილი ბურჟუაზია, რომელიც რიცხობრივად სჭარბობდა, იყო და რჩებოდა ბურჟუაზიის პოლიტიკურად უძლური მაჩანჩალად, ხოლო სამი წლის შემდეგ საფრანგეთში ისევ აღდგენილ იქნა ცეზარისტული მონარქია განსაკუთრებით საზიზღარი ფორმით.

წერეთლის 11 ივნისის ისტორიული სიტყვა, აშკარად ჩაგონებული კადეტი კავენიაკების მიერ (იქნებ, პირდაპირ ჩაგონებული ბურჟუაზიული მინისტრების მიერ, იქნებ, არაპირდაპირ ნაკარნახევი ბურჟუაზიული პრესისა და ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრის მიერ, ამ განსხვავებას მნიშვნელობა არა აქვს), ეს ისტორიული სიტყვა სწორედ იმიტომ არის შესანიშნავი, სწორედ იმიტომ არის ისტორიული, რომ წერეთელმა უბადლო გულუბრყვილობით წ ა მ ო რ ო შ ა მთელი წვრილი ბურჟუაზიის, როგორც ესერულის, ისე მენშევიკურის, «საიდუმლო სენი». ამ «საიდუმლო სენს» წარმოადგენენ, ჯერ ერთი, დამოუკიდებელი პოლიტიკის სრული უუნარობა; მეორეც, იმის შიში, რომ მიენდოს რევოლუციურ პროლეტარიატს და თავდადებით მხარი დაუჭიროს მ ი ს დამოუკიდებელ პოლიტიკას; მესამეც, აქედან გარდუვალად გამომდინარე დაქანება იქითკენ, რომ დაემორჩილოს კადეტებს ან საერთოდ ბურჟუაზიას (ე. ი. დ ა ე მ ო რ ჩ ი ლ ო ს კ ა ვ ე ნ ი ა კ ე ბ ს).

ეს არის საქმის მთელი არსი. პირადად წერეთელი ან ჩერნოვი, არც თვით კერენსკიც კი არ არიან მოწოდებულნი ითამაშონ კავენიაკის როლი — საამისოდ გამოჩნდებიან სხვა ადამიანები, რომლებიც სათანადო მომენტში ეტყვიან რუსეთის ლუი ბლანებს: «ჩამოგვშორდითო», — მაგრამ წერეთლები და ჩერნოვები არიან ბელადები ისეთი წვრილბურჟუაზიული პოლიტიკისა, რომელიც შესაძლებელსა და აუცილებელს ხდის კავენიაკების გამოჩენას.

«როდესაც ნამდვილი კავენიაკი მოვა, ჩვენ თქვენთან ვიქნებითო» — საუცხოო დაპირებაა, ჩინებული განზრახვაა! სამწუხაროა მხოლოდ, რომ იგი ამჟღავნებს კლასობრივი ბრძოლის ისეთ გაუგებლობას, რომელიც ტიპიურია სენტიმენტალური ან მშიშარა წვრილი ბურჟუაზიისათვის, ვინაიდან კავენიაკი შემთხვევითი რამ არ არის, მისი «მოსვლა» ერთეული მომენტი არ არის. კავენიაკი არის კლასის (კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის) წარმომადგენელი, მისი პოლიტიკის გამტარებელი. და სწორედ ამ კლასს, სწორედ ამ პოლიტიკას უკვე ა ხ ლ ა უჭერთ თქვენ მხარს, ბატონო ესერებო და მენშევიკებო! თ ქ ვ ე ნ, თუმცა აშკარა უმრავლესობა გყავთ ამჟამად ჩვენს ქვეყანაში, ამ კლასსა და მის პოლიტიკას უთმობთ უ პ ი რ ა ტ ე ს ო ბ ა ს მთავრობაში. ე. ი. საუცხოო ბაზას მუშაობისათვის.

მართლაც. გლეხთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე თითქმის მთლად ესერები მეფობდნენ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სრულიად რუსეთის ყრილობაზე დიდი უმრავლესობა ესერებისა და მენშევიკების ბლოკს ემხრობოდა. ასევე იყო პეტროგრადის რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნებში. ფაქტი თვალწინაა: ესერები და მენშევიკები ახლა მმართველ პარტიას წარმოადგენენ. და ეს მმართველი პარტია ნებაყოფლობით უთმობს ძალაუფლებას (უმრავლესობას მთავრობაში) კ ა ვ ე ნ ი ა კ ე ბ ი ს პ ა რ ტ ი ა ს!!

თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოფრინდებაო. ოღონდ იყოს მერყევი, მოქანავე, რევოლუციის განვითარების მოშიშარი წვრილი ბურჟუაზია, — კავენიაკების გამოჩენა უზრუნველყოფილია.

რუსეთში ახლა ბევრი რამ არის ისეთი, რაც ჩვენს რევოლუციას განასხვავებს საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციისაგან: იმპერიალისტური ომი, უფრო მოწინავე ქვეყნების მეზობლობა (და არა უფრო ჩამორჩენილებისა, როგორნიც მაშინ საფრანგეთის მეზობლობდნენ), აგრარული და ნაციონალური მოძრაობა. მაგრამ ყოველივე ამას შეუძლია შესცვალოს კავენიაკების გამოსვლის მხოლოდ ფორმა, მომენტი, გა-

რეშე საბაბი და სხვ.. საქმის დედაარსს კი ყოველივე ეს ვერ შესცვლის, ვინაიდან დედაარსი კლასების ურთიერთდამოკიდებულებაში მდგომარეობს.

სიტყვიერად ლუი ბლანიც ისე შორს იყო კავენიაკისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. ლუი ბლანსაც უთვალავჯერ მოუცია დაპირება, რომ «იბრძოლებდა ერთ რიგებში» რევოლუციურ მუშებთან ერთად ბურჟუაზიული კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ. და ამავე დროს ვერც ერთი ისტორიკოს-მარქსისტი, ვერც ერთი სოციალისტი ვერ გაბედავს დაეჭვდეს, რომ სწორედ ლუი ბლანების სისუსტემ, მერყეობამ, ბურჟუაზიისადმი მინდობამ წარმოშვეს კავენიაკი, არგუნეს მას წარმატება.

მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის რევოლუციური მუშების სიმტკიცესა და სიფხიზლეზე, მათს ძლიერებაზე არის დამოკიდებული — გამარჯვება თუ დამარცხება მოელით რუს კავენიაკებს, რომლებსაც გარდუვალად წარმოშობს კონტრრევოლუციურობა რუსეთის ბურჟუაზიისა, კადეტების მეთაურობით, და ესერებისა და მენშევიკების წვრილბურჟუაზიული პარტიების სისუსტე, მშიშრობა, მერყეობა.

«პრავდა» № 83,
1917 წ. 29 (16) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

რაგორ ვებრძოლოთ კონტრრევოლუციას

ცოტა რამდენიმე დღის წინათ მინისტრმა წერეთელმა თავის «ისტორიულ» სიტყვაში განაცხადა, არავითარი კონტრრევოლუცია არ არისო. დღეს კი მინისტრული «რაბოჩაია გაზეთა» სტატიაში «მრისხანე სიმპტომები» სულ სხვა კილოზე ალაპარაკდა.

«ჰაერში ტრიალებენ აშკარა ნიშნები კონტრრევოლუციისა, რომელიც ძალებს იკრებს».

ამისთვისაც გმადლობთ, რომ ბოლოს თუნდაც თვით ფაქტი აღიარეთ.

მაგრამ შემდეგ მინისტრული გაზეთი განაგრძობს: «ჩვენთვის უცნობია მისი (კონტრრევოლუციის) შტაბი, არ ვიცით, თუ რამდენად ორგანიზებულია იგი».

ოჰო! თქვენთვის უცნობია კონტრრევოლუციის შტაბი? ნება მოგვეცით გიშველოთ თქვენს უცოდინარობაში. შტაბი კონტრრევოლუციისა, რომელიც ირაზმება, იმყოფება დროებითს მთავრობაში, სწორედ იმ კოალიციურ სამინისტროში, რომელშიც შედის 6 თქვენი ამხანაგი, ბატონებო! კონტრრევოლუციის შტაბი იმყოფება IV სახელმწიფო სათათბიროს მოსათათბირებელ ოთახებში, სადაც მესვეურობენ მილიუკოვი, როძიანკო, შულგინი, გუჩკოვი, ა. შინგარიოვი, მანუილოვი და კომპ. — კადეტები, რომლებიც სხედან კოალიციურ სამინისტროში, მილიუკოვისა და კომპ. მარჯვენა ხელს წარმოადგენენ. კონტრრევოლუციის შტაბს ადგენენ ზოგიერთი რეაქციონერი

გენერლისაგან. კონტრრევოლუციის შტაბში იმყოფებიან სამსახურიდან გადამდგარი ცალკეული უმაღლესი მოხელენი.

თუ თქვენ გსურთ არა მარტო უჩიოდეთ კონტრრევოლუციას, არამედ აგრეთვე ებრძოლოთ მას, ვალდებული ხართ ჩვენთან ერთად თქვათ: ძირს 10 მინისტრი-კაპიტალისტი...

«რაბოჩაია გაზეტა» შემდეგ აღნიშნავს, რომ კონტრრევოლუციის მთავარი იარაღია პრესა, რომელიც აღვივებს ანტისემიტიზმს, ამხედრებს მასებს ებრაელთა წინააღმდეგაო. ეს მართალია. მაგრამ დასკვნა? თქვენ ხომ მინისტრების პარტია ხართ, ბატონებო? რა გააკეთეთ თქვენ, რათა აგელაგმათ საზიზღარი კონტრრევოლუციური პრესა? შეგიძლიათ თუ არა თქვენ, რომელნიც თქვენს თავს «რევოლუციურ დემოკრატიას» უწოდებთ, უარი თქვათ რევოლუციურ ზომებზე აღვირახსნილი, აშკარად კონტრრევოლუციური, პრესის წინააღმდეგ? და შემდეგ. რატომ არ შექმნით სახელმწიფო ორგანოს განცხადებათა დასაბეჭდად, რათა საზიზღარ კონტრრევოლუციურ პრესას წაართვათ შემოსავლის მთავარი წყარო და, მაშასადამე, ხალხის მოტყუების მთავარი შესაძლებლობა? მართლაც, საიდან ჩანს, რომ «ნოვოე ვრემიას», «მალენკაია გაზეტას» [36], «რუსსკაია ვოლიას» [37] და სხვა რეპტილიების გამოსაცემად ახლა საჭიროა ათასობით და ათასობით ადამიანის მოწყვეტა ნამდვილად ნაყოფიერი შრომისაგან?

რა გააკეთეთ თქვენ კონტრრევოლუციური პრესის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც მთელ თავის ძალღონეს მიმართავს ჩვენი პარტიის სამტროდ? არაფერი! თქვენ თვითონ იძლეოდით მასალას ამ დევნისათვის. თქვენ გართული იყავით მემარცხენე საფრთხესთან ბრძოლით.

თქვენ იმკით იმას, რაც დაგითესიათ, ბატონებო.

ასე იყო, ასე იქნება — ვიდრე თქვენ განაგრძობთ მერყეობას ბურჟუაზიის პოზიციასა და რევოლუციური პროლეტარიატის პოზიციას შორის.

«პრავდა» № 84,
1917 წ. 30 (17) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

უკრაინა და რუსეთის მმართველი პარტიების დამარცხება

უკრაინის საკითხში რუსეთის მმართველმა პარტიებმა, ე. ი. კადეტებმა, რომლებსაც ჰყავთ უმრავლესობა მთავრობაში და აქვთ კაპიტალის ყოვლისშემძლეობა ეკონომიკაში, შემდეგ კი ესერებმა და მენშევიკებმა, რომლებსაც ახლა აშკარა უმრავლესობა ჰყავთ ჩვენს ქვეყანაში (მაგრამ რომლებიც უძლურნი არიან კაპიტალისტური ქვეყნის მთავრობასა და ეკონომიკაში), უველა ამ მმართველმა პარტიამ აშკარა დამარცხება განიცადა და ამასთან საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით და უდიდეს საკითხში.

ესერები და მენშევიკები ითმენდნენ იმას, რომ კადეტების, ე. ი. კონტრრევოლუციური ბურჟუების დროებითმა მთავრობამ არ შეასრულა თავისი ელემენტარული დემოკრატიული მოვალეობა, არ გამოაცხადა, რომ იგი მომხრეა უკრაინის ავტონომიისა და მისი გამოყოფის სრული თავისუფლებისა. უკრაინელები, როგორც დღეს «დელო ნაროდაში» იუწყება მინისტრი ჩერნოვი, შეუდარებლად ნაკლებს მოითხოვდნენ, სახელდობრ, «რათა დროებითს მთავრობას ცალკე აქტით გამოეცხადებინა, რომ იგი წინააღმდეგი არ არის უკრაინელი ხალხის ავტონომიის უფლებისა». ეს ფრიად ზომიერი და ფრიად კანონიერი მოთხოვნაა, როგორც ასევე ზომიერია ორი დანარჩენი მოთხოვნაც: 1) უკრაინა ადგილობრივი მოსახლეობის საშუალებით ირჩევს რუსეთის ცენტრალური მთავრობის ერთ წარმომადგენელს; თუ რამდენად ზომიერია ეს მოთხოვნა, გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ ვე-

ლიკორუსები რუსეთში 1897 წელს შეადგენდნენ მოსახლეობის 43%, უკრაინელები კი — 17%, ე. ი. უკრაინელებს შეეძლოთ ეთხოვნათ არა ერთი მინისტრი 16-დან, არამედ ექვსი!! 2) უკრაინაში უნდა იყოს «რუსეთის ცენტრალური მთავრობის ერთი წარმომადგენელი, არჩეული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ», — რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო კანონიერი? რა უფლებით ბედავს დემოკრატი გადაუხვიოს თეორიით დამტკიცებულ და დემოკრატიული რევოლუციების გამოცდილებით დადასტურებულ პრინციპს: «ადგილობრივი მოსახლეობისათვის ზემოდან დანიშნული არავითარი ხელისუფლება»??

დროებითი მთავრობის მხრივ ამ ფრიად ზომიერ და ფრიად კანონიერ მოთხოვნებზე უარისთქმა იყო კონტრრევოლუციონერების გაუგონარი უტიფრობა, უხიაკი თავხედობა, ველიკორუსული «დერჟიმორდის» პოლიტიკის ჭეშმარიტი გამოვლინება, — და ესერები და მენშევიკები, აბუჩად იგდებდნენ რა საკუთარ პარტიულ პროგრამებს, ითმენდნენ ამას მთავრობაში და იცავენ ამას ახლა თავის გაზეთებში!! რა სამარცხვინოდ დაეცნენ ესერები და მენშევიკები! რა უბადრუკია მათი ორგანოების «დელო ნაროდას» და «რაბოჩაია გაზეტას» ხრიკები დღეს.

ქაოსი, ალიაქოთი, «ლენინელობა ნაციონალურ საკითხში», ანარქია — აი ველური მემამულის რა წამოძახილებს მიმართავს ორივე გაზეთი უკრაინელების წინააღმდეგ.

თავი დავანებოთ წამოძახილებს. საბუთები არსებითად?

დამფუძნებელ კრებამდე არ შეიძლება «სწორად» დადგინდეს არც უკრაინის საზღვრები, არც მისი ნება, არც გადასახადთა შეგროვების უფლება და ა. შ. — აი მათი ერთადერთი საბუთი. ისინი მოითხოვენ «სისწორის გარანტიას», «რაბოჩაია გაზეტას» სარედაქციო სტატიის ამ გამოთქმაშია მათი არგუმენტაციის მ თ ე ლ ი დ ე დ ა ა რ ს ი.

მაგრამ ეს ხომ აშკარა სიცრუეა, ბატონებო, აშკარა უტიფრობა კონტრრევოლუციონერებისა, ასეთი საბუთის წამოყე-

ნება სინამდვილეში ხომ იმას ნიშნავს, რომ დაეხმარო რევოლუციის ნამდვილ მოღალატეებსა და გამცემლებს!!

«სისწორის გარანტია»... აბა, ჩაუფიქრდით ამას თუნდაც ერთ წამს. არსად რუსეთში, არც ცენტრალურ მთავრობაში, არც ერთ ადგილობრივ დაწესებულებაში (გარდა სრულიად პატარა დაწესებულებისა: პიტერის რაიონული თვითმმართველობებისა) არ არის სისწორის გარანტია და აშკარად არარის სისწორეც კი. აშკარად არ არის «სისწორე» სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს არსებობაში. აშკარად არ არის «სისწორე» დროებითი მთავრობის შემადგენლობაში, ვინაიდან ეს შემადგენლობა აბუჩად აგდებაა რუსეთის გლეხთა, მუშათა და ჯარისკაცთა უმრავლესობის ნებისა და შეგნებისა. აშკარად არ არის «სისწორე» საბჭოების (მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების) შემადგენლობაში, ვინაიდან ამ დაწესებულებებს დღემდე არ გამოუმუშავებიათ არჩევნების ზედმიწევნითი სისრულისა და ზედმიწევნითი დემოკრატიზმის გარანტიები, რაც ხელს არ უშლის ჩვენს პარტიასაც, მუშათა და გლეხთა მთელ მასასაც მიიჩნიონ ისინი ამჟამად ხალხის უმრავლესობის ნების საუკეთესო გამომხატველებად. რუსეთში არსად არ არის და არც შეიძლებაიყოს — და არასოდეს არყოფილა ამგვარ რევოლუციურ მომენტებში — «სისწორის გარანტიები», ეს ყველას ესმის, არავინ მოითხოვს სხვა რაიმეს, ყველას შეგნებული აქვს ამის გარდუვალობა.

მხოლოდ უკრაინისათვის მოვითხოვთ «ჩვენ» «სისწორის გარანტიებს»!

თქვენ ჭკუაზე შეიშალეთ შიშისაგან, ბატონო ესერებო და მენშევიკებო, დაემორჩილეთ რა ველიკორუსი მემამულეებისა და კაპიტალისტების კონტრრევოლუციურ გოდებას, რომლებსაც მეთაურობენ როძიანკო და მილიუკოვი, ლვოვი და ტერეშჩენკო, ნეკრასოვი და შინგარიოვი კომპანიითურთ. თქვენ უკვე ახლა მთლიანად წარმოადგენთ შობის პროცესში მყოფი (და «მიმალული») კავენიაკებისაგან დაშინებულ ადამიანებს.

სრულიად არაფერი საშიში, ანარქიისა და ქაოსის ნასახიც კი არ არის უკრაინელთა არც გადაწყვეტილებებში, არც მოთხოვნებში. დაუთმეთ მათ, ამ ფრიად კანონიერ და ფრიად ზომიერ მოთხოვნებს, და უკრაინაში არანაკლები ავტორიტეტი იქნება, ვიდრე ყველგან რუსეთში, სადაც ავტორიტეტულნი არიან მ ხ ო ლ ო დ საბჭოები (რომლებსაც ა რ ა აქვთ «სისწორის გარანტიები»!!). «სისწორის გარანტიებს» თქვენ და რუსეთის ყველა ხალხს მოგცემთ მომავალი სეიმები, მოგცემთ მომავალი დამფუძნებელი კრება არა მარტო უკრაინის საკითხში, არამედ ყ ვ ე ლ ა საკითხში, ვინაიდან ახლა რუსეთში ა რ ც ე რ თ საკითხში აშკარად არ არის «სისწორე». დაუთმეთ უკრაინელებს — ამას ამბობს გონება, რადგან სხვანაირად უარესი იქნება, ძალით უკრაინელებს ვერ შეაკავებ, არამედ მხოლოდ გააბოროტებ. დაუთმეთ უკრაინელებს — და თქვენ მაშინ გზას გაუხსნით ორივე ერის ურთიერთნდობას, მათ, როგორც თანასწორთა, ძმურ კავშირს!

ესერებმა და მენშევიკებმა, როგორც მმართველმა პარტიებმა, დამარცხება განიცადეს უკრაინის საკითხში, ვინაიდან ისინი დაემორჩილნენ კონტრრევოლუციური კადეტური კავენიაკების გავლენას.

«პრავდა» № 84,
1917 წ. 30 (17) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

სამართალში მიეცით როჭიანკო და ჯუნკოვსკი პროვოკატორის დამალვისათვის!

პროვოკატორ მალინოვსკის საქმის გამომძიებელი კომისიის დასკვნებიდან ჩანს, რომ დადგენილია შემდეგი ფაქტი:

ჯუნკოვსკიმაც და როძიანკომაც არაუგვიანეს 1914 წლის 7 მაისისა შეიტყვეს, რომ მალინოვსკი პროვოკატორია*.

არც ერთ ამ ბოღვაწეთაგანს არ გაუფრთხილებია სათათბიროში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიები და, უწინარეს ყოვლისა, ბოლშევიკები მათ წრეში პროვოკატორის არსებობის შესახებ!!

განა ეს დანაშაული არ არის?

განა შეიძლება ამის შემდეგ მოვითმინოთ ჯუნკოვსკი და როძიანკო შეუბღალავ მოქალაქეთა რიცხვში?

დაე იფიქროს ამაზე, დაე გამოთქვას ამაზე თავისი აზრი ყოველმა პოლიტიკურმა პარტიამ!

«პრავდა» № 84,
917 წ. 30 (17) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ციტატების უცნაური დამახინჯება

გაზეთებში «დენ»[39] და «ნოვაია ჟიზნ», სადაც გუშინ სხვა გაზეთებზე უფრო ვრცლად დაიბეჭდა გამომძიებელი კომისიის[40] დასკვნები, მოყვანილია ჩემი ჩვენებიდან ციტატი, რომელიც არ არის «ბირჟევკაში»[41], თუმცა ამ უკანასკნელმა ზოგიერთი მხრივ კიდევ უფრო სრულად გადმოგვცა დასკვნები.

ორივე პირველ გაზეთში დაბეჭდილია ჩემი ჩვენებიდან ციტატი, რომელიც იწყება სიტყვებით: «მე არ მჯერა აქ პროვოკატორობა». ციტატის წინ მრავალწერტილი არ არის. გამოდის უხიაკობა და უაზრობა, თითქოს მე ამჟამად «არ მჯერა».

ციტატის მხოლოდ მეტისმეტად უცნაურ დამახინჯებას ორივე გაზეთში შეეძლო ასეთი უაზრობა წარმოეშვა. ნამდვილად კი მე ვაჩვენე: «მე პირადად არაერთხელ ვ ყ ო ფ ი ლ ვ ა რ ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი მემსჯელნა (მალინოვსკის პროვოკატორობის გამოაშკარავებამდე) ასე: აზეფის საქმის[42] შემდეგ ვერაფერი გამაკვირვებს. მაგრამ მე არ მჯერა-მეთქი, ვამბობდი, აქ პროვოკატორობა იყოს არა მარტო იმიტომ, რომ ვერ ვხედავ ვერც დამამტკიცებელ საბუთებს, ვერც მამხილებელ ფაქტებს, არამედ აგრეთვე იმიტომ, რომ» (და შემდეგ, როგორც არის «დენში»: მალინოვსკი რომ პროვოკატორი ყოფილიყო, «ოხრანკა» ვერ მოიგებდა ისე, როგორც იგი ვარაუდობდა, რადგან ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით ორი ლეგალური ბაზის საშუალებით და ა. შ.).

ამრიგად, მე ჩვენებაში ვლაპარაკობ წარსულზე. «დენმა» და «ნოვაია ჟიზნმა» * ციტატის რაღაც უცნაური დამახინჯებით მომაწერეს უაზრობა, თითქოს მე აწმყოზე ვლაპარაკობ.

გამოდის სრულიად იმის საწინააღმდეგო, რაც მე სინამდვილეში ვაჩვენე.

«პრავდა» № 84, 1917 წ. 30 (17) ივნისი
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

---

* ორივე გაზეთში არის კიდევ ერთი ბეჭდვითი შეცდომა: «ბოლშევიკები არ მოაწყობენ შეიარაღებულ აჯანყებას». უნდა იყოს ნაცვლად «არ მოაწყობენ» — «მოაწყობენო».

მმართველი და პასუხისმგებელი პარტიები

საბჭოების ყრილობისა და გლეხთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ერთიანი ან ფედერაციული ცენტრალური კომიტეტის შექმნა უახლოესი დღეების საქმეა. საკითხი დასმულია დღის წესრიგში და დღეს თუ არა — ხვალ გადაწყდება. ესერებისა და მენშევიკების «კინკლაობა» ცენტრალური კომიტეტის შედგენის წესის გამო არავითარი ყურადღების ღირსი არ არის: იმდენად წვრილმანია ეს ბრძოლა ორი პარტიისა, რომლებიც თანაბრად დგანან ობორონცობის (ე. ი. მძარცველური ომის მხარის დაჭერის) და მინისტერიალიზმის, ე. ი. კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მთავრობის მხარის დაჭერის, თვალსაზრისზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური კომიტეტის შექმნას, როგორც უკანასკნელ ხაზს, რომელიც ახასიათებს უახლეს პოლიტიკურ მომენტს, წინანდელი მომენტებისაგან განსხვავებით. უახლესი პოლიტიკური მომენტი იმის საბოლოო გამორკვევით განისაზღვრება, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ახლა მიჰყვება ესერებისა და მენშევიკების პარტიებს, რომლებიც, როგორც ვიცით, ერთმანეთთან ბლოკში იმყოფებიან.

გლეხთა სრულიად რუსეთის საბჭომ და ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ახლანდელმა ყრილობამ, პიტერის რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნებთან დაკავშირებით, საბოლოოდ დაადგინეს ის ფაქტი,

რომ ესერებისა და მენშევიკების ბლოკი არის მ მ ა რ თ ვ ე ლ ი პ ა რ ტ ი ა რ უ ს ე თ შ ი.

ამ ბლოკს ახლა აშკარად ჰყავს უმრავლესობა ხალხში. ეჭვი არ არის, რომ მას უმრავლესობა ეყოლება საბჭოების ერთიან ან ფედერაციულ ცენტრალურ კომიტეტშიც, რომელიც ახლა იქმნება (ან საბჭოების საბჭოში — სახელწოდება, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი).

ესერები და მენშევიკები მმართველი და პასუხისმგებელი პარტიები არიან.

ასეთია უახლესი პოლიტიკური მომენტის ძირითადი ფაქტი. თუ პიტერის არჩევნებამდე, გლეხთა ყრილობამდე, საბჭოების ყრილობამდე მენშევიკებსა და ესერებს შეეძლოთ ამოფარებოდნენ, თუნდაც მოჩვენებითი დამაჯერებლობით, იმ საბუთს, რომ უმრავლესობის ნება უცნობია, რომ კადეტებიც, ალბათ, ახლოს არიან უმრავლესობასთანაა და სხვა, ახლა ეს აბრუნდი შეუძლებელია. ბურუსი, რომელსაც ზოგიერთნი ხელოვნურად ქმნიდნენ, გაიფანტა.

თქვენ უმრავლესობა ხართ, ბატონო ესერებო და მენშევიკებო, თქვენ მმართველი პარტიები, ან უფრო სწორად, მმართველი ბლოკი ხართ. თ ქ ვ ე ნ პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ე ლ ნ ი ხ ა რ თ.

ჩვენი მთავარი ამოცანა პროპაგანდასა და აგიტაციაში, საერთოდ, დამფუძნებელი კრების არჩევნების კამპანიაში, კერძოდ, ახლა ის არის, რომ რაც შეიძლება უფრო საფუძვლიანად, საქმიანად და ნათლად განვუმარტოთ მუშათა და გლეხთა ფართო მასებს, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკისათვის ახლა პასუხისმგებელნი არიან ესერები და მენშევიკები, როგორც მმართველი პარტიები. დღევანდლამდე ეს სხვანაირად იყო, რადგან, როგორც პარტიებს, მათ თავიანთი უმრავლესობა ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გამორკვეული, და ისინი ხალისით ასაღებდნენ თავს «ოპოზიციად» მმართველ კადეტებთან. ახლა ეს უეჭველად ასეა: უმრავლესობა ესერებისა და მენშევიკების მხარეზეა.

ისინი პასუხისმგებელნი არიან ქვეყნის მთელი პოლიტიკისათვის.

ახლა ისინი პასუხისმგებელნი არიან «კოალიციური მთავრობის» თვენახევრის მმართველობის შედეგებისათვის.

ისინი პასუხისმგებელნი არიან იმისათვის, რომ მთავრობაში მინისტრთა უმრავლესობას შეადგენენ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის პარტიის წარმომადგენლები. ყველამ იცის, ყველა ხედავს, გრძნობს, რომ საბჭოების ყრილობისა და გლეხთა სრულიად რუსეთის საბჭოს თანხმობის გარეშე ასეთი მინისტრები ერთ დღესაც კი ვერ იბოგინებდნენ.

ესერები და მენშევიკები პასუხისმგებელნი არიან პოლიტიკის ძირითადი წინააღმდეგურობისათვის, რომელიც სულ უფრო მწვავედ და სულ უფრო მტკივნეულად იგრძნობა, სულ უფრო თვალსაჩინოდ ახდენს ზეგავლენას მასებზე.

— სიტყვიერად მტაცებლური ომის «დაგმობა» და უანექსიო ზავის «მოთხოვნა», ნამდვილად კი სწორედ მტაცებლური ომის განგრძობა, აშკარა მტაცებლებთან — ინგლისის, საფრანგეთის და სხვ. იმპერიალისტებთან შეკავშირებით. სინამდვილეში შეტევისათვის მზადება ამ მოკავშირეთა მოთხოვნით, საიდუმლო მძარცველურ ხელშეკრულებათა თანახმად, რომლებიც ნიკოლოზ II დასდო რუსი მემამულეებისა და კაპიტალისტების გასამდიდრებლად.

სინამდვილეში პოლიტიკა ანექსიებისა, ე. ი. პოლიტიკა ხალხთა (ალბანეთი, საბერძნეთი) ძალდატანებით შეერთებისა ერთ სახელმწიფოსთან ან იმპერიალისტთა ერთ ჯგუფთან, — ანექსიების პოლიტიკა «რევოლუციური» (მაგრამ კონტრრევოლუციური გზით მიმავალი) რუსეთის შიგნითაც, ფინეთთან და უკრაინასთან მოპყრობა, როგორც ანექსირებულ ხალხებთან და არა როგორც ნამდვილად თავისუფალ, ნამდვილად თანასწორუფლებიან ხალხებთან, რომელთაც უდავო უფლება აქვთ ავტონომიისაც და გამოყოფისაც.

— სიტყვიერად «კაპიტალისტების წინააღმდეგობა, ეტყობა, გატეხილია», როგორც კვეხნით განაცხადა ბლოკის

მინისტრმა პეშეხონოვმა. სინამდვილეში საბჭოების ყრილობის რეზოლუციაც კი იძულებული იყო აღეარებინა, რომ «იზრდება მჭონებელი კლასების წინააღმდეგობა» (ე. ი. კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა, რომელსაც 10 მინისტრი-კაპიტალისტი ჰყავს 16-დან და ფაქტიურად სრული ძალაუფლება აქვს ქვეყნის ეკონომიკაში).

— სიტყვიერად დაპირებანი კონტროლისა და მოწესრიგებისა, მოგების 100%-ის ჩამორთმევის დაპირება (მინისტრი სკობელევი). სინამდვილეში თვენახევრის მანძილზე სრულიად არაფერი! პირდაპირ არც ერთი საქმიანი და სერიოზული ნაბიჯი არც მელოკაუტე კაპიტალისტთა წინააღმდეგ, არც სპეკულაციის მაროდერებისა და საქონლის მიწოდებაზე გამორჩენის რაინდთა წინააღმდეგ, არც ბანკების ავან-ჩავანების წინააღმდეგ!!

არ გავაგრძელებთ ამ აშკარა წინააღმდეგურობათა სიას. აღნიშნულიც საკმარისია.

ნგრევა გვემუქრება. კრიზისი კარს არის მომდგარა. კატასტროფა შეუკავებლად გვიახლოვდება. მენშევიკები და ესერები ცდილობენ დააჯერონ და გავლენა მოახდინონ კაპიტალისტებზე, ემუქრებიან 100%-ის ჩამორთმევას, ტრაბახობენ, კაპიტალისტების წინააღმდეგობა გატეხილიაო, წერენ რეზოლუციებსა და პროექტებს, პროექტებსა და რეზოლუციებს.

კატასტროფა გვემუქრება. მ თ ე ლ ი პასუხისმგებლობა კატასტროფისა დააწვება ესერებისა და მენშევიკების მმართველ ბლოკს.

«პრავდა» № 85,
1917 წ. 1 ივლისი (18 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კიდევ ერთი კომისია

ეკონომიური რღვევა უკვე დაიწყო. ბურჟუაზია შეტევას ეწევა მთელ ფრონტზე. აუცილებელია გადამწყვეტი ზომები.

რას აპირებს დროებითი მთავრობა?

რუსეთის სახსნელად, ეკონომიურ რღვევასთან საბრძოლველად, სამეურნეო ცხოვრების მოსაწყობად მან შეიმუშავა ახალი ორგანიზაციის პროექტი, ეკონომიურ დაშლასთან ბრძოლის დაწვრილებითი გეგმა.

«სახალხო მეურნეობისა და შრომის ორგანიზაციის» მთელი საქმის სათავეში დგება ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო.

ბოლოს, როგორც იქნა, იღებენ ზომებს და სიტყვიდან საქმეზე გადადიან. ჩინებულია, დიახაც, რომ დროა!

მაგრამ როგორია ამ ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო ს შემადგენლობა?

ვინ იბრძოლებს ეკონომიური რღვევის წინააღმდეგ, ვინ იბრძოლებს კაპიტალისტთა, მეწარმეთა, მექარხნეთა და მეფაბრიკეთა დანაშაულებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ?

თურმე, უდიდესი უმრავლესობა ამ საბჭოში კაპიტალისტებს ეყოლებათ. განა ეს დაცინვა არ არის?!

აი ამ საპატიო დაწესებულების შემადგენლობა:

მინისტრი-ბურჟუა	6
წარმომადგენლები კაპიტალისტებისა (ბანკების საბჭოსი, საბირჟო ვაჭრობისა, სოფლის მეურნეობისა და სხვ.)	9
ს უ ლ	15
მუშებისაგან (მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსაგან)	3
პროფკავშირებისაგან	3
გლეხთა დეპუტატებისაგან	3
ს უ ლ	9

გარდა ამისა შედიან კიდევ სამხედრო და შრომის მინისტრები და კოოპერატივების 3 წარმომადგენელი.

როგორც ვხედავთ, კაპიტალისტები იქნებიან საქმის გადამწყვეტნი.

შეიქმნება კიდევ ერთი დაწესებულება, რომელიც უკეთეს შემთხვევაში უაზროც იქნება და უსარგებლოც.

გარდა ამისა, როგორც მოლებულია, იქმნება კიდევ უამრავი კომისია, ქვეკომისია, კომიტეტი და სხვ.

ასე აპირებენ ბრძოლას ეკონომიურ რღვევასთან.

ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო...

«პრავდა» № 85,
1917 წ. 1 ივლისი (18 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

თვრამეტი ივნისი

თვრამეტი ივნისი, ასე თუ ისე, შევა რუსეთის რევოლუციის ისტორიაში, როგორც გარდატეხის ერთ-ერთი დღე.

კლასების ურთიერთმდგომარეობა, მათი თანაფარდობა ერთმანეთთან ბრძოლაში, მათი ძალა, განსაკუთრებით პარტიების ძალასთან შედარებით, — ყოველივე ეს გამოააშკარავა კვირის დემონსტრაციამ ისე გარკვეულად, ისე მკაფიოდ, ისე დამაჯერებლად, რომ შემდგომი განვითარების ყოველგვარი მსვლელობისა და ყოველგვარი ტემპის დროს შეგნებულობა და სიცხადე გიგანტურად მოგებული რჩებიან.

დემონსტრაციამ რამდენიმე საათში ერთი მუჭა მტვერივით გაჰფანტა ფუჭი სიტყვები ბოლშევიკ შეთქმულთა შესახებ და უდავო სიცხადით გვიჩვენა, რომ რუსეთის მშრომელი მასების ავანგარდის, დედაქალაქის სამრეწველო პროლეტარიატისა და დედაქალაქის ჯარების უდიდესი უმრავლესობა მხარს უჭერს იმ ლოზუნგებს, რომლებსაც ყოველთვის იცავდა ჩვენი პარტია.

მუშათა და ჯარისკაცთა ბატალიონების მწყობრი სვლა. ნახევარ მილიონამდე დემონსტრანტი. ერთსულოვანი შეტევის ერთიანობა. ერთიანობა ლოზუნგების ირგვლივ, რომელთა შორის გიგანტურად სჭარბობდნენ: «მთელი ძალაუფლება საბჭოებს», «ძირს 10 მინისტრი-კაპიტალისტი», «არც სეპარაციული ზავი გერმანელებთან, არც საიდუმლო ხელშეკრულებანი ინგლისელ-ფრანგ კაპიტალისტებთან» და სხვ.. არავის, ვინც დემონსტრაცია ნახა, არ დარჩენია ეჭვი,

რომ ამ ლოზუნგებმა გაიმარჯვეს რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ორგანიზებულ ავანგარდში.

18 ივნისის დემონსტრაცია გახდა რევოლუციური პროლეტარიატის ძალებისა და პოლიტიკის დემონსტრაცია, — პროლეტარიატისა, რომელიც გვიჩვენებს რევოლუციის მიმართულებას, გვიჩვენებს ჩიხიდან გამოსავალს. ამაშია კვირის დემონსტრაციის გიგანტური ისტორიული მნიშვნელობა, ამაშია მისი პრინციპული განსხვავება რევოლუციის მსხვერპლთა დაკრძალვის დღისა და 1 მაისის დღის დემონსტრაციებისაგან. მაშინ ეს იყო რევოლუციის პირველი გამარჯვებისა და მისი გმირების საყოველთაო პატივისცემა; მაშინ ხალხმა უკან გადაავლო თვალი თავისუფლების გზის პირველ ეტაპს, რომელიც მან უაღრესად სწრაფად და უაღრესად წარმატებით გაიარა. პირველი მაისი იყო დღესასწაული იმ სურვილებისა და იმედებისა, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო მუშათა მოძრაობის ისტორიასთან, ამ მოძრაობის იდეალთან მშვიდობიანობისა და სოციალიზმის შესახებ.

არც ერთი, არც მეორე დემონსტრაცია მიზნად არ ისახავდა მიეთითებინა რევოლუციის შემდგომი მოძრაობის მიმართულებაზე და ვერც მიუთითებდა. არც ერთი, არც მეორე დემონსტრაცია არ სახავდა მასების წინაშე და მასების სახელით კონკრეტულ, განსაზღვრულ, საჭირბოროტო საკითხებს, თუ საითკენ და როგორ უნდა წავიდეს რევოლუცია.

ამ აზრით 18 ივნისი იყო მოქმედების პირველი პოლიტიკური დემონსტრაცია, განმარტება — არა წიგნაკში ან გაზეთში, არამედ ქუჩაში, არა ბელადების მეშვეობით, არამედ მასების მეშვეობით — განმარტება იმისა, თუ როგორ მოქმედებს სხვადასხვა კლასი, როგორ სურთ იმოქმედონ და როგორ იმოქმედებენ ისინი, რომ რევოლუცია შემდგომი გზით წარმართონ.

ბურჟუაზია მიიმალა. მშვიდობიან დემონსტრაციაში, რომელიც მოაწყო ხალხის აშკარა უმრავლესობამ, როცა პარ-

ტიული ლოზუნგების თავისუფლება იყო, როცა მთავარი მიზანი იყო კონტრრევოლუციის წინააღმდეგ გამოსვლა, — ასეთ დემონსტრაციაში მონაწილეობაზე ბურჟუაზიამ უარი თქვა. ეს გასაგებიცაა. სწორედ ბურჟუაზია არის კონტრრევოლუცია. იგი ემალება ხალხს, იგი აწყობს ნამდვილ კონტრრევოლუციურ შეთქმულებებს ხალხის წინააღმდეგ. რუსეთის ახლანდელმა მმართველმა პარტიებმა, ესერებისა და მენშევიკების პარტიებმა, 18 ივნისის ისტორიულ დღეს თვალნათლივ დაგვანახვეს თავი, როგორც მერყეობის პარტიებმა. მათი ლოზუნგები გამოხატავდნენ მერყეობას, და მათი ლოზუნგების მომხრე უმცირესობა აღმოჩნდა — ყველასათვის ნათლად, აშკარად. ერთი ადგილი სტკეპნეო, ჯერჯერობით ყველაფერი უწინდებურად დასტოვეო — აი რას ურჩევდნენ ი ს ი ნ ი ხალხს თავიანთი ლოზუნგებით, თავიანთი მერყეობით. ხალხიც გრძნობდა, ისინიც გრძნობდნენ, რომ ეს შეუძლებელია.

კმარა მერყეობა — ამბობდა რუსეთის პროლეტარიატის ავანგარდი, მუშათა და ჯარისკაცთა მასების ავანგარდი. კმარა მერყეობა. კაპიტალისტებისადმი, მ ა თ ი მთავრობისადმი, მ ა თ ი რეფორმატორული ჯახირისადმი, მ ა თ ი ომის პოლიტიკისადმი, მ ა თ ი შეტევის პოლიტიკისადმი ნდობა, — ეს უიმედო პოლიტიკაა. ამ პოლიტიკის კრახი შორს არ არის. მისი კრახი გარდუვალია. ეს იქნება ესერთა და მენშევიკთა მმართველი პარტიების კრახიც. ნგრევა სულ უფრო და უფრო ახლოვდება. მისგან თავის დაღწევა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა სხვანაირად, თუ არა ძალაუფლების სათავეში მდგომი რევოლუციური კლასის რევოლუციური ღონისძიებებით.

დაე ხალხმა უკუაგდოს კაპიტალისტებისადმი ნდობის პოლიტიკა, დაე მან ნდობა აღმოუჩინოს რევოლუციურ კლასს — პროლეტარიატს. მასში და მხოლოდ მასშია ძლიერების წყარო. მასში და მხოლოდ მასშია საწინდარი უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს ინტერესების. იმ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ინტერესების მსახურებისა, რომელნიც

დაბეჩავებულნი არიან ომითა და კაპიტალით და რომელთაც უნარი შესწევთ დაამარცხონ ომი და კაპიტალი!

გაუგონარი მასშტაბის კრიზისი კარს მოადგა რუსეთსა და მთელ კაცობრიობას. გამოსავალია მხოლოდ ის, რომ ნდობა გამოვუცხადოთ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ყველაზე ორგანიზებულ მოწინავე რაზმს, მხარი დავუჭიროთ მის პოლიტიკას.

მალე შეითვისებს თუ არა ხალხი ამ გაკვეთილს და როგორ განხორციელდება იგი, ეს ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ უამგაკვეთილოდ ჩიხიდან გამოსავალი არ არის, რომ კონტრრევოლუციის შესაძლო მერყეობა ან მხეცობა ვერაფერს მოგვცემს.

თუ ხალხის მასებს სრული ნდობა არ ექნებათ თავისი ხელმძღვანელისადმი, პროლეტარიატისადმი, უამისოდ გამოსავალი არ არის.

«პრავდა» № 86,
917 წ. 3 ივლისი (20 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

რევოლუცია, შეტევა და ჩვენი პარტია

«დადგა შემობრუნების მომენტი რუსეთის რევოლუციაში», — თქვა წერეთელმა, აუწყა რა საბჭოების ყრილობას დაწყებული შეტევა [43]. დიახ, შემობრუნების მომენტი დადგა არა მარტო რუსეთის რევოლუციისათვის, არამედ მსოფლიო ომის მთელი მსვლელობისთვისაც. რუსეთის მთავრობა სამი თვის ყოყმანის შემდეგ სინამდვილეში მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომელსაც მისგან «მოკავშირეთა» მთავრობები მოითხოვდნენ.

შეტევა გამოცხადებულია მშვიდობის სახელით. მაგრამ «მშვიდობის სახელით» ბრძოლაში აბამენ ჯარებს ყველა ქვეყნის იმპერიალისტები: ყოველი შეტევისას თვითეულ მეომარ ქვეყანაში გენერლები ცდილობენ გაამხნევონ ჯარისკაცნი მაცოცხლებელი იმედით, ამ შეტევას უსწრაფესი ზავი მოჰყვებაო.

ყველა იმპერიალისტის ეს ჩვეულებრივი ხერხი რუსეთის «სოციალისტმა» მინისტრებმა შეაფერადეს მეტისმეტად მჭექარე ფრაზებით, რომლებშიც სიტყვები სოციალიზმის, დემოკრატიის, რევოლუციის შესახებ გაისმის როგორც ჩხარუნა მარჯვე ჟონგლიორის ხელში. ვერაკითარი მჭექარე ფრაზებით ვერ მიჩქმალავენ იმ ფაქტს, რომ რუსეთის რევოლუციური არმია გაგზავნილია საბრძოლველად ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, ამერიკის იმპერიალისტთა მიზნებისათვის. ყოფილი ციმერვალდელისა და ლოიდ-ჯორჯის ახლანდელი პარტნიორის ჩერნოვის

ვერავითარი სოფიზმი ვერ დაფარავს იმას, რომ, თუ რუსეთის არმიას და რუსეთის პროლეტარიატს მართლაც არა აქვთ მტაცებლური მიზნები, ეს ოდნავადაც არა სცვლის ორი მსოფლიო ტრესტის ბრძოლის იმპერიალისტურ, მძარცველურ ხასიათს. სანამ გადასინჯული არ არის საიდუმლო ხელშეკრულებანი, რომლებიც აკავშირებენ რუსეთს სხვა ქვეყნების იმპერიალისტებთან, სანამ რიბო, ლოიდ-ჯორჯი და სონინო, როგორც რუსეთის მოკავშირენი, განაგრძობენ ლაპარაკს თავიანთი საგარეო პოლიტიკის მტაცებლური მიზნების შესახებ, მანამდე რუსეთის ჯარების შეტევა არის და რჩება იმპერიალისტების სამსახურად.

მაგრამ ჩვენ ხომ არაერთხელ განგვიცხადებია, რომ ყოველგვარი დაპყრობისაგან უარს ვამბობთო, — გვეუბნებიან წერეთლები და ჩერნოვები. მით უარესი, ვიტყვით ჩვენ: მაშასადამე, სიტყვა თქვენი სხვაა და საქმე კიდევ სხვა, ვინაიდან სინამდვილეში თქვენ ემსახურებით რუსეთის იმპერიალიზმსაც და უცხოეთის იმპერიალიზმსაც. ხოლო როცა თქვენ იწყებთ «მოკავშირეთა», იმპერიალიზმისადმი აქტიურად ხელისშეწყობას, თქვენ საუცხოო სამსახურს უწევთ რუსეთის კონტრრევოლუციას. ყველა შავრაზმელისა და ყველა კონტრრევოლუციონერის სიხარული თქვენი პოლიტიკის გადაჭრით შებრუნების გამო ცხადზე უცხადესად მოწმობს ამას. დიახ, რუსეთის რევოლუცია შებრუნების მომენტს განიცდის. რუსეთის მთავრობამ მინისტრ-«სოციალისტების» სახით გააკეთა ის, რის გაკეთებაც ვერ შესძლეს მინისტრმა იმპერიალისტებმა, გუჩკოვმა და მილიუკოვმა: ამ მთავრობამ რუსეთის არმია გადასცა იმ შტატებისა და დიპლომატების განკარგულებაში, რომლებიც მოქმედებენ გაუუქმებელ საიდუმლო ხელშეკრულებათა გულისათვის და მათ ნიადაგზე, იმ მიზნების გულისათვის, რომლებიც აშკარად გამოაცხადეს რიბომ და ლოიდ-ჯორჯმა. მაგრამ თავისი ამოცანის შესრულება მთავრობას მხოლოდ იმიტომ შეეძლო, რომ მას ენდო, მას გაჰყვა არმია. გაჰყვა სასიკვ-

დიდოდ, დარწმუნებული, რომ მისი მსხვერპლის გაღება მოხდება თავისუფლების გულისათვის, რევოლუციის გულისათვის, რაც შეიძლება სწრაფი ზავის გულისათვის.

მაგრამ არმია ამას დასთანხმდა იმიტომ, რომ იგი მხოლოდ ნაწილია ხალხისა, რომელიც რევოლუციის ამ ეტაპზე გაჰყვა ესერებისა და მენშევიკების პარტიებს. ეს საერთო და ძირითადი ფაქტი — უმრავლესობის ნდობა მენშევიკებისა და ესერების წვრილბურჟუაზიული, კაპიტალისტებისაგან დამოკიდებული პოლიტიკისადმი განსაზღვრავს ჩვენი პარტიის პოზიციასა და მოქმედებას.

დაუღალავი ენერგიით განვაგრძობთ ჩვენ მთავრობის პოლიტიკის მხილებას, ამასთან, წინანდებურად, გადაჭრით გავაფრთხილებთ მუშებსა და ჯარისკაცებს — არ იქონიონ დაქსაქსული, დეზორგანიზებული გამოსვლების უაზრო იმედები.

საქმე საერთო-სახალხო რევოლუციის ეტაპშია. წერეთლები და ჩერნოვები, მოხვდნენ რა იმპერიალიზმის დამოკიდებულებაში, ატარებენ წვრილბურჟუაზიული ილუზიების, წვრილბურჟუაზიული ფრაზების ეტაპს, რომლებიც ჩქმალავენ სწორედ იმავე უტიფარ იმპერიალიზმს.

ეს ეტაპი უნდა დავძლიოთ. ხელი შევუწყოთ იმას, რომ რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება უმტკივნეულოდ იქნას იგი დაძლეული. იგი ხალხს მიიყვანს უკანასკნელი წვრილბურჟუაზიული ილუზიებისაგან განთავისუფლებამდე, ძალაუფლების რევოლუციური კლასის ხელში გადასვლამდე.

«პრავდა» № 87,
1917 წ. 4 ივლისი (21 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

რითლა განსხვავდებით თქვენ კლეხანოვისაგან, ბატონო ესერებო და მენშევიკებო?

«დელო ნაროდას» მრავალგზის გამოუცხადებია — «ედინსტვო» სოციალ-იმპერიალისტურიაო. «რაბოჩაია გაზეტამ» ოფიციალურად დაგმო საარჩევნო ბლოკი «ედინსტვოსთან» (მას შემდეგ, რაც არჩევნები თითქმის ყველა რაიონულ თვითმმართველობაში ჩატარდა).

დაწყებული შეტევა ჰფანტავს ახლა ფრაზების ბურუსს და უჩვენებს ხალხს შეუფერადებელ სიმართლეს. ყველა ხედავს, რომ სერიოზული და საქმიანი საკითხის — დაწყებული შეტევის საკითხის მიმართ პლეხანოვი და ესერებისა და მენშევიკების ბელადები ერთიანნი არიან.

მაშასადამე, «სოციალ-იმპერიალისტები» («დელო ნაროდას» თქმით) თქვენ ყველანი ხართ, «ედინსტვოც», კერენსკიც და ჩერნოვიც, წერეთელიცა და სკობელევიც.

«პრავდა» № 87,
1917 წ. 4 ივლისი (21 ივნისი)

ბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

როგორ იმართლებს თავს როძიანკო

«რუსსკაია ვოლიას» № 143-ში მოთავსებულია ინტერვიუ როძიანკოსთან, რომელსაც «უსამართლოდ» მიაჩნია მისთვის მალინოვსკის დამალვის დაბრალება («პრავდისა» და «რაბოჩაია გაზეტას» მიერ). თურმე, ჯუნკოვსკის ჯერ კიდევ 1914 წ. 22 აპრილს უთქვამს როძიანკოსათვის, რომ მალინოვსკი პროვოკატორია, მაგრამ როძიანკოსათვის ჩამოურთმევია «პატიოსანი სიტყვა» (!!!) არავისათვის არ ეთქვა ეს.

დაუჯერებელია, მაგრამ ასეა. როძიანკო «პატიოსან სიტყვას» აძლევს ოხრანიკს და სათათბიროს წევრებს არ აცნობებს პროვოკატორის ამბავს. ჩვენმა პარტიამაც და მთელმა საზოგადოებამაც, სადაც პროვოკატორი მალინოვსკი განაგრძობს ტრიალს, ისევ არაფერი იციან... რადგან როძიანკომ «პატიოსანი სიტყვა» მისცა ოხრანიკს — არ გაამხილოს პროვოკატორი.

განა შეიძლება ამის მოთმენა?

განა შეიძლება, რომ როძიანკო დამნაშავედ არ ჩაითვალოს?

«პრავდა» № 87,
1917 წ. 4 ივლისი (21 ივნისი)

ბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სად მიიყვანეს რევოლუცია ესერებმა და მენშევიკებმა?

მათ მიიყვანეს რევოლუცია იმპერიალისტებისადმი დაბორჩილებამდე.

შეტევა არის იმპერიალისტური ომის განახლება. არაფერი არსებითი არ შეცვლილა კაპიტალისტთა იმ ორი გიგანტური კავშირის ურთიერთდამოკიდებულებაში, რომლებიც ეომებიან ერთმანეთს. რუსეთი 27 თებერვლის რევოლუციის შემდეგაც დარჩა კაპიტალისტთა სრულძალაუფლებიან მფლობელობაში, ხოლო ეს კაპიტალისტები გადახლართულნი არიან კავშირით და წინანდელი, მეფის საიდუმლო ხელშეკრულებებით ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტურ კაპიტალთან. განგრძობილი ომის ეკონომიკაც და პოლიტიკაც იგივეა, რაც წინათ იყო: იგივე იმპერიალისტური საბანკო კაპიტალი მეფობს სამეურნეო ცხოვრებაში; იგივე საიდუმლო ხელშეკრულებანი, იგივე საგარეო პოლიტიკა იმპერიალისტთა ერთი ჯგუფის კავშირებისა იმპერიალისტთა მეორე ჯგუფის წინააღმდეგ.

მენშევიკებისა და ესერების ფრაზები დარჩნენ და რჩებიან ფრაზებად, რომლებიც სინამდვილეში მხოლოდ მოთაფლულად აფერადებენ იმპერიალისტური ომის განახლებას, რასაც სავსებით ბუნებრივად მოწონების აღტაცებული ღმუილით ხვდება ყველა კონტრრევოლუციონერი, მთელი ბურჟუაზია და პლეხანოვი, რომელიც «ჩანჩალით მისდევს ბურჟუაზიულ პრესას», როგორც ამბობს მენშევიკების «რაბოჩაია» გაზეთა», რომელიც თვითონ ჩანჩალით მისდევს სოციალ-შოვინისტების მთელ ხროვას.

ოღონდ არ უნდა დავივიწყოთ იმპერიალისტური ომის ახლანდელი, დღევანდელი განახლების თავისებური, განმასხვავებელი ნიშნები. ომი განახლდა სამი თვის ყოყმანის შემდეგ, როდესაც მუშათა და გლეხთა მასებმა ათასჯერ დაგმეს მტაცებლური ომი (და ამავე დროს ისინი სინამდვილეში ისევ მხარს უჭერდნენ რუსეთის მტაცებლურ-მძარცველური ბურჟუაზიის მთავრობას). მასები ყოყმანობდნენ, თითქოს აპირებდნენ შ ი ნ, თ ა ვ ი ა ნ თ ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი, შეესრულებინათ ის რჩევა, რომელიც მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართულ 14 მარტის მოწოდებაში ეძლეოდა ს ხ ვ ა ხალხებს: «უარი თქვით იმაზე, რომ დაპყრობისა და ძალადობის იარაღი იყოთ ბ ა ნ კ ი რ ე ბ ი ს ხელშიო». ხოლო შინ, ჩვენს ქვეყანაში, «რევოლუციურ-დემოკრატიულ» რუსეთში, მასები წამდვილად დარჩნენ სწორედ დაპყრობისა და ძალადობის იარაღად «ბანკირების ხელში».

ასეთი მდგომარეობის თავისებურება ის არის, რომ იგი შექმნეს, მასების ორგანიზების შედარებით ძალიან დიდი თავისუფლების დროს, ესერებისა და მენშევიკების პარტიებმა. სწორედ ამ პარტიებმა მოიპოვეს ამჟამად უმრავლესობა: საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობამ და გლეხთა სრულიად რუსეთის საბჭომ ეს უეჭველად დაამტკიცეს.

სწორედ ეს პარტიები არიან ახლა პასუხისმგებელნი რუსეთის პოლიტიკისათვის.

სწორედ ეს პარტიები არიან პასუხისმგებელნი იმპერიალისტური ომის განახლებისათვის, ასეული ათასობით ახალი მსხვერპლისათვის, რასაც ფაქტიურად სწირავენ იმისათვის, რომ ამა და ამ კაპიტალისტებმა «დასძლიონ» სხვა კაპიტალისტები, პასუხისმგებელნი არიან ნგრევის ახალი გამწვავებისათვის, რაც გარდუვალად გამომდინარეობს შეტევიდან.

ჩვენს წინაშე ყოველად წმინდა სახით იყო წვრილბურჟუაზიული მასების თვითმოტყუება და მათი მოტყუება ბურჟუაზიის მიერ ესერებისა და მენშევიკების დახმარებით. სიტყვიერად ორივე ეს პარტია «რევოლუციური დემოკრატიაა». ნამდვილად კი მათ, სწორედ მათ ჩააბარეს ხალხის ბედი

კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას, კადეტებს, სწორედ ისინი დაშორდნენ რევოლუციას იმ მიმართულებით, რომ განეგრძოთ იმპერიალისტური ომი, დაშორდნენ დემოკრატიას იმ მიმართულებით, რომ «დაეთმოთ» კადეტებისათვის ძალაუფლების საკითხშიც (აიღეთ თუნდაც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არჩეულ ხელისუფალთა ზემოდან «დამტკიცება»), მიწის საკითხშიც (მენშევიკების მივრაც და ესერების მიერაც უარისთქმა თ ა ვ ი ა ნ თ საკუთარ პროგრამაზე — მხარის დაჰერაზე გლეხთა რევოლუციური გამოსვლებისათვის, თვით მემამულური მიწების კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ი ს თ ვ ი ს ა ც ი), ნაციონალურ საკითხშიც (უკრაინისა და ფინეთის მიმართ კადეტური ანტიდემოკრატიზმის დაცვა).

წვრილბურჟუაზიულ მასებს არ შეუძლიათ არ მერყეობდნენ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. ასე იყო ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით 1789 — 1871 წლებში. ასე მიდის საქმე რუსეთშიც. მენშევიკებმა და ესერებმა გ ა ი ყ ო ლ ი ე ს მ ა ს ე ბ ი კონტრრევოლუციური ბურჟუების პოლიტიკისადმი დამორჩილებისაკენ.

ამაშია საქმის დედაარსი. ამაშია შეტევის მნიშვნელობა. ამაშია თავისებურება: არა ძალადობამ, არამედ ესერებისა და მენშევიკებისადმი ნდობამ აუბნია გზა-კვალი ხალხს.

დიდი ხნით კი?

დიდი ხნით არა. მასები საკუთარი გამოცდილებით ისწავლიან. ომის ახალი (ახლა დაწყებული) ეტაპისა და შეტევით გამწვავებული ახალი ნგრევის სავალალო გამოცდილება გარდუვალად გამოიწვევს ესერებისა და მენშევიკების პარტიების პ ო ლ ი ტ ი კ უ რ კრახს. პროლეტარული პარტიის ამოცანა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ დაეხმაროს მასებს შეიგნონ და სწორად გაითვალისწინონ ეს გამოცდილება, სწორად მოემზადონ ამ დიდი კრახისათვის, რომელიც მასებს დაანახვებს მათს ნამდვილ ბელადს — ქალაქის ორგანიზებულ პროლეტარიატს.

«პრავდა» № 88,
1917 წ. 5 ივლისი (22 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

შეიძლება თუ არა მუშათა კლასის დაშინება «იაკობინელობით»?

«სოციალისტური აზროვნების» (ხუმრობა არ გეგონოთ!) ორგანო, ბურჟუაზიული და შოვინისტური «დენი» № 91-ში უბრუნდება 18 ივნისის «რეჩის» მართლაც საინტერესო მოწინავეს. «დენს» სრულიად ვერ გაუგია ეს მოწინავე, რომელშიც გამოვიდა სწორედ ი ს ტ ო რ ი კ ო ს ი გაბოროტებული კონტრრევოლუციონერი ბურჟუის გვერდით. «დენს» მოწინავიდან ამოუკითხავს «კადეტების მტკიცედ გარკვეული განზრახვა — გამოვიდნენ კოალიციური მთავრობიდან».

ეს ჩმახვაა. კადეტები იმუქრებიან, რათა დააშინონ წერეთლები და ჩერნოვები. ეს სერიოზული რამ არ არის.

სერიოზული და საინტერესოა ის, თუ როგორ აყენებდა ისტორიკოსის თვალსაზრისით ძალაუფლების საკითხს «რეჩის» მოწინავე 18 ივნისს.

«თუ, — წერდა ის, — მთავრობის წინანდელი შემადგენლობის დროს შესაძლებელი იყო რუსეთის რევოლუციის მსვლელობის თუნდაც ერთგვარი ხელმძღვანელობა, ახლა, ეტყობა, მისი ხვედრია შემდგომი განვითარება ყველა რევოლუციის სტიქიური კანონების მიხედვით... მთავრობის იმ კომბინაციის შემდგომი არსებობის მიზანშეუწონლობის საკითხს, რომელმაც თავისი თავი ვერ გაამართლა, ახლა უკვე არა მარტო ბოლშევიკები აყენებენ» (მიაქციეთ ყურადღება: ა რ ა მარტო ბოლშევიკები!)... «და არა მარტო საბჭოს უმრავლესობა... საკითხი უნდა დასვან თვით მინისტრმა კაპიტალისტებმაც».

ისტორიკოსი სწორად აღიარებს, რომ არა მარტო ბოლშევიკებმა, არამედ კლასების მთელმა ურთიერთდამოკიდებულებამ, საზოგადოების მთელმა ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენეს საკითხი «მთავრობის იმ კომბინაციის შემდგომი არსებობის მიზანშეუწონლობისა, რომელმაც თავისი თავი ვერ გაამართლა». მერყეობა — ასეთია სინამდვილე. შეტევა შესაძლო გამოსავალია იმპერიალისტური ბურჟუაზიის გამარჯვებისაკენ. სხვა შესაძლო გამოსავალი?

ისტორიკოსი «რეჩში» უპასუხებს ამ უკანასკნელ კითხვაზე:

«აიღებენ რა «მთელ ძალაუფლებას», საბჭოები მალე დარწმუნდებიან, რომ მათ ძალიან ცოტა ძალაუფლება აქვთ. და მათ უნდა შეავსონ ძალაუფლების ნაკლებობა ისტორიაში ნაცადი ახალგაზრდა თურქების ან იაკობინელების ხერხებით... მოისურვებენ თუ არა ისინი, რომ საკითხის კვლავ დაყენებით დაქანონ დაბლა — იაკობინელობამდე და ტერორამდე, თუ შეუცდებიან ხელი დაიბანონ? აი ის მორიგი საკითხი, რომელიც ამ დღეებში უნდა გადაწყდეს».

ისტორიკოსი მართალია. ამ დღეებში თუ ამ დღეებში არა, მაგრამ მალე კი უნდა გადაწყდეს სწორედ ეს საკითხი. ან შეტევა, შებრუნება კონტრრევოლუციისაკენ, იმპერიალისტური ბურჟუაზიის საქმის წარმატება (დიდი ხნით კი?), «ხელის დაბანა» ჩერნოვებისა და წერეთლების მიერ.

ან — «იაკობინელობა». ბურჟუაზიის ისტორიკოსები იაკობინელობაში ხედავენ დაცემას («დაბლა დაქანება»). პროლეტარიატის ისტორიკოსები კი იაკობინელობაში ხედავენ ჩაგრული კლასის ერთ-ერთ უმაღლეს ა ღ მ ა ვ ლ ო ბ ა ს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. იაკობინელებმა საფრანგეთს მისცეს დემოკრატიული რევოლუციისა და რესპუბლიკის საწინააღმდეგო მონარქების კოალიციასთან გამკლავების საუკეთესო ნიმუშები. სრული გამარჯვება იაკობინელებს არ ეწერათ, უმთავრესად იმიტომ, რომ კონტინენტზე XVIII საუკუნის საფრანგეთი გარემოცული იყო მეტისმეტად ჩამორჩენილი ქვეყნებით და რომ თვით საფრანგეთში არ იყო მატერიალური საფუძვლები სოციალიზმისათვის, არ იყო

კაპიტალისტთა ბანკები, სინდიკატები, მანქანური ინდუსტრია, რკინიგზები.

«იაკობინელობა» ევროპაში ან ევროპისა და აზიის საზღვარზე XX საუკუნეში იქნებოდა ბატონობა რევოლუციური კლასისა, პროლეტარიატისა, რომელსაც, უღარიბესი გლეხობის მიერ ზურგგამაგრებულსა და სოციალიზმისაკენ წინსვლის მატერიალური საფუძვლების არსებობაზე დაყრდნობილს, შეეძლებოდა მოეცა არა მარტო ყოველივე ის დიადი, აღმოუფხვრელი, დაუვიწყარი, რაც XVIII საუკუნის იაკობინელებმა მოგვცეს, არამედ ამასთან ერთად შეეძლებოდა მივეყვანეთ, მსოფლიო მასშტაბით, მშრომელთა მტკიცე გამარჯვებამდე.

ბურჟუაზიას, ბუნებრივია, სძულს იაკობინელობა. წვრილ ბურჟუაზიას, ბუნებრივია, ეშინია მისი. შეგნებულ მუშებსა და მშრომელებს კი სწამთ ძალაუფლების გადასვლა რევოლუციური, ჩაგრული კლასის ხელში, რადგან ე ს არის იაკობინელობის დედაარსი, ერთადერთი გამოსავალი კრიზისიდან, ხსნა ნგრევისა და ომისაგან.

«პრავდა» № 90,
1917 წ. 7 ივლისი (24 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

რუსეთის სოფლის მუშათა კავშირის დაარსების საჭიროების შესახებ

სტატია პირველი

პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის კონფერენციის წინაშე, რომელიც ახლა პიტერში მიმდინარეობს [44], უნდა დაისვას ერთი უაღრესი მნიშვნელობის საკითხი. ეს არის სოფლის მუშათა სრულიად რუსეთის კავშირის დაარსების საკითხი.

რუსეთის ყველა კლასი ირაზმება. რუსეთის სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშათა კლასი, ყველაზე მეტად ექსპლოატირებული, ყველაზე უფრო ღარიბად მცხოვრები, ყველაზე უფრო დაჩაგრული და დაბეჩავებული, თითქოს მივიწყებულია. ზოგიერთ არარუსულ განაპირა მხარეში, მაგალითად, ლატვიელთა მხარეში, არსებობს სოფლის მეურნეობის დაქირავებულ მუშათა ორგანიზაციები. ველიკორუსული და უკრაინული გუბერნიების უდიდეს უმრავლესობაში სოფლის პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციები არ არის.

რუსეთის პროლეტართა მოწინავე რაზმის — მრეწველობის მუშათა პროფესიული კავშირების — უდიდესი და აუცილებელი მოვალეობაა დაეხმარონ თავიანთ ძმებს, სოფლის მუშებს. დიდია სოფლის მუშათა შეკავშირების სიძნელენი — ეს აშკარაა, და ყველა კაპიტალისტური ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს ამას.

მით უფრო აუცილებელია რაც შეიძლება უფრო მალე და რაც შეიძლება უფრო ენერგიულად შევუდგეთ რუსეთში

არსებული პოლიტიკური თავისუფლების გამოყენებას და დაუყოვნებლივ შევქმნათ სოფლის მუშათა სრულიად რუსეთის კავშირი. სწორედ პროფესიულ კავშირთა კონფერენციას შეუძლია და კიდევაც უნდა გააკეთოს ეს. სწორედ პროლეტარიატის უფრო გამოცდილ, უფრო განვითარებულ, უფრო შეგნებულ წარმომადგენლებს, რომლებიც ახლა შეკრებილი არიან კონფერენციაზე, შეუძლიათ და კიდევაც უნდა მოუწოდონ სოფლის მუშებს, მოიხმონ თავიანთ რიგებში, დამოუკიდებლად ორგანიზებული პროლეტარების რიგებში, მათი პროფესიული კავშირების რიგებში. სწორედ ფაბრიკების დაქირავებულმა მუშებმა უნდა იკისრონ თაოსნობა, გამოიყენონ მთელ რუსეთში გაფანტული უჯრედები, ჯგუფები, განყოფილებანი პროფესიული კავშირებისა, რათა გამოაღვიძონ სოფლის მუშა, რომ მან იწყოს დამოუკიდებელი ცხოვრება, ქმედი მონაწილეობა მიიღოს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, დაიცვას თავისი კლასობრივი ინტერესები.

ალბათ, ბევრს მოეჩვენება და, შესაძლოა, ამჟამად ასეთიც იყოს გაბატონებული აზრი, რომ სწორედ ახლა, როდესაც გლეხობა კავშირდება მთელ რუსეთში, როცა იგი აცხადებს მიწის კერძო საკუთრების გაუქმებას და მის «გათანაბრებითს» სარგებლობას, სოფლის მუშათა პროფესიული კავშირის შექმნა უდროო არისო.

სწორედ პირიქით. სწორედ ასეთ დროს არის იგი დროიანი და გადაუდებლად აუცილებელი. იმათთვის, ვინც კლასობრივ პროლეტარულ თვალსაზრისზე დგას, ეჭვი არ შეიძლება იყოს, რომ სწორია დებულება, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის 1906 წლის სტოკჰოლმის ყრილობაზე ბოლშევიკების ინიციატივით მიიღეს მენშევიკებმა და რომელიც მას შემდეგ შევიდა რსდმ პარტიის პროგრამაში. ეს დებულება ამბობს:

«პარტია ყველა შემთხვევაში და დემოკრატიულ აგრარულ გარდაქმნათა ყოველ მდგომარეობაში ამოცანად ისახავს განუხრელად ეცადოს სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებელ

კლასობრივ ორგანიზებას, განუმარტოს მას მისი ინტერესების შეურიგებელი წინააღმდეგობა გლეხთა ბურჟუაზიის ინტერესებთან, გააფრთხილოს იგი წვრილი მეურნეობის სისტემით გატაცებისაგან, მეურნეობისა, რომელსაც სასაქონლო წარმოების არსებობის დროს არასოდეს არ ძალუძს მოსპოს მასების სიღატაკე და, ბოლოს, მიუთითოს სრული სოციალისტური გადატრიალების, როგორც ყოველგვარი სიღატაკისა და ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობის ერთადერთი საშუალების აუცილებლობაზე».

არ არის არც ერთი შეგნებული მუშა, პროფესიული კავშირების არც ერთი წევრი, რომელიც არ სცნობდეს ამ დებულებათა სისწორეს. სწორედ პროფესიული კავშირების საქმეა განახორციელონ ეს დებულებანი, რამდენადაც საქმე ეხება სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებელ კლასობრივ ორგანიზებას.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სწორედ რევოლუციურ დროს, როდესაც მშრომელ მასებში საერთოდ, მუშებში განსაკუთრებით, ძლიერია მისწრაფება, რომ გამოიჩინონ თავი, გაიკვლიონ გზა, არ დაუშვან ცხოვრების ახლებურად მოწყობა ისე, თუ თვით მუშებმა დამოუკიდებლად არ გადაწყვიტეს შრომის საკითხები, — სწორედ ასეთ დროს პროფესიული კავშირები არ ჩაიკეტებიან ვიწრო ამჟრულ ინტერესებში, არ დაივიწყებენ თავიანთ უფრო სუსტ ძმებს, სოფლის მუშებს, არამედ მთელი ენერგიით დაეხმარებიან მათ რუსეთის სოფლის მუშათა კავშირის დაარსებით.

შემდეგ სტატიაში ჩვენ შევეცდებით დავსახოთ ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯი ამ მიმართულებით.

სტატია მეოთხე

წინა სტატიაში ჩვენ შევჩერდით რუსეთის სოფლის მუშათა კავშირის საკითხის პრინციპულ მნიშვნელობაზე. ახლა შევეხოთ ამ საკითხის ზოგიერთ პრაქტიკულ მხარეს.

რუსეთის სოფლის მუშათა კავშირს უნდა ეკუთვნოდეს ყველა, ვინც კი ეწევა უპირატესად თუ უმთავრესად ან თუნდაც ნაწილობრივ დაქირავებით მუშაობას სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში.

აუცილებელი იქნება თუ არა, რომ ასეთი კავშირები იყოფოდნენ წმინდა სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირებად და იმ მუშათა კავშირებად, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ არიან დაქირავებული მუშები, ამას გამოცდილება გვიჩვენებს. ეს ყოველ შემთხვევაში არსებითი არ არის. არსებითია ის, რომ ყ ვ ე ლ ა იმათი ძირითადი კლასობრივი ინტერესები, ვინც თავის სამუშაო ძალას ჰყიდის, ერთნაირია და ყ ვ ე ლ ა იმათი შეკავშირება, ვინც ცხოვრების საზსრის თუნდაც ნაწილს შოულობს «სხვა ხალხთან» დაქირავებული მუშაობით, უსათუოდ აუცილებელია.

ქალაქების, ფაბრიკების, ქარხნების დაქირავებული მუშები ათასი და მილიონი ძაფით არიან დაკავშირებულნი სოფლის დაქირავებულ მუშებთან. პირველთა მოწოდება მეორეთა მიმართ უკვალოდ ვერ ჩაივლის. მაგრამ საქმე მარტო მოწოდებით არ უნდა შემოიფარგლოს. ქალაქების მუშებს გაცილებით მეტი გამოცდილება, ცოდნა, საშუალებანი და ძალები აქვთ. საჭიროა პირდაპირ მ ო ხ მ ა რ დ ე ს ა მ ძ ა ლ ე ბ ი ს ნ ა წ ი ლ ი ი მ ა ს, რომ დ ა ხ მ ა რ ე ბ ა გ ა ე წ ი ო ს სოფლის მუშებს, რათა ისინი ფ ე ხ ზ ე წ ა მ ო დ გ ნ ე ნ.

უნდა დაინიშნოს ერთი დღე, რომლის ხელფასი ყველა ორგანიზებულმა მუშამ უნდა გაიღოს ქალაქისა და სოფლის დაქირავებული მუშების გაერთიანების მთელი საქმის გასავითარებლად, განსამტკიცებლად. დაე, ამ თანხის გარკვეული ნაწილი სავსებით მოხმარდეს იმას, რომ ქალაქის მუშები დაეხმარონ სოფლის მუშათა კლასობრივი გაერთიანების საქმეს. დაე, ამ ფონდიდან დაიფაროს ხარჯები მთელი რიგი უაღრესად პოპულარული ფურცლების გამოსაცემად, სოფლის მუშების გაზეთის — პირველ ხანებში თუნდაც ყოველკვირეული გაზეთის — გამოსაცემად, სოფლად თუნდაც მცირე რაოდენობით აგიტატორთა და ორგანიზატორთა გასაგზავნად ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რ ო მ დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ დ ა ა რ ს დ ე ს სხვადასხვა ადგილას სოფლის მეურნეობის დაქირავებულ მუშათა კავშირები.

ასეთი კავშირების მხოლოდ საკუთარი გამოცდილება დაგვეხმარება მოვნახოთ უტყუარი გზა საქმის შემდგომი განვითარებისათვის. ყოველი ასეთი კავშირის პირველი ამოცანა უნდა იყოს იმათი მდგომარეობის გაუმჯობესება, ვინც ჰყიდის თავის სამუშაო ძალას სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, უფრო მაღალი ხელფასის მიღწევა, სადგომის, კვების და სხვა მხრივ უკეთესი პირობების მოპოვება.

უნდა გამოეცხადოს უალრესად გადამწყვეტი ბრძოლა იმ ცრურწმენას, თითქოს მიწის კერძო საკუთრების მომავალ გაუქმებას შეეძლოს «მისცეს მიწა» ყველა მოჯამაგირესა და დღიურ მუშას, ძირი გამოუთხაროს მიწათმოქმედებაში დაქირავებული შრომის თვით ფესვებს. ეს ცრურწმენაა და მეტისმეტად მავნე ცრურწმენა. მიწის კერძო საკუთრების გაუქმება არის უდიდესი და უსათუოდ პროგრესული გარდაქმნა, რაც უსათუოდ შეეფერება ეკონომიური განვითარების ინტერესებს და პროლეტარიატის ინტერესებს, გარდაქმნა, რომელსაც ყოველი დაქირავებული მუშა მთელი სულითა და გულით და მთელი ძალ-ღონით დაუჭერს მხარს, მაგრამ რომელიც ჯერ კიდევ სრულიადაც არ სპობს დაქირავებულ შრომას.

მიწის ჭამა არ შეიძლება. მიწის მეურნეობის წარმოება არ შეიძლება, თუ არ გაგაჩნია პირუტყვი, იარაღები, თესლი, პროდუქტების მარაგი, ფული. იმის «დაპირებათა» იმედი, — ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს ეს დაპირებანი, რომ დაქირავებულ მუშებს სოფლად «დავეხმარებით» შეიძინონ პირუტყვი, იარაღები და სხვაო, — უცუდესი შეცდომა, მიუტევებელი გულუბრყვილობა იქნებოდა.

ყოველი პროფესიული მოძრაობის ძირითადი წესია, პირველი მცნებაა: ნუ დაიწდომი «სახელმწიფოს», დაიწდე მხოლოდ საკუთარი კლასის ძალას. სახელმწიფო გაბატონებული კლასის ორგანიზაციაა.

ნუ დაიწდომი დაპირებებს, დაიწდე მხოლოდ საკუთარი კლასის გაერთიანებისა და შეგნებულობის ძალას!

ამიტომ სოფლის მუშათა პროფესიული კავშირის ამოცანად ერთბაშად უნდა დაისვას — არა მარტო ბრძოლა მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საერთოდ, არამედ განსაკუთრებით მათი, როგორც კლასის, ინტერესების დაცვა მომავალი დიდი საადგილმამულო გარდაქმნის დროს.

«მუშახელი უნდა გადავიდეს სათემო კომიტეტების განკარგულებაშიო», — ასე მსჯელობენ ხშირად გლეხები დაესერები. სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშების კლასის თვალსაზრისი პირდაპირ ამის საწინააღმდეგოა: «მუშახელის» განკარგულებაში უნდა მოხვდეს სათემო კომიტეტები! მეპატრონის პოზიცია და დაქირავებული მუშის პოზიცია მკაფიოდ ირკვევა ასეთი დაპირისპირებით.

«მიწა მთელ ხალხს». ეს სწორია. მაგრამ ხალხი კლასებად იყოფა. ყოველმა მუშამ იცის ეს ჭეშმარიტება, ყოველი მუშა ხედავს, გრძნობს, განიცდის ამ ჭეშმარიტებას, რომელსაც განზრახ ჩქმალავს ბურჟუაზია და ყოველთვის ივიწყებს წვრილი ბურჟუაზია.

ღარიბებს ცალკე არავინ დაეხმარება. არავითარი «სახელმწიფო» არ დაეხმარება სოფლად დაქირავებულ მუშას, მოჯამაგირეს, დღიურ მუშას, უღარიბეს გლეხს, ნახევრად-პროლეტარს, თუ ის თვითონ არ დაეხმარება თავის თავს. ამისათვის პირველი ნაბიჯია სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი ორგანიზაცია.

ვისურვოთ, რათა პროფესიული კავშირების სრულიად რუსეთის კონფერენციამ უდიდესი ენერგიით მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს, მოუხმოს სოფლის პროლეტარებს მთელ რუსეთში, გაუწოდოს დახმარების ხელი, პროლეტარების ორგანიზებული ავანგარდის ძლიერი ხელი სოფლის პროლეტარებს.

«პრავდა» №№ 90 და 91;
1917 წ. 7 ივლისი (24 ივნისი)
და 8 ივლისი (25 ივნისი)
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

უნიათო რევოლუცია

«ბოლშევიკები არიან ყველაფერში დამნაშავენიო» — ამაზე თანახმანი არიან კადეტებიც, რომლებიც ხელმძღვანელობენ კონტრრევოლუციას, და «სოციალისტ-რევოლუციონერებიც» მენშევიკებთან ერთად, რომლებიც «რევოლუციურ დემოკრატიას» უწოდებენ თავიანთ თავს დემოკრატიზმისა და რევოლუციურობისაგან ამ საყვარელი ბლოკის ყოველდღიური გადახვევის გამო.

«ბოლშევიკები არიან ყველაფერში დამნაშავენი» — მზარდ ნგრევაშიც, რომლის წინააღმდეგ არაფერი კეთდება, სურსათის საქმის ცუდ მდგომარეობაშიც, დროებითი მთავრობის «მარცხშიც» უკრაინისა და ფინეთის მიმართ. თითქოს, შეიძლება იფიქრო, რომ თავდაჭერილ, ზომიერ, ფრთხილ ფინელთა წრეში შეპარულა ვილაც ბოროტი ბოლშევიკი და მთელი ხალხი «შეუშფოთებია»!

ღვარძლითა და ცოფით აღსავსე საყოველთაო ღმუილი ბოლშევიკების წინააღმდეგ, ცილისწამების ბინძური კამპანია ბინძური ვაჟბატონების ზასლავსკებისა, «რეჩის» და «რაბოჩაია გაზეტას» ანონიმებისა — ყოველივე ეს უნიათო რევოლუციის წარმომადგენლებისათვის მხოლოდ გარდუვალი მისწრაფებაა «იჯეროს გული» თავიანთი პოლიტიკის მთელ რიგ «მარცხთა» გამო.

კადეტები კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის პარტიაა. ეს აღიარა რუსეთის მმართველმა ესერებისა და მენშევიკე-

ბის ბლოკმაც, რომელმაც საბჭოების ყრილობის რეზოლუციაში განაცხადა, რომ მჭონებელი კლასების წინააღმდეგობა იზრდება და შეადგენს კონტრრევოლუციის საფუძველსაო. და ამავე დროს ეს ბლოკი, რომელსაც «რეჩი» ყოველდღე ბრალად სდებს უხასიათობას, თავის მხრივ თვითონ არის ბლოკში კადეტებთან, თან ფრიად ორიგინალურ ბლოკში, რომელიც დროებითი მთავრობის შემადგენლობით არის განმტკიცებული!

ორი ბლოკი — აი ვინ მართავს რუსეთს, ესერების ბლოკი მენშევიკებთან და ამ ბლოკის ბლოკი კადეტებთან, რომლებიც ბლოკში არიან ყველა, მათზე უფრო მარჯვნით მდგომ პოლიტიკურ პარტიასთან. აქედან გარდუვალად გამომდინარეობს რევოლუციის უნიათობა, ვინაიდან ამ მმართველი «ბლოკთა ბლოკის» ყველა ნაწილი უნიათოა.

კადეტებს თვითონ არა სწამთ თავიანთი რესპუბლიკანიზმი, და მით უფრო არა სწამთ იგი ოქტიაბრისტებს და სხვა ჯურის მონარქისტებს, რომლებიც ახლა კადეტს არიან ამოფარებულნი და მას აძლევენ ხმას. კადეტებს არა სწამთ რა «სოციალ-ბლოკელებისა»; ისინი ხალისით იყენებენ მათგან წარმოგზავნილ მინისტრებს ყოველგვარი «დამშვიდებისათვის» «გასაგზავნად», მაგრამ ამავე დროს ბრაზობენ, სისინებენ და აღშფოთებული არიან გლეხთა და ნაწილობრივ მუშათა იმ მასის «მომთხოვნელობის» გამო, რომელიც ახლა მიენდო ესერებსა და მენშევიკებს მათ მაღალფარდოვან დაპირებათა გულისათვის («დააკმაყოფილონ მშრომელნი და ამავე დროს არ აწყენინონ კაპიტალისტებს»), მაგრამ რომელსაც აქვს თავხედობა მოელოდეს და მოითხოვდეს ამ დაპირებათა ნამდვილად შესრულებას!

სოციალ-ბლოკელებს არა სწამთ რა ერთმანეთისა: ესერებს არა სწამთ რა მენშევიკებისა და პირიქით. დღევანდლამდე რამდენადმე ნათლად, აშკარად, პრინციპულად არც ერთს «უძვირფასეს ნახევარს» არ გაუბედნია ყველას წინაშე, ოფიციალურად, განეცხადებინა, როგორ, რატომ, რის გულისათვის, რა ფარგლებამდე გაერთიანდნენ სტრუვისტუ-

ლად კონსტრუირებული «მარქსიზმის» მომხრენი და «მიწის უფლების» მომხრენი. ჭრაჭაჭრუჭი გაუდის ერთობას თვითეული ამ «უძვირფასესი ნახევრის» შიგნითაც კი: ესერების ყრილობამ 136 ხმით 134 ხმის წინააღმდეგ «გააცურა» კერენსკი, რამაც გამოიწვია თვით «ბებიას» [45] გასვლა ცენტრალური კომიტეტიდან და ცენტრალური კომიტეტის განმარტება, თითქოს კერენსკი არ აირჩიეს იმის გამო, რომ ის მეტისმეტად დატვირთულია მინისტრის მოვალეობით (ჩერნოვისაგან განსხვავებით). «მემარჯვენე» ესერები «ვოლია ნაროდაში» ლანძღავენ თავიანთ პარტიას და მის ყრილობას, მემარცხენენი შეკუნჭულან «ზემლია ი ვოლიაში» [46] და ბედავენ იმის ლაპარაკს, რომ მასებს არა სურთ ომი, ისევ იმპერიალისტურ ომად მიაჩნიათ იგიო.

მენშევიკებს შორის «დენში» გადაბარგდა მემარჯვენე ფრთა, პოტრესოვის მეთაურობით, რომელსაც «მოსიყვარულე თვალით ეალერსება» თვითონ «ედინსტვო» (რომელსაც ჯერ კიდევ გუშინ ბლოკი ჰქონდა მენშევიკების მთელ პარტიასთან პიტერის არჩევნებში). მემარცხენე ფრთა თანაუგრძნობს ინტერნაციონალიზმს და ააოსებს თავის გაზეთს. ბანკების ბლოკი პოტრესოვთან გაზეთ «დენის» მენშევიკობით, ყველა მენშევიკის ბლოკი, თვით პოტრესოვამდე და მარტოვამდე, «ერთიანი» მენშევიკური პარტიის მეშვეობით.

განა ეს უნიათობა არ არის?

«ობორონცობა» ცუდად ჰფარავს ამ უნიათო რევოლუციას, ვინაიდან ახლაც კი, იმპერიალისტური ომის განახლების შემდეგაც კი, შეტევით გამოწვეული აღტაცების ოხშივარშიც კი გამწვავდა პოტრესოვის მომხრეთა «შეტევა» ერთ კავშირში მყოფ მის მოწინააღმდეგეებზე, კერენსკის მომხრეებისა — მეორე კავშირში მყოფ მის მოწინააღმდეგეებზე.

«რევოლუციურ დემოკრატიას» აღარა სწამს რევოლუცია, ეშინია დემოკრატიისა, ყველაზე უფრო ამ ქვეყნად ეშინია ინგლისელ-ფრანგ კაპიტალისტებთან კავშირის გაწყვეტისა, ეშინია რუსი კაპიტალისტების უკმაყოფილებისა.

(«ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულიაო», — ეს, დანის, წერეთლისა და სკობელევის მიერ სასაცილოდ დამახინჯებული «ჭეშმარიტება» იწამა «თვითონ» მინისტრმა ჩერნოვმა.) კადეტებს სძულთ რევოლუცია და დემოკრატია.

განა ეს უნიათობა არ არის?

ბოლშევიკების წინააღმდეგ ღვარძლითა და ცოფით აღსავსე საყოველთაო ველური ღმუილი არის კადეტების, ესერებისა და მენშევიკების საერთო ჩივილი თავიანთ საკუთარ უნიათობაზე.

ისინი უმრავლესობას შეადგენენ. ისინი ხელისუფლების სათავეში არიან. ისინი ყველანი ერთმანეთთან ბლოკში არიან. და ისინი ხედავენ, რომ მათ არაფერი არ გამოუდით!! როგორ არ უნდა იბრაზონ ბოლშევიკების წინააღმდეგ?

რევოლუციამ დასვა არაჩვეულებრივი სიძნელის, გიგანტური მნიშვნელობის, მსოფლიო მასშტაბის საკითხები. არც ნგრევის დაძლევა, არც იმპერიალისტური ომის საშინელი კლანჭებისაგან თავის დაღწევა არ შეიძლება ისე, თუ არ იქნა მიღებული უაღრესად გადამწყვეტი, ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა მასების თავდადებულ გმირობაზე დაყრდნობილი რევოლუციური ზომები, თუ ამ მასებმა ნდობა არ გამოუცხადეს და მხარი არ დაუჭირეს თავიანთ ორგანიზებულ ავანგარდს — პროლეტარიატს.

მასები ჯერჯერობით შინჯავენ მოძებნონ «უფრო იოლი» გამოსავალი: ესერებისა და მენშევიკების ბლოკთან კადეტების ბლოკის მეშვეობით.

გამოსავალი არა ჩანს.

«პრავდა» № 91,
1917 წ. 8 ივლისი (25 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კლასობრივი ძვრა

ყოველი რევოლუცია, თუ ის ნამდვილი რევოლუციაა, კლასობრივი ძვრით გამოიხატება. ამიტომაც საუკეთესო ხერხი მასების შეგნების გასათვითცნობიერებლად, — აგრეთვე რევოლუციის დაფიცების საშუალებით მასების მოტყუებასთან საბრძოლველად — არის იმის გარჩევა, თუ სახელდობრ რა კლასობრივი ძვრა მოხდა და ხდება ამ რევოლუციაში.

1904—1916 წლების მანძილზე კლასების თანაფარდობა რუსეთში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ცარიზმის უკანასკნელი წლების განმავლობაში. ერთი მუჭა მებატონე-მემამულენი, ნიკოლოზ II მეთაურობით, იდგნენ ხელისუფლების სათავეში, უმჭიდროესად შეკავშირებულნი ფინანსური კაპიტალის მაგნატებთან, რომლებიც ევროპისათვის გაუგონარ მოგებას იღებდნენ და რომელთა სასარგებლოდ იდებოდა საგარეო პოლიტიკის მძარცველური ხელშეკრულებანი.

ლიბერალური ბურჟუაზია, კადეტების მეთაურობით, ოპოზიციაში იყო. ეს ბურჟუაზია, რომელსაც ხალხისა უფრო ეშინოდა, ვიდრე რეაქციისა, ძალაუფლებისაკენ მიჩოჩავდა მონარქიასთან შემთანხმებლობის გზით.

ხალხი, ე. ი. მუშები და გლეხობა, რომელთა წინამძღოლები იატაკქვეშეთში იყვნენ ჩარეკილნი, რევოლუციური იყო და წარმოადგენდა «რევოლუციურ დემოკრატიას», პროლეტარულსა და წვრილბურჟუაზიულს.

1917 წლის 27 თებერვლის რევოლუციამ აღგავა მონარქია და ხელისუფლების სათავეში ლიბერალური ბურჟუაზია დააყენა. ამ უკანასკნელს, რომელიც მოქმედებდა ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტებთან აშკარა შეთანხმებით, სურდა პატარა გადატრიალება სასახლის ფარგლებში. მას არავითარ

შემთხვევაში არ უნდოდა წასულიყო ცენზიანი კონსტიტუციური მონარქიის იქით. და როდესაც რევოლუცია სინამდვილეში წავიდა უფრო შორს, მონარქიის სრული მოსპობისა და საბჭოების (მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების) შექმნისაკენ, ლიბერალური ბურჟუაზია მთლიანად კონტრრევოლუციური გახდა.

ახლა, გადატრიალების ოთხი თვის შემდეგ, ლიბერალური ბურჟუაზიის მთავარი პარტიის, კადეტების კონტრრევოლუციურობა დღესავით ნათელია. ამას ყველა ხედავს. ყველა იძულებულია აღიაროს ეს. მაგრამ ყველა როდია თანახმა თვალი გაუსწოროს ამ სიმართლეს და დაუფიქრდეს მის მნიშვნელობას.

რუსეთში ახლა დემოკრატიული რესპუბლიკაა; მას განაგებს თავისუფალი შეთანხმება პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ა, რომლებიც თავისუფლად ეწევიან აგიტაციას ხალხში. 27 თებერვლის შემდეგ გასულმა ოთხმა თვემ სავსებით დარაზმა და ჩამოაყალიბა ყ ვ ე ლ ა რამდენადმე მნიშვნელოვანი პარტია, გამოაჩინა ისინი არჩევნებში (საბჭოებისა და ადგილობრივ დაწესებულებათა არჩევნებში), გამოამჟღავნა მათი კავშირი სხვადასხვა კლასთან.

რუსეთში ახლა ხელისუფლების სათავეშია კონტრრევოლუციური ბურჟუაზია, რომლის მიმართ «მისი უდიდებულესობის ოპოზიციად» გახდა წვრილბურჟუაზიული დემოკრატია, სახელდობრ ესერებისა და მენშევიკების პარტიები. ამ პარტიების პოლიტიკის დედაარსი კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასთან შ ე მ თ ა ნ ხ მ ე ბ ლ ო ბ ა შ ი მდგომარეობს. წვრილბურჟუაზიული დემოკრატია ძალაუფლებისაკენ მიიწევს, ამასთან ჯერ ავსებს ადგილობრივ დაწესებულებებს (ისევე როგორც ლიბერალები ცარიზმის დროს ჯერ ეუფლებოდნენ ერობებს). ამ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას სურს ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს გ ა ყ ო ფ ა ბურჟუაზიასთან და არა მისი დამხობა, სავსებით ისევე, როგორც კადეტებს სურდათ ძალაუფლების გაყოფა მონარქიასთან და არა მონარქიის დამხობა. წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის (ესერები და მენშევიკები) შემთანხმებლო-

ბაც კადეტებთან ისევე გამოწვეულია წვრილი და მსხვილი ბურჟუების ღრმა კლასობრივი ნათესაობით, როგორც კაპიტალისტის კლასობრივი ნათესაობა XX საუკუნის ვითარებაში მცხოვრებ მემამულესთან აიძულებდა მათ ერთმანეთს ჩაჰკვროდნენ «სათაყვანებელი» მონარქის ირგვლივ.

შეიცვალა შემთანხმებლობის ფორმა: მონარქიის დროს ეს ფორმა ტლანქი იყო, მეფე კადეტს მხოლოდ სახელმწიფო სათათბიროს დერეფნებში უშვებდა. დემოკრატიული რესპუბლიკის დროს შემთანხმებლობა ევროპულად დახვეწილი გახდა: წვრილ ბურჟუებს უშვებენ უწყინარი უმცირესობით და უწყინარ (კაპიტალისათვის უწყინარ) როლებზე სამინისტროში.

კადეტებმა დაიკავეს მონარქიის ადგილი. წერეთლებმა და ჩერნოვებმა დაიკავეს კადეტების ადგილი. პროლეტარულმა დემოკრატიამ დაიკავა ნამდვილი რევოლუციური დემოკრატიის ადგილი.

არაჩვეულებრივ დააჩქარა მთელი განვითარება იმპერიალისტურმა ომმა. უიმისოდ ესერებსა და მენშევიკებს ათეული წლების განმავლობაში შეეძლოთ ოხვრა მინისტრების ადგილების გამო. მაგრამ იგივე ომი აჩქარებს შემდგომ განვითარებასაც, ვინაიდან იგი საკითხებს აყენებს არა რეფორმისტულად, არამედ რევოლუციურად.

ესერებისა და მენშევიკების პარტიებს ცოტა რეფორმის მოცემა როდი შეეძლოთ რუსეთისათვის ბურჟუაზიასთან შეთანხმებით. მაგრამ მსოფლიო პოლიტიკაში ობიექტური მდგომარეობა რევოლუციურია, ამ მდგომარეობას რეფორმებით თავს ვერ დააღწევ.

იმპერიალისტური ომი ჰქელავს და გაჰქელავს ხალხებს. დალუპვის ვადის გადადება წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატიამ, იქნებ, ცოტახნით შესძლოს. დალუპვისაგან ხსნა მხოლოდ რევოლუციურ პროლეტარიატს შეუძლია.

«პრავდა» № 92,
1917 წ. 10 ივლისი (27 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

რევოლუციური ენერგიის სასწაულები

ჩვენი თითქმის სოციალისტი მინისტრები ავითარებენ თითქმის დაუჯერებელ ენერგიას. პეშეხონოვმა გამოაცხადა, რომ «კაპიტალისტების წინააღმდეგობა, ეტყობა, გატეხილია» და რომ ჩვენში, კურთხეულ რუსეთში, «თანაბრად» განაწილდება ყოველივე, რაც კი არისო. სკობელევმა გამოაცხადა, რომ კაპიტალისტებს ჩამოვართმევთ მოგების 100%-სო. წერეთელმა გამოაცხადა, რომ შეტევა იმპერიალისტურ ომში ყოვლად სამართლიანი რამ არის დემოკრატიისა და სოციალიზმის თვალსაზრისითაო.

მაგრამ სასწაულებრივი ენერგიის მთელი ამ გამოვლინების რეკორდი, უეჭველია, დაამყარა მინისტრმა ჩერნოვმა. დროებითი მთავრობის უკანასკნელ სხდომაზე ჩერნოვმა აიძულა ბბ. კადეტები მოესმინათ მისი მოხსენება მისთვის მინდობილი უწყების საერთო პოლიტიკის შესახებ და განაცხადა, რომ შემომაქვს მთელი ა თ ი კანონპროექტიო!

განა ეს რევოლუციური ენერგიის სასწაულები არ არის? 6 მაისის შემდეგ 6 კვირაზე ნაკლებმა განვლო, და ამ მოკლე ხნის განმავლობაში შ ე გ ვ პ ი რ დ ნ ე ნ მთელ 10 კანონპროექტს! და მერე რა კანონპროექტებს! მინისტრული «დელო ნაროდა» იუწყება, რომ ისინი «ერთობლივად მოიცავენ სოფლის სამეურნეო ცხოვრების ყველა ძირითად გამოვლინებასაო».

არც მეტი, არც ნაკლები — «ყველა გამოვლინებას»... აბა როგორ არ ეზარებათ ფიცი?

ერთი რამ საეჭვოა: 100-ზე მეტ სტრიქონს უძღვნის მინისტრული გაზეთი ამ ზოგიერთი საუცხოო კანონპროექტის ჩამოთვლას და ამავე დროს არც ერთზე არ იძლევა რაიმე ცხად წარმოდგენას. «გლეხთა შესახებ ზოგიერთი კანონის მოქმედების შეჩერება»... არ ვიცით, რა კანონებისა. კანონპროექტი «შემარიგებელი კამერების» შესახებ — ყველაზე საინტერესოა. არ ვიცით, ვინ ვისთან და როგორ უნდა შეარიგო. «საიჯარო ურთიერთობათა მოწესრიგება» — სრულიად ბუნდოვანია; ისიც კი არ არის ცნობილი, ეხება თუ არა საქმე მემამულეთა მიწების იჯარას, რომელთა გამოუსყიდავად ექსპროპრიაციას შეგვპირდნენ.

«რეფორმა ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების მეტი დემოკრატიზაციის აზრით»... განა არ აჯობებდა, მაღალფარდოვან დაპირებათა ბატონო შემთხზველნო, დაუყოვნებლივ ჩამოგეთვალათ თუნდაც ათიოდე ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტი და ზუსტად აღგენიშნათ მათი ახლანდელი, რევოლუციის შემდგომი და მაინც, თქვენი საკუთარი აღიარებით, არა მთლად დემოკრატიული შემადგენლობა?

საქმეც ის არის, რომ მინისტრ ჩერნოვის, ისევე როგორც ზემოთ დასახელებული დანარჩენი მინისტრების მჩქეფარე საქმიანობა საუკეთესო ილუსტრაციაა იმ განსხვავებისა, რომელიც არსებობს ლიბერალურ მოხელესა და რევოლუციურ დემოკრატს შორის.

ლიბერალი მოხელე «უფროსებს», ე. ი. ბატონ ლვოვს, შინგარიოვსა და კომპანიას, უკითხავს უვრცელეს მოხსენებებს ასობით კანონპროექტის შესახებ, რომლებმაც უნდა გააბედნიერონ კაცობრიობა, ხალხს კი... ხალხს ის უმასპინძლდება მხოლოდ ყბედობით, დაპირებებით, ნოზდრიოვის ფრაზებით (როგორიცაა მოგების 100% ან «სოციალისტური» შეტევა ფრონტზე და მისთ.).

რევოლუციური დემოკრატი კი «უფროსებთან» მოხსენების წარდგენასთან ერთად და უფრო ადრეც, ვიდრე იგი მოხსენებას წარმოადგენდეს, ყოველ ბოროტებას, ყოველ

ნაკლს ააშკარავებს, ამხელს ხალხის წინაშე, მიმართავს მ ი ს ენერგიას.

«გლეხებო, ამხილეთ მემამულენი, ამხილეთ, რამდენს გართმევენ ისინი «საიჯარო ფასის» სახით, რამდენად გააჯანჯლეს მათ საქმე «შემარიგებელ კამერებში» თუ ადგილობრივ საადგილმამულო კომიტეტებში, რამდენს შარობენ ან დაბრკოლებას უქმნიან მთელი მიწის დამუშავების საქმეს, ხალხისა და განსაკუთრებით მისი უღარიბესი ნაწილის საჭიროებისათვის მემამულეთა ინვენტარის გამოყენების საქმეს! ამხილეთ ეს თვითონ თქვენ, გლეხებო, მე კი, «რევოლუციური რუსეთის მინისტრი», «რევოლუციური დემოკრატიის მინისტრი», დ ა გ ე ხ მ ა რ ე ბ ი თ დაბეჭდოთ ყოველი ასეთი მხილება, აღმოფხვრათ ყოველი შევიწროება თქვენი შეტევითაც ქვემოდან და ჩემი შეტევითაც ზემოდან!!!» განა ასე არ ილაპარაკებდა და ასე არ იმოქმედებდა ნამდვილი რევოლუციური დემოკრატი?

რა სათქმელია! საიდან სადაო! აი რა ენით წერს მინისტრული გაზეთი ჩერნოვის «მოხსენებაზე» ბატონ ლვოვისა და კომპანიისადმი. «არ უარყოფს რა, რომ ზოგიერთ გუბერნიაში ხდება მთელი რიგი აგრარული ექსცესები, ვ. მ. ჩერნოვი ფიქრობს, რომ საერთოდ და მთლიანად რუსეთის სოფელი გაცილებით უფრო წონასწორი აღმოჩნდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო»...

ხოლო ერთადერთ, აშკარად დასახელებულ კანონპროექტზე — «მიწის ყიდვა-გაყიდვის შეჩერების შესახებ» ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, თუ რატომ არის იგი «შ ე ჩ ე რ ე ბ უ ლ ი»? ვინაიდან გლეხებს დიდიხანია აღუთქვეს ყიდვა-გაყიდვის დაუყოვნებლივ შეჩერება, აღუთქვეს ჯერ კიდევ მაისში, ხოლო 25 ივნისს ბეჭდავენ, რომ ჩერნოვმა «მოხსენება» წაიკითხა და რომ «საბოლოო დადგენილება» დროებით მთავრობას «ჯერ არ გამოუტანიაო»!!!

«პრავდა» № 92,
1917 წ. 10 ივლისი (27 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ფრაზები და ფაქტები

მინისტრმა სკობელევმა გამოაქვეყნა მიმართვა რუსეთის ყველა მუშისადმი. «ჩვენი» (სწორედ ასეა ნათქვამი: ჩვენი) სოციალისტური იდეალის გულისათვის, რევოლუციის გულისათვის, რევოლუციური დემოკრატიის სახელით და სხვა და სხვა და სხვა — მუშებს უქადაგებენ «შემარიგებელ კამერებს» და სასტიკად გმობენ ყოველ «თვითნებურ» მოქმედებას.

აი რა კარგად ჭიკჭიკებს თითქმის სოციალისტი მინისტრი, მენშევიკი სკობელევი:

«თქვენ (მუშებს) სრული საფუძველი გაქვთ აღშფოთებული იყოთ მჭონებელი კლასების გამდიდრებით ომის დროს. მეფის მთავრობამ ხალხის ფული მილიარდობით გაფლანგა. რევოლუციის მთავრობამ ეს ფული ხალხის ხაზინას უნდა დაუბრუნოს».

კარგად ჭიკჭიკებს... სადღაც ხმა ჩაუწყდება!

ბ-ნ სკობელევის მიმართვა გამოქვეყნდა 28 ივნისს. კოალიციური სამინისტრო შეიქმნა 6 მაისს. და მთელი ამ ხნის განმავლობაში, როდესაც გაუგონარი სიმძიმის ნგრევა და კატასტროფა ბუმბერაზული ნაბიჯებით უახლოვდება ქვეყანას, არც ერთი სერიოზული ნაბიჯი არ გადაუდგამს მთავრობას კაპიტალისტების წინააღმდეგ, რომლებმაც «მილიარდები» ჩაიჯიბეს! ეს მილიარდები რომ «ხალხის ხაზინისათვის დაებრუნებინათ», საჭირო იყო 7 მაისს გამოეცათ კანონი სავაჭრო და საბანკო საიდუმლოების გაუქმებისა და კაპიტალისტთა ბანკებისა

და სინდიკატების მიმართ კონტროლის დაუყოვნებლივ განხორციელების შესახებ, ვინაიდან სხვაგვარად ამ მილიარდების არათუ დაბრუნება, არამედ მონახვაც კი შეუძლებელია.

ნუთუ მენშევიკ მინისტრს სკობელევს მუშები მიაჩნია პატარა ბალღებად, რომლებსაც შეიძლება გაუმასპინძლდე შეუძლებელის დაპირებით («მილიარდების» «დაბრუნება» შეუძლებელია, ღმერთმა ქნას, რომ შეწყდეს ხაზინის ქურდობა და დაბრუნებულ იქნას თუნდაც ერთი-ორი ასეული მილიონი) და ამავე დროს მთელი კვირაობით არ შეასრულო შესაძლებელი და აუცილებელი?

რაღაც ეშმაკად, სწორედ იმ დღეს, როდესაც მენშევიკმა მინისტრმა მუშების წინაშე ფრიად ეფექტური, რესპუბლიკური, რევოლუციური და «სოციალისტური» ფრაზების კიდევ ერთი თაიგული მიმოაბნია, სწორედ ამ დღეს ობორონცების (ე. ი. შოვინისტების) მუშებთან «გამაერთიანებელს» ამხ. ავილოვს თავში მოუვიდა არაჩვეულებრივ ბედნიერი, უაღრესად ბედნიერი აზრი — დაეწერა «ნოვაია ჟიზნში» სტატია უდასკვნებოდ, მაგრამ ფაქტების შემცველი.

არაფერია ქვეყნად ესოდენ მჭევრმეტყველი, ვიდრე ეს უბრალო ფაქტებია.

5 მაისს შეიქმნა კოალიციური სამინისტრო. საზეიმო დეკლარაციაში იგი გვპირდება... «წარმოების» კონტროლსაც და... «ორგანიზაციასაც» კი. 16 მაისს პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იღებს «დირექტივებს» თავისი მინისტრებისათვის და მოითხოვს «დაუყოვნებლივ (ყური უგდეთ!) შეუდგნენ წარმოების სახელმწიფო მოწესრიგების ყოვლად ენერგიულ განხორციელებას» (ღმერთმანი, სწორედ ასე წერია!) და სხვა და სხვა და სხვა.

იწყება ენერგიული განხორციელება.

19 მაისს გადადგა კონოვალოვი მეტად «ენერგიული» განცხადებით... «უკიდურესი სოციალისტების» წინააღმდეგ!

1 ივნისს შესდგა მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელთა სრულიად რუსეთის კონფერენცია. კონფერენცია გადაჭრით ილაშქრებს კონტროლის წინააღმდეგ. კონოვალოვის შემდეგ დარჩენილი სამი ამხანაგი მინისტრისა «ენერგიულად ახორციელებს»: მინისტრის პირველი ამხანაგი სტეპანოვი დონეცის ქვანახშირის მრეწველთა კონფლიქტში (რომლებიც იტალიური გაფიცვით ღუპავენ წარმოებას) მხარს უჭერს... მეწარმეებს. მეწარმენი ამის შემდეგ უარყოფენ სკობელევის ყველა შემარიგებელ წინადადებას.

მინისტრის მეორე ამხანაგი პალჩინსკი საბოტაჟს უწევს «თათბირს სათბობის საკითხზე».

მინისტრის მესამე ამხანაგი სავინი ქმნის მოწესრიგების «ტლანჭ და არცთუ მახვილგონიერ კარიკატურას» რაღაც «უწყებათაშორისო თათბირის» სახით.

10 ივნისს მინისტრის პირველმა ამხანაგმა სტეპანოვმა დროებით მთავრობას წარუდგინა «მოხსენება», რომელიც ეკამათება აღმასრულებელი კომიტეტის პროგრამას.

21 ივნისს საბჭოების ყრილობა იღებს კიდევ რეზოლუციას...

ქვემოთ ქმნიან მომარაგების თვითნებურ კომიტეტებს. ზემოდან გვპირდებიან მთავარ «ეკონომიურ საბჭოს». მინისტრის მეორე ამხანაგი პალჩინსკი განმარტავს: «როდის დაიწყებს იგი (ეკონომიური საბჭო) მოქმედებას, ძნელი სათქმელია»...

ეს დაცინვად გაისმის, მაგრამ ეს ფაქტებია.

კაპიტალისტები აბუჩად იგდებენ მუშებსა და ხალხს, — განაგრძობენ ფარული ლოკაუტების პოლიტიკას, სკანდალური მოგების დაფარვის პოლიტიკას, ხოლო სკობელევებს, წერეთლებს, ჩერნოვებს გზავნიან მუშების «დასაწყნარებლად» ფრაზებით.

«პრავდა» № 94,
1917 წ. 12 ივლისი (29 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

როგორ მალავენ მოგებას ბატონი კაპიტალისტები

(კონტროლის საკითხისათვის)

რა ბევრს ლაპარაკობენ კონტროლზე! და რა ცოტა შინაარსია ამ ბევრ ლაპარაკში. როგორ უვლიან გვერდს საქმის დედაარსს ზოგადი ფრაზებით, მაღალფარდოვანი სიტყვებით, საზეიმო «პროექტებით», რომლებსაც უწერიათ სამუდამოდ დარჩენა პროექტებად.

საქმის დედაარსი კი ის არის, რომ თუ არ იქნება გაუქმებული კომერციული და საბანკო საიდუმლოება, თუ დაუყოვნებლივ არ გამოიცემა კანონი მუშათა კავშირებისათვის სავაჭრო დავთრების გადაშლის შესახებ, ისე ყველა ფრაზა კონტროლზე და კონტროლის ყველა პროექტი ყოვლად ფუჭი სიტყვიერებაა.

აი ამის პატარა, მაგრამ საგულისხმო ილუსტრაცია. ერთი ამხანაგი, ბანკის მოსამსახურე, ჩვენ გვაუწყებს შემდეგ მონაცემებს, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ მალავენ მოგებას ოფიციალურ ანგარიშებში.

1917 წლის 7 მაისის «ვესტნიკ ფინანსოვ»ში, № 18, გამოქვეყნებულია პეტროგრადის გამწაღებელი და გამსესხებელი ბანკის ანგარიში. ამ ანგარიშით, ბანკის წმინდა მოგება ნაჩვენებია 13 მილიონი მანეთი (ზუსტი ციფრი უდრის 12,96 მილიონს; ტექსტში ჩვენ მოვიყვანთ დამრგვალებულ ციფრებს, ფრჩხილებში კი — ზუსტ ციფრებს).

მაგრამ საქმის მცოდნე კაცი, თუ ანგარიშს უფრო ახლოს დააკვირდება, მაშინვე დაინახავს, რომ ეს სრულია-

დაც არ არის მთელი მოგება, რომ მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი ოსტატურად დამალულია სხვა მუხლებში, ასე რომ ვერავითარი «გადასახადი», ვერავითარი «იძულებითი სესხი» და საერთოდ ვერავითარი ფინანსური ღონისძიება — თუ სავსებით არ გაუქმდება კომერციული და საბანკო საიდუმლოება — მას ვერასოდეს ვერ მიაგნებს. მართლაც, განსაკუთრებული სარეზერვო კაპიტალის ანგარიშზე ნაჩვენებია 5 ½ მილიონი მანეთი. სწორედ ეგრეთწოდებულ რეზერვში ან სარეზერვო კაპიტალში ძალიან ხშირად ჩაწერენ ხოლმე მოგებას, რათა დამალონ იგი. თუ მე, მილიონერმა, 17 მილიონი მოგება მივიღე და აქედან 5 მილიონი «დავარეზერვე» (ე. ი., ჩვენებურად რომ ვთქვათ, მარაგად გადავდევი), მაშინ საკმარისია ჩავიწერო ეს 5 მილიონი როგორც «სარეზერვო კაპიტალი», და საქმე გაჩარხულია! ყველა და ყოველგვარი კანონი «სახელმწიფო კონტროლის», «მოგების სახელმწიფო დაბეგვრისა» და სხვათა შესახებ გვერდავლილია!!

შემდეგ. შემოსული პროცენტებისა და კომისიის ანგარიშზე ნაჩვენებია იმავე ანგარიშში 1 მილიონზე ცოტა ნაკლები (825 ათასი). «კითხვა იბადება, — გვწერს ბანკის მოსამსახურე, — რა თანხიდან შესდგება საერთოდ ბანკის მოგება, თუ შემოსული პროცენტები ნაჩვენებია არა მოგების ანგარიშზე??»

მერე. წინა წლების მოგების ნაშთის ანგარიშზე ნაჩვენებია 300 ათასი მანეთი, რომელიც მოგების საერთო თანხაში არ არის ნაჩვენები!! სულ, მაშასადამე, წინანდელ მუხლთან ერთად კიდევ მილიონზე მეტი მოგება აღმოჩნდა დამალული. გარდა ამისა, 224 ათასი მანეთი «აქციონერებისათვის გადაუხდელი დივიდენდი» აგრეთვე არ არის აღნიშნული მოგების საერთო თანხაში, თუმცა ყველამ იცის, რომ დივიდენდს წმინდა მოგებიდან იძლევიან.

შემდეგ. ანგარიშში არის კიდევ 3,8 მილიონი მანეთი — «გარდამავალი თანხა». «რა არის ეს გარდამავალი თანხა, — გვწერს ამხანაგი, — ამის გარკვევა ძნელია ისეთი პირისათვის,

ვინც უშუალო მონაწილეობას არ იღებს საქმეში. შეიძლება მხოლოდ ერთი რამ ითქვას: «გარდამავალი თანხის» სახელწოდებით შეიძლება დამალო, ანგარიშის შედგენისას, მოგების ნაწილი, მერე კი იქიდან გადაიტანო «სადაც ჯერ არს».

დასკვნა: მოგება ნაჩვენებია 13 მილიონი მანეთი, ნამდვილად კი იგი, ალბათ, უდრის 19-დან 24 მილიონამდე — 80%-დე ძირითად კაპიტალზე, რაც 30 მილიონ მანეთს შეადგენს.

განა ცხადი არ არის, რომ მთავრობის მუქარა კაპიტალისტების მიმართ, მთავრობის დაპირებანი მუშებისადმი, მთავრობის პროექტები და კანონები უმსხვილესი კაპიტალისტებისაგან მოგების 90%-ის გადახდევინების შესახებ — ფუჭი ლაპარაკია და მეტი არაფერი, ვიდრე კომერციული და საბანკო საიდუმლოება არ გაუქმებულა?

«პრავდა» № 94,
1917 წ. 12 ივლისი (29 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კრიზისი ახლოვდება, ნგრევა იზრდება

იძულებული ვართ ყოველდღე განგაში ავტეხოთ. ყოველი ბრიყვი კაცუნა ჩვენ გვისაყვედურებდა, «ჩქარობთ» მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადაცემას ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა დეპუტატების ხელშიო, «უფრო ზომიერი და წესიერი» იქნებოდა დარბაისლურ დამფუძნებელ კრებას დარბაისლურად «დავლოდებოდითო».

ახლა ამ წვრილბურჟუაზიულ სულელებში ყველაზე უფრო სულელებსაც კი შეუძლიათ დაინახონ, რომ ცხოვრება არ იცდის, რომ ჩვენ კი არ «ვჩქარობთ», არამედ ჩქარობს ნგრევა.

წვრილბურჟუაზიულმა ლაჩრობამ, ესერებისა და მენშევიკების პარტიების სახით, გადაწყვიტა: დავტოვოთ ჯერჯერობით საქმეები კაპიტალისტთა ხელში, იქნებ ნგრევამ «დაიცადოს» დამფუძნებელ კრებამდეო!

ფაქტები ყოველდღე მეტყველებენ, რომ ნგრევა, ალბათ, არ დაუცდის დამფუძნებელ კრებას, რომ კრახი უფრო ადრე იფეთქებს.

ავიღოთ თუნდაც დღეს გამოქვეყნებული ფაქტები. პეტროგრადის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ეკონომიურმა განყოფილებამ დაადგინა «აცნობოს დროებით მთავრობას», რომ «მოსკოვის რაიონის (15 გუბერნიის) ლითონის მრეწველობა მწვავე

კრიზისულ მდგომარეობაშია», რომ «გუჟონის საქარხნო სამმართველო აშკარად ახდენს წარმოების დეზორგანიზაციას, შეგნებულად მიჰყავს საქმე წარმოების შეჩერებისაკენ», რომ ამიტომ «სახელმწიფო ხელისუფლებამ» (რომელიც ესერებმა და მენშევიკებმა სწორედ გუჟონების პარტიის, კონტრრევოლუციურ კაპიტალისტ-მელოკაუტეთა ხელში დასტოვეს) «თავის გამგებლობაში უნდა აიღოს ქარხნის მმართველობა... და მისცეს საბრუნავი სახსრები».

საბრუნავი სახსრები სასწრაფოდ არის საჭირო 5 მილიონ მანეთამდე.

თათბირი (ეკონომიური განყოფილებისა და მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოს მომარაგების განყოფილების დელეგაციისა) «მიაქცევს დროებითი მთავრობის ყურადღებას» (საცოდავი, გულუბრყვილო, ბავშვსავით უცოდინარი დროებითი მთავრობა! ეს მან არ იცოდა! მას ბრალი არ მიუძღვის!! იგი შეიტყობს, მას ჩააგონებენ, სირცხვილში ჩააგდებენ დანები და ჩერევანინები, ავქსენტიევები და ჩერნოვები!) «იმაზე, რომ მოსკოვის საქარხნო თათბირი და მოსკოვის რაიონის მომარაგების კომიტეტის დროებითი ბიურო უკვე იძულებული იყვნენ ხელი შეეშალათ კოლომნის ორთქლმავალმშენებელი ქარხნის, აგრეთვე სორმოვოს და ბრიანსკის (ბეჟეცკში) ქარხნების შეჩერებისათვის. მიუხედავად ამისა სორმოვოს ქარხანა ახლა არ მუშაობს მუშების გაფიცვის გამო, და ყოველდღე შეიძლება შეჩერდეს დანარჩენი ქარხნები»...

კატასტროფა არ იცდის. იგი საშინელი სისწრაფით ახლოვდება. დონეცის რაიონის შესახებ ა. სანდომირსკი, რომელიც, უეჭველია, მეტად საფუძვლიანად იცნობს ფაქტებს, წერს დღეს «ნოვაია ჟიზნში»:

«ვამოუვალი წრე — ნახშირის უქონლობა, ლითონის უქონლობა, ორთქლმავლებისა და მოძრავი შემადგენლობის უქონლობა, წარმოების შეჩერება — უფრო და უფრო ფართოვდება. ამასობაში **კი ნახშირი**

იწვის. ქარხნებში ლითონი გროვდება, მაშინ როდესაც მას ვერ მიიღებ იქ, სადაც იგი საჭიროა».

მთავრობა, ესერებისა და მენშევიკების მიერ ზურგგამაგრებული, პირდაპირ აფერხებს ნგრევასთან ბრძოლას: ა. სანდომირსკი იუწყება როგორც ფაქტს, რომ პალჩინსკიმ, ვაჭრობის მინისტრის ამხანაგმა, ფაქტიურად წერეთლებისა და ჩერნოვების კოლეგამ, მრეწველთა საჩივრით, აკრძალა (!!) «თვითნებური» (!!) საკონტროლო კომისიები პასუხად დონეცის კომიტეტის ანკეტისა ლითონის რაოდენობის შესახებ.

ერთი დაფიქრდით, თუ რა საგიჟეთი გამოდის: ქვეყანა იღუპება, ხალხი შიმშილისა და კრახის წინაშეა, ნახშირი და რკინა გვაკლია, თუმცა მათი შოვნა შეიძლება, დონეცის კომიტეტი ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოებს შეშვებით ატარებს ანკეტას ლითონის რაოდენობის შესახებ, ე. ი. ეძებს რკინას ხალხისათვის, ხოლო მრეწველთა მსახური, კაპიტალისტთა მსახური, მინისტრი პალჩინსკი, წერეთლებთან და ჩერნოვებთან ამხანაგობით, კრძალავს ანკეტას. და კრიზისი კვლავ იზრდება, კატასტროფა კიდევ უფრო ახლოვდება.

საიდან და როგორ გაჩნდება ფული? განა ცხადი არ არის, რომ თითო ქარხანაზე 5 მილიონის «მოთხოვნა» ადვილია, მაგრამ ხომ უნდა გავიგოთ, რომ ყველა ქარხანას ბევრად მეტი დასჭირდება?

განა ცხადი არ არის, რომ თუ არ გატარდება ის ღონისძიება, რომელსაც ჩვენ აპრილის დამდეგიდან მოვითხოვთ და ვჭადაგებთ, თუ არ შეერთდება ყველა ბანკი ერთ ბანკად და კონტროლი არ დაწესდება მასზე, თუ არ გაუქმდება კომერციული საიდუმლოება, ისე ფულის შოვნა არ შეიძლება?

გუჟონებსა და სხვა კაპიტალისტებს პალჩინსკების ხელშეწყობით «შეგნებულად» (ეს სიტყვა ეკუთვნის ეკონომიურ განყოფილებას) მიჰყავთ საქმე საწარმოთა გაჩერებისაკენ.

მთავრობა მათ მხარეზეა. წერეთლები და ჩერნოვები უბრალო სამკაული ან უბრალო პაიკები არიან.

განა დრო არ არის გაიგოთ, ბატონებო, რომ ესერებისა და მენშევიკების პარტიები, როგორც პარტიები, პასუხს აგებენ ხალხის წინაშე კატასტროფისათვის?

«პრავდა» № 95,
1917 წ. 13 ივლისი (30 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მაშ როგორ მოვიქცეთ?

«რაბოჩაია გაზეტა» შეშფოთებულია შეტევის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი აზრის გამო. ერთ-ერთი მისი თანამშრომელი იმასაც კი უსაყვედურებს მეორეს, თითქოს მისი მიკიბულ-მოკიბული ფრაზები ბოლოს და ბოლოს იმის აღიარება იყოს, რომ რუსეთის რევოლუციური არმია ახლა ობიექტურად სისხლსა ღვრის არა უანექსიო ზავის გულისათვის, არამედ მოკავშირე ბურჟუაზიის მტაცებლური გეგმების გულისათვის («რაბოჩაია გაზეტა» № 93, გვ. 2, ფელეტონი, სვეტი № 1).

ეი შეტევის სწორედ ეს «ობიექტური» აზრი არ შეიძლება არ აშფოთებდეს მუშათა მასებს, რომლებიც ნაწილობრივ კიდევ მიჰყვებიან მენშევიკებს. ეს კი გამოხატულებას ჰპოვებს «რაბოჩაია გაზეტას» ფურცლებზედაც. გაზეთი მოწადინებულია აშკარად არ გაწყვიტოს კავშირი მუშებთან, ამიტომ ცდილობს როგორმე დაუკავშიროს «შეტევა» რევოლუციურ პროლეტარულ ბრძოლას ზავისათვის. გაქნილი რედაქციის უბედურება კი ის არის, რომ აქ არავითარი კავშირი, გარდა უ ა რ ყ ო ფ ი თ ი კავშირისა, არ შეიძლება დამყარებულ იქნას.

და ძნელია წარმოიდგინო იმაზე უფრო საცოდავ, უფრო დაბნეულ ადამიანთა სანახაობა, ვიდრე არის ეს პატივცემული რედაქცია, რომელსაც შეეშინდა იმავე სულებისა, რაც მანვე ესერებთან ერთად გამოიხმო.

ერთი მხრივ, «რაბოჩაია გაზეტა» იუწყება, რომ «ახლა დასავლეთში რუსეთის შეტევის მნიშვნელობას სავსებით

ყალბად უყურებენ. ინგლისური და ფრანგული ბურჟუაზიული გაზეთები მასში ხედავენ საბჭოს «უტოპიურ» გეგმებზე უარისთქმას. შოვინისტური რეზოლუციები ტარდება კერენსკისა და შემტევი რევოლუციური არმიისადმი მისალმებიხ დროშით. და რუსეთის შეტევის გამო სამხედრო დაფდაფთა გრიალში ძლიერდება რუსეთის დემოკრატიის თანამოაზრეთა დევნა, რომელნიც აღიარებენ ამ დემოკრატიასთან საერთო საზავო პლატფორმას».

მეტად საგულისხმო აღიარებაა! მეტადრე, როდესაც ამას ვხვდებით მინისტრული გაზეთის ფურცლებზე, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ჩვენს წინასწარმეტყველებას, რომ შეტევას ეს გარდუვალი შედეგები მოჰყვებაო, ბოლშევიკური ბოროტგამზრახველობის ნაყოფად თვლიდა. თურმე, საქმე ჩვენი «ბოროტგამზრახველობა» კი არ არის, არამედ ის, რომ საბჭოს ბელადების მიერ შეთვისებულ პოლიტიკას თავისი ლოგიკა აქვს და რომ ეს ლოგიკა იწვევს ანტირევოლუციური ძალების გაძლიერებას რუსეთის გარეთაც და მის შიგნითაც.

«რაბოჩაია გაზეტას» უნდოდა რამენაირად მიეჩქმალა სწორედ ეს არასასიამოვნო ფაქტი. და რედაქციის მიერ შეთავაზებული საშუალებანი მეტად მარტივია: «სასწრაფოდ აუცილებელია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამოსვლა გლეხთა დეპუტატების საბჭოსთან ერთად გარკვეული და კატეგორიული განცხადებით, რომ ომის მიზნები რუსეთის დემოკრატიისათვის რჩება იგივე, რაც იყო წინათ» და ა. შ. და ა. შ.. ხომ ხედავთ, რა გადაჭრით ებრძვიან მენშევიკები იმპერიალისტურ ომს: ისინი მზად არიან გამოვიდნენ კიდევ ერთი სასწრაფო, კატეგორიული განცხადებით. რამდენი იყო უკვე ეს მეტად «სასწრაფო», მეტად «კატეგორიული», მეტად «მგზნებარე» განცხადება. და რამდენჯერ გახდება საჭირო გაიმეორონ ეს მეტად კატეგორიული განცხადებანი უსწრაფესი წესით, რათა თუნდაც ცოტათი შეამსუბუქონ

სიტყვებით იმ მთავრობის საქმეები, რომელსაც მინისტრული «რაბოჩაია გაზეტა» სავსებით უჭერს მხარს.

არა, ბატონებო, უალრესად «კატეგორიული» სიტყვებით, დეკლარაციებითა და ნოტებით თქვენ ვერ შეასუსტებთ იმ ფაქტებს, რომლებსაც თვითონ იუწყებით. ამ ფაქტებს შეიძლება დაუპირისპირო მხოლოდ საქმეები, რომლებიც სინამდვილეში მომასწავებელი იქნებოდა იმპერიალისტური ომის განგრძობის პოლიტიკასთან კავშირის გაწყვეტისა. ლვოვ-ტერეშჩენკო-შინგარიოვ-კერენსკის წერეთლის მთავრობას ეს არ შეუძლია. მას შეუძლია მხოლოდ დაადასტუროს თავისი ლაჩრული, უბადრუკი პოლიტიკით ფინეთისა და უკრაინის მიმართ, რომ მას სრულიად არ შესწევს უნარი განახორციელოს მეტად «კატეგორიული» განცხადებანი «უანექსიო» ზავისა და თვითგამორკვევის «უფლების» შესახებ. ასეთ პირობებში კი მთელი ეს შეპირებული დეკლარაციები სიმბოლო იქნება, რომელსაც მასების გასაბრუებლად ხმარობენ. მასების გაბრუება მყვირალა დეკლარაციებით და არა «პროლეტარული ბრძოლა ზავისათვის» — აი «რაბოჩაია გაზეტას» პროგრამა, აი მისი ნამდვილი პასუხი ანტირევოლუციური ძალების ზრდაზე შეტევასთან დაკავშირებით.

«პრავდა» № 95,
1917 წ. 13 ივლისი (30 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

რატომ და რატომ მოატყუეს გლეხები?

ცნობილია, რომ, როდესაც მთელი რუსეთის გლეხთა დეპუტატები ჩამოვიდნენ პეტროგრადში გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს პლენუმზე, გლეხებს შეჰპირდნენ — შეჰპირდნენ სოციალისტ-რევოლუციონერები, შეჰპირდა მთავრობა — დაუყოვნებლივ ავკრძალავთ მიწის ყიდვა-გაყიდვასაო.

მინისტრ პერევერზევს ჯერ თითქოს მართლაც სურდა შეესრულებინა დაპირება და მან დეპეშით შეაჩერა მიწის ყიდვა-გაყიდვის გარიგებანი. მაგრამ შემდეგ ვილაცას უჩინარი ხელი ჩაერია საქმეში, და მინისტრმა პერევერზევმა უკან წაიღო თავისი დეპეშა ნოტარიუსებისადმი, ე. ი. კვლავ ნება დართო მოეხდინათ მიწის ყიდვა-გაყიდვის გარიგება.

გლეხები შეშფოთდნენ. თუ არ ვცდებით, მათ, მგონი, განსაკუთრებული დელეგაციაც კი გაგზავნეს სამინისტროში.

გლეხები დაამშვიდეს, გლეხები დააჯერეს, როგორც დააჯერებენ ხოლმე პატარა ბავშვებს. ისინი დაარწმუნეს, რომ დაუყოვნებლივ გამოიცემა კ ა ნ ო ნ ი, რომელიც მიწის ყიდვა-გაყიდვას აკრძალავსო, რომ «მ ხ ო ლ ო დ» ასეთი კანონის გამოცემის მიზნით «გადაიდო» პერევერზევის დროებითი განკარგულებაო.

სოციალისტ-რევოლუციონერებმა დააშშვიდეს გლეხები, ისინი გაუმასპინძლდნენ გლეხებს დაპირებებით. გლეხებმა დაიჯერეს. გლეხები დამშვიდდნენ. გლეხები წავიდ-წამოვიდნენ.

კვირას კვირა მისდევდა.

24 ივნისს (მხოლოდ 24 ივნისს) გაზეთებში ქვეყნდება ცნობა, რომ მინისტრმა ჩერნოვმა, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ბელადმა, შეიტანა მთავრობაში კანონპროექტი (ჯერ მხოლოდ კანონპროექტი) მიწის ყიდვა-გაყიდვის გარიგებათა აკრძალვის შესახებო.

29 ივნისს გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა სახელმწიფო სათათბიროს «კერძო თათბირის» შესახებ, რაც გაიმართა 28 ივნისს. ამ თათბირზე ბ-ნი როძიანკო, გაზეთ «რეჩის» ცნობით (იმ პარტიის გაზეთისა, რომელსაც დროებით მთავრობაში უმრავლესობა ეკუთვნის),

«საბოლოო სიტყვაში შეჩერდა მიწის გარიგებათა საკითხზე მთავრობის **ახალ**» (ჰო, ფრიად ახალ! მეტისმეტად ახალ!) «**ღონისძიებებთან დაკავშირებით.** ის ამტკიცებს, რომ თუ მიწის გარიგებანი აიკრძალება, მაშინ მიწა ღირებულებას დაკარგავს» (ვისთვის? ცხადია, მემამულეებისათვის!! მაგრამ გლეხებს ხომ ის უნდათ, რომ მემამულეებს ჩამოართვან მიწა!), «გაუფასურდება კრედიტის უზრუნველყოფა, და მიწათმფლობელთათვის» (ყოფილ მიწათმფლობელთათვის, ბ-ნო როძიანკო!) «**დაიხურება ყოველგვარი კრედიტი. რა სახსრებიდან გადაუხდის, — კითხულობს მ. ვ. როძიანკო, — ბანკებს მიწათმფლობელობა თავის ვალს? უმეტეს შემთხვევაში ვადები უკვე გასულია, და ასეთი კანონპროექტი გამოიწვევს მიწის საკუთრების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას კანონიერ საფუძველზე, საჯარო ვაჭრობის გაუმართავად.**

ამის გამო მ. ვ. როძიანკომ თათბირს წინადადება მისცა დაავალოს დროებით კომიტეტს განიხილოს საკითხი, რათა შეეცადოს თავიდან იქნას აცილებული ისეთი კანონის შემოღება, რომელიც დამღუპველია არა კერძო მიწათმფლობელობისათვის, არამედ სახელმწიფოსათვის».

აი როდის გამოჩნდა დღის სინათლეზე «უჩინარი ხელი»! აი «ოსტატური მექანიკა» კოალიციური მთავრობისა, რომელშიც თითქმის-სოციალისტი მინისტრები მონაწილეობენ, — «მექანიკა», რომელიც წამოაყრანტალა და გამოააშკარავა ყოფილი სახელმწიფო სათათბიროს ყოფილმა თავმჯდომარემ, ყოთილმა მემამულემ, სტოლიპინ-ჩამომხრჩობის ყოფილმა რწმუნებულმა, პროვოკატორ მალინოვსკის ყოფილმა დამმა-

დავუშვათ კიდევაც, რომ ახლა, როცა ბატონ როძიანკოს ასე უხერხულად წამოსცდა სიტყვა, მიწის ყიდვა-გაყიდვის გარიგებათა აკრძალვის კანონს ბოლოს და ბოლოს გამოსცემენ. ბოლოს და ბოლოს!

მაგრამ მარტო ეს როდია საქმე. საქმე ის არის, რომ ამ მკაფიო მაგალითით ჩვენ ყველამ გავიგოთ და დავეხმაროთ გლეხთა მასებს გაიგონ, თუ რ ო გ ო რ და რ ა ტ ო მ მ ო ა ტ ყ უ ე ს გ ლ ე ხ ე ბ ი, ვინაიდან ეს ფაქტი უდავო და უეჭველ ფაქტად რჩება: გლეხები მოატყუეს, დაუყოვნებლივ რომ არ შეასრულეს ის, რის დაუყოვნებლივ შესრულებასაც მათ შეჰპირდნენ გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს პლენუმზე.

როგორ მოატყუეს გლეხები? ისე, რომ მათ დაპირებებით გაუმასპინძლდნენ. სწორედ ამაში მდგომარეობს «ოსტატური მექანიკა» ყველა კოალიციური სამინისტროსი ამ ქვეყნად, ე. ი. ბურჟუაზიული სამინისტროებისა, რომლებშიც სოციალიზმის მოღალატენი მონაწილეობენ. ყოფილი სოციალისტები ამ სამინისტროებში, — სულ ერთია, შეგნებული აქვთ ეს მათ თუ არა, — კაპიტალისტების მიერ მასების მოტყუების იარაღს წარმოადგენენ.

რატომ მოატყუეს გლეხები? იმიტომ, რომ მოტყუების იარაღებს, სოციალისტ-რევოლუციონერებს — ჯგუფისხმობთ მათთვის საუკეთესო შემთხვევას — თ ვ ი თ ო ნ ა რ ე ს მ ო დ ა თ ოსტატური მექანიკა კლასობრივი ბატონობისა და კლასობრივი პოლიტიკისა რუსეთის ახლანდელ მართვა-გამგებლობაში. სოციალისტ-რევოლუციონერები ფრაზას აჰყვნენ. სინამდვილეში კი, როგორც ეს მეტად თვალსაჩინოდ დაადასტურა როძიანკოს «შემთხვევამ», სინამდვილეში რუსეთს განაგებს ორი ბლოკის ბლოკი, ორი კავშირის კავშირი.

ერთი ბლოკი არის კადეტების ბლოკი მონარქისტ-მემამულეებთან, მათგან კი პირველი არის ბ-ნი როძიანკო. ეს ბლოკი დადასტურებულია, როგორც პოლიტიკური ფაქტი, მთელი რუსეთის წინაშე, იმით, რომ პიტერის არჩევნებში შავი რაზმის ყ ვ ე ლ ა გაზეთმა, კადეტების მარჯვნივ მდგომმა ყ ვ ე ლ ა

გაზეთმა, მხარი დაუჭირა კადეტებს. ამ ბლოკს, ესერებისა და მენშევიკების მიზეზით, უმრავლესობა ჰყავს მთავრობაში. ეს ბლოკი აჭიანურებდა მიწის ყიდვა-გაყიდვის გარიგებათა აკრძალვას, ეს ბლოკი მხარს უჭერს მემამულეებს, კაპიტალისტ-მელოკაუტეებს.

მეორე ბლოკი არის ესერებისა და მენშევიკების ბლოკი, რომელმაც მოატყუა ხალხი ცარიელი დაპირებებით. სკობელევმა და წერეთელმა, პეშეხონოვმა და ჩერნოვმა უამრავი დაპირება მოგვცეს. დაპირებათა მოცემა ადვილია. «სოციალისტი» მინისტრების ხერხი — გაუმაპინძლდნენ ხალხს დაპირებებით—ნაცადია მსოფლიოს უველა მოწინავე ქვეყანაში, და მან უველგან კრახი გამოიწვია. რუსეთის თავისებურება ის არის, რომ ესერებისა და მენშევიკების ეს კრახი უფრო მწვავე იქნება და ჩვეულებრივზე ადრე მოხდება ჩვენი ქვეყნის რევოლუციური მდგომარეობის გამო.

დაე, უოველმა მუშამ და უოველმა ჯარისკაცმა ამ მაგალითით, გლეხებისათვის განსაკუთრებით საგულისხმო მაგალითით, კარგად განუმარტონ გლეხებს, თუ როგორ დარატომ მოატყუეს ისინი!

კაპიტალისტებთან ბლოკით (კავშირით) კი არა, არამედ მხოლოდ მუშებთან კავშირით შესძლებენ გლეხები თავიანთი მიზნების მიღწევას.

«პრავდა» № 96,
1917 წ. 14 (1) ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ვინ არის პასუხისმგებელი?

ბატონ ნ. როსტოვს მინისტრულ «რაბოჩაია გაზეტაში» მოჰყავს რამდენიმე ამონაწერი ჯარისკაცთა წერილებიდან, რომლებიც სოფლის უკიდურეს სიბნელეს მოწმობენ. ყველა წერილი, — ამბობს ავტორი, რომლის განკარგულებაშიაც არის, მისი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სააგიტაციო განყოფილებაში შემოსული წერილების სქელი დასტა, — ყველა წერილი შეიცავს ერთ გაბმულ გოდებას: გაზეთები, გაზეთები გამოგვიგზავნეთო!

მენშევიკი მწერალი გორს მოდის და შეშინებული იძახის: «თუ რევოლუცია მათ (გლეხების) წინაშე არ წარსდგება დიდი სარგებლობის ნათელ ფაქტად, მაშინ ისინი რევოლუციის წინააღმდეგ ამხედრდებიან»... გლეხები «უწინდებურად გონებაბნელნი არიანო».

ცოტა დაგვიანებით მოაგონდა სამინისტროს მოხელე-მენშევიკს თავისი დასტა წერილებისა. 6 მაისიდან, როცა მენშევიკები კაპიტალისტების სამსახურში ჩადგნენ, 7 კვირაზე მეტმა განვლო, და მთელი ამ ხნის მანძილზე ბურჟუაზიული, კონტრრევოლუციური სიცრუე და ცილისწამება რევოლუციის წინააღმდეგ თავისუფლად მიედინებოდა სოფელში — მიედინებოდა გაბატონებული ბურჟუაზიული გაზეთების მეშვეობით, მენშევიკების მიერ ზურგგამაგრებული კაპიტალისტთა მთავრობის პირდაპირი და არაპირდაპირი მსახურებისა და მომხრეების მეშვეობით.

მენშევიკები და ესერები რომ არ ღალატობდნენ რევოლუციას, მხარს რომ არ უჭერდნენ კონტრრევოლუციურ კადეტებს, ძალაუფლება უკვე მაისის დამდეგიდან აღმასრულებელი კომიტეტის ხელში იქნებოდა, რომელსაც შეეძლო ერთბაშად შემოეღო გაზეთებში მოსათავსებელ კერძო განცხადებათა სახელმწიფო მონოპოლია, მიეღო ამრიგად ა თ ე უ ლ ი მ ი ლ ი ო ნ ო ბ ი თ ეგზემპლარი გაზეთი მ უ ქ თ ა დ დასარიგებლად და სოფელში გასაგზავნად. მაშინ დიდი სტამბები და ქაღალდის მარაგი «იმუშავებდნენ», აღმასრულებელი კომიტეტის ხელში, სოფლის გასათვითცნობიერებლად და არა მის გასაბრუებლად რაღაც თორმეტიოდე ბურჟუაზიული, კონტრრევოლუციური გაზეთის მიერ, რომლებმაც ფაქტიურად ხ ე ლ თ ი გ დ ე ს გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი რ ო ლ ი საგაზეთო საქმეში.

აღმასრულებელი კომიტეტი შესძლებდა მაშინვე დაეშალა სახელმწიფო სათათბირო, დაეზოგა ამაზე — რომ აღარაფერი გთქვათ ბევრ სხვა რამეზე — ხალხის ფული და მოეხმარა იგი იმისათვის, რომ გაეგზავნა სოფლად ათასი აგიტატორი, თუ ათასები არა.

რევოლუციის დროს დაყოვნება ზოგჯერ მის სრულ გამცემლობას უდრის. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ხელში ძალაუფლების გადასვლის დაყოვნებისათვის, ბნელი სოფლის გასათვითცნობიერებლად რევოლუციური ზომების დაყოვნებისათვის მთლიანად პასუხისმგებელნი არიან ესერები და მენშევიკები. მ ა თ უღალატეს რევოლუციას ამ პუნქტში. მ ა თ ჭნეს ის, რომ კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიულ პრესასთან და აგიტაციასთან ბრძოლის საქმეში მუშები და ჯარისკაცები იძულებული არიან დასჯერდნენ ახლა «კუსტარულ» საშუალებებს, მაშინ როდესაც მათ შეეძლოთ ამისათვის ჰქონოდათ და უნდა ჰქონოდათ კიდეც ს ა ე რ თ ო-ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი.

«პრავდა» № 96,
1917 წ. 14 (1) ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

რა შეეძლოთ ევარაუდნათ კადეტებს, როცა სამინისტროდან გადიოდნენ?[47]

ეს კითხვა თავისთავად იბადება. მოვლენებს რომ სწორად ვუპასუხოთ გარკვეული ტაქტიკით, სწორად უნდა გავიგოთ ეს მოვლენები. როგორ უნდა გავიგოთ კადეტების წასვლა?

წყენა? პრინციპული უთანხმოება უკრაინის საკითხში? — რა თქმა უნდა, არა. სასაცილო იქნებოდა ის, ვინც კადეტებს დასწამებდა პრინციპულობას ან ბურჟუაზიას — მოქმედების უნარიანობას წყენის გამო.

არა. კადეტების წასვლა შეიძლება გავიგოთ მხოლოდ როგორც ანგარიშის შედეგი. რა არის ამ ანგარიშის დედაარსი?

ის, რომ ისეთი ქვეყნის სამართავად, რომელმაც მოახდინა დიდი რევოლუცია და რომელიც ვერ მშვიდდება, ამასთან მსოფლიო მასშტაბის იმპერიალისტური ომის დროს, აუცილებელია ნამდვილად რევოლუციური კლასის გიგანტურად გაბედული, ისტორიულად დიადი, უსაზღვრო ენთუზიაზმით აღსავსე თაოსნობა და გაქანება. ან უნდა დათრგუნო ასეთი კლასი ძალადობით — ამას კადეტები დიდიხანია ქადაგებენ, 6 მაისიდანვე — ანდა უნდა მიეხდო მის ხელმძღვანელობას. ან იმპერიალისტურ კაპიტალთან კავშირი — მაშინ უნდა აწარმოო შეტევა, უნდა იყო კაპიტალის მორჩილი მსახური, უნდა მოექცე მის კაბალაში, უნდა უკუაგდო გამოუსყიდავად მიწის საკუთრების გაუქმების უტოპიები (იხილე ლვოვის სიტყვები, «ბირჟევკის» მიხედვით, ჩერნოვის პროგრამის წინააღმდეგ) — ანდა იმპერიალისტური კაპიტალის წინააღმდეგ —

მაშინ დაუყოვნებლივ უნდა შესთავაზო ყველა ხალხს ზავის ზუსტი პირობები, ვინაიდან ყველა ხალხი დაქანცულია ომით, მაშინ უნდა გაბედო აღმართო და შეგეძლოს აღმართო კაპიტალის წინააღმდეგ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის დროშა, ეს უნდა გააკეთო არა სიტყვიერად, არამედ საქმით, უაღრესად გადაჭრით უნდა დასძრა წინ რევოლუცია თვითონ რუსეთში.

კადეტები მოსაქმენი და საქმის მომჭახრაკებელნი არიან როგორც სავაჭრო საქმეებში, ფინანსებში, კაპიტალის დაცვაში, ისე პოლიტიკაში. კადეტებმა სწორად გაითვალისწინეს, რომ მდგომარეობა **ობიექტურად** რევოლუციურია. რეფორმებზე ისინი თანახმანი არიან, რეფორმისტებთან — წერეთლებთან და ჩერნოვებთან ძალაუფლების გაყოფა მათ მოსწონთ. მაგრამ რეფორმებით საქმეს ვერ უშველი. რეფორმების გზა, რომელიც გამოგვიყვანდა კრიზისიდან — ომიდან, ნგრევიდან — **არ არსებობს**.

და კადეტები, თავიანთი კლასის თვალსაზრისით, იმპერიალისტ-ექსპლოატატორთა კლასის თვალსაზრისით, სწორად ვარაუდობენ: ჩვენი წასვლით ულტიმატუმს ვაყენებთო. ჩვენ ვიცით, რომ წერეთლები და ჩერნოვები ახლა არ ენდობიან ჭეშმარიტად რევოლუციურ კლასს, მათ ახლა არა სურთ აწარმოონ ჭეშმარიტად რევოლუციური პოლიტიკა. ჩვენ მათ შევაშინებთო. უკადეტებოდ მართვა — ეს ნიშნავს ინგლის-ამერიკის მსოფლიო კაპიტალის «დაუხმარებლობას», ეს ნიშნავს მის წინააღმდეგაც რევოლუციურ გალაშქრებასო. წერეთლები და ჩერნოვები არ გაილაშქრებენ, ვერ გაბედავენო! ისინი ჩვენ დაგვითმობენო!

ხოლო თუ ვერ გაბედავენ, მაშინ რევოლუცია კაპიტალის წინააღმდეგ, იგი კიდევაც რომ დაიწყოს, ვერ გაიმარჯვებს, და ჩვენ დავბრუნდებითო.

ასე ვარაუდობენ კადეტები. ვიმეორებთ: ექსპლოატატორთა კლასის თვალსაზრისით ვარაუდი სწორია.

წერეთლები და ჩერნოვები რომ იდგნენ ექსპლოატირებული კლასის — და არა მერყევი წვრილი ბურჟუაზიის — თვალსაზრისზე, ისინი კადეტების სწორ ვარაუდზე უპასუხებდნენ იმით, რომ სწორად შეუერთდებოდნენ რევოლუციური პროლეტარიატის პოლიტიკას.

დაწერილია 1917 წ. 3 (16) ივლისს

დაიბეჭდა 1917 წ. 28 (15) ივლისს გაზეთ «პროლეტარსკოე დელოში» № 2

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მთელი ძალაუფლება საბჭოებს!

«ბუნება თავისას გაიტანს»... როგორცა ჩანს, ესერებისა და მენშევიკების მმართველ პარტიებს კიდევ და კიდევ სჭირდებათ «გაიარონ» ეს უბრალო ჭეშმარიტება საკუთარი გამოცდილებით. რაკი იკისრე «რევოლუციური დემოკრატობა», რაკი ჩავარდი რევოლუციური დემოკრატის მდგომარეობაში, — უნდა გააკეთო ისეთი დასკვნები, რომლებიც სავალდებულოა ყოველი რევოლუციური დემოკრატისათვის.

დემოკრატია არის უმრავლესობის ბატონობა. ვიდრე უმრავლესობის ნება ჯერ კიდევ გამოურკვეველი რჩებოდა, ვიდრე კიდევ შეიძლებოდა სიმართლის თუნდაც ოდნავი მსგავსებით გამოეცხადებინათ ეს ნება გამოურკვევლად, ხალხს სთავაზობდნენ კონტრრევოლუციური ბურჟუების მთავრობას «დემოკრატიული მთავრობის» ბრით. მაგრამ საქმის ეს გაჯანჯლება არ შეიძლებოდა ხანგრძლივი ყოფილიყო. რამდენიმე თვის განმავლობაში, რამაც განვლო 27 თებერვლის შემდეგ, მუშათა და გლეხთა უმრავლესობის, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ნება მარტო ზოგადი ფორმით არ გამოირკვა. ამ ნებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა მასობრივ ორგანიზაციებში — მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში.

როგორლა შეიძლება ეწინააღმდეგებოდე იმას, რომ მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში ამ საბჭოებს გადაეცეს? ეს სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა დემოკრატიაზე უარისთქმას!

ეს ნიშნავს, არც მეტი, არც ნაკლები, იმას, რომ ხალხს თავს მოახვიო ისეთი მთავრობა, რომელიც დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი გზით, ე. ი. მართლაც თავისუფალი, მართლაც საყოველთაო-სახალხო არჩევნების გზით ა შ კ ა რ ა დ არ შეიძლება არც შეიქმნას, არც არსებობდეს.

ფაქტი თვალწინაა, რაც უნდა უცნაური გვეჩვენოს იგი პირველი შეხედვით: სწორედ ეს უმარტივესი, ფრიად ცხადი, ფრიად ხელშესახები ჭეშმარიტება დ ა ი ვ ი წ ყ ეს ესერებმა და მენშევიკებმა! მათი მდგომარეობის სიყალბე ისეთია, ამ სიყალბემ ისინი ისე დააფრთხო, ისე დაარეტიანა, რომ მათ არ ძალუძთ «დაიჭირონ» ეს მათ მიერ დაკარგული ჭეშმარიტება. პიტერსა და მოსკოვში მომხდარი არჩევნების შემდეგ, გლეხთა სრულიად რუსეთის საბჭოს მოწვევის შემდეგ, საბჭოების ყრილობის შემდეგ კლასები და პარტიები იმდენად ნათლად, გარკვეულად, თვალსაჩინოდ ჩამოყალიბდნენ მთელ რუსეთში, რომ ამის გამო მცდარი წარმოდგენა პირდაპირ არ შეუძლიათ ჰქონდეთ ადამიანებს, თუ ისინი ჭკუაზე არ შეშლილან ან მეტად დაბნეულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილან.

კადეტი მინისტრების ან კადეტური მთავრობის ან კადეტური პოლიტიკის მოთმენა იმას ნიშნავს, რომ ბრძოლაში გამოიწვიო დემოკრატია და დემოკრატიზმი. აქ არის პოლიტიკური კრიზისების წყარო 27 თებერვლის შემდეგ, აქ არის ჩვენი მართვა-გამგეობის სისტემის მერყეობისა და ქანაობის წყარო. ყოველ ნაბიჯზე, ყოველდღე და ყოველსაათობითაც კი ფრიად ავტორიტეტულ სახელმწიფო დაწესებულებათა და ყრილობათა სახელით მიმართავენ ხალხის რევოლუციურობას და მის დემოკრატიზმს, ამავე დროს კი მთავრობის საერთო პოლიტიკაც და სპეციალურად მისი საგარეო პოლიტიკა, განსაკუთრებით კი მისი ეკონომიური პოლიტიკა, — ყოველივე ეს წარმოადგენს რევოლუციურობისაგან გადახვევას და დემოკრატიზმის დარღვევას.

ამგვარი რამ ასე ვერ ჩაივლის.

ამგვარი მდგომარეობის მერყეობის გამოვლინება ხან ერთი, ხან მეორე საბაბის გამო გარდუვალია. და გაჯიუტება არცთუ

ისე ძალიან გონივრული პოლიტიკაა. ბიძგებითა და ნახტომებით საქმე მაინც იქითკენ მიდის, რომ განხორციელდება საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლა, რაც ჩვენმა პარტიამ დიდიხანია გამოაცხადა.

დაწერილია არაუგვიანეს
1917 წ. 4 (17) ივლისისა

ბეჭდება 1917 წ. 5 (18) ივლისის ტექსტის მიხედვით

სად არის ხელისუფლება და სად არის კონტრრევოლუცია?

ამ კითხვაზე ჩვეულებრივ ძალიან უბრალოდ უპასუხებენ: კონტრრევოლუცია სულაც არ არის ან არ ვიცით, სად არისო. ხელისუფლება კი ჩვენ ჩინებულად ვიცით: იგი დროებითი მთავრობის ხელშია, რომელსაც კონტროლს უწევს ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების სრულიად რუსეთის ყრილობის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი). ასეთია ჩვეულებრივი პასუხი.

გუშინდელმა პოლიტიკურმა კრიზისმა[48] მემკვიდრეობად დაგვიტოვა, — ისევე როგორც სჩვევია ხოლმე ყოველგვარი კრიზისების უმეტესობას, რომლებიც შლიან ყოველივე პირობითს, აქარწყლებენ ყველა ილუზიას, — იმ ილუზიების ნამსხვრევები, რაც გამოიხატება ჩვენ მიერ ახლა მოყვანილი ჩვეულებრივი პასუხით ყოველი რევოლუციის ძირითად საკითხებზე.

არსებობს ქვეყნად II სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი ალექსინსკი, რომლის დაშვებაზე ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში უარი თქვეს ესერებმა და მენშევიკებმა, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში მმართველმა პარტიებმა, ვიდრე ის არ მოახდენს თავისი თავის რეაბილიტაციას, ე. ი. ვიდრე ის არ აღადგენს თავის სახელს.

რაშია საქმე? რატომ გამოუცხადა აღმასრულებელმა კომიტეტმა საჯაროდ და ფორმალურად უნდობლობა ალექსინსკის,

მოითხოვა მისგან სახელის აღდგენა, ე. ი. სცნო იგი სახელგატეხილად?

იმიტომ, რომ ალექსინსკიმ იმდენად გაითქვა სახელი ცილისწამებით, რომ პარიზში სულ სხვადასხვა პარტიის ჟურნალისტებმა იგი ცილისმწამებლად გამოაცხადეს. ალექსინსკი არ შესდგომია თავისი სახელის აღდგენას აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, არამედ მან ამჯობინა მიმალულიყო პლეხანოვის გაზეთ «ედინსტვოში», სადაც ის გამოდიოდა ჯერ ინიციალებს ამოფარებული, ხოლო შემდეგ გაკადნიერდა და აშკარადაც გამოდიოდა.

4 ივლისს, გუშინ დღისით, რამდენიმე ბოლშევიკი გააფრთხილეს ნაცნობებმა, რომ ალექსინსკიმ ჟურნალისტთა კომიტეტს პიტერში აუწყა რაღაც ახალი ცილისმწამებლური სისაძაგლეო. გაფრთხილებულთა უმრავლესობას სრულიად არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ამისათვის, ისინი ზიზღით უცქერიან ალექსინსკის და მის «მუშაობას». მაგრამ ერთი ბოლშევიკი, ჯუღაშვილი (სტალინი), ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, რომელიც, როგორც ქართველი სოციალ-დემოკრატი, დიდიხანია იცნობს ამხ. ჩხეიძეს, გამოელაპარაკა მას ცაკის სხდომაზე ალექსინსკის ამ ახალი საზიზღარი ცილისმწამებლური ლაშქრობის შესახებ.

ეს იყო გვიან ღამით, მაგრამ ჩხეიძემ განაცხადა, რომ ცაკი გულგრილად ვერ შეხედავს ცილისწამების გავრცელებას ისეთ ადამიანთა მიერ, რომლებსაც სასამართლოსი და ცაკის მხრივ საქმის გამოძიებისა ეშინიათო. თავისი სახელით, როგორც ცაკის თავმჯდომარემ, და წერეთლის სახელით, როგორც დროებითი მთავრობის წევრისა, ჩხეიძემ მაშინვე მიმართა ტელეფონით ყველა რედაქციას წინადადებით — თავი შეეკავებინათ ალექსინსკის ცილისწამების დაბეჭდვისაგან. ჩხეიძემ უთხრა სტალინს, რომ გაზეთების უმეტესობა დათანხმდა შეესრულებინათ მისი თხოვნა, რომ ერთ ხანს «სდუმდნენ» მხოლოდ «ედინსტვო» და «რეჩი» («ედინსტვო» ჩვენ არ გვინახავს, ხოლო «რეჩს» არ გადაუბეჭდია ცილისწამება). შედეგად ცილისწამება მო-

ხვდა მხოლოდ პატარა, ყვითელი, ინტელიგენტი ადამიანების უმრავლესობისათვის სრულიად უცნობი გაზეთის «ჟივოე სლოვოს»[49] ფურცლებზე, № 51 (404), რომლის რედაქტორ-გამომცემლად ხელს აწერს ა. მ. უმანსკი.

ახლა ცილისმწამებელნი პასუხს აგებენ სასამართლოს წინაშე. ამ მხრივ საქმე მარტივი და უბრალოა.

ცილისწამების უაზრობა თვალში გვეცემა: ციმბირის მსროლელთა მე-16 პოლკის რომელიღაც პრაპორშჩიკი ერმოლენკო «გადმოისროლეს» (?) «25 აპრილს ჩვენთან ზურგში, მე-6 არმიის ფრონტზე, გერმანიასთან სეპარაციული ზავის რაც შეიძლება მალე დადების სასარგებლოდ აგიტაციის გასაწევად». ეტყობა, ეს არის ტყვეობიდან გამოქცეული სუბიექტი, რომლის შესახებ «ჟივოე სლოვოს» მიერ დაბეჭდილი «დოკუმენტი» დასძენს: «ეს დავალება ერმოლენკომ ამხანაგების დაჟინებითი მოთხოვნით იკისრა»!!.

უკვე აქედან შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა ნდობის ღირსია სუბიექტი, იმდენად უპატიოსნო, რომ მას შეეძლო დათანხმებულიყო ეკისრა ამგვარი «დავალება»!.. მოწმე უპატიოსნო კაცია. ეს ფაქტია.

მერე რა აჩვენა ამ მოწმემ?

მან აჩვენა შემდეგი: «გერმანიის გენერალური შტაბის ოფიცრებმა შიდიცკიმ და ლიუბერსმა მას აცნობეს, რომ ამგვარსავე აგიტაციას ეწევა რუსეთში გერმანიის გენერალური შტაბის აგენტი და «უკრაინის განთავისუფლების კავშირის»[50] უკრაინული სექციის თავმჯდომარე ა. სკოროპის-იოლტუხოვსკი და ლენინი. ლენინს დაკისრებული აქვს მთელი ძალ-ღონით ეცადოს შეარყიოს რუსი ხალხის ნდობა დროებითი მთავრობისადმიო».

ამრიგად, გერმანელმა ოფიცრებმა, რათა დაეყოლიებინათ ერმოლენკო უპატიოსნო საქციელის ჩასადენად, უსირცხვილოდ ტყუილი უთხრეს მას ლენინის შესახებ, რომელიც, როგორც ეს ყველამ იცის, როგორც ეს ოფიციალურად განაცხადა ბოლშევიკების მ თ ე ლ მ ა პ ა რ ტ ი ა მ, უაღრესად გადაჭრით და მტკიცედ, ყოველთვის და უბრუოდ უ არ-

ყოფდა სეპარაციულ ზავს გერმანიასთან!! გერმანელი ოფიცრების სიცრუე იმდენად აშკარა, უხეში და უაზროა, რომ ვერც ერთი შეგნებული კაცი ვერ დაეჭვდება, რომ ეს სიცრუეა. ხოლო პოლიტიკურად შეგნებული კაცი მით უფრო ვერ დაეჭვდება ამაში, რომ ლენინის დაყენება ვიღაც იოლტუხოვსკის (?) და «უკრაინის განთავისუფლების კავშირის» გვერდით არის უაზრობა, რომელიც განსაკუთრებით გვხვდება თვალში, ვინაიდან ამ საეჭვო, სოციალ-პატრიოტული «კავშირისაგან» ლენინიც და ყველა ინტერნაციონალისტიც მრავალჯერ გამიჯნულან საჯაროდ სწორედ ომის დროს!

გერმანელთა მიერ მოსყიდული ერმოლენკოს ან გერმანელი ოფიცრების ტლანქი სიცრუე ოდნავი ყურადღების ღირსიც კი არ იქნებოდა, «დოკუმენტი» რომ არ უმატებდეს რაღაც «ახლად მიღებულ ცნობებს», — გამოურკვეველია, ვის მიერ, როგორ, ვისგან, როდის, — რომელთა თანახმადაც «ფულს სააგიტაციოდ» «იღებენ» (ვინ? «დოკუმენტს» ე შ ი ნ ი ა პირდაპირ თქვას, რომ ბრალს სდებენ ლენინს ან ეჭვი მიაქვთ მასზე!! დოკუმენტი სდუმს, თუ ვ ი ნ «იღებს»!) «ნდობით აღჭურვილი კაცების» — «ბოლშევიკების» ფიურსტენბერგისა (განეცკის) და კოზლოვსკის «მეშვეობით». თითქოს ამაზე არსებობს მონაცემებიც ბანკების საშუალებით ფულის გადაგზავნის შესახებ, და «სამხედრო ცენზურის მიერ გამორკვეულია პოლიტიკური და ფულადი ხასიათის დეპეშების განუწყვეტელი (!) გაგზავნ-გამოგზავნა გერმანიის აგენტებსა და ბოლშევიკთა ბელადებს შორის»!!

ისევ ვამბობთ — იმდენად ტლანქი სიცრუეა, რომ უაზრობა თვალში გვხვდება. აქ თუნდაც ერთი სიტყვა რომ იყოს მართალი, მაშინ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, 1) რომ განეცკი ს უ ლ ა ხ ლ ო ხ ა ნ ს თავისუფლად შემოუშვეს რუსეთში და თავისუფლად გაუშვეს აქედან? 2) რომ არც განეცკი და არც კოზლოვსკი ა რ დაუპატიმრებიათ უ ფ რ ო ა დ რ ე, ვიდრე გაზეთებში გამოქვეყნდებოდა ცნობები მათი დანაშაულის შესახებ? ნუთუ მართლაც გენერალური შტაბი, მას

რომ ნამდვილად ხელთ ჰქონოდა თუნდაც რაიმე ნდობის ღირსი ცნობები ფულის გადაგზავნაზე, დეპეშებზე და სხვ., დაუშვებდა ამის შესახებ ხმების გავრცელებას ალექსინსკებისა და ყვითელი პრესის მეშვეობით, და განეცკისა და კოზლოვსკის არ დააპატიმრებდა? განა ცხადი არ არის, რომ ჩვენს წინაშეა მდარე ხარისხის მეგაზეთე ცილისმწამებელთა უხეირო ნაცოდვილარი და მეტი არაფერი?

დავძენთ, რომ არც განეცკი და არც კოზლოვსკი არ არიან ბოლშევიკები, არამედ არიან პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები, რომ განეცკი არის ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ლონდონის ყრილობიდან (1903), საიდანაც პოლონელი დელეგატები წავიდნენ, და ა. შ.. არავითარი ფული არც განეცკისაგან, არც კოზლოვსკისაგან ბოლშევიკებს არ მიუღიათ. ყოველივე ეს ყოვლად მტკნარი, ყოვლად ტლანჭი სიცრუეა.

რაშია მისი პოლიტიკური მნიშვნელობა? ჯერ ერთი, იმაში, რომ სიცრუესა და ცილისწამებას ვერ შეელევიან ბოლშევიკთა მოწინააღმდეგენი. იმდენად საზიზღარნი და სულმდაბალნი არიან ეს მოწინააღმდეგენი.

მეორეც, იმაში, რომ ჩვენ ვიღებთ სტატიის სათაურში დასმული კითხვის პასუხს.

მოხსენება «დოკუმენტების» შესახებ გაეგზავნა კერენსკის ჯერ კიდევ 16 მაისს. კერენსკი წევრია დროებითი მთავრობისაც და საბჭოსიც, ე. ი. ორივე «ხელისუფლებისა». 16 მაისიდან 5 ივლისამდე ძალიან დიდი დროა. ხელისუფლებას, იგი რომ ხელისუფლება იყოს, შეეძლო და ვალდებულიც იყო თვითონ გამოეკვლია «დოკუმენტები», დაეკითხა მოწმეები, დაეპატიმრებინა ეჭვმიტანილნი. ხელისუფლებას, ორივე «ხელისუფლებას», დროებით მთავრობასაც და ცაკსაც, შეეძლო და კიდევაც უნდა ექნა ეს.

ორივე ხელისუფლება უმოქმედობს. გენერალური შტაბი კი, თურმე, რაღაც ურთიერთობაშია ალექსინსკისთან, რომელიც ცილისმწამებლობისათვის საბჭოს აღმასრულებელ

კომიტეტში არ დაუშვეს! გენერალური შტაბი სწორედ კადეტების წასვლის მომენტისათვის შესაძლებლად თვლის — ალბათ, შემთხვევით, — რომ მისი ოფიციალური დოკუმენტები ალექსინსკის გადაეცეს გამოსაქვეყნებლად!

ხელისუფლება უმოქმედობს. არც კერენსკი, არც დროებითი მთავრობა, არც საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არ ფიქრობენ იმასაც კი, რომ დააპატიმრონ ლენინი, განეცკი, კოზლოვსკი, თუ ისინი საეჭვონი არიან. გუშინ ღამით, 4 ივლისს, ჩხეიძეც და წერეთელიც სთხოვენ გაზეთებს არ დაბეჭდონ აშკარა სიცრუე. ამავე დროს კი, უფრო გვიან, ნაშუაღამევს, პოლოვცევი იუნკრებსა და კაზაკებს გზავნის «პრავდის» დასარბევად, მისი გამოშვების შესაჩერებლად, გამომშვებთა დასაპატიმრებლად, დავთრების ხელში ჩასაგდებად (ვითომდა იმის შესამოწმებლად, ხომ არ არის აღნიშნული ამ დავთრებში საეჭვო ფული), და ამავე დროსვე ყვითელ, მდარე, ბინძურ გაზეთუნა «ჟივოე სლოვოში» იბეჭდება საზიზღარი ცილისწამება, რათა გააღვიონ ვნებათაღელვა, რათა ჩირქი მოსცხონ ბოლშევიკებს, რათა შექმნან რბევა-აწიოკების განწყობილება, რათა კეთილსახიერი გამართლება გამოუნახონ პოლოვცევის, იუნკრებისა და კაზაკების საქციელს, რომლებმაც დაარბიეს «პრავდა».

ვინც თვალს არ იხუჭავს, რათა არ დაინახოს ჭეშმარიტება, მას არ შეუძლია ცდებოდეს. როცა საჭიროა მოქმედება, ორივე ხელისუფლება უმოქმედობს — ცაკი, რადგან ის «ენდობა» კადეტებს და შიშობს გააჯავროს ისინი, ხოლო კადეტები არ მოქმედებენ როგორც ხელისუფლება, რადგან ისინი ამჯობინებენ ფარულად იმოქმედონ.

ფარული კონტრრევოლუცია ხელისგულზეა გადაშლილი: ესენი არიან კადეტები, გენერალური შტაბის გარკვეული წრეები («არმიის მეთაურთა ზედაფენები», როგორც ნათქვამია ჩვენი პარტიის რეზოლუციაში) და საეჭვო, ნახევრადშავრაზმული პრესა. აი ვინ არ არის უმოქმედო, აი ვინ «მუშაობს» შეწყობილად და ერთად; აი ის წრე, საიდანაც საზრდო-

ობს რბევა-აწიოკების ვითარება, რბევა-აწიოკების ცდები, მანიფესტანტებისათვის ტყვიის დაშენა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ვინც განზრახ თვალს არ იხუჭავს, რათა არ დაინახოს ჭეშმარიტება, მას აღარ შეუძლია კვლავაც ცდებოდეს.

ხელისუფლება არ არის და არ იქნება, ვიდრე საბჭოების ხელში მისი გადასვლა საფუძველს არ ჩაუყრის მის შექმნას. კონტრრევოლუცია უხელისუფლებობით სარგებლობს და აერთიანებს კადეტებს არმიის მეთაურთა გარკვეულ ზედაფენებთან და შავრაზმულ პრესასთან. ასეთია სავალალო სინამდვილე, მაგრამ სინამდვილე.

მუშებო და ჯარისკაცებო! თქვენ მოგეთხოვებათ თავდაჭერილობა, სიმტკიცე, სიფხიზლე!

დაწერილია 1917 წ. 5 (18) ივლისს

დაიბეჭდა 1917 წ. 6 (19) ივლისს გაზეთ «ლისტოკ «პრავდი»»

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

შავრაზმული გაზეთებისა და ალექსინსკის საზიზღარი ცილისწამება

გაზეთმა «ჟივოე სლოვომ», რომელიც აშკარად შავრაზმული ხასიათისაა, დღეს დაბეჭდა საძაგელი, ბინძური ცილისწამება ლენინზე.

გაზეთ «პრავდას» არ შეუძლია გამოსვლა იუნკრების მიერ 4 ივლისს ღამით მისი დარბევის გამო; ამიტომ ბინძური ცილისწამების დაწვრილებით გაბათილებას აგვიანდება.

ჯერჯერობით კი ვაცხადებთ, რომ «ჟივოე სლოვოს» ცნობა არის ცილისწამება, რომ ჩხეიძემ 4 ივლისს ღამით დაურეკა უველა დიდ გაზეთს და სთხოვა არ დაებეჭდათ ცილისმწამებლური, რბევა-აწიოკების გამომწვევი სტატიები. დიდმა გაზეთებმა შეასრულეს ჩხეიძის თხოვნა, და 5 ივლისს არც ერთ გაზეთს, გარდა ბინძური «ჟივოე სლოვოსი», არ დაუბეჭდია საზიზღარი ცილისწამება.

ალექსინსკი კი იმდენად ცნობილია, როგორც ცილისმწამებელი, რომ ის არ დაუშვებს საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, ვიდრე ის არ მოახდენს თავისი თავის რეაბილიტაციას, ე. ი. არ აღიდგენს თავის სახელს.

მოქალაქენო! ნუ დაუჯერებთ ბინძურ ცილისმწამებლებს— ალექსინსკისა და «ჟივოე სლოვოს».

ერთბაშად ჩანს «ჟივოე სლოვოს» ცილისწამება თუნდაც ამ საიდან: «ჟივოე სლოვო» წერს, რომ 16 მაისს შტაბიდან

კერენსკის გაეგზავნა წერილი (3719 ნომრით) ლენინისათვის ბრალის დადების შესახებაო. ცხადია, რომ კერენსკი ვალდებული იყო მაშინვე დაეპატიმრებინა ლენინი და დაენიშნა მ თ ა ვ რ ო ბ ი ს გ ა მ ო ძ ი ე ბ ა, მას რომ თუნდაც ერთი წუთით დაეჯერებინა ბრალდების ან ეჭვის სერიოზულობა.

დაწერილია 1917 წ. 5 (18) ივლისს

დაიბეჭდა 1917 წ. 6 (19) ივლისს გაზეთ «ლისტოკ «პრავდიში»»

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

ავყიაობა და ფაქტები

განუწყვეტელი ლანძღვა-გინებითა და ავყიაობით უმასპინძლდებიან ბოლშევიკებს 3 და 4 ივლისის დემონსტრაციის გამო.

იქამდეც კი მიდიან, ბრალდებას გვიყენებენ: ბოლშევიკები «ცდილობდნენ დაუფლებოდნენ ქალაქს», მათ უნდოდათ «ძალა დაეტანებიათ» საბჭოების ნებისათვის, ისინი «ხელყოფდნენ საბჭოების ძალაუფლებასაო» და ასე შემდეგ და ასე ამგვარად.

ფაქტები კი მეტყველებენ, რომ ბოლშევიკები, მიუხედავად მასების შეიარაღებისა, არათუ ქალაქის არც ერთ ნაწილს, არამედ არც ერთ შენობას, არც ერთ დაწესებულებას არ დაუფლებიან (თუმცა შეეძლოთ დაუფლებოდნენ) და არც ცდილან დაუფლებოდნენ.

ფაქტები მეტყველებენ, რომ დაწესებულების მიმართ ძალადობის გამოყენების ერთადერთი პოლიტიკური შემთხვევა იყო 4 ივლისს ღამით და მდგომარეობდა «პრავდის» დარბევაში იუნკრებისა და კაზაკების მიერ, პოლოვცევის ბრძანებით, საბჭოს დაუკითხავად, საბჭოს ნების გვერდის ავლით.

აი ეს ფაქტია.

აი ეს არის ძალადობის მოფიქრებული, ბოროტი გამოყენება მთელი დაწესებულების მიმართ, აი ეს არის «ხელყოფა» და «ძალისდატანება» არა სიტყვიერად, არამედ ნამდვილად. ეს ხელყოფა რომ კანონიერი ყოფილიყო, ან დროებითი

მთავრობა, ან საბჭო დაამტკიცებდა ასეთ ნაბიჯს: არც ერთ ხელისუფლებას ეს არ უქნია. «პრავდაზე» ძალადობის ჩამდენებმა ვერც საბჭოში, ვერც დროებით მთავრობაში ვერ ჰპოვეს მხარის დაჭერა.

ბოლშევიკებმა მოუწოდეს ჯარისკაცებს, რომლებმაც გამოსვლა დაიწყეს, მშვიდობიანი და ორგანიზებული მოქმედებისაკენ.

არც დროებით მთავრობას, არც საბჭოს არ მოუწოდებიათ იუნკრებისა, კაზაკებისა და პოლოვცევისათვის მშვიდობიანი და ორგანიზებული, კანონიერი მოქმედებისაკენ.

* * *

მაგრამ გვეუბნებიან, სროლა იყოო.

დიახ, სროლა იყო. მაგრამ ვინ ისროდა? ვინ გაბედავს ვისმე ბრალი დასდოს სროლაში გამოუძიებლად?

იქნებ ინებოთ და მოუსმინოთ ბურჟუაზიული წრის მოწმეს.

ეს მოწმეა გაზეთი «ბირჟევიე ვედომოსტი», 4 ივლისის საღამოს გამოშვება; გვგონია, ამ მოწმეს ქვეყნად ვერავინ დასწამებს ბოლშევიკებისადმი მიკერძოებას! აი რას ამბობს მოწმე:

«დღის სრულ 2 საათზე სადოვაიას ჭუჩისა და ნევის პროსპექტის კუთხეში, როდესაც მიდიოდნენ შეიარაღებული დემონსტრანტები, ხოლო მნიშვნელოვანი რაოდენობით შეყრილი ხალხი გულმშვიდად უცქეროდა მათ, სადოვაიას მარჯვენა მხრიდან გაისმა გამაყრუებელი სროლის ხმა, რომლის შემდეგ დაიწყო ხშირი სროლა».

ამრიგად, ბურჟუაზიული გაზეთის მოწმეც კი იძულებულია აღიაროს სიმართლე, სახელდობრ: რომ სროლა დაიწყეს სადოვაიას მარჯვენა მხრიდან!! განა ეს ნათლად არ გვიჩვენებს, რომ ესროდნენ დემონსტრანტებს.

ნუთუ ძნელია მოისაზრო, დემონსტრანტები რომ ცდილიყვნენ ან მათ რომ ნდომოდათ ძალადობით ემოქმედნათ, ისინი გარკვეული დაწესებულებისაკენ გაგზავნიდნენ (როგორც პოლოვცევმა გაგზავნა იუნ-

კრები და კაზაკები «პრავდის» წინააღმდეგ)? პირიქით, თუ არიან მოკლული მეზღვაურები და თუ ბურჟუაზიული გაზეთის მოწმენი ამბობენ, რომ სროლა დაიწყეს «სადოვაიას მარჯვენა მხრიდან», «როდესაც მიდიოდნენ შეიარაღებული დემონსტრანტები», — განა ეს აშკარა დამამტკიცებელი საბუთი არ არის, რომ ძალადობას ესწრაფოდნენ, ძალადობა სწადდათ სწორედ შავრაზმელებს, სახელდობრ დემოკრატიის მოწინააღმდეგეებს, სახელდობრ კადეტებთან ახლო მდგომ წრეებს?

დაწერილია 1917 წ. 5 (18) ივლისს

დაიბეჭდა 1917 წ. 6 (19) ივლისს გაზეთ «ლისტოკ «პრავდაში»»

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

დედაარსთან სიახლოვე

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 4 ივლისის საღამოს სხდომაზე მოქალაქე ჩაიკოვსკი თავის სიტყვაში საუცხოოდ მიუახლოვდა საქმის დედაარსს.

მან გაილაშქრა საბჭოს მიერ ძალაუფლების აღების წინააღმდეგ და მოიყვანა, სხვათა შორის, ასეთი, შეიძლება ითქვას, «გადამწყვეტი» საბუთი: ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ომი, ხოლო ომის წარმოება უფულოდ არ შეიძლება, ფულს კი ინგლისელები და ამერიკელები არ მოგვცემენ, თუ ძალაუფლება «სოციალისტების» ხელში იქნება, ფულს მხოლოდ მაშინ მოგვცემენ, თუ კადეტების მონაწილეობა იქნებაო.

საქმის დედაარსთან ახლოსაა.

იმპერიალისტურ ომში მონაწილეობა არ შეიძლება ისე, თუ არ «მონაწილეობ» ბატონი კაპიტალისტებისაგან სესხის აღებით ხალხის დამონების კაპიტალისტურ წამოწყებაში.

ნამდვილად რომ გაილაშქრო იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, საჭიროა გაწყვიტო ყ ვ ე ლ ა ძაფი, რაც გაკავშირებს კაპიტალთან და გაბამს მასზე, და უშიშრად აიღო მუშათა და გლეხთა ხელში ბანკების მეთვალყურეობა, წარმოების მეთვალყურეობა, მისი მოწესრიგება.

ინგლისელები და ამერიკელები — ჩვენც ასე ვფიქრობთ— სხვანაირად არ გაიღებენ ფულს, თუ არა კადეტების გარანტიით. ორში ერთი: ან უნდა ემსახურო კადეტებს, ემსახურო კაპიტალს, დააგროვო იმპერიალისტური სესხები (და არ დაიჩემო «რევოლუციური» დემოკრატიის სახელწოდება, შეუ-

რიგდე იმას, რომ სამართლიანად გიწოდებენ იმპერიალისტურ დემოკრატიას) ან უნდა გაწყვიტო კავშირი კადეტებთან, გაწყვიტო კავშირი კაპიტალისტებთან, გაწყვიტო კავშირი იმპერიალიზმთან, ნამდვილად გახდე რევოლუციონერი ომის საკითხებში.

ჩაიკოვსკი მიუახლოვდა საქმის დედაარსს.

დაწერილია 1917 წ. 5 (18) ივლისს

დაიბეჭდა 1917 წ. 6 (19) ივლისს გაზეთ «ლისტოკ «ჰრავდიში»»

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

დრეიფუსის ახალი საქმე?

ხომ არ სურს ჩვენი გენერალური შტაბის ზოგიერთ «წინამძღოლს» გაიმეოროს დრეიფუსის საქმე [51]?

ამას გვაფიქრებინებს აღმაშფოთებლად უტიფარი და უხიაკი ცილისწამება, რომელიც დაიბეჭდა «ჟივოე სლოვოში» და რომელიც ჩვენ დაწვრილებით გავარჩიეთ სხვა ადგილას.

საფრანგეთის გენერალურმა შტაბმა მთელ ქვეყნიერებაზე სავალალოდ და სამარცხვინოდ მოიჭრა თავი დრეიფუსის საქმით, მიმართა რა უმართებულო და უპატიოსნო, პირდაპირ დანაშაულებრივ (საზიზღარ) ზომებს დრეიფუსის გასამტყუნებლად.

ჩვენმა გენერალურმა შტაბმა თავი გამოამჟღავნა ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართულ «საქმეში», გვგონია, პირველად საჯაროდ... — ეს უცნაურია, ეს ღირსაღსანიშნავია, ეს დაუჯერებელია — შავრაზმული გაზეთუნას «ჟივოე სლოვოს» მეშვეობით, რომელშიც დაბეჭდილია აშკარა ცილისწამება, რომ ლენინი ჯაშუშიაო. ეს ცნობა იწყება შემდეგი სიტყვებით:

«1917 წლის 16 მაისით დათარიღებულ № 3719 წერილთან ერთად უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროსმა სამხედრო მინისტრს გაუგზავნა დაკითხვის ოქმი» (ერმოლენკოს დაკითხვისა).

განა წარმოსადგენია, საქმის რამდენადმე მაინც სწორი წარმართვისას, რომ დაკითხვის ოქმები, რომლებიც შტაბს

ეკუთვნის, იბეჭდებოდეს მ ა ნ ა მ დ ე, სანამ დაინიშნებოდეს გამოძიება, ან მ ა ნ ა მ დ ე, სანამ დააპატიმრებდნენ ეჰვმიტანილთ?

შტაბი დაზვერვას განაგებს. ეს უდავოა. მაგრამ განა წარმოსადგენია დაზვერვა, როცა 16 მაისს გაგზავნილ და კერენსკის მიერ დიდი ხანია მიღებულ დოკუმენტს კ ე რ ე ნ ს კ ი კი არ აძლევს მსვლელობას, არამედ შავრაზმული გაზეთუნა?

რით განსხვავდება ეს, არსებითად, დრეიფუსის საქმეში გამოყენებული ხერხებისაგან?

«ლისტოკ «პრავდი»», 1917 წ. 19 (6) ივლისი

იბეჭდება გაზეთ «ლისტოკ «პრავდის»» ტექსტის მიხედვით

რსდმპ(ბ) პეტროგრადის კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის მოწოდება

რსდმპ პეტროგრადის კომიტეტის აღმასრულებელი კომისია, რსდმპ ცკ-ის გუშინ გამოქვეყნებული გადაწყვეტილების შესასრულებლად (გადაწყვეტილებისა, რომელსაც ხელს აწერს პეტროგრადის კომიტეტიც), — მოუწოდებს მუშებს განაახლონ მუშაობა ხვალინდელი დღიდან, ე. ი. 7 ივლისს დილიდან.

ამ გადაწყვეტილებას უერთდება ვიბორგის მხარის საქარხნო კოლექტივების წარმომადგენელთა თათბირი.

რსდმპ პეტროგრადის კომიტეტის
აღმასრულებელი კომისია.

დაწერილია 1917 წ. 6 (19) ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

დრეიფუსიადა

ძველი უერთდება უახლესს — ასე იყო ყოველთვის ექსპლოატაციისა და რეპრესიის ხერხებში, რომლებსაც მიმართავდა ცარიზმი, ასე დარჩა რესპუბლიკურ რუსეთშიც. ბოლშევიკების, როგორც საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის პარტიის, დევნას კონტრრევოლუციური ბურჟუაზია ამკობს ფრიად საზიზღარი ცილისწამებით და სავსებით იმგვარივე ტიპის «ლაშქრობით» პრესაში, როგორიც იყო ფრანგული კლერიკალური და მონარქისტული გაზეთების ლაშქრობა დრეიფუსის საქმეში.

უეჭველად გაემტყუნებინათ დრეიფუსი ჯაშუშობაში! — ასეთი იყო მაშინ პაროლი. უეჭველად გაამტყუნონ რომელიმე ბოლშევიკი ჯაშუშობაში! — ასეთია ახლა პაროლი. ყოვლად საზიზღარი ცილისწამება, სინამდვილის დამახინჯება, ტლანქი სიცრუე და მკითხველთა დაბნევის დახელოვნებული მუშაობა — ყველა ამ ხერხს არაჩვეულებრივი გულმოდგინებით მიმართავს ყვითელი და საზოგადოდ ბურჟუაზიული პრესა. საერთოდ გამოდის ბრაზით აღსავსე ველური ღრიალი, რომელშიც ზოგჯერ არათუ საბუთებს, არამედ უბრალო დანაწევრებულ ბგერებსაც კი ვერ მონახავ.

აი ჩვენი უახლესი რესპუბლიკური დრეიფუსიადის ზოგიერთი ხერხი. ჯერ «აამოქმედეს» სამი მთავარი «საბუთი»: ერმოლენკო, კოზლოვსკის 20 მილიონი, პარვუსის მიტმასნება.

მეორე დღეს მთავარი დამრბევი გაზეთი «ჟივოე სლოვო» უკვე ბეჭდავს ორ «გასწორებას» — ბოლშევიკების «ბელადს» აღიარებს არა მოსყიდულად, არამედ ფანატიკოსად და 20 მილიონს ცვლის 20 ათასით. მეორე გაზეთი კი უკვე მეორეხარისხოვნად აცხადებს ერმოლენკოს ჩვენებას.

6 ივლისის «ლისტოკ პრავდიში» ჩვენ უკვე ცხადვყავით ერმოლენკოს ჩვენების სრული უაზრობა *. აშკარაა, რომ ამ ჩვენების დამოწმება უხერხული აღმოჩნდა.

იმავე «ლისტოკში» დაბეჭდილია კოზლოვსკის წერილი, რომელიც აბათილებს ცილისწამებას. გაბათილების შემდეგ 20 000 000 დაჰყავთ 20 000-მდე, — ზუსტი ციფრის ნაცვლად ისევ «დამრგვალება»!

ატმასნებენ პარვუსს და მთელი ძალ-ღონით ცდილობენ შექმნან რაღაცა კავშირურთიერთობა მასსა და ბოლშევიკებს შორის. ნამდვილად კი სწორედ ბოლშევიკებმა ჯერ კიდევ ჟენევის «სოციალ-დემოკრატში» [52] უწოდეს პარვუსს რენეგატი **, ულმობლად დაგმეს იგი, როგორც გერმანელი პლეხანოვი, ერთხელ და სამუდამოდ მოსპეს ამგვარ სოციალ-შოვინისტებთან რაიმე დაახლოების ყოველგვარი შესაძლებლობა. სწორედ ბოლშევიკებმა სტოკჰოლმში საზეიმო სხდომაზე შვედი მემარცხენე სოციალისტების მონაწილეობით [53] კატეგორიულად უარი თქვეს არათუ იმაზე, რომ ესაუბრნათ პარვუსთან, არამედ იმაზედაც კი, რომ დაეშვათ იგი რაიმე სახით, თუნდაც სტუმრად.

• განეცკი აწარმოებდა სავაჭრო საქმეებს, როგორც იმ ფირმის მოსამსახურე, რომელშიც მონაწილეობდა პარვუსი. კომერციული და ფულადი მიმოწერა, რა თქმა უნდა, ცენზურაში ტარდებოდა და სავსებით და მთლიანად მისაწვდომია კონტროლისათვის. ცდილობენ დაუკავშირონ ეს კომერციული საქმეები პოლიტიკას, თუმცა ამას სრულიად არაფრით არ ამტკიცებენ!!

* იხ. ეს ტომი, გვ. 175 — 181. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 21, გვ. 515 — 517. რ ე დ.

მიდიან ისეთ სასაცილო რამემდე, რომ «პრავდას» უსაყვედურებენ იმას, რომ შვეიცისა და ყველა სხვა ქვეყნის სოციალისტურ გაზეთებში მოთავსებულ მის დეპეშებს (რაც, ცხადია, აგრეთვე ცენზურაში ტარდებოდა და სავსებით ცნობილია ცენზურისათვის) გადაბეჭდავდნენ ხოლმე გერმანული გაზეთები, ზოგჯერ დამახინჯებით! თითქოს შეიძლებოდეს დანაშაულად ჩაგვეთვალოს ეს გადაბეჭდვა ან ბოროტი დამახინჯება!

ნამდვილი დრეიფუსიადაა, სიცრუისა და ცილისწამების ლაშქრობა ველური პოლიტიკური სიძულვილის ნიადაგზე... მაგრამ რა ბინძური უნდა იყოს ის წყაროები, რომლებიც იდეების ბრძოლას ცილისწამების გავრცელებით ცვლიან!

დაწერილია 1917 წ. 6 — 7 (19 — 20) ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის კრებულში IV

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბნელი ხმების გაბათილებისათვის

6 ივლისის «ლისტოკ პრავდიში» დაბეჭდილია დაწვრილებითი უარყოფა საზიზღარი ცილისწამებისა ლენინზე და სხვებზე, რასაც ავრცელებენ შავრაზმული გაზეთები*. ასეთივე უარყოფა უფრო მოკლე სახით, დაბეჭდილია ცალკე ფურცლად ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით.

ამის დასამატებლად ჩვენ მხოლოდ უნდა ვუპასუხოთ მოცემულ კითხვებზე: მართალია თუ არა ხმები ლენინის, კამენევის, ზინოვიევისა და სხვათა დაპატიმრების შესახებ? არა, ეს ხმები **არ არის მართალი.** ყველა აქ დასახელებული ბოლშევიკი, რომლებსაც განსაკუთრებით სდევნის საზიზღარი, ცილისმწამებლური პრესა, არის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. კიდევ და კიდევ ვთხოვთ ყველა პატიოსან მოქალაქეს არ დაიჯეროს ბინძური ცილისწამება და ბნელი ხმები.

დაწერილია 1917 წ. 7 (20) ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 175 — 183. რედ.

სამი კრიზისი [54]

რაც უფრო გააფთრებით სწამებენ ცილს და ცრუობენ ბოლშევიკებზე ამ დღეებში, მით უფრო გულდამშვიდებით, სიცრუისა და ცილისწამების გაბათილებასთან ერთად, უნდა ჩავუფიქრდეთ მოვლენების ისტორიულ კავშირს და რევოლუციის ახლანდელი მსვლელობის პოლიტიკურ, **ესე იგი კლასობრივ,** მნიშვნელობას.

სიცრუისა და ცილისწამების გასაბათილებლად ჩვენ აქ მხოლოდ უნდა დავიმოწმოთ ისევ 6 ივლისის «ლისტოკ პრავდი» და განსაკუთრებით უნდა მივაქციოთ მკითხველთა ყურადღება ქვემოთ დაბეჭდილ სტატიას, რომელიც დოკუმენტურად ამტკიცებს, რომ 2 ივლისს ბოლშევიკები აგიტაციას ეწეოდნენ გამოსვლის **წინააღმდეგ** (სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის გაზეთის აღიარებით), რომ 3 ივლისს მასების განწყობილებამ გადმოხეთქა და გამოსვლა დაიწყო ჩვენი რჩევის წინააღმდეგ, რომ 4 ივლისს ჩვენ მოვუწოდეთ ჩვენს ფურცელში (რაც გადაბეჭდა ესერების იმავე გაზეთმა, «დელო ნაროდამ») **მშვიდობიანი** და **ორგანიზებული** დემონსტრაციისაკენ, რომ 4 ივლისს ღამით ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება — შეწყვეტილიყო დემონსტრაცია. განაგრძეთ ცილისწამება, ცილისმწამებლებო! თქვენ ვერასოდეს ვერ უარყოფთ ამ ფაქტებს და მათს გადამწყვეტ მნიშვნელობას ამ ფაქტების ერთმანეთთან კავშირის პირობებში!

გადავიდეთ მოვლენების ისტორიული კავშირის საკითხზე. როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ აპრილის დამდეგს გავილაშქრეთ დროებითი მთავრობისათვის მხარის დაჭერის წინააღმდეგ, თავს დაგვესხნენ ესერებიცა და მენშევიკებიც. მაგრამ რა დამტკიცა ცხოვრებამ?

რა დაამტკიცა სამმა პოლიტიკურმა კრიზისმა: 20 და 21 აპრილისა, 10 და 18 ივნისისა, 3 და 4 ივლისის კრიზისებმა?

მათ დაამტკიცეს, ჯერ ერთი, მასების მზარდი უკმაყოფილება დროებითი მთავრობის ბურჟუაზიული უმრავლესობის ბურჟუაზიული პოლიტიკის გამო.

ინტერესს არ იქნება მოკლებული აღვნიშნოთ, რომ მმართველი ესერების პარტიის გაზეთი, 6 ივლისის «დელო ნაროდა», მიუხედავად მთელი მისი მტრობისა ბოლშევიკებისადმი, იძულებულია აღიაროს 3 და 4 ივლისის მოძრაობის ღრმა ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზები. სულელური, უხეში, საზიზღარი სიცრუე ამ მოძრაობის ხელოვნურად გამოწვევის შესახებ, გამოსვლის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ ბოლშევიკების აგიტაციის შესახებ, დღითი დღე უფრო და უფრო გამოაშკარავდება.

სამივე დასახელებული პოლიტიკური კრიზისის საერთო მიზეზი, საერთო წყარო, საერთო ღრმა ფესვი ნათელია — მეტადრე, თუ ამ კრიზისებს შევხედავთ მათს ურთიერთკავშირში, როგორც მეცნიერება გვიბრძანებს ვუყურებდეთ პოლიტიკას. უაზრობაა იმის ფიქრიც კი, თითქოს შესაძლებელი ყოფილიყოს სამი ამგვარი კრიზისის ხელოვნურად გამოწვევა.

მეორეც, საგულისხმოა დავუკვირდეთ იმას, თუ რა იყო საერთო, და იმას, თუ რა იყო ინდივიდუალური თვითეულ ამ კრიზისში.

საერთოა მასების გადმოხეთქილი უკმაყოფილება, მათი აღგზნება ბურჟუაზიისა და მ ი ს ი მთავრობის წინააღმდეგ. ვინც **საქმის ამ არსს** ივიწყებს ან ჩქმალავს ან აკნინებს, ის ხელს იღებს სოციალიზმის საანბანო ჭეშმარიტებაზე კლასობრივი ბრძოლის შესახებ.

კლასების ბრძოლა რუსეთის რევოლუციაში — დაე დაფიქრდნენ ამაზე ის ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს სოციალისტებს უწოდებენ და რომლებმაც ზოგი რამ იციან იმაზე, თუ როგორი იყო კლასების ბრძოლა ევროპის რევოლუციებში.

ინდივიდუალურია. ამ კრიზისებში მათი გამოვლინება: პირველ კრიზისში (20 — 21 აპრილს) მძაფრი სტიქიური, სრულიად არა ორგანიზებული გამოვლინება, რასაც მოჰყვა შავრაზმელთა ტყვიის დაშენა დემონსტრანტებისათვის და გაუგონარი უხიაკი და ცრუ ბრალდებანი ბოლშევიკების წინააღმდეგ. აფეთქების შემდეგ — პოლიტიკური კრიზისი.

მეორე შემთხვევაში დემონსტრაციის დანიშვნა ბოლშევიკების მიერ. მისი გადადება საბჭოების ყრილობის მრისხანე ულტიმატუმისა და პირდაპირი აკრძალვის შემდეგ და 18 ივნისის საერთო დემონსტრაცია, რომელმაც აშკარა უპირატესობა მოუპოვა ბოლშევიკურ ლოზუნგებს. პოლიტიკური კრიზისი, როგორც ეს თვით ესერებმა და მენშევიკებმა 18 ივნისს, სალამოს, აღიარეს, უსათუოდ იფეთქებდა, იგი ფრონტზე შეტევას რომ არ შეეწყვიტა.

მესამე კრიზისი სტიქიურად გაიშალა 3 ივლისს, მიუხედავად ბოლშევიკების 2 ივლისის ცდისა — შეეკავებინათ იგი; კრიზისი უმაღლეს წერტილს აღწევს 4 ივლისს, ხოლო 5 და 6 ივლისს იწვევს კონტრრევოლუციის აპოგეას. ესერებისა და მენშევიკების მერყეობა გამოიხატება იმით, რომ სპირიდონოვა და მთელი რიგი სხვა ესერები მხარს უჭერენ ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში, და ამგვარსავე აზრს გამოთქვამენ მენშევიკ-ინტერნაციონალისტები, რომლებიც წინათ ამის წინააღმდეგი იყვნენ.

ბოლოს, უკანასკნელი — და, თითქმის, ყველაზე საგულისხმო — დასკვნა ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენების განხილვიდან ის არის, რომ **სამივე** კრიზისი გვიჩვენებს რაღაც უფრო რთული ტიპის დემონსტრაციის ერთგვარ, ჩვენი რევოლუციის ისტორიაში ახალ, ფორმას, როცა ადგილი აქვს ტალღისებურ მოძრაობას, სწრაფ აღმავლობასა და მძაფრ დაჭანებას, რევოლუციისა და კონტრრევოლუციის გამწვავებას, შუათანა ელემენტების, მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროით, «გარიყვას».

მოძრაობა მთელი სამივე კრიზისის განმავლობაში ფორმით დემონსტრაცია იყო. მთავრობის საწინააღმდეგო დემონ-

სტრაცია—ასეთი იქნებოდა, ფორმალურად, მოვლენების ყველაზე ზუსტი აღწერა. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს ჩვეულებრივი დემონსტრაცია არ არის, ეს რაღაც გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე დემონსტრაცია, და ნაკლებია, ვიდრე რევოლუცია. ეს არის რევოლუციისა და კონტრრევოლუციის აზვირთება **ერთად**, ეს არის შუათანა ელემენტების მკვეთრი, ზოგჯერ თითქმის ანაზდეული «გარიყვა», პროლეტარული და ბურჟუაზიული ელემენტების მძაფრ გამოვლინებასთან დაკავშირებით.

ამ მხრივ მეტისმეტად დამახასიათებელია, რომ ყველა შუათანა ელემენტი **თვითეული** ამ მოძრაობის გამო უსაყვედურებს **ორივე** გარკვეულ კლასობრივ ძალას, პროლეტარულსაც და ბურჟუაზიულსაც. შეხედეთ ესერებსა და მენშევიკებს: ისინი წელებზე ფეხს იდგამენ, იჭაჭებიან და ყვირიან, ბოლშევიკები თავიანთი უკიდურესობით კონტრრევოლუციას ეხმარებიანო, და ამავე დროს მუდამ აღიარებენ, რომ კადეტები (რომლებთანაც მათ ბლოკი აქვთ მთავრობაში) კონტრრევოლუციონერები არიან. «გავემიჯნოთ — წერდა გუშინ «დელო ნაროდა» — ღრმა თხრილით ყველა მემარჯვენე ელემენტს, თვით ბრძოლის გუნებაზე დამდგარ «ედინსტვოსაც» (რომელთანაც, დავძენთ ჩვენი მხრით, ესერებს ბლოკი ჰქონდათ არჩევნებში) — ასეთია ჩვენი გადაუდებელი ამოცანა».

შეადარეთ ამას დღევანდელი «ედინსტვო» (7 ივლისისა), სადაც პლეხანოვის მოწინავე სტატია იძულებულია დაადასტუროს უდავო ფაქტი, სახელდობრ, რომ საბჭოებმა (ე. ი. ესერებმა და მენშევიკებმა) აიღეს «ორი კვირა მოსაფიქრებლად» და რომ თუ ძალაუფლება საბჭოების ხელში გადავა, ეს «ლენინელთა გამარჯვების მაჩვენებელი იქნებოდაო». «თუ კადეტები არ ადგანან წესს: რაც უარესია, მით უკეთესია»... — წერს პლეხანოვი — «მაშინ თვითონ ისინი იძულებული იქნებიან გამოტყდნენ, რომ მათ ჩაიდინეს» (სამინისტროდან გასვლით) «დიდი შეცდომა, რითაც ლენინელებს მუშაობა გაუადვილეს».

განა ეს დამახასიათებელი არ არის? შუათანა ელემენტები კადეტებს ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი ბოლშევიკებს უადვილებენ მუშაობას, ხოლო ბოლშევიკებს იმაში, რომ ისინი კადეტებს უადვილებენ მუშაობას!! განა ძნელია იმის მიხვედრა, რომ პოლიტიკურ სახელწოდებათა ნაცვლად უნდა ვიხმაროთ კლასობრივი სახელწოდებანი და რომ მაშინ მივიღებთ წვრილი ბურჟუაზიის ოცნებას პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის კლასობრივი ბრძოლის გაქრობაზე? წვრილი ბურჟუაზიის ჩივილი პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაზე ბურჟუაზიასთან? ნუთუ ძნელია იმის მიხვედრა, რომ ვერავითარი ბოლშევიკები ამ ქვეყნად ვერ შესძლებდნენ «გამოეწვიათ» არათუ სამი, არამედ ერთი «სახალხო მოძრაობაც» კი, უღრმეს ეკონომიურ და პოლიტიკურ მიზეზებს რომ მოძრაობაში არ მოჰყავდეთ პროლეტარიატი? რომ ვერავითარი კადეტები და მონარქისტები ერთად ვერ შესძლებდნენ გამოეწვიათ რაიმე მოძრაობა «მარჯვნივ», ასევე ღრმა მიზეზები რომ არ ქმნიდნენ ბურჟუაზიის, როგორც კლასის, კონტრრევოლუციურობას?

20 — 21 აპრილის მოძრაობის გამო ჩვენცა და კადეტებს გვაგინებდნენ დაუთმობლობისათვის, უკიდურესობისათვის, საქმის გამწვავებისათვის, იქამდე მიდიოდნენ, რომ ბოლშევიკებს ბრალად სდებდნენ (მიუხედავად დიდი უაზრობისა) სროლის ატეხას ნევის პროსპექტზე, — ხოლო როცა მოძრაობა გათავდა, იგივე ესერები და მენშევიკები თავიანთ გაერთიანებულ და ოფიციალურ ორგანოში, «იზვესტიაში», წერდნენ, რომ «სახალხო მოძრაობამ» «წალეკა იმპერიალისტები მილიუკოვი და სხვ.», ე. ი. **ხოტბას ასხამდნენ** მოძრაობას!! განა ეს დამახასიათებელი არ არის? განა ეს განსაკუთრებით ნათლად არ გვიჩვენებს, რომ წვრილ ბურჟუაზიას არ გაეგება მექანიზმი, დედაარსი პროლეტარიატის ბრძოლისა ბურჟუაზიასთან?

ობიექტური მდგომარეობა ასეთია: ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა წვრილბურჟუაზიულია თა-

ვისი ცხოვრების მდგომარეობით და კიდევ უფრო მჭტად თავისი იდეებით. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მეფობს მსხვილი კაპიტალი, პირველ რიგში ბანკების მეშვეობით და სინდიკატების მეშვეობით. ჩვენს ქვეყანაში არის ქალაქის პროლეტარიატი, რომელიც საკმაოდ განვითარებულია იმისათვის, რომ თავისი გზით იაროს, მაგრამ რომელსაც ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი მიიმხროს ნახევრადპროლეტართა უმრავლესობა. ამ ძირითადი, კლასობრივი, ფაქტიდან გამომდინარეობს ისეთი კრიზისების გარდუვალობა, როგორიცაა სამი კრიზისი, რომლებსაც ჩვენ ახლა ვიკვლევთ, აგრეთვე მათი ფორმებიც.

კრიზისების ფორმები მომავალში, რა თქმა უნდა, შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ საქმის არსი დარჩება, მაგალითად, იმ შემთხვევაშიც, თუ ოქტომბერში შეიკრიბება ესერული დამფუძნებელი კრება. ესერებმა ალუთქვეს გლეხებს (1) მიწის კერძო საკუთრების გაუქმება; (2) მიწის გადაცემა მშრომელებისათვის; (3) მემამულეთა მიწების კონფისკაცია, მათი გამოუსყიდავად გადაცემა გლეხებისათვის. ამ დიად გარდაქმნათა განხორციელება აბსოლუტურად შეუძლებელია ისე, თუ უაღრესად გადამწყვეტი, ფრიად რევოლუციური ზომები არ იქნება მიღებული ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ზომები, რომელთა გატარება შეიძლება **მხოლოდ** უღარიბესი გლეხების შეერთებით პროლეტარიატთან, **მხოლოდ** ბანკებისა და სინდიკატების ნაციონალიზაციით.

გულმინდობილი გლეხები, რომლებმაც დროებით დაიჯერეს, რომ ამ საუცხოო რამეების მიღწევა შეიძლება ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობით, აუცილებლად დარჩებიან იმედგაცრუებულნი და... «უკმაყოფილონი» (რბილად რომ ვთქვათ) ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის მწვავე კლასობრივი ბრძოლით ესერულ დაპირებათა ნამდვილად განხორციელებისათვის. ასე იყო, ასე იქნება.

დაწერილია 1917 წ. 7 (20) ივლისს
დაიბეჭდა 1917 წ. 19 ივლისს
ჟურნალ «რაბოტნიცაში» № 7

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბოლშევიკთა ბელადების სასამართლოში გამოცხადების საკითხისათვის [55]

კერძო საუბრების მიხედვით თუ განვსჯით, ამ საკითხზე ორი აზრი არსებობს.

ამხანაგები, რომლებიც «საბჭოების ატმოსფეროს» ემორჩილებიან, ხშირად იხრებიან გამოცხადების სასარგებლოდ.

მუშათა მასებთან უფრო ახლოს მდგომნი, ეტყობა, იხრებიან გამოუცხადებლობის სასარგებლოდ.

პრინციპულად, საკითხი ყველაზე მეტად განისაზღვრება იმის შეფასებით, რასაც ჩვეულებრივ ეწოდება კონსტიტუციური ილუზიები.

თუ ჩავთვლით, რომ რუსეთში არის და შესაძლებელია მართებული მთავრობა, მართებული სასამართლო, რომ მოსალოდნელია დამფუძნებელი კრების მოწვევა, მაშინ შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე გამოცხადების სასარგებლოდ.

მაგრამ ასეთი აზრი თავიდან ბოლომდე შემცდარია. სწორედ უკანასკნელმა ამბებმა, 4 ივლისის შემდეგ, ფრიად თვალსაჩინოდ დაგვანახვეს, რომ დამფუძნებელი კრების მოწვევა წარმოუდგენელია (ახალი რევოლუციის მოუხდენლად), რომ არც მართებული მთავრობა, არც მართებული სასამართლო რუსეთში არ არის და არც შეიძლება (ახლა) იყოს.

სასამართლო ხელისუფლების ორგანოა. ლიბერალები ამას ზოგჯერ ივიწყებენ. მარქსისტისათვის დანაშაულია ამის დავიწყება.

ხოლო სად არის ხელისუფლება? ვინ არის **ხელისუფლება**?

მთავრობა არ არის. იგი ყოველდღე იცვლება. იგი უმოქმედობს.

მოქმედებს სამხედრო დიქტატურა. «სასამართლოს» შესახებ სასაცილოც კია ლაპარაკი. საქმე «სასამართლო» კი არ არის, არამედ სამოქალაქო ომის ეპიზოდია. აი რის გაგება ამაოდ არა სურთ გამოცხადების მომხრეებს.

პერევერზევი და ალექსინსკი, როგორც «საქმის» ინიციატორები!! ნუთუ სასაცილო არ არის აქ სასამართლოზე ლაპარაკი? ნუთუ გულუბრყვილობა არ არის იმის ფიქრი, რომ რომელიმე სასამართლოს ასეთ პირობებში შეუძლია რაიმე გაარჩიოს, დაადგინოს, გამოიძიოს??

ძალაუფლება სამხედრო დიქტატურის ხელშია, და ახალი რევოლუციის მოუხდენლად ეს ძალაუფლება შეიძლება მხოლოდ განმტკიცდეს განსაზღვრული დროით, უწინარეს ყოვლისა ომის განმავლობაში.

«მე კანონის საწინააღმდეგო არაფერი ჩამიდენია. სასამართლო სამართლიანია. სასამართლო გაარჩევს. გასამართლება საჯარო იქნება. ხალხი შეიგნებს. მე გამოვცხადდებიო».

ეს მსჯელობა ბავშვური და გულუბრყვილოა. არა სასამართლო, არამედ ინტერნაციონალისტების დევნა — **აი რა სჭირდება ხელისუფლებას**. ჩასვან ისინი და დამწყვდეულნი ჰყავდეთ — აი რა უნდათ ბბ. კერენსკისა და კომპანიას. ასე იყო (ინგლისსა და საფრანგეთში) — ასე იქნება (რუსეთში).

დაე ინტერნაციონალისტებმა იმუშაონ არალეგალურად შეძლებისამებრ, მაგრამ დაე ნუ ჩაიდენენ ისინი ნებაყოფლობით გამოცხადების სისულელეს!

დაწერილია 1917 წ. 8 (21) ივლისს
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 1 (36)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პოლიტიკური მდგომარეობა[56]

კონტრრევოლუცია დაირაზმა, გამაგრდა და ფაქტიურად დაეუფლა ძალაუფლებას სახელმწიფოში.

კონტრრევოლუციის სრული ორგანიზება და გამაგრება მდგომარეობს კონტრრევოლუციის სამი მთავარი ძალის საუცხოოდ მოსაზრებულ, უკვე განხორციელებულ შეერთებაში: 1) კადეტების პარტიამ, ე. ი. ორგანიზებული ბურჟუაზიის ნამდვილმა ბელადმა, როცა იგი სამინისტროდან გავიდა, წაუყენა ამ უკანასკნელს ულტიმატუმი და ამრიგად **სარბიელი გაწმინდა კონტრრევოლუციის მიერ ამ სამინისტროს დასამხობად;** 2) გენერალურმა შტაბმა და არმიის **მეთაურთა ზედაფენებმა** კერენსკის შეგნებული თუ ნახევრადშეგნებული დახმარებით, კერენსკისა, რომელსაც უთვალსაჩინოესი ესერებიც კი ახლა უწოდებენ კავენიაკს, ხელთ იგდეს ფაქტიური სახელმწიფო ძალაუფლება და შეუდგნენ ჯარის რევოლუციური ნაწილების დახვრეტას ფრონტზე, რევოლუციური ჯარებისა და მუშების განიარაღებას პიტერსა და მოსკოვში, დათრგუნვასა და დამორჩილებას ნიჟნში, ბოლშევიკების დაპატიმრებას და მათი გაზეთების დახურვას არათუ **სახამართლოს** გარეშე, არამედ მთავრობის დადგენილების გარეშეც. ფაქტიურად ძირითადი სახელმწიფო ძალაუფლება რუსეთში ახლა არის სამხედრო დიქტატურა; ეს ფაქტი ჯერ კიდევ დაჩრდილულია მთელი რიგი სიტყვიერად რევოლუციური, მაგრამ სინამდვილეში უძლური დაწესებულებებით. **მაგრამ** ეს უეჭველი და იმდენად ძირითადი ფაქტია, რომ მის

გაუგებლად პოლიტიკურ მდგომარეობაში ვერაფერს გაიგებ. 3) შავრაზმულ-მონარქისტულმა და ბურჟუაზიულმა პრესამ, რომელიც უკვე გადავიდა ბოლშევიკების ცოფმორეული დევნიდან საბჭოების დევნაზე, «ცეცხლისგამჩაღებელი» ჩერნოვისა და სხვათა დევნაზე, ცხადზე უცხადესად გვიჩვენა, რომ ახლა გაბატონებული და კადეტებისა და მონარქისტების მიერ ზურგგამაგრებული სამხედრო დიქტატურის პოლიტიკის ნამდვილი დედაარსი საბჭოების გარეკვის მომზადებაში მდგომარეობს. ესერებისა და მენშევიკების, ე. ი. საბჭოების ახლანდელი უმრავლესობის, ბევრმა ბელადმა ეს უკვე აღიარა და გამოთქვა ამ უკანასკნელ დღეებში, მაგრამ, როგორც ნამდვილი წვრილი ბურჟუები, ისინი ამ მრისხანე სინამდვილისაგან თავს იძვრენენ ყოვლად ფუჭი და უშინაარსო ყბედობით.

საბჭოების და სოციალისტ-რევოლუციონერთა და მენშევიკთა პარტიების ბელადებმა, წერეთლისა და ჩერნოვის მეთაურობით, საბოლოოდ უღალატეს რევოლუციის საქმეს, ხელთ ჩაუგდეს იგი კონტრრევოლუციონერებს და გადააქცეს თავიანთი თავი, თავიანთი პარტიები და საბჭოები კონტრრევოლუციის ლეღვის ფოთლად.

ეს ფაქტი დამტკიცებულია იმით, რომ სოციალისტ-რევოლუციონერებმა და მენშევიკებმა გასცეს ბოლშევიკები და მდუმარედ დაადასტურეს მათი გაზეთების დარბევა, ამასთან ვერც კი გაბედეს პირდაპირ და აშკარად ეთქვათ ხალხისათვის, რომ ისინი ამას შვრებიან, და რატომ შვრებიან ისინი ამას. დააკანონეს რა მუშათა და რევოლუციური პოლკების განიარაღება, მათ თავიანთ თავს წაართვეს ყოველი რეალური ძალაუფლება. ისინი გახდნენ ყოვლად ფუჭი მოლაყბენი, რომელნიც ეხმარებიან რეაქციას, რომ მან «შეაქციოს» ხალხის ყურადღება, ვიდრე იგი დაამთავრებდეს თავის უკანასკნელ მზადებას საბჭოების გასარეკად. თუ ვერ შეიგნე სოციალისტ-რევოლუციონერებისა და მენშევიკების პარტიების და საბჭოების ახლანდელი უმრავლესობის ეს სრული და საბოლოო გაკოტრება, თუ ვერ შეიგნე მათი

«დირექტორიისა» და სხვა მასკარადების ყოველად სრული ფიქციურობა, ისე სრულიად ვერაფერს გაიგებ მთელ ახლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაში.

რუსეთის რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ყოველგვარი იმედი საბოლოოდ გაქრა. ობიექტური მდგომარეობა: ან სამხედრო დიქტატურის ბოლომდე გამარჯვება, ან მუშათა შეიარაღებული აჯანყების გამარჯვება, რაიც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აჯანყება დაემთხვევა ღრმა მასობრივ ამხედრებას მთავრობის წინააღმდეგ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ეკონომიური ნგრევისა და ომის გაჭიანურების ნიადაგზე.

საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლის ლოზუნგი იყო ლოზუნგი რევოლუციის მშვიდობიანი განვითარებისა; ასეთი განვითარება შესაძლებელი იყო აპრილში, მაისში, ივნისში, 5 — 9 ივლისამდე, ე. ი. მანამდე, სანამ ფაქტიური ძალაუფლება სამხედრო დიქტატურის ხელში გადავიდოდა. ახლა ეს ლოზუნგი უკვე არ არის სწორი, რადგან ანგარიშს არ უწევს ამ მომხდარ გადასვლას და რევოლუციისადმი ესერებისა და მენშევიკების სრულ ღალატს სინამდვილეში. საქმეს უშველის არა ავანტიურები, არა ამბოხებანი, არა ნაწილ-ნაწილ წინააღმდეგობის გაწევა, არა უიმედო ცდები ნაწილ-ნაწილ წინააღუდგე რეაქციას, არამედ მხოლოდ მდგომარეობის ნათელი შეგნება, მუშათა ავანგარდის თავდაჭერილობა და სიმტკიცე, ძალების მომზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის, რომლის გამარჯვების პირობები ახლა საშინლად ძნელია, მაგრამ მაინც შესაძლებელია ტექსტში აღნიშნული ფაქტებისა და მიმდინარეობათა თანადამთხვევისას. ამიერიდან აღარ უნდა იყოს არავითარი კონსტიტუციური და რესპუბლიკური ილუზიები, მშვიდობიანი გზის არავითარი ილუზიები, არავითარი დაქსაქსული მოქმედება, არ უნდა ვცვეთ ახლა შავი რაზმებისა და კაზაკების პროვოკაციებს, არამედ მოვიკრიბოთ ძალები, მოვახდინოთ მათი რეორგანიზება და მტკიცედ ვემზადოთ შეიარაღებული აჯანყებისათვის, თუ კრიზისის მსვლელობა საშუალებას მოგვცემს გამოვიყე-

ნოთ იგი მართლაც მასობრივი, საერთო-სახალხო მასშტაბით. მიწის გადასვლა გლეხთა ხელში შეუძლებელია ახლა ისე, თუ არ მოხდება შეიარაღებული აჯანყება, რადგან კონტრრევოლუცია, რომელიც დაეპატრონა ძალაუფლებას, სავსებით გაერთიანდა მემამულეებთან, როგორც კლასთან.

შეიარაღებული აჯანყების მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ ძალაუფლების გადასვლა პროლეტარიატის ხელში, რომელსაც მხარს დაუჭერს უღარიბესი გლეხობა, ჩვენი პარტიის პროგრამის განსახორციელებლად.

მუშათა კლასის პარტიამ, რომელიც არ სტოვებს ლეგალობას, მაგრამ ერთი წუთითაც კი არ აზვიადებს მას, უნდა **შეაერთოს** ლეგალური მუშაობა არალეგალურთან, როგორც ეს იყო 1912 — 1914 წლებში.

ლეგალური მუშაობა არც ერთ საათს არ უნდა იყოს მიტოვებული. მაგრამ კონსტიტუციური და «მშვიდობიანი» ილუზიებისაც არ უნდა გვჯეროდეს. ახლავე ყველგან და ყოველ ადგილას უნდა დავაარსოთ არალეგალური ორგანიზაციები ან უჯრედები ფურცლების გამოსაცემად და სხვ.. გარდავიქმნათ ახლავე, თავდაჭერილად, მტკიცედ, მთელი ხაზით.

ვიმოქმედოთ ისე, როგორც ვმოქმედებდით 1912 — 1914 წლებში, როდესაც ჩვენ შეგვეძლო ლაპარაკი ცარიზმის დამხობაზე რევოლუციითა და შეიარაღებული აჯანყებით და ამავე დროს არ დაგვეკარგა ლეგალური ბაზა არც სახელმწიფო სათათბიროში, არც დამზღვევ სალაროებში, არც პროფესიულ კავშირებში და ა. შ.

დაწერილია 1917 წ. 10 (23) ივლისს
დაიბეჭდა 1917 წ. 20 ივლისს
(2 აგვისტოს) გაზეთ «პროლეტარსკოე დელოში» № 6
ხელმოწერა: W

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი «ნოვაია ჟიზნის» რედაქციის მიმართ

ნება მომეცით, ამხანაგებო, მივმართო თქვენს სტუმართმოყვარეობას ჩვენი პარტიის გაზეთის იძულებით შეჩერების გამო. გარკვეული სახის გაზეთები გააფთრებულ კამპანიას ეწევიან ჩვენს წინააღმდეგ. ბრალად გვდებენ ჯაშუშობას ან მტრის მთავრობასთან ურთიერთობას.

თუ რა გაუგონარი... ქარაფშუტობით (ეს შეუფერებელი, ერთობ სუსტი სიტყვაა) წარმოებს ეს კამპანია, გვიჩვენებს შემდეგი უბრალო ფაქტები. «ჟივოე სლოვომ» ჯერ დაბეჭდა, ლენინი ჯაშუშიაო, ხოლო შემდეგ, «გასწორების» სახით, რაც საქმეს არა სცვლის, განაცხადა, ჯაშუშობაში მას ბრალი არ ედებაო! ჯერ გამოაქვთ ერმოლენკოს ჩვენება, შემდეგ იძულებული არიან აღიარონ, რომ პირდაპირ უხერხული და სამარცხვინოა ამგვარი ადამიანის ამგვარი ჩვენება საბუთად მიიჩნიონ.

იშველიებენ პარვუსის სახელს, მაგრამ სდუმან იმაზე, რომ ისეთი ულმობელი სიმკვეთრით არავის დაუგმია პარვუსი ჯერ კიდევ 1915 წელს, როგორც ეს ქნა ჟენევის «სოციალ-დემოკრატმა», რომელსაც ჩვენ ვრედაქტორობდით და რომელმაც სტატიაში «უკანასკნელ მიჯნასთან» სამარცხვინო ბოძზე გააკრა პარვუსი, როგორც «რენეგატი», «ჰინდენბურგის ჩექმის მლოკავი», და სხვ. *. ყოველმა შეგნებულმა კაცმა იცის ან ადვილად შეიძლება გაიგოს, რომ აბსოლუტურად

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 21, გვ. 515 — 517. რ ე დ.

არავითარ ჩვენს პოლიტიკურ თუ სხვაგვარ ურთიერთობაზე პარვუსთან ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

ატმასნებენ ვიღაც სუმენსონის სახელს, რომელთანაც ჩვენ არათუ არასოდეს არა გვქონია საქმეები, არამედ რომელიც არასოდეს თვალითაც არ გვინახავს. ლაპარაკობენ განეცკისა და კოზლოვსკის კომერციულ საქმეებზე, თუმცა არ მოჰყავთ არც ერთი ფაქტი, სახელდობრ რაში, სად, როდის და როგორ იყო კომერცია ჯაშუშობის საბურველი. ჩვენ კი არათუ არასოდეს არც პირდაპირ, არც არაპირდაპირ არ მიგვიღია მონაწილეობა კომერციულ საქმეებში, არამედ საერთოდ არც ერთი კაპიკი ფული არც ერთი დასახელებული ამხანაგისაგან არც პირადად ჩვენთვის, არც პარტიისათვის არ მიგვიღია.

იქამდეც კი მიდიან, რომ ჩვენ დანაშაულად გვითვლიან «პრავდის» დეპეშების გადაბეჭდვას — დამახინჯებით — გერმანული გაზეთების მიერ და ამავე დროს «ივიწყებენ» იმის მოხსენიებას, რომ «პრავდა» საზღვარგარეთ უშვებს ბიულეტენს გერმანულად და ფრანგულად და რომ ამ ბიულეტენიდან გადაბეჭდვა სავსებით თავისუფალია [57]!

და ყოველივე ეს ხდება ალექსინსკის მონაწილეობით ან ინიციატივითაც კი, — იმ ალექსინსკისა, რომელიც საბჭოში არ იქნა დაშვებული და რომელიც, სხვანაირად რომ იტყვას, აღიარებულია აშკარა ცილისმწამებლად!! ნუთუ შეიძლება ვერ გაიგონ, რომ ასეთი ვზა ჩვენს წინააღმდეგ არის ჩასაფრებული იურიდიული მკვლელობა? ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრების სამართალში მიცემის პირობების საკითხს საერთოდ, უეჭველია, მოწესრიგების ელემენტი შეაქვს საქმეში. მოისურვებენ თუ არა სოციალისტ-რევოლუციონერებისა და მენშევიკების პარტიები მონაწილეობას იურიდიული მკვლელობის მცდელობაში? მონაწილეობას სასამართლოზე გადაცემაში იმის აღუნიშვნელადაც კი — ჯაშუშობასა თუ ამბოხებას გვდებენ ბრალად? — საერთოდ მონაწილეობას სასამართლოზე გადაცემაში დანაშაულის ყოველგვარი იურიდიულად ზუსტი კვალიფიკაციის გარეშე?

მონაწილეობას აშკარად ტენდენციურ პროცესში, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს დამფუძნებელი კრების წევრობის კანდიდატებად იმ პირთა წამოყენებას, რომლებსაც აშკარად სახავენ მათი პარტიები კანდიდატებად? მოისურვებენ თუ არა ეს პარტიები რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევის წინადღე გახადონ რუსულ ნიადაგზე დრეიფუსიადის დასაწყისად?

ახლო მომავალი პასუხს გასცემს ამ კითხვებზე. მათი აშკარად დასმა ჩვენ თავისუფალი პრესის მოვალეობად მიგვაჩნია.

ბურჟუაზიულ პრესაზე ჩვენ არ ვლაპარაკობთ. რა თქმა უნდა, მილიუკოვს იმდენად სჯერა ჩვენი ჯაშუშობა ან ჩვენ მიერ გერმანული ფულის მიღება, რამდენადაც მარკოვსა და ზამისლოვსკის სჯეროდათ, რომ ებრაელები ბავშვის სისხლს სვამენ.

მაგრამ მილიუკოვმა და კომპ. იციან, რას აკეთებენ.

«ნოვაია ჟიზნ» № 71,
1917 წ. 11 (24) ივლისი

იბეჭდება
გაზეთ «ნოვაია ჟიზნის»
ტექსტის მიხედვით

წერილი «პროლეტარსკოე დელოს» რედაქციის მიმართ

ამხანაგებო!

ჩვენ შევცვალეთ ჩვენი განზრახვა დავმორჩილებოდით დროებითი მთავრობის ბრძანებას ჩვენი დაპატიმრების შესახებ — შემდეგი მოტივებით.

იუსტიციის ყოფილი მინისტრის პერევერზევის წერილიდან, რომელიც დაიბეჭდა კვირას გაზეთ «ნოვოე ვრემიაში», სავსებით ცხადი გახდა, რომ ლენინისა და სხვათა «ჯაშუშობის» «საქმე» სავსებით მოფიქრებულად არის მოწყობილი კონტრრევოლუციის პარტიის მიერ.

პერევერზევი სავსებით აშკარად აღიარებს, რომ მან გააკეთა ყველა შეუმოწმებელი ბრალდებანი, რათა გამოიწვიოს ჯარისკაცთა გაფთრება (სიტყვასიტყვითი გამოთქმაა) ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. ამას აღიარებს იუსტიციის გუშინდელი მინისტრი, კაცი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ სოციალისტს უწოდებდა თავის თავს! პერევერზევი წავიდა. მაგრამ შეჩერდება თუ არა იუსტიციის ახალი მინისტრი პერევერზევ-ალექსინსკის ხერხების წინაშე, ამას ვერავინ იტყვის.

კონტრრევოლუციური ბურჟუაზია ცდილობს შექმნას დრეიფუსის ახალი საქმე. მას იმდენადვე სჯერა ჩვენი «ჯაშუშობა», რამდენადაც რუსეთის რეაქციის ბელადებს, რომლებმაც შექმნეს ბეილისის საქმე [98], სჯეროდათ, რომ ებრაე-

ლები ბავშვის სისხლს სვამენ. მართლმსაჯულების არავითარი გარანტია არ არის ამჟამად რუსეთში.

ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელიც თავის თავს თვლის რუსეთის დემოკრატიის უფლებამოსილ ორგანოდ, ის იყო დააპირა კომისიის დანიშვნა ჯაშუშობის საქმეზე, მაგრამ კონტრრევოლუციური ძალების ზედმოქმედებით ეს კომისია დაშალა. მან არ მოისურვა არც პირდაპირ დაედასტურებინა, არც გაეუქმებინა ჩვენი დაპატიმრების ბრძანება. მან ხელები დაიბანა, ფაქტიურად ხელში მისცა ჩვენი თავი კონტრრევოლუციას.

ჩვენთვის «შეთქმულებაში» და ამბოხების «მორალურ» «წაქეზებაში» ბრალის დადება უკვე სავსებით გარკვეული ხასიათისაა. ჩვენი ვითომდა დანაშაულის არავითარ იურიდიულ ზუსტ კვალიფიკაციას არ იძლევა არც დროებითი მთავრობა, არც საბჭო, რომლებმაც ორივემ ჩინებულად იციან, რომ «შეთქმულებაზე» ლაპარაკი ისეთ მოძრაობაში, როგორიც იყო 3 — 5 ივლისის მოძრაობა, პირდაპირ უაზრობაა. მენშევიკებისა და ესერების ბელადები პირდაპირ ცდილობენ მოწყალების გრძნობა გაუღვიძონ უკვე მათ წინააღმდეგაც შემტევ კონტრრევოლუციას და ამისათვის ხელში ჩაუგდონ ამ უკანასკნელს, მისი მითითებით, ჩვენი პარტიის მთელი რიგი წევრები. არავითარ ლეგალურ ნიადაგზე, ისეთ კონსტიტუციურ გარანტიებზედაც კი, რომლებიც ბურჟუაზიულ მოწესრიგებულ ქვეყნებში არსებობს, რუსეთში ახლა ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ჩვენი თავი რომ ახლა ხელთ ჩავუგდოთ ხელისუფალთ, ეს ის იქნება, რომ დავნებდეთ მილიუკოვებს, ალექსინსკებს, პერევერზევებს, გააფთრებულ კონტრრევოლუციონერებს, რომელთათვის უველა ბრალდება ჩვენს წინააღმდეგ უბრალო ეპიზოდს წარმოადგენს სამოქალაქო ომში.

მას შემდეგ, რაც 6 — 8 ივლისის დღეებში მოხდა, არც ერთ რუს რევოლუციონერს ალარ შეუძლია კონსტიტუციური ილუზიები ჰქონდეს. ხდება გადამწყვეტი შეტაკება რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის. ჩვენ უწინდებურად ვიბრძოლებთ პირველის მხარეზე.

ჩვენი ძალ-ღონის კვალობაზე უწინდებურად დავეხმარებით პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას. მარტოოდენ დამფუძნებელი კრება, თუ იგი შეიკრიბება და მოწვეული იქნება არა ბურჟუაზიის მიერ, მარტოოდენ იგი იქნება უფლებამოსილი თქვას თავისი სიტყვა ჩვენი დაპატიმრების შესახებ დროებითი მთავრობის ბრძანების გამო.

«პროლეტარსკოე დელო» № 2,
1917 წ. 28 (15) ივლისი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარსკოე დელოს»
ტექსტის მიხედვით

ლოზუნგებისათვის

ძალიან ხშირად ყოფილა, რომ, როდესაც ისტორია მძაფრად შებრუნებულა, მოწინავე პარტიებიც კი მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ შესთვისებიან ახალ მდგომარეობას, გაუმეორებიათ ისეთი ლოზუნგები, რომლებიც სწორი ყოფილა გუშინ, მაგრამ რომლებსაც ყოველგვარი აზრი დაუკარგავთ დღეს, დაუკარგავთ აზრი იმდენადკე «უეცრად», რამდენადაც «უეცარი» ყოფილა ისტორიის მძაფრი შემობრუნება.

ეტყობა, რაღაც ამის მსგავსი შეიძლება განმეორდეს საბჭოების ხელში მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლის ლოზუნგის მიმართ. ეს ლოზუნგი სწორი იყო ჩვენი რევოლუციის საბოლოოდ განვლილი პერიოდის მანძილზე, ვთქვათ, 27 თებერვლიდან 4 ივლისამდე. ეს ლოზუნგი აშკარად აღარ არის ახლა სწორი. ამის გაუგებლად ვერაფერს გაიგებ თანამედროვეობის საარსებო საკითხებში. ყოველი ცალკეული ლოზუნგი უნდა გამოიყვანო გარკვეული პოლიტიკური მდგომარეობის თავისებურებათა მთელი ერთობლიობიდან. პოლიტიკური მდგომარეობა კი რუსეთში ახლა ძირეულად განსხვავდება 27 თებერვალ — 4 ივლისის მდგომარეობისაგან.

მაშინ, რევოლუციის ამ განვლილ პერიოდში, ბატონობდა სახელმწიფოში ეგრეთწოდებული «ორხელისუფლებიანობა», რომელიც მატერიალურადაც და ფორმალურადაც გამოხატავდა სახელმწიფო ხელისუფლების გაურკვეველ-გარდამავალ

მდგომარეობას. ნუ დაგვავიწყდება, რომ ძალაუფლების საკითხი ყოველი რევოლუციის ძირითადი საკითხია.

მაშინ ხელისუფლება მერყევ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მას ინაწილებდნენ, ერთმანეთს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმებით, დროებითი მთავრობა და საბჭოები. საბჭოები წარმოადგენდნენ თავისუფალ, ე. ი. გარედან მომდინარე რაიმე ძალადობისაგან თავისუფალ და შეიარაღებულ მუშათა და ჯარისკაცთა მასის დელეგაციებს. იარაღი ხალხის ხელში იყო, ხალხი გარედან ძალადობას არ განიცდიდა — აი რა შეადგენდა საქმის არსს. აი რა ქმნიდა და უზრუნველყოფდა მთელი რევოლუციის წინსვლითი განვითარების მშვიდობიან გზას. ლოზუნგი: «მთელი ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში» იყო უახლოესი ნაბიჯის, განვითარების ამ მშვიდობიან გზაზე უშუალოდ განსახორციელებელი ნაბიჯის ლოზუნგი. ეს იყო ლოზუნგი რევოლუციის მშვიდობიანი განვითარებისა, რომელიც შესაძლებელი იყო 27 თებერვლიდან 4 ივლისამდე, რა თქმა უნდა, ყველაზე სასურველიც იყო, და რომელიც ახლა ყოვლად შეუძლებელია.

ეტყობა, ყველა მომხრე ლოზუნგისა: «მთელი ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში» საკმაოდ როდი ჩაფიქრებია იმას, რომ ეს იყო რევოლუციის მშვიდობიანი წინსვლითი განვითარების ლოზუნგი. მშვიდობიანი განვითარებისა არა მარტო იმ აზრით, რომ არავის, არც ერთ კლასს, არც ერთ სერიოზულ ძალას არ შეეძლო მაშინ (27 თებერვლიდან 4 ივლისამდე) წინააღმდეგობა გაეწია და ხელი შეეშალა საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლისათვის. ეს კიდევ როდია ყველაფერი. მშვიდობიანი განვითარება მაშინ შესაძლებელი იქნებოდა, აგრეთვე იმ მხრივაც კი, რომ კლასებისა და პარტიების ბრძოლა საბჭოების შიგნით შეიძლებოდა მაშინ, თუ მათ ხელში მთელი სახელმწიფო ძალაუფლება თავის დროზე გადავიდოდა, ყველაზე უფრო მშვიდობიანად და ყველაზე უფრო უმტკივნეულოდ შეთავსებულიყო.

საქმის ამ უკანასკნელ მხარესაც ჯერ კიდევ არასაკმაოდ აქცევენ ყურადღებას. საბჭოები, თავიანთი კლასობრივი

შემადგენლობით, იყვნენ მუშათა და გლეხთა მოძრაობის ორგანოები, მათი დიქტატურის მზა ფორმა. მათ რომ სრული ძალაუფლება ჰქონდეთ, მაშინ წვრილბურჟუაზიული ფენების მთავარი ნაკლი, მათი მთავარი ცოდვა, კაპიტალისტებისადმი გულმინდობილობა, პრაქტიკულად აღმოიფხვრებოდა, საბჭოების საკუთარ ლონისძიებათა გამოცდილებით იქნებოდა გაკრიტიკებული. ძალაუფლების მქონე კლასებისა და პარტიების ცვლა შეიძლებოდა საბჭოების შიგნით მშვიდობიანად წარმართულიყო საბჭოების ერთხელისუფლებიანობისა და სრულხელისუფლებიანობის ნიადაგზე; საბჭოების ყველა პარტიის კავშირი მასებთან შეიძლებოდა მტკიცე და შეუსუსტებელი დარჩენილიყო. ერთი წუთითაც არ შეიძლება მხედველობიდან გავუშვათ, რომ საბჭოების პარტიების მხოლოდ ეს უმჭიდროესი და სიღრმე-სიგანეზე თავისუფლად მზარდი კავშირი მასებთან გახდიდა შესაძლებელს მშვიდობიანად ყოფილიყო აღმოფხვრილი ილუზიები წვრილბურჟუაზიული შემთანხმებლობისა ბურჟუაზიასთან. საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლა თავისთავად არ შესცვლიდა და ვერც შესცვლიდა კლასების თანაფარდობას; იგი ვერაფერს შესცვლიდა გლეხობის წვრილბურჟუაზიულობაში. მაგრამ იგი თავის დროზე გადადგამდა დიდ ნაბიჯს იმისათვის, რომ გლეხები მოეწყვიტა ბურჟუაზიისაგან, დაეახლოებინა, შემდეგ კი შეეერთებინა ისინი მუშებთან.

ეს შეიძლებოდა მომხდარიყო, ძალაუფლება რომ თავის დროზე გადასულიყო საბჭოების ხელში. ეს იქნებოდა ყველაზე ადვილი, ყველაზე ხელსაყრელი ხალხისათვის. ასეთი გზა ყველაზე უმტკივნეულო იქნებოდა, და ამიტომ მისთვის ყველაზე ენერგიულად უნდა გვებრძოლნა. მაგრამ ახლა ეს ბრძოლა, ბრძოლა საბჭოების ხელში ძალაუფლების დროიანად გადასვლისათვის, დამთავრდა. განვითარების მშვიდობიანი გზა შეუძლებელი გახდა. დაიწყო არამშვიდობიანი, ყველაზე მტკივნეული გზა.

4 ივლისის გარდატეხა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას შემდეგ ობიექტური მდგომარეობა მძაფრად შეიცვალა.

ხელისუფლების მერყევი მდგომარეობა შეწყდა, ძალაუფლება გადამწყვეტ ადგილას კონტრრევოლუციის ხელში გადავიდა. პარტიების განვითარებამ კონტრრევოლუციურ კადეტებთან ესერებისა და მენშევიკების წვრილბურჟუაზიული პარტიების შემთანხმებლობის ნიადაგზე ის გამოიწვია, რომ ორივე ეს წვრილბურჟუაზიული პარტია ფაქტიურად კონტრრევოლუციური ჯალათობის მონაწილე და ხელშემწყობი აღმოჩნდა. წვრილი ბურჟუების შეუგნებელმა გულმინდობილობამ კაპიტალისტებისადმი, პარტიული ბრძოლის განვითარების მსვლელობამ წვრილი ბურჟუები იქამდე მიიყვანა, რომ კონტრრევოლუციონერებს ისინი შეგნებულად მხარს უჭერენ. პარტიულ ურთიერთობათა განვითარების ციკლი დასრულდა. 27 თებერვალს ყველა კლასი ერთად აღმოჩნდა მონარქიის წინააღმდეგ. 4 ივლისის შემდეგ კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიამ, მონარქისტებთან და შავ რაზმთან ხელიხელჩაკიდებულმა, შეიერთა წვრილბურჟუაზიული ესერები და მენშევიკები, ნაწილობრივ მათი დაშინების გზით, და ფაქტიური სახელმწიფო ძალაუფლება ხელში ჩაუგდო კავენიაკებს, სამხედრო ხროვას, რომელიც ხვრეტს ურჩებს ფრონტზე, არბევს ბოლშევიკებს პიტერში.

საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლის ლოზუნგი ახლა დონკიხოტობა ან დაცინვა იქნებოდა. ეს ლოზუნგი, ობიექტურად, იქნებოდა ხალხის მოტყუება, მისთვის იმ ილუზიის ჩაგონება, თითქოს საბჭოებისათვის ა ხ ლ ა ც საკმარისი იყოს მოისურვონ ძალაუფლების აღება ან ეს დაადგინონ ძალაუფლების მისაღებად, თითქოს საბჭოში კიდევ იყვნენ ისეთი პარტიები, რომლებსაც თავი არ შეუბღალავთ ჯალათებისათვის ხელისშეწყობით, თითქოს შეიძლებოდეს ყოფილის გადაქცევა არყოფილად.

უღრმესი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ რევოლუციურ პროლეტარიატს, ასე ვთქვათ, «შურისძიების» ნიადაგზე შეუძლია «უარი უთხრას» ესერებსა და მენშევიკებს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მხარის დაჭერაზე იმის გამო, რომ ისინი მხარს უჭერენ ბოლშევიკების დარბევას, ჯარისკაცთა

დახვრეტას ფრონტზე და მუშების განიარაღებას. საკითხის ასეთი დასმა იქნებოდა, ჯერ ერთი, მორალის მეშჩანურ წარმოდგენათა გადატანა პროლეტარიატზე (რადგან საქმის სარგებლობისათვის პროლეტარიატი ყოველთვის დაუჭერს მხარს არა მარტო მერყევ წვრილ ბურჟუაზიას, არამედ მსხვილ ბურჟუაზიასაც); მეორეც, იგი იქნებოდა, — და ეს მთავარია, — მეშჩანური ცდა — დაეჩრდილათ საქმის პოლიტიკური არსი «მორალიზების» საშუალებით.

საქმის ეს არსი იმაში მდგომარეობს, რომ ძალაუფლების მშვიდობიანად აღება ახლა უკვე აღარ შეიძლება. მისი მიღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რევოლუციურ ბრძოლაში დავამარცხებთ ძალაუფლების ახლანდელ ნამდვილ მფლობელებს, სახელდობრ სამხედრო ხროვას, კავენიაკებს, რომლებიც ეყრდნობიან პიტერში ჩამოყვანილ რეაქციულ ჯარებს, კადეტებსა და მონარქისტებს.

საქმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო ძალაუფლების ამ ახალ მფლობელთა დამარცხება შეუძლიათ მხოლოდ ხალხის რევოლუციურ მასებს, რომელთა მოძრაობის პირობას წარმოადგენს არა მარტო ის, რომ მათ პროლეტარიატი ხელმძღვანელობდეს, არამედ ისიც, რომ მათ ზურგი შეაქცევინ ესერებისა და მენშევიკების პარტიებს, რომლებმაც უღალატეს რევოლუციის საქმეს.

ესერებს პოლიტიკაში მეშჩანური მორალი შეაქვს, ის ასე მსჯელობს: ვთქვათ, ესერებმა და მენშევიკებმა «შეცდომა» ჩაიდინეს, მხარი რომ დაუჭირეს კავენიაკებს, რომლებიც იარაღს ართმევენ პროლეტარიატსა და რევოლუციურ პოლკებს; მაგრამ მათ შესაძლებლობა უნდა მივცეთ «გამოასწორონ» შეცდომა, «არ გავუძნელოთ» მათ «შეცდომის» გამოსწორება; გავაადვილოთ წვრილი ბურჟუაზიის გადახრა მუშების მხარეზეო. ამგვარი მსჯელობა ბავშვური გულუბრყვილობა ან პირდაპირ სისულელე იქნებოდა, თუ მუშების ახალი მოტყუება არა, ვინაიდან წვრილბურჟუაზიული მასების გადახრა მუშების მხარეზე იქნებოდა მხოლოდ ის, და სწორედ ის, რომ ეს მასები ზურგს შეაქცევდნენ ესერებსა და მენშევი-

კებს. ესერებისა და მენშევიკების პარტიების მიერ «შეცდომის» გამოსწორება ახლა შეიძლებოდა მხოლოდ ის ყოფილიყო, რომ ამ პარტიებს გამოეცხადებინათ წერეთელი და ჩერნოვი, დანი და რაკიტნიკოვი ჯალათების ხელშემწყობებად. ჩვენ სავსებით და უთუოდ ვართ მომხრენი ასეთი «შეცდომის გამოსწორებისა».

რევოლუციის ძირითადი საკითხი არის ძალაუფლების საკითხი, ვთქვით ჩვენ. უნდა დავძინოთ: სწორედ რევოლუციები გვიჩვენებენ ყოველ ნაბიჯზე იმ საკითხის გაბუნდოვანებას, თუ ს ა დ არის ნამდვილი ძალაუფლება, გვიჩვენებენ ჩვენ ფორმალური და რეალური ძალაუფლების **ურთიერთდა**შორებას. სწორედ ეს არის ყოველი რევოლუციური პერიოდის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება. 1917 წლის მარტსა და აპრილში გამოურკვეველი იყო, არის რეალური ძალაუფლება მთავრობის ხელში თუ საბჭოს ხელში.

ახლა კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ შეგნებულმა მუშებმა ფხიზლად შეხედონ რევოლუციის ძირითად საკითხს: ვის ხელშია ამჟამად სახელმწიფო ძალაუფლება. დაფიქრდით, როგორია მისი მატერიალური გამოვლინება, ნუ მიიჩნევთ ფრაზებს საქმეებად, და თქვენ არ გაგიძნელდებათ პასუხის გაცემა.

სახელმწიფო წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა შეიარაღებულ ადამიანთა რაზმებს საპატიმროთა მაგგვარი მატერიალური დანართებით — წერდა ფრიდრიხ ენგელსი[55]. ახლა ესაა იუნკრები, რეაქციული კაზაკები, რომლებიც საგანგებოდ ჩამოიყვანეს პიტერში; ეს ისინი არიან, ვისაც საპყრობილეში ჰყავს დამწყვდეული კამენევი და სხვები; ვინც დახურა გაზეთი «პრავდა»; ვინც განაიარაღა მუშები და ჯარისკაცთა გარკვეული ნაწილი; ვინც ხვრეტს ჯარისკაცთა ასევე გარკვეულ ნაწილს; ვინც ხვრეტს ჯარის ასევე გარკვეულ ნაწილს არმიაში. აი ეს ჯალათები წარმოადგენენ რეალურ ძალაუფლებას. წერეთლები და ჩერნოვები არიან უძალაუფლებო მინისტრები, მინისტრი-თოჯინები, იმ პარტიების ბელადები, რომლებიც მხარს უჭერენ ჯალათობას. ეს ფაქტია. და ეს

ფაქტი არ იცვლება იმის გამო, რომ არც წერეთელი, არც ჩერნოვი პირადად, ალბათ, «არ იწონებენ» ჯალათობას, რომ მათი გაზეთები გაუბედავად უარს ამბობენ ამაზე: პოლიტიკური სამკაულის ასეთი სახეცვლილება საქმის არსს არა სცვლის.

150 000 პეტროგრადელი ამომრჩევლის ორგანოს დახურვა, მუშა ვოინოვის მოკვლა იუნკრების მიერ (6 ივლისს) სტამბიდან «ლისტოკ პრავდის» გამოტანისათვის — განა ეს ჯალათობა არ არის? განა ეს კავენიაკების ნამოქმედარი არ არის? ამაში არც მთავრობა, არც საბჭოები «არ არიან დამნაშავენი», — გვეტყვიან ჩვენ.

მით უარესი მთავრობისთვის და საბჭოებისთვის, — ვუპასუხებთ ჩვენ, — ვინაიდან მაშინ ისინი, ცხადია, ნოლები არიან; ისინი მარიონეტები არიან, რეალური ძალაუფლება მათ ხელში არ არის.

ხალხმა უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად უნდა იცოდეს ს ი მ ა რ თ ლ ე — იცოდეს, თუ ნამდვილად ვის ხელშია სახელმწიფო ძალაუფლება. ხალხს უნდა ვუთხრათ მთელი სიმართლე: ძალაუფლება კავენიაკების სამხედრო ხროვის ხელშია (კერენსკის, ზოგიერთი გენერლის, ოფიცრების და ა. შ.), რომელთაც მხარს უჭერს ბურჟუაზია, როგორც კლასი, კადეტთა პარტიის მეთაურობით, ყველა მონარქისტთან ერთად, რომელნიც მოქმედებენ ყველა შავრაზმული გაზეთის მეშვეობით «ნოვოე ვრემიას», «ჟივოე სლოვოს» და სხვათა მეშვეობით.

ეს ხელისუფლება უნდა დავამხოთ. უამისოდ ყველა ფრაზა კონტრრევოლუციასთან ბრძოლის შესახებ ფუჭი ფრაზებია, «თავის მოტყუება და ხალხის მოტყუებაა».

ამ ხელისუფლებას ახლა მხარს უჭერენ აგრეთვე მინისტრებიც — წერეთლები და ჩერნოვები და მათი პარტიებიც: უნდა განვუმარტოთ ხალხს მათი ჯალათური როლი და ამ პარტიების ასეთი «ფინალის» გარდუვალობა მათი 21 აპრილის, 5 მაისის, 9 ივნისის, 4 ივლისის «შეცდომების» შემდეგ, მათ მიერ შეტევის პოლიტიკის მოწონების შემდეგ, —

პოლიტიკისა, რომელმაც ცხრა მეათედით წინასწარ განსაზღვრა კავენიაკების გამარჯვება ივლისში.

მთელი აგიტაცია ხალხში ისე უნდა გარდავქმნათ, რომ ეს აგიტაცია ითვალისწინებდეს სწორედ ახლანდელი რევოლუციისა და განსაკუთრებით ივლისის დღეების კონკრეტულ გამოცდილებას, ე. ი. რომ იგი ნათლად მიუთითებდეს ხალხის ნამდვილ მტერზე, სამხედრო ხროვაზე, კადეტებსა და შავრაზმელებზე, და რომ იგი გარკვევით ამხელდეს იმ წვრილბურჟუაზიულ პარტიებს, ესერებისა და მენშევიკების პარტიებს, რომლებმაც ითამაშეს ჯალათობის ხელშემწყობთა როლი და რომლებიც ახლაც თამაშობენ ამ როლს.

მთელი აგიტაცია ხალხში ისე უნდა გარდავქმნათ, რომ ნათელი გავხადოთ გლეხთა მიერ მიწის მიღების სრული უიმედობა, ვიდრე დამხობილი არ იქნება სამხედრო ხროვის ძალაუფლება, ვიდრე მხილებულნი და ხალხის ნდობას მოკლებულნი არ იქნებიან ესერებისა და მენშევიკების პარტიები. ეს მეტად ხანგრძლივი და მეტად ძნელი პროცესი იქნებოდა კაპიტალისტური განვითარების «ნორმალურ» პირობებში, მაგრამ ომიც და ეკონომიური ნგრევაც უდიდესი მასშტაბით დააჩქარებენ საქმეს. ეს ისეთი «დამჩქარებელნი» არიან, რომლებსაც შეუძლიათ თვე და კვირაც კი წელიწადს გაუთანაბრონ.

ალბათ, ზემონათქვამის წინააღმდეგ წამოაყენებდნენ ორ მოსაზრებას: პირველი, რომ ახლა გადამწყვეტ ბრძოლაზე ლაპარაკი ნიშნავს დაქსაქსული გამოსვლების წაქეზებას, რომლებიც სწორედ კონტრრევოლუციას დაეხმარებოდნენო; მეორე, რომ მისი დამხობა მაინც ნიშნავს საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლასაო.

პირველი მოსაზრების პასუხად ჩვენ ვიტყვით: რუსეთის მუშები უკვე საკმაოდ შეგნებულნი არიან, რომ არ აჰყვნენ პროვოკაციას მათთვის აშკარად არახელსაყრელ მომენტში. რომ ახლა მათი გამოსვლა და წინააღმდეგობის გაწევა კონტრრევოლუციისათვის დახმარების გაწევა იქნება, ეს უდავოა. გადამწყვეტი ბრძოლა რომ მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი,

როცა ადგილი ექნება რევოლუციის ახალ აზვირთებას უაღრესად ფართო მასებში, ესეც უდავოა. მაგრამ საკმარისი არ არის საერთოდ ვილაპარაკოთ რევოლუციის აზვირთებაზე, მის მოზღვავებაზე, დასავლეთის მუშების დახმარებაზე და ა. შ., უნდა გავაკეთოთ გარკვეული დასკვნა ჩვენი წარსულიდან, უნდა გავითვალისწინოთ სწორედ ჩვენი გაკვეთილები. ეს გათვალისწინება კი მოგვცემს სწორედ იმ ლოზუნგს, რომ გადამწყვეტი ბრძოლა გავაჩაღოთ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, რომელმაც ხელში ჩაიგდო ძალაუფლება.

მეორე მოსაზრებაც იმაში მდგომარეობს, რომ კონკრეტულ ჰეშმარიტებას სცვლიან მეტისმეტად ზოგადი მსჯელობით. ბურჟუაზიულ კონტრრევოლუციას ვერ დაამხობს. ვერაფერი, ვერაკითარი ძალა, გარდა რევოლუციური პროლეტარიატისა. სწორედ რევოლუციურმა პროლეტარიატმა, 1917 წლის ივლისის გამოცდილების შემდეგ, დამოუკიდებლად უნდა აიღოს თავის ხელში სახელმწიფო ძალაუფლება — უმთავრესად რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია. ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში, უღარიბესი გლეხობის ანუ ნახევარპროლეტარების მიერ მხარის დაჭერა მისთვის — აი ერთადერთი გამოსავალი, და ჩვენ უკვე ვუპასუხეთ, თუ სახელდობრ რა გარემოებებს შეუძლიათ უაღრესად დაადჩქარონ იგი.

საბჭოები შეიძლება და უნდა გაჩნდნენ ამ ახალ რევოლუციაში, მაგრამ არა ახლანდელი საბჭოები, არა ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის ორგანოები, არამედ მასთან რევოლუციური ბრძოლის ორგანოები. ჩვენ რომ მაშინაც ვიქნებით საბჭოების ტიპის მიხედვით მთელი სახელმწიფოს აშენების მოქხრენი, ეს ასეა. ეს არის არა საერთოდ საბჭოების საკითხი, არამედ ახლანდელ კონტრრევოლუციასთან და ახლანდელი საბჭოების გამცემლობასთან ბრძოლის საკითხი.

კონკრეტულის აბსტრაქტულით შეცვლა ერთ-ერთი უმთავრესი ცოდვაა, ერთ-ერთი უსაშიშროესი ცოდვაა რევოლუციაში. ახლანდელი საბჭოები ჩავარდნენ, მათ სრული

კრახი განიცადეს მათში ესერებისა და მენშევიკების პარტიების ბატონობის გამო. ამჟამად ეს საბჭოები ჰგვანან ცხვრებს, რომლებიც სასაკლაოზე მიურეკიათ, დასაკლავად დაუყენებიათ და საცოდავად ბღავიან. საბჭოები ა ხ ლ ა უძლურნი და უმწეონი არიან გამარჯვებული და მძლეველი კონტრრევოლუციის წინაშე. საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემის ლოზუნგი შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც «უბრალო» მოწოდება ძალაუფლების გადასვლისაკენ სწორედ ახლანდელი საბჭოების ხელში, ხოლო ამის ლაპარაკი, ამისაკენ მოწოდება ახლა ხალხის მოტყუება იქნებოდა. არაფერია მოტყუებაზე უფრო საშიში.

რუსეთში 27 თებერვლიდან 4 ივლისამდე კლასობრივი და პარტიული ბრძოლის განვითარების ციკლი დამთავრდა. იწყება ახალი ციკლი, რომელშიც შედიან არა ძველი კლასები, არა ძველი პარტიები, არა ძველი საბჭოები, არამედ ბრძოლის ცეცხლით განახლებულნი, ბრძოლის მსვლელობით გამოწრთობილნი, გაწრთვნილნი, გარდაქმნილნი. უნდა ვიხელმძღვანელოთ არა უკან, არამედ წინ. საქმე უნდა გვქონდეს არა ძველ, არამედ ახალ, ივლისისშემდგომ, კლასობრივ და პარტიულ კატეგორიებთან. უნდა გამოვდიოდეთ, ახალი ციკლის დაწყებისას, გამარჯვებული ბურჟუაზიული კონტრრევოლუციიდან, რომელმაც გაიმარჯვა მასთან ესერებისა და მენშევიკების შემთანხმებლობის წყალობით და რომლის დამარცხება შეიძლება მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატის მიერ. ამ ახალ ციკლში, რა თქმა უნდა, კიდევ იქნება მრავალნაირი ეტაპები კონტრრევოლუციის საბოლოო გამარჯვებამდეც, ესერებისა და მენშევიკების საბოლოო დამარცხებამდეც (უბრძოლველად) და ახალი რევოლუციის ახალ აღმავლობამდეც. მაგრამ ამაზე ლაპარაკი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მერე, როდესაც ეს ეტაპები ცალ-ცალკე დაისახება.

დაწერილია 1917 წ. შუა ივლისში

დაიბეჭდა 1917 წელს ცალკე ბროშურად, გამოცემა «სმბ» კრონშტადტის კომიტეტისა

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

მადლობა თავად გ. ე. ლვოვს

დროებითი მთავრობის ყოფილი მეთაური თავადი გ. ე. ლვოვი გამოსათხოვარ საუბარში, რომელიც გაიმართა დროებით მთავრობასთან არსებული ჟურნალისტთა კომიტეტის წარმომადგენლებთან, გამოვიდა საგულისხმო აღიარებით, რაც უზრუნველყოფს მუშების მადლობას მისდამი.

«განსაკუთრებით განმტკიცებს ჩემს ოპტიმიზმს, — თქვა ლვოვმა, — უკანასკნელი დღეების მოვლენები ქვეყნის შიგნით. ჩვენს «ღრმა გარღვევას» ლენინის ფრონტზე, ჩემი რწმენით, გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის, ვიდრე გერმანელთა გარღვევას ჩვენს სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე».

როგორ არ უნდა იყვნენ მუშები თავადის მადლობელნი ამ სიფხიზლისათვის კლასობრივი ბრძოლის შეფასებაში? მუშები არათუ მადლობელნი იქნებიან, ისინი კიდევაც ისწავლიან ლვოვისაგან.

რა თავშეუკავებელი ყბედობით და უზომო თვალთმაქცობით ორატორობდნენ ყველა ბურჟუები და მემამულეები, აგრეთვე მათი მაჩანჩალა ესერები და მენშევიკები «სამოქალაქო ომის» წინააღმდეგ! ყური დაუგდეთ თავად ლვოვის საგულისხმო აღიარებას და დაინახავთ, რომ ის ყოვლად გულდამშვიდებით აფასებს რუსეთის შინაურ მდგომარეობას სწორედ სამოქალაქო ომის თვალსაზრისით. კონტრრევოლუციის სათავეში მდგომმა ბურჟუაზიამ ღრმად გაარღვია რევოლუციური მუშების ფრონტი, — აი რაში მდგომარეობს თავადის აღიარების უბადრუკი სიმართლე. ორი მტერი, მტრის ორი

ბანაკი, ერთმა გაარღვია მეორის ფრონტი — აი როგორ განსაზღვრავს თავადი ლვოვი რუსეთის შინაურ მდგომარეობას. მაშ სულითა და გულით მოვახსენოთ მადლობა თავად ლვოვს გულახდილობისათვის! ის ხომ ათასჯერ უფრო მართალია, ვიდრე ესერებისა და მენშევიკების სენტიმენტალური მეშჩანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა, რაც გარდუვალად მწვავდება უკიდურესობამდე რევოლუციის დროს, შეიძლება გაქრეს მათი წყევლა-კრულვითა და შელოცვებით!

ორი მტერი, მტრის ორი ბანაკი, ერთმა გაარღვია მეორის ფრონტი — ასეთია თავად ლვოვის ისტორიის სწორი ფილოსოფია. ის მართალია, როცა ფაქტიურად სათვალავში არ აგდებს მესამე ბანაკს, წვრილ ბურჟუაზიას, ესერებსა და მენშევიკებს. ეს მესამე ბანაკი დიდი ჩანს, ნამდვილად კი მას დამოუკიდებლად არაფრის გადაწყვეტა არ შეუძლია; ეს ცხადია ფხიზლად მოაზროვნე თავადისათვის, როგორც ეს ცხადია ყოველი მარქსისტისათვის, რომელსაც ესმის წვრილი ბურჟუაზიის ეკონომიური მდგომარეობა, — როგორც ეს ცხადია, ბოლოს, ყველასათვის, ვინც დაფიქრებულა რევოლუციის ისტორიის გაკვეთილებზე, რომლებიც ყოველთვის გვიჩვენებენ წვრილბურჟუაზიული პარტიების უძლურებას ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ბრძოლის გამწვავების დროს.

შინაური კლასობრივი ბრძოლა ომის დროსაც კი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბრძოლა გარეშე მტრებთან — რა უხამს ლანძღვა-გინებასაც არ ანთხევდნენ თავს ბოლშევიკებს მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები ამ ჭეშმარიტების აღიარებისათვის! რაც უნდა უარყოფდნენ ამ ჭეშმარიტებას ის ურიცხვი ადამიანები, რომლებსაც უყვართ მაღალფარდოვანი ფრაზები «ერთიანობაზე», «რევოლუციურ დემოკრატიაზე» და სხვ. და სხვ.!

როცა კი საქმე მიდგა სერიოზულ, გადამწყვეტ მომენტზე, თავადმა ლვოვმა ერთბაშად და მთლიანად აღიარა ეს ჭეშმარი-

ტება, აშკარად გამოაცხადა, რომ ქვეყნის შიგნით კლასობრივ მტერზე «გამარჯვებას» მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე გარეშე მტერთან ბრძოლის ფრონტზე მდგომარეობასაო. უდავო ჭეშმარიტებაა. სასარგებლო ჭეშმარიტებაა. მუშები ძალიან მადლობელნი იქნებიან თავად ლვოვისა ამ ჭეშმარიტების ალიარებისათვის, მისი გახსენებისათვის, მისი გავრცელებისათვის. და თავადისადმი მადლობის ნიშნად მუშები პარტიულ ძალ-ღონეს მოახმარებენ იმას, რომ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა უფართოესმა მასებმა უკეთ გაიგონ და შეიგნონ ეს ჭეშმარიტება. თავის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში არაფერი ისე არ გამოადგება მუშათა კლასს, როგორც ეს ჭეშმარიტება.

რაში მდგომარეობს ის «გარღვევა» სამოქალაქო ომის ფრონტზე, რომლის გამო ესოდენ ზეიმობს თავადი ლვოვი? ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შევჩერდეთ, რათა მუშებს შეეძლოთ კარგად ისწავლონ ლვოვისაგან.

შინაური ომის «ფრონტზე გარღვევა» ამჯერად მდგომარეობს, ჯერ ერთი, იმაში, რომ ბურჟუაზიამ თავის კლასობრივ მტრებს, ბოლშევიკებს, სიმყრალისა და ცილისწამების ღვარი გადაასხა თავს და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთათვის ცილის დაწამების ამ უსაზიზღრეს და უბინძურეს საქმეში გაუგონარი შეუპოვრობა გამოიჩინა. ეს იყო «კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე გარღვევის», უკაცრაული პასუხია, «იდეური მომზადება».

მეორეც, მატერიალური «გარღვევა», რომელიც საქმის შინაარსს ეხება, მდგომარეობდა იმაში, რომ აპატიმრებდნენ მტრულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა წარმომადგენლებს, კანონგარეშე აცხადებდნენ მათ, გაუსამართლებლად კლავდნენ მათს ნაწილს ჭუჩაში (ვოინოვის მოკვლა 6 ივლისს «პრავდის» სტამბიდან მის გამოცემათა გამოტანისათვის), ხურავდნენ მათ გაზეთებს, იარაღს ჰყრიდნენ მუშებსა და რევოლუციურ ჯარისკაცებს.

აი რა არის «გარღვევა კლასობრივ მტერთან ომის ფრონტზე». დაე, მუშები კარგად ჩაუფიქრდნენ ამას, რათა შესძლონ

ამის გამოყენება — როცა დრო მომწიფდება — ბურჟუაზიის მიმართ.

პროლეტარიატი არასოდეს არ მიმართავს ცილისწამებას. ის დახურავს ბურჟუაზიის გაზეთებს და პირდაპირ განაცხადებს კანონით, განკარგულებით, მთავრობის სახელით, რომ ხალხის მტრები არიან კაპიტალისტები და მათი დამცველები. ბურჟუაზიას, ჩვენი მტრის — მთავრობის სახით, და წვრილ ბურჟუაზიას, საბჭოების სახით, ეშინია იმისა, რომ პირდაპირ და აშკარად თქვას თუნდაც ერთი სიტყვა «პრავდის» აკრძალვის, მისი დახურვის მიზეზების შესახებ. პროლეტარიატი იმოქმედებს არა ცილისწამებით, არამედ ჭეშმარიტების სიტყვით. ის ეტყვის გლეხებსა და მთელ ხალხს სიმართლეს ბურჟუაზიულ გაზეთებზე და მათი დახურვის საჭიროებაზე.

წვრილი ბურჟუაზიის მოლაყბეებისაგან, ესერებისა და მენშევიკებისაგან განსხვავებით, პროლეტარიატს მტკიცედ ეცოდინება, თუ რა არის სინამდვილეში კლასობრივი ბრძოლის «ფრონტზე გარღვევა», მტრის გაუწყინარება, ექსპლოატატორთა გაუწყინარება. თავადი ლვოვი დაეხმარა პროლეტარიატს შეეცნო ეს ჭეშმარიტება. მადლობა მოვახსენოთ თავად ლვოვს.

«პროლეტარსკოე დელო» № 5,
1917 წ. 1 აგვისტო (19 ივლისი)

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარსკოე დელოს»
ტექსტის მიხედვით

კონსტიტუციური ილუზიების შესახებ [60]

კონსტიტუციური ილუზიები ეწოდება პოლიტიკურ შეცდომას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანებს არსებულად მიაჩნიათ ნორმალური, უფლებრივი, მოწესრიგებული, კანონიერი, მოკლედ: «კონსტიტუციური» წესწყობილება, თუმცა იგი სინამდვილეში არ არსებობს. შეიძლება ერთი შეხედვით გვეჩვენოს, რომ თანამედროვე რუსეთში, 1917 წლის ივლისში, როდესაც ჯერ კიდევ არავითარი კონსტიტუცია არ არის შემუშავებული, ლაპარაკიც არ შეიძლება კონსტიტუციური ილუზიების წარმოშობაზეო. მაგრამ ეს დიდი შეცდომაა. ნამდვილად კი რუსეთის ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობის მთელი დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობის უაღრესად ფართო მასები გაჟღენთილი არიან კონსტიტუციური ილუზიებით. სრულიად ვერაფერს გაიგებ რუსეთის ახლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაში, თუ ეს ვერ გაიგე. ვერც ერთს, სწორედ ვერც ერთ ნაბიჯს ვერ გადადგამ ტაქტიკური ამოცანების მართებულად დასმისაკენ თანამედროვე რუსეთში, თუ საფუძვლად არ გაიხადე კონსტიტუციური ილუზიების სისტემატური და დაუნდობელი მხილება, მთელი მისი ფესვების გამოაშკარავება, სწორი პოლიტიკური პერსპექტივის აღდგენა.

ავიღოთ თანამედროვე კონსტიტუციური ილუზიებისათვის ყველაზე უფრო ტიპიური სამი აზრი და განვიხილოთ ისინი რაც შეიძლება მეტი ყურადღებით.

პირველი აზრი: ჩვენი ქვეყანა დამფუძნებელი კრების წინა დღეებში იმყოფება; ამიტომ ყოველივეს, რაც ახლა

ხდება, დროებითი, გარდამავალი, არც ძალიან არსებითი, არც გადამწყვეტი ხასიათი აქვს, ყველაფერი მალე გადაიშინჯება და საბოლოოდ იქნება დადგენილი დამფუძნებელი კრების მიერაო. მეორე აზრი: გარკვეულ პარტიებს, — მაგალითად, ესერებს ან მენშევიკებს ან მათ კავშირს — აშკარა და უეჭველი უმრავლესობა ჰყავთ ხალხში ან «უგავლენიანეს» დაწესებულებებში, როგორიცაა საბჭოები; ამიტომ ამ პარტიების, ამ დაწესებულებების ნებას, ისევე როგორც საერთოდ ხალხის უმრავლესობის ნებას არ შეიძლება გვერდი ავუქციოთ ან მით უმეტეს დავარღვიოთ ეს ნება რესპუბლიკურ, დემოკრატიულ, რევოლუციურ რუსეთშიო. მესამე აზრი: გარკვეული ღონისძიებაა, მაგალითად, გაზეთ «პრავდის» დახურვა, არ არის დაკანონებული არც დროებითი მთავრობის, არც საბჭოების მიერ; ამიტომ იგი წარმოადგენს მხოლოდ ეპიზოდს, შემთხვევითს მოვლენას, იგი არასგზით არ შეიძლება მივიჩნიოთ გადამწყვეტ რამედო.

გადავიდეთ თვითეული ამ აზრის განხილვაზე.

I

ჯერ კიდევ პირველი შემადგენლობის დროებითი მთავრობა შეგვპირდა დამფუძნებელი კრების მოწვევას. მან თავის მთავარ ამოცანად აღიარა ქვეყნის მიყვანა დამფუძნებელ კრებამდე. მეორე შემადგენლობის დროებითმა მთავრობამ დამფუძნებელი კრების მოწვევის ვადად დანიშნა 30 სექტემბერი. მე-3 შემადგენლობის დროებითმა მთავრობამ, 4 ივლისის შემდეგ, დიდის ამბით დაადასტურა ეს ვადა.

ამავე დროს კი ასიდან 99 შანსი იმას გვეუბნება, რომ ამ ვადაში დამფუძნებელი კრება არ იქნება მოწვეული. იგი ამ ვადაში რომ იქნას მოწვეული, — ასიდან 99 შანსი ისევ იმას გვეუბნება, რომ იგი ისევე უძლური და არარა იქნება, როგორიც იყო პირველი სათათბირო, — ვიდრე არ გაიმარჯვებს მეორე რევოლუცია რუსეთში. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია თუნდაც ერთი წუთით თავი ავარიდოთ ფრაზების, დაპირებების, დღის წვრილმანების იმ ხმაურს,

რომელიც ანაგვიანებს ადამიანის ტვინს, და შევხედოთ იმას, რაც ძირითადი და ყოვლისგანმსაზღვრელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში: შევხედოთ კლასობრივ ბრძოლას.

ბურჟუაზია რომ რუსეთში უმჭიდროესად შეუერთდა მემამულეებს, ეს ცხადია. მთელი პრესა, მთელი არჩევნები, მთელი პოლიტიკა კადეტთა პარტიისა და მათ მარჯვნივ მდგომი პარტიებისა, «დაინტერესებულ» პირთა «ყრილობების» ყველა გამოსვლა ამტკიცებს ამას. ბურჟუაზიას ჩინებულად ესმის ის, რაც არ ესმით ესერებისა და «მემარცხენე» მენშევიკების წვრილბურჟუაზიულ მოლაყბეებს, სახელდობრ, რომ **არ შეიძლება** მიწის კერძო საკუთრების გაუქმება რუსეთში, ისიც გამოუსყიდველად, თუ არ მოხდა გიგანტური ეკონომიური რევოლუცია, თუ ბანკები საერთო-სახალხო კონტროლქვეშ არ მოექცა, თუ არ გატარდა სინდიკატების ნაციონალიზაცია, თუ არ განხორციელდა მთელი რიგი ფრიად ულმობელი რევოლუციური ღონისძიებანი კაპიტალის წინააღმდეგ. ბურჟუაზიას ჩინებულად ესმის ეს. და ამავე დროს მან არ შეიძლება არ იცოდეს, იგი არ შეიძლება არ ხედავდეს, არ გრძნობდეს, რომ რუსეთის გლეხთა უდიდესი უმრავლესობა არათუ მხარს დაუჭერს ახლა მემამულეთა მიწების კონფისკაციას, არამედ ჩერნოვზე გაცილებით უფრო მარცხნივაც აღმოჩნდება. ვინაიდან ბურჟუაზიამ ჩვენზე მეტად იცის როგორც ის, თუ რამდენ ნაწილობრივ დათმობაზე მიდიოდა ჩერნოვი ბურჟუაზიის წინაშე თუნდაც 6 მაისიდან 2 ივლისამდე გლეხთა სხვადასხვა მოთხოვნის გაჯანჯლებისა და შეკვეცის საკითხებში, ისე ის, თუ რა გარჯა დასჭირდათ მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ესერებს (ჩერნოვი ხომ ესერებში «ცენტრად» ითვლება!) გლეხთა ყრილობაზე და გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში იმისათვის, რომ «დაემშვიდებინათ» გლეხები და გამოესპინძლებოდნენ მათ დღეს-ხვალიობით.

ბურჟუაზია იმით განსხვავდება წვრილი ბურჟუაზიისაგან, რომ მან თავისი ეკონომიური და პოლიტიკური გამოცდილებით შეიგნო კაპიტალისტური წყობილების დროს «წესრიგის» (ე. ი. მასების დამონების) შენარჩუნების პირობები. ბურჟუები

საქმის კაცები არიან, დიდი ვაჭრული ანგარიშის კაცები, რომლებიც შეეჩვივნენ პოლიტიკის საკითხებსაც მიუდგნენ ზედმიწევნით საქმიანად, სიტყვებს უნდობლად ეკიდებიან, იმის უნარი აქვთ, რომ ძირითადს ჩასჭიდონ ხელი.

დამფუძნებელი კრება თანამედროვე რუსეთში უმრავლესობას მისცემს იმ გლეხებს, რომლებიც ესერებზე უფრო მარცხნივ დგანან. ეს ბურჟუაზიამ იცის. რაკი ეს ბურჟუაზიამ იცის, მას არ შეუძლია უაღრესად გადაჭრით არ იბრძოლოს დამფუძნებელი კრების მალე მოწვევის წინააღმდეგ. იმპერიალისტური ომის წარმოება ნიკოლოზ II მიერ დადებულ საიდუმლო ხელშეკრულებათა საფუძველზე, მემამულური მიწათმფლობელობის ან გამოსყიდვის დაცვა, — ყოველივე ეს შეუძლებელი ან უაღრესად ძნელი საქმე იქნება დამფუძნებელი კრების დ რ ო ს. ომი არ იცდის. კლასობრივი ბრძოლა არ იცდის. 28 თებერვლიდან 21 აპრილამდე გასულმა მოკლე ხანმაც კი ნათლად გვიჩვენა ეს.

რევოლუციის დასაწყისიდანვე დაისახა ორი შეხედულება დამფუძნებელ კრებაზე. ესერები და მენშევიკები, კონსტიტუციური ილუზიებით მთლად გაჟღენთილნი, საქმეს უყურებდნენ იმ წვრილი ბურჟუის გულმინდობილობით, რომელსაც არ სურს კლასობრივი ბრძოლის გაგონება: დამფუძნებელი კრება გამოცხადებულია, დამფუძნებელი კრება იქნებაო, მორჩა და გათავდა! ყოველივე ამის გარეშე ეშმაკისეული არისო! ბოლშევიკები კი ამბობდნენ: მხოლოდ საბჭოების ძლიერებისა და ძალაუფლების განმტკიცების მიხედვით არის უზრუნველყოფილი დამფუძნებელი კრების მოწვევა და წარმატებაო. მენშევიკებსა და ესერებს სიმძიმის ცენტრი გადაჰქონდათ იურიდიულ აქტზე: დამფუძნებელი კრების მოწვევის გამოცხადება, დაპირება, დეკლარირება. ბოლშევიკებს სიმძიმის ცენტრი გადაჰქონდათ კლასობრივ ბრძოლაზე: თუ საბჭოები გაიმარჯვებენ, დამფუძნებელი კრებაც უზრუნველყოფილი იქნება, თუ ვერა, იგი უზრუნველყოფილი არ იქნებაო.

ასეც გამოვიდა. ბურჟუაზია ყოველთვის ეწეოდა ხან ფარულ, ხან აშკარა, მაგრამ განუწყვეტელ, განუხრელ ბრძოლას

დამფუძნებელი კრების მოწვევის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა გამოიხატებოდა სურვილით, რომ გადაედოთ მისი მოწვევა ომის დამთავრებამდე. ეს ბრძოლა გამოიხატა იმით, რომ რამდენჯერმე გადადეს დამფუძნებელი კრების მოწვევის ვადის დანიშვნა. როდესაც, ბოლოს, 18 ივნისის შემდეგ, კოალიციური მთავრობის შედგენიდან ერთ თვეზე მეტი ხნის შემდეგ, დაინიშნა დამფუძნებელი კრების მოწვევის ვადა, მოსკოვის ბურჟუაზიულმა გაზეთმა განაცხადა, რომ ეს ბოლშევიკების აგიტაციის გავლენით მოხდაო. «პრავდაში» მოყვანილი იყო ზუსტი ციტატი ამ გაზეთიდან.

4 ივლისის შემდეგ, როცა ესერებისა და მენშევიკების პირფერობამ და შიშმა «ვამარჯვება» მოუპოვა კონტრრევოლუციას, «რეჩში» გაიპარა მოკლე, მაგრამ უალრესად შესანიშნავი გამოთქმა: «შეუძლებელია ჩქარა» მოწვევა დამფუძნებელი კრებისაო!! ხოლო 16 ივლისს «ვოლია ნაროდაში» და «რუსსკაია ვოლიაში» იბეჭდება შენიშვნა, რომ კადეტები მოითხოვენ დამფუძნებელი კრების მოწვევის გადადებას იმ საბაბით, რომ «შეუძლებელია» მისი მოწვევა ასეთ «მოკლე» ვადაში, და, კონტრრევოლუციის წინაშე მლიქვნელი წერეთელი, ამ შენიშვნის მიხედვით, უკვე თანხმდება მის გადადებას 20 ნოემბრამდე!

ეჭვი არ არის, რომ ამგვარი შენიშვნა შეიძლებოდა გაბარულიყო მხოლოდ ბურჟუაზიის ნების წინააღმდეგ. ასეთი «მხილება» მისთვის ხელსაყრელი არ არის. მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალება. 4 ივლისის შემდეგ თავაშვებული კონტრრევოლუცია წამოაყრანტალებს ხოლმე თავის ზრახვებს. 4 ივლისის შემდეგ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მიერ ძალაუფლების პირველსავე დაპყრობას დაუყოვნებლივ მოჰყვა ნაბიჯი (და მეტად სერიოზული ნაბიჯი) დამფუძნებელი კრების მოწვევის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

ეს ფაქტია. და ეს ფაქტი ააშკარავებს კონსტიტუციური ილუზიების მთელ ამაოებას. თუ რუსეთში არ მოხდება ახალი რევოლუცია, თუ არ დაემხობა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის (პირველ რიგში კადეტების) ძალაუფლება, თუ ხალხმა

ნდობაზე უარი არ უთხრა ესერებისა და მენშევიკების პარტიებს, ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის პარტიებს, ისე დამფუძნებელი კრება ან სრულიადაც არ იქნება მოწვეული, ან იქნება «ფრანკფურტის სალაყბო»[61], უძლური, არაფრისმაქნისი კრება წვრილი ბურჟუებისა, რომლებიც გულგახეთქილი და დაშინებული არიან ომით და ბურჟუაზიის მიერ «ხელისუფლების ბოიკოტის» პერსპექტივით; ისინი უმწეოდ ეხეთქებიან აქეთ-იქით: ერთი მხრივ, უბურჟუაზიოდ მართვის ჭაპანწყვეტასა და, მეორე მხრივ, უბურჟუაზიოდ დარჩენის შიშს შორის.

დამფუძნებელი კრების საკითხი **ექვემდებარება** ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მსვლელობისა და შედეგის საკითხს. გვახსოვს, «რაბოჩაია გაზეტამ» ერთხელ წამოაყრანტალა, დამფუძნებელი კრება კონვენტი იქნებაო. ეს კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ჩვენებური მენშევიკ-ლაქიების ფუჭი, საცოდავი, საზიზღარი კვეხნის ერთ-ერთი ნიმუშია. რომ «ფრანკფურტის სალაყბო» ან პირველი სათათბირო არ იყოს, რომ კონვენტი იყოს, ამისთვის საჭიროა კი არ შეუთანხმდე კონტრრევოლუციას, არამედ გაბედო, უნარი შეგწევდეს, ძალა გქონდეს ულმობლად დაარტყა მას. ამისთვის საჭიროა, რათა ძალაუფლება იყოს ყველაზე მოწინავე, ყველაზე გაბედული, მოცემული ეპოქის ყველაზე რევოლუციური კლასის ხელში. ამისთვის საჭიროა, რომ ამ კლასს მხარი დაუჭიროს ქალაქისა და სოფლის ღარიბთა (ნახევრადპროლეტართა) მთელმა მასამ. ამისთვის საჭიროა დაუზოგავად გაუსწორდე კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას, ე. ი. კადეტებს და უწინარეს ყოვლისა არმიის მეთაურთა ზედაფენებს. ასეთია კონვენტის რეალური, კლასობრივი, მატერიალური პირობები. საკმარისია ზუსტად და ნათლად ჩამოთვალო ეს პირობები, რათა მიხვდე, თუ რა სასაცილოა «რაბოჩაია გაზეტას» კვეხნა, რა უსაზღვროდ სულელურია ესერებისა და მენშევიკების კონსტიტუციური ილუზიები დამფუძნებელი კრების მიმართ თანამედროვე რუსეთში.

II

ამართლებდა რა 1848 წლის წვრილბურჟუაზიულ «სოციალ-დემოკრატებს», მარქსი განსაკუთრებით სასტიკად გმობდა მათს თავშეუკავებელ ლაყბობას «ხალხისა» და საერთოდ ხალხის უმრავლესობის შესახებ [62]. მართებულია სწორედ ეს გავიხსენოთ მეორე აზრის განხილვის დროს, «უმრავლესობის» მიმართ კონსტიტუციური ილუზიების ანალიზის დროს.

უმრავლესობა რომ მართლაც წყვეტდეს საქმეს სახელმწიფოში, ამისთვის საჭიროა გარკვეული რეალური პირობები. სახელდობრ: მტკიცედ უნდა იყოს დამყარებული ისეთი სახელმწიფო წესწყობილება, ისეთი სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც საქმეების უმრავლესობით გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლეოდეს და უზრუნველყოფდეს ამ შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევას. ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ, აუცილებელია, რათა ამ უმრავლესობას თავისი კლასობრივი შემადგენლობით, ამ უმრავლესობის შიგნით (და მის გარეთ) ამა თუ იმ კლასის თანაფარდობით შეეძლოს მწყობრად და წარმატებით მართოს სახელმწიფო ხომალდი. ყოველი მარქსისტისათვის ცხადია, რომ ეს ორი რეალური პირობა გადამწყვეტ როლს ასრულებს ხალხის უმრავლესობის საკითხში და ამ უმრავლესობის ნების თანახმად სახელმწიფოებრივ საქმეთა მსვლელობის საკითხში. ამავე დროს კი ესერებისა და მენშევიკების მთელი პოლიტიკური ლიტერატურა და კიდევ უფრო მეტად მთელი მათი პოლიტიკური საქციელი ააშკარავებს ამ პირობების სრულ გაუგებლობას.

თუ პოლიტიკური ძალაუფლება სახელმწიფოში ისეთი კლასის ხელშია, რომლის ინტერესები ემთხვევა უმრავლესობის ინტერესებს, მაშინ სახელმწიფოს მმართველობა უმრავლესობის ნების თანახმად მართლაც შესაძლებელია. ხოლო თუ პოლიტიკური ძალაუფლება იმ კლასის ხელშია, რომლის ინტერესები ეწინააღმდეგება უმრავლესობის ინტერესებს, მაშინ ყოველი მმართველობა უმრავლესობის მიხედვით გარ-

დუვალად გადაიქცევა ამ უმრავლესობის მოტყუებად ან დათრგუნვად. ყოველი ბურჟუაზიული რესპუბლიკა ასობით და ათასობით გვიჩვენებს ამის მაგალითს. რუსეთში ბურჟუაზია ბატონობს ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც. მისი .ინტერესები, განსაკუთრებით იმპერიალისტური ომის დროს, უაღრესად მკვეთრად ეწინააღმდეგება უმრავლესობის ინტერესებს. ამიტომ საკითხის მთელი არსი, მისი მატერიალისტურად, მარქსისტულად და არა ფორმალურ-იურიდიულად დასმის დროს, მდგომარეობს ამ წინააღმდეგობის გამოაშკარავებაში, ბურჟუაზიის მიერ მასების მოტყუების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენმა ესერებმა და მენშევიკებმა, პირიქით, სავსებით დაამტკიცეს და გვიჩვენეს თავიანთი ნამდვილი როლი, როგორც ბურჟუაზიის მიერ მასების («უმრავლესობის») მოტყუების იარაღისა, ასეთი მოტყუების გამტარებლებისა და ხელშემწყობებისა. რაც უნდა გულწრფელნი იყვნენ ესერებისა და მენშევიკების ცალკეული პირნი, მათი ძირითადი პოლიტიკური იდეები — თითქოს შეიძლებოდეს თავის დაღწევა იმპერიალისტური ომიდან და «უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის» დადება, პროლეტარიატის დიქტატურის დაუმყარებლად და სოციალიზმის გაუმარჯვებლად, თითქოს შეიძლებოდეს მიწის გადასვლა ხალხის ხელში გამოუსყიდველად და წარმოების «კონტროლი» ხალხის ინტერესებისათვის, იმავე პირობის განუხორციელებლად, — ესერებისა დ მენშევიკების ეს ძირითადი პოლიტიკური (და, რა თქმა უნდა, ეკონომიური) იდეები წარმოადგენენ, ობიექტურად, სწორედ წვრილბურჟუაზიულ თავისმოტყუებას ან, რაც იგივეა, ბურჟუაზიის მიერ მასების («უმრავლესობის») მოტყუებას.

აი ჩვენი პირველი და მთავარი «შესწორება» წვრილბურჟუაზიული დემოკრატების, ლუი ბლანის ტიპის სოციალისტების, ესერებისა და მენშევიკების მიერ უმრავლესობის საკითხის დაყენებისათვის: რად ღირს სინამდვილეში «უმრავლესობა», როდესაც უმრავლესობა თავისთავად არის მხოლოდ ფორმალური მომენტი, ხოლო მატერიალურად, სინამ-

დვილეში, ეს უმრავლესობა არის იმ პარტიების უმრავლესობა, რომლებიც **ახორციელებენ** ბურჟუაზიის მიერ ამ უმრავლესობის მოტყუებას?

და რა თქმა უნდა — აქ ჩვენ მივადექით მეორე «შესწორებას», მეორე გარემოებას ზემოთ აღნიშნულ ძირითად გარემოებათა შორის — რა თქმა უნდა, ეს მოტყუება შეიძლება სწორად გაიგო მხოლოდ მაშინ, თუ გამოარკვევ მის კლასობრივ ფესვებსა და მის კლასობრივ მნიშვნელობას. ეს პირადი მოტყუება **არ არის**, «**ყალთაბანდობა**» არ არის (უხეშად რომ ვთქვათ), ეს **არის** მოცთუნებული იდეა, რომელიც კლასის ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარეობს. წვრილი ბურჟუა ისეთ ეკონომიურ მდგომარეობაშია, მისი ცხოვრების პირობები ისეთია, რომ იგი არ შეიძლება არ მოტყუვდეს, ის უნებლიეთ და გარდუვალად ეტანება ხან ბურჟუაზიას, ხან პროლეტარიატს. დამოუკიდებელი «**ხაზი**» მას **ეკონომიურად არ** შეიძლება ჰქონდეს.

წვრილ ბურჟუას თავისი წარსული ბურჟუაზიისაკენ იზიდავს, **თავისი მომავალი** — პროლეტარიატისაკენ. მისი გონება **ეტანება ამ უკანასკნელს, მისი ცრურწმენა** (მარქსის ცნობილი **თქმით**) — **პირველს. ხალხის** უმრავლესობამ რომ შესძლოს **ნამდვილი** უმრავლესობა გახდეს სახელმწიფოს მმართველობაში, გახდეს უმრავლესობის ინტერესთა ნამდვილი მსახური, თავის უფლებათა ნამდვილი დამცველი და ასე შემდეგ, ამისათვის საჭიროა გარკვეული კლასობრივი პირობა. ეს პირობაა: წვრილი ბურჟუაზიის უმრავლესობის შეერთება, გადამწყვეტ მომენტსა და გადამწყვეტ ადგილას მაინც, რევოლუციურ პროლეტარიატთან.

უამისოდ უმრავლესობა არის ფიქცია, რომელმაც შეიძლება იარსებოს ერთ ხანს, იბრწყინოს, იელვაროს, იხმაუროს, **სახელი მოიხვეჭოს**, მაგრამ რომელიც მაინც აბსოლუტური გარდუვალობით განწირულია და კრახს ვერ აიცდენს. სწორედ ასეთია, სხვათა შორის, იმ უმრავლესობის კრახი, რომელიც ესერებსა და მენშევიკებს მოეპოვებოდათ, — კრახი, რაც გამოაშკარავდა რუსეთის რევოლუციაში 1917 წლის ივლისს.

შემდეგ. რევოლუცია სწორედ იმით განსხვავდება საქმეთა «ჩვეულებრივი» მდგომარეობისაგან სახელმწიფოში, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრების სადავო საკითხებს უშუალოდ წყვეტს კლასების ბრძოლა და მასების ბრძოლა, მათი თვით შეიარაღებული ბრძოლაც კი. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რაკი მასები თავისუფალნი და შეიარაღებულნი არიან. ამ ძირითადი ფაქტიდან გამომდინარეობს ის, რომ რევოლუციურ დროს საკმარისი არ არის გამოავლინო «უმრავლესობის ნება», არა, საჭიროა უ ფ რ ო ძ ლ ი ე რ ი ა ღ მ ო ჩ ნ დ ე გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ მომენტში და გადამწყვეტ ადგილას, საჭიროა გ ა ი მ ა რ ჯ ვ ო. დაწყებული შუა საუკუნეების «გლეხთა ომით» გერმანიაში და განგრძობილი ყველა დიდი რევოლუციური მოძრაობითა და ეპოქებით, თვით 1848 და 1871 წლებამდე, თვით 1905 წლამდე ჩვენ ვხედავთ იმის უთვალავ მაგალითს, თუ როგორ ახვევდა თავის ნებას უფრო ორგანიზებული, უფრო შეგნებული, უკეთ შეიარაღებული უმცირესობა უმრავლესობას და როგორ ამარცხებდა მას.

ფრ. ენგელსი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა გამოცდილების გაკვეთილს, რომელიც რამდენადმე აერთიანებს XVI საუკუნის გლეხურ აჯანყებას და 1848 წლის რევოლუციას გერმანიაში, სახელდობრ ხაზს უსვამდა გამოსვლების დაქსაქსულობას, ჩაგრულ მასებში ცენტრალიზაციის უქონლობას, რაც დაკავშირებული იყო მათი ცხოვრების წვრილბურჟუაზიულ მდგომარეობასთან [33]. და საქმეს რომ ამ მხრივაც მივუდგეთ, ჩვენ იმავე დასკვნამდე მივდივართ: წვრილბურჟუაზიული მასების უბრალო უმრავლესობა ჯერ კიდევ არაფერს არა წყვეტს და ვერც გადაწყვეტს, ვინაიდან სოფლის წვრილ მეურნეთა დაქსაქსულ მილიონებს გამოსვლების ორგანიზებულობა, პოლიტიკური შეგნებულობა, მათი ცენტრალიზაცია (რაც აუცილებელია გამარჯვებისათვის), ყოველივე ეს შეიძლება მისცეს მ ხ ო ლ ო დ ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ი ს გაწვევამ ან ბურჟუაზიის მხრივ, ან პროლეტარიატის მხრივ.

ბოლოს და ბოლოს, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებს წყვეტს კლასობრივი ბრძოლა მისი

უაღრესად მკვეთრი, უაღრესად მწვავე ფორმით, სახელდობრ სამოქალაქო ომის ფორმით. ამ ომში კი, ისევე როგორც ყოველ ომში, საქმეს წყვეტს ეკონომიკა — ესეც ცნობილი ფაქტია, რომელიც პრინციპულად სადავოდ არავის გაუხდია. მეტისმეტად დამახასიათებელია და საგულისხმო, რომ ვერც ესერები და ვერც მენშევიკები, რომლებიც ამას «პრინციპულად» არ უარყოფენ და რომლებსაც ჩინებულად აქვთ შეგნებული თანამედროვე რუსეთის კაპიტალისტური ხასიათი, ვერ ბედავენ ფხიზლად შეხედონ სიმართლეს. მათ ეშინიათ აღიარონ სიმართლე. სახელდობრ: ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის, მათ შორის რუსეთის, ძირითადი დაყოფა სამ ძირითად, მთავარ ძალად — ბურჟუაზიად, წვრილ ბურჟუაზიად, პროლეტარიატად. პირველსა და მესამეზე ყველა ლაპარაკობს, მათ ყველა აღიარებს. მეორე — ესე იგი უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა რიცხობრივად! — არა სურთ ფხიზლად შეაფასონ არც ეკონომიური, არც პოლიტიკური და არც სამხედრო თვალსაზრისით.

სიმართლე თვალსა სჩხვლეტს — ამით განისაზღვრება ესერებისა და მენშევიკების თვითშემეცნების შიში.

III

«პრავდის» დახურვა, როცა ჩვენ ამ სტატიას ვიწყებდით, მხოლოდ «შემთხვევითი» ფაქტი იყო, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ დაედასტურებინა. ახლა, 16 ივლისის შემდეგ, ამ ხელისუფლებამ ფორმალურად დახურა გაზეთი.

ეს დახურვა, მას რომ შეხედოთ ისტორიულად, საერთოდ, როგორც ამ ღონისძიების მომზადებისა და განხორციელების მთელ პროცესს, — შესანიშნავ მკაფიო შუქს ჰფენს რუსეთის «კონსტიტუციის არსს» და კონსტიტუციური ილუზიების საშიშროებას.

ცნობილია, რომ კადეტთა პარტია, მილიუკოვისა და გაზეთ «რეჩის» მეთაურობით, უკვე აპრილიდან მოითხოვს რეპრესიებს ბოლშევიკების წინააღმდეგ. სულ სხვადასხვა ფორმით, დაწყებული «რეჩის» «სახელმწიფოებრივი» სტატიებით და

გათავებული მილიუკოვის მრავალგზისი შეძახილებით — «დააპატიმრეთო» (ლენინი და სხვა ბოლშევიკები), რეპრესიების ეს მოთხოვნა შეადგენდა კადეტების პოლიტიკური პროგრამის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს რევოლუციაში, თუ უმთავრესს არა.

დიდი ხნით ადრე, ვიდრე ალექსინსკი და კომპ. ივნისსა და ივლისში გამოიგონებდნენ და შეთხზავდნენ საზიზღარ ცილისმწამებლურ ბრალდებას გერმანიის ჯაშუშობაში ან გერმანული ფულის მიღებაში, დიდი ხნით ადრე, ვიდრე წამოაყენებდნენ ასევე ცილისმწამებლურ, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებისა და გამოქვეყნებული დოკუმენტების საწინააღმდეგო, ბრალდებას «შეიარაღებულ აჯანყებაში» ან «ამბოხებაში», — ყოველივე ამაზე დიდი ხნით ადრე კადეტური პარტია სისტემატურად, განუხრელად, განუწყვეტლად მოითხოვს რეპრესიებს ბოლშევიკების წინააღმდეგ. თუ ახლა ეს მოთხოვნა განხორციელებულია, რა აზრისა უნდა ვიყოთ იმ ადამიანთა პატიოსნებაზე ან მოსაზრებულობაზე, რომლებიც ივიწყებენ ან თავს ისე მოგვაჩვენებენ, რომ ივიწყებენ, ამ მოთხოვნის ნამდვილ კლასობრივ და პარტიულ სათავეს? როგორ არ უნდა ვუწოდოთ ფრიად უხეში ფალსიფიკაცია ან გონების დაუჯერებელი სიჩლუნგე პოლიტიკაში, თუ ესერები და მენშევიკები ახლა ცდილობენ საქმე ისე წარმოგვიდგინონ, თითქოს მათ სჯერათ, რომ «შემთხვევითი» ან «ცალკეული» ხასიათისა იყოს ბოლშევიკების წინააღმდეგ რეპრესიების «საბაბი», რომელიც 4 ივლისს გაჩნდა? მართლაც, ხომ აქვს საზღვარი უდავო ისტორიულ ჭეშმარიტებათა დამახინჯებას!

საკმარისია შევადაროთ 20 — 21 აპრილის მოძრაობა 3 — 4 ივლისის მოძრაობას, რათა ერთბაშად დავრწმუნდეთ მათს ერთნაირ ხასიათში: მასების უკმაყოფილების, მოუთმენლობისა და აღშფოთების სტიქიური აზვირთება, პროვოკაციული სროლა მარჯვნიდან, მოკლულნი ნევის პროსპექტზე, ბურჟუაზიისა და განსაკუთრებით კადეტების ცილისმწამებლური გოდება, «ლენინელები ისროდნენ ნევის პროსპექტზეო», პროლეტარულ მასასა და ბურჟუაზიას შორის ბრძოლის უკიდურესად

გააფთრება და გამწვავება, წვრილბურჟუაზიული პარტიების, ესერებისა და მენშევიკების, უაღრესი დაბნეულობა, უდიდესი მერყეობა მათ პოლიტიკაში და საერთოდ სახელმწიფო ძალაუფლების საკითხში, — ყველა ეს ობიექტური ფაქტი ახასიათებს ორივე მოძრაობას. ხოლო 9 — 10 და 18 ივნისი სწორედ ასეთსავე კლასობრივ სურათს გვიჩვენებს, ოღონდ სხვა ფორმით.

მოვლენათა მსვლელობა ცხადზე უცხადესია: მასების უკმაყოფილების, მოუთმენლობისა და აღშფოთების სულ უფრო და უფრო მეტი ზრდა, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ბრძოლის სულ უფრო და უფრო გამწვავება მეტადრე წვრილბურჟუაზიულ მასებზე გავლენის მოსაპოვებლად და ამასთან დაკავშირებით ორი უდიდესი ისტორიული მოვლენა, რომლებმაც მოამზადეს ესერებისა და მენშევიკების დამოკიდებულება კონტრრევოლუციური კადეტებისაგან. ეს მოვლენებია: 6 მაისის კოალიციური სამინისტრო, რომელშიც ესერები და მენშევიკები ბურჟუაზიის მსახურნი აღმოჩნდნენ, როცა ისინი სულ უფრო და უფრო ებმებოდნენ მასთან გარიგებისა და შეთანხმების, მისთვის ათასნაირი «მომსახურების» გაწევის ქსელში, ფრიად აუცილებელ რევოლუციურ ღონისძიებათა გაჭიანურების ქსელში, და შემდეგ შეტევა ფრონტზე. შეტევა გარდუვალად ნიშნავდა იმპერიალისტური ომის განახლებას, იმპერიალისტური ბურჟუაზიის გავლენის, წონის, როლის გიგანტურად გაძლიერებას, შოვინიზმის უაღრესად ფართოდ გავრცელებას მასებში, ბოლოს—**last but not least** (უკანასკნელი — სათვალავითა და არა მნიშვნელობით) ძალაუფლების გადაცემას — ჯერ სამხედრო, შემდეგ კი საერთოდ სახელმწიფო ძალაუფლების გადაცემას არმიის მეთაურთა კონტრრევოლუციური ზედაფენების ხელში.

ასეთია ისტორიული მოვლენების მსვლელობა, რომელიც აღრმავებდა და ამწვავებდა კლასობრივ წინააღმდეგობას 20 — 21 აპრილიდან 3—4 ივლისამდე და რომელმაც შესაძლებლობა მისცა კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას 4 ივლისის შემდეგ განეხორციელებინა ის, რაც უკვე 20—21 აპრილს ყოვ-

ლად სრული სიცხადით დაისახა როგორც მისი პროგრამა და ტაქტიკა, მისი უახლოესი მიზანი და მისი «ფაქიზი» საშუალებანი, რომლებსაც იგი მიზანთან უნდა მიეყვანა.

არაფერია ისტორიული თვალსაზრისით იმაზე უფრო უშინაარსო, არაფერია თეორიულად იმაზე უფრო უბადრუკი და პრაქტიკულად უფრო სასაცილო, ვიდრე მეშჩანური წუწუნი 4 ივლისის გამო (რასაც იმეორებს, სხვათა შორის, ლ. მარტოვიც) იმის შესახებ, რომ ბოლშევიკებმა «მოახერხეს» დაემარცხებინათ საკუთარი თავი, რომ ეს მათმა «ავანტიურიზმმა» გამოიწვია და ასე შემდეგ და მისთანანი. მთელი ეს წუწუნი, მთელი ეს მსჯელობა, რომ «არ იყო საჭირო» მონაწილეობის მიღება (მასების არქიკანონიერი უკმაყოფილებისა და ალშფოთებისათვის «მშვიდობიანი და ორგანიზებული» ხასიათის მიცემაშიო!!) — ან რენეგატობაა, თუ ბოლშევიკებისაგან გამომდინარეობს, ანდა წვრილი ბურჟუაზიისათვის ჩვეულებრივი გამოვლინებაა მისი ჩვეულებრივი დაშინებულობისა და დაბნეულობის. ნამდვილად კი 3 — 4 ივლისის მოძრაობა ისეთივე გარდუვალობით წარმოიშვა 20 — 21 აპრილის მოძრაობიდან და მის შემდეგ, როგორითაც ზაფხული მოსდევს გაზაფხულს. პროლეტარული პარტიის უეჭველი მოვალეობა იყო დარჩენილიყო მასებთან და ცდილიყო მიეცა რაც შეიძლება უფრო მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი მათი სამართლიანი გამოსვლებისათვის, განზე არ გამდგარიყო, პილატესავით ხელი არ დაებანა იმ პედანტური საბუთით, რომ მასა ორგანიზებული არ არის უკანასკნელ კაცამდე და რომ მის მოძრაობაში არის ხოლმე ექსცესებიც (თითქოს არ ყოფილიყოს ექსცესები 20 — 21 აპრილს! თითქოს ყოფილიყოს ისტორიაში მასების თუნდაც ერთი სერიოზული მოძრაობა უექსცესებოდ!).

ბოლშევიკების დამარცხება კი 4 ივლისის შემდეგ ისტორიული გარდუვალობით გამოიწვია მოვლენების მთელმა წინანდელმა მსვლელობამ სწორედ იმიტომ, რომ წვრილბურჟუაზიული მასა და მისი ბელადები, ესერები და მენშევიკები, 20—21 აპრილს ჯერ კიდევ არ იყვნენ შეტევით შებოჭილნი, ჯერ კიდევ არ იყვნენ გაბმულნი «კოალიციურ სამინისტროში»

ბურჟუაზიასთან გარიგებით, 4 ივლისისათვის კი მათ იმდენად შეიბოჭეს და გააბეს თავისი თავი, რომ არ შეეძლოთ არ დაშვებულიყვნენ კონტრრევოლუციურ კადეტებთან თანამშრომლობამდე (რეპრესიებში, ციხისწამებაში, ჯალათობაში). ესერები და მენშევიკები საბოლოოდ ჩაგორდნენ 4 ივლისს კონტრრევოლუციის სიბინძურის ორმოში, რადგან ისინი განუხრელად მიგორავდნენ ამ ორმოსაკენ მაისსა და ივნისში, როდესაც კოალიციურ სამინისტროში იმყოფებოდნენ და როდესაც შეტევის პოლიტიკას იწონებდნენ.

ჩვენ, თითქოს, რამდენადმე გადავუხვიეთ ჩვენს თემას, «პრავდის» დახურვის საკითხს 4 ივლისის ისტორიული შეფასების საკითხისაკენ. მაგრამ ეს მხოლოდ თითქოს. ვინაიდან ერთის გაგება არ შეიძლება უმეორეოდ. ჩვენ დავინახეთ, რომ «პრავდის» დახურვა, ბოლშევიკების დაპატიმრება და, საერთოდ, მათი დევნა — თუ საქმის არსსა და მოვლენათა ურთიერთკავშირს შევხედავთ — სხვა არაფერია, თუ არა კონტრრევოლუციისა და კერძოდ კადეტების ძველი პროგრამის შესრულება.

ახლა მეტისმეტად საგულისხმოა განვიხილოთ, სახელდობრ ვინ და რა ხერხებით განახორციელა ეს პროგრამა.

შევხედოთ ფაქტებს. 2 და 3 ივლისს მოძრაობა იზრდება, მთავრობის უმოქმედობით, სიძვირით, ნგრევით, შეტევით აღშფოთებული მასები მღელვარებას მოუცავს. კადეტები მიდიან, ისინი «მიმციას» თამაშობენ, ულტიმატუმს უყენებენ ესერებსა და მენშევიკებს და მათ, ხელისუფლებაზე მიბმულთ, მაგრამ ძალაუფლებას მოკლებულთ, პასუხისმგებლობას აკისრებენ დამარცხებისათვის და მასების აღშფოთებისათვის.

ბოლშევიკები 2 და 3 ივლისს აკავებენ მასებს გამოსვლისაგან. ეს ალიარა «დელო ნაროდას» მოწმემაც კი, რომელმაც მოგვითხრო, თუ რა იყო 2 ივლისს გრენადერთა პოლკში. 3 ივლისს, სალამოს, მოძრაობამ ნაპირზე გადმოხეთქა, და ბოლშევიკები ადგენენ მოწოდებას იმის შესახებ, რომ აუცილებელი «მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი მიეცეს მოძრაობას. 4 ივლისს მარჯვნიდან პროვოკაციულად ტყვიის დაშენ-

ადიდებს ორივე მხარეს სროლის მსხვერპლთა რიცხვს: ხაზი უნდა გაესვას, რომ აღმასრულებელი კომიტეტის დაპირება, მოვლენებს გამოვიძიებთო, დღეში ორჯერ გამოვუშვებთ ბიულეტენებს და სხვ. და სხვ., ცარიელ დაპირებად დარჩა! ესერებსა და მენშევიკებს სრულიად არაფერი არ გაუკეთებიათ, ორივე მხარეს მოკლულთა სრული სიაც კი არ გამოუქვეყნებიათ!!

4 ივლისს ღამით ბოლშევიკებმა შეადგინეს მოწოდება გამოსვლების შეწყვეტის შესახებ, და იმავე ღამეს ეს მოწოდება დაიბეჭდა «პრავდაში». მაგრამ სწორედ ამ ღამეს იწყება, ჯერ ერთი, კონტრრევოლუციური ჯარების მოსვლა პიტერში (ეტყობა, ესერებისა და მენშევიკების, მათი საბჭოების მოწვევით ან თანხმობით, თუმცაღა, რა თქმა უნდა, ამ «საჩოთიროს» პუნქტის გამო დღევანდლამდე, როცა საიდუმლოების სულ მცირედმა საჭიროებამაც კი განვლო, ყველაზე მეტად და ყველაზე მტკიცედ სდუმან!). მეორეც, ამავე ღამეს იწყება ბოლშევიკების დარბევა იუნკერთა და სხვათა რაზმების მიერ, რომლებიც, აშკარაა, ჯარების სარდლის პოლოვცევისა და გენერალური შტაბის დავალებით მოქმედებენ. 4 ივლისს ღამით არბევენ «პრავდას», 5-სა და 6-ს არბევენ მის სტამბას «ტრუდს», დღისით-მზისით კლავენ მუშა ვოინოვს იმისათვის, რომ მას სტამბიდან გამოჰქონდა «ლისტოკ პრავდი», ჩხრეკენ და აპატიმრებენ ბოლშევიკებს, იარაღს ჰყრიან რევოლუციურ პოლკებს.

ვინ დაიწყო ყოველივე ამის შესრულება? არა მთავრობამ და არა საბჭომ, არამედ კონტრრევოლუციურმა სამხედრო ხროვამ, რომელიც კონცენტრირებულია გენერალური შტაბის ახლოს, მოქმედებს «კონტრდაზვერვის» სახელით, ავრცელებს პერევერზევისა და ალექსინსკის ფაბრიკატს, რათა «გამოიწვიონ გააფთრება» ჯარებისა და ასე შემდეგ.

მთავრობა არა ჩანს. საბჭოები არ ჩანან; ისინი ცახცახებენ თავიანთი საკუთარი ბედისათვის. ისინი ღებულობენ მთელ რიგ ცნობებს, რომ კაზაკებს შეუძლიათ მოვიდნენ და გაანად-

გურონ ისინი. შავრაზმული და კადეტური პრესა, რომელმაც ბოლშევიკების დევნა ჩაატარა, იწყებს საბჭოების დევნას.

ესერებმა და მენშევიკებმა ხელ-ფეხი შეიბორკეს მთელი თავიანთი პოლიტიკით. როგორც შებორკილი ადამიანები, მოუხმობდნენ ისინი კონტრრევოლუციურ ჯარებს პიტერში (ან ითშენდნენ მათს მოხმობას). ამან კი ისინი კიდევ უფრო შებორკა. ისინი საზიზღარი კონტრრევოლუციური ორმოს ძირში ჩაეშვნენ. ისინი ლაჩრულად შლიან თავიანთ საკუთარ კომისიას, რომელიც დანიშნული იყო ბოლშევიკების «საქმის» გამოსაძიებლად. ისინი ბოლშევიკებს უნამუსოდ ხელში უგდებენ კონტრრევოლუციას. ისინი დამცირებულნი მონაწილეობენ მოკლული კაზაკების დაკრძალვის დემონსტრაციაში და ამგვარად ხელს უკოცნიან კონტრრევოლუციონერებს.

ისინი შებორკილი ადამიანები არიან. ისინი ორმოს ძირში იმყოფებიან.

ისინი აჭეთ-იჭით ეხეთქებიან, — პორტფელს აძლევენ კერენსკის, მიდიან კანოსაში[64] კადეტებთან, აწყობენ «საერო კრებას» ან კონტრრევოლუციური მთავრობის «კორონაციას» მოსკოვში[65]. კერენსკიმ დაითხოვა პოლოვცევი.

მაგრამ ეს ბორგვა ბორგვად რჩება, სრულიად ვერ ცვლის საქმის არსს. კერენსკი ითხოვს პოლოვცევს და ამავე დროს აფორმებს, აკანონებს პოლოვცევის ღონისძიებებს. მის პოლიტიკას, ხურავს «პრავდას», აწესებს სიკვდილით დასჯას ჯარისკაცთათვის, კრძალავს მიტინგებს ფრონტზე, განაგრძობს ბოლშევიკების (კოლონტაისაც კი!) დაპატიმრებას ალექსინსკის პროგრამის მიხედვით.

რუსეთის «კონსტიტუციის დედაარსი» გასაოცარი სიცხადით ირკვევა: შეტევა ფრონტზე და კადეტებთან კოალიცია ზურგში კონტრრევოლუციის ორმოში ჰყრის ესერებსა და მენშევიკებს. სინამდვილეში სახელმწიფო ძალაუფლება გადადის კონტრრევოლუციის ხელში, სამხედრო ხროვის ხელში. კერენსკი და წერეთლისა და ჩერნოვის მთავრობა მხოლოდ საფარია მისთვის, ისინი იძულებული არიან უკანა

რ ი ც ხ ვ ი თ დააკანონონ მისი ღონისძიებანი, მისი ნაბიჯები, მისი პოლიტიკა.

კერენსკის, წერეთლის, ჩერნოვის ვაჭრობას კადეტებთან მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, თუ მეათეხარისხოვანი არა. გაიმარჯვებენ თუ არა კადეტები ამ ვაჭრობაში, კიდევ გასძლებენ თუ არა «მარტონი» წერეთელი და ჩერნოვი, საქმის არსი არ შეიცვლება, ესერებისა და მენშევიკების შებრუნება კონტრრევოლუციისაკენ (შებრუნება, რომელიც ნაკარნახევია მთელი მათი პოლიტიკით 6 მაისიდან) ძირითად, მთავარ, გადამწყვეტ ფაქტად რჩება.

პარტიული განვითარების ციკლი დამთავრდა. ესერები და მენშევიკები ექანებოდნენ საფეხურიდან საფეხურზე, კერენსკისათვის 28 თებერვალს «ნდობის» გამოცხადებიდან 6 მაისისაკენ, რომელმაც ისინი მიაბა კონტრრევოლუციას, 5 ივლისისაკენ, როდესაც ისინი ბოლომდე დაექანნენ კონტრრევოლუციისაკენ.

იწყება ახალი ხანა. კონტრრევოლუციის გამარჯვება იწვევს მასების გულგატეხილობას ესერებისა და მენშევიკების პარტიებისადმი და გზას უხსნის ამ მასების გადასვლას რევოლუციური პროლეტარიატის მხარის დაჭერის პოლიტიკისაკენ.

დაწერილია 1917 წ. 26 ივლისს (8 აგვისტოს)

დაიბეჭდა 1917 წ. 4 და 5 აგვისტოს გაზეთ «რაბოჩი ი სოლდატში» № № 11 და 12

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პასუხი

I

22 ივლისის გაზეთებში დაბეჭდილია ცნობა «პეტროგრადის სასამართლო პალატის პროკურორისაგან» 3 — 5 ივლისის ამბების გამოძიების თაობაზე და მთელ რიგ სხვა ბოლშევიკებთან ერთად ჩემი სამართალში მიცემის შესახებ ღალატისა და შეიარაღებული აჯანყების ორგანიზებისათვის.

მთავრობა იძულებული იყო გამოექვეყნებინა ეს ცნობა, რადგან უკვე მეტისმეტად სკანდალურია მთელი ეს საზიზღარი საქმე, აშკარად, ყოველი შეგნებული კაცისათვის აშკარად შეთითხნილი ცილისმწამებლის ალექსინსკის მონაწილეობით, კონტრრევოლუციური კადეტური პარტიის დიდი ხნის სურვილებისა და მოთხოვნების შესასრულებლად.

მაგრამ ცნობის გამოქვეყნებით წერეთლისა და კომპანიის მთავრობა უაღრესად შეირცხვენს თავს, რადგან ტლანქი სიყალბე ახლა განსაკუთრებით გვხვდება თვალში.

პეტროგრადიდან მე ავადმყოფობის გამო წავედი 29 ივნისს, ხუთშაბათს, და დავბრუნდი მხოლოდ 4 ივლისს, სამშაბათს დილით. მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ როგორც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, ისე საერთოდ მთელი ჩვენი პარტიის უკლებლივ ყველა ნაბიჯისა და ღონისძიებისათვის მე სრულ და უთუო პასუხისმგებლობას ვკისრულობ. ჩემი პეტროგრადში არყოფნა იმიტომ იყო საჭირო აღმენიშნა, რომ ამეხსნა, თუ რატომ არ ვიცოდი ზოგიერთი დეტალი და, უმთავრესად, რატომ ვიმოწმებ პრესაში გამოქვეყნებულ დოკუმენტებს.

აშკარაა, რომ უწინარეს ყოვლისა სწორედ ამგვარი დოკუმენტები, განსაკუთრებით, თუ ეს დოკუმენტები ბოლშევიკებისადმი მტრულ პრესაში გამოქვეყნდა, პროკურორს უნდა გულდასმით შეეკრიბა, შეეჯერებინა და გაეანალიზებინა. მაგრამ «რესპუბლიკის» პროკურორმა, რომელიც «სოციალისტის» მინისტრის წერეთლის პოლიტიკას ატარებს, არ მოისურვა თავისი სწორედ ამ ყველაზე ძირითადი მოვალეობის შესრულება!

მინისტრულმა გაზეთმა «დელო ნაროდამ» 4 ივლისის შემდეგ მალე აღიარა, როგორც ფაქტი, რომ ბოლშევიკები 2 ივლისს გრენადერთა პოლკში გამოდიოდნენ, აგიტაციას ეწეოდნენ გამოსვლის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

ჰქონდა თუ არა პროკურორს უფლება მიეჩქმალა ეს დოკუმენტი? ჰქონდა თუ არა მას საფუძველი მხედველობაში არ მიეღო ასეთი მოწმის ჩვენება?

ეს ჩვენება კი ადასტურებს იმ პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ფაქტს, რომ მოძრაობა სტიქიურად იზრდებოდა და რომ ბოლშევიკები ცდილობდნენ კი არ დაეჩქარებინათ, არამედ გადაედოთ გამოსვლის ვადა.

შემდეგ. იმავე გაზეთმა დაბეჭდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტი, სახელდობრ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ხელმოწერილი და სამ ივლისს ღამით შედგენილი მოწოდების ტექსტი. ეს მოწოდება შედგენილი და ასაწყობად გადაცემული იყო უკვე მას შ ე მ დ ე გ, რაც მოძრაობამ, მიუხედავად ჩვენი ცდებისა, რომ შეგვეკავებინა იგი, უფრო სწორად, მოგვეწესრიგებინა იგი, ნაპირს გადმოხეთქა, — მას შემდეგ, რაც გამოსვლა უკვე ფაქტი გახდა.

წერეთლის პროკურორის მთელი უზომო სულმდაბლობა და უნამუსობა, მთელი ვერაგობა სწორედ იმით აშკარავდება, რომ ის გ ვ ე რ დ ს უ ვ ლ ი ს საკითხს, თუ სახელდობრ როდის დ ა ი წ ყ ო გამოსვლა, როგორ დღესა და საათს, ბოლშევიკების მოწოდებამდე თუ მას შემდეგ.

ამ მოწოდების ტექსტში კი ლაპარაკია იმაზე, რომ საჭიროა მოძრაობას მიეცეს მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ი და ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ უ ლ ი ხასიათი!

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ იმაზე უფრო სასაცილო ბრალდება «შეიარაღებული აჯანყების ორგანიზებაში», როგორიცაა ბრალის დადება ორგანიზაციისათვის, რომელმაც 4 ივლისის წინაღამით, ე. ი. ღამით გადამწყვეტი დღის წინ, გამოუშვა მოწოდება «მშვიდობიანი და ორგანიზებული» გამოსვლის შესახებ? და მეორე კითხვა: რით განსხვავდება დრეიფუსის საქმის ან ბეილისის საქმის პროკურორებისაგან «სოციალისტ» მინისტრის წერეთლის «რესპუბლიკური» პროკურორი, რომელიც სრული დუმილით გვერდს უვლის ამ მოწოდებას?

შემდეგ. პროკურორი სდუმს იმაზე, რომ 4 ივლისს ღამით ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეადგინა მოწოდება დემონსტრაციის შეწყვეტის შესახებ და დაბეჭდა ეს მოწოდება «პრავდაში», რომელიც სწორედ ამ ღამეს დაარბია კონტრრევოლუციური ჯარების რაზმმა.

შემდეგ. პროკურორი სდუმს იმაზე, რომ ტროცკი და ზინოვიევი მ თ ე ლ რ ი გ სიტყვებში მუშებისა და ჯარისკაცებისადმი, რომლებიც თავრიდის სასახლესთან თავს იყრიდნენ 4 ივლისს, მოუწოდებდნენ მათ დ ა შ ლ ი ლ ი ყ ვ ნ ე ნ მას შემდეგ, რაც მათ უკვე მოახდინეს თავიანთი ნების დემონსტრირება.

ამ სიტყვებს ასობით და ათასობით ხალხი ისმენდა. დაე, ყოველმა პატიოსანმა მოქალაქემ, რომელსაც არა სურს, რომ მის ქვეყანას არცხვენდნენ «ბეილისის საქმეების» მოჰახრაკებით, იზრუნოს იმაზე, რომ, დამოუკიდებლად თავიანთი პარტიული კუთვნილებისა, ამ სიტყვების მსმენელებმა შეიტანონ წერილობითი განცხადებანი პროკურორთან (პირები თვითონ დაიტოვონ), განცხადებანი იმის შესახებ, იყო თუ არა ტროცკისა და ზინოვიევის სიტყვებში მოწოდება, რომ დაშლილიყვნენ. წესიერი პროკურორი თვითონ მიმართავდა მოსახლეობას ასეთი მოწოდებით. მაგრამ სად გაგონილა,

რომ კერენსკის, ეფრემოვის, წერეთლისა და კომპ. სამინისტროში იყვნენ წესიერი პროკურორები? და განა დრო არ არის, რომ რუსმა მოქალაქეებმა თვითონ იზრუნონ, რათა «ბეილისის საქმეები» მათ ქვეყანაში შეუძლებელი იყოს?

სხვათა შორის. მე პირადად, ავადმყოფობის გამო, მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოვთქვი 4 ივლისს, ქშესინსკაიას სახლის აივნიდან. პროკურორი იხსენიებს ამ სიტყვას, ცდილობს გადმოსცეს მისი შინაარსი, მაგრამ არათუ არ ასახელებს მოწმეებს, არამედ ისევ სდუმს მოწმეთა ჩვენებებზე, რომლებიც მოცემულია პრესაში! მე სრულიადაც არ გამაჩნდა შესაძლებლობა გაზეთების სრული კომპლექტები მქონოდა, მაგრამ მაინც ვნახე ორი ჩვენება პრესაში: 1) ბოლშევიკურ «პროლეტარსკოე დელოში» (კრონშტადტი) და 2) მენშევიკურ, მინისტრულ «რაბოჩაია გაზეტაში». რატომ არ უნდა შემოწმდეს ჩემი სიტყვის შინაარსი ამ დოკუმენტებით და მოსახლეობისადმი საჯარო მიმართვით?

მისი შინაარსი შემდეგი იყო: (1) ბოდიშის მოხდა, რომ ავადმყოფობის გამო მე ვჯერდები ორიოდე სიტყვას; (2) მისალმება რევოლუციური კრონშტადტელებისადმი პიტერელი მუშების სახელით; (3) რწმენის გამოთქმა, რომ ჩვენმა ლოზუნგმა «მთელი ძალაუფლება საბჭოებს» უნდა გაიმარჯვოს და იგი კიდევაც გაიმარჯვებს, ისტორიული გზის ყოველგვარი ზიგზაგის მიუხედავად; (4) მოწოდება «თავდაჭერილობისა, სიმტკიცისა და სიფხიზლისაკენ».

ამ კერძო მოვლენებზე იმიტომ ვჩერდები, რომ გვერდი არ ავუაროო იმ სრულიად უმნიშვნელო, მართლაც ფაქტიურ, მასალას, რომელსაც ესოდენ გაკვრით, ყურწაგდებულად, დაუდევრად ეხება — მხოლოდ ოდნავ ეხება — პროკურორი.

მაგრამ, რა თქმა უნდა, მთავარია არა კერძო მოვლენები, არამედ საერთო სურათი, 4 ივლისის საერთო მნიშვნელობა. პროკურორმა სრული უუნარობა გამოიჩინა, რომ თუნდაც მხოლოდ ეფიქრა ამაზე.

ჩვენ ამ საკითხზე, უწინარეს ყოვლისა, გვაქვს უძვირფასესი ჩვენება პრესაში, მოცემული ბოლშევიზმის დაუძინე-

ბელი მტრის, მინისტრული «რაბოჩაია გაზეტას» კორესპონდენტის მიერ, რომელიც ნიაღვრად გვანთხევს თავს ლანძღვა-გინებასა და სიძულვილის სიტყვებს. ამ კორესპონდენტმა მალე მოათავსა თავისი პირადი დაკვირვებანი 4 ივლისის შემდეგ. მის მიერ ზუსტად დადგენილი ფაქტები იმით გამოიხატება, რომ ავტორის დაკვირვებანი და განცდები იყოფა ორ მკვეთრად განსხვავებულ ნახევრად; მეორე ნახევარს ავტორი უპირისპირებს პირველ ნახევარს სიტყვებით, საქმე ჩემთვის «ხელსაყრელად შეტრიალდაო».

განცდათა პირველი ნახევარი იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი ცდილობს დაიცვას მინისტრები აბობოქრებულ ხალხში. მას შეურაცხყოფენ, ძალმომრეობენ მასზე, ბოლოს, პირადად დააკავებენ. ავტორი ისმენს უკიდურესად აგზნებულ შეძახილებსა და ლოზუნგებს, რომელთაგან მას განსაკუთრებით დახსომებია: «სიკვდილი კერენსკის» (იმიტომ, რომ ის შეტევაზე გადავიდა, რომ მან «გაწყვიტა 40 000 კაცი» და ა. შ.).

ავტორის განცდების მეორე ნახევარი, რამაც მისი საქმე, როგორც თვითონ ამბობს, «ხელსაყრელად» შეატრიალა, იწყება იმ მომენტიდან, როდესაც აბობოქრებული ხალხი მას მიიყვანს «სამსჯავროდ» ჭშესინსკაიას სახლში. იქ ავტორს მაშინათვე ათავისუფლებენ.

ასეთია ფაქტები, რომლებიც ავტორს საბაბს აძლევენ უამრავი ლანძღვა-გინება გადმოანთხიოს ბოლშევიკების წინააღმდეგ. გინება პოლიტიკური მოწინააღმდეგის მხრივ ბუნებრივი რამ არის, მეტადრე, როდესაც ეს მოწინააღმდეგე მენშევიკია, რომელიც გრძნობს, რომ კაპიტალითა და იმპერიალისტური ომით დაჩაგრული მასები მასთან კი არა, არამედ მის წინააღმდეგ არიან. მაგრამ გინება ვერა სცვლის ფაქტებს, რომლებიც, ბოლშევიკების გააფთრებული მტრის გადმოცემითაც კი, მეტყველებენ, მოწმობენ, რომ აღელვებული მასები მიდიოდნენ ლოზუნგამდე «სიკვდილი კერენსკის», ხოლო ბოლშევიკების ორგანიზაციამ მოძრაობას საერთოდ და მთლიანად მისცა ლოზუნგი: «მთელი ძალაუფლება საბ-

ჰოებს», რომ მარტოოდენ ბოლშევიკების ორგანიზაციას ჰქონდა მორალური ავტორიტეტი მასის წინაშე და ეუბნებოდა მას უარი ეთქვა ძალადობაზე.

ასეთია ფაქტები. დაე, ბურჟუაზიის ნებსითი და უნებლიეთი მსახურნი გაჰყვიროდნენ და ილანძღებოდნენ ამ ფაქტების გამო, ბრალად სდებდნენ ბოლშევიკებს «სტიქიის წაქეზებას» და ა. შ. და მისთ.. ჩვენ, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის პარტიის წარმომადგენლები, ვიტყვით, რომ ჩვენი პარტია ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება ჩაგრულ მასებთან ერთად, როდესაც ისინი გამოხატავენ თავიანთ ათასგზის სამართლიან და კანონიერ აღშფოთებას სიძვირის გამო, «სოციალისტი» მინისტრების უმოქმედობისა და გამცემლობის გამო, იმპერიალისტური ომისა და მისი გაჭიანურების გამო. ჩვენმა პარტიამ შეასრულა თავისი უთუო მოვალეობა, როდესაც იგი სამართლიანად აღშფოთებულ მასებთან ერთად წავიდა 4 ივლისს და ცდილობდა შეეტანა მათს მოძრაობაში, მათს გამოსვლაში რაც შეიძლებოდა მეტი მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი, ვინაიდან 4 ივლისს **კიდევ** შესაძლებელი იყო ძალაუფლების მშვიდობიანი გადასვლა საბჭოების ხელში, **კიდევ** შესაძლებელი იყო რუსეთის რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება.

თუ რამდენად სულელურია პროკურორის ზღაპარი «შეიარაღებული აჯანყების ორგანიზების» შესახებ, ამას შემდეგი გვიჩვენებს: არავინ არ დავობს, რომ 4 ივლისს პეტროგრადის ქუჩებში მყოფი შეიარაღებული ჯარისკაცებიდან და მეზღვაურებიდან დიდი უმრავლესობა ჩვენი პარტიის მხარეზე იყო. მას სრული შესაძლებლობა ჰქონდა შესდგომოდა უფროსთა შემადგენლობის ასობით გადაყენებასა და დაპატიმრებას, ათობით ყაზარმებისა და მთავრობის შენობათა და დაწესებულებათა დაკავებას და სხვ.. არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა ჩადენილი. მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც ისე დაიბნენ, რომ იმეორებენ ყოველგვარ ჭორს, რასაც კონტრრევოლუციური კადეტები ავრცელებენ,

შეუძლიათ არ დაინახონ, თუ რამდენად სასაცილო და სულელურია მტკიცება, თითქოს 3 ან 4 ივლისს ადგილი ჰქონოდეს «შეიარაღებული აჯანყების ორგანიზებას».

პირველი კითხვა, რომელიც უნდა დაესვა გამოძიებას, იგი ცოტათი მაინც რომ ჰგავდეს გამოძიებას, იქნებოდა კითხვა, ვინ დაიწყო სროლა, შემდეგ კი კითხვა, სახელდობრ რამდენია მოკლული და დაჭრილი როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, რა გარემოებაში მოხდა მკვლელობისა და დაჭრის თვითეული შემთხვევა. — გამოძიება ცოტათი მაინც რომ ჰგავდეს გამოძიებას (და არა საკინკლაო სტატიას დანების, ალექსინსკებისა და სხვათა ორგანოებში), მაშინ გამომძიებელთა მოვალეობა იქნებოდა მოეწყოთ მოწმეთა საჯარო, ხალხისათვის აშკარა დაკითხვა ამ კითხვებზე და დაკითხვის ოქმების დაუყოვნებლივი პუბლიკაცია.

სწორედ ასე იქცეოდნენ ყოველთვის გამომძიებელი კომისიები ინგლისში, როდესაც ინგლისი თავისუფალი ქვეყანა იყო. სწორედ ასე ან დაახლოებით ასე მოქცევა იგრძნო სავალდებულოდ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა პირველ წუთს, როდესაც კადეტების წინაშე შიშს ჯერ კიდევ საბოლოოდ არ ჩაეხშო მისი სინდისი. ცნობილია, რომ აღმასრულებელი კომიტეტი მაშინ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით შეგვპირდა დღეში ორჯერ გამოექვეყნებინა ბიულეტენები თავისი გამომძიებელი კომისიის მუშაობის შესახებ. ცნობილია აგრეთვე, რომ აღმასრულებელმა კომიტეტმა (ე. ი. ესერებმა და მენშევიკებმა) მოატყუეს ხალხი, როცა მისცეს ეს დაპირება, რომელიც მათ ა რ შეუსრულებიათ. მაგრამ ამ დაპირების ტექსტი დარჩა ისტორიის წინაშე, როგორც აღიარება ჩვენი მტრების მხრივ, აღიარება იმისა, თუ რა უნდა ექნა ყოველ ცოტათი მაინც პატიოსან გამომძიებელს.

ყოველ შემთხვევაში საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ბურჟუაზიული გაზეთებიდან, რომლებსაც გაშმაგებით სძულთ ბოლშევიზმი, ერთ-ერთი პირველი გაზეთი, რომელმაც გამოაქვეყნა ცნობა 4 ივლისის სროლის შესახებ, იყო იმავე რიცხვის სალამოს «ბირჟევკა». და სწორედ ამ გაზეთის

ცნობიდან გამომდინარეობს, რომ სროლა დაიწყეს **არა** დემონსტრანტებმა, რომ პირველად სროლა ასტეხეს დემონსტრანტების **წინააღმდეგ!!** რასაკვირველია, «სოციალისტური» სამინისტროს «რესპუბლიკურმა» პროკურორმა ამჯობინა დუმილით აეცილა გვერდი მოწმე «ბირჟევკის» ამ ჩვენებისათვის! ამავე დროს კი ბოლშევიზმისადმი უთუოდ მტრული «ბირჟევკის» ეს ჩვენება სავსებით შეესაბამება მოვლენის საერთო სურათს, როგორც ეს წარმოდგენილი აქვს ჩვენს პარტიას. ეს მოვლენა შეიარაღებული აჯანყება **რომ** ყოფილიყო, მაშინ, რა თქმა უნდა, აჯანყებულნი ტყვიას დაუშენდნენ არა კონტრმანიფესტანტებს, არამედ **გარს** შემოერტყმოდნენ გარკვეულ ყაზარმებს, გარკვეულ შენობებს, მოსპობდნენ ჯარების გარკვეულ ნაწილებს და სხვ.. პირიქით, თუ ეს მოვლენა დემონსტრაცია იყო მთავრობის წინააღმდეგ და მას ახლდა მთავრობის დამცველთა კონტრდემონსტრაცია, მაშინ სავსებით ბუნებრივია, რომ კონტრრევოლუციონერები პირველნი დაუშენდნენ ტყვიას ნაწილობრივ დემონსტრანტების ვეებერთელა მასის წინააღმდეგ გაბოროტების გამო, ნაწილობრივ პროვოკაციული მიზნებით, და ასევე ბუნებრივია, რომ დემონსტრანტები სროლას სროლითვე უპასუხებდნენ.

მოკლულთა სიები, თუმცა, ალბათ, არც თუ მთლად სრული, მაინც დაიბეჭდა ზოგიერთ გაზეთში (გვახსოვს, «რეჩში» და «დელო ნაროდაში»). გამოძიების **პირდაპირი** და უპირველესი მოვალეობა იყო შეემოწმებინა, შეევსო და ოფიციალურად დაებეჭდა ეს სიები. ამის თავის არიდება ნიშნავს იმის დამამტკიცებელი საბუთის **დ ა მ ა ლ ვ ა ს,** რომ სროლა კონტრრევოლუციონერებმა ასტეხეს.

მართლაც, დაბეჭდილი სიების თვალის გადავლებაც კი გვიჩვენებს, რომ ორი მთავარი და განსაკუთრებით გარკვეული ჯგუფიდან, კაზაკებიდან და მეზღვაურებიდან, მოკლულთა რიცხვი დაახლოებით თანაბარია. განა შესაძლებელი იქნებოდა ასეთი მოვლენა იმ შემთხვევაში, თუ შეიარაღებული აჯანყება ექნებოდათ მიზნად 10 000 შეიარაღებულ მეზ-

ლვაურს, რომელნიც 4 ივლისს პიტერს ჩამოეიდნენ და შეუერთდნენ მუშებსა და ჯარისკაცებს, მეტადრე მეტყვიამფრქვეველებს, რომლებსაც მრავალი ტყვიამფრქვევი მოჰყვებოდათ?

ცხადია, რომ მაშინ მოკლულთა რიცხვი კაზაკთა და აჯანყების სხვა მოწინააღმდეგეთა მხარეზე 10-ჯერ მეტი იქნებოდა, ვინაიდან არავინ არ უარყოფს, რომ შეიარაღებულ ადამიანთა შორის პიტერის ქუჩებში 4 ივლისს ბოლშევიკები გიგანტურად სჭარბობდნენ. ამას ადასტურებს ჩვენი პარტიის მოწინააღმდეგეთა მოწმეების მრავალი ჩვენება, რაც პრესაში მოთავსდა; ოდნავ მაინც პატიოსანი გამოძიება, უეჭველია, შეკრებდა და გამოაქვეყნებდა ამ ჩვენებებს.

თუ მოკლულთა რიცხვი დაახლოებით თანაბარია ორივე მხრიდან, ეს გვიჩვენებს, რომ სროლა ასტეხეს სწორედ კონტრრევოლუციონერებმა მანიფესტანტების წინააღმდეგ და რომ მანიფესტანტები მხოლოდ უპასუხებდნენ. სხვანაირად ვერ გამოვიდოდა მოკლულთა თანაბარი რიცხვი.

ბოლოს, პრესაში გამოქვეყნებული ცნობებიდან მეტისმეტად მნიშვნელოვანია შემდეგი: კაზაკები მოკლეს 4 ივლისს, როდესაც აშკარა სროლა იყო მანიფესტანტებსა და კონტრმანიფესტანტებს შორის. ასეთი სროლა ხდება ხოლმე არარევოლუციურ დროსაც კი, მოსახლეობის ერთგვარი აღელვების დროს; მაგალითად, ეს იშვიათი არ არის რომანულ ქვეყნებში, განსაკუთრებით სამხრეთში. ბოლშევიკები კი მოუკლავთ 4 ივლისის შემდეგაც, როდესაც აღელვებული მანიფესტანტებისა და კონტრმანიფესტანტების არავითარი შეხვედრა არ ყოფილა, როდესაც, მაშასადამე, უიარაღოს მოკვლა შეიარაღებულთა მიერ უკვე პირდაპირ ჯალათობა იყო. ასეთია ბოლშევიკ ვოინოვის მკვლელობა შპალერის ქუჩაზე 6 ივლისს.

რა გამოძიებაა ეს, რომელიც მთლიანად არ აგროვებს პრესაში გამოქვეყნებულ მასალასაც კი ორივე მხრიდან მოკლულთა შესახებ, მკვლელობის თვითეული შემთხვევის დროისა და გარემოების შესახებ? ეს გამოძიება კი არა, დაცინვაა.

გასაგებია, რომ «გამოძიების» ასეთი ხასიათის დროს არ უნდა მოველოდეთ მისგან თუნდაც ცდებს, რომ 4 ივლისი ისტორიულად იქნება შეფასებული. ასეთი შეფასება კი აუცილებელია ყველასათვის, ვისაც სურს დაფიქრებით მოეპყრას პოლიტიკას.

ვინც შეეცდება ისტორიულად შეაფასოს 3 და 4 ივლისი, ის თვალს ვერ დახუჭავს იმაზე, რომ ეს მოძრაობა სავსებით ისეთნაირია, როგორიც იყო 20 და 21 აპრილის მოძრაობა.

ორივე შემთხვევაში გვაქვს მასების აღშფოთების სტიქიური აზვირთება.

ორივე შემთხვევაში შეიარაღებული მასები გამოდიან ქუჩაში.

ორივე შემთხვევაში ხდება სროლა მანიფესტანტებსა და კონტრმანიფესტანტებს შორის, ამასთან არის მსხვერპლთა გარკვეული (დაახლოებით თანაბარი) რიცხვი ორივე მხრიდან.

ორივე შემთხვევაში იწყება და უკიდურესად მწვავდება ბრძოლა რევოლუციურ მასებსა და კონტრრევოლუციურ ელემენტებს, ბურჟუაზიას, შორის, ამასთან მოქმედების არეს დროებით ჩამოცილებული არიან საშუალო, შუათანა ელემენტები, ისეთი ელემენტები, რომლებიც შემთანხმებლობისაკენ იხრებიან.

ორივე შემთხვევაში მთავრობის საწინააღმდეგო განსაკუთრებული სახის (ეს თავისებურებანი ჩამოთვლილია ზემოთ) მანიფესტაცია დაკავშირებულია ხელისუფლების ღრმა და ხანგრძლივ კრიზისთან.

ორივე მოძრაობის განსხვავება ის არის, რომ მეორე მოძრაობა პირველთან შედარებით გაცილებით უფრო მწვავეა, და ის არის, რომ ესერებისა და მენშევიკების პარტიები, 20 — 21 აპრილს ნეიტრალურნი, მას შემდეგ გაიხლართნენ კონტრრევოლუციური კადეტების დამოკიდებულებაში (კოალიციური სამინისტროს მეშვეობით და შეტევის პოლიტიკის მეშვეობით) და ამიტომ 3 და 4 ივლისს აღმოჩნდნენ კონტრრევოლუციის მხარეზე.

კადეტების კონტრრევოლუციური პარტია 20 — 21 აპრილის შემდეგაც აგრეთვე უტიფრად ტყუოდა, როცა გაჰყვიროდა: «ნევის პროსპექტზე ლენინელები ისროდნენო», და აგრეთვე კომედიანტურად მოითხოვდა გამოძიებას. კადეტები და მათი მეგობრები მაშინ უმრავლესობას შეადგენდნენ მთავრობაში, მაშასადამე, გამოძიებაც სავსებით მათ ხელში იყო. გამოძიება დაიწყეს, მაგრამ შეწყვიტეს ისე, რომ არაფერი არ გამოუქვეყნებიათ.

რატომ? ცხადია, იმიტომ, რომ ფაქტებმა ვერასგზით ვერ დაადასტურეს ის, რაც კადეტებს უნდოდათ. სხვანაირად რომ ითქვას: გამოძიება 20 — 21 აპრილის შესახებ «ჩააქრეს», ვინაიდან ფაქტები ადასტურებდნენ, რომ სროლა დაიწყეს კონტრრევოლუციონერებმა, კადეტებმა და მათმა მეგობრებმა. ეს აშკარაა.

იგივე იყო, როგორც ეტყობა, 3 — 4 ივლისს, და ამიტომაც ესდენ უხეში და ტლანქია ბატონ პროკურორის ნაყალბევი; ის, წერეთელსა და კომპანიას რომ ასიამოვნოს, აბუჩად იგდებს ცოტათი მაინც კეთილსინდისიერი გამოძიების ყველა წესს.

3 და 4 ივლისის მოძრაობა უკანასკნელი ცდა იყო, რომ მანიფესტაციის გზით აეძულებინათ საბჭოები ხელთ აეღოთ ძალაუფლება. ამ მომენტიდან საბჭოები, ე. ი. მათში გაბატონებული ესერები და მენშევიკები, ძალაუფლებას ფაქტიურად ხელში უგდებენ კონტრრევოლუციას, როცა იწვევენ კონტრრევოლუციურ ჯარებს პიტერში, როცა იარაღს ჰყრიან და შლიან რევოლუციურ პოლკებსა და მუშებს, როცა იწონებენ და ითმენენ თვითნებობასა და ძალადობას ბოლშევიკების წინააღმდეგ. სოკვდილით დასჯის შემოღებას ფრონტზე და ა. შ.

ახლა სამხედრო და, მაშასადამე, სახელმწიფო ძალაუფლება ფაქტიურად უკვე გადავიდა კონტრრევოლუციის ხელში, რომელსაც წარმოადგენენ კადეტები და რომელსაც მხარს უჭერენ ესერები და მენშევიკები. ახლა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება რუსეთში უკვე შეუძლებელია, და

ისტორიის მიერ საკითხი ასეა დასმული: ან კონტრრევოლუციის სრული გამარჯვება, ან ახალი რევოლუცია.

II

ჯაშუშობისა და გერმანიასთან ურთიერთობის დაბრალება, ეს უკვე ბეილისის პირწმინდა საქმეა, რომელზედაც სულ მოკლედ უნდა შევჩერდეთ. აქ «გამოძიება» პირდაპირ იმეორებს ცნობილი ცილისმწამებლის ალექსინსკის ცილისწამებას, ამასთან განსაკუთრებით ტლანქად ამახინჯებს ფაქტებს.

არ არის მართალი, რომ 1914 წელს ავსტრიაში დაპატიმრებული ვიყავით მე და ზინოვიევი. მარტო მე ვიყავი დაპატიმრებული.

არ არის მართალი, თითქოს მე დაპატიმრებული ვიყავი, როგორც რუსეთის ქვეშევრდომი. მე დაპატიმრებული ვიყავი ჯაშუშობაში ეჭვის მიტანისათვის. ადგილობრივმა ჟანდარმმა «გეგმებად» მიიჩნია აგრარული სტატისტიკის დიაგრამები, რაც მოთავსებული მქონდა ჩემს რვეულებში! ეტყობა, ეს ავსტრიელი ჟანდარმი სავსებით იდგა ალექსინსკისა და «ედინსტვოს» ჯგუფის დონეზე. მაგრამ მე, მგონია, მაინც დავამყარე რეკორდი ინტერნაციონალიზმის დევნის საქმეში, ვინაიდან მე ო რ ი ვ ე მეომარ კოალიციაში მდევნიდნენ როგორც ჯაშუშს, ავსტრიაში ჟანდარმი, რუსეთში — კადეტები, ალექსინსკი და კომპ.

არ არის მართალი, თითქოს ავსტრიის საპატიმროდან ჩემს განთავისუფლებაში როლი ეთამაშოს განეცკის. როლი ითამაშა ვიქტორ ადლერმა, რომელიც არცხვენდა ავსტრიელ ხელისუფალთ. როლი ითამაშეს პოლონელებმა, რომლებსაც ეთაკილებოდათ, რომ პოლონელთა ქვეყანაში შესაძლებელია რუსი რევოლუციონერის ასეთი საზიზღარი დაპატიმრება.

საზიზღარი სიცრუეა, თითქოს მე ურთიერთობა მქონდა პარვუსთან, ვიყავი ბანაკებში და სხვ.. არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენს გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» პარვუსის ჟურნალ «კოლოკოლის» [66]

პირველივე ნომრების შემდეგ პარვუსს ეწოდა რენეგატი, გერმანელი პლეხანოვი *. პარვუსი ისეთივე სოციალ-შოვინისტია გერმანიაში, როგორც პლეხანოვი სოციალ-შოვინისტია რუსეთში. როგორც რევოლუციურ ინტერნაციონალისტებს, ჩვენ არც გერმანელ, არც რუს, არც უკრაინელ სოციალ-შოვინისტებთან («უკრაინის განთავისუფლების კავშირი») საერთო არაფერი გვქონია და არც შეიძლებოდა გვქონოდა.

შტეინბერგი სტოკჰოლმის ემიგრანტული კომიტეტის წევრია. მე პირველად ვნახე იგი სტოკჰოლმში. შტეინბერგი დაახლოებით 20 აპრილს თუ უფრო გვიან ჩამოვიდა პიტერში და, მახსოვს, ცდილობდა სუბსიდია მიეღო ემიგრანტული საზოგადოებისათვის. ამის შემოწმება პროკურორისათვის სრულიად ადვილია, შემოწმების სურვილი რომ იყოს.

პროკურორი იმას იხვევს ხელზე, რომ პარვუსი დაკავშირებულია განეცკისთან, ხოლო განეცკი დაკავშირებულია ლენინთან! მაგრამ ეს პირდაპირ თაღლითური ფანდია, ვინაიდან ყველამ იცის, რომ განეცკის ჰქონდა ფულთან დაკავშირებული საქმეები პარვუსთან, ხოლო ჩვენ განეცკისთან არავითარი საქმე არ გვქონია.

განეცკი, როგორც ვაჭარი, პარვუსთან მსახურობდა ან მასთან ერთად ვაჭრობდა. მაგრამ მთელი რიგი რუსი ემიგრანტები, რომლებმაც თავისი თავი დაასახელეს პრესაში, მსახურობდნენ პარვუსის საწარმოებსა და დაწესებულებებში.

პროკურორი იმას იხვევს ხელზე, რომ შესაძლოა, კომერციული მიწერ-მოწერა ჯაშუშური ხასიათის ურთიერთობას ფარავდაო. საინტერესოა, კადეტთა, მენშევიკთა და ესერთა პარტიების რამდენი წევრი უნდა გაემტყუნებინათ ამ საუცხოო რეცეპტით კომერციული მიწერ-მოწერის გამო!

მაგრამ თუ პროკურორს ხელთა აქვს განეცკის მთელი რიგი დეპეშები სუმენსონისადმი (ეს დეპეშები უკვე დაბეჭდილია), თუ პროკურორმა იცის, რომელ ბანკში, რამდენი და როდის ჰქონდა ფული სუმენსონს (ხოლო პროკურორი ბეჭდავს

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 21, გვ. 515 — 517. რედ.

ამგვარი ხასიათის ორიოდე ციფრს), მაშინ რატომ არ უნდა მიაღებინოს პროკურორმა გამოძიებაში მონაწილეობა კანტორის თუ ვაჭრობის დარგის 2—3 მოსამსახურეს? ისინი ხომ 2 დღეში მისცემდნენ მას **სრულ** ამონაწერს ყველა სავაჭრო დავთრიდან და ბანკების დავთრებიდან?

არა გვგონია სხვა რაიმეში ასე თვალსაჩინოდ გამომჟღავნებულიყოს ამ «ბეილისის საქმის» ხასიათი, როგორც იმაში, რომ პროკურორს მოჰყავს მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ციფრები: სუმენსონმა ნახევარი წლის განმავლობაში თავისი მიმდინარე ანგარიშიდან წაიღო 750 000 მან., მას დარჩა 180 000 მანეთიო!! რაკი ციფრების ბეჭდვაზე მიდგა საქმე, რატომღა არ უნდა დაიბეჭდოს მთლიანად: სახელდობრ როდის, სახელდობრ ვისგან იღებდა სუმენსონი ფულს «ნახევარი წლის განმავლობაში» და ვის უხდიდა? სახელდობრ როდის და სახელდობრ საქონლის რა პარტიები მოდიოდა?

რა არის იმაზე ადვილი, რომ ასეთი სრული ციფრები შეკრიბო? ეს 2 — 3 დღეში შეიძლებოდა და კიდევაც უნდა გაკეთებულიყო! ეს გამოააშკარავებდა განეცკისა და სუმენსონის კომერციულ საქმეთა მთელ წრეს! ეს ადგილს არ დაუტოვებდა ბნელ ჭარაგმებს, რომლებსაც პროკურორი მიმართავს!

ალექსინსკის ყოვლად ბინძური და უნამუსო ცილისწამება, გადაწერილი «სახელმწიფოებრივ» ყაიდაზე წერეთლისა და კომპანიის სამინისტროს მოხელეთა მიერ—აი რა დაბლა დაეცნენ ესერები და მენშევიკები!

III

რა თქმა უნდა, უდიდესი გულუბრყვილობა იქნებოდა, რომ წერეთლის, კერენსკისა და კომპანიის სამინისტროს მიერ ბოლშეკიკების წინააღმდეგ აღძრული «სასამართლო საქმეები» ნამდვილ სასამართლო საქმეებად მიგვეჩნია. ეს სრულიად შეუწყნარებელი კონსტიტუციური ილუზია იქნებოდა.

ესერები და მენშევიკები, რომლებიც 6 მაისს კოალიციაში შევიდნენ კონტრრევოლუციურ კადეტებთან და რომლებმაც

მიიღეს შეტევის, ე. ი. იმპერიალისტური ომის განახლებისა და გაჭიანურების პოლიტიკა, გარდუვალად აღმოჩნდნენ კადეტების ტყვეობაში.

როგორც ტყვეები, ისინი იძულებული არიან მონაწილეობა მიიღონ კადეტების ყოვლად ბინძურ საქმეებში, მათს ყოვლად საზიზღარ ცილისწამებლურ ვერაგობაში.

ჩერნოვის «დელო» სწრაფად იწყებს ჩამორჩენილთა გათვითცნობიერებასაც, ე. ი. ამ ჩვენი შეხედულების სისწორის დადასტურებას. ხოლო ჩერნოვის კვალდაკვალ «რეჩი» უკვე ილაშქრებს აგრეთვე წერეთლის, როგორც «თვალთმაქცისა» და «ციმერვალდელის» წინააღმდეგ.

ახლა ბრმებიც კი დაინახავენ და ქვებიც ამეტყველდებიან.

კონტრრევოლუცია ირაზმება. კადეტები — აი მისი საფუძველი. შტაბი და სამხედრო უფროსები, კერენსკი მათ ხელშია, შავრაზმული გაზეთები მათ ემსახურებიან — ასეთია ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის მოკავშირენი.

საზიზღარი ცილისწამება პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ ხელს შეუწყობს პროლეტარიატს რაც შეიძლება მალე მიხვდეს, თუ სად არის კონტრრევოლუცია, — და აღგავოს იგი თავისუფლების, ზავის მოსაპოვებლად, დამშეულთა მიერ პურის, გლეხების მიერ მიწის მოსაპოვებლად.

«რაბოჩი ი სოლდატ» № № 3 და 4;
1917 წ. 26 და 27 ივლისი
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბონაპარტიზმის დასაწყისი

ყველაზე დიდი, ყველაზე საბედისწერო შეცდომა, რომელიც ახლა, კერენსკის, ნეკრასოვის, ავქსენტიევისა და კომპანიის მთავრობის შედგენის შემდეგ[67], შეეძლოთ ჩაედინათ მარქსისტებს, იქნებოდა სიტყვის მიჩნევა საქმედ, მაცთუნებელი გარეგნობის მიჩნევა — დედაარსად ან საერთოდ სერიოზულ რამედ.

ეს საქმე დავუთმოთ მენშევიკებსა და ესერებს, რომლებიც უკვე პირდაპირ თამაშობენ ტაკიმასხრების როლს ბონაპარტისტ კერენსკის ახლოს. მართლაც, განა ეს მასხრობა არ არის, როდესაც კერენსკი, აშკარად კადეტების კარნახით, ადგენს რაღაც ფარული დირექტორიის მაგგვარს თავისი თავისა, ნეკრასოვისა, ტერეშჩენკოს და სავინკოვისაგან, სდუმს დამფუძნებელ კრებაზედაც და საერთოდ 8 ივლისის დეკლარაციაზე[68], მოსახლეობისადმი მიმართვაში აცხადებს საღმრთო ერთიანობას კლასებს შორის, სდებს სრულიად უცნობი პირობების საფუძველზე შეთანხმებას კორნილოვთან, რომელმაც ფრიად უტიფარი ულტიმატუმი წამოაყენა, განაგრძობს სკანდალურად მაშფოთებელ დაპატიმრებათა პოლიტიკას, ხოლო ჩერნოვები, ავქსენტიევები და წერეთლები ყბედობენ და პოზიორობენ?

განა ეს მასხრობა არ არის, როდესაც ჩერნოვი ასეთ დროს გაერთო მილიუკოვის სამედიატორო სამართალში გამოწვევით, როდესაც ავქსენტიევი დეკლამატორობს ვიწრო კლასობრივი თვალსაზრისის გამოუსადეგრობაზე, როდესაც წერეთელი და დანი საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ატარებენ ყოვლად ფუჭ, ფრიად უშინაარსო ფრაზებით აღსავსე რეზოლუციებს, რომლებიც მოგვაგონებენ ცარიზმის წინაშე კადეტური პირველი სათათბიროს უძლურების უცუდეს დროს.

როგორც კადეტებმა 1906 წელს გაათახსირეს რუსეთის სახალხო წარმომადგენელთა პირველი კრება და გადააქციეს იგი საცოდავ სალაყბოდ ცარისტული კონტრრევოლუციის წინაშე, რომელიც მაგრდებოდა, ისე ესერებმა და მენშევიკებმა 1917 წელს გაათახსირეს საბჭოები და გადააქციეს ისინი საცოდავ სალაყბოდ ბონაპარტისტული კონტრრევოლუციის წინაშე, რომელიც მაგრდება.

კერენსკის სამინისტრო, უეჭველია, არის ბონაპარტიზმის პირველი ნაბიჯების სამინისტრო.

ჩვენს წინაშეა ბონაპარტიზმის ძირითადი ისტორიული ნიშანი: სამხედრო ხროვაზე (ჯარის უცუდეს ელემენტებზე) დაყრდნობილი სახელმწიფო ხელისუფლების წაჯექ-უკუჯექობა ორ მტრულ კლასსა და ძალას შორის, რომელნიც მეტად თუ ნაკლებად აწონასწორებენ ერთიმეორეს.

კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის უკიდურეს წრემდეა გამწვავებული: 20—21 აპრილსაც და 3—5 ივლისსაც ქვეყანა კინაღამ გაეხვია სამოქალაქო ომში. განა ეს სოციალურ-ეკონომიური პირობა არ წარმოადგენს ბონაპარტიზმის კლასიკურ ნიადაგს? ამ პირობას ხომ კიდევ ემატება სხვა, სავსებით მისი მონათესავე პირობები; ბურჟუაზია ცოფებსა ჰყრის საბჭოების წინააღმდეგ, მაგრამ იგი ჯერ კიდევ უძლურია ერთბაშად გარეკოს ისინი; ხოლო საბჭოები, ბატონ წერეთლების, ჩერნოვებისა და კომპანიის მიერ გათახსირებულნი, უკვე უძლურნი არიან სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიონ ბურჟუაზიას.

მემამულეებიცა და გლეხობაც სამოქალაქო ომის წინა ხანის ვითარებაში ცხოვრობენ: გლეხები მოითხოვენ მიწას და თავისუფლებას, მათი შეკავება შეუძლია — თუ შეუძლია — მხოლოდ ბონაპარტისტულ მთავრობას, რომელსაც არაფრად მიაჩნია მისცეს ყოვლად ცრუ დაპირებანი ყველა კლასს და არც ერთი დაპირება არ შეასრულოს.

დაუმატეთ ამას შეტევის ავანტიურით გამოწვეულ სამხედრო დამარცხებათა მომენტი, როდესაც განსაკუთრებით გავრცელებულია ფრაზები სამშობლოს ხსნის შესახებ (რაც ფარავს ბურჟუაზიის იმპერიალისტური პროგრამის ხსნის სურვილს) — და თქვენ დაინახავთ ბონაპარტიზმის სოციალ-პოლიტიკური ვითარების ყოვლად სრულ სურათს.

ნუ მოგვატყუებს ფრაზები. ნუ შეგვაცდენს ის, რომ ჩვენს წინაშე ბონაპარტიზმის ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. სწორედ პირველი ნაბიჯების გამოცნობა უნდა შეგვეძლოს, რათა არ მოვხვდეთ იმ გონებაჩლუნგი ფილისტერის სასაცილო მდგომარეობაში, რომელიც ოხვრას იწყებს მეორე ნაბიჯის გამო, თუმცა თვითონ ხელს უწყობდა პირველ ნაბიჯს.

ახლა მხოლოდ და მხოლოდ გონებაჩლუნგი ფილისტერობა იქნებოდა, მაგალითად, იმგვარი კონსტიტუციური ილუზიები, რომ, თითქოს, ახლანდელი სამინისტრო ყველა წინანდელ სამინისტროზე უფრო მემარცხენეა (იხ. «იზვესტია»), ან რომ საბჭოების კეთილგანწყობილ კრიტიკას შეუძლია გამოასწოროს მთავრობის შეცდომები, ან რომ თვითნებური დაპატიმრებანი და გაზეთების დახურვა ერთეული მოვლენები იყოს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს არ განმეორდება, ან რომ ზარუდნი პატიოსანი კაცია და რესპუბლიკურ დემოკრატიულ რუსეთში შესაძლებელია მართებული სასამართლო, სადაც ყველა უნდა ცხადდებოდეს, და სხვ. და ასე შემდეგ.

ამ კონსტიტუციური ფილისტერული ილუზიების სისულელე ძალიან აშკარაა, რომ მათ გაქარწყლებაზე ღირდეს ცალკე შეჩერება.

არა, ბრძოლა ბურჟუაზიულ კონტრრევოლუციასთან მოითხოვს სიფხიზლეს და უნარს — დაინახო და ილაპარაკო ის, რაც არის.

ბონაპარტიზმი რუსეთში არის არა შემთხვევითი რამ, არამედ იგი ბუნებრივი პროდუქტია კლასობრივი ბრძოლის განვითარებისა წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში, სადაც მნიშვნელოვნად განვითარებულია კაპიტალიზმი და არსებობს რევოლუციური პროლეტარიატი. ისეთი ისტორიული ეტაპები, როგორიცაა 20—21 აპრილი, 6 მაისი, 9 — 10 ივნისი, 18 — 19 ივნისი, 3—5 ივლისი, ნიშანსვეტებია, რომლებიც ნათლად გვიჩვენებენ, თუ როგორ მიმდინარეობდა ბონაპარტიზმის მომზადება. უდიდესი შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს ბონაპარტიზმს გამორიცხავს დემოკრატიული ვითარება. პირიქით, იგი სწორედ ასეთ ვითარებაში ჩნდება (საფრანგეთის ისტორიამ ეს ორჯერ დაადასტურა) კლასებისა და მათი ბრძოლის გარკვეული ურთიერთდამოკიდებულების დროს.

მაგრამ ბონაპარტიზმის გარდუვალობის აღიარება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ დაივიწყო მისი კრახის გარდუვალობა.

თუ ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ რუსეთში კონტრრევოლუციის დროებითს გამარჯვებას ვხედავთო, ეს ფუჭი ლაპარაკი იქნება.

თუ ჩვენ ანალიზს გავუკეთებთ ბონაპარტიზმის წარმოშობას, უშიშრად შევხედავთ სინამდვილეს და ვეტყვით მუშათა კლასსა და მთელ ხალხს, რომ ბონაპარტიზმის დასაწყისი ფაქტია, — ჩვენ ამით დასაბამს მივცემთ სერიოზულ და შეუპოვარ, ფართო პოლიტიკური მასშტაბით წარმოებულ, ღრმა კლასობრივ ინტერესებზე დაყრდნობილ ბრძოლას ბონაპარტიზმის დამხობისათვის.

1799 და 1849 წლების ფრანგული ბონაპარტიზმის დასაწყისიდან 1917 წლის რუსული ბონაპარტიზმი განსხვავდება მთელი რიგი პირობებით, მაგალითად, იმით, რომ რევოლუციის არც ერთი ძირითადი ამოცანა არ არის გადაწყვეტილი. ბრძოლა მიწისა და ეროვნული საკითხის გადაწყვეტისათვის მხოლოდ ახლა ჩაღდება.

კერენსკის და კონტრრევოლუციურ კადეტებს, რომლებიც მას პაიკივით ათამაშებენ, არც დამფუძნებელი კრების მოწვევა შეუძლიათ დანიშნულ ვადაზე, არც მისი მოწვევის გადადება ისე, რომ ორივე შემთხვევაში არ გაალრმავონ რევოლუცია. ხოლო კატასტროფა, რასაც იმპერიალისტური ომის გაჭიანურება წარმოშობს, წინანდელზე კიდევ უფრო მეტი სიძლიერითა და სისწრაფით გვიახლოვდება.

რუსეთის პროლეტარიატის მოწინავე რაზმებმა შესძლეს ჩვენი ივნისისა და ივლისის დღეებიდან ისე გამოსულიყვნენ, რომ მასობრივად არ დაცლილან სისხლისაგან. პროლეტარიატის პარტიას სრული შესაძლებლობა აქვს აირჩიოს ისეთი ტაქტიკა და ორგანიზაციის ისეთი ფორმა თუ ფორმები, რომ ბონაპარტისტების მხრივ უეცარმა (ვითომდა უეცარმა) დევნამ ვერავითარ შემთხვევაში, ვერ შესძლოს ამ პარტიის არსებობის შეწყვეტა და მისი სისტემატური მიმართვა ხალხისადმი თავისი სიტყვით.

დაე პარტიამ ცხადად და ხმამაღლა უთხრას ხალხს სიმართლე შეუკვეცავად, რომ ჩვენ ბონაპარტიზმის დასაწყისს განვიცდით; რომ კერენსკის, ავქსენტიევისა და კომპანიის «ახალი» მთავრობა არის მხოლოდ ფარდა, რათა დაფარულ იქნან კონტრრევოლუციური კადეტები და სამხედრო ხროვა, რომელთაც ხელთ აქვთ ძალაუფლება; რომ ხალხი ვერ მიიღებს ზავს, გლეხები ვერ მიიღებენ მიწას, მუშები ვერ მიიღებენ 8 საათის სამუშაო დღეს, დამშეულნი ვერ მიიღებენ პურს, თუ არ მოხდება კონტრრევოლუციის სრული ლიკვიდაცია, — დაე პარტიამ თქვას ეს, და მოვლენათა განვითარების ყოველი ნაბიჯი დაადასტურებს მის სიმართლეს.

რუსეთმა შესანიშნავი სისწრაფით გამოიარა მთელი ეპოქა, როდესაც ხალხის უმრავლესობა მიენდო ესერებისა და მენშევიკების წვრილბურჟუაზიულ პარტიებს. და ახლა უკვე იწყება მშრომელთა მასების უმრავლესობის სასტიკი განკითხვა ამ მინდობისათვის.

ყველა ნიშანი მოწმობს, რომ მოვლენათა მსვლელობა უაღრესად დაჩქარებული ტემპით ხდება, და ქვეყანა უახლოვდება

შემდგომ ეპოქას, როდესაც მშრომელთა უმრავლესობა იძულებული იქნება მიანდოს თავისი ბედი რევოლუციურ პროლეტარიატს. რევოლუციური პროლეტარიატი ხელთ აიღებს ძალაუფლებას, დაიწყებს სოციალისტურ რევოლუციას, ჩააბამს მასში — ყველა სიძნელისა და განვითარების შესაძლო ზიგზაგების მიუხედავად — ყველა მოწინავე ქვეყნის პროლეტარებს და დაამარცხებს ომსაც და კაპიტალიზმსაც.

«რაბოჩი ი სოლდატ» № 6,
1917 წ. 29 ივლისი

იბეჭდება
გაზეთ «რაბოჩი ი სოლდატის»
ტექსტის მიხედვით

რევოლუციის გაკვეთილები

დაწერილია: სტატია — 1917 წლის ივლისის დამლევს, ბოლოსიტყვაობა — 6 (19) სექტემბერს

დაიბეჭდა: სტატია — 1917 წლის 12 და 13 სექტემბერს (30 და 31 აგვისტოს) გაზეთში «რაბოჩი», №№ 8 და 9

ხელმოწერა: № 8-ში — ნ — კ ო ვ ი, № 9-ში — ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ბოლოსიტყვაობა — 1917 წელს ბროშურაში: ნ. ლენინი. «რევოლუციის გაკვეთილები», გამომცემლობა «პრიბოი»

დაბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

ყოველი რევოლუცია ნიშნავს მძაფრ გარდატეხას ხალხის დიდი მასების ცხოვრებაში. თუ ასეთი გარდატეხა არ მომწიფებულა, ისე ნამდვილი რევოლუცია არ შეიძლება მოხდეს. და როგორც ყოველი გარდატეხა ყოველი კაცის ცხოვრებაში ბევრ რამეს ასწავლის მას, აიძულებს ბევრი რამ გადაიტანოს და განიცადოს, ისე რევოლუციაც მთელ ხალხს მოკლე ხანში აძლევს მეტად შინაარსიან და ძვირფას გაკვეთილებს.

რევოლუციის განმავლობაში მილიონობით და ათეული მილიონობით ადამიანი სწავლობს ყოველ კვირას იმაზე მეტს, ვიდრე წლის ჩვეულებრივი, მთვლემარე ცხოვრების მანძილზე, ვინაიდან მთელი ხალხის ცხოვრების მძაფრი გარდატეხისას განსაკუთრებით ნათლად ჩანს, ხალხის რა კლასები ისახავენ ამა თუ იმ მიზანს, რა ძალა აქვთ მათ, რა საშუალებებით მოქმედებენ ისინი.

ყოველი შეგნებული მუშა, ჯარისკაცი, გლეხი ყურადღებით უნდა ჩაუფიქრდეს რუსეთის რევოლუციის გაკვეთილებს, მეტადრე ახლა, ივლისის დამლევს, როდესაც უკვე ნათლად ჩანს, რომ ჩვენი რევოლუციის პირველი ხანა მარცხით დამთავრდა.

I

მართლაც, ვნახოთ, რის მიღწევას ცდილობდნენ მუშათა და გლეხთა მასები, რევოლუციას რომ ახდენდნენ? რას მოელოდნენ ისინი რევოლუციისაგან? ცნობილია, რომ ისინი მოელოდნენ თავისუფლებას, ზავს, პურს, მიწას.

რას ვხედავთ ჩვენ ახლა?

თავისუფლების ნაცვლად იწყებენ წინანდელი თვითნებობის აღდგენას. აწესებენ სიკვდილით დასჯას ჯარისკაცებისათვის ფრონტზე, სამართალში აძლევენ გლეხებს მემამულის მიწის თვითნებურად ხელში ჩაგდებისათვის. არბევენ მუშათა გაზეთების სტამბებს. სასამართლოს გვერდს უქცევენ და ხურავენ მუშათა გაზეთებს. აპატიმრებენ ბოლშევიკებს ისე. რომ ხშირად არც კი წაუყენებენ ხოლმე მათ რაიმე ბრალდებას, ან წაუყენებენ აშკარად ცილისმწამებლურ ბრალდებას.

შესაძლოა გვიპასუხონ, ბოლშევიკების დევნა თავისუფლების დარღვევას არ წარმოადგენს, ვინაიდან სდევნიან მხოლოდ გარკვეულ პირებს გარკვეული ბრალდებისთვისაო. მაგრამ ეს პასუხი შეგნებული და აშკარა სიცრუეა, ვინაიდან როგორ შეიძლება დაარბიო სტამბა და დახურო გაზეთები ცალკეულ პირთა დანაშაულისათვის, ეს ბრალდება კიდევაც რომ დაამტკიცოს და სცნოს სასამართლომ. სხვა საქმეა, მთავრობამ კანონით რომ დანაშაულებრივად აღიაროს ბოლშევიკების მთელი პარტია, თვით მათი მიმართულება, მათი შეხედულებანი. მაგრამ ყველამ იცის, რომ თავისუფალი რუსეთის მთავრობას არაფერი მსგავსი რამ არ შეეძლო ექნა და არც უქნია.

ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებათა ცილისმწამებლური ხასიათის მთავარი მხილება იმაში მდგომარეობს, რომ მემამულეთა და კაპიტალისტთა გაზეთები გაშმაგებით აგინებდნენ ბოლშევიკებს მათი ბრძოლისათვის ომის წინააღმდეგ, მემამულეების წინააღმდეგ და კაპიტალისტების წინააღმდეგ, და აშკარად მოითხოვდნენ ბოლშევიკების დაპატიმრებასა და დევნას ჯერ კიდევ მაშინ, როცა არც ერთი ბრალდება არც ერთი ბოლშევიკის წინააღმდეგ ჯერ კიდევ არ იყო გამოგონილი.

ხალხს სურს ზავი. თავისუფალი რუსეთის რევოლუციურმა მთავრობამ კი კვლავ დაიწყო მტაცებლური ომი, სწორედ იმ საიდუმლო ხელშეკრულებათა საფუძველზე, რომლებიც

ყოფილმა მეფემ ნიკოლოზ II დასდო ინგლისელ და ფრანგ კაპიტალისტებთან რუსი კაპიტალისტების მიერ სხვა ხალხთა გასაძარცვავად. ეს საიდუმლო ხელშეკრულებანი ისევ გამოუქვეყნებელი დარჩა. თავისუფალი რუსეთის მთავრობამ თავი დაიძვრინა სხვადასხვა მომიზეზებით და არ იქნა და არ შესთავაზა სამართლიანი ზავი ყველა ხალხს.

პური არ არის. შიმშილი კვლავ ახლოვდება. ყველა ხედავს, რომ კაპიტალისტები და მდიდრები უსინდისოდ ატყუებენ ხაზინას ომისათვის საჭირო მასალის მიწოდებაზე (ომი ახლა ხალხს 50 მილიონი მანეთი უჯდება ყოველდღე), იძენენ გაუგონარ მოგებას მაღალი ფასების წყალობით, ხოლო პროდუქტთა წარმოების სერიოზული აღრიცხვისა და მუშების მიერ მათი განაწილებისათვის სრულიად არაფერი გაკეთებულა. კაპიტალისტები უფრო და უფრო თავხედდებიან, ქუჩაში ჰყრიან მუშებს, — და ეს იმ დროს, როდესაც ხალხი გაჭირვებას განიცდის უსაქონლობის გამო.

გლეხთა დიდმა უმრავლესობამ ხმამაღლა და აშკარად განაცხადა მთელ რიგ ყრილობებზე, რომ მათ მიწის მემამულური საკუთრება უსამართლობად და ძარცვა-გლეჯად მიაჩნიათ. მთავრობა კი, რომელიც თავის თავს რევოლუციურსა და დემოკრატიულს უწოდებს, ისევ თვეობით აპამპულავებს გლეხებს და ატყუებს მათ დაპირებებითა და საქმის გაჭანჭლებით. მინისტრ ჩერნოვს კაპიტალისტები თვეობით არ აძლევდნენ საშუალებას გამოეცა კანონები მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ. ხოლო როცა, ბოლოს, ეს კანონი გამოიცა, კაპიტალისტებმა ჩერნოვის წინააღმდეგ დაიწყეს საზიზღარი ცილისმწამებლური დევნა, რასაც ისინი დღესაც განაგრძობენ. მთავრობა ისეთ თავხედობამდე მივიდა მეშაბულეთა დაცვაში, რომ იწყებს გლეხობის მიცემას სამართალში მიწის «თვითნებურად» ხელში ჩაგდებისათვის.

გლეხებს აპამპულავებენ და არწმუნებენ დაიცადონ დამფუძნებელ კრებამდე. ამ კრების მოწვევას კი კაპიტალისტები სულ აჭიანურებენ. ახლა, როდესაც ეს მოწვევა, ბოლ-

შევიკების მოთხოვნის გავლენით, დანიშნულია 30 სექტემბრისათვის, კაპიტალისტები აშკარად ყვირიან, ეს ყოვლად «შეუძლებელი» მოკლე ვადაო, და მოითხოვენ გადაიდოს დამფუძნებელი კრების მოწვევა... კაპიტალისტთა და მემამულეთა პარტიის, «კადეტების» პარტიის ანუ «ხალხის თავისუფლების» პარტიის ყველაზე გავლენიანი წევრები, მაგალითად, პანინა, პირდაპირ ქადაგებენ დამფუძნებელი კრების მოწვევის გადადებას ომის დამთავრებამდე.

მიწის საკითხში დაიცადე დამფუძნებელ კრებამდე. დამფუძნებელი კრების მოწვევას დაუცადე ომის დამთავრებამდე. ომის დამთავრებას დაუცადე სრულ გამარჯვებამდე. აი რა გამოდის. გლეხებს პირდაპირ დასცინიან კაპიტალისტები და მემამულეები, რომლებსაც თავიანთი უმრავლესობა ჰყავთ მთავრობაში.

II

მაგრამ როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო თავისუფალ ქვეყანაში, მეფის ძალაუფლების დამხობის შემდეგ?

არათავისუფალ ქვეყანაში ხალხს მართავენ მეფე და მემამულეთა, კაპიტალისტთა, მოხელეთა მცირე რიცხვი, რომლებიც არავის არ აურჩევია.

თავისუფალ ქვეყანაში ხალხს მართავენ მხოლოდ ისინი, ვინც თვით მან აირჩია საამისოდ. არჩევნებისას ხალხი იყოფა პარტიებად, და მოსახლეობის ყოველი კლასი ჩვეულებრივ შეადგენს თავის ცალკეულ პარტიას, მაგალითად, მემამულეები, კაპიტალისტები, გლეხები, მუშები შეადგენენ ცალკეულ პარტიებს. ამიტომ ხალხის მმართველობა თავისუფალ ქვეყნებში ხდება პარტიების აშკარა ბრძოლისა და მათი ურთიერთი თავისუფალი შეთანხმების საშუალებით.

მას შემდეგ, რაც მეფის ძალაუფლება 1917 წლის 27 თებერვალს დაემხო, რუსეთს დაახლოებით 4 თვის განმავლობაში მართავდნენ როგორც თავისუფალ ქვეყანას, სახელდობრ თავისუფლად შექმნილი პარტიების აშკარა ბრძოლისა და მათ შორის თავისუფალი შეთანხმების საშუალებით. მაშასადამე, რუსეთის რევოლუციის განვითარება

რომ გავიგოთ, ყველაზე მეტად აუცილებელია შევისწავლოთ, როგორი იყო მთავარი პარტიები, რა კლასების ინტერესებს იცავდნენ ისინი, როგორი იყო ყველა ამ პარტიის ურთიერთდამოკიდებულება.

III

მეფის ძალაუფლების დამხობის შემდეგ სახელმწიფო ძალაუფლება გადავიდა პირველი დროებითი მთავრობის ხელში. ეს მთავრობა შესდგებოდა ბურჟუაზიის, ე. ი. კაპიტალისტების წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც შეუერთდნენ მემამულეებიც. «კადეტების» პარტია, კაპიტალისტების მთავარი პარტია, პირველ ადგილზე იდგა, როგორც ბურჟუაზიის პარტია, მმართველი და მთავრობის პარტია.

ძალაუფლება ამ პარტიას შემთხვევით არ ჩაუვარდა ხელში, თუმცა მეფის ჯარებს ებრძოდნენ, თავისუფლებისათვის სისხლს ღვრიდნენ, რა თქმა უნდა, არა კაპიტალისტები, არამედ მუშები და გლეხები, მეზღვაურები და ჯარისკაცები. ძალაუფლება კაპიტალისტების პარტიას ხელში ჩაუვარდა იმიტომ, რომ ამ კლასს ხელთ ჰქონდა სიმდიდრის, ორგანიზაციისა და ცოდნის ძალა. 1905 წლიდან გასული დროის მანძილზე და განსაკუთრებით ომის განმავლობაში კაპიტალისტთა და მათთან ახლო მდგომმა მემამულეთა კლასმა რუსეთში ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწია თავისი დარაზმულობის საქმეში.

კადეტების პარტია ყოველთვის მონარქისტული იყო, 1905 წელსაც, 1905-დან 1917 წლამდეც. ხალხის მიერ მეფის ტირანიის დამარცხების შემდეგ ამ პარტიამ თავისი თავი რესპუბლიკურ პარტიად გამოაცხადა. ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კაპიტალისტების პარტიები, როდესაც ხალხი ამარცხებდა მონარქიას, ყოველთვის ცდილობდნენ ყოფილიყვნენ რესპუბლიკური პარტიები, ოღონდ დაეცვათ კაპიტალისტების პრივილეგიები და მათი სრული ბატონობა ხალხზე.

სიტყვიერად კადეტების პარტია «ხალხის თავისუფლების» მომხრეა, ნამდვილად კი იგი მხარს უჭერს კაპიტალისტებს, და მის მხარეზე დაუყოვნებლივ დადგა ყველა მემამულე, ყველა მონარქისტი, ყველა შავრაზმელი. ამის დამამტკიცებელი საბუთია პრესა და არჩევნები. ყველა ბურჟუაზიული გაზეთი და მთელი შავრაზმული პრესა რევოლუციის შემდეგ კადეტების ჰანგზე ამღერდა. ყველა მონარქისტული პარტია, რომელიც ვერ ბედავდა აშკარად გამოსვლას, მხარს უჭერდა არჩევნებში, მაგალითად, პეტროგრადში, კადეტების პარტიას.

მთავრობის ძალაუფლება რომ მიიღეს, კადეტებმა მთელი ძალ-ღონე წარმართეს იქით, რომ განეგრძოთ მტაცებლურ-მძარცველური ომი, დაწყებული მეფე ნიკოლოზ II მიერ, რომელსაც საიდუმლო მძარცველური ხელშეკრულებანი ჰქონდა დადებული ინგლისელ და ფრანგ კაპიტალისტებთან. ამ ხელშეკრულებათა მიხედვით, რუს კაპიტალისტებს შეჰპირდნენ, რომ, გამარჯვების შემთხვევაში, მათ ხელთ ჩაუგდებდნენ კონსტანტინოპოლსაც, გალიციასაც, სომხეთსაც და ა. შ.. ხალხს კი კადეტების მთავრობა უმასპინძლებოდა ფუჭი ლათაიებითა და დაპირებებით, აჭიანურებდა ყველა დიდმნიშვნელოვან, მუშებისა და გლეხებისათვის აუცილებელ საქმეთა გადაწყვეტას დამფუძნებელ კრებამდე და არ ნიშნავდა მისი მოწვევის ვადას.

ხალხმა ისარგებლა თავისუფლებით და დაიწყო დამოუკიდებლად დარაზმვა. მთავარი ორგანიზაცია მუშებისა და გლეხებისა, რომლებიც შეადგენენ რუსეთის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას, იყო მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები. ამ საბჭოების შექმნა უკვე თებერვლის რევოლუციის დროს დაიწყო, და ამ რევოლუციის რამდენიმე კვირის შემდეგ რუსეთის დიდი ქალაქების უმრავლესობაში და ბევრ მაზრაში მუშათა კლასისა და გლეხობის ყველა შეგნებული, მოწინავე ადამიანი გაერთიანებული იყო საბჭოების მიერ.

საბჭოებს საკუთარი თავისუფლად ირჩევდნენ. საბჭოები ხალხის მასების, მუშებისა და გლეხების ნამდვილ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ. საბჭოები ხალხის უდიდესი უმრავლესობის ნამდვილი ორგანიზაციები იყო. მუშები და გლეხები, სამხედრო ფორმით გამოწყობილნი, შეიარაღებული იყვნენ.

თავისთავად გასაგებია, რომ საბჭოებს შეეძლოთ და კიდევაც უნდა აეღოთ თავიანთ ხელში მთელი სახელმწიფო ძალაუფლება. არავითარი სხვა ხელისუფლება სახელმწიფოში, დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, გარდა საბჭოებისა, არ უნდა ყოფილიყო. მხოლოდ მაშინ გახდებოდა ჩვენი რევოლუცია ნამდვილად სახალხო, ნამდვილად დემოკრატიული რევოლუცია. მხოლოდ მაშინ შესძლებდნენ მშრომელი მასები, რომლებიც მართლაც ცდილობდნენ ზავის მიღწევას, რომლებიც მართლაც არ არიან დაინტერესებულნი მტაცებლური ომით, გადაჭრით და მტკიცედ დაეწყოთ ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც ბოლოს მოუღებდა მტაცებლურ ომსაც და ზავსაც განახორციელებდა. მხოლოდ მაშინ შესძლებდნენ მუშები და გლეხები აელაგმათ კაპიტალისტები, რომლებიც უამრავ ფულს იჯიბავენ «ომის წყალობით» და რომლებმაც ქვეყანა ნგრევამდე და შიმშილამდე მიიყვანეს. მაგრამ საბჭოებში დეპუტატების ნაკლები ნაწილი იყო რევოლუციური მუშების პარტიის, სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკების მხარეზე, რომლებიც მოითხოვდნენ მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადაცემას საბჭოების ხელში. დეპუტატების მეტი ნაწილი კი საბჭოებში ემხრობოდა სოციალ-დემოკრატი მენშევიკებისა და ესერების პარტიებს, რომლებიც საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემის წინააღმდეგი იყვნენ. ბურჟუაზიის მთავრობის ჩამოცილებისა და საბჭოების მთავრობით მისი შეცვლის ნაცვლად ეს პარტიები მხარს უჭერდნენ ბურჟუაზიის მთავრობას და მასთან შეთანხმებას, მასთან ერთად საერთო მთავრობის შედგენას. ბურჟუაზიასთან შეთანხმების ეს პოლიტიკა იმ პარტიებისა, რომლებსაც ენდობოდა ხალხის

უმრავლესობა, ესერებისა და მენშევიკების პარტიების პოლიტიკა შეადგენს რევოლუციის განვითარების მთელი მსვლელობის მთავარ შინაარსს მთელი ხუთი თვის მანძილზე, რამაც განვლო რევოლუციის დასაწყისიდან.

IV

ვნახოთ უწინარეს ყოვლისა, თუ როგორ მიმდინარეობდა ესერებისა და მენშევიკების ეს შემთანხმებლობა ბურჟუაზიასთან, ხოლო შემდეგ მოვუძებნოთ ახსნა იმ გარემოებას, რომ ხალხის უმრავლესობა მათ მიენდო.

V

მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლობა კაპიტალისტებთან ხდებოდა რუსეთის რევოლუციის ყველა პერიოდის განმავლობაში ხან ერთი, ხან მეორე ფორმით.

1917 წლის თებერვლის მიწურულს, როგორც კი ხალხმა გაიმარჯვა და მეფის ხელისუფლება დამხობილი აღმოჩნდა, კაპიტალისტების დროებითმა მთავრობამ თავის შემადგენლობაში მოაქცია კერენსკი, როგორც «სოციალისტი». ნამდვილად კი კერენსკი არასოდეს არ ყოფილა სოციალისტი, იყო მხოლოდ ტრუდოვიკი, «სოციალისტ-რევოლუციონერად» კი ის ირიცხება მხოლოდ 1917 წლის მარტიდან, როცა ეს უკვე არ იყო სახიფათო და ხელსაყრელიც კი იყო. კერენსკის, როგორც პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგის, მეშვეობით კაპიტალისტების დროებითმა მთავრობამ მაშინვე სცადა მოენადირებინა და მოეთვინიერებინა საბჭო. საბჭომ, ე. ი. მასში გაბატონებულმა ესერებმა და მენშევიკებმა, მოათვინიერებინა თავი, როცა საბჭო კაპიტალისტების დროებითი მთავრობის შედგენის უმალვე დათანხმდა «მხარი დაეჭირა მისთვის», «რამდენადაც» იგი ასრულებს თავის დაპირებებსაო.

საბჭო თავის თავს თვლიდა დროებითი მთავრობის მოქმედების შემმოწმებლად, კონტროლის გამწევად. საბჭოს ბელადებმა

შექმნეს ეგრეთწოდებული «საკონტაქტო კომისია», ე. ი. კომისია მთავრობასთან კონტაქტის, ურთიერთობის დასაჭერად [69]. ამ საკონტაქტო კომისიაში საბჭოს ესერი და მენშევიკი ბელადები მუდმივ აწარმოებდნენ მოლაპარაკებას კაპიტალისტების მთავრობასთან და, ნამდვილად რომ ითქვას, იყვნენ უპორტფელო მინისტრების ან არაოფიციალური მინისტრების მდგომარეობაში.

მთელ მარტს და თითქმის მთელ აპრილს გრძელდებოდა ასეთი მდგომარეობა. კაპიტალისტები საქმეს აჭიანურებდნენ, ხრიკებს მიმართავდნენ და ცდილობდნენ დრო მოეგოთ. არც ერთი, რევოლუციის გასავითარებლად რამდენადმე მაინც სერიოზული ნაბიჯი არ გადაუდგამს კაპიტალისტების მთავრობას ამ ხნის განმავლობაში. თავისი პირდაპირი, უშუალო ამოცანისთვისაც კი, დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის, მთავრობას სრულიად არაფერი არ გაუკეთებია, საკითხი ადგილებზე არ გადაუცია, საკითხის მოსამზადებლად ცენტრალური კომისიაც კი არ დაუარსებია. მთავრობა ერთ რამეზე ზრუნავდა: განეახლებინა ფარულად ის მძარცველური საერთაშორისო ხელშეკრულებანი, რომლებიც მეფემ დასდო ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტებთან, რაც შეიძლებოდა უფრო ფრთხილად და უფრო შეუმჩნევლად შეეფერხებინა რევოლუცია, ყოველგვარი დაპირება მოეცა, არაფერი არ შეესრულებინა. ესერები და მენშევიკები «საკონტაქტო კომისიაში» თამაშობდნენ ჩერჩეტების როლს, რომლებსაც უმასპინძლდებოდნენ მაღალფარდოვანი ფრაზებით, დაპირებებით, «დღეს-ხვალეობით». ესერები და მენშევიკები, როგორც ყვავი ცნობილ იგავში, პირფერობას ემორჩილებოდნენ, სიამოვნებით ისმენდნენ კაპიტალისტების რწმუნებას, ჩვენ დიდად ვაფასებთ საბჭოებს და ერთ ნაბიჯსაც კი არა ვდგამთ უსაბჭოებოდაო.

სინამდვილეში კი დრო მიდიოდა, და კაპიტალისტების მთავრობას სრულიად არაფერი არ გაუკეთებია რევოლუციისათვის. რევოლუციის წინააღმდეგ კი მან მოასწრო ამ ხნის განმავლობაში განეახლებინა საიდუმლო მძარცველური ხელ-

შეკრულებანი, უფრო სწორად — დაედასტურებინა და «გაეცოცხლებინა» ეს ხელშეკრულებანი დამატებითი ესოდენვე საიდუმლო მოლაპარაკებით ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის დიპლომატებთან. რევოლუციის წინააღმდეგ მან მოასწრო ამ ხნის განმავლობაში საფუძველი ჩაეყარა მოქმედი არმიის გენერლებისა და ოფიცრების კონტრრევოლუციური ორგანიზაციისათვის (ან, ყოველ შემთხვევაში, მათი ურთიერთდაახლოებისათვის). რევოლუციის წინააღმდეგ მან მოასწრო დაეწყო მრეწველების, მეფაბრიკეების, მექარხნეების ორგანიზაცია, რომლებიც იძულებული იყვნენ დათმობიდან დათმობაზე წასულიყვნენ მუშების შეტევის შედეგად, მაგრამ ამავე დროს იწყებდნენ წარმოების საბოტაჟს (გაფუჭებას), მისი შეჩერების მომზადებას და საამისოდ უცდიდნენ მარჯვე მომენტს.

მაგრამ მოწინავე მუშებისა და გლეხების ორგანიზება საბჭოებში განუხრელად მიდიოდა წინ. ჩაგრული კლასების საუკეთესო ადამიანები გრძნობდნენ, რომ მთავრობა, მიუხედავად მისი შეთანხმებისა პეტროგრადის საბჭოსთან, მიუხედავად კერენსკის ენაწყლიანობისა, მიუხედავად «საკონტაქტო კომისიისა», რჩება ხალხის მტრად, რევოლუციის მტრად. მასები გრძნობდნენ, რომ თუ არ გატეხდნენ კაპიტალისტების წინააღმდეგობას, ზავის საქმე, თავისუფლების საქმე, რევოლუციის საქმე გარდუვალად იქნებოდა წაგებული. მასებში მოუთმენლობა და გაბოროტება იზრდებოდა.

VI

ამან თავი იჩინა 20 — 21 აპრილს. მოძრაობამ სტიქიურად იფეთქა, იგი არავის არ მოუმზადებია. მოძრაობა იმდენად მკვეთრად იყო მიმართული მთავრობის წინააღმდეგ, რომ ერთი პოლკი შეიარაღებულიც კი გამოვიდა და გამოცხადდა მარინეს სასახლესთან, რათა დაეპატიმრებინა მინისტრები. ყველასათვის ცხადზე უცხადესი გახდა, რომ მთავრობა ვერ გასძლებდა. საბჭოებს შეეძლოთ და (კიდევაც უნდა) აეღოთ ძალაუფლება თავიანთ ხელში და სულ მცირედს წინააღმდე-

გობასაც ვერავინ გაუწევდა. ამის ნაცვლად ესერებმა და მენშევიკებმა მხარი დაუჭირეს კაპიტალისტების მთავრობას, რომელიც ეცემოდა, კიდევ უფრო მეტად შეიბოჭეს თავი მასთან შემთანხმებლობით, გადადგეს კიდევ უფრო საბედისწერო, რევოლუციის დაღუპვის გამომწვევი ნაბიჯები.

რევოლუცია ყველა კლასს წვრთნის ისეთი სისწრაფითა და საფუძვლიანობით, რომ ეს წარმოუდგენელია ჩვეულებრივ, მშვიდობიან დროს. კაპიტალისტები, საუკეთესოდ ორგანიზებულნი, კლასობრივი ბრძოლისა და პოლიტიკის საკითხებში ყველაზე უფრო გამოცდილნი, სხვებზე უფრო სწრაფად გაიწვრთნენ. რაკი დაინახეს, რომ მთავრობის მდგომარეობა უიმედოა, მათ მიმართეს ხერხს, რომელსაც 1848 წლის შემდეგ მთელი რიგი ათეული წლების განმავლობაში იყენებდნენ ყველა ქვეყნის კაპიტალისტები მუშების გასაბრიყვებლად, დასაქსაქსავად და დასაუძლურებლად. ეს ხერხია ეგრეთწოდებული «კოალიციური» სამინისტრო, ე. ი. შეერთებული, ბურჟუაზიისაგან და სოციალიზმის გამცემლებისაგან შედგენილი, საერთო სამინისტრო.

იმ ქვეყნებში, სადაც უფრო მეტ ხანს არსებობს თავისუფლება და დემოკრატია რევოლუციურ მუშათა მოძრაობასთან ერთად, ინგლისსა და საფრანგეთში, კაპიტალისტებს ბევრჯერ და დიდი წარმატებით უხმარიათ ეს ხერხი. «სოციალისტი» ბელადები, რომლებიც შედიოდნენ ბურჟუაზიის სამინისტროში, უსათუოდ აღმოჩენილან ყალბ ფიგურებად, თოჯინებად, ფარდად კაპიტალისტებისათვის, მუშების მოტყუების იარაღად. რუსეთის «დემოკრატიულმა და რესპუბლიკურმა» კაპიტალისტებმა სწორედ ეს ხერხი მოიშველიეს. ესერებმა და მენშევიკებმა ერთბაშად გააბრიყვებინეს თავი, და 6 მაისს «კოალიციური» სამინისტრო ჩერნოვის, წერეთლისა და კომპანიის მონაწილეობით ფაქტი გახდა.

ესერული და მენშევიკური პარტიების ჩერჩეტები ზეიმობდნენ, თავშეყვარებულნი ლივლივებდნენ თავიანთი ბელადების მინისტრული დიდების სხივებში. კაპიტალისტები ხელებს იფშვნეტდნენ კმაყოფილებისაგან, რაკი მათ მიიღეს თანაშემ-

წენი ხალხის წინააღმდეგ «საბჭოების ბელადების» სახით, რაკი მიიღეს მათგან დაპირება — მხარს დაუჭერდნენ «შეტევითს მოქმედებას ფრონტზე», ე. ი. თითქმის შეჩერებული იმპერიალისტური, მძარცველური ომის განახლებას. კაპიტალისტებმა იცოდნენ ამ ბელადების მთელი გაბერილი უძლურება, იცოდნენ, რომ ბურჟუაზიის დაპირებანი — წარმოების კონტროლისა და ორგანიზაციის შესახებაც კი, ზავის პოლიტიკის შესახებ და სხვ. — არასოდეს არ იქნებოდა შესრულებული.

ასეც გამოდგა. რევოლუციის განვითარების მეორე ხანამ, 6 მაისიდან 9 ან 18 ივნისამდე, სავსებით დაადასტურა კაპიტალისტების ვარაუდი, თუ რა ადვილი იყო ესერებისა და მენშევიკების გაბრიყვება.

ვიდრე პეშეხონოვი და სკობელევი თავს იტყუებდნენ და ხალხსაც ატყუებდნენ მაღალფარდოვანი ფრაზებით, კაპიტალისტებისაგან ავიღებთ 100% მოგებას, მათი «წინააღმდეგობა გატეხილიაო» და სხვ., — კაპიტალისტები განაგრძობდნენ განმტკიცებას. ამ ხნის მანძილზე სინამდვილეში არაფერი, სრულიად არაფერი არ ყოფილა გაკეთებული კაპიტალისტების ძალაგმავად. სოციალიზმის მოღალატე მინისტრები სალაყბო მანქანები აღმოჩნდნენ ჩაგრული კლასებისათვის თვალის ასახვევად, ხოლო სახელმწიფო მმართველობის მთელი აპარატი ნამდვილად ბიუროკრატიისა (მოხელეობისა) და ბურჟუაზიის ხელში რჩებოდა. ყბადაღებული პალჩინსკი, მრეწველობის მინისტრის ამხანაგი, ამ აპარატის ტიპიური წარმომადგენელი იყო, რომელიც აფერხებდა კაპიტალისტების წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ ღონისძიებას. მინისტრები ლაყბობდნენ — ყველაფერი ძველებურად რჩებოდა.

მინისტრ წერეთელს განსაკუთრებით იყენებდა ბურჟუაზია რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. მას გზავნიდნენ კრონშტადტის «დასამშვიდებლად», როდესაც იქაური რევოლუციონერები ისეთ კადნიერებამდე მივიდნენ, რომ გაბედეს, გადაეყენებინათ დანიშნული კომისარი. ბურჟუაზიამ თავის გაზეთებში დაიწყო სიცრუის, ცილისწამების, წასისია-

ნების უაღრესად მყვირალა, ღვარძლიანი, გაცოფებული კამპანია კრონშტადტის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად სდებდა «რუსეთისაგან გამოცალკევების» სურვილს, ათასნაირ ყაიდაზე იმეორებდა ამ და მსგავს სისულელეებს, აშინებდა წვრილ ბურჟუაზიასა და ფილისტერებს. გონებაჩლუნგი, დამფრთხალი ფილისტერობის ყოვლად ტიპიური წარმომადგენელი, წერეთელი ყველაზე «კეთილსინდისიერად» ეგებოდა ბურჟუაზიული წასისიანების ანკესზე, ყველაზე გულმოდგინედ «ანადგურებდა და ამშვიდებდა» კრონშტადტს, ამასთან არ ესმოდა თავისი, როგორც კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ლაქიის, როლი. ისე გამოდიოდა, რომ ის იყო რევოლუციურ კრონშტადტთან ისეთი «შეთანხმების» გატარების იარაღი, რომ კომისარს კრონშტადტში პირდაპირ კი არ ნიშნავდა მთავრობა, არამედ მას ირჩევდნენ ადგილობრივ და ა მ ტ კ იც ე ბ დ ა მთავრობა. ამგვარ საცოდავ კომპრომისებს ანდომებდნენ თავიანთ დროს მინისტრები, რომლებმაც სოციალიზმიდან ბურჟუაზიისაკენ გადაირბინეს.

იქ, სადაც ვერ გამოჩნდებოდა ბურჟუა-მინისტრი მთავრობის დასაცავად, რევოლუციური მუშების წინაშე ან საბჭოებში, იქ გამოჩნდებოდა (უფრო სწორედ: იქ ბურჟუაზიის მიერ იგზავნებოდა) «სოციალისტი» მინისტრი სკობელევი, წერეთელი, ჩერნოვი და სხვ. და კეთილსინდისიერად ასრულებდა ბურჟუაზიულ საქმეს, წელებზე ფეხს იდგამდა და იცავდა სამინისტროს, ათეთრებდა კაპიტალისტებს, აბრიყვებდა ხალხს დაპირებით, დაპირებით და ისევ დაპირებით, რჩევით — დაეცადათ, დაეცადათ და დაეცადათ.

მინისტრი ჩერნოვი განსაკუთრებით გართული იყო თავის ბურჟუაზიულ კოლეგებთან ვაჭრობით: თვით ივლისამდე, ხელისუფლების ახალ «კრიზისამდე», რაც მაშინ, 3 — 4 ივლისის მოძრაობის შემდეგ, გამოაშკარავდა, კადეტების წასვლამდე სამინისტროდან, მინისტრი ჩერნოვი სულ მუდამ გართული იყო სასარგებლო, საინტერესო, უღრმესი სახალხო საქმით — თავისი ბურჟუაზიული კოლეგების «დაჯერებით», მათი სინდისში ჩაგდებით — დათანხმებულიყვნენ მიწის ყოდვა-

გაყიდვის აკრძალვას მაინც. ეს აკრძალვა უდიდესი ზეიმით აღუთქვეს მასებს გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის ყრილობაზე (საბჭოზე) პიტერში. მაგრამ აღთქმა მხოლოდ აღთქმად დარჩა. ჩერნოვმა ვერა და ვერ შესძლო მისი შესრულება ვერც მაისში, ვერც ივნისში, მანამდე, სანამ 3 — 4 ივლისის სტიქიური აზვირთების რევოლუციურმა ტალღამ, რაც დაემთხვა კადეტების წასვლას სამინისტროდან, შესაძლებელი არ გახადა გაეტარებინათ ეს ღონისძიება. მაგრამ მაშინაც ეს ღონისძიება ცალკეული, უძლური აღმოჩნდა შეეტანა სერიოზული გაუმჯობესებანი მემამულეთა წინააღმდეგ გლეხობის ბრძოლის საქმეში მიწის მოსაპოვებლად.

ფრონტზე ამ დროს იმპერიალისტური, მძარცველური ომის განახლების კონტრრევოლუციურ, იმპერიალისტურ ამოცანას, იმ ამოცანას, რომლის შესრულებაც ვერ შესძლო ხალხის საძულველმა გუჩკოვმა, წარმატებით და ბრწყინვალედ ასრულებდა «რევოლუციური დემოკრატი» კერენსკი, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ახლად გამოცხობილი წევრი. ის სტკბებოდა თავისი მჭევრმეტყველებით, მას გუნდრუკს უკმევდნენ იმპერიალისტები, რომლებიც პაიკსავით ათამაშებდნენ მას, აქებდნენ, ალმერთებდნენ — სულ იმისათვის, რომ ის რწმენითა და ალალმართლობით ემსახურებოდა კაპიტალისტებს, არწმუნებდა «რევოლუციურ ჯარებს» დათანხმებულიყვნენ განეახლებინათ ომი, რომელიც მეფე ნიკოლოზ II მიერ ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტებთან დადებულ ხელშეკრულებათა შესასრულებლად წარმოებდა, განეახლებინათ ომი რუსი კაპიტალისტების მიერ კონსტანტინეპოლისა და ლვოვის, არზრუმისა და ტრაპიზონის მისაღებად.

ასე განვლო რუსეთის რევოლუციის მეორე ხანამ 6 მაისიდან 9 ივნისამდე. კონტრრევოლუციური ბურჟუაზია გაძლიერდა, განმტკიცდა «სოციალისტი» მინისტრების საფარველქვეშ და მათი დაცვით; მან მოამზადა შეტევა გარეშე მტრის წინააღმდეგაც და შინაური მტრის, ე. ი. რევოლუციური მუშების წინააღმდეგაც.

VII

9 ივნისს რევოლუციური მუშების, ბოლშევიკების პარტია ამზადებდა დემონსტრაციას პიტერში, რათა ორგანიზებული გამოხატულება მიეცა მასების უკმაყოფილებისა და აღშფოთებისათვის, რაც შეუკავებლად იზრდებოდა. ესერებისა და მენშევიკების ბელადები, ბურჟუაზიასთან შეთანხმებით გახლართულნი, შეტევის იმპერიალისტური პოლიტიკით შებოჭილნი, შეძრწუნდნენ, რაკი გრძნობდნენ თავიანთი გავლენის დაკარგვას მასებში. ატყდა საყოველთაო ღმუილი დემონსტრაციის წინააღმდეგ, ღმუილი, რომელმაც ამჯერად გააერთიანა კონტრრევოლუციური კადეტები ესერებთან და მენშევიკებთან. მათი ხელმძღვანელობით, კაპიტალისტებთან მათი შემთანხმებლობის პოლიტიკის შედეგად, წვრილბურჟუაზიული მასების შებრუნება კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასთან კავშირისაკენ სავსებით გამოირკვა, გასაოცარი სიცხადით წარმოგვიდგა. ამაშია 9 ივნისის კრიზისის ისტორიული მნიშვნელობა, ამაშია მისი კლასობრივი აზრი.

ბოლშევიკებმა გადასდეს დემონსტრაცია, რადგან მათ სრულიადაც არ სურდათ ამჟამად ჩაებათ მუშები თავგანწირულ ბრძოლაში გაერთიანებული კადეტების, ესერებისა და მენშევიკების წინააღმდეგ. მაგრამ ეს უკანასკნელნი, რათა შეენარჩუნებინათ მასების ნდობის თუნდაც რაიმე ნაშთი, იძულებული იყვნენ დაენიშნათ საერთო დემონსტრაცია 18 ივნისისათვის. ბურჟუაზია ცოფებს ჰყრიდა, რადგან ამაში სამართლიანად ხედავდა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის გადახრას პროლეტარიატის მხარეზე, და გადასწყვიტა ფრონტზე შეტევით გაექარწყლებინა დემოკრატიის მოქმედება.

მართლაც, 18 ივნისმა შესანიშნავად დიდი გამარჯვება მოუტანა რევოლუციური პროლეტარიატის ლოზუნგებს, ბოლშევიზმის ლოზუნგებს პეტერბურგის მასებში, ხოლო 19 ივნისს ზეიმით იქნა გამოცხადებული ბურჟუაზიისა და ბონა-

პარტისტ * კერენსკის მიერ სწორედ 18 ივნისს დაწყებული შეტევა ფრონტზე.

შეტევა ფაქტიურად ნიშნავდა მძარცველური ომის განახლებას კაპიტალისტების ინტერესებისათვის, მშრომელთა დიდი უმრავლესობის ნების წინააღმდეგ. ამიტომ შეტევასთან გარდუვალად იყო დაკავშირებული, ერთი მხრივ, შოვინიზმის გიგანტური გაძლიერება და სამხედრო (მაშასადამე, აგრეთვე სახელმწიფო) ძალაუფლების გადასვლა ბონაპარტისტების სამხედრო ხროვის ხელში, ხოლო მეორე მხრივ, გადასვლა ძალადობაზე მასების მიმართ, გადასვლა ინტერნაციონალისტების დევნაზე, აგიტაციის თავისუფლების გაუქმებაზე, მათს დაპატიმრებასა და დახვრეტაზე, ვინც ომის წინააღმდეგი იყო.

თუ 6 მაისმა თოკით მიაბა ესერები და მენშევიკები ბურჟუაზიის ძლევამოსილ ეტლს, 19 ივნისმა ჯაჭვით მიაკრა ისინი, როგორც კაპიტალისტების მსახურნი.

VIII

მასების გაბოროტება, განახლებული მძარცველური ომის გამო, ბუნებრივად გაიზარდა კიდევ უფრო სწრაფად და უფრო ძლიერად. 3 — 4 ივლისს იფეთქა მათმა აღშფოთებამ. ბოლშევიკები ცდილობდნენ შეეკავებინათ ეს აფეთქება და, ცხადია, უნდა ცდილიყვნენ მიეცათ მისთვის რაც შეიძლება უფრო ორგანიზებული ფორმა.

ესერები და მენშევიკები, როგორც ბატონის მიერ მიჯაჭვული მონები ბურჟუაზიისა, ყველაფერს დათანხმდნენ: რეაქციული ჯარების ჩამოყვანასაც პიტერში, სიკვდილით

* ბონაპარტიზმი (საფრანგეთის ორი იმპერატორის — ბონაპარტების სახელის მიხედვით) ეწოდება ისეთ მთავრობას, რომელიც ცდილობს მოგვაჩვენოს თავი არაპარტიულ მთავრობად, რისთვისაც იყენებს კაპიტალისტებისა და მუშების პარტიების უკიდურესად გამწვავებულ ურთიერთბრძოლას. ასეთი მთავრობა, რომელიც სინამდვილეში ემსახურება კაპიტალისტებს, ყველაზე მეტად ატყუებს მუშებს დაპირებებითა და ნასუფრალი ნაწილებით.

დასჯის აღდგენასაც, მუშებისა და რევოლუციური ჯარების განიარაღებასაც, ხალხის დაპატიმრებას, დევნას, გაუსამართლებლად გაზეთების დახურვასაც. ძალაუფლება, რომელიც მთლიანად ხელთ ვერ აიღო ბურჟუაზიამ მთავრობაში და რომლის აღებაც არ სურდათ საბჭოებს, ეს ძალაუფლება ხელში ჩაუვარდა სამხედრო ხროვას, ბონაპარტისტებს, რომლებსაც, რასაკვირველია, მთლიანად დაუჭირეს მხარი კადეტებმა და შავრაზმელებმა, მემამულეებმა და კაპიტალისტებმა.

ხდებოდა საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა. რაკი ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის მოლიპულ გზას დაადგნენ, ესერები და მენშევიკები თავშეუკავებლად დაჭანდნენ დაბლა და დაგორდნენ ძირამდე. 28 თებერვალს მათ აღუთქვეს პეტროგრადის საბჭოში პირობითი მხარის დაჭერა ბურჟუაზიულ მთავრობას. 6 მაისს მათ იხსნეს იგი კრახისაგან და გადააქცევინეს საკუთარი თავი მის მსახურებად და დამცველებად, რაკი შეტევას დათანხმდნენ. 9 ივნისს ისინი შეუერთდნენ კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ გაცოფებული ღვარძლიანობით, სიცრუითა და ცილისწამებით აღსავსე ლაშქრობაში. 19 ივნისს მათ მოიწონეს მძარცველური ომის დაწყებული განახლება. 3 ივლისს ისინი დათანხმდნენ რეაქციული ჯარების გამოწვევას: ეს ბონაპარტისტებისათვის ძალაუფლების საბოლოოდ დათმობის დასაწყისი იყო. ხდებოდა საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა.

ესერებისა და მენშევიკების პარტიების ასეთი სამარცხვინო ფინალი შემთხვევითი რამ კი არ არის, არამედ წვრილი მეპატრონეების, წვრილი ბურჟუაზიის ეკონომიური მდგომარეობის შედეგია, რაც მრავალჯერ დაუდასტურებია ევროპის გამოცდილებას.

IX

რასაკვირველია, ყველას უნახავს, თუ წელებზე ფეხს როგორ იდგამენ წვრილი მეპატრონენი, როგორ ცდილობენ «ხალხში გაერიონ», ნამდვილი მეპატრონენი გახდნენ. «წელ-

მაგარი» მეპატრონის მდგომარეობას, ბურჟუაზიის მდგომარეობას მიაღწიონ. ვიდრე კაპიტალიზმი ბატონობს, წვრილი მეპატრონეებისათვის სხვა გამოსავალი არ არის: ან თვითონ უნდა გადავიდნენ კაპიტალისტების მდგომარეობაში (ეს კი უკეთეს შემთხვევაში შესაძლებელია ერთი წვრილი მეპატრონისათვის ასიდან), ან გადავიდნენ გაჩანაგებული წვრილი მეპატრონის, ნახევრადპროლეტარის, შემდეგ კი — პროლეტარის მდგომარეობაში. ასევეა პოლიტიკაშიც: წვრილბურჟუაზიული დემოკრატია, განსაკუთრებით მისი ბელადების სახით, ბურჟუაზიას მისდევს. წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ბელადები თავიანთ მასებს ანუგეშებენ დაპირებებითა და რწმუნებით — შესაძლებელია მსხვილ კაპიტალისტებთან შეთანხმებაო, — უკეთეს შემთხვევაში, სულ მოკლე ხნით ასინი ღებულობენ კაპიტალისტებისაგან წვრილმან დათმობებს მშრომელი მასების მცირე ზედაფენისათვის, ხოლო ყველაფერში, რაც გადამწყვეტია, ყველაფერში, რაც მნიშვნელოვანია, წვრილბურჟუაზიული დემოკრატია ყოველთვის ალმოჩნდება ხოლმე ბურჟუაზიის კუდში, მის უძლურ დანართად, მორჩილ იარაღად ფინანსთა მეფეების ხელში. ინგლისისა და საფრანგეთის გამოცდილებას ეს მრავალჯერ დაუდასტურებია.

რუსეთის რევოლუციის გამოცდილებამ, როდესაც მოვლენები, მეტადრე იმპერიალისტური ომისა და მის მიერ შექმნილი უღრმესი კრიზისის გავლენით, არაჩვეულებრივი სისწრაფით ვითარდებოდა, ამ გამოცდილებამ 1917 წლის თებერვლიდან ივლისამდე შესანიშნავი სიცხადით, თვალსაჩინოდ დაადასტურა ძველი მარქსისტული ჭეშმარიტება წვრილი ბურჟუაზიის მდგომარეობის უმტკიცობის შესახებ.

რუსეთის რევოლუციის გაკვეთილია: მშრომელი მასების ხსნა ომის, შიმშილის, მემამულეებისა და კაპიტალისტების უღლის რკინისებური მუხრუჭისაგან მხოლოდ და მხოლოდ კავშირის სრული გაწყვეტაა ესერებისა და მენშევიკების პარტიებთან, მათი გამცემლური როლის ნათლად შეგნება, უარისთქმა ყოველგვარ შემთანხმებლობაზე ბურჟუაზიასთან,

გადაჭრით გადასვლა რევოლუციური მუშების მხარეზე. მარტოოდენ რევოლუციურ მუშებს, თუ მათ მხარს დაუჭერენ უღარიბესი გლეხები, ძალუძთ გასტეხონ კაპიტალისტების წინააღმდეგობა, გაუძღვნენ ხალხს მიწის გამოუსყიდველად მოპოვებისაკენ, სრული თავისუფლებისაკენ, შიმშილზე გამარჯვებისაკენ, ომზე გამარჯვებისაკენ, სამართლიანი და მტკიცე ზავისაკენ.

ბოლშევიკური პარტია

ეს სტატია, როგორც ტექსტი გვიჩვენებს, დაწერილია ივლისის დამლევს.

რევოლუციის ისტორიამ აგვისტოს განმავლობაში **სავსებით** დაადასტურა სტატიაში ნათქვამი. შემდეგ, აგვისტოს დამლევს კორნილოვის აჯანყებამ შექმნა რევოლუციის ახალი შემობრუნება და თვალსაჩინოდ დაანახვა მთელ ხალხს, რომ კონტრრევოლუციურ გენერლებთან შეკავშირებული კადეტები ცდილობენ გარეკონ საბჭოები და აღადგინონ მონარქია. თუ რამდენად ძლიერია რევოლუციის ეს ახალი შემობრუნება, შესძლებს თუ არა იგი ბოლო მოუღოს ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის დამღუპველ პოლიტიკას, — ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს...

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1917 წ. 6 სექტემბერი

კამენევის გამოსვლის შესახებ ცაკში სტოკჰოლმის კონფერენციის გამო[70]

ამხ. კამენევის მიერ სტოკჰოლმის კონფერენციის გამო 6 აგვისტოს ცაკში წარმოთქმული სიტყვის წინააღმდეგ არ შეიძლება არ გაილაშქრონ თავისი პარტიისა და თავისი პრინციპების ერთგულმა ბოლშევიკებმა.

თავისი სიტყვის პირველსავე ფრაზაში ამხ. კამენევმა გააკეთა ფორმალური ხასიათის განცხადება, რომელიც მის გამოსვლას პირდაპირ საოცარ ხასიათს აძლევს. ამხ. კამენევი შენიშნავს, რომ პირადად თავისი სახელით გამოდის, რომ «ჩვენს ფრაქციას ეს საკითხი არ განუხილავსო».

ჯერ ერთი, როდის აქეთაა, რომ ორგანიზებულ პარტიაში მნიშვნელოვან საკითხებზე გამოდიან ცალკეული წევრები «პირადად თავისი სახელით»; რაკი ფრაქციას საკითხი არ განუხილავს, ამხ. კამენევს უფლება არ ჰქონდა გამოსულიყო. ეი პირველი დასკვნა მისივე სიტყვებიდან.

მეორეც, რა უფლება ჰქონდა ამხ. კამენევს დაეივიწყნა, რომ არის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება სტოკჰოლმში მონაწილეობის წინააღმდეგ. თუ ეს გადაწყვეტილება გაუქმებული არ არის ყრილობის მიერ ან ცენტრალური კომიტეტის ახალი გადაწყვეტილებით, იგი კანონად რჩება პარტიისათვის. თუ იგი გაუქმებულია, მაშინ ამხ. კამენევს არ შეეძლო გაჩუმებულიყო ამაზე, არ შეეძლო ელაპარაკნა წარსულ დროში: «ჩვენ, ბოლშევიკები, დღევანდლამდე უარყოფით ვეკიდებოდით სტოკჰოლმის კონფერენციასაო».

ისევ და ისევ დასკვნა ის არის, რომ კამენევს არათუ არ ჰქონდა უფლება გამოსულიყო, არამედ მან აშკარად დაარღვია პარტიის დადგენილება, აშკარად ილაპარაკა პარტიის წინააღმდეგ, დაარღვია მისი ნება და ამავე დროს ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება, რომელიც მისთვის სავალდებულოა. ხოლო ეს გადაწყვეტილება თავის დროზე გამოქვეყნებული იყო «პრავდაში» და იმის დამატებითაც კი, რომ პარტიის წარმომადგენელი წავა ციმერვალდის კონფერენციიდან, თუ ეს კონფერენცია მხარს დაუჭერს სტოკჰოლმში მონაწილეობასაო *.

სტოკჰოლმში მონაწილეობისადმი ბოლშევიკების «წინადელი» უარყოფითი დამოკიდებულების საბუთები კამენევმა არასწორად გადმოსცა. ის გაჩუმდა იმაზე, რომ იქ მონაწილეობას მიიღებენ სოციალ-იმპერიალისტები, რომ ასეთებთან ურთიერთობა სამარცხვინოა რევოლუციური სოციალ-დემოკრატისათვის.

რაც უნდა სამწუხარო იყოს ამის აღიარება, მაინც უნდა აღვიაროთ: სტაროსტინმა, რომელიც ხშირად და ბევრს ურევს ხოლმე, 1 000-ჯერ უკეთ, უფრო სწორად, უფრო ღირსეულად გამოთქვა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისი, ვიდრე კამენევმა. სოციალ-იმპერიალისტებთან, მინისტრებთან, რუსეთში ჯალათობის ხელშემწყობებთან თათბირებზე წასვლა სირცხვილი და გამცემლობაა. ინტერნაციონალიზმის შესახებ მაშინ ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

კამენევის საბუთები არსებითად იმის სასარგებლოდ, რომ «შეიცვალოს» ჩვენი შეხედულება სტოკჰოლმზე, სასაცილოდ სუსტია.

«ჩვენთვის ცხადი გახდა, — ამბობდა კამენევი, — რომ სტოკჰოლმი ამ (??) მომენტიდან აღარ არის (??) ბრძა იარაღი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ხელში».

ეს მართალი არ არის. არ არის არც ერთი ფაქტი, და კამენევმა ვერაფერი სერიოზული რამ ვერ მოიყვანა. თუ

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 24, გვ. 465. რ ე დ.

ინგლის-საფრანგეთის სოციალ-იმპერიალისტები არ მიდიან, ხოლო გერმანელი სოციალ-იმპერიალისტები მიდიან, ნუთუ ეს პრინციპული ცვლილებაა?? ნუთუ ეს საეროდ ცვლილებაა ინტერნაციონალისტის თვალსაზრისით? ნუთუ კამენევს უკვე «დააეიწუდა» ჩვენი პარტიის კონფერენციის გადაწყვეტილება (29 აპრილისა) დანიელი სოციალ-იმპერიალისტის სავსებით ანალოგიური შემთხვევის გამო?

«სტოკჰოლმის თავზე. — თქვა შემდეგ კამენევმა, გაზეთების გადმოცემით, — ფრიალს იწყებს ფართო რევოლუციური დროშა, რომლის ქვეშ ირაზმებიან მსოფლიო პროლეტარიატის ძალებიო».

ეს ყოველად ფუჭი დეკლამაციაა ჩერნოვისა და წერეთლის ჯაიდაზე. ეს აშკარა სიცრუეა. არა რევოლუციური დროშა, არამედ დროშა სოციალ-იმპერიალისტთა გარიგებისა, შეთანხმებისა, ამნისტიისა, ბანკირების მოლაპარაკებისა ანექსიების გაყოფის შესახებ, — აი ნამდვილად რა დროშა იწყებს ფრიალს სტოკჰოლმის თავზე.

არ შეიძლება მოვითმინოთ, რომ ინტერნაციონალისტების პარტიამ, რომელიც მთელი მსოფლიოს წინაშე პასუხისმგებელია რევოლუციური ინტერნაციონალიზმისათვის, სახელი გაიტეხოს რუსი და გერმანელი სოციალ-იმპერიალისტების ოინებთან კეკლუცობით, ბურჟუაზიული იმპერიალისტური მთავრობის მინისტრების — ჩერნოვების, სკობელევებისა და კომპანიის ოინებთან კეკლუცობით.

ჩვენ გადავწყვიტეთ ვაშენოთ III ინტერნაციონალი. ჩვენ ეს უნდა განვახორციელოთ ყოველი სიძნელის მიუხედავად. არც ერთი ნაბიჯი უკან, სოციალ-იმპერიალისტებსა და სოციალიზმის მოღალატეთა შორის გარიგებისაკენ!

«პროლეტარი» № 3,
1917 წ. 29 (16) აგვისტო
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ხმები შეთქმულების შესახებ

ამ სათაურით მოთავსებული შენიშვნა «ნოვაია ჟიზნის» 17 აგვისტოს № 108-ში მეტად სერიოზული ყურადღების ღირსია და საჭიროა მასზე [კიდევ და კიდევ] შევჩერდეთ, თუმცა სრულიად არასერიოზულია ის, რაც შენიშვნაში სერიოზულ რამედ არის მიჩნეული.

შენიშვნის შინაარსი ის არის, რომ მოსკოვში 14 აგვისტოს გავრცელდა ხმები, თითქოს კაზაკთა ზოგიერთი ნაწილი ფრონტიდან მოსკოვისაკენ მოდის და რომ ამასთან ერთად «გარკვეული სამხედრო ჯგუფები მოსკოვის ზოგიერთი საზოგადოებრივი წრის თანაგრძნობით» აწყობენ «გადამწყვეტ კონტრრევოლუციურ გამოსვლებს». შემდეგ, თითქოს, სამხედრო ხელისუფლებმა ეს შეატყობინეს მოსკოვის ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოს და «ცაკის წარმომადგენელთა» (ე. ი. მენშევიკებისა და ესერების) «მონაწილეობით» მიიღეს ზომები იმისათვის, რომ ჯარისკაცებს გააცნონ ქალაქის დაცვის აუცილებლობა და სხვ.. «ამ მზადებაში ჩაბმული იყვნენ მოსკოვის ბოლშევიკების წარმომადგენლებიც, რომლებიც გაელენით სარგებლობენ ბევრ სამხედრო ნაწილში, სადაც ამ შემთხვევის გამო მათ გახსნილი აქვთ გზაო», — ასე თავდება შენიშვნა.

ეს უკანასკნელი ფრაზა განზრახ აგებულია ბუნდოვნად და ორაზროვნად: თუ ბოლშევიკები გაელენით სარგებლობენ ბევრ სამხედრო ნაწილში (რაც უდავო და საყოველთაოდ

ცნობილია), მაშინ რანაირად და ვის შ ე ე ძ ლ ო «გაეხსნა გზა» ბოლშევიკებისათვის ამ ნაწილებში? ეს ხომ აშკარა აბსურდია. თუკი ბოლშევიკებს «ამ შემთხვევის გამო» მართლაც «უხსნიდნენ გზას» (ვინ? ალბათ, მენშევიკები და ესერები!) ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ სამხედრო ნაწილებში, ეს იმას ნიშნავს, რომ ყოფილა ერთგვარი ბ ლ ო კ ი, კავშირი, შეთანხმება, ბოლშევიკებსა და ობორონცებს შორის «კონტრრევოლუციისაგან დაცვის» თაობაზე.

აი ეს გარემოება აძლევს სერიოზულ მნიშვნელობას არასერიოზულ შენიშვნას და მოითხოვს ყველა შეგნებული მუშისაგან უაღრესი ყურადღებით მოეპყრან მოთხრობილ ფაქტებს.

ხმები, რასაც ავრცელებენ ობორონცები, ე. ი. მენშევიკები და ესერები, აშკარად სულელურია, და სრულიად ცხადია ის ბინძური და საზიზღარი პოლიტიკური ვარაუდი, რომლითაც ამ ხმებს ავრცელებენ. ნამდვილად კონტრრევოლუციურია სწორედ ის დროებითი მთავრობა, რომლის დაცვაც ვითომ სურთ ობორონცებს. მართლაც გამოიწვიეს კაზაკთა ჯარები ფრონტიდან დედაქალაქებში, მაგალითად, პეტროგრადში 3 ივლისს, სწორედ დროებითმა მთავრობამ და «სოციალისტმა» მინისტრებმა, როგორც ეს კიდევაც დაადასტურა ფორმალურად კაზაკთა გენერალმა კალედინმა მოსკოვის კონტრრევოლუციურ იმპერიალისტურ თათბირზე. ეს ფაქტია.

აი ეს ფაქტი, რომელიც ამხელს მენშევიკებსა და ესერებს, ამტკიცებს მათ მიერ რევოლუციის გამცემლობას, მ ა თ ს კ ა ვ შ ი რ ს კონტრრევოლუციონერებთან, მ ა თ ს კ ა ვ შ ი რ ს კალედინებთან, ეს ფაქტი მენშევიკებსა და ესერებს სურთ მიჩქმალონ, მიაფუჩეჩონ, გვაიძულონ დავივიწყოთ «ხმების» საშუალებით, თითქოს კაზაკები მოდიან მოსკოვზე კერენსკის, წერეთლის, სკობელევის, ავქსენტიევის დაუკითხავად, თითქოს მენშევიკები და ესერები «იცავენ რევოლუციას» და სხვ.. გამცემელი მენშევიკებისა და ობორონცების პოლიტიკური ანგარიში ცხადზე უცხადესია. მათ სურთ მოატყუონ მუშები, თავი გაასაღონ რევოლუციონერებად, გაიგონ

დაპატარავებულია

ზოგი რამ ბოლშევიკების შესახებ (რა თქმა უნდა, კონტრდაზვერვისათვის გადასაცემად), შეაკეთონ თავიანთი რეპუტაცია! ეს ანგარიში იმდენადვე საზიზღარია, რამდენადაც ტლანქად არის ნაკერი თეთრი ძაფებით! იაფად, სულელური «ხმის» შეთითხნით, ჩვენ «გზა გაგვეხსნება» ბოლშევიკური სამხედრო ნაწილებისაკენ და საერთოდ განვამტკიცებთ ნდობას დროებითი მთავრობისადმი, რაკი დავარწმუნებთ გულუბრყვილო ადამიანებს, თითქოს ამ მთავრობის დამხობა სურთ კაზაკებს, თითქოს იგი ბლოკში ა რ არის კაზაკებთან, თითქოს იგი «იცავს რევოლუციას» და სხვა და მისთანანი.

ანგარიში ნათელია. ხმები კი სულელური და შეთხზულია. დროებითი მთავრობისადმი ნდობას კი ჩვენ ნაღდად მივიღებთ, თანაც ბოლშევიკებსაც ჩავაბამთ ჩვენთან «ბლოკშიო»!

ძნელია იმის დაჯერება, რომ ბოლშევიკებში მოიპოვებოდნენ ისეთი ბრიყვები და არამზადები, რომლებიც ახლა ობორონცებთან ბლოკს დასთანხმდებოდნენ. ძნელია ამის დაჯერება, ვინაიდან, ჯერ ერთი, არის რსდმპ VI ყრილობის პირდაპირი რეზოლუცია [71], რომელშიც ნათქვამია (იხ. «პროლეტარი» [72] № 4), რომ «მენშევიკები საბოლოოდ გადავიდნენ პროლეტარიატის მტრების ბანაკში». ადამიანებს, რომლებიც საბოლოოდ გადავიდნენ მტრების ბანაკში, არ უთანხმდებიან, მათთან ბლოკებს არ სდებენ. «რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის უპირველეს ამოცანას», — ამბობს შემდეგ იგივე რეზოლუცია, — წარმოადგენს «მათი (მენშევიკ-ობორონცების) ყოვლად სრული იზოლაცია მუშათა კლასის ყველა რამდენადმე მაინც რევოლუციური ელემენტისაგან». ცხადია, მენშევიკები და ესერები სწორედ ამ იზოლაციის წინააღმდეგ იბრძვიან სულელური ხმების გავრცელებით. ცხადია, რომ მოსკოვში, ისევე როგორც პიტერში, მუშები სულ უფრო და უფრო აქცევენ ზურგს მენშევიკებსა და ესერებს, რადგან სულ უფრო და უფრო ნათლად ხედავენ მათს გამცემლურ, კონტრრევოლუციურ პოლიტიკას, და «საქმის გამოსასწორებლად» ობორონცები იძულებული ხდებიან «ჭაპან-წყვეტას» შეუდგნენ.

ყრილობის ასეთი რეზოლუციის მეოხებით, ბოლშევიკები, რომლებიც შეკრავდნენ ობორონცებთან ბლოკს «გზის გახსნისა» ან დროებითი მთავრობისათვის (რომელსაც ვითომ იცავენ კაზაკებისაგან) ნდობის არაპირდაპირ გამოცხადების შესახებ, ასეთი ბოლშევიკები, რასაკვირველია — და სამართლიანადაც — გარიცხული იქნებოდნენ პარტიიდან.

მაგრამ სხვა მიზეზებითაც ძნელია დავიჯეროთ, რომ მოიძებნებოდნენ მოსკოვში თუ სადმე სხვაგან ისეთი ბოლშევიკები, რომლებიც დასთანხმდებოდნენ ობორონცებთან ბლოკს, საერთო დაწესებულებათა, თუნდაც დროებით დაწესებულებათა მსგავსის შექმნას, რაიმე გარიგებას და სხვ.. დავუშვათ ძნელად წარმოსადგენი ასეთი ბოლშევიკებისათვის ყველაზე უკეთესი ვარაუდი: ვთქვათ, რომ მათ, გულუბრყვილობით, მართლაც დაუჯერეს მენშევიკებისა და ესერების მიერ გადაცემულ ხმებს, ვთქვათ ისიც კი, რომ ბოლშევიკებს აცნობეს რაიმე აგრეთვე შეთხზული «ფაქტები» ნდობის ჩასაგონებლად. ცხადია, ამ შემთხვევაშიც არც ერთი პატიოსანი ან ისეთი ბოლშევიკი, რომელსაც თავგზა სავსებით არ დაბნევია, არ დასთანხმდებოდა არც რაიმე ბლოკს ობორონცებთან, არც რაიმე გარიგებას «გზის გახსნის» შესახებ და სხვ.. ამ შემთხვევაშიც კი ბოლშევიკი იტყოდა: ჩვენი მუშები, ჩვენი ჯარისკაცები შეებრძოლებიან კონტრრევოლუციურ ჯარებს, თუ ისინი ახლა დაიწყებენ შეტევას დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, ამასთან დაიცავენ არა ამ მთავრობას, რომელიც სამ ივლისს მოუხმობდა კალედინს და კომპანიას, არამედ დამოუკიდებლად დაიცავენ რევოლუციას, ისახავენ რა თავიანთ მიზნებს, მუშების გამარჯვების, ღარიბთა გამარჯვების, ზავის საქმის გამარჯვების მიზნებს და არა იმპერიალისტების — კერენსკის, ავქსენტიევის, წერეთლის, სკობელევისა და კომპანიის გამარჯვების მიზნებს. ამ მეტისმეტად იშვიათ შემთხვევაში კი, რომელიც ჩვენ ვივარაუდეთ, ბოლშევიკი ეტყოდა მენშევიკებს: რა თქმა უნდა, ჩვენ ვიბრძოლებთ, მაგრამ თქვენთან ოდნავ პოლიტიკურ კავშირსაც კი, თქვენდამი ოდნავ ნდობასაც კი ჩვენ არ დავთანხმდებით, — სრუ-

ლიად ისევე, როგორც 1917 წლის თებერვალში სოციალ-დემოკრატები იბრძოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ კადეტებთან ერთად, მაგრამ არავითარ კავშირს არ ჰკრავდნენ კადეტებთან, ერთი წამითაც კი არ სჯეროდათ მათი. მენშევიკებისადმი ოდნავი ნდობაც კი ახლა ისეთივე ღალატი იქნებოდა რევოლუციისა, როგორც კადეტებისადმი ნდობა 1905 — 1917 წლებში.

ბოლშევიკი ეტყოდა მუშებსა და ჯარისკაცებს: ვიბრძოლოთ, მაგრამ არავითარი ნდობა მენშევიკებისადმი, თუ თქვენ არ გინდათ დაკარგოთ გამარჯვების ნაყოფი.

მენშევიკებისათვის ძალიან ხელსაყრელია გაავრცელონ ცრუ ხმები და აზრები, თითქოს მთავრობა, რომელსაც ისინი მხარს უჭერენ, იხსნიდეს რევოლუციას, მაშინ როცა ნამდვილად იგი უკვე ბლოკშია კალედინებთან, უკვე კონტრრევოლუციურია, უკვე გადადგა მრავალი ნაბიჯი და ყოველდღე დგამს ახალ ნაბიჯებს კალედინებთან ამ თავისი ბლოკის პირობების შესასრულებლად.

ამ ხმების დაჯერება, მათთვის პირდაპირ თუ არაპირდაპირ მხარის დაჭერა იქნებოდა ბოლშევიკების მხრივ რევოლუციის საქმის ღალატი. რევოლუციის წარმატების მთავარი საწინდარი ახლა არის მასების მიერ მენშევიკებისა და ესერების გამცემლობის ცხადი შეგნება, მათთან კავშირის სრულიად გაწყვეტა, მათ წინააღმდეგ ისეთივე უთუო რევოლუციური ბოიკოტი ყოველი რევოლუციური პროლეტარის მიერ, როგორიც იყო ბოიკოტი კადეტის წინააღმდეგ 1905 წლის გამოცდილების შემდეგ.

((გთხოვთ ეს სტატია გადაწეროთ რამდენიმე ცალად, რათა ერთსა და იმავე დროს დაეუგზავნოთ დასაბეჭდად რამდენიმე პარტიულ გაზეთსა და ჟურნალს, და ამავე დროს შევიტანოთ ჩემი სახელით ცენტრალურ კომიტეტში ასეთი მინაწერით:

გთხოვთ ეს სტატია მიიჩნიოთ ჩემ მოხსენებად ცენტრალური კომიტეტისადმი, ამასთან ვიძლევი წინადადებას — დაინიშნოს ცენტრალური კომიტეტის ოფიციალური გამო-

კვლევა მოსკოველების — ცენტრალური კომიტეტის არა წევრების მონაწილეობით იმ ფაქტის დასადგენად, ჰქონდათ თუ არა ბოლშევიკებს საერთო დაწესებულებანი ამ ნიადაგზე ობორონცებთან, იყო თუ არა ბლოკი ან შეთანხმება, რაში მდგომარეობდა ეს და ა. შ.. აუცილებელია ოფიციალურად გამოვიკვლიოთ ფაქტები და წვრილმანები, გავიგოთ ყველა დეტალი. აუცილებელია ჩამოვაცილოთ სამუშაოს ცენტრალური კომიტეტისა ან მოსკოვის კომიტეტის წევრები, თუ ბლოკის ფაქტი დადასტურდა, და შევიტანოთ მათი ფორმალურად ჩამოცილების საკითხი ყრილობამდე ცენტრალური კომიტეტის პირველსავე პლენუმზე, ვინაიდან ახლა, მოსკოვის თათბირის შემდეგ, გაფიცვის შემდეგ, 3 — 5 ივლისის შემდეგ, სწორედ მოსკოვს ენიჭება ან შეიძლება მივნიჭოს ცენტრის მნიშვნელობა. ამ უზარმაზარ პროლეტარულ ცენტრში, რომელიც პეტროგრადზე დიდია, საკვირველია შესაძლებელია მომწიფდეს 3 — 5 ივლისის ტიპის მოძრაობა. მაშინ პიტერში ამოცანა იყო: მიგვეცა მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი. ეს იყო სწორი ლოზუნგი. ახლა მოსკოვში სულ სხვა ამოცანა დგას; ძველი ლოზუნგი მეტისმეტად არასწორი იქნებოდა. ახლა ამოცანა ის იქნებოდა, რომ თვითონ აგვეღო ძალაუფლება და გამოგვეცხადებინა თავი მთავრობად ზავის გულისათვის, იმისათვის, რომ მიწა გადაეცეს გლეხებს, რომ მოწვეულ იქნას ვადაზე დამფუძნებელი კრება გლეხებთან ადგილობრივ შეთანხმებით და ა. შ.. ძალიან შესაძლებელია, რომ უმუშევრობის, შიმშილის, რკინიგზელთა გაფიცვის, ნგრევისა და სხვ. ნიადაგზე ამგვარმა მოძრაობამ მოსკოვში იფეთქოს. მეტისმეტად მნიშვნელოვანია, რომ მოსკოვში «საჭეს» ედგნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მარჯვნივ არ გადაიხრებიან, მენშევიკებთან ბლოკს არ დასთანხმდებიან და რომლებსაც მოძრაობის შემთხვევაში შეგნებული ექნებათ ახალი ამოცანები, ძალაუფლების აღების ახალი ლოზუნგი, ამის მისაღწევი ახალი გზები და საშუალებანი. აი რატომ არის, რომ «გამოძიება» ბლოკის საქმის გამო

და ბლოკისტ-ბოლშევიკების დაგმობა, თუ ასეთები იყვნენ, მათი ჩამოცილება, აუცილებელია არა მარტო დისციპლინის გულისათვის, არა მარტო უკვე დაშვებული სისულელის გამოსასწორებლად, არამედ აუცილებელია **მომავალი** მოძრაობის ფრიად არსებითი ინტერესებისათვის. მოსკოვში 12 აგვისტოს მომხდარმა გაფიცვამ დაამტკიცა, რომ **აქტიური** პროლეტარიატი ბოლშევიკების მხარეზეა მიუხედავად უმრავლესობისა, რომელიც სათათბიროს არჩევნებში ხმის მიცემისას ესერებმა მოიპოვეს. ეს ძალიან წააგავს სიტუაციას პიტერში 1917 წ. 3 — 5 ივლისის წინ. მაგრამ განსხვავება უზარმაზარია: მაშინ პიტერი ვერ შესძლებდა ძალაუფლების აღებას ფიზიკურადაც კი, ხოლო თუ ფიზიკურად აიღებდა, ვერ შესძლებდა მის პოლიტიკურად შენარჩუნებას, რადგან წერეთელი და კომპ. ჯერ კიდევ არ იყვნენ დაცემულნი ისე, რომ ჯალათობისათვის მხარი დაეჭირათ. აი რატომ არის, რომ მ ა შ ი ნ, 1917 წ. 3 — 5 ივლისს პიტერში, ძალაუფლების აღების ლოზუნგი ა რ ა ს წ ო რ ი იქნებოდა. მაშინ ბოლშევიკებსაც კი არ ჰქონდათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ გაბედულობა, შეგნებული გაბედულობა — მიეჩნიათ წერეთელი და კომპ. კონტრრევოლუციონერებად. მაშინ არც ჯარისკაცებს, არც მუშებს არ შეიძლებოდა ჰქონოდათ ის გამოცდილება, რაც ივლისმა მოგვცა.

ახლა სულ სხვაა. ახლა მოსკოვში, თუ სტიქიური მოძრაობა იფეთქებს, ლოზუნგი უნდა იყოს სწორედ ძალაუფლების აღება. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანი და ასკეცად მნიშვნელოვანია, რათა მოსკოვში მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ შესაფერი ადამიანები, რომლებსაც ს ა ვ ს ე ბ ი თ გაუგიათ და მოუფიქრებიათ ეს ლოზუნგი. ა რ ა ტომ არის საჭირო კიდევ და კიდევ მოვიოხოვოთ დაჟინებით გამოძიება და დამნაშავეთა ჩამოცილება.))

დაწერილია 1917 წ. 18 — 19 აგვისტოს
(31 აგვისტოს — 1 სექტემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ქვებს ხედავს, რიყეს ვერაო

საბჭოების ცაკის 4 აგვისტოს სხდომაზე ლ. მარტოვმა თქვა (ციტატი მოგვყავს «ნოვაია ჟიზნის» ანგარიშის მიხედვით), რომ «წერეთლის კრიტიკა მეტისმეტად რბილია», რომ «მთავრობა წინააღმდეგობას არ უწევს კონტრრევოლუციურ ცდებს სამხედრო წრეში» და რომ «ჩვენს მიზანს არ შეადგენს ახლანდელი მთავრობის დამხობა ან მისდამი ნდობის შერყევაო»... «ძალთა რეალური თანაფარდობა, — განაგრძობდა მარტოვი, — არ იძლევა ახლა საფუძველს მოვითხოვოთ ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ სამოქალაქო ომის პროცესში, რაც ახლა დაუშვებელიაო». «ჩვენ განზრახვა არა გვაქვს დავამხოთ მთავრობა, — ამთავრებს მარტოვი, — მაგრამ ჩვენ უნდა მივუთითოთ მას, რომ ჩვენს ქვეყანაში არიან ძალები, გარდა კადეტებისა და სამხედროებისა. ესაა რევოლუციური დემოკრატიის ძალები და მათ უნდა ეყრდნობოდეს დროებითი მთავრობაო».

ეს არის მარტოვის შესანიშნავი მსჯელობა, რომელზედაც ღირს მთელი ყურადღებით შევჩერდეთ. შესანიშნავია იგი იმით, რომ არაჩვეულებრივ მკაფიოდ წარმოგვიდგენს წვრილბურჟუაზიული მასის უაღრესად გავრცელებულ, უაღრესად მავნებელ, უაღრესად საშიშ პოლიტიკურ შეცდომებს, მის ფრიად ტიპიურ ცრურწმენებს. ამ მასის ყველა წარმომადგენლიდან მარტოვი, როგორც პუბლიცისტი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე «მემარცხენეა», ყველაზე რევოლუციუ-

რია, ყველაზე შეგნებული და დახელოვნებულია. სწორედ ამიტომ უფრო სასარგებლოა განვიხილოთ სწორედ მისი მსჯელობა, ვიდრე სიტყვების ფუჭი გროვით მოკეკლუცე რომელიმე ჩერნოვისა ან გონებაჩლუნგი წერეთლისა და მისთ.. მარტოვის მსჯელობის გარჩევით ჩვენ გავარჩევთ იმას, თუ რა არის ახლა წვრილი ბურჟუაზიის იდეებში ყველაზე უფრო გონივრული.

უწინარეს ყოვლისა, მეტისმეტად დამახასიათებელია მარტოვის მერყეობა საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლის საკითხის გამო. 4 ივლისამდე მარტოვი ამ ლოზუნგის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი იყო. 4 ივლისის შემდეგ იგი მისი მ ო მ ხ რ ე ა. აგვისტოს დამდეგს იგი ისევე წინააღმდეგია, და მიაქციეთ ყურადღება, თუ რა გასაოცრად არალოგიკურია, რა სასაცილოა მარქსიზმის თვალსაზრისით მისი არგუმენტაცია. იგი წინააღმდეგია, რადგან «ძალთა რეალური თანაფარდობა არ იძლევა ახლა საფუძველს მოვითხოვოთ ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ სამოქალაქო ომის პროცესში, რაც ახლა დაუშვებელიაო».

აი დომხალი, თუ გნებავთ. გამოდის, რომ 4 ივლისამდე ძალაუფლების ასეთი გადასვლა შესაძლებელი იყო სამოქალაქო ომის გ ა უ ჩ ა ღ ე ბ ლ ა დ (ხალასი ჭეშმარიტებაა!), მაგრამ სწორედ მაშინ მარტოვი წინააღმდეგი იყო გადასვლისა... მეორეც, გამოდის, თითქოს 4 ივლისის შემდეგ, როდესაც მარტოვი საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლის მომხრე იყო, ასეთი გადასვლა შესაძლებელი იყო სამოქალაქო ომის გაუჩაღებლად: ეს ცხადი, აშკარა ფაქტიური სიცრუეა, ვინაიდან სწორედ 4 ივლისს ღამით ბონაპარტისტებს კადეტების მხარის დაჭერით და ჩერნოვებისა და წერეთლების ლაქიური სამსახურის წყალობით მოჰყავდა კონტრრევოლუციური ჯარები პიტერში. ასეთ პირობებში ძალაუფლების აღება მშვიდობიანი გზით აბსოლუტურად შეუძლებელი იქნებოდა.

ბოლოს, მესამე, მარტოვს გამოუდის, თითქოს მარქსისტს ან თუნდაც უბრალოდ რევოლუციურ დემოკრატსაც კი უფლება ჰქონდა უარი ეთქვა ხალხის ინტერესებისა და რევოლუციის ინტერესების სწორად გამომხატველ ლოზუნგზე იმ საბუთით, რომ ეს ლოზუნგი შეიძლებოდა განხორციელებულიყო «მხოლოდ სამოქალაქო ომის პროცესში»... მაგრამ ეს ხომ აშკარა აბსურდია, აშკარა უარისთქმაა ყოველგვარ კლასობრივ ბრძოლაზე, ყოველგვარ რევოლუციაზე, რადგან ვინ არ იცის, რომ ყველა რევოლუციის მსოფლიო ისტორია გვიჩვენებს კლასობრივი ბრძოლის არა შემთხვევითს, არამედ გარდუვალ გადაქცევას სამოქალაქო ომად. ვინ არ იცის, რომ სწორედ 4 ივლისის შ ე მ დ ე გ ვხედავთ ჩვენ რუსეთში სამოქალაქო ომის დაწყებას კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მხრივ, პოლკების განიარაღებას, დახვრეტას ფრონტზე, ბოლშევიკების მკვლელობას. სამოქალაქო ომი, თურმე, «დაუშვებელია» რევოლუციური დემოკრატიისათვის სწორედ მაშინ, როდესაც მოვლენათა განვითარების მსვლელობამ რკინისებური აუცილებლობით მიგვიყვანა იქამდე, რომ ასეთი ომი კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიამ გააჩაღა.

მარტოვი ყოვლად წარმოუდგენლად, სასაცილოდ, ყოვლად უმწეოდ დაიბნა.

მის მიერ შექმნილი დომხალის გასაქარწყლებლად უნდა ვთქვათ:

არსებული, მაშინდელი საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლის ლოზუნგი სწორედ 4 ივლისამდე იყო ჭრთადერთი სწორი ლოზუნგი. მაშინ ეს შესაძლებელი იყო მშვიდობიანად, სამოქალაქო ომის გაუჩაღებლად, ვინაიდან მაშინ კიდევ არ იყო სისტემატური ძალადობა მასის, ხალხის მიმართ, რაც 4 ივლისის შემდეგ იქნა შემოღებული. მაშინ ეს უზრუნველყოფდა მთელი რევოლუციის მშვიდობიან წინსვლას და, კერძოდ, საბჭოების შ ი გ ნ ი თ კლასებისა და პარტიების ბრძოლის მშვიდობიანი აღმოფხვრის შესაძლებლობას.

4 ივლისის შემდეგ საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლა შეუძლებელი გახდა სამოქალაქო ომის გაუჩაღებლად, რადგან ძალაუფლება 4 — 5 ივლისიდან გადავიდა სამხედრო, ბონაპარტისტული ხროვის ხელში, რომელსაც მხარი დაუჭირეს კადეტებმა და შავრაზმელებმა. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ყველა მარქსისტმა, რევოლუციური პროლეტარიატის ყველა მომხრემ, ყველა პატიოსანმა რევოლუციურმა დემოკრატმა ახლა უ ნ დ ა გაურკვიოს მუშებსა და გლეხებს მდგომარეობის ძირეული შეცვლა, რომელიც განაპირობებს პროლეტარებისა და ნახევრად-პროლეტარების ხელში ძალაუფლების გადასვლის სხვა გზას.

მარტოვს არ მოუყვანია საბუთები, რომ დაეცვა თავისი «აზრი» «ახლა» სამოქალაქო ომის დაუშვებლობის შესახებ, რომ დაეცვა განცხადება, ჩემს მიზანს «არ შეადგენს ახლანდელი მთავრობის დამხობაო». მისი დაუსაბუთებელი აზრი, განსაკუთრებით გამოთქმული ობორონცების კრებაზე, გარდუვალად წააგავს ობორონცების საბუთს: დაუშვებელია სამოქალაქო ომი შიგნით, გარეშე მტერი გვემუქრებაო.

არ ვიცით, გაბედავდა თუ არა მარტოვი აშკარად წამოეყენებინა ასეთი საბუთი. წვრილი ბურჟუაზიის მასაში ეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საბუთია. და ეს საბუთი, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი ყველაზე უხამსია. ბურჟუაზიას არ ეშინოდა რევოლუციისა და სამოქალაქო ომისა ისეთ მომენტებში, როდესაც გარეშე მტერი იმუქრებოდა, არც 1870 წლის სექტემბერს საფრანგეთში, არც 1917 წლის თებერვალს რუსეთში. ბურჟუაზიას არ ეშინოდა, სამოქალაქო ომის ფასად, ხელთ ჩაეგდო ძალაუფლება ისეთ მომენტებში, როდესაც გარეშე მტერი იმუქრებოდა. ასევე ნაკლებად გაუწევს ანგარიშს მატყუარებისა და ბურჟუაზიის ლაქიების ამ «საბუთს» რევოლუციური პროლეტარიატი.

* * *

ერთ-ერთი მეტისმეტად აშკარა თეორიული შეცდომა, რასაც სჩადის მარტოვი და რაც აგრეთვე ძალიან ტიპიურია წვრილი ბურჟუაზიის პოლიტიკური იდეების მთელი სფერო-

სათვის, არის ცარისტული და საერთოდ მონარქისტული კონტრრევოლუციის აღრევა ბურჟუაზიულ კონტრრევოლუციაში. ეს არის სწორედ სპეციფიკური გონებაშეზღუდულობა ან სპეციფიკური სიჩლუნგე წვრილბურჟუაზიული დემოკრატისა, რომელსაც არ ძალუძს თავი დააღწიოს თავის ეკონომიურ, პოლიტიკურ და იდეურ დამოკიდებულებას ბურჟუაზიისაგან, უთმობს მას პირველობას, ხედავს მასში «იდეალს», ენდობა მის ყვირილს «მარჯვნიდან მომდინარე კონტრრევოლუციის» საფრთხეზე.

მარტოვმა გამოხატა წვრილი ბურჟუაზიის იდეების ეს სფერო ან, უფრო სწორად, ეს სიმცირე აზრისა, როცა თავის სიტყვაში თქვა: «ჩვენ მასზე (მთავრობაზე) მარჯვნიდან დაწოლას უნდა დავუპირისპიროთ კონტრდაწოლაო».

აი ნიმუში ფილისტერული გულმინდობილობისა და კლასობრივი ბრძოლის დავიწყებისა. მთავრობა გამოდის რაღაც ზეკლასობრივი და ზეპარტიული, მას მხოლოდ «აწვებიან» ძალიან ძლიერად მარჯვნიდან, საჭიროა უფრო ძლიერად დავაწვეთ მარცხნიდანაო. აი ის სიბრძნე, რომელიც შეეფერება ლუი ბლანს, ჩერნოვს, წერეთელსა და მთელ ამ საძაგელ კომპანიას. და რა უსაზღვროდ ხელსაყრელია ეს ფილისტერული სიბრძნე ბონაპარტისტებისათვის, რარიგ სურთ მათ წარმოუდგინონ «ბრიყვ ტეტიებს» საქმე სწორედ იმგვარად, რომ აი ახლანდელი მთავრობა იბრძვის მარჯვნივაც და მარცხნივაც, მხოლოდ უკიდურესობათა წინააღმდეგ, და ახორციელებს ჭეშმარიტ სახელმწიფოებრიობას, ახორციელებს ჭეშმარიტ დემოკრატიზმსაო, სინამდვილეში კი სწორედ ეს ბონაპარტისტული მთავრობა წარმოადგენს კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მთავრობას.

ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია (და მისი ბატონობის უკვდავსაყოფად აუცილებელია) ატყუოს ხალხი, ისე დახატოს საქმე, თითქოს იგი წარმოადგენს «რევოლუციას საერთოდ, ხოლო მარჯვნიდან, მეფის მხრიდან, კონტრრევოლუცია გვემუქრებაო». მხოლოდ დანებისა და წერეთლების

უსაზღვრო გონება-სიჩლუნგით, ჩერნოვებისა და ავქსენტიევების უსაზღვრო თვითშეყვარებით სძლებს საერთოდ «რევოლუციური დემოკრატიის» წრეში ეს იდეა, რომელსაც ასაზრდოებს წვრილი ბურჟუაზიის ცხოვრების პირობები.

მაგრამ ყველამ, ვისაც კი რაიმე უსწავლია ისტორიიდან ან მარქსისტული მოძღვრებიდან, უნდა აღიაროს, რომ პოლიტიკურ ანალიზს ქვაკუთხედად უნდა დავუდოთ კ ლ ა ს ე ბ ი ს საკითხი: რომელი კლასის რევოლუციაზეა ლაპარაკი? რომელი კლასის კონტრრევოლუციაა?

საფრანგეთის ისტორია გვიჩვენებს, რომ ბონაპარტისტული კონტრრევოლუცია გაჩნდა XVIII საუკუნის დამლევს (შემდეგ კი მეორედ 1848 — 1852 წლებში) კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ნიადაგზე, ამასთან იგი თავის მხრივ გზას უკაფავდა ლეგიტიმური მონარქიის რესტავრაციას. ბონაპარტიზმი არის მმართველობის ისეთი ფორმა, რომელსაც წარმოშობს ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურობა დემოკრატიულ გარდაქმნათა და დემოკრატიული რევოლუციის ვითარებაში.

განზრახ უნდა დახუჭოს კაცმა თვალი, რომ ვერ დაინახოს, თუ როგორ იზრდება ჩვენს თვალწინ რუსეთში ბონაპარტიზმი ძალიან მსგავს პირობებში. ცარისტული კონტრრევოლუცია ახლა არარაობა არის, მოკლებულია ოდნავ პოლიტიკურ მნიშვნელობასაც კი, არავითარ პოლიტიკურ როლს არ ასრულებს. ცარისტული კონტრრევოლუციის საფრთხობელას განზრახ წამოსწევენ და აზვიადებენ შარლატნები, რათა დააშინონ ბრიყვები, რათა პოლიტიკური სენსაციით გაუმასპინძლდნენ ფილისტერებს, რათა ხალხის ყურადღება ჩამოაშორონ ნამდვილ სერიოზულ კონტრრევოლუციას. არ შეიძლება არ გაიცინო, როცა კითხულობ რომელიმე ზარუდნის მსჯელობას; ის იჭაჭება, რათა ასწონ-დასწონოს რომელიღაც უჩინარი მოკავშირის — «წმიდა რუსეთის» კონტრრევოლუციური როლი და «ვერ ამჩნევს»

რუსეთის მთელი ბურჟუაზიის იმ კავშირის კონტრრევოლუციურ როლს, რომელსაც კადეტების პარტია ეწოდება.

კადეტური პარტია არის რუსეთის ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის მთავარი პოლიტიკური ძალა. ამ ძალამ ჩინებულად დარაზმა თავის ირგვლივ ყველა შავრაზმელი როგორც არჩევნებში, ისე (რაც უფრო მნიშვნელოვანია) სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის აპარატში და საგანგებო სიცრუის, ცილისწამების, წასისიანების კამპანიაში, რასაც მიმართავენ ჯერ ბოლშევიკების, ე. ი. რევოლუციური პროლეტარიატის პარტიის წინააღმდეგ, შემდეგ საბჭოების წინააღმდეგ.

ახლანდელი მთავრობა თანდათან, მაგრამ განუხრელად ატარებს სწორედ იმ პოლიტიკას, რომელსაც კადეტების პარტია სისტემატურად ქადაგებდა და ამზადებდა 1917 წლის მარტიდან. იმპერიალისტური ომის განახლება და გაჭიანურება, ზავის შესახებ «ლაყბობის» შეწყვეტა, გაზეთების დახურვის, შემდეგ ყრილობების დახურვის, შემდეგ დაპატიმრებისა და გადასახლების უფლების მინიჭება მინისტრებისათვის, სიკვდილით დასჯის აღდგენა, დახვრეტა ფრონტზე, მუშებისა და რევოლუციური პოლკების განიარაღება, დედაქალაქის გაცემა კონტრრევოლუციური ჯარებით, თვითნებური «დატაცებისათვის» გლეხთა დაპატიმრებისა და დევნის დაწყება, ფაბრიკების დახურვა და ლოკაუტები, — აი ოღონდაც არა სრული სია იმ ღონისძიებებისა, რომლებიც ცხადზე უცხადესად გვიხატავენ ბონაპარტიზმის ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის სურათს.

დამფუძნებელი კრების მოწვევის გადადება და ბონაპარტისტული პოლიტიკის «კორონაცია» მოსკოვში «საერო კრების» მიერ? ეს გარდამავალი ნაბიჯი დამფუძნებელი კრების გადადებისაკენ ომის დამთავრებამდე? განა ეს ბონაპარტისტული პოლიტიკის თვალმარგალიტი არ არის? მართოვი კი ვერ ხედავს, თუ სად არის ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის მთავარი შტაბი... ჰეშმარიტად — ქვებს ხედავს, რიყეს ვერაო.

* * *

რა უსაზღვროდ ბინძური, ლაქიური როლი ითამაშა საბჭოების ცაკმა, ე. ი. მასში გაბატონებულმა ესერებმა და მენშევიკებმა, დამფუძნებელი კრების მოწვევის გადადების საქმეში! კადეტებმა მისცეს ტონი, წამოისროლეს გადადების იდეა, დაიწყეს კამპანია პრესაში, წამოაყენეს კაზაკთა ყრილობა დამფუძნებელი კრების გადადების მოთხოვნით. (კაზაკთა ყრილობა! როგორღა არ უნდა ილაქიონ ლიბერებმა, ავქსენტიევებმა, ჩერნოვებმა და წერეთლებმა!) მენშევიკები და ესერები ცუნცრუკით აედევნენ კადეტებს, ძაღლივით გაცოცდნენ პატრონის სტვენაზე, პატრონის მათრახის მუქარით.

ნაცვლად იმისა, რომ მიეწოდებინათ ხალხისათვის უბრალო შენაჯამი ფაქტიური მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რა თავხედურად, რა უსირცხვილოდ აბიანორებდნენ და აფერხებდნენ კადეტები მარტიდან დამფუძნებელი კრების მოწვევის საქმეს; ნაცვლად იმისა, რომ ემხილებინათ თაღლითური ფანდები და მტკიცება, თითქოს დამფუძნებელი კრების ვადაზე მოწვევა შეუძლებელი იყოს; ნაცვლად ამისა ცაკის ბიურომ სწრაფად უკუაგდო «ეჭვები», რაც გამოთქვა დანმაც კი (დანმაც კი!), და გაგზავნა ორი ლაქია ამ ლაქიური კოლეგიისაგან, ბრამსონი და ბრონზოვი, დროებით მთავრობაში მოსახსენებლად, რომ «აუცილებელია გადაიდოს დამფუძნებელი კრების არჩევნები 28 — 29 ოქტომბრამდე»... ჩინებული შესავალია ბონაპარტისტების კორონაციისათვის საერო კრების მიერ მოსკოვში. ვინც მთლად არ გათახსირებულა, უნდა დაირაზმოს რევოლუციური პროლეტარიატის პარტიის გარშემო. მის გაუმარჯვებლად ვერც ზავს ჩალხი, ვერც მიწას გლეხები, ვერც პურს მუშები და ყველა მშრომელი ვერ მიიღებენ.

«პროლეტარი» № 6,
1917 წ. 1 სექტემბერი (19 აგვისტო)
ხელმოწერა: ნ. კარპოვი

იბეჭდება გაზეთ
«პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

პოლიტიკური შანტაჟი

შანტაჟი ეწოდება ფულის გამოძალვას რაიმე ისეთი ფაქტის ან მოჭორილი «ისტორიის» მხილების მუქარით, რომელიც შეიძლება არასასიამოვნო იყოს სამხილებელი პირისათვის, ან რაიმე სხვა უსიამოვნების მუქარით.

პოლიტიკური შანტაჟი არის ფაქტიური, უფრო ხშირად კი გამოგონილი «ისტორიების» მხილებით დამუქრება ან ამის მხილება იმ მიზნით, რომ მოწინააღმდეგეს მიაყენონ პოლიტიკური ზიანი, ცილი დასწამონ, წაართვან ან გაუძნელონ პოლიტიკური მოღვაწეობის შესაძლებლობა.

ჩვენმა რესპუბლიკურმა, ბოდიში ამ სიტყვისთვის, დემოკრატიულმა ბურჟუებმაც კი და წვრილმა ბურჟუებმა გაითქვეს თავი როგორც პოლიტიკური შანტაჟის გმირებმა დაბეზღების, სიცრუისა და ცილისწამების «კამპანიის» ატეხით მათთვის არასასურველი პარტიებისა და პოლიტიკური მოღვაწეების წინააღმდეგ. ცარიზმი უხეშად, ველურად, მხეცურად სდევნიდა. რესპუბლიკური ბურჟუაზია სდევნის ბ ი ნ ძ უ რ ა დ და ცდილობს მისთვის საძულველ პროლეტარულ რევოლუციონერსა და ინტერნაციონალისტს ჩირქი მოცხოს ცილისწამებით, სიცრუით, ინსინუაციებით, დაბეზღებით, ჰორიკანობით და სხვა და სხვა.

ბოლშევიკებს განსაკუთრებით ჰქონდათ პატივი განეცადათ საკუთარ თავზე რესპუბლიკური იმპერიალისტების მხრივ დევნის ეს ხერხები. ბოლშევიკს საერთოდ შეეძლო თავის თავზე ეთქვა პოეტის ცნობილი სიტყვები:

Он слышит звуки одобренья
Не в сладком ропоте хвалы,
А в диких криках озлобленья[73] *.

გაბოროტების ველური ღმუილი თითქმის იმდროიდანვე, **როგორც კი** დაიწყო რუსეთის რევოლუცია, გაისმის ბოლშევიკის წინააღმდეგ მთელი ბურჟუაზიული და თითქმის მთელი წვრილბურჟუაზიული პრესის ფურცლებიდან. და ბოლშევიკს, ინტერნაციონალისტს, პროლეტარული რევოლუციის მომხრეს სამართლიანად შეუძლია გაბოროტების ამ ველურ ღმუილში «ესმოდეს» მოწონების ხმა, რადგან ბურჟუაზიის ცოფმორეული სიძულვილი ხმირად საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ პროლეტარიატს სწორად და პატიოსნად ემსახურება ის, ვისაც ცილს სწამებენ, ლანძღავენ, სდევნიან.

ბურჟუაზიის ცილისმწამებლური ხერხების შანტაჟური ხასიათი ჩვენ შეგვიძლია განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ნათელვყოთ ისეთი მაგალითით, რომელიც არ ეხება ჩვენს პარტიას, — ესერ ჩერნოვის მაგალითით. ამკარა ცილისმწამებლებმა, კადეტური პარტიის წევრებმა, მილიუკოვისა და გესენის მეთაუროზით, რათა დაეშინებიათ ან გაეგდოთ ჩერნოვი, დაუწყეს მას დევნა მისი საზღვარგარეთული, ვითომცდა, «პორაჟენცული» სტატიებისათვის და ისეთ ადამიანებთან ურთიერთობისათვის, რომლებიც ვითომდა ფულს იღებდნენ გერმანიის იმპერიალიზმის აგენტებისაგან. დევნა გაჩაღდა. მთელმა ბურჟუაზიულმა პრესამ ხელი ჩასჭიდა მას.

მაგრამ აი კადეტები და ესერები «მორიგდნენ» სამანისტროს გარკვეული შემადგენლობის საკითხში. და — საოცრებავ! — ჩერნოვის «საქმე» გაქრა!! რამდენიმე დღეში, გაუსაძართლებლად, გაურჩევლად, დოკუმენტების გამოუქვეყნებლად, მოწმეთა დაუკითხავად, ექსპერტების დასკვნის მიუცემ-

* ესმის ყიჟინა მოწონებისა
განა ტკბილ ხმებში ხოტბა-დიდების, —
ველურ ღმუილში გაბოროტების.

ლად, — «საქმე» გაქრა. როცა კადეტები უკმაყოფილონი იყვნენ ჩერნოვით, წარმოიშვა ცილისმწამებლური «საქმე». როცა კადეტები, თუნდაც დროებით, პოლიტიკურად მოურიგდნენ ჩერნოვს, «საქმე» გაქრა.

აი პოლიტიკური შანტაჟის ნათელი სურათი. პირთა დევნა გაზეთებში, ცილისწამება, ინსინუაციები ბურჟუაზიისა და ისეთი არამზადების ხელში, როგორიც არიან მილიუკოვები, გესენები, ზასლავსკები, დანები და სხვ., პოლიტიკური ბრძოლისა და პოლიტიკური შურისძიების იარაღს წარმოადგენენ. თუ პოლიტიკური მიზანი მიღწეულია, მაშინ NN ან MM-ის წინააღმდეგ მიმართული «საქმეც» «ქრება», რითაც დასტურდება «საქმის» აღმძვრელის ბინძური ბუნება, საზიზღარი უნამუსობა, შანტაჟიზმი.

ვინაიდან ცხადია, რომ არა შანტაჟისტი არავითარი პოლიტიკური ცვლილების დროს არ შეწყვეტდა მხილებას, თუ ის, როცა ამხელდა, პატიოსანი განზრახვით ხელმძღვანელობდა; არა შანტაჟისტი თავის მხილებას ყოველ შემთხვევაში მიიყვანდა ბოლომდე, სასამართლოს განაჩენამდე, საზოგადოებისათვის საქმის სრულ გაცნობამდე, **უ ვ ე ლ ა** დოკუმენტის შეკრებამდე და გამოქვეყნებამდე ან იმის აშკარად და პირდაპირ აღიარებამდე, რომ მის მხრივ ადგილი ჰქონდა შეცდომას ან გაუგებრობას.

ჩერნოვის, არა ბოლშევიკის, მაგალითი ნათლად გვიჩვენებს ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პრესის მხრივ ბოლშევიკების წინააღმდეგ შანტაჟისტური ლაშქრობის ნამდვილ არსს. როდესაც კაპიტალის ამ რაინდებსა და მის მაჩანჩალებს თავიანთი პოლიტიკური მიზანი მიღწეულად ეჩვენათ, როდესაც ბოლშევიკები დააპატიმრეს, მათი გაზეთები დახურეს, — მაშინ შანტაჟისტები **გ ა ჩ უ მ დ ნ ე ნ!** თუმცა მათ ხელში იყო ჭეშმარიტების გამოაშკარავების ყველა საშუალება: პრესაც ჰქონდათ, ფულიც, საზღვარგარეთის ბურჟუაზიაც ეხმარებოდა, რუსეთის მთელი ბურჟუაზიის «საზოგადოებრივი აზრიც» ხელს უწყობდა, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს სახელმწიფო ხელისუფლებაც მეგობ-

რულად მხარს უჭერდა, მაგრამ მაინც, მიუხედავად ყოველივე ამისა, ბოლშევიკების წინააღმდეგ ლაშქრობის გმირები, მილიუკოვები და გესენები, ზასლავსკები და დანები, — გ ა ჩ უ მ დ ნ ე ნ.

ყოველი პატიოსანი კაცისათვის ცხადი ხდება ის, რაც ერთბაშად ცხადი გახდა შეგნებული მუშებისათვის, რომლებსაც მთელი ცხოვრება ამზადებს ბურჟუაზიის ხერხების სწრაფი გამოცნობისათვის, — სახელდობრ: რომ მილიუკოვები და გესენები, ზასლავსკები და დანები და სხვანი და სხვანი — პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი შ ა ნ ტ ა ჟ ი ს ტ ე ბ ი ა რ ი ა ნ. საჭიროა ეს მტკიცედ დავიხსომოთ, განვუმარტოთ მასებს, ყოველდღე ვებეჭდოთ გაზეთში, შევკრიბოთ დოკუმენტები ამაზე ბროშურისათვის, ბოიკოტი გამოვუცხადოთ შანტაჟისტებს და ა. შ. და ა. შ.. აი ცილისწამებისა და შანტაჟის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხები, რომლებიც პროლეტარიატს შეეფერება!

ერთი უკანასკნელთაგანი შანტაჟისაგან დაზარალდა ჩვენი ამხანაგი კამენევი. ის საქმის გარჩევამდე «ჩამოშორდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას». ჩვენი აზრით, ეს შეცდომაა. შანტაჟისტებს სწორედ ეს უნდოდათ. საქმის გარჩევა მათ არა სურთ. კამენევისათვის საკმარისი იყო დაეპირისპირებინა არამზადებისათვის თ ა ვ ი ს ი პარტიის ნდობა — და დაე შემდეგ ეყეფნათ «რეჩის», «ბირჟევკის», «დენის», «რაბოჩაია გაზეტას» და სხვა უმსგავსი გაზეთების ძაღლებს.

თუ ჩვენი პარტია დასთანხმდება თავისი ბელადების ჩამოშორებას საზოგადოებრივი მოღვაწეობისაგან, ბურჟუაზიის მიერ მათთვის ცილის დაწამების გამო, მაშინ პარტია საშინლად დაზარალდება, ვნებას მოუტანს პროლეტარიატს, სიამოვნებას მოჰგვრის მის მტრებს, ვინაიდან ბურჟუაზიას ბევრი გაზეთი აქვს, დაქირავებული შანტაჟისტი კალმოსნები (როგორიცაა ზასლავსკი და კომპ.) კიდევ უფრო მეტი ჰყავს, მისთვის ძალიან ადვილი იქნება «ჩამოაშოროს» საქმეს ჩვენი პარტიული მუშაკები! საქმის გარჩევაზე, ჭეშმარიტების მიგნებაზე იგი არც კი ფიქრობს.

არა, ამხანაგებო! ნუ ავყვებით ბურჟუაზიული პრესის ღმუილს! ნუ ვასიამოვნებთ შანტაჟის არამზადებს — მილიუკოვებს, გესენებს, ზასლავსკებს. დავენდოთ პროლეტარების, 240 000 ინტერნაციონალისტისაგან შემდგარი ჩვენი პარტიის შეგნებული მუშების მსჯავრს. ნუ დაგვავიწყდება, რომ მთელ მსოფლიოში ინტერნაციონალისტებს სდევნიან ბურჟუაზია და მასთან შეკავშირებული ობოროონცები სიცრუის, ცილისწამების, შანტაჟის ხერხებით.

ვიყოთ მტკიცენი შანტაჟისტების სასტიკად დაგმობაში. ვიყოთ ურყევნი სულ მცირედი ეჭვების გარჩევაში შეგნებული მუშების სასამართლოს მიერ, ჩვენი პარტიის სასამართლოს მიერ; ჩვენ ვენდობით ჩვენს პარტიას, ჩვენ მასში ვხედავთ ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებასა და სინდისს, რევოლუციური ინტერნაციონალისტების საერთაშორისო კავშირში ვხედავთ მუშათა კლასის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთ საწინდარს.

და არავითარი უკან დახევა იმათი «საზოგადოებრივი აზრის» წინაშე, ვინც ერთ სამინისტროში ზის კადეტებთან ერთად, ვინც ხელს ართმევს მილიუკოვებს, დანებს, ზასლავსკებს!

ძირს პოლიტიკური შანტაჟისტები! ზიზღი და ბოიკოტი მათ! დაუღალავად ვამხილოთ მათი არამზადა სახელები მუშათა მასების წინაშე! ჩვენ მტკიცედ უნდა ვიაროთ ჩვენი გზით, დავიცვათ ჩვენი პარტიის მუშაობის უნარიანობა, დავიცვათ მისი ბელადები იმისაგანაც კი, რომ ისინი დროს ხარჯავდნენ ბილწებაზე და მათ ბილწ ცილისწამებაზე.

«პროლეტარი» № 10,
1917 წ. 6 სექტემბერი (24 აგვისტო)

იბეჭდება გაზეთ
«პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

ქალალდის რეზოლუციები

ბატონი წერეთელი ერთ-ერთი უაღრესად ყბედი «სოციალისტი» მინისტრია და მეშჩანობის ბელადი. ძნელია ძალა დაატანო თავს და ბოლომდე წაიკითხო მისი უთვალავი სიტყვები, იმდენად უშინაარსო და უხამსია ეს, სრულიად არაფრისმთქმელი, არაფრის დამავალდებულებელი, რაიმე სერიოზულ მნიშვნელობას სრულიად მოკლებული, ჭეშმარიტად «მინისტრული» სიტყვები. ამ მჭევრმეტყველურ «გამოსვლებს» (რომლებსაც სწორედ თავისი სიცარიელით უნდა გაეხადათ წერეთელი ბურჟუაზიის საყვარელ ადამიანად) განსაკუთრებით აუტანელს ხდის ორატორის უსასრულო თავშეყვარებულობა, და ძნელია ხოლმე გადაწყვიტო, არაჩვეულებრივი სიჩლუნგე თუ ცინიკური პოლიტიკური საქმოსნობა იფარება გადასლექილი, გაკრიალებული და მოტკბილო ფრაზებით.

რაც უფრო უშინაარსოა წერეთლის სიტყვა, მით უფრო მეტი ენერგიით უნდა გაესვას ხაზი სრულიად დაუჯერებელ, განსაკუთრებულ შემთხვევას, რაც დაემართა ამ ორატორს პეტროგრადის საბჭოს პლენარულ სხდომაზე 18 აგვისტოს. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: წერეთელს წამოსცდა უბრალო, ნათელი, საქმიანი, მართალი სიტყვა. მას წამოსცდა ისეთი სიტყვა, რომელიც სწორად გამოხატავს ღრმა და სერიოზულ პოლიტიკურ ჭეშმარიტებას, რასაც შემთხვევითი მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ იგი ახასიათებს მთელ

თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას, მის არსებით, ძირითად მხარეებს, მის საფუძვლებს.

წერეთელმა თქვა, «რეჩის» ანგარიშის მიხედვით (მკითხველს ახსოვს, რა თქმა უნდა, რომ წერეთელი ილაშქრებდა სიკვდილით დასჯის გაუქმების რეზოლუციის წინააღმდეგ):

...«ყველავითარი თქვენი რეზოლუციები საქმეს ვერ უშველიან. აქ აუცილებელია არა ქაღალდის რეზოლუციები, არამედ რეალური საქმეები»...

რაც მართალია, მართალია. ჭკვიანური სიტყვების მოსმენაც სასიამოვნოა...

რა თქმა უნდა, წერეთელი უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად თავის თავს ურტყამს, ვინაიდან სწორედ ის, როგორც საბჭოს ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ბელადი, ხელს უწყობდა ამ დაწესებულების გათახსირებას, მის დაყვანას რალაც ლიბერალური საკრებულოს საცოდავ როლამდე, ისეთი საკრებულოსი, რომელიც მემკვიდრეობად უტოვებს მსოფლიოს უძლურების მხრივ სანიმუშო კეთილი სურვილების არჩივს. სწორედ წერეთელს, რომელმაც ესერებისა და მენშევიკების მიერ დასაჭურისებული საბჭოს მეშვეობით ასობით გაატარა «ქაღალდის რეზოლუციები», ყველაზე ნაკლები უფლება ჰქონდა ეყვირა «ქაღალდის რეზოლუციებზე», როდესაც საქმე მიდგა ისეთი რეზოლუციის მიღებაზე, რომელიც თვითონ მას მტკივნეულად ურტყამს. წერეთელმა თავი ჩაიყენა იმ პარლამენტარის განსაკუთრებულ სასაცილო მდგომარეობაში, რომელიც ყველაზე მეტად ფუსფუსებდა «პარლამენტური» რეზოლუციების გამო, ყველაზე მეტად აქებ-ადიდებდა მათს მნიშვნელობას, ყველაზე მეტად ცოდვილობდა მათზე, ხოლო როცა მიიღო რეზოლუცია ს ა კ უ თ ა რ ი თ ა ვ ი ს წინააღმდეგ, მორთო ხმამაღალი ყვირილი «ყურძენი მკვახეაო», ნამდვილად რომ ითქვას, რეზოლუცია ხომ ქაღალდისაა.

და მაინც სიმართლე, თუნდაც ყალბი ადამიანის მიერ და თუნდაც ყალბი ტონით ნათქვამი, სიმართლედ რჩება.

რეზოლუცია ქაღალდისაა არა იმიტომ, რის გამოც ეგი ფუჭად გამოაცხადა ყოფილმა მინისტრმა წერეთელმა,

რომელიც ფიქრობს, რომ რევოლუციის დასაცავად (ხუმრობა არ გეგონოთ!) აუცილებელია სიკვდილით დასჯაო. რეზოლუცია ქალაქდისაა იმიტომ, რომ მასში განმეორებულია შაბლონური ფორმულა, რომელიც 1917 წლიდან გაზეპირებულია და რომელსაც უაზროდ იმეორებენ: «საბჭო მოითხოვს დროებითი მთავრობისაგან». შეეჩვივნენ «მოთხოვნას» და მიეჩვივნენ ამის გამეორებას, ამასთან ვერ ამჩნევენ, რომ მდგომარეობა შეიცვალა, ძალა აღარა აქვთ, ხოლო «მოთხოვნა», რომელიც ძალას არ ეყრდნობა, სასაცილოა.

გარდა ამისა, შაბლონურად განმეორებული «მოთხოვნა» მასებს ილუზიებს უნერგავს, თითქოს მდგომარეობა არ შეცვლილიყოს, თითქოს საბჭო ძალას წარმოადგენდეს, თითქოს «მოთხოვნის» წამოყენებით საბჭოს გაეკეთებინოს საქმე და შეეძლოს დაწვეს და დაიძინოს «რევოლუციური» (ბოდიში...) «დემოკრატის» ძილით, რომელსაც თავისი მოვალეობა შეუსრულებია.

ზოგი მკითხველი, ალბათ, იკითხავს: ნუთუ ბოლშევიკებისათვის, პოლიტიკური სიფხიზლის, ძალთა გათვალისწინების მომხრეებისათვის, ლათაიების მოწინააღმდეგეებისათვის საჭირო არ იყო ხმა მიეცათ რეზოლუციის სასარგებლოდ.

არა. საჭირო იყო ხმის მიცემა თუნდაც იმიტომ, რომ რეზოლუციის ერთი პარაგრაფი (§ 3) შეიცავს საუცხოო, სწორ აზრს (ძირითადს, მთავარს, გადამწყვეტს), რომ სიკვდილით დასჯა არის იარაღი მ ა ს ე ბ ი ს წინააღმდეგ (სხვა საქმეა, ლაპარაკი რომ იყოს იარაღზე მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ). საჭირო იყო ხმის მიცემა, თუმცა მეშჩანმა ესერებმა შებილწეს მარტოვის ტექსტი და ნაცვლად მითითებისა «ხალხისათვის უცხო იმპერიალისტურ» მიზნებზე ჩაურთეს უეჭველად ყალბი, ხალხის მოსატყუებელი, მძარცველური ომის შემფერადებელი ფრაზა «სამშობლოს და რევოლუციის დაცვის» შესახებ.

საჭირო იყო ხმის მიცემა და შენიშვნის გაკეთება, რომ ცალკეულ ადგილებს არ ვეთანხმებით, და შემდეგი განცხადების გაკეთება: «მუშებო! ნუ ფიქრობთ, რომ საბჭოს ახლა

ძალუძს რაიმე მოსთხოვოს დროებით მთავრობას. ნუ მიეცემით ილუზიებს. იცოდეთ, რომ საბჭოს უკვე არ ძალუძს მოითხოვოს, ხოლო ახლანდელი მთავრობა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის სრული ტყვეა. უფრო სერიოზულად ჩაუფიქრდით ამ მწარე ჭეშმარიტებას. ვერავინ დაუშლიდა საბჭოს წევრებს ხმა მიეცათ რეზოლუციის სასარგებლოდ და ამასთან გამოეთქვათ ამა თუ იმ ფორმით ასეთი შენიშვნები.

და მაშინ რეზოლუცია აღარ იქნებოდა «ქაღალდისა».

და მაშინ ჩვენ გვერდს ავუვლიდით წერეთლის პროვოკატორულ კითხვას: ის ეკითხებოდა საბჭოს წევრებს, გინდათ თუ არა «დაამხოთ» დროებითი მთავრობაო — სრულიად ისევე, სიტყვასიტყვით ისევე, როგორც კატკოვი ეკითხებოდა ლიბერალებს ალექსანდრე III დროს, გინდათ თუ არა «დაამხოთ» თვითმპყრობელობაო. ჩვენ ვუპასუხებდით ექს-მინისტრს: საყვარელო მოქალაქევ, თქვენ ეს-ეს არის გამოეცით კატორღული კანონი იმათ წინააღმდეგ, ვინც «ხელყოფს» ან მხოლოდ განიზრახავს «დაამხოს» მთავრობა (შექმნილი შემამულეებისა და კაპიტალისტების შეთანხმებით დემოკრატიის წვრილბურჟუაზიულ გამცემლებთან). ჩვენ სავსებით გვესმის, თქვენ უფრო მეტად შეგაქებდათ ყველა ბურჟუა, რამდენიმე ბოლშევიკისათვის რომ «შეგეფარდებინათ» ეს სასიამოვნო (თქვენთვის) კანონი. მაგრამ ნუ გიკვირთ, თუ ჩვენ ამოცანად არ ვისახავთ გაგიადვილოთ თქვენ ასეთი «სასიამოვნო» კანონის გამოყენების შემთხვევათა მონახვა.

* * *

ვით მზე წყლის მცირე წვეთში, ისე აისახა 18 აგვისტოს ინციდენტში რუსეთის მთელი პოლიტიკური წყობილება. ბონაპარტისტული მთავრობა, სიკვდილით დასჯა, კატორღული კანონი, ამ «სასიამოვნო» (პროვოკატორებისათვის) რამეების დატკბობა სწორედ ისეთივე ფრაზებით, რომლებსაც მიმოაბნევდა ლუი-ნაპოლეონი — თანასწორობის, ძმობის, თავისუფლების, სამშობლოს სახელისა და ღირსების შესახებ,

დიდი რევოლუციის ტრადიციების შესახებ, ანარქიის დათრგუნვის შესახებ.

მოტკბო, გულისამრევად მოტკბო წვრილბურჟუაზიული მინისტრები და ექს-მინისტრები, რომლებიც მკერდზე მუშტს იცემენ და ირწმუნებიან, რომ მათ სული აქვთ, რომ ისინი ამ სულს ღუპავენ, როცა აწესებენ და მიმართავენ მასების წინააღმდეგ სიკვდილით დასჯას, რომ ისინი ამასთან ტირიან — ეს გახლავთ გაუმჯობესებული გამოცემა გასული საუკუნის 60-იანი წლების იმ «პედაგოგისა», რომელიც პიროგოვის ანდერძს მისდევდა და წკეპლავდა უბრალოდ კი არა, ჩვეულებრივად კი არა, ძველებურად კი არა, არამედ ისე, რომ კაცთმოყვარული ცრემლით ნამავდა მდაბიო მოქალაქის შვილს, «კანონიერად» და «სამართლიანად» გაწკეპლილს.

გლეხები, რომლებიც მოატყუეს თავიანთმა წვრილბურჟუაზიულმა ბელადებმა და რომლებსაც ისევ სწამთ, რომ ესერებისა და მენშევიკების ბლოკის შეუღლებიდან ბურჟუაზიასთან შეიძლება იშვას... მიწის კერძო საკუთრების გაუქმება გამოუსყიდველად.

მუშები... მაგრამ იმაზე, თუ რას ფიქრობენ მუშები, ჩვენ გავჩუმდებით, ვიდრე «ჰუმანური» წერეთელი ახალ კატორღულ კანონს არ გააუქმებს.

«რაბოჩი» № 2,
1917 წ. 8 სექტემბერი (26 აგვისტო)

იბეჭდება გაზეთ «რაბოჩის» ტექსტის მიხედვით

სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ

ბევრს ახლა კვლავ აინტერესებს სტოკჰოლმის კონფერენცია. მისი მნიშვნელობის საკითხზე გაზეთები გაცხოველებით მსჯელობდნენ. ეს საკითხი განუყრელად დაკავშირებულია მთელი თანამედროვე სოციალიზმის თვით საფუძვლების შეფასებასთან, განსაკუთრებით იმპერიალისტური ომისადმი მისი დამოკიდებულების მხრივ. აი რატომ არის საჭირო, რომ დაწვრილებით შევჩერდეთ სტოკჰოლმის კონფერენციაზე.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, ე. ი. ბოლშევიკები, თავიდანვე ამ კონფერენციაში მონაწილეობის წინააღმდეგი იყვნენ. ისინი ამასთან ემყარებოდნენ პრინციპულ საფუძვლებს. ყველასათვის ცნობილია, რომ სოციალისტები მთელ მსოფლიოში, ყველა ქვეყანაში, როგორც მეომარ, ისე ნეიტრალურ ქვეყნებში, ომისადმი დამოკიდებულების საკითხის გამო გაითიშნენ ორ დიდ, ძირითად ბანაკად. ერთნი დადგნენ თავიანთი მთავრობების, თავიანთი ბურჟუაზიის მხარეზე. ჩვენ მათ ვუწოდებთ სოციალ-შოვინისტებს, ე. ი. სიტყვით სოციალისტებს, საქმით კი შოვინისტებს. შოვინისტი ეწოდება იმას, ვინც «სამშობლოს დაცვის» ცნებით ჩქმალავს «თავისი» მმართველი კლასების მძარცველურ ინტერესებს. ამ ომში ორივე მეომარი კოალიციის ბურჟუაზია ისახავს მძარცველურ მიზნებს: გერმანიის ბურჟუაზია ომობს ბელგიის, სერბიისა და სხვათა გაძარცვისათვის, ინგლისისა და საფრანგეთისა — გერმანიის კოლონიებისა და სხვათა გაძარც-

ვისათვის, რუსეთისა — ავსტრიის (ლვოვი), თურქეთის (სომხეთი, კონსტანტინეპოლი) გაძარცვისათვის.

ამიტომ ის სოციალისტები, რომლებიც ამ ომში თავიანთ ბურჟუაზიის თვალსაზრისზე დადგნენ, უკვე აღარ არიან სოციალისტები, მათ უღალატეს მუშათა კლასს, ნამდვილად გადავიდნენ ბურჟუაზიის ბანაკში. ისინი პროლეტარიატის კლასობრივი მტრები გახდნენ. და ევროპული და ამერიკული სოციალიზმის ისტორია, განსაკუთრებით II ინტერნაციონალის ეპოქისა, ე. ი. 1889-დან 1914 წლამდე განვლილი დროისა, გვიჩვენებს, რომ სოციალისტთა ნაწილის, მეტადრე ბელადებისა და პარლამენტარების უმრავლესობის ასეთი გადასვლა ბურჟუაზიის მხარეზე შემთხვევითი რამ არ არის. ყველა ქვეყანაში სოციალიზმის სწორედ ოპორტუნისტულმა ფრთამ მოგვცა სოციალ-შოვინისტების მთავარი კადრები. სოციალ-შოვინიზმი, თუ იგი მეცნიერულად განვიხილეთ, ე. ი. თუ ავიღეთ არა ცალკეული პირნი, არამედ მთელი საერთაშორისო მიმდინარეობა მისი განვითარების მხრივ, მის საზოგადოებრივ კავშირურთიერთობათა ერთობლიობის მხრივ, არის თავის ლოგიკურ დასკვნამდე მისული ოპორტუნიზმი.

პროლეტარულ მასებში ყველგან მეტ-ნაკლებად ცხადი და მწვავე ფორმით ეხედათ სოციალ-შოვინისტების მიერ სოციალიზმის გამცემლობის შეგნებას, ეხედათ სიძულვილსა და ზიზღს უთვალსაჩინოესი სოციალ-შოვინისტებისადმი, როგორიც არიან პლეხანოვი რუსეთში, შეიდემანი გერმანიაში, გედი, რენოდელი და კომპ. საფრანგეთში, ჰაინდმანი და სხვები ინგლისში და სხვ. და სხვ.

ყველა ქვეყანაში ომის მანძილზე, ბურჟუაზიის მხრივ გააფთრებული დევნისა და პირზე კლიტის დადების მიუხედავად, დაისახა რევოლუციური ინტერნაციონალიზმის მიმდინარეობა. ეს მიმდინარეობა სოციალიზმის ერთგული დარჩა. ის არ აჰყვა შოვინიზმს, საშუალება არ მისცა მიეჩქმალათ იგი ცრუ ფრაზებით სამშობლოს დაცვის შესახებ, არამედ ამხელდა ამ ფრაზების მთელ სიცრუეს, ამ ომის

მთელ დანაშაულებრიობას, ომისა, რომელსაც ორივე კოალიციის ბურჟუაზია მძარცველური მიზნებისათვის ეწევა. ამ მიმდინარეობას ეკუთვნიან, მაგალითად, ინგლისში მაკლინი, რომელსაც მიუსაჯეს წელიწად-ნახევრის კატორღა ინგლისის მძარცველური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, გერმანიაში — კარლ ლიბკნეხტი, რომელსაც გერმანიის იმპერიალიზმის ავაზაკებმა კატორღა მიუსაჯეს ისეთი «დანაშაულისათვის», როგორიცაა მოწოდება რევოლუციისაკენ გერმანიაში და ამ უკანასკნელის მიერ წარმოებული ომის მძარცველური ხასიათის მხილება. ამავე მიმდინარეობას ეკუთვნიან რუსეთში ბოლშევიკები, რომლებსაც სდევნიან რუსეთის რესპუბლიკურ-დემოკრატიული იმპერიალიზმის აგენტები ისეთივე «დანაშაულისათვის», როგორისთვისაც სდევნიან მაკლინსა და კარლ ლიბკნეხტს.

მარტოოდენ ეს მიმართულებაა სოციალიზმის ერთგული. მხოლოდ და მხოლოდ ამ მიმართულებას არ უღალატნია თავის შეხედულებათა იმ საზეიმო გამოცხადებისათვის, იმ საზეიმო აღთქმისათვის, რომელსაც ერთხმად მოაწერეს ხელი მთელი მსოფლიოს, უკლებლივ ყველა ქვეყნის სოციალისტებმა 1912 წლის ნოემბერს ბაზელის მანიფესტში. ამ მანიფესტში ლაპარაკია სახელდობრ არა ომზე საერთოდ, — ომები სხვადასხვანაირია, — არამედ სწორედ იმ ომზე, რომელიც 1912 წელს ყველასათვის აშკარად მზადდებოდა და 1914 წელს ატყდა, ომზე გერმანიასა და ინგლისს შორის, მათი მოკავშირეებითურთ, მსოფლიო ბატონობისათვის. და ასეთი ომის წინაშე ბაზელის მანიფესტი კრინტსაც არა სძრავს სოციალისტების არც მოვალეობაზე, არც უფლებაზე — «დაიცვან სამშობლო» (ე. ი. გაამართლონ თავიანთი მონაწილეობა ომში), არამედ ყოვლად სრული გარკვეულობით ამბობს, რომ ასეთმა ომმა უნდა მიგვიყვანოს «პროლეტარულ რევოლუციამდეო». სოციალიზმისადმი ღალატი ყველა ქვეყნის სოციალ-შოვინისტების მხრივ განსაკუთრებით ნათლად ჩანს იქიდან, რომ ისინი ყველანი ახლა ლაჩრულად არიდებენ თავს, როგორც ქურდი არიდებს თავს ქურდობის

ადგილს, ბაზელის მანიფესტის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია სწორედ ამ ომის კავშირზე პროლეტარულ რევოლუციასთან.

გასაგებია, თუ რა გაუვალი უფსკრულია სოციალისტებსა, რომლებიც ბაზელის მანიფესტის ერთგულნი დარჩნენ და ომს «უპასუხებენ» პროლეტარული რევოლუციის ქადაგებითა და მომზადებით, და სოციალ-შოვინისტებს შორის, რომლებიც ომს უპასუხებენ «თავიანთი» ნაციონალური ბურჟუაზიისათვის მხარის დაჭერით. გასაგებია, თუ რა უმწეო, გულუბრყვილო და თვალთმაქცურია ჭაპანწყვეტა — «შეარიგონ» ან «გააერთიანონ» ეს ორი მიმდინარეობა.

სწორედ ასეთ ჭაპანწყვეტას მთელი მისი უბადრუკობით ვხედავთ მსოფლიო სოციალიზმის მესამე მიმდინარეობის, ეგრეთწოდებული «ცენტრის» ან «კაუცკელობის» მიმდინარეობის მხრივ («ცენტრის» ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის კარლ კაუცკის სახელის მიხედვით). ომის მთელი სამი წლის მანძილზე ამ მიმდინარეობამ ყველა ქვეყანაში გამოამჟღავნა თავისი სრული უიდეურობა და უმწეობა. მაგალითად, გერმანიაში მოვლენათა მსვლელობამ აიძულა კაუცკელები გასთიშოდნენ გერმანელ პლეხანოვებს და შეექმნათ ცალკეული, ეგრეთწოდებული «დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია»[74], და მიუხედავად ამისა ამ პარტიას ეშინია გააკეთოს აუცილებელი დასკვნები, ის ქადაგებს «ერთიანობას» სოციალ-შოვინისტებთან მსოფლიო მასშტაბით, განაგრძობს მუშათა მასების მოტყუებას ასეთი ერთიანობის აღდგენის იმედით, გერმანიაში აფერხებს «თავის» მთავრობასთან რევოლუციური ბრძოლის ერთადერთ სწორ პროლეტარულ ტაქტიკას, ბრძოლისა ომის დროსაც, ბრძოლისა, რომელიც შეიძლება და კიდევაც უნდა იცვლიდეს თავის ფორმებს, მაგრამ რომელიც არ შეიძლება გადადებულ, გადაწეულ იქნას.

აი როგორია საქმეთა მდგომარეობა საერთაშორისო სოციალიზმში.

თუ ნათლად არ შევაფასეთ ეს მდგომარეობა, თუ პრინციპულად არ შევხედეთ საერთაშორისო სოციალიზმის ყველა მიმდინარეობას, ისე არც კი შეიძლება მივუდგეთ პრაქტიკული ხასიათის საკითხს, მაგალითად, სტოკჰოლმის კონფერენციის საკითხს. საერთაშორისო სოციალიზმის ყველა მიმდინარეობის პრინციპული შეფასება კი მოგვცა მხოლოდ ბოლშევიკების პარტიამ ვრცელ რეზოლუციაში, რომელიც მიღებულია 1917 წლის 24 — 29 აპრილის კონფერენციაზე და დადასტურებულია აგვისტოში ჩვენი პარტიის VI ყრილობის მიერ. ამ პრინციპული შეფასების დავიწყება და ამ რეზოლუციის გაუთვალისწინებლად სტოკჰოლმის შესახებ მსჯელობა სრული უპრინციპობის ნიადაგზე დადგომას ნიშნავს.

როგორც ნიმუში ამ უპრინციპობისა, რომელიც ყველა წვრილბურჟუაზიული დემოკრატის, ესერებისა და მენშევიკების წრეში ბატონობს, შეგვიძლია დავასახელოთ 10 აგვისტოს «ნოვაია ჟიზნში» მოთავსებული სტატია. ეს სტატია სწორედ იმიტომ არის ყურადღების ღირსი, რომ გაზეთში, რომელიც წვრილბურჟუაზიული დემოკრატების ყველაზე მარცხენა ფრთაზე დგას, თავს უყრის ყველაზე გავრცელებულ შეცდომებს, ცრუშეხედულებებს, უიდეურობას სტოკჰოლმის შესახებ.

«სტოკჰოლმის კონფერენციას, — წერს «ნოვაია ჟიზნის» მოწინავე სტატია, — შეიძლება ამა თუ იმ მიზეზით უარყოფით მოვეპყრათ, შეიძლება პრინციპულად დავგმოთ «ობორონცულ უმრავლესობათა» შეთანხმების ცდები. მაგრამ რატომ უნდა უარვყოთ ის, რაც თავისი სიცხადით თვალში გვხვდება? ინგლასელი მუშების ცნობილი გადაწყვეტილების შემდეგ, რომელმაც პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია ქვეყანაში და პირველად ღრმად გაბზარა დიდი ბრიტანეთის «ეროვნული ერთიანობა», — კონფერენციამ ხომ მოიპოვა ისეთი მნიშვნელობა, როგორიც მას დღემდე ჯერ არა ჰქონია».

ეს მსჯელობა უპრინციპობის ნიმუშია. მართლაც, იმ უდავო ფაქტიდან, რომ სტოკჰოლმის კონფერენციის გამო ღრმად გაბზარა «ეროვნული ერთიანობა» ინგლისში, რანაირად შეიძლება დასკვნის გამოყვანა, თითქოს ჩვენ ვალდებული ვართ კი არ გავაორმაგოთ, არამედ შევაკოწიწოთ ეს ბზარი.

პრინციპული საკითხი ასე და მხოლოდ ასე დგას: ობორონცებთან (სოციალ-შოვინისტებთან) კავშირის გაწყვეტა თუ მათთან შეთანხმება. სტოკჰოლმის კონფერენცია შეთანხმების ერთ-ერთი ცდა იყო მრავალი ცდიდან. ამ ცდას წარმატება ვერა ხვდა. მისი წარუმატებლობა იმით არის გამოწვეული, რომ ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტები თანახმანი არ არიან აწარმოონ ა ხ ლ ა მოლაპარაკება ზავის შესახებ, გერმანელი იმპერიალისტები კი თანახმანი არიან. ინგლისელმა მუშებმა უფრო ნათლად იგრძნეს, რომ ინგლისის იმპერიალისტური ბურჟუაზია მათ ატყუებს.

კითხვა იბადება, როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს? ჩვენ, რევოლუციური ინტერნაციონალისტები, ვამბობთ: ეს უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ გავაღრმავოთ პროლეტარული მასების გათიშვა თავიანთ სოციალ-შოვინისტებთან, ბოლომდე მივიყვანოთ ეს გათიშვა, მოვსპოთ ყველა და ყოველგვარი დაბრკოლება, რომელიც ეღობება მასების რევოლუციური ბრძოლის განვითარებას თავიანთი მთავრობების, თავიანთი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ასეთი მოქმედებით სწორედ ჩვენ და მხოლოდ ჩვენ ვაღრმავებთ ბზარს და მივგვყავს იგი გათიშვამდე.

ხოლო ისინი, ვინც სტოკჰოლმში მიდიან, ან, უფრო სწორად, ვინც მასებს უქადაგებენ იქ წასვლის აუცილებლობას, ახლა, როდესაც ცხოვრებამ ეს წამოწყება უკუაგდო, — რას აღწევენ «სინამდვილეში»? მხოლოდ იმას, რომ აკოწიწებენ ბზარს, ვინაიდან სტოკჰოლმის კონფერენციას განზრახ იწვევენ და მხარს უჭერენ ის ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ თ ა ვ ი ა ნ თ მთავრობებს, მინისტერიალისტები ჩერნოვები და წერეთლები, სტაუნინგები, ბრანტინგები, ტრულსტრები, რომ აღარ ვილაპარაკოთ შეიდემანებზე.

აი რა «ხვდება ყველას თვალში თავისი სიცხადით», აი რას იგიწყებენ ან ჩქმალავენ «ნოვაია ჟიზნის» ოპორტუნისტები, როდესაც მსჯელობენ სრულიად უპრინციპოდ და საერთო შეფასებას არ აძლევენ სოციალ-შოვინიზმს, როგორც მიმდინარეობას. სტოკჰოლმის კონფერენცია არის იმპერია-

ლისტურ მთავრობებში მყოფი მინისტრების მასლაათი. რაც უნდა ცდილობდეს «ნოვაია ჟიზნი» გვერდი აუქციოს ამ ფაქტს, მას გვერდს ვერ აუქცევ. მუშებს რომ მოუწოდო — წავიდნენ სტოკჰოლმში, მოუწოდო — დაელოდონ სტოკჰოლმს, მოუწოდო — დაამყარონ რაიმე იმედი სტოკჰოლმზე, ეს იმას ნიშნავს, რომ უთხრა მასებს: თქვენ შეგიძლიათ, თქვენ უნდა ელოდოთ სიკეთეს წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და მინისტრების შეთანხმებისაგან, რომლებიც იმპერიალისტურ მთავრობებში იმყოფებიან და მხარს უჭერენ იმპერიალისტურ მთავრობებს.

სწორედ ამ ყოვლად უპრინციპო, ყოვლად მავნე პროპაგანდას ეწევა, თავისდა შეუმჩნევლად, «ნოვაია ჟიზნი».

ინგლისელ და ფრანგ სოციალ-შოვინისტებსა და მათ მთავრობებს შორის მომხდარი კონფლიქტის გამო მას ავიწყდება, რომ ასეთივე სოციალ-შოვინისტებად, რომლებიც მხარს უჭერენ თავიანთ მთავრობებს, რჩებიან ჩერნოვები, სკობელევები, წერეთლები, ავქსენტიევები, ბრანტინგები, სტაუნინგები, შეიდემანები. განა ეს უპრინციპობა არ არის?

ნაცვლად იმისა, რომ უთხრას მუშებს: შეხედეთ, ინგლისელმა და ფრანგმა იმპერიალისტებმა თავიანთ სოციალ-შოვინისტებსაც კი არ მისცეს ნება წავიდნენ გერმანელ სოციალ-შოვინისტებთან მოსალაპარაკებლად, — მაშასადამე, ომი ინგლისისა და საფრანგეთის მ ხ რ ი ვ ა ც მძარცველური ხასიათისაა, — მაშასადამე, ყ ვ ე ლ ა მთავრობასთან, ყ ვ ე ლ ა სოციალ-შოვინისტთან კავშირის ბოლომდე გაწყვეტის გარდა სხვა ხსნა არ არისო, — ნაცვლად იმისა, რომ თქვას ეს, «ნოვაია ჟიზნი» მუშებს ილუზიებით ანუგეშებს:

«სტოკჰოლმში, — წერს ოგი, — აპირებენ შეთანხმდნენ ზავის შესახებ და ერთად შეიმუშაონ ბ რ ძ ო ლ ი ს საერთო გეგმა: უარისთქმა კრედიტებისათვის ხმის მიცემაზე, კავშირის გაწყვეტა «ეროვნულ ერთიანობასთან», მინისტრების გამოწვევა მთავრობებიდან და სხვ.».

ამ, მთლად ყალბი, ფრაზის მთელი დამამტკიცებელი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვა «ბრძოლა» აქ მსხვილი

შრიფტით არის აწყობილი. თქმა არ უნდა, კარგი დამამტკიცებელი საბუთია!

სამი წლის ომის შემდეგ მუშებს ისევ და ისევ კვებავენ ყოვლად ფუჭი დაპირებით: «სტოკჰოლმში აპირებენ» გაწყვიტონ კავშირი ეროვნულ ერთიანობასთანაო...

ვინ აპირებს ამას? შეიდემანები, ჩერნოვები, სკობელევები, ავქსენტიევები, წერეთლები, სტაუნინგები, ბრანტინგები, ე. ი. სწორედ ის ადამიანები (და პარტიები), რომლებიც წლობითა და თვეობით ატარებენ ეროვნული ერთიანობის პოლიტიკას. რაც უნდა გულწრფელი იყოს «ნოვაია ჟიზნის» რწმენა ასეთი სასწაულისადმი, რაც უნდა კეთილსინდისიერად აღიარებდეს იგი შეხედულებას, თითქოს ეს შესაძლებელი იყოს, ჩვენ მაინც უნდა ვთქვათ, რომ «ნოვაია ჟიზნი» უდიდეს ტყუილს ავრცელებს მუშებს შორის.

«ნოვაია ჟიზნი» ატყუებს მუშებს, როდესაც უნერგავს მათ სოციალ-შოვინისტებისადმი ნდობას: მას ისე გამოუდის, რომ აი, თუმცა დღევანდლამდე სოციალ-შოვინისტები შედიოდნენ სამინისტროებში და ატარებდნენ ეროვნული ერთიანობის პოლიტიკას, მაგრამ სტოკჰოლმში უახლოეს მომავალში ისინი მორიგდებიან, შეთანხმდებიან, საერთო ენას გამონახავენ და შემდგომ ასე აღარ მოიქცევიან. ისინი დაიწყებენ ბრძოლას ზავისათვის, უარს იტყვიან კრედიტებისათვის ხმის მიცემაზეო და სხვა და სხვა...

ყოველივე ეს სრული და უდიდესი მატყუარობაა. ყოველივე ეს არის მუშების რეაქციული დაიმედება და დამშვიდება, მათთვის სოციალ-შოვინისტებისადმი ნდობის ჩანერგვა. მაგრამ იმ სოციალისტებმა, რომლებიც არა სიტყვიერად, არა თავის მოსატყუებლად, არა მუშების მოსატყუებლად «იბრძვიან ზავისათვის», ხომ დიდი ხანია დაიწყეს ასეთი ბრძოლა რაიმე საერთაშორისო კონფერენციების დაუცდელად, დაიწყეს ასეთი ბრძოლა სწორედ ეროვნული ერთიანობის კავშირის გაწყვეტით, სწორედ ისე, როგორც მაკლინმა ინგლისში, კარლ ლიბკნეხტმა გერმანიაში, ბოლშევიკებმა რუსეთში.

«ჩვენ სავსებით გვესმის, — წერს «ნოვაია ჟიზნი», — ბოლშევიკების კანონიერი და სალი სკეპტიციზმი რენოდელებისა და შეიდემანების მიმართ, მაგრამ «რაბოჩი ი სოლდატის» პუბლიცისტებს დოქტრინულად არ სურთ ხეების იქით ტყე დაინახონ: ისინი ვერ ითვალისწინებენ სულისკვეთების შეცვლას მასებში, რომლებსაც ეყრდნობოდნენ რენოდელები და შეიდემანები». საქმე სკეპტიციზმი კი არ არის, ბატონებო, — ეს თქვენშია გაბატონებული სულისკვეთება ინტელიგენტური სკეპტიციზმი, რომელიც ფარავს და გამოხატავს უპრინციპობას. ჩვენ სკეპტიკოსები კი არა ვართ რენოდელებისა და შეიდემანების მიმართ, ჩვენ მათი მტრები ვართ. აქ «შუა უზის დიდი ზღვარი». ჩვენ კავშირი გავწყვიტეთ მათთან და მოვუწოდებთ მასებს ასევე მოიქცნენ. სწორედ ჩვენ და მხოლოდ ჩვენ «ვითვალისწინებთ» სულისკვეთების შეცვლასაც მასებში და კიდევ რაღაც, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანსა და უფრო ღრმას, კიდრე სულისკვეთება და მისი შეცვლაა: მასების ძირითად ინტერესებს, ამ ინტერესების შეურიგებლობას სოციალ-შოვინიზმის პოლიტიკასთან, რომლის წარმომადგენელიც რენოდელები და შეიდემანები არიან. სტოკჰოლმში «ნოვაია ჟიზნის» ვაჟბატონები რუსეთის იმპერიალისტური მთავრობის მინისტრებთან ერთად შეხვდებიან სწორედ შეიდემანებსა და რენოდელებს (ვინაიდან სტაუნინგი და ტრულსტრა, რომ აღარაფერი ვთქვათ ავქსენტიევსა და სკობელევზე, სერიოზულად არაფრით არ განსხვავდებიან რენოდელებისაგან). ჩვენ კი სოციალ-შოვინისტების, სოციალ-შოვინისტების წრის სტოკჰოლმის კომედიას ზურგს ვაქცევთ სწორედ იმ მიზნით და იმისათვის, რომ თვალები ავუხილოთ მასებს, რომ გამოვხატოთ მათი ინტერესები, მოვუწოდოთ მათ რევოლუციისაკენ, გამოვიყენოთ მათი სულისკვეთების შეცვლა არა უპრინციპო შეგუებისათვის ამა თუ იმ სულისკვეთებასთან, არამედ პრინციპული ბრძოლისათვის სოციალ-შოვინიზმთან კავშირის სავსებით გასაწყვეტად.

...«ბოლშევიკებს, — წერს «ნოვაია ჟიზნი», — უყვართ უსაყვედურონ ინტერნაციონალისტებს, რომლებიც სტოკჰოლმს მიდიან, მათი შემთანხმებ-

ლობა შეიდემანებთან და ჰენდერსონებთან და ამავე დროს «ვერ ამჩნევენ», რომ თვითონ ისინი კონფერენციის მიმართ, — რა თქმა უნდა, უაღრესად სხვადასხვა მიზეზით, — მიდიან პლეხანოვებთან, გედებთან და ჰენდმანებთან ერთად».

მართალი არ არის, რომ ჩვენ მივდივართ პლეხანოვებთან ერთად კონფერენციის მიმართ! ეს აშკარა უაზრობაა. ჩვენ პლეხანოვებთან საერთო ის გვაქვს, რომ არა გვსურს წავიდეთ ორჭოფულ კონფერენციაზე სოციალ-შოვინისტების ნაწილთან ერთად. მაგრამ ჩვენი დამოკიდებულება კონფერენციისადმი სრულიადაც არ არის ისეთი, არც პრინციპულად, არც პრაქტიკულად არ არის ისეთი, როგორიცაა პლეხანოვების დამოკიდებულება. თქვენ კი, რომლებიც თქვენს თავს ინტერნაციონალისტებს უწოდებთ, თქვენ მართლაც მიდიხართ კონფერენციაზე შეიდემანებთან, სტაუნინგებთან, ბრანტინგებთან ერთად, თქვენ მართლაც შემთანხმებლობას ეწევით მათთან. ეს ხომ ფაქტია. «საერთაშორისო პროლეტარიატის გაერთიანების დიდ საქმეს» თქვენ უწოდებთ სოციალ-შოვინისტების გაერთიანების წვრილმან, უბადრუკ, უაღრესად ინტრიგანულ, ერთ-ერთი კოალიციის იმპერიალისტებისაგან დამოკიდებულ საქმეს. ეს ფაქტია.

თქვენ, ვითომდა-ინტერნაციონალისტებს, არ შეგიძლიათ უქადაგოთ მასებს სტოკჰოლმში მონაწილეობის მიღება (ძალიან მოსალოდნელია, რომ საქმე ქადაგებას ვერ გასცილდება, ვინაიდან კონფერენცია არ შესდგება, მაგრამ ქადაგების იდეური მნიშვნელობა დარჩება), — თქვენ არ შეგიძლიათ უქადაგოთ მასებს მონაწილეობა მიიღონ სტოკჰოლმში, თუ არ დაახვავებთ ტყუილს, თუ არ დათესავთ ილუზიებს, თუ არ შეალამაზებთ სოციალ-შოვინისტებს, თუ არ ჩააგონებთ მასებს იმის რწმენას, თითქოს სტაუნინგებსა და ბრანტინგებს, სკობელევებსა და ავქსენტიევებს უნარი შესწევდეთ სერიოზულად უკუაგდონ «ეროვნული ერთიანობა».

ჩვენ კი, ბოლშევიკები, ჩვენს პროპაგანდაში სტოკჰოლმის წინააღმდეგ მთელ სიმართლეს ვეუბნებით მასებს, განვა-

გრძობთ სოციალ-შოვინისტების მხილებას, მათთან შეთანხმების პოლიტიკის მხილებას, მიგვყავს მასები მათთან კავშირის სრული გაწყვეტისაკენ. თუ საქმე ისე მოეწყო, რომ გერმანიის იმპერიალიზმი ახლანდელ მომენტს თავისთვის ხელსაყრელად თვლის სტოკჰოლმში მონაწილეობის მისაღებად და იქ გზავნის თავის აგენტებს — შეიდემანებს, ხოლო ინგლისის იმპერიალიზმს მომენტი თავისთვის არახელსაყრელად მიაჩნია და არც კი სურს ახლა ზავზე ლაპარაკი, ჩვენ ვამხელთ ინგლისის იმპერიალიზმს და ვიყენებთ კონფლიქტს ამ იმპერიალიზმსა და ინგლისის პროლეტარულ მასებს შორის იმისთვის, რომ გავაღრმავოთ მათი შეგნება, გავაძლიეროთ ინტერნაციონალიზმის პროპაგანდა, განვუმარტოთ ამ მასებს სოციალ-შოვინიზმთან კავშირის სრული გაწყვეტის აუცილებლობა.

«ნოვაია ჟიზნის» ვითომდა-ინტერნაციონალისტები იქცევიან როგორც ინტელიგენტი იმპრესიონისტები, ე. ი. ადამიანები, რომლებიც უნიათოდ აჰყვებიან ხოლმე წუთიერ განწყობილებას და ივიწყებენ ინტერნაციონალიზმის ძირითად პრინციპებს. «ნოვაია ჟიზნში» მოკალათებული ადამიანები ასე მსჯელობენ: რაკი ინგლისის იმპერიალიზმი წინააღმდეგია სტოკჰოლმის კონფერენციისა, მაშასადამე, ჩვენ მისი მ ო მ ხ რ ე ნ ი უნდა ვიყოთო. მაშასადამე, კონფერენციამ მოიპოვა ის მნიშვნელობა, რომელიც მას დღემდე არა ჰქონდაო.

ასე მსჯელობა ნიშნავს უპრინციპობას სინამდვილეში, ვინაიდან გერმანიის იმპერიალიზმი ხომ ახლა სტოკჰოლმის კონფერენციის მ ო მ ხ რ ე ა თავისი ანგარებიანი და მძარცველური იმპერიალისტური ინტერესების გამო. აბა რად ღირს ისეთი «ინტერნაციონალისტების» «ინტერნაციონალიზმი», რომლებსაც ეშინიათ პირდაპირ აღიარონ ეს უდავო და აშკარა ფაქტი და რომლებიც იძულებული არიან დაემალონ მას. სადა გაქვთ თქვენ, ბატონებო, გარანტია, რომ, როცა სტოკჰოლმში მონაწილეობას მიიღებთ შეიდემანებთან, სტაუნინგებთან და კომპანიასთან ერთად, თქვენ ფაქტიურად

არ გახდებით გერმანიის იმპერიალიზმის საიდუმლო აგენტების სათამაშო, მათი იარაღი? ასეთი გარანტია თქვენ არ შეიძლება გქონდეთ. ასეთი გარანტია არ არის. სტოკჰოლმის კონფერენცია, თუ იგი მაინც შესდგება, რაც ძალიან ნაკლებად არის მოსალოდნელი, იქნება გერმანელი იმპერიალისტების ცდა — მოსინჯონ ნიადაგი ანექსიების ასეთი თუ ისეთი გაცვლის შესაძლებლობისათვის. აი როგორი იქნება სკობელევსა და კომპანიასთან შეიდემანების მჭევრმეტყველური სიტყვების რეალური, ნამდვილი მნიშვნელობა. ხოლო თუ ეს კონფერენცია არ შესდგება, რეალური მნიშვნელობა ექნება თქვენს ქადაგებას მასებში, რომლებსაც იგი უნერგავს ცრუ იმედებს სოციალ-შოვინისტების მიმართ, მათი მოახლოებული, შესაძლო, მოსალოდნელი «გამოსწორების» მიმართ.

ორივე შემთხვევაში თქვენ, რომლებსაც გსურთ ინტერნაციონალისტები იყოთ, სინამდვილეში გამოდიხართ ხან ერთი კოალიციის, ხან ორივე კოალიციის სოციალ-შოვინისტთა ხელშემწყობებად.

ჩვენ კი ვითვალისწინებთ პოლიტიკის ყველა პერიპეტიას და წვრილმანს, ამასთან ვრჩებით თანამიმდევარ ინტერნაციონალისტებად, ვქადაგებთ მუშათა ძმურ კავშირს, სოციალ-შოვინისტებთან კავშირის გაწყვეტას, პროლეტარული რევოლუციისათვის მუშაობას.

«რაბოჩი» № 2,
1917 წ. 8 სექტემბერი (26 აგვისტო)
ხელმოწერა: ნ. კ — ო ვ

იბეჭდება გაზეთ «რაბოჩის» ტექსტის მიხედვით

კუგლიცისტის დღიურიდან

გლეხები და მუშები

«გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს უწყებების» [75] 19 აგვისტოს № 88-ში დაბეჭდილია უაღრესად საინტერესო სტატია; ეს სტატია ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტი უნდა გახდეს ყოველი პარტიული პროპაგანდისტისა და აგიტატორის ხელში, რომელსაც კი საქმე აქვს გლეხობასთან, ყოველი შეგნებული მუშის ხელში, რომელიც კი მიდის სოფელში ან რომელსაც ურთიერთობა აქვს მასთან.

ეს სტატიაა «სანიმუშო განაწესი, შედგენილი 242 განაწესის საფუძველზე, რომლებიც ჩამოიტანეს ადგილობრივმა დეპუტატებმა გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის 1-ლ ყრილობაზე პეტროგრადში 1917 წელს».

ცხადია სასურველი იქნებოდა, რომ გლეხთა დეპუტატების საბჭო რაც შეიძლება უფრო დაწვრილებითს მონაცემებს გამოაქვეყნებდეს ყველა იმ განაწესზე (თუკი აბსოლუტურად შეუძლებელია ყველა იმათი მთლიანად დაბეჭდვა, რაც, რა თქმა უნდა, ყველაფერს აჭობებდა). მაგალითად, განსაკუთრებით საჭიროა გუბერნიების, მაზრების, თემების სრული სია და იმის აღნიშვნა, თუ რამდენი განაწესია მოტანილი ყოველი ადგილიდან, როდის არის განაწესი შედგენილი ან მოტანილი, მოცემული უნდა იყოს თუნდაც ძირითადი მოთხოვნების ანალიზი, რათა შესაძლებელი იყოს იმის დანახვა, არის თუ არა განსხვავებანი ამა თუ იმ პუნქტში რაიონების მიხედვით. ვთქვათ, ქომლობრივი და თემობრივი მიწათმფლობელობის რაიონი, ველიკო-

რუსული და სხვა ეროვნებათა რაიონები, ცენტრის რაიონები და განაპირა მხარეთა რაიონები, რაიონები, სადაც არ იყო ბატონყმობა, და სხვ. — განსხვავდებიან თუ არა ისინი ერთმანეთისაგან ისეთი საკითხების დასმით, როგორიცაა: მთელი გლეხური მიწის საკუთრების უფლების გაუქმება, მიწის პერიოდული ხელახალი დაყოფა, დაქირავებული შრომის დაუშვებლობა, მემამულეთა ინვენტარისა და პირუტყვის კონფისკაცია და სხვა და სხვა. გლეხთა განაწესების არაჩვეულებრივ საგულისხმო მასალის მეცნიერული შესწავლა ასეთი დაწვრილებითი მონაცემების უქონლად შეუძლებელია. ჩვენ კი, მარქსისტები, მთელი ძალ-ღონით უნდა ვცდილობდეთ ამ ფაქტების მეცნიერულ შესწავლას, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენს პოლიტიკას.

უკეთესი მასალის უქონლობის გამო განაწესთა შენაჯამი (ასე ვუწოდებთ ჩვენ «სანიმუშო განაწესს»), ვიდრე დამტკიცებული არ არის, რომ იგი რაიმე ფაქტიურ უსწორობას შეიცავს, რჩება ერთადერთ თავისებურ მასალად, რომელიც, ვიმეორებ, ხელთ უნდა ჰქონდეს ჩვენი პარტიის ყოველ წევრს.

განაწესთა შენაჯამის პირველი ნაწილი შეიცავს ზოგად პოლიტიკურ დებულებებს, პოლიტიკური დემოკრატიის მოთხოვნებს; მეორე — მიწის საკითხს. (იმედი ვიქონიოთ, რომ გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭო ან სხვა ვინმე შეაჯამებს გლეხთა განაწესებსა და რეზოლუციებს ომის საკითხზე.) პირველ ნაწილზე ჩვენ ახლა დაწვრილებით არ შევჩერდებით და აღვნიშნავთ მხოლოდ ორ პუნქტს. მე-6 §-ში მოთხოვნილია ყველა თანამდებობის პირის არჩევა; მე-11 §-ში — მუდმივი არმიის ვაუქმება, ომის დამთავრების შემდეგ. ეს პუნქტები გლეხთა პოლიტიკურ პროგრამას ყველაზე უფრო ახლოებენ ბოლშევიკების პარტიის პროგრამასთან. ამ პუნქტებზე დაყრდნობით ჩვენ მთელს ჩვენს პროპაგანდასა და აგიტაციაში უნდა აღვნიშნავდეთ და ვამტკიცებდეთ, რომ მენშევიკთა და ესერთა ბელადები მოღალატენი არიან არა მარტო სოციალიზმისა, არამედ დემოკრატიი-

საც, ვინაიდან ისინი იცავდნენ, მაგალითად, კრონშტადტში, მოსახლეობის ნების წინააღმდეგ, დემოკრატიის პრინციპების წინააღმდეგ, კაპიტალისტების საამებლად, კომისრის თანამდებობას, რომელსაც უნდა ა მ ტ კ ი ც ე ბ დ ე ს მთავრობა, ე. ი. არა წმინდა არჩევითს თანამდებობას. ესერთა და მენშევიკთა ბელადები პიტერის რაიონულ თვითმმართველობებში და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა დაწესებულებებში, დემოკრატიის პრინციპების წინააღმდეგ, იბრძვიან იმ ბოლშევიკური მოთხოვნის წინააღმდეგ, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშათა მილიციის შექმნა, შემდეგ კი საყოველთაო სახალხო მილიციაზე გადასვლა.

გლეხობის საადგილმამულო მოთხოვნები, განაწესთა შენაჯამის მიხედვით, უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ აუნაზღაურებლად გაუქმდეს ყველა სახეობის მიწის კერძო საკუთრება, გლეხთა მიწის ჩათვლით; გადაეცეს სახელმწიფოს ან თემებს მაღალკულტურულ მეურნეობათა მიწის ნაკვეთები; განხორციელდეს კონფისკაციაქმნილი მიწების მთელი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის კონფისკაცია (გამონაკლისს შეადგენენ მცირემიწიანი გლეხები) და გადაეცეს იგი სახელმწიფოს ან თემებს; არ იქნას დაშვებული დაქირავებული შრომა; თანაბრად განაწილდეს მიწა მშრომელთა შორის და ტარდებოდეს პერიოდული ხელახალი დაყოფა და ა. შ.. დამფუძნებელ კრებამდე, გარდამავალი დროის ღონისძიებათა სახით, გლეხები მოითხოვენ დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ გამოიცეს კანონები მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ, გაუქმდეს კანონები თემიდან გამოყოფის, მიწების მიზომვის და სხვათა შესახებ, ტყეების, სათევზაო და სხვა სარეწების დაცვის შესახებ და სხვ., გრძელვადიან საიჯარო ხელშეკრულებათა გაუქმებისა და მოკლევადიან საიჯარო ხელშეკრულებათა გადასინჯვის შესახებ და სხვ.

საკმარისია ოდნავ ჩავუფიქრდეთ ამ მოთხოვნებს, რათა დავინახოთ, რომ სრულიად შეუძლებელია მათი განხორციელება კაპიტალისტებთან კ ა ვ შ ი რ შ ი, ისე, თუ სავსებით არ გავწყვიტეთ მათთან კავშირი, თუ უაღრესად გადაჭრით

და დაუზოგავად არ ვიბრძოლეთ კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ, თუ არ დავამხეთ მისი ბატონობა.

სოციალისტ-რევოლუციონერების მიერ თავის მოტყუება და გლეხობის მოტყუება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იწყნარებენ და ავრცელებენ იმ აზრს, თითქოს ასეთი გარდაქმნანი, თითქოს მ ს გ ა ვ ს ი გარდაქმნანი შესაძლებელი იყოს ისე, თუ არ დაემხო კაპიტალისტთა ბატონობა, თუ მთელი სახელმწიფო ძალაუფლება არ გადავიდა პროლეტარიატის ხელში, თუ უღარიბესმა გლეხობამ მხარი არ დაუჭირა პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლების უაღრესად გადამწყვეტ, რევოლუციურ ზომებს კაპიტალისტების წინააღმდეგ. სწორედ იმაში მდგომარეობს მნიშვნელობა «სოციალისტ-რევოლუციონერთა» მემარცხენე ფრთისა, რომლის გამოყოფაც წარმოებს, რომ იგი ამტკიცებს ამ მატყუარობის შეგნების ზრდას თვით ამ პარტიის შიგნით.

მართლაც, მთელი კერძომფლობელური მიწის კონფისკაცია ნიშნავს ბანკების ასეული მილიონობით კაპიტალის კონფისკაციას, სადაც ეს მიწები მეტწილად დაგირავებულია. განა წარმოსადგენია ასეთი ღონისძიება, თუ რევოლუციურმა კლასმა რევოლუციური ღონისძიებებით არ გატეხა კაპიტალისტების წინააღმდეგობა. ამასთან საქმე ეხება ყველაზე ცენტრალიზებულ, საბანკო კაპიტალს, რომელიც მილიარდი ძაფით დაკავშირებულია უზარმაზარი ქვეყნის კაპიტალისტური მეურნეობის ყველა უმნიშვნელოვანეს ცენტრთან და რომელიც შეიძლება დაძლეულ იქნას მხოლოდ ქალაქის პროლეტარიატის არა ნაკლებ ცენტრალიზებული ძალით.

შემდეგ. მაღალკულტურულ მეურნეობათა გადაცემა სახელმწიფოსათვის. განა ცხადი არ არის, რომ «სახელმწიფო», რომელსაც შეეძლება აიღოს ეს მეურნეობა და გაუძღვეს მეურნეობას მართლაც მშრომელთა სასარგებლოდ და არა მოხელეებისა და იმავე კაპიტალისტების სასარგებლოდ, უნდა იყოს პროლეტარული რევოლუციური სახელმწიფო.

ცხენსაშენებისა და სხვათა კონფისკაცია, შემდეგ მთელი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის კონფისკაცია, — ეს არა-

თუ კიდევ და კიდევ გიგანტური ლახვრის ჩაცემაა წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებისათვის. ეს არის ნაბიჯები სოციალიზმისაკენ, ვინაიდან ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი ს გადასვლა «მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ან თემის სარგებლობაში» ნიშნავს იმას, რომ აუცილებელია მსხვილი, სოციალისტური მიწათმოქმედება ან სოციალისტური კონტროლი მაინც გაერთიანებულ წვრილ მეურნეობებზე, მათი მეურნეობის სოციალისტური რეგულირება.

მერე დაქირავებული შრომის «დაუშვებლობა»? ეს ფუჭი ფრაზაა, უმწეო, შეუგნებლად-გულუბრყვილო სურვილია დაბეჩავებული წვრილი მეპატრონეებისა, რომლებიც ვერ ხედავენ, რომ მთელი კაპიტალისტური მრეწველობა დადგება, თუ დაქირავებული შრომის სარეზერვო არმია არ იქნება სოფლად, რომ არ შეიძლება «არ დაუშვა» დაქირავებული შრომა სოფლად, თუ იგი დაუშვი ქალაქად, რომ, ბოლოს, სწორედ დაქირავებული შრომის «დაუშვებლობა» სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა ნაბიჯს სოციალიზმისაკენ.

და აქ ჩვენ მივადექით ძირითად საკითხს — გლეხებთან მუშების დამოკიდებულების საკითხს.

20 წელზე მეტია არსებობს მასობრივი სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობა რუსეთში (თუ ვიანგარიშებთ 1896 წლის დიდი გაფიცვებიდან). ამ დიდი ხნის მანძილზე, ორი დიდი რევოლუციის გაყოლებაზე, რუსეთის მთელი პოლიტიკური ისტორიის გაყოლებაზე წითელ ზოლად გასდევს საკითხი: მუშათა კლასი უნდა გაუძღვეს გლეხებს წინ, სოციალიზმისაკენ, თუ ლიბერალურმა ბურჟუამ ათრიოს ისინი უკან, კაპიტალიზმთან შერიგებისაკენ.

სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული ფრთა ყოველთვის მსჯელობს შემდეგი ფრიად ბრძნული ფორმულის მიხედვით: რ ა დ გ ა ნ სოციალისტ-რევოლუციონერები წვრილი ბურჟუები არიან, ამიტომ «ჩვენ» უკუვაგდებთ მათს მეშჩანურ-უტოპიურ შეხედულებას სოციალიზმზე სოციალიზმის ბურჟუაზიული უარყოფის გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს ა ო. მარქსიზმს არხეინად სცვლიან სტრუვიზმით, და მენშევიზმი ეშვება

კადეტის ლაქიის როლამდე, — ლაქიისა, რომელიც «არიგებს» გლეხებს ბურჟუაზიის ბატონობასთან. წერეთელი და სკობელევი, რომლებიც, ჩერნოვთან და ავქსენტიევთან ხელიხელჩაკიდებულნი, გართული არიან იმით, რომ, «რევოლუციური დემოკრატიის» სახელით, ხელს აწერენ კადეტების რეაქციულ მემამულურ ბრძანებებს — ასეთია ამ როლის უკანასკნელი და მეტისმეტად თვალსაჩინო გამოხატულება.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატია, რომელიც არასოდეს არ ამბობდა უარს ესერების წვრილბურჟუაზიული ილუზიების კრიტიკაზე და რომელიც არასოდეს არ ჰკრავდა ბლოკს მათთან სხვანაირად, თუ არა კადეტების წინააღმდეგ, ყოველთვის იბრძვის იმისათვის, რომ გამოჰგლიჯოს გლეხები კადეტების გავლენას, და მეშჩანურ-უტოპისტურ შეხედულებას სოციალიზმზე უპირისპირებს არა ლიბერალურ შერიგებას კაპიტალიზმთან, არამედ რევოლუციურ-პროლეტარულ გზას სოციალიზმისაკენ.

ახლა, როდესაც ომმა არაჩვეულებრივ დააჩქარა განვითარება, წარმოუდგენლად გაამწვავა კაპიტალიზმის კრიზისი, ხალხები დააყენა დაუყოვნებლივი არჩევანის წინ: დაღუპვა თუ მყისვე გაბედული ნაბიჯები სოციალიზმისაკენ, — ახლა ნახევრადლიბერალური მენშევიზმისა და რევოლუციურ-პროლეტარული ბოლშევიზმის განსხვავების მთელი უფსკრული თვალსაჩინოდ, პრაქტიკულად გვევლინება, როგორც ათეული მილიონობით გლეხის მოქმედების საკითხი.

შეურიგდით კაპიტალის ბატონობას, ვინაიდან სოციალიზმისათვის «ჩვენ» ჯერ კიდევ არა ვართ მომწიფებულნი, — აი რას ეუბნებიან გლეხებს მენშევიკები, რომლებიც, სხვათა შორის, აბსტრაქტული საკითხით — საერთოდ «სოციალიზმის» საკითხით სცვლიან კონკრეტულ საკითხს, შეიძლება თუ არა მოვიშუშოთ ომით მოყენებული ჭრილობანი ისე, თუ გაბედული ნაბიჯები არ გადავდგით სოციალიზმისაკენ.

შეურიგდით კაპიტალიზმს, ვინაიდან სოციალისტ-რევოლუციონერები წვრილბურჟუაზიული უტოპისტები არი-

ანო, — აი რას ეუბნებიან გლეხებს მენშევიკები და ესერებთან ერთად მხარს უჭერენ კადეტურ მთავრობას...

ესერები კი მკერდში ხელის ცემით არწმუნებენ გლეხებს, რომ ისინი კაპიტალისტებთან ყოველგვარი ზავის წინააღმდეგი არიან, რომ მათ არასოდეს არ მიაჩნდათ რუსეთის რევოლუცია ბურჟუაზიულ რევოლუციად, — და ა მ ი ტ ო მ ბლოკს ჰკრავენ ს წ ო რ ე დ ოპორტუნისტ სოციალ-დემოკრატებთან, მხარს უჭერენ სწორედ ბურჟუაზიულ მთავრობას... ესერები ხელს აწერენ გლეხობის ყოველგვარ, უაღრესად რევოლუციურ პროგრამებს — იმ ვარაუდით, რომ არ შეასრულონ ეს პროგრამები, იმ ვარაუდით, რომ მაუდქვეშ ამოსდონ ისინი, რომ მოატყუონ გლეხები ყოვლად ფუჭი დაპირებით, ნამდვილად კი ისინი თვეობით არიან გართული კადეტებთან «შემთანხმებლობით» კოალიციურ სამინისტროში.

ესერების ეს აშკარა, პრაქტიკული, უშუალო, ხელშესახები ღალატი გლეხობის ინტერესებისადმი უაღრესად სცვლის მდგომარეობას. უნდა გავითვალისწინოთ ეს ცვლილება, არ შეიძლება მხოლოდ ძველებურად გავწიოთ აგიტაცია ესერების წინააღმდეგ, მხოლოდ ისე, როგორც ჩვენ ამას ვშვრებოდით 1902—1903 წლებში და 1905—1907 წლებში. არ შეიძლება დავჯერდეთ იმ წვრილბურჟუაზიული ილუზიების თეორიულ მხილებას, რომლებიც ეხება «მიწის სოციალიზაციას», «გამთანაბრებელ მიწათსარგებლობას», «დაქირავებული შრომის დაუშვებლობას» და სხვ.

მაშინ ბურჟუაზიული რევოლუციის წინახანი ან დაუმთავრებელი ბურჟუაზიული რევოლუცია იყო, და მთელი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მიგვეყვანა, უწინარეს ყოვლისა, მონარქიის დამხობამდე.

ახლა მონარქია დამხობილია. ბურჟუაზიული რევოლუცია დამთავრებულია იმდენად, რამდენადაც რუსეთი აღმოჩნდა დემოკრატიული რესპუბლიკა კადეტებისა, მენშევიკებისა და ესერებისაგან შემდგარი მთავრობით. ომმა კი სამი წლის განმავლობაში ჩვენ წინ წაგვწია ოცდაათი წლით, შექმნა ევროპაში შრომის საყოველთაო ბეგარა და საწარმოთა იძულებითი

სინდიცირება, ყველაზე მოწინავე ქვეყნები მიიყვანა შიმშილობამდე და გაუგონარ გაჩანაგებამდე და ამრიგად იგი იძულებულს ხდის გადადგან ნაბიჯები სოციალიზმისაკენ.

მხოლოდ პროლეტარიატსა და გლეხობას შეუძლიათ დაამხონ მონარქია — ასეთი იყო ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის ძირითადი, მაშინდელი დროის მიხედვით ძირითადი, განსაზღვრა. და ეს განსაზღვრა სწორი იყო. 1917 წლის თებერვალმა და მარტმა ეს ერთხელ კიდევ დაადასტურეს.

მხოლოდ პროლეტარიატს, რომელიც ხელმძღვანელობს უღარიბეს გლეხობას (ნახევრადპროლეტარებს, როგორც ამბობს ჩვენი პროგრამა), შეუძლია დაამთავროს ომი დემოკრატიული ზავით, მოაშუშოს ამ ომით მოყენებული ჭრილობანი, გადადგას სოციალიზმისაკენ ნაბიჯები, რომლებიც უთუოდ აუცილებელი და გადაუდებელი გახდა, — ასეთია ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის განსაზღვრა ახლა.

აქედან დასკვნა: ესერების წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდასა და აგიტაციაში სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ იმაზე, რომ მათ უღალატეს გლეხებს. ისინი წარმოადგენენ არა ღარიბი გლეხობის მასას, არამედ შეძლებულ მეპატრონეთა უმცირესობას. მათ გლეხობა მიჰყავთ მუშებთან კავშირისაკენ კი არა, არამედ კაპიტალისტებთან კავშირისაკენ, ე. ი. მათდამი დამორჩილებისაკენ. მათ გაჰყიდეს მშრომელი და ექსპლოატირებული მასის ინტერესები სამინისტრო ადგილებისათვის, მენშევიკებთან და კადეტებთან ბლოკისათვის.

ომით დაჩქარებულმა ისტორიამ ისე შორს გადადგა ნაბიჯი, რომ ძველი ფორმულები ახალი შინაარსით შეივსო. «დაჭირავებული შრომის დაუშვებლობა» — ეს წინათ ნიშნავდა მხოლოდ: წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტის ფუჭ ფრაზას. ახლა ეს ცხოვრებაში სხვას ნიშნავს: მილიონობით ღარიბი გლეხი 242 განაწესში ამბობს, რომ მათ სურთ გააუქმონ დაჭირავებული შრომა, მაგრამ არ იციან, თუ როგორ ქნან ეს. ჩვენ ვიცით, როგორ უნდა ვქნათ ეს. ჩვენ ვიცით, რომ ეს შეიძლება მხოლოდ მუშებთან შეკავშირებით, მათი ხელმძღვანელობით,

კაპიტალისტების წინააღმდეგ და არა კაპიტალისტებთან «შემთანხმებლობით».

აი როგორ უნდა შეიცვალოს ახლა ძირითადი ხაზი ჩვენი პროპაგანდისა და აგიტაციისა ესერების წინააღმდეგ, ძირითადი ხაზი ჩვენი სიტყვებისა გლეხობისადმი.

ესერების პარტიამ გიღალატათ თქვენ, ამხანაგო გლეხებო. მან უღალატა ჭოხებს და მიემხრო სასახლეებს, თუ მონარქის სასახლეებს არა, იმ სასახლეებს მაინც, სადაც კადეტები, რევოლუციისა და მეტადრე გლეხთა რევოლუციის მოსისხლე მტრები, სხედან ერთ მთავრობაში ჩერნოვებთან, პეშეხონოვებთან, ავქსენტიევებთან ერთად.

მხოლოდ რევოლუციურ პროლეტარიატს, მხოლოდ მის გამაერთიანებელ ავანგარდს, ბოლშევიკების პარტიას, შეუძლია ნამდვილად შეასრულოს ღარიბ გლეხთა ის პროგრამა, რომელიც გადმოცემულია 242 განაწესში. ვინაიდან რევოლუციური პროლეტარიატი მართლაც მიდის დაჭირავებული შრომის გაუქმებისაკენ ერთადერთი უტყუარი გზით, კაპიტალის დამხობით, და არა მუშის დაჭირავების აკრძალვით, არა ამის «დაუშვებლობით». რევოლუციური პროლეტარიატი მართლაც მიდის მიწების, ინვენტარის, ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო საწარმოების კონფისკაციისაკენ, იქითკენ, რაც გლეხებს სურთ და რის მიცემაც მათთვის ესერებს არ შეუძლიათ.

აი როგორ უნდა შეიცვალოს ახლა გლეხისადმი მიმართული მუშის სიტყვების ძირითადი ხაზი. ჩვენ, მუშებს, შეგვიძლია მოგცეთ და მოგცემთ იმას, რაც ღარიბ გლეხობას სურს და რასაც იგი ეძებს, თუმცა ყოველთვის კი არ იცის, სად და როგორ ეძიოს. ჩვენ, მუშები, კაპიტალისტების წინააღმდეგ ვიცავთ ჩვენს ინტერესებს და ამავე დროს გლეხთა გიგანტური უმრავლესობის ინტერესებს, ხოლო ესერები, რომლებიც კაპიტალისტებს უკავშირდებიან, ღალატობენ ამ ინტერესებს.

* * *

მოვაგონებთ მკითხველს, თუ რას ამბობდა ენგელსი სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გლეხთა საკითხის შესახებ. ენგელსი ხაზს უსვამდა, რომ სოციალისტებს ფიქრადაც არა აქვთ მოახდინონ წვრილ გლეხთა ექსპროპრიაცია, რომ მხოლოდ მ ა გ ა ლ ი თ ი ს ძ ა ლ ი თ ცხადი გახდება მათთვის მანქანური სოციალისტური მიწათმოქმედების უპირატესობანიო [76].

ომმა ახლა პრაქტიკულად დასვა რუსეთის წინაშე სწორედ ამგვარი საკითხი. ინვენტარი ცოტაა. მოხდეს მათი კონფისკაცია და «არ გაიყოს» მაღალკულტურული მეურნეობანი.

გლეხები უკვე იგნებენ ამას. გაჭირვებამ აიძულა გაეგოთ. ომმა აიძულა, ვინაიდან ინვენტარს ვერსად იშოვი. უნდა გაუფრთხილდე მას. მსხვილი მეურნეობა კი ნიშნავს შრომის დაზოგვას ინვენტარზე, ისევე როგორც ბევრ სხვა რამეზე.

გლეხებს სურთ დაიტოვონ წვრილი მეურნეობა, სურთ მისი გათანაბრებითი ნორმირება, პერიოდულად კვლავ გათანაბრება... დაე. ამის გამო არც ერთი გონიერი სოციალისტი არ დაშორდება ღარიბ გლეხობას. თუ მიწები კონფისკაციაქმნილია, ეს ნ ი შ ნ ა ვ ს, რომ ბანკების ბატონობას ძირი გამოეთხარა, თუ ინვენტარი კონფისკაციაქმნილია, ეს ნ ი შ ნ ა ვ ს, რომ კაპიტალის ბატონობას ძირი გამოეთხარა, — მაშინ, ც ე ნ ტ რ შ ი პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ბ ა ტ ო ნ ო ბ ი ს ა ს, პროლეტარიატის ხელში პოლიტიკური ძალაუფლების გადასვლისას, დანარჩენი თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ მოეწყობა, გაჩნდება «მაგალითის ძალის» შედეგად, ჩაგონებული იქნება თვით პრაქტიკით.

პოლიტიკური ძალაუფლების გადასვლა პროლეტარიატის ხელში — აი რა არის თავიდათავი. და მაშინ ყოველივე არსებითი, ძირითადი, მთავარი, რაც კი არის 242 განაწესის პროგრამაში, გ ა ნ ს ა ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ე ლ ი ხ დ ე ბ ა. ცხოვრება კი გვიჩვენებს, თუ რა სახეცვლილებით განხორციელდება ეს. ეს მეცხრეხარისხოვანი საქმეა. ჩვენ დოქტრინერები არა

ვართ. ჩვენი მოძღვრება დოგმა კი არ არის, არამედ მოქმედების სახელმძღვანელოა.

ჩვენ არ ვაცხადებთ პრეტენზიას, რომ მარქსმა ან მარქსისტებმა იციან სოციალიზმისაკენ წამყვანი გზა მთელი მისი კონკრეტობით. ეს უაზრობაა. ჩვენ ვიცით ამ გზის მიმართულება, ჩვენ ვიცით, თუ რა კლასობრივ ძალებს მივყავართ ამ გზით, ხოლო კონკრეტულად, პრაქტიკულად, ამას გვიჩვენებს მხოლოდ მ ი ლ ი ო ნ ე ბ ი ს გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა, როდესაც ისინი ხელს მოჰკიდებენ საქმეს.

დავნდეთ მუშებს, ამხანაგო გლეხებო, გაწყვიტეთ კავშირი კაპიტალისტებთან! მხოლოდ მუშებთან მჭიდრო კავშირით შ ე გ ი ძ ლ ი ა თ თქვენ დაიწყოთ 242 განაწესის ნამდვილად განხორციელება. კაპიტალისტებთან კავშირში, ესერების ხელმძღვანელობით, თქვენ ვერასოდეს ვერ მოესწრებით ვ ე რ ც ე რ თ გაბედულ, მტკიცე ნაბიჯს ამ პროგრამის შესაბამისად.

ხოლო როცა ქალაქის მუშებთან შეკავშირებით, კაპიტალის წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლით დ ა ი წ ყ ე ბ თ თქვენ 242 განაწესის პროგრამის განხორციელებას, მაშინ მთელი მსოფლიო დაგვეხმარება, მაშინ ამ პროგრამის წარმატება — არა მისი ახლანდელი ფორმულირებით, არამედ მისი დედაარსის მხრივ — უზრუნველყოფილი იქნება. მაშინ აღსასრული დაუდგება კაპიტალის ბატონობას და დაქირავებულ მონობას. მაშინ დაიწყება სოციალიზმის მეუფება, მშვიდობის მეუფება, მშრომელთა მეუფება.

«რაბოჩი» № 6,
1917 წ. 11 სექტემბერი (29 აგვისტო)
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «რაბოჩის» ტექსტის მიხედვით

ცილისმწამებელთა შესახებ

«რეჩის» 20 აგვისტოს №-ში, აგრეთვე «რუსსკაია ვოლიაში», გაზეთში, რომელიც დაარსებულია აშკარად ბნელი გზით მიღებული ფულით და ურჩევს ამომრჩევლებს, თუ ისინი «სოციალისტურად არიან განწყობილნი», ხმა მისცენ «ედინსტვოს» და «სახალხო სოციალისტებს», ერთხელ კიდევ მოთავსებულია ცილისმწამებლური განცხადებანი ჩემს შესახებ.

ეს ცნობები, ორივე გაზეთის სიტყვით, ეკუთვნის «სამხედრო სამინისტროს», ხოლო «რეჩი» იმასაც კი ამტკიცებს, რომ ისინი დასტურდებიან «დოკუმენტური მონაცემებით და ცალკეულ პირთა მრავალრიცხოვანი ჩვენებით».

კანონი პრესაში ცილისწამების შესახებ ფაქტიურად შეჩერებულია რუსეთში. ბატონ ცილისმწამებლებს, განსაკუთრებით ბურჟუაზიულ პრესაში, სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული: გამოდი პრესაში ანონიმურად, იცრუე და ცილი დასწამე, რამდენიც გინდა, ამოეფარე ვითომდა ოფიციალურ ცნობებს, თუნდაც ეს ცნობები არც ერთი ოფიციალური პირის მიერ არ იყოს ხელმოწერილი, — ყველაფერი შეგრჩება! ბინძური ცილისმწამებლები ბბ. მილიუკოვების მეთაურობით ხელუხლებლობის პრივილეგიით სარგებლობენ.

ცილისმწამებელნი ამტკიცებენ, თითქოს მე გარკვეული ურთიერთობა მქონდა «უკრაინის განთავისუფლების კავშირთან». მილიუკოვის გაზეთი წერს: «გერმანიის მთავრობის მიერ ლენინს დავალებული ჰქონდა გაეწია ზავის პროპაგანდა», «ბერლინში იყო სოციალისტების ორი კრება, რომლებშიც

მონაწილეობას იღებდნენ ლენინი და იოლტუხოვსკი». ხოლო «რუსსკაია ვოლია» ამ უკანასკნელ ფრაზას დასძენს: «ლენინი ბინად იოლტუხოვსკისთან ჩერდებოდაო».

თუ ბ-ნ მილიუკოვს და მის მსგავს სხვა არამზადებს, საზიზღარი ცილისწამების რაინდებს, მინიჭებული აქვთ სრული დაუსჯელობა, მე დამრჩენია ერთი რამ: ერთხელ კიდევ გავიმეორო, რომ ეს ცილისწამებაა, ერთხელ კიდევ დავუპირისპირო შანტაჟის რაინდებს, რომლებიც იმოწმებენ მოწმეთა წერილს, მასისათვის ცნობილი მოწმე.

«უკრაინის განთავისუფლების კავშირის» ერთ მოღვაწეს, ბასოკს, მე ვიცნობ 1906 წლიდან, როდესაც ის, როგორც მენშევიკი, მონაწილეობდა ჩემთან ერთად სტოკჰოლმის ყრილობაში. 1914 წლის შემოდგომაზე თუ 1915 წლის დამდეგს, როდესაც მე ბერნში ვცხოვრობდი, ჩემთან ბინაზე მოვიდა ცნობილი კავკასიელი მენშევიკი ტრია, რომელიც კონსტანტინეპოლიდან ჩამოვიდა. ტრიამ მიამბო, რომ ბასოკი მონაწილეობდა «უკრაინის განთავისუფლების კავშირში» და რომ ამ კავშირს ურთიერთობა ჰქონდა გერმანიის მთავრობასთან. ტრიამ ამასთან გადმომცა ბასოკის წერილი ჩემდამი. ამ წერილში ბასოკი თანაგრძნობას მიცხადებდა და იმედს გამოთქვამდა, რომ ჩვენი შეხედულებანი ერთმანეთს დაუახლოვდებოდნენ. მე ისე აღშფოთებული ვიყავი, რომ დაუყოვნებლივ, ტრიას დასწრებით, მივწერე პასუხი ბასოკს და წერილი გავატანე იმავე ტრიას გადასაცემად, რადგან ტრია აპირებდა ერთხელ კიდევ ჩასულიყო კონსტანტინეპოლში.

ბასოკისადმი წერილში მე ვაცხადებდი, რომ რადგან თქვენ ურთიერთობას აბამთ ერთ-ერთ იმპერიალისტთან, ჩვენი გზები უსათუოდ შორდება ერთმანეთს და ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს-მეთქი.

ამით განისაზღვრა ჩემი ყოველგვარი ურთიერთობა «უკრაინის განთავისუფლების კავშირთან».

«რაბოჩი» № 8,
1917 წ. 12 სექტემბერი (30 აგვისტო)
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება გაზეთ «რაბოჩის» ტექსტის მიხედვით

რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს

შესაძლოა, ამ სტრიქონებს დააგვიანდეს, რადგან მოვლენები სწრაფად, ზოგჯერ პირდაპირ თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდება. ამას მე ვწერ ოთხშაბათს, 30 აგვისტოს, ადრესატები კი წაიკითხავენ არა-უადრეს პარასკევისა, 2 სექტემბრისა. მაგრამ მაინც, რისკზე, მოვალეობად მიმაჩნია დავწერო შემდეგი.

კორნილოვის აჯანყება მოვლენათა მეტისმეტად მოულოდნელი (ასეთ მომენტში და ასეთი ფორმით მოულოდნელი) და პირდაპირ მეტისმეტად მძაფრი შემობრუნებაა.

როგორც ყოველი მძაფრი შემობრუნება, იგი მოითხოვს ტაქტიკის გადასინჯვასა და შეცვლას. და, როგორც ყოველი გადასინჯვისას, უაღრესად ფრთხილნი უნდა ვიყოთ, რომ უპრინციპობა არ გამოვიჩინოთ.

ჩემი შეხედულებით, უპრინციპობას იჩენენ ისინი, ვინც (ვოლოდარსკის მსგავსად) ეშვება ობორონცობამდე ან (სხვა ბოლშევიკების მსგავსად) ესერებთან ბლოკამდე, დროებითი მთავრობისათვის მხარის დაჭერამდე. ეს უალრესი შეცდომაა, ეს უპრინციპობაა. ჩვენ ობორონცები გავხდებით **მხოლოდ** მასშემდეგ, რაც ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში გადავა, ზავის შეთავაზების შემდეგ, მასშემდეგ, რაც უკუვაგდებთ საიდუმლო ხელშეკრულებებს და კავშირს ბანკებთან, **მხოლოდ ამის შემდეგ**. ვერც რიგის აღება, ვერც პიტერის აღება ვერ გაგეხდის ჩვენ ობორონცებად. (ძალიან გთხოვთ წააკითხოთ ეს ვოლოდარსკის.) მანამდე ჩვენ

პროლეტარული რევოლუციის მომხრენი ვართ, ომის წინააღმდეგნი ვართ, ობორონცები არა ვართ.


ხოლო კერენსკის მთავრობას კი ჩვენ ახლა კი არ უნდა დავუჭიროთ მხარი. ეს უპრინციპობაა. შეგვეკითხებიან: ნუთუ არ უნდა ვიბრძოლოთ კორნილოვის წინააღმდეგ? რა თქმა უნდა, უნდა ვიბრძოლოთ! მაგრამ ეს ერთი და იგივე არ არის; აქ არის ზღვარი; ამ ზღვარს სცილდება ზოგი ბოლშევიკი, რომლებიც «შემთანხმებლობას» იჩენენ და მოვლენათა დინებას აჰყოლიან.

ჩვენ ვიომებთ, ჩვენ ვომობთ კორნილოვის წინააღმდეგ, ისევე როგორც კერენსკის ჯარები, მაგრამ ჩვენ მხარს კი არ ვუჭერთ კერენსკის, პირიქით ვამხელთ მის სისუსტეს. ეს განსხვავებაა. ეს განსხვავება არცთუ ისე შესამჩნევია, მაგრამ უაღრესად არსებითია, და მისი დავიწყება არ შეიძლება.

რაშია ჩვენი ტაქტიკის ცვლილება კორნილოვის აჯანყების შემდეგ?

იმაში, რომ ჩვენ ვცვლით კერენსკის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის ფორმას. ჩვენ ოდნავ არ ვასუსტებთ მტრობას მისდამი, უკან არ ვიხევთ მის წინააღმდეგ ნათქვამ არც ერთ სიტყვას, ხელს არ ვიღებთ კერენსკის დამხობის ამოცანაზე, მაგრამ ვამბობთ: ანგარიში უნდა გავუწიოთ მომენტს, ახლა ჩვენ არ დავიწყებთ კერენსკის დამხობას, ჩვენ ახლა სხვანაირად მივუდგებით მასთან ბრძოლის ამოცანას, სახელდობრ: განვუმარტავთ ხალხს (რომელიც იბრძვის კორნილოვის წინააღმდეგ) კერენსკის სისუსტესა და ქანაობას. ამას წინათაც ვაკეთებდით, მაგრამ ახლა ეს მთავარი გახდა: ამაშია ცვლილება.

შემდეგ, ცვლილება იმაშია, რომ ახლა მთავარი გახდა: აგიტაციის გაძლიერება თავისებური «ნაწილობრივი მოთხოვნებისათვის» კერენსკისადმი — დააპატიმრე მილიუკოვი, შეაიარაღე პიტერელი მუშები, მოიხმე კრონშტადტის, ვიბორგისა და ჰელსინგფორსის ჯარები პიტერში, გარეკე სახელმწიფო სათათბირო, დაპატიმრე როძიანკო, დაიკანონე მემამულეთა მიწების გადაცემა გლეხებისათვის, შემოიღე მუშათა კონტ-



პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის წერილისა რსდმპ ცენტრალური კომიტეტისადმი. — 1917 წ. 30 ავგუსტო (12 სექტემბერი)

დაპატარავებულია

როლი პურზე და ფაბრიკებზე და სხვა და სხვა. და არა მარტო კერენსკის, **არა იმდენად** კერენსკის უნდა წავუყენოთ ჩვენ ეს მოთხოვნები, რამდენადაც მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს, რომლებიც გატაცებულნი არიან კორნილოვის წინააღმდეგ ბრძოლის მსვლელობით. აღვაგზნოთ ისინი შემდგომაც, წავახალისოთ ისინი დახოცონ გენერლები და ოფიცრები, რომლებიც კი მხარს უჭერენ კორნილოვს, დაჟინებით ვეცადოთ, რათა მათ მოითხოვონ ახლავე გადაეცეს მიწა გლეხებს, ჩავუნერგოთ მათ აზრი, რომ აუცილებელია როძიანკოს და მილიუკოვის დაპატიმრება, სახელმწიფო სათათბიროს გარეკვა, «რეჩისა» და სხვა ბურჟუაზიული გაზეთების დახურვა, მათი საქმის გამოძიება. განსაკუთრებით უნდა წავუბიძგოთ აქეთ «მემარცხენე» ესერებს.

სწორი არ იქნებოდა გვეფიქრნა, რომ ჩვენ უფრო დავშორდით პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის ამოცანას. არა. ჩვენ უაღრესად მივუახლოვდით მას, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ სხვა მხრიდან. და **ამ წუთს** აგიტაცია უნდა გავწიოთ არა იმდენად პირდაპირ კერენსკის წინააღმდეგ, რამდენადაც არაპირდაპირ, მის წინააღმდეგვე, მაგრამ არაპირდაპირ, სახელდობრ: მოვითხოვოთ აქტიური და უაღრესად აქტიური, ჭეშმარიტად რევოლუციური ომი კორნილოვის წინააღმდეგ. მარტოოდენ ამ ომის განვითარებას შეუძლია მიგვიყვანოს ჩვენ ძალაუფლებამდე, აგიტაციის დროს ამაზე **ლაპარაკი** რაც შეიძლება ნაკლებადაა საჭირო (ამასთან მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მოვლენებს შეუძლიათ ხვალვე დაგვაყენონ ძალაუფლების სათავეში და მაშინ მას ხელიდან არ გავუშვებთ). ჩემი აზრით, ეს საჭიროა აგიტატორებისათვის განკუთვნილ წერილში (არა პრესაში) ვაცნობოთ აგიტატორთა და პროპაგანდისტთა კოლეგიებს, პარტიის წევრებს საერთოდ. ფრაზებს ქვეყნის თავდაცვაზე, რევოლუციური დემოკრატიის ერთიან ფრონტზე, დროებითი მთავრობისათვის ზურგის დაჭერაზე და სხვ. და სხვ. უნდა ვებრძოლოთ დაუზოგავად, სწორედ როგორც ფრაზებს. ახლა საქმის

დროა: თქვენ, ბბ. ესერებო და მენშევიკებო, დიდი ხანია ეს ფრაზები გაცვითეთ. ახლა საქმის დროა, ომი კორნილოვის წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ რევოლუციურად, ჩავაბათ მასში მასები, ფეხზე დავაყენოთ, აღვაგზნოთ ისინი (კერენსკის კი **ეშინია** მასებისა, ე შ ი ნ ი ა ხალხისა). გერმანელთა წინააღმდეგ ომში ახლა სწორედ საქმეა საჭირო: **დაუყოვნებლივ** და **უსათუოდ შ ე ვ თ ა ვ ა ზ ო თ ზავი ზუსტი** პირობების საფუძველზე. თუ ამას ვიზამთ, **შეიძლება** ან მალე მივაღწიოთ ზავს, ან ომის გადაქცევას რევოლუციურ ომად, თორემ ყველა მენშევიკი და ესერი იმპერიალიზმის ლაქია რჩება.

P. S. ამის დაწერის **შემდეგ** «რაბოჩის» ექვსი ნომერი წავიკითხე და უნდა ვთქვა, რომ ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ერთმანეთს. მთელი სულითა და გულით მივესალმები საუცხოო მოწინავეებს [77], პრესის მიმოხილვას და ვ. მ-ნის და ვოლ-ის სტატიებს. ვოლოდარსკის სიტყვის შესახებ წავიკითხე მისი წერილი რედაქციისადმი: ეს წერილიც «ალიკვიდირებს» ჩემს საყვედურს. ერთხელ კიდევ საუკეთესო სალამი და სურვილები!

ლ ე ნ ი ნ

დაწერილია 1917 წ. 30 აგვისტოს
(12 სექტემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1920 წ.
7 ნოემბერს გაზეთ «პრავდაში» № 250

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პუბლიცისტის დღიურიდან

1. ბოროტების ფესვი

ჩვენ რომ გავშინჯოთ «ნოვაია ჟიზნის» მწერალი ნ. სუხანოვი, უეჭველად ყველა დაგვეთანხმება, რომ ეს არის წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის უცუდესი კი არა, არამედ ერთერთი საუკეთესო წარმომადგენელი. მას აქვს გულწრფელი მიდრეკილება ინტერნაციონალიზმისადმი, რაც მან დაამტკიცა უაღრესად მძიმე დროს, ცარისტული რეაქციისა და შოვინიზმის პარპაშის დროს. მას აქვს ცოდნა და სურვილი — დამოუკიდებლად გაერკვეს სერიოზულ საკითხებში, რაც მან დაამტკიცა თავისი ხანგრძლივი ევოლუციით ესერელობიდან რევოლუციური მარქსიზმის მიმართულებით.

მით უფრო დამახასიათებელია, რომ ასეთ ადამიანებსაც კი შეუძლიათ, რევოლუციის უაღრესად პასუხსაგებ მომენტებში, რევოლუციის ძირითად საკითხებზე გაუმაპინძლდნენ მკითხველს ისეთი მოუფიქრებელი მსჯელობით, როგორიცაა ქვემოთმოყვანილი მსჯელობა:

...«თუმცა ბევრი რევოლუციური მონაპოვარი დავკარგეთ ამ უკანასკნელ კვირეებში, მაგრამ ერთი მათგანი, და იქნებ უმნიშვნელოვანესი, მაინც ძალაში რჩება: მთავრობას და მის პოლიტიკას მხოლოდ საბჭოთა უმრავლესობის ნების წყალობით შეუძლიათ გაძლება. რევოლუციურმა დემოკრატიამ მთელი თავისი გავლენა საკუთარი სურვილით დასთმო; დემოკრატიულ ორგანოებს ჯერ კიდევ საესებით იოლად შეეძლოთ ეს გავლენა დაებრუნებინათ; და მომენტის მოთხოვნათა სათანადო გაგებისას გაუჭირვებლად შეეძლოთ მოექციათ დროებითი მთავრობის პოლიტიკა სათანადო კალაპოტში» («ნოვაია ჟიზნ» № 106, 20 ავგისტო).

ეს სიტყვები შეიცავენ ყოვლად მოუფიქრებელ, ყოვლად საკვირველ შეცდომას რევოლუციის უმნიშვნელოვანეს საკითხზე, ამასთან სახელდობრ ისეთ შეცდომას, რომელსაც ყველაზე უფრო ხშირად ავრცელებენ სულ სხვადასხვა ქვეყნის წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის წრეში და რომელმაც ყველაზე მეტი რევოლუციები დაღუპა.

როდესაც უფიქრდები წვრილბურჟუაზიული ილუზიების ამ ჯამს, რომელსაც შეიცავს ზემოთმოყვანილი მსჯელობა, უნებლიეთ მოგდის თავში აზრი, რომ «ნოვაია ჟიზნის» მოქალაქენი შემთხვევით როდი სხედან «გამაერთიანებელ ყრილობაზე»[78] მინისტრებთან, მინისტერიაბელურ სოციალისტებთან ერთად, წერეთლებთან და სკობელევებთან ერთად, მთავრობის წევრებთან — კერენსკის, კორნილოვის და კომპ. ამხანაგებთან ერთად. სრულიადაც არა შემთხვევით. მათ მართლაც ერთი საერთო იდეური საფუძველი აქვთ: უაზრო, ფილისტერთა წრიდან უკრიტიკოდ გადმოღებული მეშჩანური გულმინდობილობა კეთილი სურვილების მიმართ. ვინაიდან სწორედ ასეთი გულმინდობილობით არის გაჟღენთილი სუხანოვის მთელი მსჯელობა, ისევე როგორც იმ მენშევიკ-ობორონცების მთელი საქმიანობა, რომლებიც კეთილსინდისიერად მოქმედებენ. ამ წვრილბურჟუაზიულ გულმინდობილობაშია ჩვენი რევოლუციის ბოროტების ფესვი.

სუხანოვი უეჭველია ორივე ხელს მოაწერდა მოთხოვნას, რომელსაც მარქსიზმი უყენებს ყოველ სერიოზულ პოლიტიკას, სახელდობრ: რომ მას საფუძვლად ედოს, მის საფუძვლად აღებულ იქნას ფ ა ქ ტ ე ბ ი, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ზუსტ ობიექტურ შემოწმებას. ვცადოთ ამ მოთხოვნის თვალსაზრისით მივუდგეთ სუხანოვის მტკიცებას მოყვანილ ციტატაში.

რა ფაქტები უდევს საფუძვლად ამ მტკიცებას? რით დაამტკიცებდა სუხანოვი, რომ მთავრობას «შეუძლია გაძლება მხოლოდ» საბჭოების «ნების წყალობით», რომ მათთვის «სავსებით იოლია» «დაიბრუნონ მთელი თავიანთი გავლენა», რომ

ისინი «გაუჭირვებლად» შესძლებდნენ შეეცვალათ დროებითი მთავრობის პოლიტიკა.

სუხანოვს შეეძლო დაემოწმებინა, ჯერ ერთი, თავისი საერთო შთაბეჭდილება, საბჭოების ძლიერების «სიცხადე», კერენსკის გამოცხადება საბჭოში, ამა თუ იმ მინისტრის თავაზიანი სიტყვები და სხვა. ეს უკვე, რა თქმა უნდა, სავსებით ცუდი დამამტკიცებელი საბუთი იქნებოდა, უფრო სწორად — დამამტკიცებელი საბუთების სრული უქონლობის, ობიექტური ფაქტების სრული უქონლობის აღიარება იქნებოდა.

მეორეც, სუხანოვს შეეძლო დაემოწმებინა ის ობიექტური ფაქტი, რომ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა რეზოლუციების გიგანტური უმრავლესობა გადაჭრით ემხრობა საბჭოებს და მხარს უჭერს მათ. ეს რეზოლუციები ხალხის უმრავლესობის ნებას ამტკიცებენო.

ასეთი მსჯელობა ისევე ჩვეულებრივია ფილისტერთა წრეში, როგორც პირველი. მაგრამ იგი სრულიად უსაფუძვლოა.

ყველა რევოლუციაში მუშათა და გლეხთა უმრავლესობის ნება, ე. ი., უეჭველია, მოსახლეობის უმრავლესობის ნება, დემოკრატიის მხარეზე იყო. და მიუხედავად ამისა რევოლუციების დიდი უმრავლესობა დემოკრატიის დამარცხებით დამთავრდა.

მარქსი, ითვალისწინებდა რა რევოლუციების უმრავლესობის და განსაკუთრებით 1848 წლის რევოლუციის ამ გამოცდილებას (რევოლუციისა, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავს ჩვენს ახლანდელ რევოლუციას), ულმობლად დასცინოდა წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს, რომელთაც უნდოდათ რეზოლუციებითა და ხალხის უმრავლესობის ნების დამოწმებით გაემარჯვნათ.

ჩვენი საკუთარი გამოცდილება კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ადასტურებს ამას. 1906 წლის გაზაფხულზე, უეჭველია, მუშათა და გლეხთა რეზოლუციების უმრავლესობა მხარს უჭერდა პირველ სათათბიროს. ხალხის უმრავლესობა, უეჭველია, ამ სათათბიროს მხარეზე იყო. და მიუხედავად ამისა მეფემ შესძლო მისი გარეკვა, რადგან რევოლუციური კლასების აღმავ-

ლობა (მუშათა გაფიცვები და გლეხთა მღელვარება 1906 წლის გაზაფხულზე) ერთობ სუსტი აღმოჩნდა ახალი რევოლუციისათვის.

ჩაუფიქრდით ახლანდელი რევოლუციის გამოცდილებას. 1917 წლის მარტ-აპრილშიც და ივლის-აგვისტოშიც რევოლუციების უმრავლესობა საბჭოებს უჭერდა მხარს, ხალხის უმრავლესობა საბჭოების მხარეზე იყო. ამავე დროს კი ყველამ იცის, ყველა ხედავს და გრძნობს, რომ მარტ-აპრილში რევოლუცია წინ მიდიოდა, ხოლო ივლის-აგვისტოში იგი უკან მიდის. მაშასადამე, ხალხის უმრავლესობის დამოწმება ჯერ კიდევ არაფერს არა წყვეტს რევოლუციის კონკრეტულ საკითხებში.

მარტოოდენ ეს დამოწმება, როგორც დამამტკიცებელი საბუთი, არის სწორედ წვრილბურჟუაზიული ილუზიის ნიმუში, უსურვილობა იმის აღიარებისა, რომ რევოლუციაში უნდა დაამარცხო მტრული კლასები, უნდა დაამხო მათი დამცველი სახელმწიფო ხელისუფლება, ხოლო ამისთვის საკმარისი არ არის «ხალხის უმრავლესობის ნება», არამედ აუცილებელია ძალა რევოლუციური კლასებისა, რომლებსაც სურთ და შეუძლიათ ბრძოლა, ამასთან ძალა, რომელიც გადამწყვეტ მომენტში და გადამწყვეტ ადგილას გასრესდა მტრულ ძალას.

რამდენჯერ ყოფილა რევოლუციებში, რომ მბრძანებელი კლასების, მემამულეებისა და ბურჟუაზიის პატარა, მაგრამ კარგად ორგანიზებულ, შეიარაღებულ და ცენტრალიზებულ ძალას ნაწილ-ნაწილ დაუთრგუნავს ცუდად ორგანიზებული, ცუდად შეიარაღებული, დაქსაქსული «ხალხის უმრავლესობის» ძალა.

ყოვლად გონებაჩლუნგი წვრილი ბურჟუის საკადრისი იქნებოდა კლასობრივი ბრძოლის კონკრეტული საკითხების შეცვლა «ხალხის ნების» «ზოგადი» დამოწმებით იმ მომენტში, როცა ამ ბრძოლას განსაკუთრებით ამწვავებს რევოლუცია.

მესამეც, სუხანოვს ზემოაღნიშნულ მსჯელობაში მოჰყავს ერთი «არგუმენტი», რომელიც აგრეთვე საკმაოდ ჩვეულებ-

რივია ფილისტერთა წრეში. სუხანოვი იმოწმებს იმას, რომ «რევოლუციურმა დემოკრატიამ მთელი თავისი გავლენა საკუთარი სურვილით დასთმო». აქედან თითქოს გამოდის, «საკუთარი სურვილით» დათმობილი ადვილადვე შეიძლება უკანვე იქნას დაბრუნებულიო...

ყოვლად უვარგისი მსჯელობაა. უწინარეს ყოვლისა, ნებაყოფლობით დათმობილის დაბრუნება გულისხმობს «ნებაყოფლობით თანხმობას» იმის მხრივ, ვინც დათმობა მიიღო. აქედან გამოდის, რომ ასეთი ნებაყოფლობითი თანხმობა არსებობს. ვინ მიიღო «დათმობა»? ვინ ისარგებლა «რევოლუციური დემოკრატიის მიერ» დათმობილი «გავლენით»?

მეტისმეტად დამახასიათებელია, რომ სუხანოვმა მთლად აუქცია გვერდი ამ საკითხს, რომელიც ძირითადია ყოველი ჭკუათამყოფელი პოლიტიკოსისათვის... თავიდათავი ხომ ეს არის, საქმის დედაარსი ხომ ეს არის: ვის ხელშია ნამდვილად ის, რაც «ნებაყოფლობით დასთმო» «რევოლუციურმა» (ბოდიში ამ გამოთქმისათვის) «დემოკრატიამ».

საქმის სწორედ ამ დედაარსს უვლის გვერდს სუხანოვი, როგორც მას გვერდს უვლის ყველა მენშევიკი და ესერი, ყველა წვრილბურჟუაზიული დემოკრატი საერთოდ.

შემდეგ. იქნებ, ბავშვთა თამაშში «ნებაყოფლობითი დათმობა» ასაკის სიმსუბუქეს მოწმობს: თუ კატიამ ნებაყოფლობით დაუთმო მაშას ბურთი, შესაძლოა, რომ მისი «დაბრუნება» «სავსებით იოლი» იყოს. მაგრამ პოლიტიკაზე, კლასობრივ ბრძოლაზე ამ ცნებათა გადატანას, გარდა რუსეთელი ინტელიგენტისა, არცთუ ბევრი ვინმე გაბედავს.

პოლიტიკაში «გავლენის» ნებაყოფლობით დათმობა ამტკიცებს დამთმობის ისეთ უძლურებას, ისეთ უნიათობას, ისეთ უხასიათობას, ისეთ ჩვრობას, რომ აქედან, საერთოდ რომ ითქვას, შეიძლება მხოლოდ ერთი რამ «დაასკვნა»: ვინც გავლენას ნებაყოფლობით დასთმობს, ის «ღირსია» იმისა, რომ მას წაართვან არა მარტო გავლენა, არამედ არსებობის უფლებაც. ანუ, სხვანაირად რომ ითქვას, გავლენის ნებაყოფლობით დათმობის ფაქტი თავისთავად «ამტკიცებს» მხოლოდ იმის

გარდუვალობას, რომ ამ ნებაყოფლობით დათმობილი გავლენის მიმღები დამთმობს უფლებებსაც კი წაართმევს.

თუ «რევოლუციურმა დემოკრატიამ» ნებაყოფლობით დათმო გავლენა, ცხადია, ეს არის არა რევოლუციური, არამედ მეშჩანურ-უხამსი, ლაჩარი, მონობისაგან თავდაუღწეველი დემოკრატია, რომლის გარეკვასაც ან პირდაპირ არარად ქცევას (სწორედ ამ დათმობის შემდეგ) შესძლებენ მისი მტრები, საშუალებას მისცემენ მას ისევე მოკვდეს «საკუთარი სურვილით», როგორც «საკუთარი სურვილით» დასთმო გავლენა.

პოლიტიკური პარტიების მოქმედების კ ა პ რ ი ზ ა დ მიჩნევა იმას ნიშნავს, რომ ხელი აღო პოლიტიკის ყოველგვარ შ ე ს წ ა ვ ლ ა ზ ე. ისეთი მოქმედება კი, როგორიც არის «გავლენის ნებაყოფლობით დათმობა» ორი დიდი პარტიის მიერ, რომლებსაც, არჩევნების შესახებ ყველა ცნობისა და ობიექტური მონაცემების მიხედვით, უმრავლესობა ჰყავთ ხალხში, — ასეთი მოქმედება უნდა ა ი ხ ს ნ ა ს. იგი არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. იგი არ შეიძლება დაკავშირებული არ იყოს ხალხის რომელიმე დიდი კლასის გარკვეულ ეკონომიურ მდგომარეობასთან. იგი არ შეიძლება დაკავშირებული არ იყოს ამ პარტიების განვითარების ისტორიასთან.

სუხანოვის მსჯელობა სწორედ იმიტომ არის შესანიშნავად ტიპიური ათასობით და ათასობით ერთგვაროვანი ფილისტერული მსჯელობისათვის, რომ იგი არსებითად ემყარება კეთილი ნების ცნებას («საკუთარი სურვილი») და უგულებელყოფს ხსენებული პარტიების ი ს ტ ო რ ი ა ს. სუხანოვმა პირდაპირ ამოშალა თავისი განხილვიდან ეს ისტორია, დაიწყო, რომ გავლენის ნებაყოფლობით დათმობა დაიწყო, სწორედ რომ ვთქვათ, 28 თებერვლიდან, როდესაც საბჭომ ნდობა გამოუცხადა კერენსკის და მოიწონა «შეთანხმება» დროებით მთავრობასთან. 6 მაისი კი პირდაპირ გიგანტური სიდიდის გავლენის დათმობა იყო. მთლიანად აღებული, ჩვენს წინაშე მეტად აშკარა მოვლენაა: ესერებისა და მენშევიკების პარტიები ერთბაშად დადგნენ მოლიპულ გზაზე და უფრო და

უფრო მეტი სისწრაფით დაექანენ თავქვე. 3 — 5 ივლისის შემდეგ ისინი სავსებით ჩაგორდნენ ორმოში.

და ახლა ლაპარაკი: დათმობა მოხდა საკუთარი სურვილით, «სავსებით იოლად» შესაძლებელია დიდი პარტიები მთლიანად შევაბრუნოთ, «ადვილად» შეიძლება ვაიძულოთ ისინი კვლავ დაადგნენ იმის საწინააღმდეგო მიმართულებას, რომელსაც ისინი მრავალი წლის განმავლობაში (და რევოლუციის მრავალი თვის განმავლობაში) ადგნენ, «სავსებით იოლად» შეიძლება ორმოდან ამოსვლა და დაქანებული გზით ზევით ასვლაო — განა ეს უაღრესი ქარაფშუტობა არ არის?

ბოლოს, მეოთხეც, სუხანოვს შეეძლო თავისი აზრის დასაცავად დაემოწმებინა ის, რომ მუშები და გლეხები, რომლებიც ნდობას უცხადებენ საბჭოს, შეიარაღებულნი არიან და რომ ამიტომ მათთვის «სავსებით იოლია» დაიბრუნონ მთელი გავლენაო. მაგრამ სწორედ ამ, თითქმის ყველაზე მნიშვნელოვან, პუნქტში განსაკუთრებით მოიკოჭლებს ფილისტერული მსჯელობა, რომელსაც იმეორებს «ნოვაია ჟიზნის» მწერალი.

რაც შეიძლება უფრო კონკრეტული რომ ვიყოთ, შევადაროთ 20 — 21 აპრილი 3 — 5 ივლისს.

20 აპრილს იფეთქა მასების აღშფოთებამ მთავრობის წინააღმდეგ. შეიარაღებული პოლკი გამოდის პეტროგრადის ქუჩაში და მიდის მთავრობის დასაპატიმრებლად. დაპატიმრება არ ხდება. მაგრამ მთავრობა ნათლად ხედავს, რომ იგი ვერავის დაეყრდნობა. ჯარი მას მხარს არ უჭერს. ასეთი მთავრობის დამხობა მართლაც «სავსებით ადვილია». და მთავრობა ულტიმატუმს უყენებს საბჭოს: ან წავალ, ან მხარი დაგვიჭირეთო.

4 ივლისს ისევ იფეთქა მასების აღშფოთებამ; ამ აფეთქებას ყველა პარტია აკავებდა, მაგრამ მან ამოხეთქა ყოველგვარი შეკავების მიუხედავად. ასეთივე მთავრობის საწინააღმდეგო შეიარაღებული დემონსტრაცია. მაგრამ გიგანტური განსხვავებაა შემდეგშია: ესერებისა და მენშევიკების ბელადები, რომლებიც დაიბნენ და ხალხს მოსწყდნენ, უკვე 3 ივლისს უთანხმდებიან ბურჟუაზიას, რომ მოწვეული

ყოფილიყო კალედინის ჯარები პიტერში. აი რა არის თავიდათავი!

კალედინმა ჯარისკაცის გულახდილობით თქვა ეს მოსკოვის თათბირზე: განა «ჩვენ» თქვენვე არ მოგვიწვიეთ დასახმარებლად, სოციალისტო მინისტრებო, 3 ივლისსაო!... ვერავინ გაბედა კალედინის ნათქვამის უარყოფა მოსკოვის თათბირზე, რადგან მან სიმართლე თქვა. კალედინი დასცინოდა მენშევიკებსა და ესერებს, რომლებიც იძულებული იყვნენ გაჩუმებულიყვნენ. მათ პირში შეაფურთხა კაზაკთა გენერალმა, მათ კი პირი მოიწმინდეს და თქვეს: «ღვთის ცვარიაო»!

ბურჟუაზიულმა გაზეთებმა მოიყვანეს კალედინის ეს სიტყვები, ხოლო მენშევიკურმა «რაბოჩაია გაზეტამ» და ესერულმა «დელო ნაროდამ» მკითხველებს დაუმალეს მოსკოვის თათბირზე გაკეთებულ განცხადებათა შორის ყველაზე არსებითი პოლიტიკური განცხადება.

ისე გამოვიდა, რომ მთავრობამ პირველად მიიღო სპეციალურად კალედინის ჯარები, ხოლო გაბედული, ნამდვილად რევოლუციური ჯარები და მუშები განიარაღებულ იქნენ. აი ძირითადი ფაქტი, რომელსაც «სავსებით ადვილად» აუარა გვერდი და დაივიწყა სუხანოვმა, მაგრამ რომელიც ფაქტად რჩება. და ეს გადამწყვეტი ფაქტია რევოლუციის ახლანდელი ხანისათვის, პირველი რევოლუციისათვის.

ფრონტის გადამწყვეტ ადგილას და შემდეგ არმიაში ძალაუფლება გადავიდა კალედინების ხელში. ეს ფაქტია. ყველაზე აქტიური, მათდამი მტრულად განწყობილი ჯარები განიარაღებულია. კალედინები რომ ერთბაშად არ იყენებენ ძალაუფლებას სრული დიქტატურის დასამყარებლად, ეს სრულიადაც ვერ აბათილებს იმას, რომ ძალაუფლება მათ ხელშია. განა მეფეს 1905 წლის დეკემბრის შემდეგ არ ჰქონდა ძალაუფლება? და განა გარემოებამ არ აიძულა იგი ისე ფრთხილად გამოეყენებინა ძალაუფლება, რომ მოიწვია ორი სათათბირო, ვიდრე მთელ ძალაუფლებას აიღებდა, ვ. ი. ვიდრე სახელმწიფო გადატრიალებას მოახდენდა?[79]

ძალაუფლებაზე ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ არა სიტყვების, არამედ საქმეების მიხედვით. მთავრობის საქმეები 5 ივლისიდან ამტკიცებენ, რომ ძალაუფლება კალედინების ხელშია, რომლებიც ნელა, მაგრამ გ ა ნ უ ხ რ ე ლ ა დ მიიწევენ წინ სულ უფრო და უფრო, ყოველდღე იღებენ რა «დათმობებს» და «შეღავათებს»: დღეს იუნკრების დაუსჯელობა, რომლებიც ჯრბევენ «პრავდას», კლავენ პრავდისტებს, აპატიმრებენ თვითნებურად, ხვალ კანონი გაზეთების დახურვისა, აგრეთვე კანონი კრებებისა და ყრილობების დაშლისა, გაუსამართლებლად საზღვარგარეთ გადასახლებისა, დაპატიმრებისა «მეგობრული ელჩების» შეურაცხყოფისათვის, კატორღის მისჯისა მთავრობის ხელყოფისათვის, სიკვდილით დასჯის შემოღებისა ფრონტზე და ასე შემდეგ და ა ს ე შ ე მ დ ე გ.

კალედინები სულელები არ არიან. რად უნდა იარონ მაინცდამაინც ოღრო-ჩოღროდ, ჯიქურად და გასწიონ დამარცხების რისკი, როდესაც ისინი ყ ო ვ ე ლ დ ღ ე ნაწილ-ნაწილ იღებენ სწორედ იმას, რაც მათ ესაჭიროებათ? ხოლო ბრიყვი სკობელევები და წერეთლები, ჩერნოვები და ავქსენტიევები, დანები და ლიბერები კალედინების ყოველი ნაბიჯის წინ გადადგმის დროს გაყვირიან: «დემოკრატიის ზეიმი! გამარჯვება!», «გამარჯვებას» ხედავენ იმაში, რომ კალედინები, კორნილოვები და კერენსკები ერთბაშად არ ყლაპავენ მათ!!.

ბოროტების ფესვი სწორედ ის არის, რომ წვრილბურჟუაზიული მასა თავისი ეკონომიური მდგომარეობით განწყობილია საკვირველი გულმინდობილობისა და შეუგნებლობისადმი, რომ იგი ჯერ კიდევ ნახევრად სთვლემს და ძილში ღმუის: «სავსებით ადვილია» უკან დავიბრუნოთ ნებაყოფლობით დათმობილიო! აბა ერთი დაიბრუნეთ, ნებაყოფლობით გამოართვით კალედინებსა და კორნილოვებს!

ბოროტების ფესვი ის არის, რომ «დემოკრატიული» პუბლიცისტიკა ზურგს უმაგრებს ამ მთვლემარე, ფილისტერულ, სულელურ, მონურ ილუზიას, ნაცვლად იმისა, რომ ებრძოლოს მას.

საქმეს რომ ისე შევხედოთ, როგორც მას უნდა უყურებდეს პოლიტიკის ისტორიკოსი საერთოდ და მეტადრე მარქსისტი, ე. ი. თუ მოვლენებს განვიხილავთ მათს ურთიერთკავშირში, სრულიად ცხადი გახდება, რომ გადამწყვეტი შემობრუნება ახლა არათუ არ არის «ადვილი», არამედ, პირიქით, აბსოლუტურად შეუძლებელია ახალი რევოლუციის გარეშე.

აქ მე სრულიად არ ვეხები იმ საკითხს, სასურველია თუ არა ასეთი რევოლუცია, სრულიად არ ვიხილავ, შეიძლება თუ არა მოხდეს იგი მშვიდობიანად და ლეგალურად (ისტორიაში, საერთოდ რომ ითქვას, ყოფილა მშვიდობიანი და ლეგალური რევოლუციების მაგალითები). მე აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ისტორიულად შეუძლებელია გადამწყვეტი შემობრუნება ახალი რევოლუციის გარეშე, ვინაიდან ძალაუფლება უკვე სხვების ხელშია, უკვე არა «რევოლუციური დემოკრატიის» ხელშია, ძალაუფლება უკვე დაპყრობილი და განმტკიცებულია. ხოლო ესერებისა და მენშევიკების პარტიების საქციელი შემთხვევითი როდია, იგი არის პროდუქტი წვრილი ბურჟუაზიის ეკონომიური მდგომარეობისა და შედეგი პოლიტიკურ მოვლენათა გრძელი ჯაჭვისა, 28 თებერვლიდან 6 მაისამდე, 6 მაისიდან 9 ივნისამდე, 9 ივნისიდან 18 და 19 ივნისამდე (შეტევა) და ა. შ.. შემობრუნება აქ საჭიროა ხელისუფლების მთელ მდგომარეობაშიც, მის მთელ შემადგენლობაშიც, უდიდესი პარტიების საქმიანობის მთელ პირობებშიც და იმ კლასის «მისწრაფებაშიც», რომელიც ამ პარტიებს ასაზრდოებს. ასეთი შემობრუნებანი ისტორიულად წარმოუდგენელია ახალი რევოლუციის გარეშე.

ნაცვლად იმისა, რომ განუმარტონ ხალხს ახალი რევოლუციის ყველა მთავარი ისტორიული პირობა, მისი ეკონომიური და პოლიტიკური წანამძღვრები, პოლიტიკური ამოცანები, კლასების თანაფარდობა, რომელიც ამ რევოლუციას შეესაბამება, და ა. შ., ნაცვლად ამისა სუხანოვი და მრავალზე უმრავლესი წვრილბურჟუაზიული დემოკრატი აძინებენ ხალხს ჩხირკედელაობით, თვითდამშვიდებით, რომ ჩვენ «იოლად დავიბრუნებთ ყველაფერს», «სავსებით ადვილად», რომ

ჩვენი «უმნიშვნელოვანესი» რევოლუციური მონაპოვარი «ძალაში რჩებაო» და სხვა ამგვარი ქარაფშუტული, უმეცრული, პირდაპირ დანაშაულებრივი მიქარვით.

ღრმა საზოგადოებრივი შემობრუნების ნიშნები თვალწინაა. ეს ნიშნები ნათლად მიგვითითებენ მუშაობის შიმართულებაზე. პროლეტარიატში აშკარად ჩანს ესერებისა და მენშევიკების გავლენის დაცემა, აშკარაა ბოლშევიკების გავლენის ზრდა. სხვათა შორის, 20 აგვისტოს არჩევნებმაც კი მოგვცეს ბოლშევიკების ხვედრითი წონის გადიდება, იმავე პიტერის რაიონულ თვითმმართველობათა ივნისის არჩევნებთან შედარებით [80], და ეს მიუხედავად იმისა, რომ მოიყვანეს «კალედინის ჯარები პიტერში»!

წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიაში, რომელიც არ შეიძლება არ მერყეობდეს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, შემობრუნების ობიექტური მაჩვენებელია რევოლუციურ, ინტერნაციონალისტურ მიმდინარეობათა გაძლიერება, განმტკიცება, განვითარება: მარტოვი და სხვები მენშევიკებში, სპირიდონოვა, კამკოვი და სხვები ესერებში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მოახლოებულ შიმშილს, ნგრევას, ომში დამარცხებას შეუძლიათ არაჩვეულებრივ დააჩქარონ ეს შემობრუნება იმ მხრივ, რომ ძალაუფლება გადავიდეს პროლეტარიატის ხელში, რომელსაც მხარს დაუჭერს უღარიბესი გლეხობა.

---

2. საბატონო ბეგარა და სოციალიზმი

სოციალიზმის განსაკუთრებით გაბოროტებული მოწინააღმდეგენი ზოგჯერ სამსახურს უწევენ მას თავიანთ «მხილებათა» უგუნური გულმოდგინებით. ისინი თავს ესხმიან სწორედ იმას, რაც სიმპათიისა და მიბაძვის ღირსია. ისინი თვალებს უხელენ ხალხს თვით თავიანთ თავდასხმათა ხასიათით ბურჟუაზიის უმსგავსობაზე.

სწორედ ეს დაემართა ერთ-ერთ ყველაზე საზიზღარ ბურჟუაზიულ გაზეთს «რუსსკაია ვოლიას», რომელმაც 20

აგვისტოს მოათავსა კორესპონდენცია ეკატერინბურგიდან სახელწოდებით: «საბატონო ბეგარა». აი რას იუწყება ეს კორესპონდენცია:

...«მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ჩვენს ქალაქში იმ მოქალაქეთათვის, რომლებსაც ცხენები ჰყავთ, შემოიღო ნატურალური ბეგარა — რიგრიგობით აძლიონ თავიანთი ცხენები საბჭოს წვევრებს ყოველდღიური სამსახურებრივი მგზავრობისათვის.

შემუშავებულია მორიგეობის განსაკუთრებული განრიგება და ყოველ «ცხენიან მოქალაქეს» ზუსტად ეუწყება წერილობით, როდის, სად და სახელდობრ რომელ საათზე უნდა გამოცხადდეს თავისი ცხენით სამორიგეოდ.

შეტი გავლენის მოსახდენად «ბრძანებაში» დამატებულია: «ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში საბჭო თქვენს ხარჯზე გაიღებს მეეტლეთა ქირას 25 მანეთამდე»»...

კაპიტალისტების დამცველი, რა თქმა უნდა, აღშფოთებულია. კაპიტალისტები სავსებით გულდამშვიდებით უყურებენ იმას, თუ ხალხის დიდი უმრავლესობა როგორ ჯახირობს გაჭირვებაში მთელი სიცოცხლის მანძილზე, არა მარტო მაშინ, როცა ის «საბატონო ბეგარაზეა», არამედ მაშინაც, როცა პირდაპირ კატორღულ საფაბრიკო, სამთამადნო ან სხვაგვარ სამუშაოს ეწევა დაჭირავებით, ხოლო ძალიან ხშირად უმუშევარი შიმშილობს. კაპიტალისტები ამას გულდამშვიდებით უყურებენ.

ხოლო როცა მუშებმა და ჯარისკაცებმა კაპიტალისტებისათვის შემოიღეს თუნდაც მცირე საზოგადოებრივი ბეგარა, მაშინ ბატონმა ექსპლოატატორებმა ღმუილი მორთეს: «საბატონო ბეგარაო»!!

შეეკითხეთ ყოველ მუშას, ყოველ გლეხს, განა ცუდი იქნებოდა, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ყველგან იყვნენ ერთადერთი ხელისუფლება სახელმწიფოში და ყველგან შემოიღებდნენ საზოგადოებრივ ბეგარას მდიდრებისათვის, მაგალითად, სავალდებულო მორიგეობას ცხენებით, ავტომობილებით, ველოსიპედებით, სავალდებულო ყოველდღიურ წერილობითს სამუშაოს პროდუქტების აღსაწერად, გაჭირვებულთა აღსარიცხავად და სხვ. და სხვ.?

ყოველი მუშა და ყოველი გლეხი, შეიძლება, გარდა კულაკისა, იტყვის, რომ ეს კარგი იქნებოდა.

და ეს მართალია. ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალიზმი, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია სოციალიზმისაკენ, მაგრამ ეს სწორედ ის არის, რაც ნამდვილად და დაუყოვნებლივ აუცილებელია ღარიბი ხალხისათვის. ასეთ ღონისძიებათა გაუტარებლად შეუძლებელია ხალხის ხსნა შიმშილისა და დაღუპვისაგან.

რატომ რჩება ეკატერინბურგის საბჭო იშვიათ გამონაკლისად? რატომ არის, რომ ამგვარ ზომებს მთელ რუსეთში არ მიმართავენ დიდი ხნიდან, არ გაშლიან სწორედ ამნაირ ღონისძიებათა მთელ სისტემად?

რატომ არის, რომ მდიდრების მიერ ცხენების მიწოდების საზოგადოებრივ ბეგარასთან ერთად არ აწესებენ ასეთსავე საზოგადოებრივ ბეგარას მდიდრებისათვის — წარმოადგინონ სრული ანგარიშები თავიანთი ფულადი ოპერაციებისა, მეტადრე სახელმწიფოსათვის საქონლის მიწოდების ხაზით, საბჭოების ისეთივე კონტროლით, ისეთივე «ზუსტი წერილობითი შეტყობინებით», თუ როდის და სად უნდა წარმოადგინონ ანგარიში, როდის და სად და სახელდობრ რამდენი გადასახადი შეიტანონ?

იმიტომ, რომ საბჭოების დიდი უმრავლესობის სათავეში დგანან ესერებისა («სოციალისტ-რევოლუციონერების») და მენშევიკების ბელადები, რომლებიც სინამდვილეში გადავიდნენ ბურჟუაზიის მხარეზე, შევიდნენ ბურჟუაზიის მთავრობაში, იკისრეს მისი მხარის დაჭერა, რადგან უღალატეს არა მარტო სოციალიზმს, არამედ დემოკრატიასაც. ეს ბელადები გართული არიან «შემთანხმებლობით» ბურჟუაზიასთან, რომელიც არათუ ნებას არ დართავს, მაგალითად, პიტირში შემოიღონ საზოგადოებრივი ბეგარა მდიდრებისათვის, არამედ თვეობით აფერხებს გაცილებით უფრო უწყინარ რეფორმებს.

ეს ბელადები ატყუებენ თავიანთ სინდისს და ატყუებენ ხალხს იმაზე მითითებით, რომ «რუსეთი ჯერ კიდევ არ მომწიფებულა სოციალიზმის შემოსაღებადაო».

რატომ უნდა მივიჩნიოთ მოტყუებად ასეთი მითითებანი? იმიტომ, რომ ამგვარ მითითებათა საშუალებით საქმეს ყალბად წარმოგვიდგენენ ისეთი სახით, თითქოს ლაპარაკი იყოს რაღაც უმაგალითოდ რთულ და ძნელ გარდაქმნაზე, რომელმაც უნდა მოშალოს ათეული მილიონობით ხალხის ჩვეულებრივი ცხოვრება. საქმეს ყალბად ისე წარმოგვიდგენენ, თითქოს ვილაცას სურდეს «შემოიღოს» სოციალიზმი რუსეთში მარტო ბრძანებით და ანგარიში არ გაუწიოს არც ტექნიკის დონეს, არც წვრილ საწარმოთა სიმრავლეს, არც მოსახლეობის უმრავლესობის ჩვევებსა და ნებას.

ყოველივე ეს მთლად სიცრუეა. არაფერი ამის მსგავსი არავის მოუთხოვია. არც ერთი პარტია, არც ერთი კაცი არ აპირებს «სოციალიზმის შემოღებას» ბრძანებით. საქმე ეხება და ეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ ისეთ ღონისძიებებს, რომლებსაც, ეკატერინბურგში მდიდრებზე საზოგადოებრივი ბეგრის დაკისრების მსგავსად, იწონებს ღარიბთა მასა, ე. ი. მოსახლეობის უმრავლესობა, ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ტექნიკურად და კულტურულად სავსებით მომწიფებულია და დაუყოვნებლივ აძსუბუქებენ ღარიბთა ცხოვრებას, იძლევიან ომის ტვირთის შესუსტებისა და მისი უფრო თანაბრად განაწილების საშუალებას.

გავიდა რევოლუციის თითქმის ნახევარი წელი, ესერებისა და მენშევიკების ბელადები კი აფერხებენ ყოველ ამგვარ ღონისძიებას, ღალატობენ ხალხის ინტერესებს ბურჟუაზიასთან «შემთანხმებლობის» ინტერესთა გულისათვის.

ვიდრე მუშები და გლეხები არ მიმხვდარან, რომ ეს ბელადები მოღალატენი არიან, რომ საჭიროა მათი გაძევება, ყველა პოსტიდან მოხსნა, მანამდე მშრომელნი გარდუვალად დარჩებიან ბურჟუაზიის მონობაში.

«რაბოჩი» № 10,
1917 წ. 14 (1) სექტემბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «რაბოჩის»
ტექსტის მიხედვით

პარტიის პროგრამის საკითხზე

ამხ. ბუხარინის მიერ «სპარტაკში»[81] გამოქვეყნებული ცნობა «ვიწრო» ყრილობის მოწვევაზე პროგრამის მიღების მიზნით, გვიჩვენებს, თუ როგორ მწიფდება ეს საკითხი.

საკითხი მართლაც გადაუდებელია.

ჩვენი პარტია სხვა ინტერნაციონალისტურ პარტიებზე წინა დგას, ეს ახლა ფაქტია.

და იგი ვალდებულია იკისროს თაოსნობა, გამოვიდეს ისეთი პროგრამით, რომელიც უპასუხებს იმპერიალიზმის საკითხებზე.

სკანდალი და სირცხვილი იქნება, თუ ჩვენ ამას არ ვიზამთ.

წინადადებას ვაძლევ ცენტრალურ კომიტეტს დაადგინოს:

პარტიის **თვითეული** ორგანიზაცია ახლავე ნიშნავს ერთ ან რამდენიმე კომისიას პროგრამის მოსამზადებლად, **ავალებს** მათ, აგრეთვე ყველა თეორეტიკოსს ან მწერალს და სხვ., ხელი მოჰკიდონ ამას რიგგარეშე და წარმოადგინონ ან თავისი პროექტი, ან სხვა პროექტების ცვლილებანი და შესწორებანი 3 — 7 დღის ვადაში მაინც.

ამის განხორციელება სავსებით შესაძლებელია გულმოდგინე მუშაობით.

შეგროვდეს და დაიბეჭდოს ეს პროექტები ან მანქანაზე გადაბეჭდილი გაეგზავნოს მთავარ ორგანიზაციებს — ამაზე ორიოდე კვირა.

შემდეგ **ახლავე** გამოცხადდეს **ვიწრო** ყრილობის მოწვევა (1 დელეგატი 4 000 ან 5 000 წევრზე)

პროგრამის მისაღებად, **ერთი თვის შემდეგ**.

ჩვენი პარტია ვალდებულია გამოვიდეს პროგრამით — მხოლოდ **ახე დავძრავთ** ადგილიდან III ინტერნაციონალს არა სიტყვიერად, არამედ ნამდვილად.

დანარჩენი ლათაიებია, დაპირებაა, საქმის უსასრულოდ გადადებაა. თაოსნობას რომ ვიკისრებთ, ჩვენ ყოველმხრივაც დავაჩქარებთ მუშაობას, და მხოლოდ მაშინ მოვამზადებთ III ინტერნაციონალის პროგრამას.

დაწერილია 1917 წ. სექტემბრის პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ციმერვალდის საკითხზე

ახლა განსაკუთრებით ცხადია შეცდომა, რომ ჩვენ იქიდან არ გამოვედით.

ყველას ატყუებენ სტოკჰოლმის იმედით. ხოლო სტოკჰოლმის კონფერენციას თვიდან თვემდე «გადასდებენ» ხოლმე.

ციმერვალდი კი **«ელოდება»** სტოკჰოლმს! კაუცკელები + იტალიელები, ე. ი. ციმერვალდის უმრავლესობა «ელოდება» სტოკჰოლმს.

და ჩვენ ვმონაწილეობთ კომედიაში, და ამის გამო **პასუხს ვაგებთ** მუშების წინაშე.

ეს სამარცხვინო საქმეა.

ახლავე უნდა წამოვიდეთ ციმერვალდიდან.

იქ რომ მხოლოდ ინფორმაციისათვის დავრჩეთ, ჩვენ არაფერს დავკარგავთ, მაგრამ პასუხს არ ვაგებთ სტოკჰოლმის «მოლოდინის» კომედიისათვის.

დამპალი ციმერვალდიდან რომ გამოვალთ, ჩვენ მაშინვე, პლენუმის 1917 წ. 3 სექტემბრის სხდომაზე, უნდა გადავწყვიტოთ: **ვიწვევთ მემარცხენეთა კონფერენციას,** ვავალებთ ამას სტოკჰოლმელ წარმომადგენლებს.

თორემ გამოვიდა ისე, რომ ჩვენი პარტია, ინტერნაციონალისტების ერთადერთი პარტია მსოფლიოში, რომელსაც აქვს 17 გაზეთი და სხვ., ჩვენი პარტია, რომელმაც ციმერვალდში დარჩენით სისულელე ჩაიდინა, თამაშობს **შემთანხმებლობას** გერმანელ და იტალიელ მარტოვებთან და

წერეთლებთან, ისევე როგორც მარტოვი შემთანხმებლობს წერეთელთან, ხოლო წერეთელი — ესერებთან, ესერები კი შემთანხმებლობენ ბურჟუაზიასთან...

და ამას ეწოდება III ინტერნაციონალის «მხარეზე დგომა»!!!

დაწერილია 1917 წ. სექტემბრის პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დემოკრატიზმის დარღვევაზე მასობრივ ორგანიზაციებში

უნდა მივიღოთ რეზოლუცია, რომელიც სასტიკად დაგმობდა, როგორც სიყალბეს *, ნიკოლოზ II-ის საკადრის სიყალბეს, ისეთ ხერხებს, როგორიცაა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხერხი (ჯარისკაცებს — 1 წარმომადგენელი 500 კაცზე, მუშებს — 1 წარმომადგენელი 1 000 კაცზე) [82] ან პროფესიულ კავშირთა ბიუროს ხერხი (პატარა კავშირებს a წევრზე — 1, მსხვილებს a — b წევრზე — 1).

თუ ჩვენ მდუმარედ მოვიომენთ ამ სიყალბეს, მაშინ რაღა დემოკრატები ვიქნებით?

რით არის ცუდი მაშინ ნიკოლოზ II, რომელიც აგრეთვე «იძლეოდა» წარმომადგენლობას გლეხებისაგან და მემამულეებისაგან **არა თანაბრად??**

ასეთი რამეების მოთმენით ჩვენ ვათახსირებთ დემოკრატიზმს.

უნდა მივიღოთ რეზოლუცია, მოვითხოვოთ **თანასწორი** საარჩევნო უფლება (საბჭოებშიც და პროფესიულ კავშირთა ყრილობებზედაც), სასტიკად დავგმოთ თანა-

---

* «1 წარმომადგენელი ყველგან და ყოველ ადგილას ამომრჩეველთა **თანაბარი** რიცხვისაგან» არის დემოკრატიის ანაბანა. **სხვანაირად მოქცევა სიყალბეა.**

სწორობიდან **სულ მცირედი** გადახვევა, როგორც **სიყალბე**, სწორედ ამ სიტყვით, როგორც **ნიკოლოზ II-ის ხერხი**, და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ეს რეზოლუცია, პოპულარულად დაწერილი, ფურცლად მოვფინოთ მუშათა მასას.

არ შეიძლება ითმენდე დემოკრატიზმის **გაყალბებას** და ამავე დროს «დემოკრატს» უწოდებდე შენს თავს. ჩვენ დემოკრატები კი არა, უპრინციპო ადამიანები ვართ, თუ ამას ვითმენთ!!

დაწერილია **1917** წ.
სექტემბრის პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის **კრებულში VII**

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

კომპრომისების შესახებ

პოლიტიკაში კომპრომისი ეწოდება ზოგიერთი მოთხოვნის დათმობას, თავის მოთხოვნათა ნაწილზე უარისთქმას სხვა პარტიასთან შეთანხმების გამო.

ფილისტერების ჩვეულებრივი წარმოდგენა ბოლშევიკებზე, რასაც ზურგს უმაგრებს ბოლშევიკების წინააღმდეგ ცილისმწამებელი პრესა, იმაში მდგომარეობს, რომ ბოლშევიკები თანახმანი არ არიან არავითარი კომპრომისისა, არავისთან და არასოდესაო.

ასეთი წარმოდგენა თავმოსაწონია ჩვენთვის, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის პარტიისათვის, ვინაიდან იგი ამტკიცებს, რომ მტრებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ ჩვენი ერთგულება სოციალიზმისა და რევოლუციის ძირითადი პრინციპებისადმი. მაგრამ სიმართლე ხომ მაინც უნდა ითქვას: ასეთი წარმოდგენა ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. ენგელსი მართალი იყო, როცა ბლანკისტ-კომუნისტების მანიფესტის (1873 წ.) კრიტიკაში დასცინოდა მათს განცხადებას: «არავითარი კომპრომისიო!» [83]. ეს ღუღუნი ფრაზაა, — ამბობდა ის, — რადგან კომპრომისებს მებრძოლ პარტიას ხშირად გარდუვალობით თავს ახვევენ გარემოებანი, და უაზრობაა ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვა იმაზე, რომ «ნაწილ-ნაწილ გადაგიხადოთ ვალიო» [84]. ნამდვილი რევოლუციური პარტიის ამოცანა ის კი არ არის, რომ შეუძლებლად

გამოაცხადოს ყოველგვარი კომპრომისი, არამედ ის, რომ შეეძლოს ყოველ კომპრომისში, რამდენადაც იგი გარდუვალია, დაიცვას ერთგულება თავისი პრინციპებისადმი, თავისი კლასისადმი, თავისი რევოლუციური ამოცანისადმი, თავისი საქმისადმი — მოამზადოს რევოლუცია და რევოლუციაში გამარჯვებისათვის აღზარდოს ხალხის მასები.

მაგალითი. III და IV სათათბიროში მონაწილეობა იყო კომპრომისი, დროებით უარისთქმა რევოლუციურ მოთხოვნებზე. მაგრამ ეს იყო აბსოლუტურად იძულებითი კომპრომისი, ვინაიდან ძალთა თანაფარდობა გამორიცხავდა ჩვენთვის, გარკვეული დროით, მასობრივ რევოლუციურ ბრძოლას, ხოლო ამ ბრძოლის ხანგრძლივი მომზადებისათვის უნდა შეგვძლებოდა მუშაობა ასეთი «გომურის» შიგნიდანაც. ბოლშევიკების, როგორც პარტიის მიერ საკითხის ასეთი დასმა სავსებით სწორი რომ გამოდგა, ეს ისტორიამ დაამტკიცა.

ახლა რიგში დგას არა იძულებითი, არამედ ნებაყოფლობითი კომპრომისის საკითხი.

ჩვენი პარტია, ისევე როგორც ყოველი სხვა პოლიტიკური პარტია, ისწრაფვის პოლიტიკური ბატონობისაკენ თავისთვის. ჩვენი მიზანია რევოლუციური პროლეტარიატის დიქტატურა. რევოლუციის ნახევარმა წელმა არაჩვეულებრივი სიცხადით, სიძლიერითა და დამაჯერებლობით დაადასტურა ასეთი მოთხოვნის სისწორე და გარდუვალობა სწორედ ახლანდელი რევოლუციის ინტერესებისათვის, რადგან სხვანაირად ხალხი ვერც დემოკრატიულ ზავს, ვერც მიწას გლეხობისათვის, ვერც სრულ თავისუფლებას (სავსებით დემოკრატიულ რესპუბლიკას) ვერ მიიღებს. ჩვენი რევოლუციის ნახევარი წლის ამბების მსვლელობამ, კლასებისა და პარტიების ბრძოლამ, 21 — 22 აპრილის, 9 — 10, 18 — 19 ივნისის, 3 — 5 ივლისის, 27 — 31 აგვისტოს კრიზისების განვითარებამ ეს დაამტკიცეს კიდეც და გვიჩვენეს კიდეც.

ახლა დაიწყო რუსეთის რევოლუციის ისეთი მძაფრი და ისეთი ორიგინალური შემობრუნება, რომ ჩვენ, როგორც

პარტიას, შეგვიძლია შევთავაზოთ ნებაყოფლობითი კომპრომისი — მართალია, არა ბურჟუაზიას, ჩვენს აშკარა და მთავარ კლასობრივ მტერს, არამედ ჩვენს უახლოეს მოწინააღმდეგეებს, «მთავარ» წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარტიებს, ესერებსა და მენშევიკებს.

მხოლოდ გამონაკლისის სახით, მხოლოდ განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, რომელიც, ცხადია, მხოლოდ ძალიან ცოტა ხანს გასტანს, შეგვიძლია შევთავაზოთ კომპრომისი ამ პარტიებს, და ჩვენ, მგონია, უნდა ვქნათ ეს.

კომპრომისია, ჩვენი მხრით, ჩვენი დაბრუნება ივლისამდელი მოთხოვნისაკენ: მთელი ძალაუფლება საბჭოებს, საბჭოების წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა ესერებისა და მენშევიკებისაგან.

ახლა, და მხოლოდ ახლა, იქნებ სულ რამდენიმე დღის განმავლობაში ან ერთ-ორ კვირაში, შეიძლებოდა შექმნილიყო და სავსებით მშვიდად განმტკიცებულიყო ასეთი მთავრობა. მას შეეძლო უზრუნველეყო, და ეს ძალიან და ძალიან მოსალოდნელია, მთელი რუსეთის რევოლუციის მშვიდობიანი წინსვლა და უაღრესად დიდი შანსები იმისა, რომ მსოფლიო მოძრაობა დიდ ნაბიჯებს გადადგამდა წინ — ზავისაკენ და სოციალიზმის გამარჯვებისაკენ.

ბოლშევიკებს, მსოფლიო რევოლუციის მომხრეებს, რევოლუციური მეთოდების მომხრეებს, მხოლოდ რევოლუციის ამ მშვიდობიანი განვითარების გულისათვის — ისტორიაში მეტისმეტად იშვიათი და მეტისმეტად ძვირფასი შესაძლებლობის, უაღრესად იშვიათი შესაძლებლობის გულისათვის, მხოლოდ ამის გულისათვის შეუძლიათ, ჩემი აზრით, დასთანხმდნენ და კიდევაც უნდა დასთანხმდნენ ასეთ კომპრომისს.

კომპრომისი ის იქნებოდა, რომ ბოლშევიკები, რომლებიც პრეტენზიას არ განაცხადებდნენ მთავრობაში მონაწილეობაზე (რაც შეუძლებელია ინტერნაციონალისტისათვის, თუ ფაქტიურად არ განხორციელდა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის პირობები), უარს იტყოდნენ პრო-

ლეტარიატისა და უღარიბესი გლეხების ხელში ძალაუფლების გადასვლის მოთხოვნის დაუყოვნებლივ წამოყენებაზე, ამ მოთხოვნისათვის ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებზე. პირობა, რომელიც თავისთავად იგულისხმება და ახალი არ არის ესერებისა და მენშევიკებისათვის, იქნებოდა სრული თავისუფლება აგიტაციისა და დამფუძნებელი კრების მოწვევისა ისე, რომ ხელახლა არ გადაიდოს ან უფრო მოკლე ვადაშიც კი იქნას მოწვეული.

მენშევიკები და ესერები, როგორც მთავრობის ბლოკი, დასთანხმდებოდნენ (როცა კომპრომისი ნაგულისხმევია განხორციელებულად) შეედგინათ მთლიანად და მარტოოდენ საბჭოების წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა, ამასთან ადგილებზედაც მთელი ძალაუფლება საბჭოების ხელში გადავიდოდა. ეს იქნებოდა «ახალი» პირობა. ვფიქრობ, ბოლშევიკები არავითარ სხვა პირობას არ წამოაყენებდნენ იმ ვარაუდით, რომ აგიტაციის ნამდვილი სრული თავისუფლება და ახალი დემოკრატიზმის დაუყოვნებლივ განხორციელება საბჭოების შედგენაში (მათი გადარჩევა) და მათ მოქმედებაში თავისთავად უზრუნველყოფდნენ რევოლუციის მშვიდობიან წინსვლას, პარტიული ბრძოლის მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ა ღ მ ო ფ ხ ვ რ ა ს საბჭოების შიგნით.

იქნებ ეს უკვე შეუძლებელია? შეიძლება. მაგრამ თუ არის თუნდაც ერთი შანსი ასიდან, ასეთი შესაძლებლობის განხორციელების ცდა მაინც ეღირებოდა იმად, რომ იგი განხორციელებულიყო.

რას მოიგებდა ორივე «შემთანხმებელი» მხარე ამ «კომპრომისით», ე. ი. ბოლშევიკები, ერთი მხრით, ესერებისა და მენშევიკების ბლოკი, მეორე მხრით? თუ ო რ ი ვ ე მხარე ვერაფერს მოიგებს, მაშინ კომპრომისი შეუძლებლად უნდა მივიჩნიოთ, და მაშინ ზედმეტია მასზე ლაპარაკი, რაც უნდა ძნელი იყოს ახლა (ივლისისა და აგვისტოს შემდეგ, ორი თვის შემდეგ, რაც «მშვიდობიანი», მთელმარე დროის ორ ათეულ წელს უდრის) ეს კომპრომისი, მგონია, არის მისი განხორციელების ერთი მცირე შანსი, და ეს შანსი შექმნილია

ესერებისა და მენშევიკების გადაწყვეტილებით, რომ არ შევიდნენ მთავრობაში კადეტებთან ერთად.

ბოლშევიკები მოიგებდნენ იმას, რომ მიიღებდნენ შესაძლებლობას სავსებით თავისუფლად გაეწიათ ბავიანთ შეხედულებათა აგიტაცია და ნამდვილად სრული დემოკრატიზმის პირობებში ცდილიყვნენ გავლენის მოპოვებას საბჭოებში. სიტყვიერად ახლა «ყველა» აღიარებს ამ თავისუფლებას ბოლშევიკებისათვის, სინამდვილეში კი იგი შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, როცა არის ბურჟუაზიული მთავრობა ან მთავრობა ბურჟუაზიის მონაწილეობით, როცა არის სხვა მთავრობა, გარდა საბჭოთა მთავრობისა. საბჭოთა მთავრობის დროს ასეთი თავისუფლება შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი იქნებოდა (არ ვამბობთ: უეჭველად უზრუნველყოფილი, მაგრამ მაინც შესაძლებელი იქნებოდა). ასეთი შესაძლებლობის გულისათვის ასეთ ძნელ დროს უნდა დავთანხმებულიყავით კომპრომისს დღევანდელი დღის საბჭოთა უმრავლესობასთან. ნამდვილი დემოკრატიის დროს ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს საშიში არაფერია, რადგან ცხოვრება ჩვენს მხარეზეა, და ჩვენდამი მტრულად განწყობილი ესერებისა და მენშევიკების პარტიების შიგნით მიმდინარეობათა განვითარების მსვლელობაც კი ადასტურებს ჩვენს სიმართლეს.

მენშევიკები და ესერები მოიგებდნენ იმას, რომ ერთბაშად მიიღებდნენ სრულ შესაძლებლობას განეხორციელებინათ თ ა ვ ი ა ნ თ ი ბლოკის პროგრამა, ამასთან დაეყრდნობოდნენ ხალხის აშკარად დიდ უმრავლესობას და თავისთვის უზრუნველყოფდნენ საბჭოებში თავიანთი უმრავლესობის «მშვიდობიან» გამოყენებას.

რა თქმა უნდა, ამ ბლოკიდან, რომელიც ერთგვაროვანი არ არის როგორც იმიტომ, რომ იგი ბლოკია, ისე იმიტომ, რომ წვრილბურჟუაზიული დემოკრატია ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ნაკლებად ერთგვაროვანია, ვიდრე ბურჟუაზია და ვიდრე პროლეტარიატი, ამ ბლოკიდან გავიგონებდით, ალბათ, ორ ხმას.

ერთი ხმა იტყოდა: ჩვენ სრულიადაც არა გვაქვს საერთო გზა ბოლშევიკებთან, რევოლუციურ პროლეტარიატთან. სულ ერთია, ის მეტისმეტს მოითხოვს და დემაგოგიურად გაიყოლიებს ღარიბ გლეხობას. ის მოითხოვს ზავს და მოკავშირეებთან ურთიერთობის გაწყვეტას. ეს შეუძლებელია. ჩვენთვის უფრო მახლობელი და უფრო უტყუარია ვიაროთ ბურჟუაზიასთან ერთად, ჩვენ მას ხომ არც დავშორებივართ, არამედ მხოლოდ წ ა ვ ე ჩ ხ უ ბ ე თ მცირე ხნით, და მარტოოდენ კორნილოვის ინციდენტის გამო. როგორც წავიჩხუბეთ, ისევე შევკრიგდებით. ამასთან ბოლშევიკები ჩვენ სრულიად არაფერს არ «გვითმობენ», რადგან მათი მხრივ აჯანყების ცდები სულ ერთია ისევე გარდუვალად დამარცხდება, როგორც დამარცხდა 1871 წლის კომუნაო.

მეორე ხმა იტყოდა: კომუნის დამოწმება ძალიან ზერელე და სულელურიც კია. ვინაიდან, ჯერ ერთი, ბოლშევიკებმა ზოგი რამ მაინც ისწავლეს 1871 წლის შემდეგ, ისინი ბანკს თავიანთ ხელში აუღებლად არ დასტოვებდნენ, ისინი უარს არ იტყოდნენ ვერსალის წინააღმდეგ შეტევაზე; ხოლო ასეთ პირობებში კომუნასაც კი შეეძლო გაემარჯვნა. გარდა ამისა, კომუნას არ შეეძლო ერთბაშად შეეთავაზებინა ხალხისათვის ის, რის შეთავაზებასაც ბოლშევიკები შესძლებენ, თუ ხელისუფლებას დაეპატრონებიან, სახელდობრ: მიწა გლეხებს, ზავის დაუყოვნებლივი წინადადება, წარმოების ნამდვილი კონტროლი, პატიოსანი ზავი უკრაინელებთან, ფინებთან და სხვ.. ბოლშევიკებს, ვულგარულად რომ ვთქვათ, ათჯერ მეტი «კოზირი» აქვთ ხელში, ვიდრე კომუნას ჰქონდა. მეორეც, კომუნა, რაც უნდა იყოს, ნიშნავს მძიმე სამოქალაქო ომს, ამის შემდეგ მშვიდობიანი კულტურული განვითარების ხანგრძლივ შეფერხებას, ყოველგვარი მაკ-მაგონებისა და კორნილოვების ოპერაციებისა და ოინების გაადვილებას, ასეთი ოპერაციები კი ემუქრებიან მთელ ჩვენს ბურჟუაზიულ საზოგადოებას. განა გონიერება მოითხოვს, რომ კომუნის რისკი გავწიოთ?

კომუნა კი გარდუვალია რუსეთში, თუ ჩვენ ძალაუფლებას არ ავიღებთ ხელში, თუ საქმე ისეთსავე მძიმე მდგომარეობაში დარჩება, როგორც იყო 6 მაისიდან 31 აგვისტომდე. ყოველი რევოლუციური მუშა და ჯარისკაცი აუცილებლად იფიქრებს კომუნაზე, მისდამი რწმენით იქნება გამსჭვალული, აუცილებლად შეეცდება განახორციელოს იგი, თან ასე იმსჯელებს: ხალხი იღუპება, ომი, შიმშილი, გაჭანაგება უფრო და უფრო ღრმავდება. მხოლოდ კომუნა გვიხსნის. დავიღუპოთ, დავიხოცოთ ყველანი, მაგრამ განვახორციელოთ კომუნაო. ასეთი აზრები აუცილებლად დაებადებათ მუშებს, და კომუნის დამარცხება ახლა ისე იოლად ვერ მოხერხდება, როგორც 1871 წელს მოხერხდა. რუსეთის კომუნას 100-ჯერ უფრო ძლიერი მოკავშირენი ეყოლება მთელ მსოფლიოში, ვიდრე 1871 წელს იყო... განა გონიერება მოითხოვს, რომ კომუნის რისკი გავწიოთ? არ შემიძლია აგრეთვე დავეთანხმო იმას, რომ ბოლშევიკები ჩვენ, არსებითად, არაფერს არ გვაძლევდნენ თავიანთი კომპრომისით. ვინაიდან ყველა კულტურულ ქვეყანაში კულტურული მინისტრები ომის დროს ძალიან აფასებენ ყოველ, თუნდაც მცირე შეთანხმებას პროლეტარიატთან. ძალიან, ძალიან აფასებენ. ესენი ხომ საქმის კაცები, ნამდვილი მინისტრები არიან, ბოლშევიკები კი საკმაოდ სწრაფად ძლიერდებიან, მიუხედავად რეპრესიებისა, მიუხედავად მათი პრესის სისუსტისა... განა გონიერება მოითხოვს, რომ კომუნის რისკი გავწიოთო?

ჩვენ უზრუნველყოფილი უმრავლესობა გვყავს, ღარიბი გლეხობის გამოღვიძება ჯერ კიდევ არც ისე ახლოსაა, ვინ იცის, როდის მოვესწრებით. გლეხურ ქვეყანაში უმრავლესობა რომ უკიდურესებს გაჰყვეს, ეს არ მჯერა. ხოლო აშკარა უმრაველესობის წინააღმდეგ, ნამდვილ დემოკრატიულ რესპუბლიკაში აჯანყება შეუძლებელია. ასე იტყოდა მეორე ხმა.

შეიძლება აღმოჩნდეს მესამე ხმაც, მარტოვის ან სპირიდონოვას რომელიმე მომხრეთა წრიდან, რომელიც იტყვის: მე მაშფოთებს, «ამხანაგებო», რომ თქვენ ორივენი, როცა კომუნაზე და მის შესაძლებლობაზე მსჯელობთ, უყოყმანოდ

დგებით მის მოწინააღმდეგეთა მხარეზე, ერთი — ერთი ფორმით, მეორე — სხვა ფორმით, მაგრამ ორივენი დგებით იმათ მხარეზე, ვინც კომუნა ჩაახშო. მე არ დავიწყებ აგიტაციას კომუნის სასარგებლოდ. წინასწარ არ შეგპირდებით, რომ ვიბრძოლებ მის რიგებში, როგორც მოიქცევა ყოველი ბოლშევიკი, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ თუ კომუნა, ჩემი მეცადინეობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, იფეთქებს, მე უფრო მის დამცველებს დავეხმარები, ვიდრე მის მოწინააღმდეგეებს...

უთანხმოება «ბლოკში» დიდია და გარდუვალი, ვინაიდან წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიაში წარმოდგენილია უამრავი ნაირსახეობა, დაწყებული სავსებით მინისტერიაბელური სრული ბურჟუით და გათავებული ნახევრადმათხოვრით, რომელსაც მთლად ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი გადავიდეს პროლეტარის პოზიციაზე. და როგორი იქნება ამ უთანხმოების ყოველ გარკვეულ მომენტში მისი შედეგი, — ეს არავინ იცის.

* * *

წინა სტრიქონები დაწერილია პარასკევს, 1 სექტემბერს, და შემთხვევითი პირობების გამო (კერენსკის დროს, იტყვის ისტორია, ყველა ბოლშევიკი როდი სარგებლობდა საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებით) ვერ მოხვდა რედაქციაში იმავე დღეს. ხოლო შაბათისა და დღევანდელი, კვირის გაზეთების წაკითხვის შემდეგ ვეუბნები ჩემს თავს: ეტყობა, კომპრომისის წინადადებას უკვე დააგვიანდა. ეტყობა, იმ რამდენიმე დღემ, რომელთა განმავლობაშიც მშვიდობიანი განვითარება კ ი დ ე ვ იყო შესაძლებელი, ა გ რ ე თ ე გაიარა. დიახ, ყველაფრიდან ჩანს, რომ ამ დღეებმა უკვე განვლო [85]. კერენსკი წავა, ასე თუ ისე, ესერების პ ა რ ტ ი ი დ ა ნ ა ც და ე ს ე რ ე ბ ი ს გ ა ნ ა ც და გამაგრდება ბურჟუების დახმარებით უ ე ს ე რ ე ბ ო დ, მათი უმოქმედობის წყალობით... დიახ, ყველაფრიდან ჩანს, რომ დღეებმა, როდესაც შემთხვევით შესაძლებელი გახდა მშვი-

დობიანი განვითარების გზა, უკვე განვლო. დაგვრჩენია გავუგზავნოთ ეს შენიშვნები რედაქციას თხოვნით — დაასათაუროს ისინი ასე: «დაგვიანებული აზრები»... ზოგჯერ, იქნებ, დაგვიანებული აზრების გაცნობაც არ იყოს ინტერესს მოკლებული.

დაწერილია 1917 წ.
1 — 3 (14 — 16) სექტემბერს

დაიბეჭდა 1917 წ. 6 (19) სექტემბერს
გაზეთ «რაბოჩი პუტში» № 3
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

პროექტი რეზოლუციისა თანამედროვე პოლიტიკური მომენტის შესახებ [86]

რსდმპ (ბოლშევიკების) მეექვსე ყრილობის მიერ პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მიღებული რეზოლუციის საფუძველზე, იყენებს რა ამ რეზოლუციას ახლანდელი მომენტისათვის, რსდმპ ცენტრალური კომიტეტი თავის პლენარულ სხდომაზე აღნიშნავს:

1. ორი თვის განმავლობაში, 3 ივლისიდან 3 სექტემბრამდე, კლასობრივი ბრძოლის მსვლელობამ და პოლიტიკური ამბების განვითარებამ მთელი ჩვენი ქვეყანა, რევოლუციის გაუგონარი სისწრაფის გამო, იმდენად წასწიეს წინ, რამდენადაც მრავალ წელიწადს არ შეეძლო წინ წაეწია ჩვენი ქვეყანა მშვიდობიან დროს, ურევოლუციოდ და უომოდ.

2. უფრო და უფრო ცხადად ირკვევა, რომ 3 — 5 ივლისის ამბები მთელი რევოლუციის გარდატეხის პუნქტი იყო. თუ ეს ამბები სწორად არ შეფასდა, ისე არ შეიძლება სწორად შეფასდეს არც პროლეტარიატის ამოცანები, არც რევოლუციური ამბების განვითარების სისწრაფე, რომელიც ჩვენს ნებაზე არ არის დამოკიდებული.

3. ცილისწამება, რასაც არაჩვეულებრივი გულმოდგინებით ავრცელებდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბურჟუაზია და რაც უაღრესად ფართოდ მოსდო მან ხალხის მასებს კაპიტალისტურ გაზეთებსა და გამომცემლობებში დაბანდებული მილიონების წყალობით, ეს ცილისწამება სულ უფრო და უფრო სწრაფად

და უფრო და უფრო ფართოდ აშკარავდება. ჯერ დედაქალაქისა და დიდი ქალაქების მუშათა მასებისათვის, შემდეგ გლეხობისთვისაც უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ ცილისწამება ბოლშევიკების მიმართ არის მემამულეთა და კაპიტალისტთა ერთ-ერთი მთავარი იარაღი მუშათა და უღარიბეს გლეხთა ინტერესების დამცველების წინააღმდეგ, ე. ი. ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

4. კორნილოვის აჯანყება, ე. ი. გენერლებისა და ოფიცრებისა, რომელთა ზურგს უკან დგანან მემამულეები და კაპიტალისტები კადეტების პარტიის («ხალხის თავისუფლების» პარტიის) მეთაურობით, ეს აჯანყება ცდილობდა პირდაპირ შენიღბულიყო ბოლშევიკების წინააღმდეგ ძველი ცილისწამების განმეორების საშუალებით, რითაც მან ხელი შეუწყო იმას, რომ ხალხის უაღრესად ფართო მასებს საბოლოოდ აეხილნათ თვალი და დაენახათ ბურჟუაზიის მიერ ბოლშევიკური მუშათა პარტიისათვის, ღარიბთა ჭეშმარიტი დამცველებისათვის ცილის დაწამების ჭეშმარიტი მნიშვნელობა.

5. ჩვენს პარტიას რომ უარი ეთქვა მასების 3 — 4 ივლისის მოძრაობის მხარის დაჭერაზე, მოძრაობისა, რომელმაც სტიქიურად იფეთქა, წინააღმდეგ მათი შეკავების ჩვენი ცდებისა, — ეს იქნებოდა პირდაპირი და სრული ღალატი პროლეტარიატის მიმართ, ვინაიდან მასები ამოძრავდნენ კანონიერად და სამართლიანად აღშფოთებულნი იმით, რომ აჭიანურებენ იმპერიალისტურ, ე. ი. მტაცებლურსა და მძარცველურ ომს, რაც კაპიტალისტების ინტერესებისათვის წარმოებს, ხოლო მთავრობა და საბჭოები უმოქმედობას იჩენენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც აძლიერებს და ამწვავებს ნგრევასა და შიმშილს.

6. მიუხედავად ბურჟუაზიისა და მთავრობის ყოველი ღონისძიებისა, მიუხედავად ასობით ბოლშევიკის დაპატიმრებისა, მათი ჟურნალების, დოკუმენტების ხელში ჩაგდებისა, რედაქციების გაჩხრეკისა და სხვ., — მიუხედავად ყოველივე ამისა ვერ მოხერხდა და ვერასოდეს ვერ მოხერხდება იმ ცილისწამების დამტკიცება, თითქოს ჩვენი პარტია 3 — 4

ივლისის მოძრაობას სხვა რაიმეს უსახავდა მიზნად და არა «მშვიდობიან და ორგანიზებულ» დემონსტრაციას იმ ლოზუნგით, რომ მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში გადასცემოდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს.

7. შეცდომა იქნებოდა, ბოლშევიკებს რომ 3 — 4 ივლისს ამოცანად დაესახათ ძალაუფლების აღება, ვინაიდან არა მარტო ხალხის, არამედ აგრეთვე მუშების უმრავლესობას მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნამდვილად განცდილი კონტრრევოლუციური პოლიტიკა გენერლებისა — არმიაში, მემამულეებისა — სოფლად, კაპიტალისტებისა — ქალაქად, პოლიტიკა, რომელიც მასებმა დაინახეს 5 ივლისს შემდეგ და რომელიც წარმოშვა ესერებისა და მენშევიკების შემთანხმებლობამ ბურჟუაზიასთან. მაგრამ ჩვენი პარტიის არც ერთს, არც ცენტრალურს, არც ადგილობრივ ორგანიზაციას არათუ არ წამოუყენებია არც წერილობით, არც სიტყვიერად 3 — 4 ივლისს ძალაუფლების დაპყრობის ლოზუნგი, არამედ განსაკუთრებულადაც კი არ დაუსვამს ეს საკითხი.

8. ჩვენი პარტიის ნამდვილი შეცდომა 3—4 ივლისის დღეებში, რაც ახლა მოვლენებმა ცხადყვეს, მხოლოდ ის იყო, რომ პარტიას საერთო სახალხო მდგომარეობა ნაკლებად რევოლუციურად მიაჩნდა, ვიდრე აღმოჩნდა, რომ პარტიას ჯერ კიდევ შესაძლებლად მიაჩნდა პოლიტიკურ გარდაქმნათა მშვიდობიანი განვითარება საბჭოების მიერ პოლიტიკის შეცვლის გზით, მაშინ როდესაც სინამდვილეში მენშევიკებმა და ესერებმა უკვე იმდენად გაიხლართეს და შეიბოჭეს თავი ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობით, ხოლო ბურჟუაზია იმდენად კონტრრევოლუციური გახდა, რომ არავითარ მშვიდობიან განვითარებაზე ლაპარაკიც კი აღარ შეიძლებოდა. მაგრამ ამ შემცდარ შეხედულებას, რომელსაც ასაზრდოებდა მხოლოდ იმის იმედი, რომ ამბები ძალიან სწრაფად არ განვითარდებოდა, ამ შემცდარ შეხედულებას პარტია თავს ვერ დააღწევდა სხვანაირად, თუ მონაწილეობას არ მიიღებდა 3—4 ივლისის სახალხო მოძრაობაში ლოზუნგით «მთელი ძალაუფლება საბ-

ჭოებს» და ამოცანად არ დაისახავდა მიეცა მოძრაობისათვის მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი.

9. კორნილოვის აჯანყების ისტორიული მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან ხალხის მასებს უაღრესი სიძლიერით აუხილა თვალი და დაანახვა ის ჭეშმარიტება, რომელიც იჩქმალებოდა და დღევანდლამდე იჩქმალება ესერებისა და მენშევიკების შემთანხმებლური ფრაზით, სახელდობრ: მემამულეები და ბურჟუაზია, კადეტების პარტიის მეთაურობით, და მათ მხარეზე მდგომი გენერლები და ოფიცრები შეკავშირდნენ, ისინი მზად არიან ჩაიდინონ და სჩადიან ყოვლად გაუგონარ დანაშაულს, მზად არიან დაუთმონ რიგა (შემდეგ პეტროგრადიც) გერმანელებს, გაუხსნან მათ ფრონტი, გააქლეტინონ ბოლშევიკთა პოლკები, დაიწყონ ამბოხება, დასძრან დედაქალაქისაკენ ჯარები «ველური დივიზიის» მეთაურობით და ა. შ. — ყოველივე ეს იმისათვის, რომ ბურჟუაზიას ხელში ჩაუვარდეს მთელი ძალაუფლება, რომ განმტკიცდეს მემამულეთა ძალაუფლება სოფლად, რომ ჩვენი ქვეყანა მუშებისა და გლეხების სისხლით მოირწყოს.

კორნილოვის აჯანყებამ დაამტკიცა რუსეთის მიმართ ის, რაც დაამტკიცა ყველა ქვეყნის მიმართ მთელმა ისტორიამ, სახელდობრ, რომ ბურჟუაზია გასცემს სამშობლოს და ყოველგვარ დანაშაულს ჩაიდენს, ოღონდ შეინარჩუნოს თავისი ძალაუფლება ხალხზე და თავისი შემოსავალი.

10. რუსეთის მუშებისა და გლეხების წინაშე არ არის აბსოლუტურად არავითარი გამოსავალი, გარდა ყოვლად გადამწყვეტი ბრძოლისა და გამარჯვებისა მემამულეებსა და ბურჟუაზიაზე, კადეტების პარტიაზე, მის თანამგრძნობ გენერლებსა და ოფიცრებზე. ხოლო ბრძოლისათვის და ასეთი გამარჯვებისათვის ხალხის, ე. ი. ყველა მშრომელის, გაძღოლა შეუძლია მხოლოდ ქალაქის მუშათა კლასს, თუ მის ხელში გადავა მთელი სახელმწიფო ძალაუფლება და თუ მას მხარს დაუჭერენ უღარიბესი გლეხები.

11. რუსეთის რევოლუციის ამბები, მეტადრე 6 მაისის შემდეგ და კიდევ უფრო მეტად 3 იელისის შემდეგ, ქარიშხლისა

ან გრიგალის ისეთი არაჩვეულებრივი სისწრაფით ვითარდება, რომ პარტიის ამოცანა არასგზით არ შეიძლება იყოს მათი დაჩქარება; პირიქით, მთელი ძალ-ღონე უნდა წარიმართოს იქით, რომ არ ჩამოვრჩეთ მოვლენებს და მოვასწროთ ჩვენი მუშაობა — შეძლებისამებრ განვუმარტოთ მუშებსა და გლეხებს მდგომარეობისა და კლასობრივი ბრძოლის მსვლელობის ცვლილებანი. სწორედ ასეთია პარტიის მთავარი ამოცანა ახლაც: განვუმარტოთ მასებს, რომ მდგომარეობა საშინლად კრიტიკულია, რომ ყოველი გამოსვლა შეიძლება აფეთქებით დამთავრდეს, რომ ამიტომ ნაადრევ აჯანყებას შეუძლია უდიდესი ზიანი მოგვიტანოს. ხოლო ამასთან ერთად კრიტიკულ მდგომარეობას გარდუვალად მიჰყავს მუშათა კლასი — და, იქნებ, კატასტროფული სისწრაფით — იქითკენ, რომ იგი, მოვლენების შემობრუნების გამო, რაც მისგან არ არის დამოკიდებული, იძულებული გახდეს ჩაებას გადამწყვეტ ბრძოლაში კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასთან და დაიპყროს ძალაუფლება.

12. კორნილოვის აჯანყებამ სავსებით გამოააშკარავა ის ფაქტი, რომ არმიას, მთელ არმიას სძულს მ თ ა ვ ა რ ი ბ ა ნ ა კ ი. იძულებული იყვნენ ეს აღეარებინათ ისეთ მენშევიკებს და ესერებსაც კი, რომლებმაც მთელი თვეების მცდელობით დაამტკიცეს თავიანთი სიძულვილი ბოლშევიკებისადმი, დაამტკიცეს, რომ ისინი იცავენ მემამულეებთან და ბურჟუაზიასთან მუშათა და გლეხთა შეთანხმების პოლიტიკას. არმიის სიძულვილი მთავარი ბანაკისადმი კი არ შესუსტდება, არამედ გაძლიერდება მას შემდეგ, რაც კერენსკის მთავრობა დასჯერდა კორნილოვის შეცვლას ალექსეევით, თავის ადგილზე დასტოვა კლემბოვსკი და სხვა კორნილოველი გენერლები და სრულიად არაფერს სერიოზულს არ აკეთებს არმიის დემოკრატიზაციისათვის და კონტრრევოლუციურ მეთაურთა შემადგენლობის გასაძევებლად. საბჭოები, რომლებიც ითმენენ და მხარს უჭერენ კერენსკის ამ სუსტ, მერყევ, უპრინციპო პოლიტიკას, საბჭოები, რომლებმაც ხელიდან გაუშვეს კიდევ ერთი მომენტი — მშვიდობიანად დაჰპატრონებოდნენ მთელ ძალაუფლებას კორნილოვის აჯანყების ლიკვიდაციის მომენტში, ეს საბჭოები

დამნაშავენი ხდებიან არა მარტო შემთანხმებლობაში, არამედ უკვე დანაშაულებრივ შემთანხმებლობაშიც.

არმიას, რომელსაც სძულს მთავარი ბანაკი და არა სურს აწარმოოს ომი, რომლის მტაცებლური ხასიათი მან დაინახა, გარდუვალად ემუქრება ახალი კატასტროფები.

13. მხოლოდ მუშათა კლასი შესძლებს, როდესაც ის დაიპყრობს ძალაუფლებას, გაატაროს მშვიდობიანობის პოლიტიკა ნამდვილად და არა სიტყვიერად, როგორც მას ატარებენ მენშევიკები და ესერები, რომლებიც სინამდვილეში მხარს უჭერენ ბურჟუაზიას და მის საიდუმლო ხელშეკრულებებს. სახელდობრ: იგი დაუყოვნებლივ და ყოველგვარ სამხედრო მდგომარეობაში, თუნდაც კორნილოველმა გენერლებმა, რიგის დათმობის შემდეგ, პეტროგრადიც რომ დასთმონ, შესთავაზებს **ყველა** ხალხს ზავის აშკარა, ზუსტ, ცხად, **სამართლიან** პირობებს. მუშათა კლასს შეუძლია ეს ქნას მთელი ხალხის სახელით, ვინაიდან რუსეთის მუშათა და გლეხთა უდიდესმა უმრავლესობამ გაილაშქრა ახლანდელი მტაცებლური ომის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა სამართლიანი პირობების საფუძველზე დადებულ, უანექსიო (უდანაპყრობო) და უკონტრიბუციო ზავს.

ესერები და მენშევიკები თავის თავსაც ატყუებენ და ხალხსაც, როცა თვეობით ლაპარაკობენ ასეთ ზავზე. მუშათა კლასი, ძალაუფლებას რომ დაიპყრობს, ერთ დღესაც კი არ დაკარგავს და ყველას შესთავაზებს ზავს.

ყველა ქვეყნის კაპიტალისტები ისე ძნელად აკავებენ ყველგან მზარდ მუშათა რევოლუციას ომის წინააღმდეგ, რომ თუ ზავის შესახებ უძლური და უბადრუკი მოთქმის ნაცვლად რუსეთის რევოლუცია პირდაპირ შესთავაზებს მას, თან გამოაქვეყნებს და უკუაგდებს საიდუმლო ხელშეკრულებებს და ა. შ., მაშინ ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი შანსი იმას გვიჩვენებს, რომ მშვიდობიანობა მალე დამყარდება, რომ კაპიტალისტები ვერ შესძლებენ ხელი შეუშალონ მშვიდობიანობას.

ხოლო თუ განხორციელდება ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელი შემთხვევა და კაპიტალისტები, თავიანთ ხალხთა ნების წინააღმდეგ, უკუაგდებენ რუსეთის მუშათა მთავრობის ზავის

პირობებს, მაშინ რევოლუცია ევროპაში ასჯერ უფრო მოახლოვდება, ხოლო ჩვენი მუშებისა და გლეხების არმია აირჩევს არა საძულველ, არამედ პატივსაცემ უფროსებსა და სარდლებს, დარწმუნდება ომის სამართლიანობაში მას შემდეგ, რაც ზავი შეთავაზებულია, საიდუმლო ხელშეკრულებანი დაფხრეწილია, კავშირი მემამულეებთან და ბურჟუაზიასთან გაწყვეტილია, მთელი მიწა გადაცემულია გლეხთა ხელში. მხოლოდ მაშინ გადაიქცევა ომი სამართლიან ომად რუსეთის მხრივ, მხოლოდ ასეთ ომს გააჩაღებენ მუშები და გლეხები არა ჯოხის შიშით, არამედ ნებაყოფლობით, და ასეთი ომი კიდევ უფრო მოაახლოებს მუშათა გარდუვალ რევოლუციას მოწინავე ქვეყნებში.

14. მხოლოდ მუშათა კლასი შესძლებს, როცა იგი ძალაუფლებას დაიპყრობს, უზრუნველყოს მემამულეთა მთელი მიწის დაუყოვნებლივ და უსასყიდლოდ გადასვლა გლეხების ხელში. ამის გადადება არ შეიძლება. დამფუძნებელი კრება დააკანონებს ამას, მაგრამ მისი მოწვევის გაჭიანურებაში გლეხებს ბრალი არ მიუძღვით. გლეხები ყოველდღე უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ მემამულეებთან და კაპიტალისტებთან შეთანხმების გზით მიწის მიღება შეუძლებელია. მიწის მოპოვება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ულარიბეს გლეხებს მტკიცე, ძმური კავშირი ექნებათ მუშებთან.

ჩერნოვის წასვლამ მთავრობიდან მას შემდეგ, რაც ჩერნოვი თვეობით ცდილობდა დაეცვა გლეხთა ინტერესები კადეტ-მემამულეებისათვის დიდ თუ მცირე დათმობათა გზით და როცა ყოველი ცდა კრახით დამთავრდა, ამ წასვლამ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოააშკარავა შემთანხმებლობის პოლიტიკის განწირულობა. გლეხობამ კი ადგილობრივ იცის, იგი ხედავს, გრძნობს და განიცდის, თუ როგორ გათავხედდნენ მემამულენი სოფლად 5 ივლისის შემდეგ და რა აუცილებელია მათი ალაგმვა და გაუვნებლება.

15. მხოლოდ მუშათა კლასი შესძლებს, როცა იგი ძალაუფლებას დაიპყრობს, ბოლო მოუღოს ნგრევასა და შიმშილის საფრთხეს. 6 მაისის აქეთ მთავრობა გვპირდება კონტროლსა

და კონტროლს, მაგრამ მას არაფერი გაუკეთებია და არც შეეძლო გაეკეთებინა, ვინაიდან კაპიტალისტები და მემამულეები ფუშავდნენ მთელ მუშაობას. უმუშევრობა იზრდება, შიმშილი ახლოვდება, ფულის ღირებულება ეცემა; პეშეხონოვის წასვლა მტკიცე ფასების გაორმაგების შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერებს კრიზისს და ეს ისევ და ისევ ამტკიცებს მთავრობის მთელ სისუსტესა და უძლურებას. მხოლოდ მუშათა კონტროლს წარმოებისა და განაწილების მიმართ შეუძლია მდგომარეობის ხსნა. მხოლოდ მუშათა მთავრობა ალაგმავს კაპიტალისტებს, გამოიწვევს ხელისუფლების ღონისძიებათა გმირულად მხარის დაჭერას ყველა მშრომელის მიერ, დაამყარებს წესრიგს და პურის სწორ გაცვლას პროდუქტებზე.

16. აღდგენა ღარიბი გლეხობის ნდობისა ქალაქის მუშათა კლასისადმი, რაც დროებით შერყეული იყო ბურჟუაზიის ცილისწამებით და შემთანხმებლობის პოლიტიკაზე დამყარებული იმედებით, ხდება განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაპატიმრებათა წარმოებამ სოფლად და მშრომელთა ყოველგვარმა დევნამ 5 ივლისის შემდეგ, მერე კი კორნილოვის აჯანყებამ თვალები აუხილეს ხალხს. ხალხის მიერ კაპიტალისტებთან შეთანხმების რწმენის დაკარგვის ერთ-ერთი ნიშანია ის, რომ ორ მთავარ პარტიაში, ესერებისა და მენშევიკებისაში, რომლებმაც შეთანხმებათა ეს პოლიტიკა შემოიღეს და ბოლომდე გაატარეს, უფრო და უფრო იზრდება, განსაკუთრებით 5 ივლისის შემდეგ, უკმაყოფილება ამ პარტიების შიგნით, იზრდება ბრძოლა შემთანხმებლობის წინააღმდეგ, იზრდება ოპოზიცია, რომელმაც მიაღწია დაახლოებით ორ მესამედს (40%) სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის უკანასკნელ «საბჭოში» და მენშევიკების პარტიის ყრილობაზე.

17. მოვლენათა მთელი მსვლელობა, ყველა ეკონომიური და პოლიტიკური პირობა, არმიაში მომხდარი ყველა ამბავი სულ უფრო და უფრო სწრაფად ამზადებენ მუშათა კლასის

მიერ ძალაუფლების დაპყრობის წარმატებას, — მუშათა კლასისა, რომელიც მოგვცემს ზავს, პურს, თავისუფლებას, რომელიც დააჩქარებს პროლეტარიატის რევოლუციის გამარჯვებას სხვა ქვეყნებშიც.

დაწერილია არაუგვიანეს
1917 წ. 3 (16) სექტემბრისა


პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში IV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

კატასტროფის მუქარა და როგორ ვეგრძოლოთ მას

იბეჭდება ცალკე ბროშურად
1917 წ. ოქტომბრის დამლევს
გამომც. «პრიბოი»

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით



პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «კატასტროფის მუქარა
როგორ ვებრძოლოთ მას». — 1917 წ. 10 — 14 (23 — 27) სექტემბერ

დაპატარავებულია

შიმშილი ახლოვდება

რუსეთს გარდუვალი კატასტროფა ემუქრება. რკინიგზის ტრანსპორტი წარმოუდგენლად მოშლილია და სულ უფრო და უფრო იშლება. რკინიგზები გაჩერდება. შეწყდება ნედლი მასალისა და ნახშირის მიზიდვა ფაბრიკებში. შეწყდება პურის მოზიდვა. კაპიტალისტები განზრახ და განუხრელად უწევენ საბოტაჟს წარმოებას (აფუჭებენ, აჩერებენ, ძირს უთხრიან, აფერხებენ) იმ იმედით, რომ გაუგონარი კატასტროფა ბოლოს მოუღებს რესპუბლიკასა და დემოკრატიზმს, საბჭოებსა და საერთოდ პროლეტართა და გლეხთა კავშირებს, გააადვილებს მონარქიის დაბრუნებას და ბურჟუაზიისა და მემამულეების ყოვლისშემძლეობის აღდგენას.

უმაგალითო მასშტაბის კატასტროფა და შიმშილი გარდუვალად გვემუქრება. ამაზე ყველა გაზეთში უკვე უთვალავჯერ ყოფილა ლაპარაკი. უამრავი რეზოლუცია მიღებულია პარტიების მიერაც და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების მიერაც, — რეზოლუციები, სადაც აღიარებულია, რომ კატასტროფა გარდუვალია, რომ იგი უკვე კარს გვადგება, რომ აუცილებელია თავდადებული ბრძოლა მასთან, აუცილებელია ხალხის «გმირული ღონისძიებანი» დაღუპვისაგან თავის დასაღწევად და ასე შემდეგ.

ამას ყველა ამბობს. ამას ყველა აღიარებს. ეს ყველას აქვს გადაწყვეტილი.

და არაფერი კი არ კეთდება.

განვლო რევოლუციის ნახევარმა წელმა. კატასტროფა კიდევ უფრო მოგვიახლოვდა. საქმე მასობრივ უმუშევრობამდე მივიდა. ერთი დაფიქრდით: ქვეყანაში საქონელი არ არის, ქვეყანა იღუპება პროდუქტების ნაკლებობის გამო, მუშახელის ნაკლებობის გამო, და ამავე დროს კი საკმაო რაოდენობით მოიპოვება პური და ნედლეული, და ასეთ ქვეყანაში, ასეთ კრიტიკულ მომენტში გაჩნდა მასობრივი უმუშევრობა! კიდევ რა დამაჯერებელი საბუთია საჭირო, რომ რევოლუციის ნახევარი წლის განმავლობაში (რევოლუციისა, რომელსაც ზოგიერთნი დიდს უწოდებენ, მაგრამ რომლისთვის ჯერჯერობით იქნებ უფრო სამართლიანი იქნებოდა დამპალი გვეწოდებინა), როცა დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობს, როცა ბლომადაა კავშირები, ორგანოები, დაწესებულებები, რომლებიც თავის თავს ამაყად «რევოლუციურ-დემოკრატიულს» უწოდებენ, სინამდვილეში სრულიად არაფერი სერიოზული **არ** გაკეთებულა კატასტროფის წინააღმდეგ, შიმშილის წინააღმდეგ? ჩვენ უფრო და უფრო სწრაფად ეახლოვდებით კრახს, ვინაიდან ომი არ იცდის, და მის მიერ ხალხის ცხოვრების ყველა მხარის მოშლა უფრო და უფრო ძლიერდება.

ამავე დროს კი საკმარისია სულ ცოტაოდენი ყურადღება და ჩაფიქრება, რათა დავრწმუნდეთ, რომ კატასტროფისა და შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები მოიპოვება, რომ ბრძოლის ღონისძიებანი სავსებით ნათელი და მარტივია, სავსებით შეიძლება განხორციელდეს, სავსებით მისაწვდომია ხალხის ძალებისათვის და რომ ამ ღონისძიებებს **არ** ღებენ **მარტო** იმიტომ, **მხოლოდ და მხოლოდ** იმიტომ, რომ **მათი** განხორციელება ერთი მუჭა მემამულეებისა და კაპიტალისტების გაუგონარ მოგებას შელახავს.

მართლაც. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ვერც ერთი მიმართულების გაზეთში ვერ იპოვნით ვერც ერთ სიტყვას, ვერც ერთ სტატიას, ვერ იპოვნით ვერც ერთი კრების ან დაწესებულების ვერც ერთ რეზოლუციას, სადაც სავსებით ნათლად და გარკვეულად არ იყოს აღიარებული ბრძო-

ლის ძირითადი და მთავარი ღონისძიება, კატასტროფისა და შიმშილის თავიდან აცილების ღონისძიება. ეს ღონისძიებაა: კონტროლი, მეთვალყურეობა, აღრიცხვა, მოწესრიგება სახელმწიფოს მხრივ, პროდუქტების წარმოებასა და განაწილებაში სამუშაო ძალების სწორი განაწილების დაწესება, ხალხის ძალების დაზოგვა, ძალების ყოველგვარი ზედმეტი ხარჯვის თავიდან აცილება, მათი მომჭირნეობა. კონტროლი, მეთვალყურეობა, აღრიცხვა — აი პირველი სიტყვა კატასტროფისა და შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლაში. აი რა არის უდავო და საყოველთაოდ აღიარებული. და სწორედ **ამას არ აკეთებენ** იმის შიშით, რომ ხელი არ ახლონ მემამულეთა და კაპიტალისტთა ყოვლისშემძლეობას, მათს უზომო, გაუგონარ, სკანდალურ მოგებას, — მოგებას, რასაც ისინი იძენენ სიძვირის წყალობით, სამხედრო მასალის მიწოდებათა წყალობით (ახლა კი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, თითქმის ყველა ომისთვის «მუშაობს»), მოგებას, რომელიც ყველამ იცის, რომელსაც ყველა ხედავს, რომლის გამოც ყველა ოხრავს და ხვნეშის.

და სახელმწიფოს მხრივ სრულიად არაფერი არ კეთდება რაოდენადმე სერიოზული კონტროლისათვის, აღრიცხვისა და მეთვალყურეობისათვის.

მთავრობის სრული უმოქმედობა

ხდება ყოველგვარი კონტროლის, მეთვალყურეობისა და აღრიცხვის, სახელმწიფოს მხრივ მისი მოწესრიგების ყოველგვარი ცდის სისტემატური, განუხრელი საბოტაჟი ყველგან. და საჭიროა წარმოუდგენელი გულუბრყვილობა, რომ კერ მიხვდე, — საჭიროა უაღრესი თვალთმაქცობა, რომ თავი ისე მოგვაჩვენო, თითქოს არ გესმოდეს, თუ საიდან მომდინარეობს ეს საბოტაჟი, რა საშუალებებით წარმოებს იგი. ვინაიდან ბანკირები და კაპიტალისტები ამ საბოტაჟს, ყოველგვარი კონტროლის, მეთვალყურეობისა და აღრიცხვის **ჩაშლას** უფარდებენ დემოკრატიული რესპუბლიკის • სახელმწიფო ორგანოებს, უფარდებენ «რევოლუციურ-დემოკრატიულ» დაწე-

სებულებათა არსებობას. ბატონმა კაპიტალისტებმა ჩინებულად შეითვისეს ის ჰეშმარიტება, რომელსაც მეცნიერული სოციალიზმის ყველა მომხრე სიტყვიერად აღიარებს, მაგრამ მენშევიკები და ესერები ეცადნენ მაშინვე დაევიწყნათ იგი, როგორც კი მათმა მეგობრებმა მინისტრების, მინისტრის ამხანაგებისა და სხვა ამისთანა ადგილები დაიკავეს. ეს სახელდობრ ის ჰეშმარიტებაა, რომ კაპიტალისტური ექსპლოატაციის ეკონომიურ არსს სრულიადაც არ ეხება მმართველობის მონარჩიული ფორმების შეცვლა რესპუბლიკურ-დემოკრატიული ფორმებით და რომ, მაშასადამე, პირიქითაც: საჭიროა შეიცვალოს კაპიტალისტური მოგების ხელუხლებლობისა და სიწმინდისათვის ბრძოლის მხოლოდ ფორმა, რათა დაიცვა იგი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ისევე წარმატებით, როგორც იცავდნენ მას თვითმპყრობელური მონარჩიის დროს.

ყოველგვარი კონტროლის, აღრიცხვის, მეთვალყურეობის თანამედროვე, უახლესი, რესპუბლიკურ-დემოკრატიული საბოტაჟი ის არის, რომ კაპიტალისტები სიტყვიერად «მხურვალედ» აღიარებენ კონტროლის «პრინციპს» და მის აუცილებლობას (თავისთავად იგულისხმება, როგორც ყველა მენშევიკი და ესერი), ოღონდ დაჟინებით მოითხოვენ ამ კონტროლის «თანდათან», გეგმაზომიერ, «სახელმწიფოებრივად მოწესრიგებულ» შემოღებას. ნამდვილად კი ამ კეთილსახიერი სიტყვებით იფარება კონტროლის ჩაშლა, მის არარად, ფიქციად გადაქცევა, კონტროლობის თამაში, ყოველგვარი საქმიანი და პრაქტიკულად სერიოზული ნაბიჯის გაჯანჯლება, კონტროლის არაჩვეულებრივ რთულ, უზარმაზარ მოხელურ-უსიცოცხლო დაწესებულებათა შექმნა, რომელნიც სულ ერთიანად დამოკიდებული არიან კაპიტალისტებისაგან და სრულიად არაფერს არ აკეთებენ და ვერც გააკეთებენ.

ლიტონსიტყვაობა რომ არ გამოგვივიდეს, დავასახელებთ მენშევიკ დაესერ მოწმეებს, ე. ი. სწორედ იმ ადამიანებს, რომლებსაც უმრავლესობა ჰყავდათ საბჭოებში რევოლუციის

პირველი ნახევარი წლის მანძილზე, რომლებიც «კოალიციურ მთავრობაში» მონაწილეობდნენ და რომლებიც ამიტომ პოლიტიკურად პასუხისმგებელნი არიან რუსი მუშებისა და გლეხების წინაშე იმისათვის, რომ მათ კაპიტალისტები თავის ნებაზე მიუშვეს, რომ მათ ყოველგვარი კონტროლი ჩაშალეს.

«რევოლუციური» დემოკრატიის ეგრეთწოდებული «სრულუფლებიანი» (ხუმრობა არ გეგონოთ!) ორგანოებიდან ყველაზე უმაღლეს ოფიციალურ ორგანოს «ცაკის უწყებების» (ცაკის, ე. ი. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის) 1917 წლის 7 სექტემბრის № 164-ში დაბეჭდილია **დადგენილება** იმავე მენშევიკებისა და ესერების მიერ შექმნილი და მათ ხელში მყოფი სპეციალური დაწესებულებისა კონტროლის საკითხებზე. ეს სპეციალური დაწესებულებაა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის «ეკონომიური განყოფილება». მის დადგენილებაში ოფიციალურად აღიარებულია, როგორც ფაქტი, **«ეკონომიური ცხოვრების მოსაწესრიგებლად მთავრობასთან შექმნილი ცენტრალური ორგანოების სრული უმოქმედობა».**

მართლაცდა, განა შეიძლება წარმოვიდგინოთ მენშევიკური და ესერული პოლიტიკის კრახის უფრო მჭევრმეტყველური დადასტურება, ხელმოწერილი თვითონ მენშევიკებისა და ესერების მიერ?

ჯერ კიდევ ცარიზმის დროს აღიარეს ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგების აუცილებლობა და ამისათვის შექმნეს ზოგიერთი დაწესებულება. მაგრამ ცარიზმის დროს ნგრევა იზრდებოდა — იზრდებოდა და საშინელ ფარგლებს აღწევდა. რესპუბლიკური, რევოლუციური მთავრობის ამოცანად დაუყოვნებლივ აღიარებულ იქნა სერიოზული, გადამწყვეტი ზომების მიღება ნგრევის მოსასპობად. როდესაც მენშევიკებისა და ესერების მონაწილეობით იქმნებოდა «კოალიციური» მთავრობა, მის ერთ მაისის ფრიად საზეიმო, საყოველთაო-სახალხო დეკლარაციაში მოცემული იყო დაპირება და ვალდებულება — შემოეღოთ სახელმწიფო კონტროლი და მოწეს-

რიგება. წერეთლებიც და ჩერნოვებიც, აგრეთვე მენშევიკებისა და ესერების ყველა ბელადი ფიცულობდნენ და გაიძახოდნენ, რომ ისინი არათუ პასუხისმგებლები არიან მთავრობისათვის, არამედ მათ ხელში მყოფი «რევოლუციური დემოკრატიის სრულუფლებიანი ორგანოებიც» ნამდვილად თვალყურს ადევნებენ მთავრობის მუშაობას და ამოწმებენო.

ოთხმა თვემ განვლო 6 მაისის შემდეგ, ოთხმა გრძელმა თვემ, როდესაც რუსეთმა ასეული ათასობით ჯარისკაცი შეაკლა უაზრო, იმპერიალისტურ «შეტევას», როდესაც ნგრევა და კატასტროფა ბუმბერაზული ნაბიჯებით გვიახლოვდებოდა, როდესაც ზაფხული განსაკუთრებულ შესაძლებლობას იძლეოდა ბევრი რამ გაეკეთებინათ სანაოსნო ტრანსპორტის დარგშიც, მიწათმოქმედებაშიც, სამთამადნო საქმის გამოკვლევის მხრივაც და სხვ. და სხვ., — და ამ ოთხი თვის შემდეგ მენშევიკები და ესერები იძულებული არიან ოფიციალურად აღიარონ მთავრობასთან შექმნილ კონტროლის დაწესებულებათა «სრული უმოქმედობა»!!

და აი ეს მენშევიკები და ესერები, სახელმწიფო მოღვაწეთა სერიოზული გამომეტყველებით, ახლა (ჩვენ ამ სტრიქონებს ვწერთ სწორედ 12 სექტემბრის დემოკრატიული თათბირის წინადღეს) ლაყბობენ იმაზე, რომ საქმეს შეიძლება ეშველოს, თუ კადეტებთან კოალიციის ნაცვლად გვექნება კოალიცია ვაჭრობა-მრეწველობის კიტ კიტიჩებთან, რიაბუშინსკებთან, ბუბლიკოვებთან, ტერეშჩენკოებთან და კოშბანიასთანაო!

კითხვა იბადება, რით აიხსნება მენშევიკებისა და ესერების ეს გასაოცარი სიბრმავე? უნდა მივიჩნიოთ თუ არა ისინი სახელმწიფოებრივ ბალღებად, რომლებმაც უკიდურესი უგუნურებისა და გულუბრყვილობის გამო არა უწყიან, რას შვრებიან, და კეთილსინდისიერად ცდებიან? ან შეიძლება მინისტრის, მინისტრის ამხანაგების, გენერალ-გუბერნატორების, კომისრებისა და სხვა ამისთანათა დაკავებული ადგილე-

ბის სიუხვეს განსაკუთრებული, «პოლიტიკური» სიბრმავის წარმოშობის უნარი აქვს?

კონტროლის ღონისძიებათა საყოველთაო ცოდნა და სიადვილე

შეიძლება დაიბადოს კითხვა, ხომ არ წარმოადგენენ კონტროლის საშუალებანი და ღონისძიებანი რაიმე უალრესად რთულს, ძნელს, ისეთ რამეს, რაც არ ყოფილა ნაცადი და უცნობიც კია? ხომ არ აიხსნება საქმის გაჯანჯლება იმით, რომ კადეტთა პარტიის, ვაჭარ-მრეწველთა კლასის, ესერებისა და მენშევიკების პარტიების სახელმწიფო მოღვაწენი ოფლში იწურებიან უკვე ნახევარი წელიწადია, რათა გამოძებნონ, შეისწავლონ, აღმოაჩინონ კონტროლის ღონისძიებანი და საშუალებანი, მაგრამ ამოცანა უზომოდ ძნელია და ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია?

ვაგლახ! უბირ გლეხებს, უსწავლელთ და დაბეჩავებულთ, აგრეთვე ობივატელებს, რომლებსაც ყველაფერი სჯერათ და ვერაფერს ვერ უკვირდებიან, ცდილობენ «თვალი აუხვიონ» და საქმე ამ სახით დაუსახონ. ხოლო სინამდვილეში ცარიზმაც კი, «ძველმა რეჟიმმაც» კი, როცა იგი ქმნიდა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებს, ი ც ო დ ა კონტროლის ძირითადი ღონისძიება, მთავარი საშუალება და გზა: მოსახლეობის გაერთიანება სხვადასხვა პროფესიის, მუშაობის მიზნების, შრომის დარგებისა და მისთანათა მიხედვით. მაგრამ ცარიზმს ე შ ი ნ ო დ ა მოსახლეობის გაერთიანებისა და ამიტომ იგი ყოველნაირად ზღუდავდა, ხელოვნურად კვეცავდა კონტროლის ამ საყოველთაოდ ცნობილ, უადვილეს, სავსებით გამოსაყენებელ, საშუალებასა და გზას.

ყველა მეომარმა სახელმწიფომ, რაკი განიცადა ომით გამოწვეული უკიდურესი სიმძიმე და გაჭირვება, რაკი განიცადა — მეტად თუ ნაკლებად — ნგრევა და შიმშილი, დიდი ხანია დასახა, განსაზღვრა, გამოიყენა, გამოსცადა კონტროლის მ თ ე ლ ი რ ი გ ი ღონისძიებანი, რომელნიც თითქმის ყოველთვის გამოიხატება მოსახლეობის გაერთიანებით, სხვა-

დასხვაგვარი კავშირების შექმნითა თუ წახალისებით სახელმწიფოს წარმომადგენელთა მონაწილეობით, მისი მეთვალყურეობით და სხვა. კონტროლის ყველა ასეთი ღონისძიება საყოველთაოდ ცნობილია, მათ შესახებ ბევრი თქმულა და ბევრი დაწერილა, მოწინავე სახელმწიფოთა მიერ კონტროლის შესახებ გამოცემული კანონები გადმოთარგმნილია რუსულ ენაზე ან დაწვრილებით განმარტებულია რუსულ პრესაში.

ჩვენს სახელმწიფოს რომ მართლაც ს უ რ დ ე ს საქმიანად, სერიოზულად განახორციელოს კონტროლი, მის დაწესებულებებს რომ კაპიტალისტების წინაშე მონურად ქედის მოხრით არ განემზადებინათ თავისი «სრული უმოქმედობა», მაშინ სახელმწიფოს ისღა დარჩებოდა გასაკეთებელი, რომ მთლიანად გამოეყენებინა კონტროლის უკვე ცნობილ, უკვე ნაცად ღონისძიებათა უმდიდრესი მარაგი. ამის შემაფერხებელი ერთადერთი გარემოება, — გარემოება, რომელსაც კადეტები, ესერები და მენშევიკები ხალხს უმალავენ, — იყო და დღესაც ის არის, რომ კონტროლი გამოააშკარავებდა კაპიტალისტების საზღაპრო მოგებას და ძირს გამოუთხრიდა ამ მოგებას.

უფრო ნათლად რომ განვმარტოთ ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი (რაც, არსებითად, უდრის ყ ო ვ ე ლ ი ნამდვილი, რევოლუციური მთავრობის პროგრამის საკითხს, — ისეთი მთავრობისა, რომელიც მოინდომებდა რუსეთის ხსნას ომისა და შიმშილისაგან), ჩამოვთვალოთ კონტროლის ეს უმთავრესი ღონისძიებანი და განვიხილოთ თვითეული მათგანი.

ჩვენ დავინახავთ, რომ მთავრობისათვის, რომელსაც მართო დაცინვით არ ეწოდება რევოლუციურ-დემოკრატიული, საკმარისი იქნებოდა, მისი შექმნის პირველსავე კვირას, დაედეკრეტებინა (დაედგინა, ებრძანებინა) კონტროლის უმთავრეს ღონისძიებათა განხორციელება, დაეწესებინა სერიოზული, არასამასხრო სასჯელი იმ კაპიტალისტებისთვის, რომლებიც შეეცდებოდნენ მოტყუების გზით დაეღწიათ თავი კონტროლისათვის, და მოეწოდებინა თვითონ მოსახლეობა — თვალყური ედევნებინა კაპიტალისტებისათვის, თვალყური

ედევნებინა იმისათვის, რომ კაპიტალისტებს კეთილსინდისიერად შეესრულებინათ კონტროლის შესახებ გამოცემული დადგენილებანი, — და კონტროლი რუსეთში უკვე დიდი ხნის განხორციელებული იქნებოდა.

აი ეს უმთავრესი ღონისძიებანი:

1) ყველა ბანკის გაერთიანება ერთ ბანკად და მის ოპერაციებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება ან ბანკების ნაციონალიზაცია.

2) სინდიკატების, ე. ი. კაპიტალისტთა უდიდესი, მონოპოლისტური კავშირების ნაციონალიზაცია (შაქრის, ნავთის, ქვანახშირის, მეტალურგიული და სხვა სინდიკატები).

3) კომერციული საიდუმლოების გაუქმება.

4) მრეწველების, ვაჭრებისა და საერთოდ მეპატრონეების იძულებითი სინდიცირება (ე. ი. იძულებითი გაერთიანება კავშირებად).

5) მოსახლეობის იძულებითი გაერთიანება სამომხმარებლო საზოგადოებად ან ამნაირი გაერთიანების წახალისება და მისი კონტროლი.

განვიხილოთ, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა თვითეულ ამ ღონისძიებას, მისი რევოლუციურ-დემოკრატიული განხორციელების პირობებში.

ბანკების ნაციონალიზაცია

ბანკები, როგორც ცნობილია, თანამედროვე სამეურნეო ცხოვრების ცენტრებს, სახალხო მეურნეობის მთელი კაპიტალისტური სისტემის მთავარ ნერვულ კვანძებს წარმოადგენენ. «ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებაზე» რომ ილაპარაკო და იმან გვერდი აუარო ბანკების ნაციონალიზაციის საკითხს — ეს იმას ნიშნავს, რომ ან გამოიჩინო სრული უმეცრება, ან ატყუო «მდაბიო ხალხი» ლამაზი სიტყვებით და მაღალფარდოვანი დაპირებებით და ამავე დროს წინასწარ მოფიქრებული გადაწყვეტილება გქონდეს არ შეასრულო ეს დაპირებანი.

პურის მიწოდების ან საერთოდ პროდუქტთა წარმოებისა და განაწილების კონტროლირება და მოწესრიგება ისე, რომ კონტროლს არ უწევდე, არ აწესრიგებდე საბანკო ოპერაციებს, — ეს უაზრობაა. ეს იმას ჰგავს, რომ გამოეკიდო შემთხვევით გადასროლილ «კაპიკებს» და თვალი აარიდო მილიონობით მანეთს. თანამედროვე ბანკები ისე მჭიდროდ და განუყრელად შეეზარდნენ ვაჭრობასა (პურისა და ყოველ სხვა ვაჭრობას) და მრეწველობას, რომ, თუ «ხელი არ დააადე» ბანკებს, ისე ყოვლად შეუძლებელია რაიმე სერიოზული, რაიმე «რევოლუციურ-დემოკრატიული» გააკეთო.

მაგრამ, იქნებ, სახელმწიფოს მიერ ეს «ხელის დადება» ბანკებზე რაიმე მეტად ძნელ და დახლართულ ოპერაციას წარმოადგენს? ჩვეულებრივ ცდილობენ დააშინონ ფილისტერები სწორედ ასეთი სურათის დახატვით, — ცდილობენ, რა თქმა უნდა, კაპიტალისტები და მათი დამცველები, ვინაიდან ეს მათთვის ხელსაყრელია.

ნამდვილად კი ბანკების ნაციონალიზაცია არც ერთ «მესაკუთრეს» ერთ კაპიკსაც კი არ ართმევს, აბსოლუტურად არავითარ — არც ტექნიკურ და არც კულტურულ სიძნელეს არ წარმოადგენს და ფერხდება მხოლოდ და მხოლოდ ერთი მუჭა მდიდრების ბინძური ანგარების ინტერესებით. თუ ბანკების ნაციონალიზაციას ასე ხშირად ურევენ კერძო ჭონების კონფისკაციაში, ცნებათა ამ აღრევის გავრცელებაში ბრალი მიუძღვის ბურჟუაზიულ პრესას, რომლის ინტერესს ხალხის მოტყუება შეადგენს.

იმ კაპიტალების საკუთრება, რომლებსაც ბანკები ატრიალებენ და რომლებიც თავს იყრიან ბანკებში, დასტურდება ნაბეჭდი და წერილობითი საბუთებით, რასაც ეწოდება აქციები, ობლიგაციები, თამასუქები, ხელწერილები და სხვ.. არც ერთი ეს საბუთი არ იკარგება და არ იცვლება ბანკების ნაციონალიზაციის დროს, ე. ი. ყველა ბანკის ერთ სახელმწიფო ბანკად შეერთების დროს. ვინც საშემნახველო წიგნაკის მიხედვით 15 მანეთის პატრონი იყო, ის 15 მანეთის პატრონად რჩება ბანკების ნაციონალიზაციის შემდეგაც, ხოლო

ვისაც 15 მილიონი ჰქონდა, იმას ბანკების ნაციონალიზაციის შემდეგაც 15 მილიონი რჩება აქციების, ობლიგაციების, თამასუქების, საქონლის საბუთების და მისთანათა სახით.

მაშ რაშია ბანკების ნაციონალიზაციის მნიშვნელობა?

იმაში, რომ ცალკეულ ბანკებსა და იმათ ოპერაციებს შეუძლებელია რაიმე კონტროლი გაეწიოს (თუნდაც გაუქმებული იყოს კომერციული საიდუმლოება და სხვ.), ვინაიდან არ შეიძლება თვალყური ადევნო იმ ურთულეს ფრიად დახლართულს და ფრიად ოსტატურ ხერხებს, რომლებსაც ხმარობენ ბალანსების შედგენისას, ფიქციურ საწარმოთა და ფილიალურ განყოფილებათა დაარსებისას, თავიანთ ცრუ პირთა ამოქმედებისას, და ასე შემდეგ და მისთანანი. მხოლოდ ყველა ბანკის ერთ ბანკად გაერთიანება, რაც, თავისთავად, არ ნიშნავს სულ მცირედ ცვლილებასაც კი საკუთრების ურთიერთობაში და, ვიმეორებთ, არც ერთ მესაკუთრეს არ ართმევს არც ერთ კაპიკს, — იძლევა ნამდვილი კონტროლის შესაძლებლობას, რა თქმა უნდა, ყველა სხვა, ზემოთ აღნიშნული, ღონისძიების გამოყენების პირობით. მხოლოდ ბანკების ნაციონალიზაციის დროს შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ სახელმწიფოს ეცოდინება, საით და როგორ, საიდან და რა დროს გადად-გადმოდის მილიონები და მილიარდები. და მხოლოდ ბანკების, კაპიტალისტური ბრუნვის ცენტრის, მთავარი ღერძისა და ძირითადი მექანიზმის კონტროლი მოგვცემდა საშუალებას ნამდვილად, და არა სიტყვიერად, მოგვეგვარებინა მთელი სამეურნეო ცხოვრების, უმნიშვნელოვანეს პროდუქტთა წარმოებისა და განაწილების კონტროლი, განგვეხორციელებინა «ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება», რომელიც უამისოდ აუცილებლად დარჩება მდაბიო ხალხის მოსატყუებელ მინისტრულ ფრაზად. მხოლოდ საბანკო ოპერაციების კონტროლი, მათი ერთ სახელმწიფო ბანკში გაერთიანების პირობით, მოგვცემს საშუალებას მოვაგვაროთ, შემდგომ ადვილად განსახორციელებელ ღონისძიებათა დროს, საშემოსავლო გადასახადის ნამდვილად გადახდევინება ქონებისა და შემოსავლის დაუმალავად, ვინაიდან

ახლა საშემოსავლო გადასახადი უმეტეს წილად ფიქციად რჩება.

საკმარისი იქნებოდა ბანკების ნაციონალიზაციის სწორედ რომ დეკრეტირება, — და მას გაატარებდნენ თვითონ დირექტორები და მოსამსახურეები. აქ არავითარი განსაკუთრებული აპარატი, არავითარი განსაკუთრებული მოსამზადებელი ნაბიჯები სახელმწიფოს მხრივ საჭირო არ არის, ეს ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს სწორედ რომ მარტო ბრძანებულებით, «ერთი დაკვრით». ვინაიდან ამ ღონისძიების ეკონომიური შესაძლებლობა შექმნილია სწორედ კაპიტალიზმის მიერ, რაკი მისი განვითარება მივიდა თამასუქებამდე, აქციებამდე, ობლიგაციებამდე და სხვა. აქ რჩება მხოლოდ ანგარიშწარმოების გაერთიანება, და რევოლუციურ-დემოკრატიული სახელმწიფო რომ დაადგენდეს: დაუყოვნებლივ, ტელეგრაფით იქნას თვითეულ ქალაქში მოწვეული დირექტორებისა და მოსამსახურეების კრებები, ხოლო ოლქსა და მთელ ჩვენს ქვეყანაში მათი ყრილობები ყველა ბანკის ერთ სახელმწიფო ბანკად დაუყოვნებლივ გასაერთიანებლად, მაშინ ეს რეფორმა რამდენიმე კვირაში გატარდებოდა. რასაკვირველია, სწორედ დირექტორები და უმაღლესი მოსამსახურეები გაგვიწევდნენ წინააღმდეგობას, შეეცდებოდნენ მოეტყუებინათ სახელმწიფო, გაეჭანჭლებინათ საქმე და სხვ., ვინაიდან ეს ვაჟბატონები დაჰკარგავდნენ თავიანთ განსაკუთრებით შემოსავლიან ადგილებს, დაჰკარგავდნენ განსაკუთრებით მომგებიანი ყალთაბანდური ოპერაციების შესაძლებლობას; ამაშია საქმის მთელი არსი. მაგრამ ბანკების გასაერთიანებლად სულ მცირედი ტექნიკური სიძნელეც კი არ არსებობს, და თუ სახელმწიფო ხელისუფლება არა მარტო სიტყვიერად არის რევოლუციური (ე. ი. თუ მას არ ეშინია უკუაგდოს უძრაობა და რუტინა), არა მარტო სიტყვიერად არის დემოკრატიული (ე. ი. თუ მოქმედებს არა ერთი მუჭა მდიდრებისა, არამედ ხალხის უმრავლესობის ინტერესებისათვის), მაშინ საკმარისი იქნებოდა ქონების კონფისკაციისა და დაპატიმრების დეკრეტირება

იმისთვის, რომ დაისაჯონ დირექტორები, გამგეობის წევრები და მსხვილი აქციონერები საქმის სულ მცირედი გაჯანჯლებისათვის და დოკუმენტებისა და ანგარიშების დამალვის ცდებისათვის, საკმარისი იქნებოდა, მაგალითად, ღარიბ მოსამსახურეთა ცალკე გაერთიანება და მათთვის პრემიის მიცემა მდიდრების მხრივ მოტყუებისა და საქმის გაჯანჯლების გამოაშკარავებისათვის, — და ბანკების ნაციონალიზაცია იოლ-ზე-იოლად, სწრაფზე-უსწრაფესად გატარდებოდა.

მთელ ხალხს და მეტადრე არა მუშებს (რადგან მუშებს ბანკებთან ნაკლებად უხდებათ საქმის დაჭერა), არამედ გლეხთა და წვრილ მრეწველთა მასას, ბანკების ნაციონალიზაცია უდიდეს სარგებლობას მოუტანდა. შრომის დანაზოგი უზარმაზარი გამოვიდოდა, და თუ დავუშვებთ, რომ სახელმწიფო დასტოვებდა ბანკების მოსამსახურეთა წინანდელ რიცხვს, ეს იქნებოდა უაღრესად დიდი ნაბიჯი ბანკებით სარგებლობის უნივერსალიზაციის (საყოველთაო სარგებლობის), მათ განყოფილებათა გამრავლების, მათი ოპერაციების ხელმისაწვდომობისა და სხვ. მიმართულებით. კრედიტის ხელმისაწვდომობა და სიადვილე სწორედ წვრილი მეპატრონეებისათვის, გლეხობისათვის, უაღრესად გაიზრდებოდა. სახელმწიფო კი პირველად მიიღებდა შესაძლებლობას ჯერ გადაეხედა ყველა მთავარი ფულადი ოპერაციისათვის, მათ დაუმალავად, შემდეგ კონტროლი გაეწია მათთვის, მერე მოეწესრიგებინა სამეურნეო ცხოვრება, ბოლოს, მიეღო მილიონები და მილიარდები მსხვილი სახელმწიფო ოპერაციებით ისე, რომ «მომსახურებაში» არ გადაეხადა უზომო «საკომისიო» ბატონ კაპიტალისტებისათვის. აი რატომაა—და მხოლოდ ამიტომაა—რომ ყველა კაპიტალისტი, ყველა ბურჟუაზიული პროფესორი, მთელი ბურჟუაზია, მისი მომსახურე ყველა პლეხანოვი და პოტრესოვი და კომპ. მზად არიან გაცოფებით იომონ ბანკების ნაციონალიზაციის წინააღმდეგ, ათასნაირი მიზეზი მოიგონონ ამ უადვილესი და ფრიად აუცილებელი ღონისძიების წინააღმდეგ, თუმცა ქვეყნის «თავდაცვის» თვალსაზრისითაც კი, ე. ი. სამხედრო

თვალსაზრისით, ეს ღონისძიება უზარმაზარი პლუსი იქნებოდა, იგი ქვეყნის «სამხედრო ძლიერებას» უდიდესად ასწევდა.

აქ, თითქოს, შეიძლება შემოგვედავონ: რატომ არის, რომ ისეთი მოწინავე სახელმწიფოები, როგორიცაა გერმანია და ამერიკის შეერთებული შტატები, საუცხოოდ «აწესრიგებენ ეკონომიურ ცხოვრებას» და ამავე დროს არც კი ფიქრობენ ბანკების ნაციონალიზაცია განახორციელონ?

იმიტომ, — ვუპასუხებთ ჩვენ, — რომ ეს სახელმწიფოები, თუმცა ერთი მათგანი მონარქიაა, მეორე კი რესპუბლიკა, ორივენი არიან არა მარტო კაპიტალისტური სახელმწიფოები, არამედ აგრეთვე იმპერიალისტური სახელმწიფოებიც. რაკი ასეთნი არიან, ისინი თავისთვის აუცილებელ ცვლილებებს რეაქციულ-ბიუროკრატიული გზით ახორციელებენ, ჩვენ კი აქ რევოლუციურ-დემოკრატიულ გზაზე ვლაპარაკობთ.

ამ «მცირე განსხვავებას» მეტად არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამ განსხვავებაზე ფიქრი მეტწილად «მიღებული არ არის». სიტყვა «რევოლუციური დემოკრატია» ჩვენში (განსაკუთრებით ესერებსა და მენშევიკებში) თითქმის პირობითი ფრაზა გახდა, მსგავსად გამოთქმისა: «მადლობა ღმერთს», რასაც ხმარობენ არც ისე უვიცი ადამიანებიც, რომ ღმერთი სწამდეთ, ან მსგავსად გამოთქმისა: «პატივცემულო მოქალაქევ», რომლითაც მიმართავენ ზოგჯერ «დენის» ან «ედინსტვოს» თანამშრომლებსაც კი, თუმცა თითქმის ყველა მიმხვდარია, რომ ეს გაზეთები დაარსებულია კაპიტალისტების მიერ და ესენივე ინახავენ მათ კაპიტალისტების ინტერესებისათვის და რომ ამიტომ ამ გაზეთებში ვითომდა-სოციალისტების მონაწილეობა ძალიან ცოტა რამ «პატივსაცემს» შეიცავს.

თუ სიტყვები: «რევოლუციური დემოკრატია» იხმარე არა როგორც შაბლონური საპარადო ფრაზა, არა როგორც პირობითი სახელწოდება, არამედ ჩაუფიქრდი მათს მნიშვნელობას, მაშინ დემოკრატობა იმას ნიშნავს, რომ ნამდვილად გაუწიო ანგარიში ხალხის არა უმცირესობის, არამედ უმრავლესობის ინტერესებს, რევოლუციურობა იმას

ნიშნავს, რომ უაღრესად გაბედულად, უაღრესად ულმობლად დაამსხვრიო ყოველივე საზიანო, დრომოჭმული.

არც ამერიკაში, არც გერმანიაში არც მთავრობები, არც მმართველი კლასები, რამდენადაც გაგვიგონია, არც ჩემულობენ «რევოლუციური დემოკრატიის» იმ წოდებას, რომელსაც ჩემულობენ (და რომელსაც ათახსირებენ) ჩვენებური ესერები და მენშევიკები.

გერმანიაში სულ **ოთხი** უმსხვილესი კერძო ბანკია, რომლებსაც საერთო-ნაციონალური მნიშვნელობა აქვთ, ამერიკაში კი არის მხოლოდ **ორი**: ამ ბანკების ფინანსური მეფეებისათვის უფრო ადვილი, უფრო მოხერხებული, უფრო ხელსაყრელია კერძოდ, ჩუმად, რეაქციულად, და არა რევოლუციურად, ბიუროკრატიულად, და არა დემოკრატიულად, შეერთდნენ, მოისყიდონ სახელმწიფო მოხელეები (ეს საერთო წესია ამერიკაშიც და **გერმანიაშიც**!, შეინარჩუნონ ბანკების კერძო ხასიათი სწორედ იმისათვის, რომ დაიცვან ოპერაციების საიდუმლოება, სწორედ იმისათვის, რომ მილიონობით «ზემოგება» ააფცქვნან იმავე სახელმწიფოს, სწორედ იმისათვის, რომ უზრუნველყონ თაღლითური ფინანსური ოინები.

ამერიკაც და გერმანიაც ისე «აწესრიგებენ ეკონომიურ ცხოვრებას», რომ მუშებს (და ნაწილობრივ გლეხებსაც) შეუქმნან ს ა მ ხ ე დ რ ო კ ა ტ ო რ ო ა, ხოლო ბანკირებსა და კაპიტალისტებს — ს ა მ ო თ ხ ე. მათი მოწესრიგება იმაში მდგომარეობს, რომ მუშებს «ხელს უჭერენ» იმდენად, რომ დამშევამდე მიჰყავთ, ხოლო კაპიტალისტებისათვის უზრუნველყოფენ (მალულად, რეაქციულ-ბიუროკრატიულად) ომამდე არსებულზე მ ე ტ მოგებას.

ასეთი გზა საეჭვოა რესპუბლიკურ-იმპერიალისტური რუსეთისთვისაც; მას კიდევაც ახორციელებენ არა მარტო მილიუკოვები და შინგარიოვები, არამედ კერენსკიც ტერეშჩენკოსთან, ნეკრასოვთან, ბერნაცკისთან, პროკოპოვიჩთან და კომპანიასთან ერთად, რომლებიც ა გ რ ე თ ვ ე ხ ე ლ ს ა ფ ა რ ე ბ ე ნ რეაქციულ-ბიუროკრატიულად ბანკე-

ბის «ხელუხლებლობას», მათს წმიდათაწმიდა უფლებებს საზღაპრო მოგებაზე. მაშ მოდით ს ი მ ა რ თ ლ ე ვთქვათ: რესპუბლიკურ რუსეთში უნდათ რეაქციულ-ბიუროკრატიულად მოაწესრიგონ ეკონომიური ცხოვრება, მაგრამ «ხშირად» უძნელდებათ ამის განხორციელება «საბჭოების» არსებობისას, რომელთა გარეკვა ვერ მოახერხა პირველმა ნომერმა კორნილოვმა, მაგრამ რომელთა გარეკვასაც ეცდება მეორე ნომერი კორნილოვი...

აი ეს იქნება სიმართლე, და ეს უბრალო, თუმცა მწარე სიმართლე უფრო სასარგებლოა ხალხის გასათვითცნობიერებლად, ვიდრე ტკბილი სიცრუე «ჩვენი», «დიდი», «რევოლუციური» დემოკრატიის შესახებ...

* * *

ბანკების ნაციონალიზაცია ამავე დროს უაღრესად გააადვილებდა დაზღვევის საქმის ნაციონალიზაციასაც, ე. ი. დაზღვევის ყველა კომპანიის ერთ კომპანიად გაერთიანებას, მათი საქმიანობის ცენტრალიზაციას, ამ საქმიანობის კონტროლს სახელმწიფოს მხრივ. დამზღვევ საზოგადოებათა მოსამსახურეების ყრილობები აქაც დაუყოვნებლივ და სულ იოლად განახორციელებდნენ ამ გაერთიანებას, თუკი რევოლუციურ-დემოკრატიული სახელმწიფო ამას დაადეკრეტებდა და გამგეობათა დირექტორებს, მსხვილ აქციონერებს წერილობით უბრძანებდა, თვითეულის სასტიკი პასუხისმგებლობით, განეხორციელებინათ გაერთიანება დაუყოვნებლივ. კაპიტალისტებს სადაზღვევო საქმეში ასეული მილიონები აქვთ დაბანდებული, მთელ მუშაობას მოსამსახურენი ასრულებენ. ამ საქმის გაერთიანება შეამცირებდა სადაზღვევო პრემიას, ბევრ შეღავათსა და შემსუბუქებას მისცემდა ყველა დაზღვეულს, შესაძლებელს გახდიდა მათი წრის გაფართოებას წინანდელი ძალებისა და სახსრების ხარჯვის პირობებში. სრულიად არავითარი სხვა გარემოება, გარდა შემოსავლიანი ადგილების მჭონე ერთი მუჭა პირთა უძრაობისა, რუტინისა და ანგარებისა, არ აფერხებს ამ რეფორმას, რომელიც ისევ

და ისევ გააძლიერებდა ქვეყნის «თავდაცვისუნარიანობას», რადგან დაგვიზოგავდა ხალხის შრომას, შეგვიქმნიდა მთელ რიგ ფრიად სერიოზულ შესაძლებლობას, რომ ნამდვილად და არა სიტყვიერად «მოგვეწესრიგებინა ეკონომიური ცხოვრება».

სინდიკატების ნაციონალიზაცია

კაპიტალიზმი იმით განსხვავდება სახალხო მეურნეობის ძველი, წინაკაპიტალისტური სისტემებისაგან, რომ მან შექმნა ამ მეურნეობის სხვადასხვა დარგის უმჭიდროესი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. ეს რომ არ ყოფილიყო, მაშინ,— აქვე ვიტყვით, — ტექნიკურად შეუძლებელი იქნებოდა რაიმე ნაბიჯის გადადგმა სოციალიზმისაკენ. თანამედროვე კაპიტალიზმმა კი, წარმოებაზე ბანკების ბატონობასთან ერთად, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ეს ურთიერთდამოკიდებულება უმაღლეს დონეზე აიყვანა, ბანკები და მრეწველობისა და ვაჭრობის უმსხვილესი დარგები განუყოფელად შეეზარდნენ ერთმანეთს. ერთი მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება მარტო ბანკების ნაციონალიზაცია, თუ ამავე დროს არ გადადგი ნაბიჯები სავაჭრო და სამრეწველო სინდიკატების (შაქრის, ქვანახშირის, რკინეულობის, ნავთისა და სხვ.) სახელმწიფო მონოპოლიის შესაქმნელად, თუ არ მოახდინე ამ სინდიკატების ნაციონალიზაცია. მეორე მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება, თუ იგი სერიოზულად განახორციელე, ამავე დროს მოითხოვს როგორც ბანკების, ისე სინდიკატების ნაციონალიზაციას.

ავიღოთ მაგალითისათვის თუნდაც შაქრის სინდიკატი. იგი ჯერ კიდევ ცარიზმის დროს შეიქმნა, და ამას მაშინ მოჰყვა საუცხოოდ მოწყობილი ფაბრიკა-ქარხნების უდიდესი კაპიტალისტური გაერთიანება, ამასთან ეს გაერთიანება, რასაკვირველია, სულ ერთიანად გაჟღენთილი იყო ფრიად რეაქციული და ბიუროკრატიული სულისკვეთებით, კაპიტალისტებისათვის უზრუნველყოფდა სასკანდალოდ მაღალ მოგე-

ბას, აბსოლუტურად უუფლებო, დამამცირებელ, დაბეჩავებულ, მონურ მდგომარეობაში აყენებდა მოსამსახურეებსა და მუშებს. სახელმწიფო უკვე მაშინ კონტროლს უწევდა, აწესრიგებდა წარმოებას — მაგნატების, მდიდრების სასარგებლოდ.

აქ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ უბრალო დეკრეტებით მოსამსახურეთა, ინჟინერთა, დირექტორთა, აქციონერთა ყრილობის მოწვევის შესახებ, ერთსახოვანი ანგარიშწარმოების შემოღების, მუშათა კავშირების კონტროლის და სხვ. შესახებ რეაქციულ-ბიუროკრატიული მოწესრიგება გადავაქცოთ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოწესრიგებად. ეს სრულიად უბრალო რამ არის — და სწორედ ეს რჩება გაუკეთებელი!! დემოკრატიული რესპუბლიკის დროს სინამდვილეში რჩება შაქრის მრეწველობის რეაქციულ-ბიუროკრატიული მოწესრიგება, ყველაფერი ძველებურად რჩება, ხალხის შრომის განიავება, რუტინა და უძრაობა, ბობრინსკებისა და ტერეშჩენკოების გამდიდრება. მოვუწოდოთ დამოუკიდებელი ინიციატივისაკენ დემოკრატიას და არა ბიუროკრატიას, მუშა-მოსამსახურეებს და არა «შაქრის მეფეებს», — აი რა შეიძლება და რა უნდა გაკეთდეს რამდენიმე დღეში, ერთი დაკვრით: — ესერები და მენშევიკები ხალხის შეგნებას რომ არ აბნელებდნენ სწორედ ამ შაქრის მეფეებთან «კოალიციის» გეგმებით, სწორედ მდიდრებთან იმ კოალიციის გეგმებით, როჭლისგანაც, რომლის გამოც სავსებით გარდუვალად წარმოსდგება მთავრობის «სრული უმოქმედობა» ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგების საქმეში*.

აიღეთ ნავთის საქმე. იგი კაპიტალიზმის წინანდელი განვითარებით უკვე «განსაზოგადოებულია» გიგანტური მასშტაბით. ნავთის ორიოდე მეფე — აი ვინ ატრიალებს მილიო-

* ეს სტრიქონები უკვე დაწერილი იყო, როდესაც გაზეთებში წავიკითხე, რომ კერენსკის მთავრობა აწესებს შაქრის მონოპოლიას და, რა თქმა უნდა, აწესებს იგი რეაქციულ-ბიუროკრატიულად, მოსამსახურეებისა და მუშების ყრილობათა მოუწვევლად, საკითხის საჯაროდ გამოტანის გარეშე, კაპიტალისტების ათლაქმაზად!!

ნებსა და ასეულ მილიონებს, ვინ ჭრის კუპონებს, ვინ კრებს საზღაპრო მოგებას «საქმიდან», რომელიც უკვე ორგანიზებულია ფაქტიურად, ტექნიკურად, საზოგადოებრივად საერთო-სახელმწიფო მასშტაბით და რომელსაც უკვე წარმართავს ასობით და ათასობით მოსამსახურე, ინჟინერი და ა. შ.. ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაცია ერთბაშად არის შესაძლებელი და სავალდებულოა რევოლუციურ-დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი უდიდეს კრიზისს განიცდის, როდესაც საჭიროა რადაც უნდა დაჯდეს დაიზოგოს ხალხის შრომა და გადიდდეს სათბობის წარმოება. ცხადია, ბიუროკრატიული კონტროლი აქ ვერაფერს მოგვცემს, ვერაფერს შესცვლის, ვინაიდან ტერეშჩენკოებსაც, კერენსკებსაც, ავქსენტიევებსაც და სკობელევებსაც «ნავთის მეფეები» ისევე ადვილად გაუმკლავდებიან, როგორც უმკლავდებოდნენ ისინი მეფის მინისტრებს, გაუმკლავდებიან საქმის გაჯანჯლებით, სხვადასხვაგვარი მომიზეზებით, დაპირებებით, შემდეგ ბურჟუაზიული პრესის პირდაპირი და არაპირდაპირი მოსყიდვით (ამას ეწოდება «საზოგადოებრივი აზრი» და ამას «ანგარიშს უწევენ» კერენსკები და ავქსენტიევები), მოხელეების მოსყიდვით (რომლებსაც კერენსკები და ავქსენტიევები ძველ ხელუხლებელ სახელმწიფო აპარატში ძველ ადგილებზე სტოვებენ).

რაიმე სერიოზული რომ გავაკეთოთ, უნდა გადავიდეთ ბიუროკრატიიდან, და ნამდვილად რევოლუციურად გადავიდეთ, დემოკრატიაზე, ე. ი. ომი გამოვუცხადოთ ნავთის მეფეებს და აქციონერებს, დავადეკრეტოთ მათი ქონების კონფისკაცია და დაპატიმრებით დასჯა ნავთის საქმის ნაციონალიზაციის გაჯანჯლებისათვის, შემოსავლის თუ ანგარიშის გადამალვისათვის, წარმოების საბოტირებისათვის, წარმოების გასადიდებლად ზომების მიუღებლობისათვის. უნდა მივმართოთ მუშა-მოსამსახურეთა ინიციატივას, დაუყოვნებლივ მოვიწვიოთ ი ს ი ნ ი თათბირებსა და ყრილობებზე, გადავცეთ მ ა თ მოგების ესა თუ ის წილი იმ პირობით, რომ ყოველმხრივი კონტროლი შეიქმნას და წარმოება გადიდდეს.

ასეთი რევოლუციურ-დემოკრატიული ნაბიჯები რომ მაშინვე, ერთბაშად, 1917 წლის აპრილში გადაედგათ, მაშინ რუსეთს, თხევადი სათბობის მარაგის მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანას, შეეძლო ზაფხულის განმავლობაში წყლის ტრანსპორტით ესარგებლნა და ძალიან, ძალიან ბევრი რამ გაეკეთებინა სათბობის საჭირო რაოდენობით ხალხის მოსამარაგებლად.

არც ბურჟუაზიულ მთავრობას, არც კოალიციურ ესერულ-მენშევიკურ-კადეტურ მთავრობას სრულიად არაფერი არ გაუკეთებია; ისინი რეფორმობის ბიუროკრატიულ თამაშს დასჯერდნენ. ვერც ერთი რევოლუციურ-დემოკრატიული ნაბიჯის გადადგმა ვერ გაბედეს. იგივე ნავთის მეფეები, იგივე უძრაობა, მუშა-მოსამსახურეთა იგივე სიძულვილი ექსპლოატატორებისადმი, იგივე რღვევა ამ ნიადაგზე, ხალხის შრომის იგივე განიავება; ყოველივე ისე დარჩა, როგორც ცარიზმის დროს იყო, შეიცვალა მხოლოდ ს ა თ ა უ რ ე ბ ი შემოსული და გასული ქალალდებისა «რესპუბლიკურ» კანცელარიებში!

ქვანახშირის მრეწველობის შესახებ, რომელიც ტექნიკურად და კულტურულად არა ნაკლებ «მომზადებულია» ნაციონალიზაციისათვის, რომელსაც არა ნაკლებ ურცხვად განაგებენ ხალხის მძარცველები, ქვანახშირის მეფეები, — ჩვენ გვაქვს მრეწველთა მხრივ წარმოების პირდაპირი საბოტაჟის, მათ მიერ წარმოების პირდაპირი გ ა ფ უ ჭ ე ბ ი ს ა და შეჩერების ფრიად თვალსაჩინო ფ ა ქ ტ ე ბ ი. მინისტრულმა მენშევიკურმა «რაბოჩაია გაზეტამაც» კი აღიარა ეს ფაქტები. და მერე რა? სრულიად არაფერი არ გაკეთებულა, გარდა ძველებური, რეაქციულ-ბიუროკრატიული თათბირებისა, რომლებიც შესდგებოდა «სანახევროდ», თანასწორად მუშებისაგან და ქვანახშირის სინდიკატის ყაჩაღებისაგან!! არც ერთი რევოლუციურ-დემოკრატიული ნაბიჯი, არავითარი ცდა — დაეწესებინათ ერთადერთი რეალური კონტროლი ქ ვ ე მ ო დ ა ნ, მოსამსახურეების კავშირის მეშვეობით, მუშების მეშვეობით, ტერორის გზით ქვანახშირის მრეწ-

ველთა მიმართ, რომელნიც ღუპავენ ქვეყანას და აჩერებენ წარმოებას! როგორ შეიძლება, ჩვენ ხომ «ყველანი» მომხრენი ვართ «კოალიციისა», თუ კადეტებთან არა, ვაჭარმრეწველთა წრეებთან მაინც, კოალიცია კი სწორედ იმას ნიშნავს, რომ ძალაუფლება კაპიტალისტებს დავუტოვოთ, დაუსჯელნი დავტოვოთ ისინი, ნება მივცეთ მათ შეაფერხონ საქმე, ყველაფერი გადააბრალონ მუშებს, გააძლიერონ ნგრევა და ა მ ნ ა ი რ ა დ ამზადონ ახალი კორნილოველობა!

კომერციული საიდუმლოების გაუქმება

კომერციული საიდუმლოება თუ არ გაუქმდება, წარმოებისა და განაწილების კონტროლი ან ყოვლად ფუჭ დაპირებად დარჩება, რომელიც საჭიროა მხოლოდ იმისათვის, რომ კადეტებმა ატყუონ ესერები და მენშევიკები, ესერებმა და მენშევიკებმა კი — მშრომელი კლასები, ან კონტროლი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ რეაქციულ-ბიუროკრატიული საშუალებითა და ღონისძიებებით. თუმცა ეს სავსებით აშკარაა ყოველი მიუკერძებელი კაცისათვის, თუმცა კომერციული საიდუმლოების გაუქმებას დაჟინებით მოითხოვდა «პრავდა»* (რომლის დახურვის მნიშვნელოვან მიზეზად სწორედ ეს ჰქონდა კაპიტალის მსახურს კერენსკის მთავრობას), — არც ჩვენს რესპუბლიკურ მთავრობას, არც «რევოლუციური დემოკრატიის უფლებამოსილ ორგანოებს» არც კი უფიქრიათ ნამდვილი კონტროლის ამ პ ი რ ვ ე ლ ს ი ტ ყ ვ ა ზ ე.

სწორედ აქ არის ყოველი კონტროლის გაგების გზა. სწორედ აქ არის ყველაზე მტკივნეული ადგილი კაპიტალისა, რომელიც ძარცვავს ხალხს და საბოტაჟს უწევს წარმოებას. სწორედ ამიტომ ეშინიათ ესერებსა და მენშევიკებს შეეხონ ამ პუნქტს.

კაპიტალისტების ჩვეულებრივი საბუთი, რომელსაც განუსჯელად იმეორებს წვრილი ბურჟუაზია, ის არის, რომ

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 24, გვ. 631 — 633 და ეს ტომი, გვ. 153 — 159. რ ე დ.

კაპიტალისტური მეურნეობა აბსოლუტურად ვერ ითმენს საერთოდ კომერციული საიდუმლოების გაუქმებას, ვინაიდან წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება, ბაზრისაგან ცალკეულ მეურნეობათა დამოკიდებულება აუცილებელს ხდის სავაჭრო დავთრებისა და სავაჭრო ბრუნვათა, მათ შორის, რა თქმა უნდა, აგრეთვე საბანკო ბრუნვის «წმიდათა-წმიდა ხელუხლებლობასაო».

ის ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ სახით იმეორებენ ამ ან ამგვარ საბუთებს, თავს იტყუებენ და თვითონაც ატყუებენ ხალხს, ამასთან თვალს ხუჭავენ თანამედროვე სამეურნეო ცხოვრების ორ ძირითად, უდიდეს და საყოველთაოდ ცნობილ ფაქტზე. პირველი ფაქტია მსხვილი კაპიტალიზმი, ე. ი. ბანკების, სინდიკატების, დიდი ფაბრიკებისა და სხვათა მეურნეობის თავისებურებანი. მეორე ფაქტია ომი.

სწორედ თანამედროვე მსხვილი კაპიტალიზმი, რომელიც ყველგან მონოპოლისტურ კაპიტალიზმად იქცევა, სპობს კომერციული საიდუმლოების გონივრულობის ყოველგვარ ნასახს, ხდის მას თვალთმაქცობად და მხოლოდ და მხოლოდ იარაღად მსხვილი კაპიტალის ფინანსური თაღლითობისა და წარმოუდგენელი მოგების დაფარვისა. მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობა, უკვე თვით თავისი ტექნიკური ბუნებით, განსაზოგადოებული მეურნეობაა, ე. ი. იგი კიდევაც მუშაობს მილიონობით ადამიანისათვის და კიდევაც აერთიანებს თავისი ოპერაციებით, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ასობით, ათასობით და ათეულ ათასობით ოჯახს. ეს როდია მეურნეობა წვრილი ხელოსნისა ან საშუალო გლეხისა, რომელნიც საერთოდ არავითარ სავაჭრო დავთარს არ აწარმოებენ და რომელთაც ამიტომ სავაჭრო საიდუმლოების გაუქმებაც არ ეხებათ.

მსხვილ მეურნეობაში ოპერაციები სულ ერთია ცნობილია ასობით და მეტი პირისათვის. სავაჭრო საიდუმლოების დამცველი კანონი აქ ემსახურება არა წარმოების ან გაცვლა-გამოცვლის მოთხოვნილებებს, არამედ სპეკულაციას და გამდიდრებას ფრიად ტლანქი ფორმით, აშკარა თაღლითობას,

რაც, როგორც ცნობილია, საქციო საწარმოებში განსაკუთრებით გავრცელებულია და განსაკუთრებით ოსტატურად იფარება ანგარიშებითა და ბალანსებით, რომლებსაც ისე აჭახრაკებენ, რომ ხალხი მოატყუონ.

თუ სავაჭრო საიდუმლოება აუცილებელია წვრილ სასაქონლო მეურნეობაში, ე. ი. წვრილ გლეხთა და ხელოსანთა შორის, სადაც თვით წარმოება განსაზოგადოებული არ არის, დაქსაქსულია, დაქუცმაცებულია, მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობაში ამ საიდუმლოების დაცვა არის პირდაპირ ერთი მუჭა ადამიანთა პრივილეგიებისა და მოგების დაცვა მთელი ხალხის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ეს კანონითაც უკვე აღიარებულია იმდენად, რამდენადაც შემოღებულია სააქციო საზოგადოებათა ანგარიშების გამოქვეყნება, მაგრამ ე ს კონტროლი, — რაც ყველა მოწინავე ქვეყანაში, აგრეთვე რუსეთში უკვე ხორციელდება, — არის სწორედ რეაქციულ-ბიუროკრატიული კონტროლი, რომელიც ხალხს თვალებს როდი უხელს და ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ს არ ი ძ ლ ე ვ ა ვიცოდეთ მ თ ე ლ ი ს ი მ ა რ თ ლ ე სააქციო საზოგადოებათა ოპერაციების შესახებ.

რევოლუციურ-დემოკრატიულად რომ ვიმოქმედოთ, აქ საჭირო იქნება დაუყოვნებლივ გამოვცეთ სხვა კანონი, რომელიც გააუქმებს სავაჭრო საიდუმლოებას, მოსთხოვს მსხვილ მეურნეობებს და მდიდრებს უაღრესად სრულ ანგარიშებს, უფლებას მიანიჭებს მოქალაქეთა ყოველ ჯგუფს, რომელიც მნიშვნელოვან დემოკრატიულ რაოდენობას აღწევს (ვთქვათ, 1 000 ან 10 000 ამომრჩეველს), გასინჯოს ყოველი მსხვილი საწარმოს ყ ვ ე ლ ა დოკუმენტი. ასეთი ღონისძიება სავსებით და ადვილად შეიძლება განხორციელდეს უბრალო დეკრეტით; მ ხ ო ლ ო დ ასეთი ღონისძიება გაშლიდა კონტროლის ხ ა ლ ხ უ რ ინიციატივას მოსამსახურეთა კავშირების მეშვეობით, მუშათა კავშირების მეშვეობით, ყველა პოლიტიკური პარტიის მეშვეობით, მხოლოდ იგი გახდიდა კონტროლს სერიოზულ და დემოკრატიულ ღონისძიებად.

ამას კიდევ დაუმატეთ ომი. სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა უდიდესი უმრავლესობა ახლა მუშაობს არა «თავისუფალი ბაზრისათვის», არამედ ხაზინისათვის, ომისათვის. ამიტომ მე უკვე ვთქვი «პრავდაში», რომ ის ადამიანები, რომლებიც ჩვენ გვეკამათებიან სოციალიზმის შემოღების შეუძლებლობის საბუთებით, სტყუიან და სამგზის სტყუიან, ვინაიდან საქმე ეხება არა სოციალიზმის შემოღებას ახლა, უშუალოდ, დღეს-ხვალ, არამედ ხაზინის ქურდობის გამოაშკარავებას*.

კაპიტალისტური მეურნეობა «ომისათვის» (ე. ი. მეურნეობა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული სამხედრო მასალის მიწოდებასთან) არის სისტემატური, დაკანონებული ხაზინის ქურდობა, და ბატონი კადეტები, მენშევიკებთან და ესერებთან ერთად, რომლებიც სავაჭრო საიდუმლოების გაუქმებას ეწინააღმდეგებიან, სხვა არაფერი არიან, თუ არა ხაზინის ქურდობის ხელშემწყობნი და დამმალავნი.

ომი ახლა რუსეთს დღეში 50 მილიონ მანეთად უჯდება. ეს 50 მილიონი დღეში მეტწილად სამხედრო მასალის მიმწოდებლებს უვარდებათ ხელში. ამ 50 მილიონიდან სულ ცოტა 5 მილიონი ყოველდღიურად, უფრო საფიქრებელია— 10 მილიონი და მეტიც, შეადგენს კაპიტალისტთა და მათთან ამა თუ იმ სახით პირშეკრულ მოხელეთა «უცოდველ შემოსავალს». განსაკუთრებით მსხვილი ფირმები და ბანკები, რომლებიც სესხად იძლევიან ფულს სამხედრო მასალის მიწოდების ოპერაციებისათვის, აქ გაუგონარ მოგებას იღებენ, იღებენ სწორედ ხაზინის ქურდობით, ვინაიდან სხვა რაიმე არ შეიძლება ეწოდოს ხალხის ამ მოტყუებასა და გაფლქვნას ომიანობის უბედურებათა «შემთხვევის გამო», ასეული ათასობით და მილიონობით ადამიანის დაღუპვის «შემთხვევის გამო».

სამხედრო მასალის მიწოდებით შეძენილი ამ სასკანდალო მოგების ამბავი, ბანკების მიერ გადამალული «საგარანტიო

* იხ. ეს ტომი, გვ. 68 — 70. რედ.

წერილების» ამბავი, ის ამბავი, თუ ვინ მდიდრდება მზარდი სიძვირის წყალობით, — «ყველამ» იცის, ამაზე ღიმილით ლაპარაკობენ «საზოგადოებაში», ამის შესახებ ცოტა როდი მოიპოვება ზუსტი მითითებანი ბურჟუაზიულ პრესაშიც კი, რომელიც ჩვეულებრივ ჩქმალავს «არასასიამოვნო» ფაქტებს და გვერდს უვლის «საჩოთირო» საკითხებს. ყველამ იცის, — და ყველა სდუმს, ყველა ითმენს, ყველა ურიგდება მთავრობას, რომელიც მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს «კონტროლისა» და «მოწესრიგების» შესახებ!!

რევოლუციური დემოკრატები, ისინი რომ მართლაც რევოლუციონერები და დემოკრატები იყვნენ, დაუყოვნებლივ გამოსცემდნენ კანონს, რომელიც გააუქმებდა სავაჭრო საიდუმლოებას, დაავალებდა მიმწოდებლებსა და ვაჭრებს ანგარიშგებას, აუკრძალავდა მათ ხელისუფლების ნებადაურთველად თავიანთი მოსაქმეობის მიტოვებას, შემოიღებდა ქონების კონფისკაციას და დახვრეტას * გადამალვისა და ხალხის შიმშილისათვის, მოაწყობდა შემოწმებასა და კონტროლს ქვემოდან, დემოკრატიულად, თვით ხალხის, მოსამსახურეების, მუშების, მომხმარებლებისა და სხვათა კავშირების მხრივ და ა. შ.

ჩვენი ესერები და მენშევიკები სავსებით იმსახურებენ დამფრთხალი დემოკრატების სახელწოდებას, ვინაიდან ამ საკითხზე ისინი იმეორებენ იმას, რასაც ამბობს ყველა დამფრთხალი ფილისტერი, სახელდობრ, რომ კაპიტალისტები «გაიქცევ-გამოიქცევიან» «მეტისმეტად მკაცრი» ზომების მიღებისას, რომ უკაპიტალისტებოდ «ჩვენ» საქმეს თავს ვერ გავართმევთ, რომ, შეიძლება, «ნაწყენი დარჩნენ» ინგლისელი და ფრანგი მილიონერებიც, რომლებიც ხომ «გვეხმარებიანო»,

* მე უკვე მქონდა შემთხვევა აღმენიშნა ბოლშევიკურ პრესაში, რომ სიკვდილით დასჯის წანაცვლებელ მართებულ საბუთად შეიძლება მიეჩნიოთ მხოლოდ მისი გამოყენება ექსპლოატატორთა მხრივ მშრომელთა მასების მიმართ ექსპლოატაციის დასაცავად. (იხ. ეს ტომი, გვ. 313—317. რედ.) ექსპლოატატორების (ე. ი. მემამულეებისა და კაპიტალისტების) მიმართ სიკვდილით დასჯის დაუწესებლად არა გვგონია რომელიმე რევოლუციურმა მთავრობამ იარსებოს.

და სხვა ამგვარი. შეიძლება იფიქრონ, თითქოს ბოლშევიკები ისეთ რამეს მოითხოვენ, რაც კაცობრიობის ისტორიაში არ ნახულა, არასოდეს არ ყოფილა ნაცადი და «უტოპიურიაო», მაშინ როდესაც ნამდვილად უკვე 125 წლის წინათ საფრანგეთში იმ ადამიანებს, რომლებიც მართლაც «რევოლუციური დემოკრატები» იყვნენ, რომლებსაც მართლაც სწამდათ მათი მხრივ ომის სამართლიანი, თავდაცვითი ხასიათი, რომლებიც მართლაც ეყრდნობოდნენ ამაშივე გულწრფელად დარწმუნებულ ხალხის მასებს, — ამ ადამიანებს უნარი შესწევდათ დაეწესებინათ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი კონტროლი მდიდრების მიმართ და მიეღწიათ ისეთი შედეგებისათვის, რომელთა წინაშე ქედს იხრიდა მთელი მსოფლიო. ხოლო გასული ხუთი მეოთხედი საუკუნის მანძილზე კაპიტალიზმის განვითარებამ, რომელმაც შექმნა ბანკები, სინდიკატები, რკინიგზები და სხვა და სხვა, ასკეცად გაუადვილა და გაუმარტივა მუშებსა და გლეხებს ექსპლოატატორთა, მემამულეთა და კაპიტალისტთა მიმართ ნამდვილი დემოკრატიული კონტროლის ღონისძიებანი.

კონტროლის მთელი საკითხი არსებითად ის არის, თუ ვინ ვის უწევს კონტროლს, ე. ი. რომელი კლასია კონტროლის გამწევი და რომელ კლასს ეწევა კონტროლი. ჩვენში, რესპუბლიკურ რუსეთში, დღევანდლამდე, ვითომდა-რევოლუციური დემოკრატიის «უფლებამოსილი ორგანოების» მონაწილეობით, კონტროლიორების როლში აღიარებული არიან და რჩებიან მემამულეები და კაპიტალისტები. ამის შედეგად აუცილებელია კაპიტალისტთა ის მაროდიორობა, რაც ხალხის საყოველთაო აღშფოთებას იწვევს, და ის ნგრევა, რასაც კაპიტალისტები ხელოვნურად უწყობენ ხელს. არ უნდა შეგვეშინდეს ძველთან კავშირის გაწყვეტისა, არ უნდა შეგვეშინდეს ახლის გაბედულად შენებისა და გადაჭრით, მტკიცედ უნდა გადავიდეთ მუშათა და გლეხთა კონტროლზე მემამულეთა და კაპიტალისტთა მ ი მ ა რ თ. ამისა კი ჩვენს ესერებსა და მენშევიკებს ძალიან და ძალიან ეშინიათ.

იძულებითი გაერთიანება კავშირებად

იძულებითი სინდიცირება, ე. ი. იძულებითი გაერთიანება კავშირებად, მაგალითად, მრეწველებისა, უკვე გატარებულია პრაქტიკულად გერმანიაში. და აქაც ახალი არაფერია. აქაც ესერებისა და მენშევიკების მიზეზით ჩვენ ვხედავთ რესპუბლიკური რუსეთის ყოვლად სრულ უძრაობას. რესპუბლიკურ რუსეთს ეს ნაკლებად პატივსაცემი პარტიები «ართობენ» კადრილით, რომელსაც ისინი კადეტებთან ან ბუბლიკოვებთან, ან ტერეშჩენკოსთან და კერენსკისთან ერთად ცეკვავენ.

იძულებითი სინდიცირება, ერთი მხრივ, არის სახელმწიფოს მხრივ ერთგვარი წაბიძგება კაპიტალისტური განვითარებისა, რომელიც ყველგან და ყოველ ადგილას იწვევს კლასობრივი ბრძოლის ორგანიზებას, კავშირების რიცხვის, ნაირნაირობისა და მნიშვნელობის ზრდას. მეორე მხრივ კი, იძულებითი «შეკავშირება» არის ყოველგვარი ცოტათი მაინც სერიოზული კონტროლისა და ხალხის შრომის ყოველგვარი დაზოგვის აუცილებელი წინასწარი პირობა.

მაგალითად, გერმანიის კანონი ავალდებულებს ამა თუ იმ ადგილის ან მთელი სახელმწიფოს ტყავეულის მეფაბრიკეებს გაერთიანდნენ კავშირად, ამასთან სახელმწიფოს წარმომადგენელი შედის ამ კავშირის გამგეობაში კონტროლის გასაწევად. ამგვარი კანონი უშუალოდ, ე. ი. თავისთავად, სრულიადაც არ ეხება საკუთრების ურთიერთობას, ერთ კაპიკსაც კი არ ართმევს არც ერთ მესაკუთრეს და წინასწარ არ წყვეტს, თუ როგორ განხორციელდება კონტროლი — რეაქციულ-ბიუროკრატიული თუ რევოლუციურ-დემოკრატიული ფორმით, მიმართულებითა და სულისკვეთებით.

ამგვარი კანონები ჩვენში შეიძლება გამოიცეს და კიდევაც უნდა გამოიცეს დაუყოვნებლივ, ისე, რომ არც ერთი კვირა ძვირფასი დრო არ დაიკარგოს და **თვით საზოგადოებრივ ვითარებას მიენდოს** განსაზღვროს კანონის განხორციელების უფრო კონკრეტული ფორმები, მისი განხორციელების სისწრაფე, მისი განხორციელების მეთვალყურეობის

საშუალებანი და ა. შ.. აქ სახელმწიფოს არ ესაჭიროება არც განსაკუთრებული აპარატი, არც განსაკუთრებული კვლევა-ძიება, არც რაიმე წინასწარი გამოკვლევა ასეთი კანონის გამოსაცემად. საჭიროა მხოლოდ გაბედულება — კავშირის გაწყვეტა კაპიტალისტების ზოგიერთ კერძო ინტერესთან, — კაპიტალისტებისა, რომლებიც «დაჩვეული არ არიან» ამგვარ ჩარევას და რომლებსაც არა სურთ დაჰკარგონ ზემოგება, რასაც უზრუნველყოფს, უკონტროლობასთან ერთად, მეურნეობის ძველებურად გაძღოლა.

არავითარი აპარატი და არავითარი «სტატისტიკა» (რომლითაც ჩერნოვს უნდოდა შეეცვალა გლეხობის რევოლუციური ინიციატივა) საჭირო არ არის ასეთი კანონის გ ა მ ო ს ა ც ე მ ა დ, ვინაიდან მისი განხორციელება უნდა დაეკისროთ თვით მეფაბრიკეებს თუ მრეწველებს, არსებულ საზოგადოებრივ ძალებს, იმავე არსებული საზოგადოებრივი (ე. ი. არა მთავრობის, არა ბიუროკრატიული) ძალების კონტროლქვეშ, ოღონდ ეს ძალები აუცილებლად უნდა იყვნენ ეგრეთწოდებული «დაბალი წოდებებიდან», ე. ი. ჩაგრული, ექსპლოატირებული კლასებიდან, რომლებიც გმირობის, თავდადებულობის, ამხანაგური დისციპლინის უნარით ისტორიაში ყოველთვის შეუდარებლად უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე ექსპლოატატორები.

ვთქვათ, ჩვენში მართლაც რევოლუციურ-დემოკრატიული მთავრობა არსებობს და იგი ადგენს: წარმოების თვითეული დარგის ყველა მეფაბრიკე და მრეწველი, თუ მათ დაჭირავებული ჰყავთ, მაგალითად, არა ნაკლებ ორი მუშისა, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გაერთიანდნენ სამაზრო და საგუბერნიო კავშირებად. პასუხისმგებლობა კანონის განუხრელად შესრულებისათვის ეკისრებათ უწინარეს ყოვლისა მეფაბრიკეებს, დირექტორებს, გამგეობის წევრებს, მსხვილ აქციონერებს (ვინაიდან ესენი ყველანი არიან თანამედროვე მრეწველობის ნამდვილი წინამძღოლები, მისი ნამდვილი ბატონ-პატრონები). ისინი ითვლებიან სამხედრო სამსახურის დეზერტირებად და ისჯებიან, როგორც ასეთები, კანონის დაუყოვნებ-

ლივ განხორციელების საქმეში მუშაობის თავის არიდებისათვის და პასუხს აგებენ ურთიერთთავდებობით, ყველა თვითეულისათვის, თვითეული ყველასათვის, მთელი თავიანთი ქონებით. შემდეგ პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა მოსამსახურესაც, რომლებიც აგრეთვე ვალდებულნი არიან შეადგინონ ერთიანი კავშირი, და ყველა მუშასაც თავიანთი პროფესიული კავშირისთვის. «შეკავშირების» მიზანია უსრულესი, უსასტიკესი და უალრესად დაწვრილებითი ანგარიშების დაწესება, უმთავრესად კი ნედლეულის შესყიდვის, ნაწარმის გასაღების, ხალხის სახსართა და ძალთა დაზოგვის ოპერაციების გაერთიანება. ეს დაზოგვა დაქსაქსული საწარმოების ერთ სინდიკატად გაერთიანებისას უზარმაზარ ფარგლებს აღწევს, როგორც გვასწავლის ეკონომიური მეცნიერება, როგორც გვიჩვენებს ყველა სინდიკატის, კარტელის, ტრესტის მაგალითები. ამასთან ერთხელ კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ თავისთავად ეს შეკავშირება სინდიკატად ოდნავადაც არ ცვლის საკუთრების ურთიერთობას, არც ერთ კაპიკს არ ართმევს არც ერთ მესაკუთრეს. ამ გარემოებას განსაკუთრებით ძლიერ უნდა გაესვას ხაზი, ვინაიდან ბურჟუაზიული პრესა გამუდმებით «აშინებს» წვრილ და საშუალო მეპატრონეებს, თითქოს სოციალისტებს საერთოდ, ბოლშევიკებს კი განსაკუთრებით, სურდეთ მათი «ექსპროპრიირება»: ეს აშკარად ყალბი მტკიცებაა, რადგან სოციალისტებს სრული სოციალისტური გადატრიალების დროსაც კი წვრილ გლეხთა ექსპროპრიირება არა სურთ, არ შეუძლიათ, და ისინი ამას არც იზამენ. ჩვენ კი სულ მუდამ ვლაპარაკობთ მხოლოდ იმ უახლოეს და ფრიად საარსებო ღონისძიებებზე, რომლებიც უკვე განხორციელებულია დასავლეთ ევროპაში და რომლებიც ცოტათი მაინც თანამიმდევარმა დემოკრატიამ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს ჩვენში — მოახლოებულ და გარდუვალ კატასტროფასთან საბრძოლველად.

უწვრილეს და წვრილ მეპატრონეთა კავშირებად გაერთიანებას სერიოზული სიძნელეები გადაეღობებოდა, როგორც ტექნიკური, ისე კულტურული ხასიათისა, მათი საწარმოების

უკიდურესი დაჩაგრულობის, ტექნიკური პრიმიტიულობისა და მფლობელთა უსწავლელობისა ან გაუნათლებლობის გამო. მაგრამ სწორედ ეს საწარმოები შეიძლებოდა გამოგვერიცხა კანონიდან (როგორც უკვე აღნიშნულია ზემოთ, ჩვენს ნაკარაულევ მაგალითში), და მათი გაუერთიანებლობა, მათი გაერთიანების დაგვიანებაზე რომ ალარაფერი ვთქვათ, სერიოზულ დაბრკოლებას ვერ შექმნიდა, ვინაიდან უმთავრეს საწარმოთა როლი სრულიად უმნიშვნელოა წარმოების საერთო ჯამში, მათს მნიშვნელობაში მთლიანად აღებული სახალხო მეურნეობისათვის, და გარდა ამისა, ისინი ხშირად ასე თუ ისე დამოკიდებული არიან მსხვილ საწარმოებზე.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ მსხვილ საწარმოებს, აქ კი «შეკავშირებისათვის» ტექნიკური და კულტურული საშუალებანი და ძალები უკვე მოიპოვება, გვაკლია მხოლოდ რევოლუციური ხელისუფლების მტკიცე, ექსპლოატატორების მიმართ გადაჭრილი, დაუზოგავად სასტიკი ინიციატივა იმისათვის, რომ ეს ძალები და საშუალებანი ამოქმედებულ იქნან.

რაც უფრო ღარიბია ქვეყანა ტექნიკურად განათლებული და საერთოდ ინტელიგენტური ძალებით, მით უფრო აუცილებლად საჭიროა რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება გაბედულად დავადეკრეტოთ იძულებითი გაერთიანება და დავიწყოთ მისი გატარება უმსხვილესი და მსხვილი საწარმოებიდან, ვინაიდან სწორედ გაერთიანება დაგვიზოგავს ინტელიგენტურ ძალებს, შესაძლებლობას მოგვცემს მთლიანად გამოვიყენოთ და უფრო სწორად გავანაწილოთ ისინი. თუ რუსმა გლეხობამაც კი თავის მიყრუებულ კუთხეებში, მეფის მთავრობის დროს, როცა იგი იბრძოდა ამ მთავრობის მიერ შექმნილი ათასნაირი დაბრკოლების წინააღმდეგ, 1905 წლის შემდეგ შესძლო წინ გადაედგა უზარმაზარი ნაბიჯი ყოველგვარი კავშირის შექმნის საქმეში, — რა თქმა უნდა, მსხვილი და საშუალო მრეწველობისა და ვაჭრობის გაერთიანება შესაძლებელი იქნებოდა რამდენიმე თვეში, — თუ უფრო სწრაფად

არა, — იმ პირობით, რომ იძულებას მიმართავს ნამდვილად რევოლუციურ-დემოკრატიული მთავრობა, რომელიც ეყრდნობა «ქვედაფენების», დემოკრატიის, მოსამსახურეების, მუშების მხარის დაჭერას, მონაწილეობას, დაინტერესებას, სარგებლიანობას, და რომელიც მოუწოდებს მ ა თ კონტროლის გასაწევად.

მოხმარების მოწესრიგება

ომმა ყველა მეომარი სახელმწიფო და ბევრი ნეიტრალური სახელმწიფო აიძულა მოხმარების მოწესრიგებაზე გადასულიყვნენ. ქვეყნად გაჩნდა პურის ბარათი, რომელიც ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, ამას სხვა ბარათებიც მოჰყვა. არც რუსეთი დარჩენილა განზე და იმანაც შემოიღო პურის ბარათები.

მაგრამ, გვგონია, სწორედ ამ მაგალითით შეგვიძლია ყველაზე თვალსაჩინოდ შევადაროთ ერთმანეთს კატასტროფასთან ბრძოლის რეაქციულ-ბიუროკრატიული მეთოდები, რომლებიც ცდილობენ გარდაქმნათა მინიმუმს დასჯერდნენ, და რევოლუციურ-დემოკრატიული მეთოდები, რომლებმაც, რათა თავისი სახელწოდება დაიმსახურონ, პირდაპირ ამოცანად უნდა დაისახონ კავშირის ძალდატანებით გაწყვეტა დრომოჭმულ ძველთან და წინსვლის რაც შეიძლება მეტად დაჩქარება.

პურის ბარათი, თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მოხმარების მოწესრიგების ეს ტიპიური ნიმუში, ამოცანად ისახავს და ახორციელებს (უკეთეს შემთხვევაში ახორციელებს) ერთ რამეს: გაანაწილოს არსებული პურის რაოდენობა, რათა იგი ყველას ამყოფინოს. შემოღებულია სრულიადაც არა ყველასი, არამედ მხოლოდ მთავარი «სახალხო» პროდუქტების მოხმარების მაქსიმუმი. ეს არის და ეს. მეტზე არ ზრუნავენ. ბიუროკრატიულად აღრიცხავენ პურის არსებულ მარაგს, ჰყოფენ მას სულადობის მიხედვით, აწესებენ ნორმას, შემოაქვთ იგი და ამას სჯერდებიან. ფუფუნების საგნებს ხელს არ ახლებენ, ვინაიდან ასეთი საგნები «სულ ერთია» ცოტაა და «სულ ერთია» ისე ძვირია, რომ «ხალხისათვის» მიუწვდომე-

ლიაო. ამიტომ ყველა, გამოუკლებლივ ყველა მეომარ ქვეყანაში, გერმანიაშიც კი, რომელიც, თითქოს, უდავოდ შეიძლება მოხმარების ყველაზე აკურატული, ყველაზე პედანტური, ყველაზე მკაცრი მოწესრიგების ნიმუშად ჩაითვალოს, გერმანიაშიც კი ჩვენ ვხედავთ, რომ მდიდრები მუდამ გვერდს უვლიან მოხმარების ყოველგვარ «ნორმას». ესეც «ყველამ» იცის, ამაზედაც «ყველა» ღიმილით ლაპარაკობს, და გერმანულ სოციალისტურ პრესაში, ზოგჯერ ბურჟუაზიულშიც კი, სასტიკი ყარაზმული გერმანული ცენზურის მძვინვარების მიუხედავად, მუდამ გვხვდება შენიშვნები და ცნობები მდიდრების «მენიუს» შესახებ, იმის შესახებ, რომ მდიდრები, რამდენიც ნებავთ, იმდენ თეთრ პურს იღებენ ამა და ამ კურორტზე (ავადმყოფთა სახით კურორტზე მიდის ყველა... ვისაც ფული ბლომად აქვს), რომ მდიდრები მდაბიო ხალხისათვის განკუთვნილი პროდუქტების ნაცვლად ფუფუნების რჩეულ და იშვიათ საგნებს ხმარობენ.

რეაქციულ კაპიტალისტურ სახელმწიფოს, რომელსაც ეშინია შეარყიოს კაპიტალიზმის საფუძვლები, დაქირავებული მონობის საფუძვლები, მდიდრების ეკონომიური ბატონობის საფუძვლები, ეშინია იმისა, რომ «გააღვივოს» მათი მომთხოვნელობა; ასეთ სახელმწიფოს არაფერი არ ესაჭიროება, გარდა პურის ბარათისა. ასეთი სახელმწიფო არც ერთ წუთს, არც ერთი თავისი ნაბიჯის გადადგმისას არ ივიწყებს რეაქციულ მიზანს: განამტკიცოს კაპიტალიზმი, არავის არ მისცეს მისი შერყევის საშუალება, შემოფარგლოს საერთოდ «ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება», კერძოდ კი მოხმარების მოწესრიგება, მხოლოდ ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც უთუოდ აუცილებელია ხალხის გამოსაკვებად, და სრულიადაც არ შეეხოს მოხმარების ნამდვილ მოწესრიგებას, რომლის მიზანი იქნება კონტროლი გაეწიოს მდიდრებს იმ აზრით, რომ მათ, მშვიდობიანობის დროს უქეთ მოწყობილთ, პრივილეგიურთ, მაძღართ და გათქვირეებულთ, მეტი სიმძიმე დაეკისროთ ომიანობის დროს.

იმ ამოცანის რეაქციულ-ბიუროკრატიული გადაწყვეტა, რომელიც ომმა ხალხთა წინაშე დასვა, იფარგლება პურის ბარათით, კვებისათვის აბსოლუტურად აუცილებელი «სახალხო» პროდუქტების თანაბრად განაწილებით და ოდნავადაც არ შორდება ბიუროკრატიზმსა და რეაქციულობას, სახელდობრ ამ მიზანს: არ აღძრას ღარიბების, პროლეტარიატის, ხალხის მასის («დემოსის») თვითმოქმედება, არ დაუშვას მდიდრების კონტროლი მათ მხრივ, რაც შეიძლება მეტი ხვრელი დასტოვოს იმისათვის, რომ მდიდრებმა შეივსონ დანაკლისი ფუფუნების საგნებით. და ყველა ქვეყანაში, ვიმეორებთ, გერმანიაშიც კი, — რუსეთზე ლაპარაკიც ზედმეტია, — დატოვებულია უამრავი ხვრელი, შიმშილობს «მდაბიო ხალხი», მდიდრები კი კუროორტებზე დადიან, მცირე სახაზინო ნორმას ავსებენ ყოველგვარი «დანამატით» გარედან და ნებას არ იძლევიან, რომ მათ კონტროლი გაუწიონ.

რუსეთში, რომელმაც ეს-ეს არის მოახდინა რევოლუცია ცარიზმის წინააღმდეგ თავისუფლებისა და თანასწორობის გულისათვის, რუსეთში, რომელიც თავისი ფაქტიური პოლიტიკური დაწესებულებებით ერთბაშად გახდა დემოკრატიული რესპუბლიკა, განსაკუთრებით ხვდება ხალხს თვალში, განსაკუთრებით იწვევს მასების უკმაყოფილებას, გაღიზიანებას, გაბოროტებასა და აღშფოთებას, რომ ყველა ხედავს მდიდრების მიერ «პურის ბარათების» გვერდის ავლის სიადვილეს, ეს სიადვილე განსაკუთრებით დიდია. «კალთისქვეშ» და განსაკუთრებით მაღალ ფასად, მეტადრე **«ნაცნობობის პირობებში»** (რაც მხოლოდ მდიდრებს აქვთ), ყველაფერს და ბლომად შოულობენ. ხალხი შიმშილობს. მოხმარების მოწესრიგება ისაზღვრება ფრიად ვიწრო, ბიუროკრატიულ-რეაქციული ფარგლებით. მთავრობა ოდნავადაც არ ფიქრობს, ოდნავადაც არ ზრუნავს იმაზე, რომ ეს მოწესრიგება ნამდვილად რევოლუციურ-დემოკრატიულ საფუძველზე დააყენოს.

რიგები «ყველას» აწუხებს, მაგრამ... მაგრამ მდიდრები რიგებში დასადგომად შინამოსამსახურეებს გზავნიან და საამი-

სოდ ცალკე მსახურებსაც კი ქირაობენ! ესეც თქვენი «დემოკრატიზმი»!

იმ დროს, როდესაც ქვეყანა გაუგონარ უბედურებას განიცდის, რევოლუციურ-დემოკრატიული პოლიტიკა მოახლოებულ კატასტროფასთან საბრძოლველად ვერ დასჯერდებოდა პურის ბარათებს, არამედ მათ დაუმატებდა, ჯერ ერთი, მთელი მოსახლეობის იძულებით გაერთიანებას სამომხმარებლო საზოგადოებებად, ვინაიდან ასეთი გაერთიანების განუხორციელებლად კონტროლის მთლიანად გატარება შეუძლებელია; მეორეც, დაუმატებდა შრომის ბეგარას მდიდრებისათვის, რათა მათ უფასოდ გაეწიათ მომსახურება ან სამომხმარებლო საზოგადოებისათვის სამდივნო და სხვა ამგვარი შრომით; მესამეც, დაუმატებდა მოხმარების მართლაც ყველა პროდუქტის თანაბრად გაყოფას მოსახლეობაში, რათა ომის სიმძიმე მართლაც თანაბრად განაწილდეს; მეოთხეც, მოახდენდა კონტროლის ისე ორგანიზებას, რომ მოსახლეობის ღარიბმა კლასებმა სწორედ მდიდრების მოხმარებას გაუწიონ კონტროლი.

ამ სფეროში ნამდვილი დემოკრატიზმის შექმნა, კონტროლის ორგანიზებაში სწორედ ხალხის ყველაზე გაჭირვებული კლასების მიერ ნამდვილი რევოლუციურობის გამოჩენა უდიდესი ბიძგი იქნებოდა ყოველი არსებული ინტელიგენტური ძალის დასაძაბავად, მთელი ხალხის ნამდვილად რევოლუციური ენერგიის გასავითარებლად. თორემ ახლა რესპუბლიკური და რევოლუციურ-დემოკრატიული რუსეთის მინისტრები სწორედ ისევე, როგორც მათი თანამოძმენი ყველა დანარჩენ იმპერიალისტურ ქვეყანაში, მაღალფარდოვან სიტყვებს ამბობენ «ხალხის სასარგებლო საერთო შრომაზე», «მთელი ძალების დაძაბვაზე», მაგრამ სწორედ ხალხი ხედავს, გრძნობს და განიცდის ამ სიტყვების თვალთმაქცობას.

გამოდის ერთი და იგივე ადგილის ტკეპნა და რღვევის შეუფერხებელი ზრდა, კატასტროფის მოახლოება, ვინაიდან ჩვენს მთავრობას კორნილოვისებურად, ჰინდენბურგისებურად, საერთო იმპერიალისტური ნიმუშის მიხედვით არ შეუძლია შემოიღოს სამხედრო კატორღა მუშებისათვის, — ხალხში ჯერ

კიდევ ძალიან ცოცხალია რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ტრადიციები, მოეონებანი, კვალი, ჩვევები, დაწესებულებანი; ხოლო რევოლუციურ-დემოკრატიულ გზაზე ნამდვილად სერიოზული ნაბიჯების გადადგმა ჩვენს მთავრობას არა სურს, ვინაიდან იგი მთლიანად გაჟღენთილია და თავიდან ბოლომდე შებოჭილია ბურჟუაზიისაგან დამოკიდებულების, მასთან «კოალიციის» ურთიერთობით, მისი ფაქტიური პრივილეგიების შებღალვის შიშით.

მთავრობის მიერ დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობის ჩაშლა

ჩვენ განვიხილეთ კატასტროფასთან და შიმშილთან ბრძოლის სხვადასხვა საშუალება და მეთოდი. ჩვენ ყველგან ვნახეთ შეურიგებლობა წინააღმდეგობისა, ერთი მხრივ, დემოკრატიასა, ხოლო მეორე მხრივ — მთავრობასა, აგრეთვე მისი მომხრე ესერებისა და მენშევიკების ბლოკს შორის. იმის დასამტკიცებლად, რომ ეს წინააღმდეგობანი არსებობენ სინამდვილეში და არა მარტო ჩვენს გადმოცემაში, და რომ მათი შეურიგებლობა ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ მტკიცდება საერთო-სახალხო მნიშვნელობის კ ო ნ ფ ლ ი ქ ტ ე ბ ი თ, საკმარისია მოგაგონოთ ჩვენი რევოლუციის ნახევარი წლის ისტორიის ორი განსაკუთრებით ტიპიური «შედეგი» და გაკვეთილი.

პალჩინსკის «მეფობის» ისტორია ერთი გაკვეთილია. პეშეხონოვის «მეფობისა» და დაცემის ისტორია კი მეორე გაკვეთილი.

არსებითად, კატასტროფასთან და შიმშილთან ბრძოლის ზემოთ აღწერილი ღონისძიებანი გამოიხატება იმით, რომ ყოველმხრივ ეწყობა ხელი (თვით იძულებითაც კი) მოსახლეობის და, პირველ რიგში, დემოკრატიის, ე. ი. მოსახლეობის უმრავლესობის, — მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა, ჩაგრული კლასების, მუშებისა და გლეხების, განსაკუთრებით კი უღარიბესი გლეხების «შეკავშირებას». და ამ გზას სტიქიურად აღგება თვითონ მოსახლეობა ომის გაუგონარი სიძნელეების, სიმძიმისა და უბედურებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ცარიზმი ყოველნაირად აფერხებდა მოსახლეობის დამოუკიდებელ და თავისუფალ «შეკავშირებას». მაგრამ მეფის მონარქიის დამხობის შემდეგ დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა მთელ რუსეთში იწყეს წარმოშობა და სწრაფად ზრდა. კატასტროფასთან ბრძოლა გააჩაღეს თვითნებურად შექმნილმა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა, მომარაგების ყოველგვარმა კომიტეტებმა, სასურსათო კომიტეტებმა, სათბობის საკითხზე მოწვეულმა თათბირებმა და სხვ. და სხვ.

და აი, განსახილველ საკითხში ჩვენი რევოლუციის მთელი ნახევარი წლის ისტორიის მანძილზე ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ მთავრობა, რომელიც თავის თავს რესპუბლიკურსა და რევოლუციურს უწოდებს, მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერენ მენშევიკები და ესერები «რევოლუციური დემოკრატიის უფლებამოსილი ორგანოების» სახელით, ეს მთავრობა **იბრძოდა** დემოკრატიული ორგანიზაციების **წინააღმდეგ** და **მოერია მათ!!**

პალჩინსკიმ ამ ბრძოლით მოიპოვა ყოვლად სავალალო და უარესად ფართო სახელი მთელი რუსეთის მასშტაბით. ის მთავრობის ზურგს უკან მოქმედებდა, აშკარად არ გამოდიოდა ხალხის წინაშე (სწორედ ისევე, როგორც ამჯობინებდნენ მოქმედებას კადეტები საერთოდ, რომლებიც «ხალხისათვის» ხალისით აყენებდნენ წინ წერეთელს, ხოლო თვითონ ჩუმ-ჩუმად აჭახრაკებდნენ ყველა მნიშვნელოვან საქმეს). პალჩინსკი აფერხებდა და ფუშავდა თვითნებურად შექმნილი დემოკრატიული ორგანიზაციების ყოველ სერიოზულ ღონისძიებას, ვინაიდან არც ერთი სერიოზული ღონისძიება არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო კიტ კიტიჩების უზომო მოგებისა და თვითნებობის «შეულახავად». პალჩინსკი კი სწორედ კიტ კიტიჩების ერთგული დამცველი და მსახური იყო. საქმე იქამდე მიდიოდა, — და ეს ფაქტი გაზეთებშიც იყო გამოქვეყნებული — რომ პალჩინსკი პირდაპირ აუქმებდა თვითნებურად შექმნილი დემოკრატიული ორგანიზაციების განკარგულებებს!!

პალჩინსკის «მეფობის» მთელი ისტორია — ის კი «მეფობდა» მრავალ თვეს და სწორედ მაშინ, როდესაც წერეთელი,

სკობელევი, ჩერნოვი «მინისტრები» იყვნენ, — არის ერთი მთლიანი, უმსგავსო სკანდალი, ხალხის ნების, დემოკრატიის გადაწყვეტილების ჩაშლა კაპიტალისტების სა ა მ ე ბ ლ ად, მათი ბინძური ანგარების გულისათვის. გაზეთებში, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა პალჩინსკის «საგმირო საქმეთა» მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ნაწილი გამოქვეყნებულიყო, და იმის სრულ გამოძიებას, თუ როგორ უ შ ლ ი დ ა ის ხელს შიშმილთან ბრძოლას, შესძლებს მხოლოდ პროლეტარიატის ჭეშმარიტად დემოკრატიული მთავრობა, როდესაც იგი დაიპყრობს ძალაუფლებას და დაუფარავად, ხალხის ს ა მ ს ჯ ა ვ რ ო ზე გამოიტანს პალჩინსკისა და მისთანათა საქმეებს.

იქნებ გვიპასუხონ, პალჩინსკი ხომ გამონაკლისი იყო და აკი კიდევაც მოიშორეს თავიდანაო... მაგრამ საქმეც ისაა, რომ პალჩინსკი გამონაკლისი კი არ არის, არამედ წ ე ს ი ა, რომ პალჩინსკის თავიდან მოშორებით საქმე სრულიადაც არ გაუმჯობესებულა, რომ მისი ადგილი დაიკავეს სხვა გვარის მქონე ასეთივე პალჩინსკებმა, რომ კაპიტალისტების მთელი «გ ა ვ ლ ე ნ ა», მ ა თ ს ა ა მ ე ბ ლ ად შ ი მ შ ი ლ თ ა ნ ბ რ ძ ო ლ ი ს ჩ ა შ ლ ი ს მთელი პოლიტიკა ხელუხლებელი დარჩა. ვინაიდან კერენსკი და კომპანია მხოლოდ კაპიტალისტთა ინტერესების დაცვის საფარია.

ამის ყველაზე უფრო თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთია სურსათის მინისტრის პეშეხონოვის წ ა ს ვ ლ ა სამინისტროდან. როგორც ცნობილია, პეშეხონოვი ფრიად და ფრიად ზომიერი ნაროდნიკია. მაგრამ სასურსათო საქმის ორგანიზებისათვის მას სურდა ემუშავნა კეთილსინდისიერად, დემოკრატიულ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარების გზით, მათზე დაყრდნობით. მით უფრო საინტერესოა პეშეხონოვის მუშაობის ც დ ა და მისი წ ა ს ვ ლ ა, რომ ეს უზომიერესი ნაროდნიკი, «სახალხო-სოციალისტური» პარტიის წევრი, რომელიც მზად იყო დასთანხმებოდა ყოველგვარ კომპრომისს ბურჟუაზიასთან, ბოლოს მაინც იძულებული გახდა წ ა ს ულიყო! ვინაიდან კერენსკის მთავრობამ, კაპიტალისტების, მემამულე-

ებისა და კულაკების საამებლად, გ ა ა დ ი დ ა პურის მტკიცე ფასები!!

აი როგორ ასწერს მ. სმიტი გაზეთ «სვობოდნაია ჟიზნის» [88] 2 სექტემბრის № 1-ში ამ «ნაბიჯს» და მის მნიშვნელობას:

«მთავრობის მიერ მტკიცე ფასების გადიდებამდე რამდენიმე დღით ადრე საერთო-სახელმწიფო სასურსათო კომიტეტში ასეთი სცენა დატრიალდა: მემარჯვენეთა წარმომადგენელმა, როლოვიჩმა, კერძო ვაჭრობის ინტერესების მედგარმა დამცველმა და პურის მონოპოლიისა და ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფო ჩარევის ულმობელმა მტერმა, ყველას გასაგონად განაცხადა თავითკმაყოფილების ღიმილით, ჩემი ცნობებით, პურის მტკიცე ფასებს მოკლე ხანში გაადიდებენო!

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელმა კი ამის პასუხად განაცხადა, რომ მან არაფერი ამის მსგავსი არ იცის, რომ ვიდრე რუსეთში რევოლუცია გრძელდება, ასეთ აქტს არ შეიძლება ადგილი ჰქონდესო, და რომ, ყოველ შემთხვევაში, მთავრობას არ შეუძლია ასეთ აქტს მიმართოს დემოკრატიის უფლებამოსილ ორგანოებთან — ეკონომიურ საბჭოსთან და საერთო-სახელმწიფო სასურსათო კომიტეტთან მოუთათბირებლადო. ამ განცხადებას შეუერთდა გლეხთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელიც.

მაგრამ ვაი! სინამდვილემ ამ კონტრავერსიაში მეტად სასტიკი შესწორება შეიტანა: მართალნი აღმოჩნდნენ არა დემოკრატიის წარმომადგენელნი, არამედ ცენზიანი ელემენტების წარმომადგენელი. აღმოჩნდა, რომ მას ჩინებულად სცოდნია დემოკრატიის უფლებათა განზრახული ხელყოფის ამბავი, თუმცა დემოკრატიის წარმომადგენლებმა აღშფოთებით უარყვეს ასეთი ხელყოფის შესაძლებლობაც კი».

ამრიგად, მუშების წარმომადგენელიც და გლეხობის წარმომადგენელიც გარკვევით აცხადებენ თავიანთ აზრს ხალხის გიგანტური უმრავლესობის სახელით, ხოლო კერენსკის მთავრობა, პირიქით, კაპიტალისტების სასარგებლოდ მოქმედებს!

როლოვიჩს, კაპიტალისტების წარმომადგენელს, დემოკრატიის ზურგს უკან, თურმე, ჩინებულად სცოდნია ყველაფერი, სწორედ ისევე, როგორც ჩვენ ყოველთვის ვხედავდით და ახლაც ვხედავთ, რომ ბურჟუაზიულმა გაზეთებმა «რეჩმა» და «ბირჟევკამ» საუცხოოდ იციან ის, თუ რა ხდება კერენსკის მთავრობაში.

რას მოწმობს საქმის ეს შესანიშნავად ცოდნა? ცხადია: იმას, რომ კაპიტალისტებს თავიანთი «ხვრელები» აქვთ და ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ ხელთ უპყრიათ ძალაუფლება. კერენსკი შენაცვალი ფიგურაა, რომელსაც ისინი ამოქმედებენ, ამოქმედებენ ისე და მაშინ, როგორც და როდესაც ეს მათ ესაჭიროებათ. ათეული მილიონობით მუშისა და გლეხის ინტერესები მსხვერპლად ეწირება თითო-ოროლა მდიდრების მოგებას.

მერე რითი უპასუხებენ ხალხის ამ აღმაშფოთებელ დაცინვას ჩვენი ესერები და მენშევიკები? იქნებ, მათ მოწოდებით მიმართეს მუშებსა და გლეხებს, რომ ამის შემდეგ კერენსკისა და მისი კოლეგების ადგილი მხოლოდ საპყრობილეა?

ღმერთმა დაგვიფაროს! ესერები და მენშევიკები, მათი კუთვნილი «ეკონომიური განყოფილების» სახით, დასჯერდნენ იმ მრისხანე რეზოლუციის მიღებას, რომელიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ! ამ რეზოლუციაში ისინი აცხადებენ, რომ კერენსკის მთავრობის მიერ პურის ფასების გადიდება არის **«დამღუპველი** ღონისძიება, რომელიც **უძლიერეს ლახვარს** სცემს როგორც სასურსათო საქმეს, ისე ქვეყნის მთელ სამეურნეო ცხოვრებას» და რომ ამ დამღუპველ ღონისძიებათა განხორციელებით აშკარად **«დარღვეულია»** კანონი!!

ასეთია შემთანხმებლობის პოლიტიკის, კერენსკისთან ლაქუცის პოლიტიკისა და მისი «დაზოგვის» სურვილის შედეგები!

მთავრობა არღვევს კანონს, როდესაც მდიდრების, მემამულეებისა და კაპიტალისტების საამებლად იღებს ისეთ ღონისძიებას, რომელიც ღ უ პ ა ვ ს კონტროლის, სურსათის, უკიდურესად შერყეული ფინანსების გაჯანსაღების მთელ საქმეს, ესერები და მენშევიკები კი განაგრძობენ ლაპარაკს ვაჭარმრეწველთა წრეებთან შეთანხმებაზე, განაგრძობენ ტერეშჩენკოსთან ოთხ-ხუთ საათიან სიარულს, კერენსკის დაზოგვას და სჯერდებიან პროტესტის ფუჭ რეზოლუციას, რომელსაც მთავრობა გულდამშვიდებით ამოსდებს ხოლმე მაუდქვეშ!!

აი სად აშკარავდება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ის ჰეშმარიტება, რომ ესერებმა და მენშევიკებმა უღალატეს

ხალხსა და რევოლუციას და რომ მასების ნამდვილ ბელადად, ესერული დამენშევიკური მასებისაც კი, ბოლშევიკები ხდებიან.

ვინაიდან მხოლოდ და სწორედ ბოლშევიკების პარტიის მეთაურობით პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობას შეუძლია ბოლო მოუღოს იმ უმსგავსობას, რასაც კერენსკი და კომპ. სჩადიან, და **ალადგინოს** სურსათის, მომარაგებისა და სხვათა დემოკრატიული ორგანიზაციების ის მუშაობა, რომელსაც კერენსკი და მისი მთავრობა ფ უ შ ა ვ ე ნ.

ბოლშევიკები გამოდიან — მოყვანილი მაგალითით ეს ყოვლად სრული სიცხადით ჩანს — როგორც მ თ ე ლ ი ხალხის ინტერესების, სურსათისა და მომარაგების საქმის უზრუნველყოფის ინტერესების, მუშებისა და გ ლ ე ხ ე ბ ი ს ფრიად არსებით საჭიროებათა დაკმაყოფილების ინტერესების წარმომადგენლები — ესერებისა და მენშევიკების იმ მერყევი, გაუბედავი, ჭეშმარიტად მოღალატური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელმაც ქვეყანა ისეთ შერცხვენამდე მიიყვანა, როგორიცაა პურის ფასების ეს მომატება!

ფინანსური კრახი და მისი საწინააღმდეგო ღონისძიებანი

პურის მტკიცე ფასების მომატების საკითხს მეორე მხარეცა აქვს. ეს მომატება ნიშნავს ქაღალდის ფულის გამოშვების ხელახალ ჭაოსურ გადიდებას, სიძვირის გაძლიერების პროცესის ახალ წინგადადგმულ ნაბიჯს, ფინანსური არევ-დარევის გაძლიერებას და ფინანსური კრახის მოახლოებას. ყველა აღიარებს, რომ ქაღალდის ფულის გამოშვება იძულებითი სესხის უცუდესი სახეა, რომ იგი ყველაზე მეტად სწორედ მუშების, მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის მდგომარეობას აუარესებს, რომ იგი ფინანსური უთავბოლობის მთავარ ბოროტებას წარმოადგენს.

და სწორედ ამ ღონისძიებას მიმართავს კერენსკის მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერენ ესერები და მენშევიკები!

ფინანსების მოშლილობასთან და გარდუვალ ფინანსურ კრახთან სერიოზული ბრძოლისათვის არ არსებობს სხვა გზა, გარდა იმისა, რომ რევოლუციურად უკუვაგდოთ კაპიტალის ინტერესები და მოვაწყოთ ნამდვილად დემოკრატიული კონტროლი, ე. ი. კონტროლი «ქვემოდან», მუშათა და უღარიბეს გლეხთა კონტროლი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ, — გარდა იმ გზისა, რომელზედაც ლაპარაკია მთელ ჩვენს წინანდელ საუბარში.

ჭაღალდის ფულის უზომოდ გამოშვება აქეზებს სპეკულაციას, საშუალებას აძლევს კაპიტალისტებს ამ სპეკულაციის მეოხებით მოიგონ მილიონები და უდიდეს სიძნელეებს უქმნის წარმოების ესოდენ აუცილებელ გაფართოებას, ვინაიდან მასალების, მანქანებისა და სხვათა სიძვირე მატულობს და ნახტომებით მიდის წინ. როგორ უნდა ვუშველოთ საქმეს, როდესაც მდიდრების მიერ სპეკულაციის გზით შენაძენ სიმდიდრეს მალავენ?

შეიძლება შემოვიღოთ საშემოსავლო გადასახადი პროგრესიული და ძალიან მაღალი განაკვეთებით დიდი და უდიდესი შემოსავლისათვის. ჩვენმა მთავრობამ, სხვა იმპერიალისტურ მთავრობათა მსგავსად, შემოიღო ასეთი გადასახადი. მაგრამ იგი მეტწილად ფიქციად, უშინაარსო სიტყვად რჩება, ვინაიდან, ჯერ ერთი, ფულის ღირებულება სულ უფრო და უფრო სწრაფად ეცემა, მეორეც, შემოსავლის გადამალვა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მეტად შეადგენს მის წყაროს სპეკულაცია და რაც უფრო საიმედოდ არის დაცული კომერციული საიდუმლოება.

გადასახადი რომ ნამდვილი იყოს და არა ფიქციური, საჭიროა ნამდვილი კონტროლი, ისეთი კონტროლი, რომელიც ჭაღალდზე არ უნდა რჩებოდეს. კაპიტალისტების მიმართ კონტროლი კი შეუძლებელია, თუ იგი ბიუროკრატიული რჩება, ვინაიდან ბიუროკრატია თვითონ ათასი ძაფით არის ბურჟუაზიასთან დაკავშირებული და გადანასკული. ამიტომ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, სულ ერთია მონარქიებია ეს თუ რესპუბლიკები, ფინანსური საქმის მოწეს-

რიგებას აღწევენ მხოლოდ «შრომის ბეგრის» ისეთი შემოღების ფასად, რომელიც მუშებს სამხედრო კატორღას ან სამხედრო მონობას უქმნის.

რეაქციულ-ბიუროკრატიული კონტროლი — აი ერთადერთი საშუალება, რომელსაც იცნობენ იმპერიალისტური სახელმწიფოები, მათ შორის დემოკრატიული რესპუბლიკებიც, საფრანგეთი და ამერიკა, რათა ომის სიმძიმე პროლეტარიატსა და მშრომელ მასებს დააკისრონ.

ჩვენი მთავრობის პოლიტიკის ძირითადი წინააღმდეგურობა სწორედ ის არის, რომ მას უხდება გაატაროს — რათა არ წაეჩხუბოს ბურჟუაზიას, არ დაარღვიოს «კოალიცია» მასთან — რეაქციულ-ბიუროკრატიული კონტროლი და უწოდოს მას «რევოლუციურ-დემოკრატიული», ყოველ ნაბიჯზე ატყუოს ხალხი, გაალიზიანოს და გააბოროტოს მასები, რომლებმაც ეს-ეს არის დაამხეს ცარიზმი.

ამავე დროს კი სწორედ რევოლუციურ-დემოკრატიული ღონისძიებანი, რომელნიც კავშირებად გააერთიანებენ სწორედ ჩაგრულ კლასებს, მუშებსა და გლეხებს, სწორედ მასებს, — მოგვცემდნენ შესაძლებლობას დაგვეწესებინა უაღრესად ნამდვილი კონტროლი მდიდრების მიმართ და გვეწარმოებინა ფრიად ნაყოფიერი ბრძოლა შემოსავლის გადამალვასთან.

ცდილობენ ხელი შეუწყონ ჩეკების ტრიალს ქაღალდის ფულის უზომოდ გამოშვებასთან საბრძოლველად. ღარიბთათვის ამ ღონისძიებას მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ღარიბნი, სულ ერთია, დღე-დღეზე ცხოვრობენ, სულ ერთია, ერთ კვირაში ამთავრებენ თავიანთ «სამეურნეო ბრუნვას», უბრუნებენ რა კაპიტალისტებს იმ მცირე გროშებს, რომელთა შოვნასაც ისინი ახერხებენ. მდიდრებისათვის ჩეკების ტრიალს შეიძლებოდა დიდი მნიშვნელობა ჰქონოდა, იგი სახელმწიფოს საშუალებას მისცემდა, განსაკუთრებით ისეთ ღონისძიებებთან დაკავშირებით, როგორიცაა ბანკების ნაციონალიზაცია და საყაჩაღო საიდუმლოების გაუქმება, ნამდვილად გაეწია კონტროლი კაპიტალისტების შემოსავლისათვის,

ნამდვილად დაებეგრა ისინი გადასახადით, ნამდვილად «გაედემოკრატიულებინა» (და ამასთან ერთად კიდევაც მოეწესრიგებინა) ფინანსური სისტემა.

მაგრამ აქ დაბრკოლებას წარმოადგენს სწორედ იმის შიში, რომ დაარღვიონ ბურჟუაზიის პრივილეგიები, გაწყვიტონ «კოალიცია» მასთან, ვინაიდან ჭეშმარიტად რევოლუციურ ღონისძიებათა გაუტარებლად, ფრიად სერიოზული იძულების განუხორციელებლად კაპიტალისტები არავითარ კონტროლს არ დაემორჩილებიან, თავიანთ ბიუჯეტებს არ გაამხელენ, ფულის ქაღალდის მარაგს «ანგარიშქვეშ» არ ჩააბარებენ დემოკრატიულ სახელმწიფოს.

კავშირებად გაერთიანებული მუშები და გლეხები, თუ მოახდენდნენ ბანკების ნაციონალიზაციას, თუ შემოიღებდნენ ჩეკების ტრიალს, როგორც ყველა მდიდრისათვის კანონით სავალდებულო რამეს, თუ გააუქმებდნენ ვაჭრობის საიდუმლოებას, თუ დააწესებდნენ ქონების კონფისკაციას შემოსავლის გადამალვისათვის და ა. შ. — უაღრესი სიადვილით შესძლებდნენ გაეხადათ კონტროლი ნამდვილიც და უნივერსალურიც, კონტროლი სწორედ მდიდრების მიმართ, სწორედ ისეთი კონტროლი, რომელიც ხაზინას დაუბრუნებდა მის მიერ გამოშვებულ ქაღალდის ფულს ი მ ა თ გ ა ნ, ვისაც ეს ფული აქვს, ი მ ა თ გ ა ნ, ვინც მას მალავს.

ამისათვის საჭიროა რევოლუციური დიქტატურა დემოკრატიისა, რომელსაც მეთაურობას გაუწევს რევოლუციური პროლეტარიატი, ე. ი. ამისათვის დემოკრატია უნდა გახდეს ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ რევოლუციური. ეს არის თავიდათავი. სწორედ ეს არა სურთ ჩვენს ესერებსა და მენშევიკებს, რომლებიც ატყუებენ ხალხს «რევოლუციური დემოკრატიის» დროშით, ნამდვილად კი მხარს უჭერენ ბურჟუაზიის რეაქციულ-ბიუროკრატიულ პოლიტიკას, ბურჟუაზიისა, რომელიც, როგორც ყოველთვის, ხელმძღვანელობს წესით: **«après nous le déluge»** — ჩვენს შემდეგ თუნდაც წარღვნა ყოფილაო!

ჩვენ ჩვეულებრივ ვერც კი ვამჩნევთ, თუ რამდენად ღრმადა გვაქვს გამჯდარი ანტიდემოკრატიული ჩვეულებანი და ცრუ-

რწმენანი ბურჟუაზიული საკუთრების «სიწმინდის» შესახებ. როდესაც ინჟინერი ან ბანკირი აქვეყნებს მუშის შემოსავალ-გასავალს, მონაცემებს მისი ხელფასისა და მისი შრომის ნაყოფიერების შესახებ, ეს არჭიკანონიერ და სამართლიან რამედ ითვლება. ფიქრადაც არავის მოსდის დაინახოს ამაში მუშის «კერძო ცხოვრების» ხელყოფა, ინჟინრის მხრივ «მაძებრობა ან დაბეზღება». დაქირავებული მუშების შრომა და ხელფასი ბურჟუაზიულ საზოგადოებას თ ა ვ ი ს გადაშლილ დავთრად მიაჩნია, სადაც ყოველ ბურჟუას აქვს უფლება ყოველთვის ჩაიხედოს, ყოველთვის ამხილოს მუშის ესა და ეს «ფუფუნება», მისი ესა და ეს ვითომდა «სიზანტე» და სხვ.

პირუკუ კონტროლი? რა იქნება, რომ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ მ ა სახელმწიფომ მოსამსახურეთა, კანტორის მუშაკთა, შ ი ნ ა მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე თ ა კავშირები მოიწვიოს კაპიტალისტთა შემოსავალ-გასავლის შესამოწმებლად, ამის შესახებ მონაცემების გამოსაქვეყნებლად, შემოსავლის დამალვასთან ბრძოლაში მთავრობისათვის ხელის შესაწყობად?

რა ველურ ღმუილს ასტეხდა ბურჟუაზია «მაძებრობის» წინააღმდეგ, «დაბეზღების» წინააღმდეგ! როდესაც «ბატონები» კონტროლს უწევენ შინამოსამსახურეებს, კაპიტალისტები — მუშებს, ეს ბუნებრივ რამედ ითვლება, მშრომელისა და ექსპლოატირებულის კერძო ცხოვრება ა რ ითვლება ხელუხლებელ რამედ, ბურჟუაზიას უფლება აქვს ანგარიში მოსთხოვოს ყოველ «დაქირავებულ მონას», ყოველთვის საჯაროდ გამოფინოს მისი შემოსავალ-გასავალი. ხოლო ჩაგრულთა ცდა — კონტროლი გაუწიონ მჩაგვრელს, მზის სინათლეზე გამოიტანონ მ ი ს ი შემოსავალ-გასავალი, გამოამჟღავნონ მ ი ს ი ფუფუნება, თუნდაც ომის დროს, როდესაც ეს ფუფუნება პირდაპირ იწვევს ფრონტზე არმიების შიმშილსა და დალუპვას, — ოჰ, არა, ბურჟუაზია «მაძებრობასა» და «დაბეზღებას» არ დაუშვებს!

საკითხი ისევ ის არის: ბურჟუაზიის ბატონობა ნამდვილ რევოლუციურ ხალას დემოკრატიზმთან შ ე უ რ ი გ ე ბ ე-

ლ ი ა. XX საუკუნეში, კაპიტალისტურ ქვეყანაში არ შეიძლება რევოლუციური დემოკრატი იყო, თ უ სოციალიზმისაკენ სვლისა გ ე შ ი ნ ი ა.

შეიძლება თუ არა წინ იაროთ, თუ სოციალიზმისაკენ სვლისა გეშინია?

ზემოთ ნათქვამმა ადვილად შეიძლება ესერებისა და მენშევიკების გაცვეთილ ოპორტუნისტულ იდეებზე აღზრდილი მკითხველის ასეთი პასუხი გამოიწვიოს: აქ აწერილ ღონისძიებათა უმეტესობა, არსებითად, დემოკრატიული კი არ არის, არამედ უ კ ვ ე სოციალისტური ღონისძიებებიაო!

ეს გაცვეთილი პასუხი, რაც ჩვეულებრივია (ამა თუ იმ სახით) ბურჟუაზიულ, ესერულ და მენშევიკურ პრესაში, არის ჩამორჩენილი კაპიტალიზმის რეაქციული დაცვა, სტრუვესებურად მორთული დაცვა. ჩვენ ჯერ არ მოვმწიფებულვართ სოციალიზმისათვის, ჯერ ნაადრევია სოციალიზმის «შემოღება», ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულია, — ამიტომ ბურჟუაზიის მონობაში უნდა ვიყოთო (თუმცა საფრანგეთის დიდმა ბურჟუაზიულმა რევოლუციონერებმა 125 წლის წინათ თავისი რევოლუცია დიდი გახადეს ყველა მჩაგვრელის წინააღმდეგ, როგორც მემამულეების, ისე კაპიტალისტების წინააღმდეგ ტ ე რ ო რ ი ს საშუალებით!).

ბურჟუაზიის მსახურ ვაი-მარქსისტებს, რომელთა მხარეზე ესერებიც გადავიდნენ და რომლებიც ასე მსჯელობენ, არ გაეგებათ (თუ განვიხილავთ მათი შეხედულების თეორიულ საფუძვლებს), რა არის იმპერიალიზმი? რა არის კაპიტალისტური მონოპოლიები? რა არის სახელმწიფო? რა არის რევოლუციური დემოკრატია? ვინაიდან, თუ ეს გაიგე, შეუძლებელია არ აღიარო, რომ არ შეიძლება წინსვლა, თუ სოციალიზმისაკენ არ იარე.

იმპერიალიზმის შესახებ ყველა ლაპარაკობს. მაგრამ იმპერიალიზმი სხვა არაფერია, თუ არა მონოპოლისტური კაპიტალიზმი.

კაპიტალიზმი რუსეთშიც რომ მონოპოლისტური გახდა, ამას საკმაოდ ცხადად მოწმობენ «პროდუგოლი», «პროდამეტი», შაქრის სინდიკატი და სხვ.. იგივე შაქრის სინდიკატი ნათლად გვიჩვენებს მონოპოლისტური კაპიტალიზმის სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად გადაზრდას.

ხოლო რა არის სახელმწიფო? ეს არის გაბატონებული კლასის ორგანიზაცია, — მაგალითად, გერმანიაში იუნკრებისა და კაპიტალისტებისა. ამიტომაც ის, რასაც გერმანელი პლეხანოვები (შეიდემანი, ლენჩი და სხვ.) «სამხედრო სოციალიზმს» უწოდებენ, ნამდვილად არის სამხედრო-სახელმწიფოებრივი მონოპოლისტური კაპიტალიზმი ან, უფრო მარტივად და უფრო ნათლად რომ ითქვას, სამხედრო კატორღა მუშებისათვის, კაპიტალისტთა მოგების სამხედრო დაცვა.

ახლა სცადეთ და იუნკრულ-კაპიტალისტური სახელმწიფოს ნ ა ც ვ ლ ა დ, მემამულურ-კაპიტალისტური სახელმწიფოს ნაცვლად იგულისხმეთ რ ე ვ ო ლ უ ც ი ურ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი სახელმწიფო, ე. ი. ისეთი სახელმწიფო, რომელიც რევოლუციურად ამსხვრევს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ პრივილეგიებს, რომელსაც არ ეშინია იმისა, რომ რევოლუციურად განახორციელოს უაღრესად სრული დემოკრატიზმი? თქვენ დაინახავთ, რომ სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი ნამდვილად რევოლუციურ-დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში აუცილებლად, გარდუვალად ნიშნავს სოციალიზმისაკენ გადადგმულ ნაბიჯს და ნაბიჯებს!

ვინაიდან თუ უმსხვილესი კაპიტალისტური საწარმო მონოპოლია ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მომსახურებას უწევს მთელ ხალხს. თუ იგი სახელმწიფო მონოპოლია გახდა, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო (ე. ი. მოსახლეობის, პირველ რიგში, მუშებისა და გლეხების შეიარაღებული ორგანიზაცია, რ ე ვ ო ლ უ ც ი ურ ი დემოკრატიზმის პირობით) — სახელმწიფო წარმართავს ყველა საწარმოს — ვის სასარგებლოდ?

— ან მემამულეთა და კაპიტალისტთა სასარგებლოდ; მაშინ ჩვენ ვიღებთ არა რევოლუციურ-დემოკრატიულს, არამედ

რეაქციულ-ბიუროკრატიულ სახელმწიფოს, იმპერიალისტურ რესპუბლიკას,

— ან რევოლუციური დემოკრატიის სასარგებლოდ; მაშინ **ეს არის სწორედ სოციალიზმისაკენ გადადგმული ნაბიჯი.**

ვინაიდან სოციალიზმი სხვა არა არის რა, თუ არა სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური მონოპოლიიდან წინგადადგმული უახლოესი ნაბიჯი. ანუ სხვანაირად: სოციალიზმი სხვა არა არის რა, თუ არა სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური მონოპოლია, რომელიც მიმართულია მთელი ხალხის სასარგებლოდ და ამდენად აღარ არის კაპიტალისტური მონოპოლია.

აქ საშუალო რამ არ არის. განვითარების ობიექტური მსვლელობა ისეთია, რომ მონოპოლიებიდან (ომმა კი გააათკეცა მათი რიცხვი, როლი და მნიშვნელობა) წინსვლა არ შეიძლება ისე, თუ სოციალიზმისაკენ არ იარე.

ან უნდა იყო რევოლუციური დემოკრატი ნამდვილად. მაშინ არ შეიძლება სოციალიზმისაკენ ნაბიჯების გადადგმისა გეშინოდეს.

ან გაშინებდეს სოციალიზმისაკენ ნაბიჯების გადადგმა, ამ ნაბიჯებს ჰგმობდე პლეხანოვისებურად, დანისებურად, ჩერნოვისებურად იმ საბუთებით, რომ ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულია, რომ არ შეიძლება სოციალიზმის «შემოღებაო» და სხვ., — და მაშინ გარდუვალია დაქანება კერენსკისა, მილიუკოვისა და კორნილოვისაკენ, ე. ი. მუშათა და გლეხთა მასების «რევოლუციურ-დემოკრატიულ» მისწრაფებათა რეაქციულ-ბიუროკრატიული დათრგუნვა.

საშუალო რამ არ არის.

და ეს არის ჩვენი რევოლუციის ძირითადი წინააღმდეგურობა.

ისტორიაში საერთოდ, ომის დროს განსაკუთრებით ერთ ადგილას გაჩერება არ შეიძლება. უნდა იარო ან წინ, ან უკან. წინსვლა, XX საუკუნის რუსეთში, რომელმაც რევოლუციური გზით მოიპოვა რესპუბლიკა და დემოკრატიზმი, არ შეიძლება ისე, **თუ** არ **იარე** სოციალიზმისაკენ, თუ არ გადადგი

ნაბიჯები მისკენ (ნაბიჯები, რომლებსაც განაპირობებს და განსაზღვრავს ტექნიკისა და კულტურის დონე: მსხვილ მანქანურ მეურნეობას ვერ «შემოიღებ» გლეხთა მიწათმოქმედებაში, მას ვერ გააუქმებ შაქრის წარმოებაში).

ხოლო თუ წინსვლისა გეშინია, **ეს იმას ნიშნავს,** რომ იარო უკან, რასაც ბბ. კერენსკები, მილიუკოვებისა და პლეხანოვების ალტაცებული დასტურით, წერეთლებისა და ჩერნოვების სულელური ხელშეწყობით, კიდევაც შვრებიან.

ისტორიის დიალექტიკა სწორედ ისეთია, რომ ომმა, რომელმაც არაჩვეულებრივ დააჩქარა მონოპოლისტური კაპიტალიზმის სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად გადაქცევა, **ამით** არაჩვეულებრივ მიუახლოვა კაცობრიობა სოციალიზმს.

იმპერიალისტური ომი სოციალისტური რევოლუციის წინახანია და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ომი თავის საშინელებით წარმოშობს პროლეტარულ აჯანყებას, — სოციალიზმს ვერავითარი აჯანყება ვერ შექმნის, თუ იგი ეკონომიურად არ მომწიფებულა, — არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი სოციალიზმის **უალრესად** სრული **მატერიალური** მომზადებაა, მისი **კარიბჭეა,** ისტორიული კიბის ის საფეხურია, რომელს შუა და სოციალიზმად წოდებულ საფეხურს შუა არავითარი შუათანა საფეხური არარის.

* * *

სოციალიზმის საკითხს ჩვენი ესერები და მენშევიკები უდგებიან დოქტრინიორულად, მათ მიერ გაზეპირებული და უხეიროდ გაგებული დოქტრინის თვალსაზრისით. მათ სოციალიზმი რაღაც შორეულ, უცნობ, ბნელით მოცულ მომავლად წარმოუდგენიათ.

სოციალიზმი კი ახლა ჩვენ თანამედროვე კაპიტალიზმის ყველა ფანჯრიდან შემოგვცქერის, სოციალიზმი ისახება უშუალოდ, პრაქტიკულად, ყოველი დიდი ღონისძიებიდან, რომელიც ამ უახლესი კაპიტალიზმის ბაზაზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

რა არის შრომის საყოველთაო ბეგარა?

ეს არის ნაბიჯი წინ უახლესი მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბაზაზე, ნაბიჯი, გადადგმული მთლიანად აღებული ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებისაკენ, განსაზღვრული საერთო გეგმის მიხედვით, ნაბიჯი ხალხის შრომის დასაზოგად, კაპიტალიზმის მიერ მისი უაზროდ განიავების თავიდან ასაცილებლად.

გერმანიაში იუნკრები (მემამულეები) და კაპიტალისტები აწესებენ შრომის საყოველთაო ბეგარას, და მაშინ იგი გარდუვალად სამხედრო კატორღად იქცევა მუშებისათვის.

მაგრამ აიღეთ იგივე წამოწყება და ჩაუფიქრდით მის მნიშვნელობას რევოლუციურ-დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში. შრომის საყოველთაო ბეგარა, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების მიერ შემოღებული, მოწესრიგებული და წარმართული, ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალიზმი, მაგრამ ეს უკვე აღარც კაპიტალიზმია. ეს არის უზარმაზარი ნაბიჯი სოციალიზმისაკენ, ისეთი ნაბიჯი, რომ, თუ სრული დემოკრატია იქნება შენარჩუნებული, ასეთი ნაბიჯიდან უკვე შეუძლებელი იქნებოდა, მასების მიმართ გაუგონარი ძალადობის გარეშე, უკან, კაპიტალიზმისაკენ მიბრუნება.

ნგრევასთან ბრძოლა და ომი

მოახლოებულ კატასტროფასთან ბრძოლის ღონისძიებათა საკითხს ჩვენ მივყავართ მეორე უმნიშვნელოვანეს საკითხის გაშუქებამდე: როგორია საშინაო პოლიტიკის კავშირი საგარეო პოლიტიკასთან, ანუ სხვანაირად: როგორია თანაფარდობა დაპყრობითს, იმპერიალისტურ ომსა და რევოლუციურ, პროლეტარულ ომს შორის, დანაშაულებრივ-მძარცველურ ომსა და სამართლიან-დემოკრატიულ ომს შორის?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კატასტროფასთან ბრძოლის ჩვენ მიერ აწერილი ყველა ღონისძიება უალრესად გააძლიერებდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, ანუ, სხვანაირად

რომ ითქვას, მის სამხედრო ძლიერებას. ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ კი, ამ ღონისძიებათა განხორციელება შეუძლებელია, თუ დაპყრობითი ომი არ გადავაქციეთ სამართლიან ომად, თუ კაპიტალისტების მიერ კაპიტალისტების ინტერესებისათვის წარმოებული ომი არ გადავაქციეთ პროლეტარიატის მიერ ყველა მშრომელისა და ექსპლოატირებულის ინტერესებისათვის წარმოებულ ომად.

მართლაც. ბანკებისა და სინდიკატების ნაციონალიზაცია, კომერციული საიდუმლოების გაუქმებასთან და კაპიტალისტების მიმართ მუშათა კონტროლთან დაკავშირებით, იქნებოდა არა მარტო ხალხის შრომის გიგანტური დაზოგვა, ძალთა და საშუალებათა მომჭირნეობის შესაძლებლობა, — ეს იქნებოდა აგრეთვე მოსახლეობის მშრომელი მ ა.ს ე ბ ი ს, მისი უმრავლესობის მდგომარეობის გაუმჯობესებაც. თანამედროვე ომში, როგორც ყველამ იცის, ეკონომიურ ორგანიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რუსეთს ეყოფა პური, ქვანახშირი, ნავთობი, რკინა — ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე ევროპის სხვა რომელიმე მეომარი ქვეყნისა. ხოლო აღნიშნული საშუალებებით ნგრევასთან ბრძოლის დროს, თუ ამ ბრძოლისათვის მასების თვითმოქმედება გამოვიყენეთ, მათი მდგომარეობა გავაუმჯობესეთ, ბანკებისა და სინდიკატების ნაციონალიზაცია განვახორციელეთ, — რუსეთი თავის რევოლუციასა და თავის დემოკრატიზმს გამოიყენებდა იმისათვის, რომ მთელი ქვეყანა ეკონომიური ორგანიზებულობის განუზომლად უფრო მაღალ საფეხურზე აეყვანა.

ნაცვლად «კოალიციისა» ბურჟუაზიასთან, რომელიც აფერხებს კონტროლის ყველა ღონისძიებას და საბოტაჟს უწევს წარმოებას, ესერებსა და მენშევიკებს რომ აპრილში განეხორციელებინათ ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში და წარემართათ თავიანთი ძალები «მინისტრების ოთურმის» თამაშისაკენ კი არა, იქითკენ კი არა, რომ კადეტების გვერდით ბიუროკრატიულად მოკალათებულიყვნენ მინისტრების, მინისტრთა ამხანაგების და სხვ. და სხვ. ადგილებზე, არამედ იქითკენ, რომ ხელმძღვანელობა გაეწიათ

მუშებისა და გლეხებისათვის კაპიტალისტების მ ი მ ა რ თ მ ა თ ი კონტროლის საქმეში, მათს ო მ შ ი კაპიტალისტების წინააღმდეგ, — რუსეთი ახლა ეკონომიურად სრულიად გარდაქმნილი ქვეყანა იქნებოდა, მიწა გლეხებს ექნებოდათ, ბანკების ნაციონალიზაცია განხორციელებული იქნებოდა, ე. ი. ა მ დ ე ნ ა დ ვ ე (ეს კი თანამედროვე ცხოვრების მეტისმეტად მნიშვნელოვანი ეკონომიური ბაზებია) იგი ყველა დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყანაზე მ ა ღ ლ ა იდგებოდა.

ისეთი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, სამხედრო ძლიერება, სადაც განხორციელებულია ბანკების ნაციონალიზაცია, უ ფ რ ო მ ა ღ ა ლ ი ა, ვიდრე იმ ქვეყნისა, სადაც ბანკები კერძო პირთა ხელში რჩება. ისეთი გლეხური ქვეყნის სამხედრო ძლიერება, სადაც მიწა გლეხთა კომიტეტების ხელშია, უ ფ რ ო მ ა ღ ა ლ ი ა, ვიდრე მემამულური მიწათმფლობელობის ქვეყნისა.

მუდამ იმოწმებენ ფრანგების 1792 — 1793 წლების გმირულ პატრიოტიზმსა და სამხედრო მამაცობის სასწაულებს. მაგრამ ივიწყებენ იმ მატერიალურ, ისტორიულ-ეკონომიურ პირობებს, რომლებმაც სწორედ შესაძლებელი გახადეს ეს სასწაულები. დრომოჭმული ფეოდალიზმის ნამდვილად რევოლუციური შემუსვრა, მთელი ქვეყნის გადასვლა, თანაც ჭეშმარიტად რევოლუციურ-დემოკრატიული სისწრაფით, გაბედულებით, ენერგიითა და თავდადებით, წარმოების უფრო მაღალ წესზე, თავისუფალ გლეხურ მიწათმფლობელობაზე, — აი ის მატერიალური, ეკონომიური პირობები, რომლებმაც «სასწაულებრივი» სისწრაფით იხსნეს საფრანგეთი, რამდენადაც ამ პირობებმა გ ა რ დ ა ქ მ ნ ე ს, გ ა ა ა ხ ლ ე ს მისი სამეურნეო საფუძველი.

საფრანგეთის მაგალითი ჩვენ ერთს და მხოლოდ ერთ რაშეს გვეუბნება: რუსეთი რომ თავდაცვისუნარიანი გავხადოთ, აქაც რომ მივაღწიოთ მასობრივი გმირობის «სასწაულებს», საჭიროა «იაკობინური» დაუზოგველობით აღვგავოთ ყოველივე ძველი და გავაახლოთ, გარდავქმნათ რუსეთი მ ე უ რ ნ ე ო ბ რ ი ვ ა დ. ამის განხორციელება კი არ შეიძლება XX

საუკუნეში მარტოოდენ ცარიზმის დამხობით (საფრანგეთი 125 წლის წინათ ამას არ დასჯერებია). ამის განხორციელება არ შეიძლება მარტოოდენ იმითაც კი, რომ რევოლუციურად მოვსპოთ მემამულური მიწათმფლობელობა (ჩვენ ესეც კი არ გვიქნია, ვინაიდან ესერებმა და მენშევიკებმა უღალატეს გლეხობას!), მარტოოდენ იმით, რომ მიწა გადავცეთ გლეხობას, ვინაიდან ჩვენ ვცხოვრობთ XX საუკუნეში, მიწის მიმართ ბატონობას, თუ ბანკებზე არ ბატონობ, არ ძალუძს შეიტანოს გარდაქმნა, განახლება ხალხის ცხოვრებაში.

საფრანგეთის მატერიალური, წარმოებითი განახლება XVIII საუკუნის დამლევს დაკავშირებული იყო პოლიტიკურ და სულიერ განახლებასთან, რევოლუციური დემოკრატიისა და რევოლუციური პროლეტარიატის დიქტატურასთან (რევოლუციური პროლეტარიატისა, რომლისგანაც დემოკრატია არ იყო გამოცალკევებული და რომელიც ჯერ კიდევ თითქმის შეერთებული იყო მასთან), — ულმობელ ბრძოლასთან, რაც გამოცხადებული ჰქონდა ყოველივე რეაქციულს. მთელი ხალხი და მეტადრე მასები, ე. ი. ჩაგრული კლასები, უსაზღვრო რევოლუციური ენთუზიაზმით იყვნენ გამსჭვალულნი. ომი ყველას სამართლიან, თავდაცვით ომად მიაჩნდა, და იგი ნამდვილადაც ასეთი იყო. რევოლუციური საფრანგეთი თავს იცავდა რეაქციულ-მონარქისტული ევროპისაგან. არა 1792 — 1793 წლებში, არამედ მრავალი წლის შემდეგ, ქვეყნის შიგნით რეაქციის გამარჯვების შემდეგ, ნაპოლეონის კონტრრევოლუციურმა დიქტატურამ საფრანგეთის თავდაცვითი ომები დაპყრობით ომებად გადააქცია.

რუსეთში კი? ჩვენ განვაგრძობთ იმპერიალისტურ ომს კაპიტალისტების ინტერესებისათვის, იმპერიალისტებთან შეკავშირებით, იმ საიდუმლო ხელშეკრულებათა თანახმად, რომლებიც დასდო მეფემ ინგლისისა და სხვა კაპიტალისტებთან, და აღუთქვა ამ ხელშეკრულებებში რუს კაპიტალის-

ტებს უცხო ქვეყნების გაძარცვა, კონსტანტინეპოლი, ლვოვი, სომხეთი და ა. შ.

ომი უსამართლო, რეაქციული, დაპყრობითი რჩება რუსეთის მხრივ, ვიდრე მას სამართლიანი ზავის წინადადება არ წამოუყენებია და კავშირი არ გაუწყვეტია იმპერიალიზმთან. ომის სოციალური ხასიათი, მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა განისაზღვრება არა იმით, თუ სად დგანან მტრის ჯარები (როგორც ფიქრობენ ესერები და მენშევიკები, რომლებიც უბირი გლეხის ვულგარობამდე ქვეითდებიან). ეს ხასიათი განისაზღვრება იმით, თუ რა პოლიტიკას განაგრძობს ომი («ომი არის პოლიტიკის განგრძობა»), ანუ რომელი კლასი რა მიზნით ეწევა ომს.

არ შეიძლება ჩააბა მასები მძარცველურ ომში საიდუმლო ხელშეკრულებათა ძალით და იმედი გქონდეს მათი ენთუზიაზმისა. რევოლუციური რუსეთის მოწინავე კლასი, პროლეტარიატი, სულ უფრო და უფრო ნათლად იგნებს ომის დანაშაულებრიობას, და ბურჟუაზიამ არამც თუ ვერ შესძლო შეეცვლევინებინა ეს აზრი მასებისათვის, არამედ, პირიქით, ომის დანაშაულებრიობის შეგნება იზრდება. ორივე დედაქალაქის პროლეტარიატი რუსეთში საბოლოოდ ინტერნაციონალისტური გახდა!

როგორღა შეიძლება აქ ლაპარაკი მასობრივ ენთუზიაზმზე ომის სასარგებლოდ!

ერთი განუყრელად დაკავშირებულია მეორესთან, საშინაო პოლიტიკა — საგარეოსთან. არ შეიძლება ქვეყანა თავდაცვისუნარიანი გახადო, თუ უდიდესი გმირობა არ გამოიჩინა ხალხმა, რომელიც გაბედულად, გადაჭრით ახორციელებს დიად ეკონომიურ გარდაქმნებს. და არ შეიძლება გმირობა გამოიწვიო მასებში, თუ არ გაწყვიტე კავშირი იმპერიალიზმთან, თუ არ შესთავაზე ყველა ხალხს დემოკრატიული ზავი, თუ ამგვარად ომი არ გადააქციე დაპყრობითი, მძარცველური, დანაშაულებრივი ომიდან სამართლიან, თავდაცვით, რევოლუციურ ომად.

მხოლოდ კაპიტალისტებთან კავშირის მტკიცე თანამიმდევრობით გაწყვეტას საშინაო პოლიტიკაშიც და საგარეო პოლიტიკაშიც ძალუძს იხსნას ჩვენი რევოლუცია და ჩვენი ქვეყანა, რომელიც იმპერიალიზმის რკინის მუხრუჭშია მომწყვდეული.

რევოლუციური დემოკრატია და რევოლუციური პროლეტარიატი

თანამედროვე რუსეთის დემოკრატია რომ ნამდვილად რევოლუციური იყოს, პროლეტარიატთან უმჭიდროესად შეკავშირებული უნდა მიდიოდეს, მხარს უნდა უჭერდეს მის ბრძოლას, როგორც ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასის ბრძოლას.

ასეთია ის დასკვნა, რომლის გამოყვანამდე მივყავართ საკითხს, თუ რა საშუალებებით ვებრძოლოთ გაუგონარი მასშტაბის გარდუვალ კატასტროფას.

ომმა ისეთი უსაზღვრო კრიზისი შექმნა, ისე დაძაბა ხალხის მატერიალური და მორალური ძალები, ისეთი ლახვარი ჩასცა მთელ თანამედროვე საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომ კაცობრიობა ასეთი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: ან დაილუპოს ან თავისი ბედი მიანდოს ყველაზე რევოლუციურ კლასს ფრიად სწრაფი და ფრიად რადიკალური გადასვლისათვის წარმოების უფრო მაღალ წესზე.

მთელი რიგი ისტორიული მიზეზების გამო — რუსეთის მეტი ჩამორჩენილობის, მისთვის ომის განსაკუთრებული სიძნელეების, ცარიზმის უდიდესი სიდამპლის, 1905 წლის ტრადიციების უაღრესი სიცხოველის გამო — რუსეთში სხვა ქვეყნებზე უფრო ადრე იფეთქა რევოლუციამ. რევოლუციამ ქნა ის, რომ რუსეთი რამდენიმე თვეში თავისი **პოლიტიკური** წყობილებით დაეწია მოწინავე ქვეყნებს.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ომი ულმობელია, იგი საკითხს შეუბრალებელი სიმკვეთრით აყენებს: ან დაილუპე ან დაეწიე მოწინავე ქვეყნებს და გაუსწარი მათ აგრეთვე **ეკონომიურადაც**.

ეს შესაძლებელია, ვინაიდან ჩვენ თვალწინ გვაქვს მრავალი მოწინავე ქვეყნის მზამზარეული გამოცდილება, მათი ტექნიკისა და კულტურის მზამზარეული შედეგები. ჩვენ მორალურად გვეხმარება ომის წინააღმდეგ მზარდი პროტესტი ევროპაში, მზარდი მსოფლიო მუშათა რევოლუციის ატმოსფერო. ჩვენ წელს გვიმაგრებს, ხელს გვიწყობს იმპერიალისტური ომის დროს უაღრესად იშვიათი რევოლუციურ-დემოკრატიული თავისუფლება.

დაღუპვა თუ მთელი ძალღონით წინ გაქანება. ასე დასვა საკითხი ისტორიამ.

გლეხობისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულებაც ასეთ მომენტში ადასტურებს საკითხის ძველ, შესაბამისად საზეშეცვლილ ბოლშევიკურ დაყენებას: გამოვგლიჯოთ გლეხობა ბურჟუაზიის გავლენას. მხოლოდ ეს არის რევოლუციის ხსნის საწინდარი.

გლეხობა კი მთელი წვრილბურჟუაზიული მასის ყველაზე მრავალრიცხოვანი წარმომადგენელია.

ჩვენმა ესერებმა და მენშევიკებმა რეაქციული როლი იკისრეს: იყოლიონ გლეხობა ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ, წაიყვანონ გლეხობა არა პროლეტარიატთან, არამედ ბურჟუაზიასთან კოალიციისაკენ.

რევოლუციის გამოცდილება მასებს სწრაფად ასწავლის ჭკუას. და ესერებისა და მენშევიკების რეაქციული პოლიტიკა კრახს განიცდის: ისინი დამარცხდნენ ორივე დედაქალაქის საბჭოებში[89]. ორივე წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარტიაში იზრდება «მემარცხენე» ოპოზიცია. პიტერში 1917 წ. 10 სექტემბერს ესერების საქალაქო კონფერენციაზე ორი მესამედისაგან შემდგარი უმრავლესობა მიემხრო მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ესერებს, რომლებიც იხრებიან პროლეტარიატთან კავშირისაკენ და უარყოფენ ბურჟუაზიასთან კავშირს (კოალიციას).

ესერები და მენშევიკები იმეორებენ ბურჟუაზიის აჩემებულ დაპირისპირებას: ბურჟუაზია და დემოკრატია. მაგრამ ასეთი

დაპირისპირება, არსებითად, ისევე უაზროა, როგორც ფუთის შედარება არშინთან.

არის დემოკრატიული ბურჟუაზია, არის ბურჟუაზიული დემოკრატია: მხოლოდ სრულიად უმეცარი უნდა იყო ისტორიაშიც და პოლიტიკურ ეკონომიაშიც, რომ ეს უარყო.

უმართებულო დაპირისპირება დასჭირდათ ესერებსა და მენშევიკებს იმისათვის, რომ მ ი ე ჩ ქ მ ა ლ ა თ უდავო ფაქტი: ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის დგას წ ვ რ ი ლ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა. იგი, თავისი ეკონომიური კლასობრივი მდგომარეობის გამო, გარდუვალად მერყეობს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის.

ესერები და მენშევიკები წვრილ ბურჟუაზიას ეწევიან ბურჟუაზიასთან კავშირისაკენ. ეს არის მთელი მათი «კოალიციის», მთელი კოალიციური სამინისტროს, ტიპიური ნახევრადკადეტის, კერენსკის მთელი პოლიტიკის არსი. რევოლუციის ნახევარი წლის განმავლობაში ამ პოლიტიკამ სრული კრახი განიცადა.

კადეტები ნიშნის მოგებით ამბობენ: რევოლუციამ კრახი განიცადა, რევოლუციამ ვერც ომს, ვერც ნგრევას თავი ვ ე რ გაართვაო.

ტყუილია. კრახი განიცადეს კ ა დ ე ტ ე ბ მ ა და ე ს ე რ ე ბ მ ა მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ თ ა ნ ე რ თ ა დ, ვინაიდან ეს ბლოკი (კავშირი) ნახევარ წელიწადს მართავდა რუსეთს, ნახევარი წლის განმავლობაში მან გააძლიერა ნგრევა, არივდარია და გააძნელა სამხედრო მდგომარეობა.

რაც უფრო სრულია ე ს ე რ ე ბ თ ა ნ და მენშევიკებთან ბურჟუაზიის კავშირის კრახი, მით უფრო მალე ი ს წ ა ვ ლ ი ს ხალხი ჰკუას. მით უფრო ადვილად იპოვნის იგი ს წ ო რ გამოსავალს: ეს არის უღარიბესი გლეხობის, ე. ი. გლეხთა უმრავლესობის კავშირი პროლეტარიატთან.

1917 წ. 10 — 14 სექტემბერი

რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი

უეჭველია, ყოველი რევოლუციის უმთავრესი საკითხია სახელმწიფო ძალაუფლების საკითხი. ყველაფერს წყვეტს ის, თუ რომელი კლასის ხელშია ძალაუფლება. და თუ რუსეთის მთავრობის მთავარი პარტიის გაზეთი, «დელო ნაროდა», ამ ცოტა ხნის წინათ (№ 147) უჩიოდა იმას, რომ ძალაუფლების საკითხზე დავის გამო ივიწყებენ დამფუძნებელი კრების საკითხსაც და პურის საკითხსაცო, ესერებისათვის უნდა გვეპასუხნა: თქვენს თავს უნდა უჩიოდეთ. ყველაზე მეტად ხომ სწორედ თ ქ ვ ე ნ ი პარტიის მერყეობა, გაუბედაობა არის მიზეზი «მინისტრების ოთურმის» გაჭიანურებისაც, დამფუძნებელი კრების მოწვევის უსასრულოდ გადადებისაც და იმისაც, რომ კაპიტალისტები ძირს უთხრიან პურის მონოპოლიისა და პურით ქვეყნის უზრუნველსაყოფად მიღებულ და დასახულ ღონისძიებებს.

ძალაუფლების საკითხის არც გვერდის აქცევა შეიძლება, არც მისი გადადება, ვინაიდან სწორედ ეს არის ძირითადი საკითხი, რომელიც ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს განსაზღვრავს რევოლუციის განვითარებაში, მის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. ჩვენმა რევოლუციამ რომ ნახევარი წელიწადი «ტყუილუბრალოდ დაკარგა» მერყეობაში ძალაუფლების მოწყობის გამო, ეს უდავო ფაქტია, ეს ფაქტი განსაზღვრულია ესერებისა და მენშევიკების მერყევი პოლიტიკით, ხოლო ამ პარტიების პოლიტიკა, ბოლოს და ბოლოს, განსა-

ზღვრა წვრილი ბურჟუაზიის კლასობრივმა მდგომარეობამ, მისმა ეკონომიურმა უმტკიცობამ კაპიტალისა და შრომის ბრძოლაში.

მთელი საკითხი ახლა ის არის, რამე ისწავლა თუ არა წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატიამ ამ დიადი, შინაარსით არაჩვეულებრივ მდიდარი ნახევარი წლის მანძილზე. თუ ვერა, მაშინ რევოლუცია დალუპულია, და მხოლოდ პროლეტარიატის ძლევამოსილი აჯანყება შესძლებს მის ხსნას. თუ ჰო, მაშინ უნდა დავიწყოთ მტკიცე, არამერყეევი ხელისუფლების დაუყოვნებლივ შექმნა. სახალხო რევოლუციის დროს, ე. ი. ისეთი რევოლუციის დროს, რომელმაც გამოაცოცხლა და აამოძრავა მასები, მუშათა და გლეხთა უმრავლესობა, მხოლოდ ისეთი ხელისუფლება შეიძლება იყოს მტკიცე, რომელიც შეგნებულად და უთუოდ ეყრდნობა მოსახლეობის უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ს. დღევანდლამდე სახელმწიფო ხელისუფლება რუსეთში ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ რჩება ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს ხელში, რომელიც იძულებულია მხოლოდ დასთანხმდეს კერძო დათმობებს (იმ ვარაუდით, რომ მეორე დღესვე იწყოს მათი ისევ წართმევა), აქეთ-იქით არიგოს დაპირებანი (იმ ვარაუდით, რომ არ შეასრულოს ისინი), გამოძებნოს ყოველგვარი საბურველი თავისი ბატონობისა (იმ ვარაუდით, რომ მოატყუოს ხალხი «პატიოსანი კოალიციის» გარეგნულობით) და სხვ. და ა. შ.. სიტყვიერად — სახალხო, დემოკრატიული, რევოლუციური მთავრობა, სინამდვილეში — ხალხის საწინააღმდეგო, ანტიდემოკრატიული, კონტრრევოლუციური, ბურჟუაზიული, — აი ის წინააღმდეგურობა, რომელიც დღევანდლამდე არსებობდა და სათავე იყო ხელისუფლების სრული უმტკიცობისა და მერყეობისა, მთელი იმ «მინისტრული ოთურმისა», რომლითაც ბბ. ესერები და მენშევიკები ესოდენ სავალალო (ხალხისათვის) გულმოდგინებით იყვნენ გართულნი.

ან საბჭოების გარეკვა და მათი უსახელო სიკვდილი, ან მთელი ძალაუფლება საბჭოებს — ეს მე ვთქვი საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის წინაშე 1917 წლის ივნისის

დამდეგს *, და ივლისისა და აგვისტოს ისტორიამ ამომწურავი დამაჯერებლობით დაადასტურა ამ სიტყვების სისწორე. მხოლოდ საბჭოების ძალაუფლება შეიძლება იყოს მტკიცე, ხალხის უმრავლესობაზე აშკარად დაყრდნობილი, — რაც უნდა იცრუონ ბურჟუაზიის ლაქიებმა, პოტრესოვმა, პლეხანოვმა და სხვებმა, რომლებიც ხელისუფლების «ბაზისის გაფართოებას» უწოდებენ მის ფაქტიურად გადაცემას ხალხის სრულიად უმნიშვნელო უმცირესობის, ბურჟუაზიის, ექსპლოატატორების ხელში.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება შეიძლებოდა ყოფილიყო მტკიცე, მხოლოდ მისი დამხობა არ შეიძლებოდა უაღრესად მღელვარე რევოლუციის უაღრესად მღელვარე მომენტებშიც კი, მხოლოდ ასეთ ხელისუფლებას შეეძლო უზრუნველეყო რევოლუციის მუდმივი, ფართო განვითარება, პარტიების მშვიდობიანი ბრძოლა საბჭოების შიგნით. სანამ ასეთი ხელისუფლება არ არის შექმნილი, გარდუვალია გაუბედაობა, უმტკიცობა, მერყეობა, უსასრულო «კრიზისები ხელისუფლებისა», მინისტრების ოთურძის გაძოუვალი კომედია, აფეთქებანი მარჯვნიდანაც და მარცხნიდანაც.

მაგრამ ლოზუნგი: «ძალაუფლება საბჭოებს» ძალიან ხშირად, თუ უმეტეს შემთხვევებში არა, სრულიად არასწორად მიაჩნიათ «საბჭოთა უმრავლესობის პარტიების სამინისტროდ», და ჩვენ გვინდა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ამ უაღრესად მცდარ აზრზე.

«საბჭოთა უმრავლესობის პარტიების სამინისტრო» — ეს ნიშნავს მინისტრთა პირადი შემადგენლობის შეცვლას და ამავე დროს მთავრობის ძალაუფლების მთელი ძველი აპარატის ხელუხლებლად შენარჩუნებას, მთლად მოხელური, მთლად ანტიდემოკრატიული აპარატისა, რომელსაც უნარი არ შესწევს გაატაროს სერიოზული რეფორმები, რაც ესერებისა და მენშევიკების პროგრამებშიც კი არის შეტანილი.

* იხ. ეს ტომი, გვ. 3 — 6. რ ე დ.

«ძალაუფლება საბჭოებს» — ეს ნიშნავს იმას, რომ რადიკალურად გარდაქმნა მთელი ძველი სახელმწიფო აპარატი, ეს მოხელური აპარატი, რომელიც აფერხებს ყოველივე დემოკრატიულს, ნიშნავს იმას, რომ თავიდან მოიშოროს ეს აპარატი და შესცვალოს იგი საბჭოების, ე. ი. ხალხის ორგანიზებული და შეიარაღებული უმრავლესობის, მუშების, ჯარისკაცების, გლეხების ახალი, სახალხო, ე. ი. ჭეშმარიტად დემოკრატიული აპარატით, ნიშნავს იმას, რომ მიანიჭოს თაოსნობა და დამოუკიდებლობა ხალხის უმრავლესობას არა მარტო დეპუტატების არჩევაში, არამედ სახელმწიფოს მართვაშიც, რეფორმებისა და გარდაქმნათა განხორციელებაში.

ეს განსხვავება რომ უფრო ნათელი და თვალსაჩინო გავხადოთ, მოგაგონებთ ერთ საგულისხმო აღიარებას, რომლითაც გამოვიდა რამდენიმე ხნის წინათ მთავრობის პარტიის, ესერების პარტიის გაზეთი «დელო ნაროდა». იმ სამინისტროებშიც კი, — წერდა ეს გაზეთი, — რომლებიც მინისტრ-სოციალისტებს გადაეცა (ეს დაწერილია კადეტებთან კოალიციის — ყბადაღებული კოალიციის დროს, როდესაც მენშევიკები და ესერები მინისტრები იყვნენ), ამ სამინისტროებშიც კი მმართველობის მთელი აპარატი ძველი დარჩა,-და იგი აფერხებს მთელ მუშაობასაო.

ეს გასაგებიცაა. მთელი ისტორია ბურჟუაზიულ-პარლამენტური ქვეყნებისა, ხოლო მნიშვნელოვანი ოდენობით ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური ქვეყნებისაც, გვიჩვენებს, რომ მინისტრების შეცვლა ძალიან ცოტა რამეს ნიშნავს, ვინაიდან მმართველობის რეალური მუშაობა მოხელეთა უზარმაზარი არმიის ხელშია. ეს არმია კი მთლად გაჟღენთილია ანტიდემოკრატიული სულისკვეთებით, ათასი და მილიონი ძაფით არის დაკავშირებული მემამულეებთან და ბურჟუაზიასთან, ყოველნაირად დამოკიდებულია მათზე. ეს არმია გარემოცულია ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ატმოსფეროთი, მხოლოდ ამ ატმოსფეროთი სუნთქავს, იგი გაყინული, დამყაყებული და გაშეშებულია, მას არ ძალუძს თავი დააღწიოს ამ ატმოსფეროს, მას არ შეუძლია სხვანაირად აზროვნებდეს,

გრძნობდეს, მოქმედებდეს, თუ არა ძველებურად. ეს არმია შებოჭილია ხარისხის თაყვანისმცემლობის, «სახელმწიფო» სამსახურის გარკვეული პრივილეგიების ურთიერთობით, ხოლო ამ არმიის ზედა რიგები აქციებისა და ბანკების საშუალებით მთლიანად ემონებიან ფინანსურ კაპიტალს და რამდენადმე თვითონაც წარმოადგენენ მის აგენტებს, მისი ინტერესებისა და გავლენის გამტარებლებს.

ამ სახელმწიფო აპარატის საშუალებით ისეთ გარდაქმნათა განხორციელების ცდა, როგორიცაა მიწის მემამულური საკუთრების გაუქმება გამოუსყიდავად ან პურის მონოპოლია და სხვ., უდიდესი ილუზია არის, უდიდესი მოტყუება თავისა და მოტყუება ხალხისა. ამ აპარატს შ ე უ ძ ლ ი ა ემსახუროს რესპუბლიკურ ბურჟუაზიას, შექმნას რესპუბლიკა «უმონარქო მონარქიის» სახით, როგორიცაა მესამე რესპუბლიკა საფრანგეთში, მაგრამ ასეთ სახელმწიფო აპარატს აბსოლუტურად არ შესწევს უნარი გაატაროს ისეთი რეფორმები, რომლებიც არათუ მოსპობენ, არამედ თუნდაც სერიოზულად შეკვეცენ ან შეზღუდავენ კაპიტალის უფლებებს, «წმიდათაწმიდა კერძო საკუთრების» უფლებებს. ამიტომაც ხდება ყოველთვის, რომ «სოციალისტების» მონაწილეობით შექმნილი ყოველგვარი «კოალიციური» სამინისტროს დროს ეს სოციალისტები, მაშინაც კი, თუ ცალკეული პირნი მათი რიცხვიდან უაღრესად კეთილსინდისიერნი არიან, სინამდვილეში აღმოჩნდებიან ხოლმე ბურჟუაზიული მთავრობის უბრალო სამკაული ან შირმა, ამ მთავრობისაგან ხალხის აღშფოთების მეხამრიდი, ამ მთავრობის მიერ მასების მოტყუების იარაღი. ასე დაემართა ლუი ბლანსაც 1848 წელს, ასე იყო მას შემდეგ მრავალ ათეულჯერ ინგლისსა და საფრანგეთში, როცა სოციალისტები სამინისტროში მონაწილეობდნენ, ასე დაემართათ ჩერნოვსაც და წერეთელსაც 1917 წელს, ასე იყო და ასე იქნება, ვიდრე ბურჟუაზიული წყობილება არსებობს და ხელუხლებლად შენარჩუნებულია ძველი, ბურჟუაზიული, მოხელური სახელმწიფო აპარატი.

მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა დეპუტატების საბჭოები სწორედ იმით არიან განსაკუთრებით ძვირფასნი, რომ ისინი წარმოადგენენ სახელმწიფო აპარატის ახალს, განუზომლად უფრო მაღალს, შეუდარებლად უფრო დემოკრატიულ ტ ი პ ს. ესერებმა და მენშევიკებმა ყოველივე მოიმოქმედეს, ყოველივე შესაძლებელი და ყოველივე შეუძლებელი ჩაიდინეს, რათა გადაექციათ საბჭოები (განსაკუთრებით პიტერისა და სრულიად რუსეთისა, ე. ი. ცაკი) ფუჭ სალაყბოებად, რომლებიც ვითომდა «კონტროლის» გასაწევად იღებდნენ უძლურ რეზოლუციებს და სურვილებს, რასაც მთავრობა მეტად ზრდილობიანი და თავაზიანი ღიმილით მაუდქვეშ ამოსდებდა ხოლმე. მაგრამ საკმარისი იყო დაებერა კორნილოველობის «გრილ სიოს», რომელიც ძლიერ ქარიშხალს მოასწავებდა, რომ ყოველივე, რაც კი დახავსებული იყო საბჭოში, დროებით გამქრალიყო და რევოლუციური მასების ინიციატივას თავი ეჩინა როგორც რაღაც დიდებულს, მძლავრს, უძლეველს.

დაე, ისწავლოს ამ ისტორიული მაგალითით ყველა რწმენანაკლებმა. დაე, შერცხვეთ იმათ, ვინც ამბობს: «ჩვენ აპარატი არა გვაქვს, რომ შევცვალოთ ძველი აპარატი, რომელიც აუცილებლად იჩენს ბურჟუაზიის დაცვის მიდრეკილებასაო». ვინაიდან ასეთი აპარატი ა რ ი ს. ეს არის სწორედ საბჭოები. ნუ გეშინიათ მასების ინიციატივისა და დამოუკიდებლობისა, ენდეთ მასების რევოლუციურ ორგანიზაციებს — და თქვენ დაინახავთ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყ ვ ე ლ ა დარგში მუშათა და გლეხთა ისეთსავე ძალას, სიდიადეს, უძლეველობას, როგორიც გამოიჩინეს მათ კორნილოველობის წინააღმდეგ თავიანთ გაერთიანებასა და ამხედრებაში.

მასებისადმი ურწმენობა, მათი თაოსნობის შიში, მათი დამოუკიდებლობის შიში, ცახცახი მათი რევოლუციური ენერგიის წინაშე, მისთვის ყოველმხრივი თავდადებული მხარის დაჭერის ნაცვლად, აი რით სცოდავდნენ ყველაზე მეტად ესერთა და მენშევიკთა ბელადები. აი სად არის ერთ-

ერთი ფრიად ღრმა ფესვი მათი გაუბედაობისა, მათი მერყეობისა, მათი უსასრულო დ უსასრულოდ უნაყოფო ცდებისა — ჩაასხან ახალი ღვინო ძველი, ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის ძველ ტიკებში.

აიღეთ ისტორია არმიის დემოკრატიზაციისა რუსეთის 1917 წლის რევოლუციაში, ჩერნოვის სამინისტროს ისტორია, პალჩინსკის «მეფობის» ისტორია, პეშეხონოვის წასვლის ისტორია — და თქვენ ყოველ ნაბიჯზე დაინახავთ ზემონათქვამის ფრიად თვალსაჩინო დადასტურებას. იმის გამო, რომ სრული ნდობა არ ყოფილა ჯარისკაცთა არჩევითი ორგანიზაციებისადმი, რომ აბსოლუტურად გატარებული არ ყოფილა ჯარისკაცთა მიერ უფროსთა არჩევის პრინციპი, მივიღეთ ის, რომ კორნილოვები, კალედინები და კონტრრევოლუციური ოფიცრები არმიის სათავეში აღმოჩნდნენ. ეს ფაქტია. და ვისაც არა სურს განზრახ დაიხუჭოს თვალები, იმას არ შეუძლია არ დაინახოს, რომ კორნილოველობის შემდეგ კერენსკის მთავრობა ყველაფერს ძველებურად სტოვებს, რომ იგი სინამდვილეში კორნილოველობის აღდგენას ეწევა. ალექსეევის დანიშვნა, «ზავი» კლემბოვსკებთან, გაგარინებთან, ბაგრატიონებთან და სხვა კორნილოველებთან, რბილად მოპყრობა თვით კორნილოვთან და კალედინთან — ყოველივე ეს ცხადზე უცხადესად გვიჩვენებს, რომ კერენსკი სინამდვილეში კორნილოველობის აღდგენას ეწევა.

საშუალო გზა არ არის. გამოცდილებამ ცხადყო, რომ საშუალო გზა არ არის. ან მთელი ძალაუფლება საბჭოებს და არმიის სრული დემოკრატიზაცია, ან კორნილოველობა.

მერე, ჩერნოვის სამინისტროს ისტორია? განა ამ ისტორიამ არ დაამტკიცა, რომ გლეხთა საჭიროების ნამდვილად დაკმაყოფილებისაკენ გადადგმული ყოველი მეტ-ნაკლებად სერიოზული ნაბიჯი, ყოველი ნაბიჯი, რომელიც მოწმობს გლეხებისადმი, მათი საკუთარი მასობრივი ორგანიზაციებისადმი და მოქმედებისადმი ნდობას, უდიდეს ენთუზიაზმს იწვევდა მთელ გლეხობაში. ჩერნოვს კი მოუხდა

თითქმის ოთხ თვეს «ევაჭრნა» და «ევაჭრნა» კადეტებთან და მოხელეებთან, რომლებმაც საქმის უსასრულო გაჭანჭლებითა და ოინებით, ბოლოს და ბოლოს, აიძულეს იგი წასულიყო ისე, რომ არაფერი არ გაეკეთებინა. მემამულეებმა და კაპიტალისტებმა ამ ოთხი თვით და ოთხი თვის განმავლობაში «მოიგეს თამაში», შეინარჩუნეს მემამულური მიწათმფლობელობა, გააჭიანურეს დამფუძნებელი კრების მოწვევა, დაიწყეს მთელი რიგი რეპრესიებიც კი საადგილმამულო კომიტეტების წინააღმდეგ.

საშუალო გზა არ არის. გამოცდილებამ ცხადყო, რომ საშუალო გზა არ არის. ან მთელი ძალაუფლება საბჭოებს ცენტრშიც და ადგილებზედაც, მთელი მიწა გლეხებს ახლავე, დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებამდე, ან მემამულეები და კაპიტალისტები შეაფერხებენ ყველაფერს, აღადგენენ მემამულეთა ძალაუფლებას, მიიყვანენ გლეხებს გაბოროტებამდე და მიიყვანენ საქმეს გლეხთა უაღრესად სასტიკ აჯანყებამდე.

სავსებით ისეთივე ისტორია მეორდება, როდესაც კაპიტალისტებმა (პალჩინსკის დახმარებით) ჩაშალეს რამდენადმე მაინც სერიოზული კონტროლი წარმოების მიმართ, როცა ვაჭრებმა ჩაშალეს პურის მონოპოლია და დასაწყისი პურისა და პროდუქტების მოწესრიგებული დემოკრატიული განაწილებისა პეშეხონოვის მიერ.

ახლა რუსეთში საქმე სრულიადაც ის არ არის, რომ გამოიგონო «ახალი ფორმები», რომ განიზრახო რაღაც «ყოვლისმომცველ» გარდაქმნათა «გეგმები». სრულებითაც არა. ასე გვიხატავენ საქმეს — აშკარად ყალბად გვიხატავენ საქმეს კაპიტალისტები, პოტრესოვები, პლეხანოვები, რომლებიც გაჰყვირიან «სოციალიზმის შემოღების» წინააღმდეგ, «პროლეტარიატის დიქტატურის» წინააღმდეგ. ნამდვილად კი მდგომარეობა რუსეთში ისეთია,

რომ ომის უმაგალითო სიმძიმემ და უბედურებამ, ნგრევისა და შიმშილის გაუგონარმა და უაღრესად მრისხანე საფრთხემ თავისთავად გვიკარნახეს გამოსავალი, თავისთავად დასახეს, და არათუ დასახეს, არამედ კიდევაც წამოაყენეს, როგორც უთუოდ გადაუდებელი რეფორმები და გარდაქმნანი: პურის მონოპოლია, წარმოებისა და განაწილების კონტროლი, ქაღალდის ფულის გამოშვების შეზღუდვა, პურის სწორად გადაცვლა საქონელზე და ა. შ.

ამგვარი ღონისძიებანი, სწორედ ასეთი მიმართულებით, ყველას მიერ აღიარებულია გარდუვალ რამედ, ამგვარი ღონისძიებანი დაწყებულია ბევრ ადგილას და სულ სხვადასხვა მხრიდან. ი ს ი ნ ი უ კ ვ ე დ ა წ ყ ე ბ უ ლ ი ა, მაგრამ ყველგან ფერხდება და შეფერხებულია მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგობით, — წინააღმდეგობით, რომელიც ხორციელდება კერენსკის მთავრობის მეშვეობითაც (ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი მთავრობა სავსებით ბურჟუაზიული და ბონაპარტისტულია), ძველი სახელმწიფოს მოხელური აპარატის მეშვეობითაც, რუსეთისა და «მოკავშირეთა» ფინანსური კაპიტალის პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გზითაც.

არცთუ ისე დიდი ხანია, რაც ი. პრილეჟაევი «დელო ნაროდაში» (№ 147) დასტიროდა პეშეხონოვის წასვლას და მტკიცე ფასების კრახს, პურის მონოპოლიის კრახს და წერდა:

«გამბედაობა და შეუპოვრობა, — აი რა აკლდა ჩვენს ყველა შემადგენლობის მთავრობას... რევოლუციური დემოკრატია არ უნდა ელოდებოდეს, იგი თვითონ უნდა იჩენდეს ინიციატივას და გეგმაზომიერად ერეოდეს ეკონომიურ ქაოსში... თუკი სადმე საჭიროა, სწორედ აქ არის საჭირო მტკიცე კურსი და გაბედული ხელისუფლება».

რაც მართალია, მართალია. ოქრო სიტყვებია. ოღონდ ავტორი არ ჩაფიქრებია, რომ მტკიცე კურსის, გამბედაობისა და შეუპოვრობის საკითხი არის არა პირადი საკითხი, არამედ იმ კ ლ ა ს ი ს საკითხი, რომელსაც შესწევს უნარი გამოიჩინოს გამბედაობა და შეუპოვრობა. ერთადერთი ასეთი

კლასი პროლეტარიატია. ხელისუფლების გამბედაობა და შეუპოვრობა, მისი მტკიცე კურსი, — სხვა არა არის რა, თუ არა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხების დიქტატურა. ი. პრილეჟაევი, თავისდა შეუგნებლად, მოსთქვამს ასეთ დიქტატურაზე.

- ვინაიდან რა უნდა ყოფილიყო სინამდვილეში ასეთი დიქტატურა? სხვა არაფერი, თუ არა ის, რომ კორნილოველთა წინააღმდეგობა გატეხილი იქნებოდა და არმიის სრული დემოკრატიზაცია აღდგენილი და დამთავრებული იქნებოდა. არმიის ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი ასეთი დიქტატურის აღტაცებული მომხრე იქნებოდა მისი დამყარების ორი დღის შემდეგ. ეს დიქტატურა გლეხებს მისცემდა მიწას და გლეხთა ადგილობრივ კომიტეტებს მიანიჭებდა სრულ ძალაუფლებას; როგორ შეიძლება, თუ ჭკუაზე არ შეიშალე, დაეჭვდე, რომ გლეხები მხარს არ დაუჭერდნენ ამ დიქტატურას? რასაც პეშეხონოვი მხოლოდ დაგვპირდა («კაპიტალისტების წინააღმდეგობა გატეხილია» — პეშეხონოვის სიტყვა-სიტყვითი გამოთქმა მისი ცნობილი გამოსვლიდან საბჭოების ყრილობის წინაშე), იმას პროლეტარიატის დიქტატურა განახორციელებდა, სინამდვილედ გადააქცევდა, ამასთან სრულიადაც არ მოსპობდა სურსათის, კონტროლისა და სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებს, რომლებიც უკვე იქმნებოდა, არამედ, პირიქით, მხარს დაუჭერდა, განავითარებდა მათ, მოსპობდა მათი მუშაობის ყველა დაბრკოლებას.

მხოლოდ პროლეტარებისა და უღარიბესი გლეხების დიქტატურას შეუძლია გატეხოს კაპიტალისტების წინააღმდეგობა, გამოიჩინოს ხელისუფლების ნამდვილად დიადი გამბედაობა და შეუპოვრობა, უზრუნველყოს მასების აღტაცებული, თავდადებული, ჰეშმარიტად გმირული მხარის დაჭერა არმიაშიც და გლეხობაშიც.

საბჭოების ძალაუფლება ერთადერთია, რასაც შეეძლო თანდათანობით, მშვიდი, უშფოთველი გაეხადა შემდგომი განვითარება, რომელიც სავსებით წარიმართებოდა ხალხის

მასების უმრავლესობის შეგნებისა და გადაწყვეტილების შესაბამისად, მათი საკუთარი გამოცდილების შესაბამისად. ძალაუფლება საბჭოებს — ეს ნიშნავს ქვეყნის მმართველობისა და მეურნეობის კონტროლის სავსებით გადაცემას მუშებისა და გლეხებისათვის, რომლებსაც ვ ე რ ა ვ ი ნ გაუბედავდა წინააღმდეგობას და რომლებიც ს წ რ ა ფ ა დ ი ს წ ა ვ ლ ი დ ნ ე ნ გამოცდილებით, თავიანთი საკუთარი პრაქტიკით ისწავლიდნენ მიწის, პროდუქტებისა და პურის სწორად განაწილებას.

«რაბოჩი პუტ» № 10,
1917 წ. 27 (14) სექტემბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

იბეჭდება გაზეთ «რაბოჩი პუტის» ტექსტის მიხედვით

რუგრუკ უზრუნველყოთ დამფუძნებელი კრების წარმატება

(ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ)

აპრილის დამდეგს, როცა ვაშუქებდი ბოლშევიკების დამოკიდებულებას საკითხისადმი, საჭიროა თუ არა დამფუძნებელი კრების მოწვევაო, ვწერდი:

«საჭიროა და რაც შეიძლება მალე. მაგრამ მისი წარმატებისა და მოწვევის გარანტია ერთია: მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და სხვ. დეპუტატების საბჭოების რიცხვის გადიდება და ძალის განმტკიცება; მუშათა მასების ორგანიზება და შეიარაღება ერთადერთი გარანტიაა» («პოლიტიკური პარტიები რუსეთში და პროლეტარიატის ამოცანები», «ჟიზნ ი ზნანიეს» იაფფასიანი ბიბლიოთეკა, წ. III, გვ. 9 და 29) *.

მას შემდეგ ხუთმა თვემ განვლო, და ამ სიტყვების სისწორე დაადასტურა დამფუძნებელი კრების მოწვევის მრავალგზის გაჭანჭლებამ და გადადებამ კადეტების მიზეზით, ბოლოს, ეს შესანიშნავად დაადასტურა კორნილოველობამ.

ახლა, 12 დეკემბრისათვის დემოკრატიული თათბირის მოწვევასთან დაკავშირებით, მე მინდა საქმის სხვა მხარეზე შევჩერდე.

მენშევიკების «რაბოჩაია გაზეტაც» და «დელო ნაროდაც» მწუხარებას გამოთქვამდნენ იმის გამო, თუ რა ცოტა კეთდება გლეხებში აგიტაციისათვის, რუსი ხალხის ამ ნამდვილი მასის, მისი ნამდვილი უმრავლესობის გათვითცნობიერებისათვის. ყველას აქვს შეგნებული, ყველა აღიარებს, რომ გლეხთა გათვითცნობიერებაზეა დამოკიდებული დამფუძნებელი კრების წარმატება, მაგრამ ამისათვის

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 24, გვ. 100. რედ.

სასაცილოდ ცოტა კეთდება. გლეხებს ატყუებს, აბრიყვებს, აშინებს მთლად ყალბი და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული და «ყვითელი» პრესა, რომელთან შედარებითაც მენშევიკებისა და ესერების პრესა (რომ აღარაფერი ვთქვათ ბოლშევიკურ პრესაზე) ძალიან, ძალიან სუსტია.

რატომ არის ასე?

სწორედ იმიტომ, რომ სუსტნი, გაუბედავნი, უმოქმედონი არიან ესერებისა და მენშევიკების მმართველი პარტიები, რომ ისინი, საბჭოების მიერ მთელი ძალაუფლების აღებას რომ არ სთანხმდებიან, გლეხობას სტოვებენ სიბნელესა და მიგდებულ მდგომარეობაში, «საჯიჯგნად» ხელში უგდებენ კაპიტალისტებსა და მათს პრესას, მათს აგიტაციას.

მენშევიკები და ესერები ჩვენს რევოლუციას კვეხნით დიდს უწოდებენ, მარჯვნივ და მარცხნივ გაჰყვირიან მჭუხარე მაღალფარდოვან ფრაზებს «რევოლუციური დემოკრატიის» შესახებ, სინამდვილეში კი ისინი რუსეთს სტოვებენ უაღრესად ჩვეულებრივი, უაღრესად წვრილბურჟუაზიული რევოლუციის მდგომარეობაში, რომელიც, მეფის დამხობის შემდეგ, ყოველივე დანარჩენს ძველებურად სტოვებს და არაფერს, სრულიად არაფერს სერიოზულს არ აკეთებს იმისათვის, რომ პოლიტიკურად გაათვითცნობიეროს გლეხები, მოსპოს გლეხთა სიბნელე, ეს უკანასკნელი (და ყველაზე ძლიერი) დასაყრდენი, ხალხის ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა დასაყრდენი.

სწორედ ახლაა მართებული, რომ ეს მოგაგონოთ. სწორედ ახლა, დემოკრატიული თათბირის წინ, დამფუძნებელი კრების «დანიშნულ» (ისევ გადასადებად «დანიშნულ») მოწვევამდე ორი თვით ადრე, მართებულია ცხადყოთ, თუ რა ადვილი იქნებოდა საქმის გამოსწორება, თუ რა ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა გლეხთა პოლიტიკური გათვითცნობიერებისათვის, ბრჭყალებში ჩასმული ჩვენი «რევოლუციური დემოკრატია» რომ... რომ ნამდვილად რევოლუციური იყოს, ე. ი. ისეთი, რომელსაც რევოლუციურად მოქმედების უნარი აქვს, და ნამდვილად დემოკრატია იყოს, ე. ი. ისეთი, რომე-

ლიც ანგარიშს უწევს ხალხის უმრავლესობის ნებასა და ინტერესებს და არა კაპიტალისტთა უმცირესობისას, რომელსაც კვლავ უპყრია ხელთ ძალაუფლება (კერენსკის მთავრობა) და რომელთანაც, — თუ პირდაპირ არა, არაპირდაპირ, თუ ძველი ფორმით არა, ახალი ფორმით, — მაინც სურთ «შემთანხმებლობა» ესერებსა და მენშევიკებს.

კაპიტალისტები (და მათ კვალდაკვალ, გაუგებრობისა თუ დამყაყებულობის გამო, ბევრი ესერი და მენშევიკი) «პრესის თავისუფლებას» უწოდებს საქმის ისეთ მდგომარეობას, როდესაც ცენზურა გაუქმებულია და ყველა პარტია თავისუფლად სცემს ყოველგვარ გაზეთს.

ნამდვილად კი ეს პრესის თავისუფლება კი არ არის, არამედ მდიდრების, ბურჟუაზიის მიერ ხალხის დაჩაგრული და ექსპლოატირებული მასების მოტყუების თავისუფლებაა.

მართლაც. აიღეთ თუნდაც პიტერისა და მოსკოვის გაზეთები. თქვენ ერთბაშად დაინახავთ, რომ გამოშვებულ ეგზემპლართა რიცხვის მხრივ ძალიან სჭარბობენ ბურჟუაზიული გაზეთები, «რეჩ», «ბირჟევკა», «ნოვოე ვრემია», «რუსსკოე სლოვო» [30] და ასე შემდეგ და ამათი მსგავსნი (ვინაიდან ასეთი გაზეთი ძალიან ბევრია). რას ემყარება ეს სიჭარბე? სრულიადაც არა უმრავლესობის ნებას, ვინაიდან არჩევნები ცხადყოფენ, რომ ორივე დედაქალაქში უმრავლესობა (და ამასთან გიგანტური უმრავლესობა) დემოკრატიის, ე. ი. ესერების, მენშევიკებისა და ბოლშევიკების მხარეზეა. ამ სამ პარტიას ხმების სამი მეოთხედიდან ოთხ მეხუთედამდე აქვს, ხოლო მათ მიერ გამოშვებული გაზეთების ეგზემპლართა რიცხვი უეჭველად ერთ მეოთხედზე ან ერთ მეხუთედზედაც კი ნაკლებია მთელი ბურჟუაზიული პრესის ეგზემპლართა რიცხვთან შედარებით (ბურჟუაზიული პრესისა, რომელიც, როგორც ახლა ვიცით და ვხედავთ, პირდაპირ და არაპირდაპირ იცავდა კორნილოველობას).

რატომ არის ასე?

ყველამ ჩინებულად იცის, თუ რატომ. იმიტომ, რომ გაზეთის გამოცემა შემოსავლიანი და მსხვილი კაპიტალისტური

წამოწყებაა, რომელშიც მდიდრები მილიონობით და მილიონობით მანეთს აბანდებენ. ბურჟუაზიული საზოგადოების «პრესის თავისუფლება» მდგომარეობს მ დ ი დ რ ე ბ ი ს თავისუფლებაში — სისტემატურად, განუხრელად, ყოველდღიურად მილიონობით ეგზემპლარების საშუალებით ატყუონ, გახრწნან, გააბრიყვონ ხალხის ექსპლოატირებული და ჩაგრული მასები, ღარიბნი.

აი ის უბრალო, საყოველთაოდ ცნობილი, აშკარა სიმართლე, რასაც ყველა ხედავს, რაც ყველას აქვს შეგნებული, მაგრამ რასაც «თითქმის ყველა» «მორცხვად» ჩქმალავს, შიშით გვერდს უვლის.

კითხვა იბადება, შეგვიძლია თუ არა ვებრძოლოთ ასეთ აღმაშფოთებელ ბოროტებას და როგორ ვებრძოლოთ?

უწინარეს ყოვლისა არის ერთი უმარტივესი, უდიდესი და ყოვლად კანონიერი საშუალება, რომელზედაც მე დიდი ხანია მივუთითებდი «პრავდაში»; ეს საშუალება განსაკუთრებით საჭიროა გავიხსენოთ ახლა, 12 სექტემბრისათვის, და ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეთ მუშებს, ვინაიდან არა გვგონია, რომ მუშები მას შეელიონ, როცა ისინი პოლიტიკურ ძალაუფლებას დაიპყრობენ *.

ეს საშუალებაა გაზეთებში კერძო განცხადებათა მოთავსების სახელმწიფო მონოპოლია.

აიღეთ «რუსსკოე სლოვო», «ნოვოე ვრემია», «ბირჟევკა», «რეჩი» და სხვ. — თქვენ დაინახავთ უამრავ კერძო განცხადებას, რომლებიც უდიდეს, თითქმის ძირითად შემოსავალს აძლევენ ამ გაზეთების გამომცემელ კაპიტალისტებს. ასე პარპაშობს, ასე მდიდრდება, ასე ვაჭრობს ხ ა ლ ხ ი ს ს ა წ ა მ ლ ა ვ ი თ ყველა ბურჟუაზიული გაზეთი მთელ მსოფლიოში.

ევროპაში არის გაზეთები, რომელთა ეგზემპლარების რაოდენობა აღწევს ამა თუ იმ ქალაქის მცხოვრებთა ერთ მესამედს (მაგალითად, 12 000 ეგზემპლარს, როცა მოსახ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 104 — 105. რ ე დ.

ლობა 40 000 კაცს შეადგენს) და რომლებიც მუქთად რიგდება ყოველ ბინაში და ამავე დროს კარგ შემოსავალს აძლევს მათს გამომცემლებს. ასეთი გაზეთები განცხადებებით არსებობენ, რაშიც კერძო პირნი ფულს იხდიან, ხოლო ყოველ ბინაში გაზეთის უფასოდ მიტანა უზრუნველყოფს განცხადებათა საუკეთესოდ გავრცელებას.

კითხვა ისმება, რატომ არ შეიძლებოდა, რომ დემოკრატიას, რომელიც თავის თავს რევოლუციურს უწოდებს, განეხორციელებინა ისეთი ღონისძიება, როგორიც არის გაზეთებში კერძო განცხადებათა მოთავსების სახელმწიფო მონოპოლიის შემოღება? განცხადებათა ბეჭდვის აკრძალვა სადმე სხვაგან, თუ არა იმ გაზეთებში, რომლებსაც სცემენ საბჭოები პროვინციაში და ქალაქებში და ცენტრალური საბჭო პიტერში მთელი რუსეთისათვის? რატომ არის «რევოლუციური» დემოკრატია ვალდებული ითმინოს ისეთი რამ, როგორიცაა კერძო განცხადებათა წყალობით კორნილოვის მომხრე მდიდართა, საბჭოების წინააღმდეგ სიცრუისა და ცილისწამების გამავრცელებელთა გამდიდრება?

ასეთი ღონისძიება უთუოდ სამართლიანი ღონისძიება იქნებოდა. იგი დიდ სარგებლობას მოუტანდა იმათაც, ვინც კერძო განცხადებებს ბეჭდავს, და მთელ ხალხსაც, განსაკუთრებით კი ყველაზე დაჩაგრულ და უბირ გლეხობას, რომელსაც შესაძლებლობა მიეცემოდა სულ მცირე ფასად ან მუქთადაც კი ჰქონოდა საბჭოთა გაზეთები გლეხებისათვის განკუთვნილი დამატებებითურთ.

რატომ არ უნდა განხორციელდეს ეს? მხოლოდ იმიტომ, რომ წმიდათაწმიდაა ბატონი კაპიტალისტების კერძო საკუთრება და მემკვიდრეობითი უფლება (განცხადებათა შემოსავლისა). და განა შეიძლება XX საუკუნის რევოლუციურ დემოკრატს უწოდებდე თავს და ამავე დროს სცნობდე ასეთ უფლებას «წმიდათაწმიდა» უფლებად რუსეთის მეორე რევოლუციაში?!

იტყვიან: მაგრამ ეს პრესის თავისუფლების დარღვევა იქნებაო.

არ არის მართალი. ეს იქნებოდა პრესის თავისუფლების გაფართოება და აღდგენა. ვინაიდან პრესის თავისუფლება ნიშნავს: თავისუფლად შეიძლება ყ ვ ე ლ ა მოქალაქის ყოველი აზრის გამოქვეყნება.

ახლა? ახლა მ ხ ო ლ ო დ მდიდრებს აქვთ ეს მონოპოლია, შემდეგ კი დიდ პარტიებს. ამავე დროს დიდი ს ა ბ ჭ ო თ ა გაზეთების გამოცემისას, ყველა განცხადების მოთავსებასთან ერთად, სავსებით შესაძლებელი იქნებოდა იმის უზრუნველყოფა, რომ თავისი აზრი გამოეთქვა მოქალაქეთა გაცილებით უფრო მეტ რაოდენობას, ვთქვათ, ყოველ ჯგუფს, რომელიც შეკრებდა ხელისმომწერთა განსაზღვრულ რიცხვს. პრესის თავისუფლება ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი გაცილებით უფრო დემოკრატიული გახდებოდა, გაცილებით უფრო სრული გახდებოდა ასეთი გარდაქმნის შემდეგ.

მაგრამ იტყვიან: სად ვიშოვნოთ სტამბები და ქაღალდიო?

ეჰე!!! საქმე «პრესის თავისუფლება» კი არ ყოფილა, არამედ ექსპლოატატორთა წმიდათაწმიდა საკუთრება ხელში ჩაგდებული სტამბებისა და ქაღალდის მარაგისა!!!

რის გულისათვის უნდა ვცნოთ ჩვენ, მუშებმა და გლეხებმა, ეს წმიდათაწმიდა უფლება? რით სჯობია ყალბი ცნობების გამოცემის ეს «უფლება» ყმა გლეხთა ფლობის «უფლებას»?

რატომ არის ომის დროს დასაშვები და რატომ ხდება ყველგან ყოველგვარი რეკვიზიცია — სახლებისაც, ბინებისაც, ეტლებისაც, ცხენებისაც, პურისაც, ლითონისაც, ხოლო სტამბებისა და ქაღალდის რეკვიზიცია დაუშვებელია?

არა, მუშები და გლეხები შეიძლება დროებით მოატყუო და ასეთი ღონისძიებანი მათ თვალში უსამართლო ან ძნელად განსახორციელებელ ღონისძიებებად დასახო, მაგრამ სიმართლე მაინც თავისას გაიტანს.

სახელმწიფო ხელისუფლება, საბჭოების სახით, იღებს ყ ვ ე ლ ა სტამბას და მ თ ე ლ ქაღალდს და ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ა დ ანაწილებს მას: პირველ ადგილას არის სახელმწიფო, ხალხის უმრავლესობის, ღარიბთა უმრავლესობის,

მეტადრე გლეხების უმრავლესობის ინტერესების გულისათვის, იმ გლეხებისა, რომლებსაც საუკუნეთა განმავლობაში აწამებდნენ, აბეჩავებდნენ და გონებას უჩლუნგებდნენ მემამულეები და კაპიტალისტები.

მეორე ადგილას — დიდი პარტიები, რომლებმაც შეაგროვეს, ვთქვათ, ორივე დედაქალაქში ასი თუ ორასი ათასი ხმა.

მესამე ადგილას — უფრო მცირე პარტიები და შემდეგ მოქალაქეთა ყოველი ჯგუფი, რომელმაც წევრთა გარკვეულ რიცხვს მიაღწია ან ამდენი და ამდენი ხელმოწერა შეაგროვა.

აი ქალალდისა და სტამბების ასეთი განაწილება იქნებოდა სამართლიანი და, როცა ძალაუფლება საბჭოების ხელში იქნება, სავსებით ადვილად განსახორციელებელი.

აი მაშინ, დამფუძნებელ კრებამდე ორი თვით ადრე, ჩვენ მართლაც შეგვეძლო დავხმარებოდით გლეხებს, უზრუნველგვეყო, რომ ყოველ დიდ პარტიას ათობით ბროშურის (ან გაზეთის ნომრების განსაკუთრებული დამატებების) მილიონობით ეგზემპლარი მიეწოდებინა ყოველი სოფლისათვის.

აი ეს იქნებოდა დამფუძნებელი კრების არჩევნების «რევოლუციურ-დემოკრატიული» მომზადება, აი ეს იქნებოდა სოფლისათვის დახმარების გაწევა მოწინავე მუშებისა და ჯარისკაცების მხრივ, აი ეს იქნებოდა სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა ხალხის გამოყეყეჩებისა და მოტყუებისათვის კი არა, არამედ გათვითცნობიერებისათვის, აი ეს იქნებოდა პრესის ნამდვილი თავისუფლება ყველასათვის და არა მდიდრებისათვის, აი ეს იქნებოდა კავშირის გაწყვეტა იმ წყეულ, მონურ წარსულთან, რომელიც ჩვენ გვაიძულებს ვითმინოთ ის, რომ მდიდრებს ხელში აქვთ ჩაგდებული გლეხობისათვის საქმის გაცნობისა და მისი სწავლების დიადი საქმე.

«რაბოჩი პუტ» № 11,
1917 წ. 28 (15) სექტემბერი
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება გაზეთ «რაბოჩი პუტის» ტექსტის მიხედვით

სახელმწიფო და რევოლუცია

მარქსიზმის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ და პროლეტარიატის ამოცანები რევოლუციაში [1]

დაწერილია 1917 წ. აგვისტო-სექტემბერში

დაიბეჭდა 1918 წელს ცალკე ბროშურად გამომცემ. «ჟიზნ ი ზნანიე»

იბეჭდება გამომც. «კომუნისტის» მიერ 1919 წელს გამოშვებული ბროშურის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ხელნაწერთან და 1918 წ. გამოცემასთან

მეტადრე გლეხების უმრავლესობის ინტერესების გულისათვის, იმ გლეხებისა, რომლებსაც საუკუნეთა განმავლობაში აწამებდნენ, აბეჩავებდნენ და გონებას უჩლუნგებდნენ მემამულეები და კაპიტალისტები.

მეორე ადგილას — დიდი პარტიები, რომლებმაც შეაგროვეს, ვთქვათ, ორივე დედაქალაქში ასი თუ ორასი ათასი ხმა.

მესამე ადგილას — უფრო მცირე პარტიები და შემდეგ მოქალაქეთა ყოველი ჯგუფი, რომელმაც წევრთა გარკვეულ რიცხვს მიაღწია ან ამდენი და ამდენი ხელმოწერა შეაგროვა.

აი ჭალალდისა და სტამბების ასეთი განაწილება იქნებოდა სამართლიანი და, როცა ძალაუფლება საბჭოების ხელში იქნება, სავსებით ადვილად განსახორციელებელი.

აი მაშინ, დამფუძნებელ კრებამდე ორი თვით ადრე, ჩვენ მართლაც შეგვეძლო დავხმარებოდით გლეხებს, უზრუნველგვეყო, რომ ყოველ დიდ პარტიას ათობით **ბროშურის** (ან გაზეთის ნომრების განსაკუთრებული დამატებების) მილიონობით ეგზემპლარი მიეწოდებინა ყოველი სოფლისათვის.

აი ეს იქნებოდა დამფუძნებელი კრების არჩევნების «რევოლუციურ-დემოკრატიული» მომზადება, აი ეს იქნებოდა სოფლისათვის დახმარების გაწევა მოწინავე მუშებისა და ჯარისკაცების მხრივ, აი ეს იქნებოდა სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა ხალხის გამოყეყეჩებისა და მოტყუებისათვის კი არა, არამედ გათვითცნობიერებისათვის, აი ეს იქნებოდა პრესის ნამდვილი თავისუფლება ყველასათვის და არა მდიდრებისათვის, აი ეს იქნებოდა კავშირის გაწყვეტა იმ წყეულ, მონურ წარსულთან, რომელიც ჩვენ გვაიძულებს ვითმინოთ ის, რომ მდიდრებს ხელში აქვთ ჩაგდებული გლეხობისათვის საქმის გაცნობისა და მისი სწავლების დიადი საქმე.

«რაბოჩი პუტ» № 11,
1917 წ. 28 (15) სექტემბერი
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება გაზეთ «რაბოჩი პუტის» ტექსტის მიხედვით


სახელმწიფო და რევოლუცია

მარქსიზმის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ და პროლეტარიატის ამოცანები რევოლუციაში [91]

დაწერილია 1917 წ. აგვისტო-სექტემბერში

დაიბეჭდა 1918 წელს ცალკე ბროშურად გამომცემ. «ქაზნ ი ზნანიე»

იბეჭდება გამომც. «კომუნისტის» მიერ 1919 წელს გამოშვებული ბროშურის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ხელნაწერთან და 1918 წ. გამოცემასთან



პირველი ჯერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «სახელმწიფო და რევოლუცია».—1917 წ. აგვისტო—სექტემბერი

დასტარავებულია

პირველი გამოცემის წინასიტყვაობა

სახელმწიფოს საკითხს ამჟამად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება თეორიულადაც და პრაქტიკულ-პოლიტიკურადაც. იმპერიალისტურმა ომმა არაჩვეულებრივ დააჩქარა და გაამწვავა მონოპოლისტური კაპიტალიზმის სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად გადაქცევის პროცესი. მშრომელი მასების საშინელი ჩაგვრა სახელმწიფოს მიერ, რომელიც უფრო და უფრო მჭიდროდ უერთდება კაპიტალისტების ყოვლისშემძლე კავშირებს, უფრო და უფრო შემაძრწუნებელი ხდება. მოწინავე ქვეყნები იქცევიან — ჩვენ ვლაპარაკობთ მათი «ზურგის» შესახებ — სამხედრო-საკატორღო საპყრობილეებად მუშებისათვის.

გაჭიანურებული ომით გამოწვეული გაუგონარი საშინელება და უბედურება აუტანელს ხდის მასების მდგომარეობას, აძლიერებს მათს აღშფოთებას. აშკარად მწიფდება საერთაშორისო პროლეტარული რევოლუცია. სახელმწიფოსადმი ამ რევოლუციის დამოკიდებულების საკითხს პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

შედარებით მშვიდობიანი განვითარების ათეული წლების მანძილზე დაგროვებულმა ოპორტუნიზმის ელემენტებმა შექმნეს სოციალ-შოვინიზმის მიმდინარეობა, რომელიც გაბატონებულია მთელი მსოფლიოს ოფიციალურ სოციალისტურ პარტიებში. ამ მიმდინარეობას (პლეხანოვი, პოტრესოვი, ბრეშკოვსკაია, რუბანოვიჩი, შემდეგ ოდნავ მიჩქმალული ფორმით ბბ. წერეთელი, ჩერნოვი და კომპ. რუსეთში;

შეიდემანი, ლეგინი, დავიდი და სხვ. გერმანიაში; რენოდელი, გედი, ვანდერველდე საფრანგეთსა და ბელგიაში; ჰაინდმანი და ფაბიელები [52] ინგლისში და ა. შ. და ა. შ.), სიტყვით სოციალიზმს, საქმით შოვინიზმს, ახასიათებს «სოციალიზმის ბელადების» საზიზღარი ლაქიური შეგუება არა მარტო «თავისი» ნაციონალური ბურჟუაზიის, არამედ სწორედ «თავისი» სახელმწიფოს ინტერესებთან, ვინაიდან ეგრეთწოდებული დიდი სახელმწიფოების უმრავლესობა დიდი ხანია ექსპლოატაციას უწევს და იმონებს მთელ რიგ პატარა და სუსტ ეროვნებებს. იმპერიალისტური ომი კი არის სწორედ ომი ამგვარი ნადავლის განაწილებისა და გადანაწილებისათვის. საერთოდ ბურჟუაზიის, განსაკუთრებით კი იმპერიალისტური ბურჟუაზიის გავლენისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლა შეუძლებელია ისე, თუ არ ებრძოლე ოპორტუნისტულ ცრუშეხედულებებს «სახელმწიფოს» შესახებ.

ჩვენ განვიხილავთ ჯერ მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ, ამასთან განსაკუთრებით დაწვრილებით შევჩერდებით ამ მოძღვრების დავიწყებულ ან ოპორტუნისტულად დამახინჯებულ მხარეებზე. შემდეგ ჩვენ სპეციალურად გავარჩევთ ამ დამახინჯებათა მთავარ წარმომადგენელს, კარლ კაუცკის, მეორე ინტერნაციონალის (1889 — 1914 წწ.) ყველაზე ცნობილ ბელადს, ინტერნაციონალისა, რომელმაც ესოდენ საცოდავი გაკოტრება განიცადა ახლანდელი ომის დროს. დასასრულ, ჩვენ შევაჯამებთ რუსეთის 1905 წლისა და განსაკუთრებით 1917 წლის რევოლუციების გამოცდილების მთავარ შედეგებს. ეს უკანასკნელი რევოლუცია, ეტყობა, ამჟამად (1917 წ. აგვისტოს დამდეგი) ამთავრებს თავისი განვითარების პირველ ხანას, მაგრამ მთელი ეს რევოლუცია საერთოდ შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ როგორც ერთ-ერთი რგოლი იმ სოციალისტური პროლეტარული რევოლუციების ჯაჭვისა, რომლებსაც იმპერიალისტური ომი იწვევს. | ამრიგად, სახელმწიფოსადმი პროლეტარიატის სოციალისტური რევოლუციის დამოკიდებულების

საკითხს ენიჭება არა მარტო პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა, არამედ უაღრესად საჭირბოროტო მნიშვნელობაც, როგორც მასებისათვის იმის განმარტების საკითხს, თუ რა უნდა გააკეთონ მათ, კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებისათვის, უახლოეს მომავალში.

ავტორი

1917 წ. აგვისტო

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა

ეს გამოცემა, მეორე, თითქმის უცვლელად იბეჭდება. დამატებული აქვს მხოლოდ მე-3 პარაგრაფი II თავს.

ავტორი

მოსკოვი.
1918 წ. 17 დეკემბერი

თავი I

კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო

1. სახელმწიფო კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის პროდუქტია

მარქსის მოძღვრებას ახლა ის ემართება, რაც არაერთხელ შემთხვევია ისტორიაში რევოლუციურ მოაზროვნეთა და ჩაგრული კლასების ბელადთა მოძღვრებებს მათს ბრძოლაში განთავისუფლებისათვის. მჩაგვრელი კლასები დიდი რევოლუციონერების სიცოცხლის დროს მათ მუდმივი დევნით უმასპინძლდებოდნენ, ყოვლად ველური ღვარძლით, უალრესად გააფთრებული სიძულვილით, სიცრუისა და ცილისწამების ყოვლად უტიფარი ლაშქრობით ხვდებოდნენ. მათი სიკვდილის შემდეგ კი ცდილობენ გადააქციონ ისინი უწყინარ ხატებად, ასე ვთქვათ, მოახდინონ მათი კანონიზება, მიუზღონ მათს სახელს ერთგვარი დიდება ჩაგრული კლასების «სანუგეშებლად» და გასაბრიყვებლად და ამავე დროს შინაარსი გამოაცალონ რევოლუციურ მოძღვრებას, დაჩლუნგონ მისი რევოლუციური მახვილი, გააუხამსონ იგი. მარქსიზმის ასეთ «დამუშავებაში» ახლა შეთანხმებულად მოქმედებენ ბურჟუაზია და ოპორტუნისტები მუშათა მოძრაობის შიგნით. ივიწყებენ, ჩქმალავენ, ამახინჯებენ მოძღვრების რევოლუციურ მხარეს, მის რევოლუციურ სულს. პირველ რიგში აყენებენ, აქებ-ადიდებენ იმას, რაც მისაღებია ან რაც მისაღებად ეჩვენებათ ბურჟუაზიისათვის. ყველა სოციალ-შოვინისტი ახლა «მარქსისტია», ხუმრობა არ გეგონოთ! და გერმანელი ბურჟუაზიული მეცნიერები, მარქსიზმის განადგურების გუშინდელი სპე-

ციალისტები, სულ უფრო და უფრო ხშირად ლაპარაკობენ «ეროვნულ-გერმანელ» მარქსზე, რომელმაც ვითომც მძარცველური ომის საწარმოებლად აღზარდა ესოდენ ჩინებულად ორგანიზებული მუშათა კავშირები!

საქმის ასეთი მდგომარეობის დროს, მარქსიზმის დამახინჯებათა ესოდენ გაუგონარი გავრცელების დროს, ჩვენი ამოცანა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ **აღვადგინოთ** მარქსის ჭეშმარიტი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ. ამისათვის აუცილებელია მოვიყვანოთ მთელი რიგი გრძელი ციტატები მარქსისა და ენგელსის საკუთარი თხზულებებიდან. რა თქმა უნდა, გრძელი ციტატები გადმოცემას დაამძიმებენ და სრულიადაც ვერ შეუწყობენ ხელს მის პოპულარობას. მაგრამ უამისობა ყოვლად შეუძლებელია. აუცილებლად საჭიროა რაც შეიძლება სრული სახით მოვიყვანოთ მარქსისა და ენგელსის თხზულებებიდან ყველა ადგილი, ან ყოველ შემთხვევაში ყველა გადამწყვეტი ადგილი სახელმწიფოს საკითხზე, რათა მკითხველს შეეძლოს შეიმუშაოს დამოუკიდებელი წარმოდგენა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა შეხედულებების ერთობლიობაზე და ამ შეხედულებათა განვითარებაზე, აგრეთვე რათა მათი დამახინჯება ამჟამად გაბატონებული «კაუცკელობის» მიერ დოკუმენტურად იყოს დამტკიცებული და ცხადად ნაჩვენები.

დავიწყოთ ფრ. ენგელსის ყველაზე გავრცელებული თხზულებიდან: «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა», რომელიც 1894 წელს უკვე მე-6 გამოცემად გამოვიდა შტუტგარტში. ჩვენ მოგვიხდება ციტატების გადმოთარგმნა გერმანული ორიგინალებიდან, რადგან რუსული თარგმანები, მთელი მათი სიმრავლის მიუხედავად, მეტწილად ან არ არის სრული, ან მეტისმეტად არადამაკმაყოფილებლადაა შესრულებული.

«სახელმწიფო — ამბობს ენგელსი, აჯამებს რა თავისი ისტორიული ანალიზის შედეგებს, — სრულიადაც არ არის ისეთი ძალა, რომელიც საზოგადოებას გარე-

დან აქვს თავს მოხვეული; ასევე ნაკლებადაა იგი «ზნეობრივი იდეის სინამდვილე», «სახე და სინამდვილე გონებისა», როგორც ამას ჰეგელი ამტკიცებს. პირიქით, სახელმწიფო საზოგადოების პროდუქტია განვითარების გარკვეულ საფეხურზე; სახელმწიფო აღიარებაა იმისა, რომ ეს საზოგადოება გაიხლართა გადაუწყვეტელ წინააღმდეგობაში თავის თავთან, გაიყო შეურიგებელ წინააღმდეგობებად. რომელთაგანაც თავის დაღწევა მას არ ძალუძს. ხოლო იმისათვის, რომ ამ წინააღმდეგობებმა, კლასებმა თავიანთი ანტაგონისტური ეკონომიური ინტერესებით, არ გაანადგურონ ერთმანეთი და საზოგადოება უნაყოფო ბრძოლაში, აუცილებელი გახდა ისეთი ძალა, რომელიც, თითქოს, საზოგადოებაზე მაღლა დგას, ძალა, რომელმაც უნდა შეანელოს კონფლიქტი და «წესრიგის» ჩარჩოებში დააკავოს იგი. ეს ძალა კი, რომელიც საზოგადოებიდან გამოვიდა, მაგრამ საზოგადოებაზე მაღლა დგება და საზოგადოებას სულ უფრო და უფრო შორდება, სახელმწიფოა» (მეექვსე გერმანული გამოცემა, გვ. 177 — 178) [93].

აქ სრული სიცხადით გამოხატულია მარქსიზმის ძირითადი იდეა სახელმწიფოს ისტორიული როლისა და მნიშვნელობის საკითხზე. სახელმწიფო არის კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის პროდუქტი და გამოხატულება. სახელმწიფო ჩნდება იქ, მაშინ და იმდენად, სადაც, როდესაც და რამდენადაც კლასობრივ წინააღმდეგობათა შერიგება ობიექტურად შეუძლებელია. და პირიქით: სახელმწიფოს არსებობა ამტკიცებს, რომ კლასობრივი წინააღმდეგობანი შეურიგებელია.

სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი და ძირითადი პუნქტიდან იწყება მარქსიზმის დამახინჯება, რომელიც ორი მთავარი ხაზით მიმდინარეობს.

ერთი მხრივ, ბურჟუაზიული და განსაკუთრებით წვრილბურჟუაზიული იდეოლოგები, — რომლებიც უდავო ისტო-

რიული ფაქტების ზეგავლენით იძულებული არიან აღიარონ, რომ სახელმწიფო მხოლოდ იქ არსებობს, სადაც არის კლასობრივი წინააღმდეგობანი და კლასობრივი ბრძოლა, — იმგვარად «ასწორებენ» მარქსს, რომ სახელმწიფო კლასების შ ე რ ი გ ე ბ ი ს ორგანო გამოდის. მარქსის მიხედვით, სახელმწიფო ვერც წარმოიშობოდა და ვერც იარსებებდა, კლასების შერიგება შესაძლებელი რომ ყოფილიყო. მეშჩან და ფილისტერ პროფესორებსა და პუბლიცისტებს კი გამოუდით, — ამასთან ისინი ძალიან ხშირად კეთილგანწყობილებით იმოწმებენ მარქსს! — რომ სახელმწიფო სწორედ არიგებს კლასებს. მარქსის მიხედვით, სახელმწიფო არის კლასობრივი ბ ა ტ ო ნ ო ბ ი ს ორგანო, ერთი კლასის მიერ მეორის ჩ ა გ ვ რ ი ს ორგანო, არის ისეთი «წესრიგის» შექმნა, რომელიც, ანელებს რა კლასების შეჯახებას, აკანონებს და განამტკიცებს ამ ჩაგვრას. წვრილბურჟუაზიული პოლიტიკოსების აზრით, წესრიგი არის სწორედ კლასების შერიგება და არა ერთი კლასის მიერ მეორის ჩაგვრა; შეჯახების შენელება შერიგებას ნიშნავს, და არა იმას, რომ ჩაგრულ კლასებს ერთმევათ მჩაგვრელთა დამხობისათვის ბრძოლის გარკვეული საშუალებანი და ხერხები.

მაგალითად, ყველა ესერი (სოციალისტ-რევოლუციონერი) და მენშევიკი 1917 წლის რევოლუციაში, როდესაც სახელმწიფოს მნიშვნელობისა და როლის საკითხი აღიძრა სწორედ რომ მთელი თავისი სიდიადით, აღიძრა პრაქტიკულად, როგორც დაუყოვნებლივი მოქმედების და თანაც მასობრივი მასშტაბით მოქმედების საკითხი, — ყველა ერთბაშად და მთლიანად დაეშვა «სახელმწიფოს მიერ» კლასების «შერიგების» წვრილბურჟუაზიულ თეორიამდე. ორივე ამ პარტიის ურიცხვი რეზოლუციები და პოლიტიკოსთა სტატიები თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია «შერიგების» ამ მეშჩანური და ფილისტერული თეორიით. სახელმწიფო რომ იმ გარკვეული კლასის ბატონობის ორგანოა, რომლის შერიგება ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა მის ანტიპოდთან (მის მოწინააღ-

მდეგე კლასთან), ამას წვრილბურჟუაზიული დემოკრატია ვერასოდეს ვერ გაიგებს. სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებაა იმისა, რომ ჩვენებური ესერები და მენშევიკები სრულიადაც არ არიან სოციალისტები (რასაც ჩვენ, ბოლშევიკები, ყოველთვის ვამტკიცებდით), არამედ არიან წვრილბურჟუაზიული დემოკრატები თითქმის-სოციალისტური ფრაზეოლოგიით.

მეორე მხრივ, მარქსიზმის «კაუცკური» დამახინჯება გაცილებით უფრო ოსტატურია. «თეორიულად» არ უარყოფენ არც იმას, რომ სახელმწიფო კლასობრივი ბატონობის ორგანოა, არც იმას, რომ კლასობრივი წინააღმდეგობანი შეურიგებელია. მაგრამ მხედველობიდან უშვებენ ან აფუჩეჩებენ შემდეგს: თუ სახელმწიფო კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის პროდუქტია, თუ იგი არის ძალა, რომელიც საზოგადოების ზემოთ დგას და «**სულ უფრო და უფრო ეთიშება** საზოგადოებას», მაშინ ცხადია, რომ ჩაგრული კლასის განთავისუფლება შეუძლებელია არათუ ძალადატანებითი რევოლუციის მოუხდენლად, **არამედ** სახელმწიფო ძალაუფლების იმ აპარატის **მოუსპობლადაც**, რომელიც შექმნილია გაბატონებული კლასის მიერ და რომელშიც ხორცშესხმულია ეს «გათიშვა». ეს დასკვნა, თეორიულად თავისთავად აშკარა, მარქსმა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ყოვლად სრული გარკვეულობით გამოიყვანა რევოლუციის ამოცანების კონკრეტულ-ისტორიული ანალიზის საფუძველზე. და სწორედ ეს დასკვნა — ჩვენ ამას შემდგომ გადმოცემაში დაწვრილებით ცხადვყოფთ — ... «დაივიწყა» და დაამახინჯა კაუცკიმ.

2. შეიარაღებულ ადამიანთა განსაკუთრებული რაზმები, საპყრობილეები და სხვ.

...«ძველ გენტილურ (გვაროვნულ ან კლანურ) ორგანიზაციასთან შედარებით, — განაგრძობს ენგელსი, — **სახელმწიფოს** ახასიათებს, ჯერ ერთი, ის, რომ სახელ-

მწიფოს ქვეშევრდომნი დანაწილებული არიან ტერიტორიის დაყოფის მიხედვით»...

ჩვენ ეს დაყოფა «ბუნებრივ» რამედ გვეჩვენება, მაგრამ ამას დასჭირდა ხანგრძლივი ბრძოლა ტომებისა ან გვარების მიხედვით აგებულ ძველ ორგანიზაციასთან.

...«მეორე დამახასიათებელი თვისებაა ისეთი საჯარო ხელისუფლების დამყარება, რომელიც უკვე აღარ თანაემთხვევა უშუალოდ მოსახლეობას, როცა ეს მოსახლეობა თვითონვე ორგანიზდება, როგორც შეიარაღებული ძალა. ეს განსაკუთრებული საჯარო ხელისუფლება აუცილებელია იმიტომ, რომ მოსახლეობის თვითმოქმედი შეიარაღებული ორგანიზაცია შეუძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც საზოგადოება კლასებად გაითიშა... ეს საჯარო ხელისუფლება ყოველ სახელმწიფოში არსებობს. იგი შედგება არა მარტო შეიარაღებული ადამიანებისაგან, არამედ აგრეთვე ნივთიერი დანამატებისა — საპყრობილეებისა და ყოველგვარი იძულებითი დაწესებულებებისაგან, რომლებიც საზოგადოების გვაროვნული (კლანური) წყობილებისათვის უცნობი იყო»...

ენგელსი გადაგვიშლის იმ «ძალის» ცნებას, რომელსაც სახელმწიფო ეწოდება, ძალისა, რომელიც საზოგადოებიდან წარმოსდგა, მაგრამ თავის თავს მის ზემოთ აყენებს და სულ უფრო და უფრო ეთიშება მას. რაში მდგომარეობს, უმთავრესად, ეს ძალა? შეიარაღებულ ადამიანთა განსაკუთრებულ რაზმებში, რომლებსაც თავიანთ განკარგულებაში აქვთ საპყრობილეები და სხვა.

ჩვენ უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ შეიარაღებულ ადამიანთა განსაკუთრებულ რაზმებზე, რადგან ყოველი სახელმწიფოს დამახასიათებელი საჯარო ხელისუფლება «უშუალოდ არ თანაემთხვევა» შეიარაღებულ მოსახლეობას, მის «თვითმოქმედ შეიარაღებულ ორგანიზაციას».

როგორც ყველა დიდი რევოლუციური მოაზროვნე, ენგელსი ცდილობს მიაქციოს შეგნებული მუშების ყურადღება სწორედ იმას, რაც გაბატონებულ ფილისტერობას მიაჩნია ყველაზე ნაკლები ყურადღების ღირსად, ყველაზე ჩვეულებრივად, დაკანონებულად არა მარტო მტკიცე, არამედ, შეიძლება ითქვას, გაქვავებული ცრურწმენის წყალობით. მუდმივი ჯარი და პოლიცია სახელმწიფო ხელისუფლების ძალის მთავარი იარაღებია, მაგრამ განა შეიძლება ეს სხვანაირად იყოს?

ეს სხვანაირად არ შეიძლება იყოს XIX საუკუნის დამლევის ევროპელთა დიდი უმრავლესობის თვალსაზრისით, რომლებსაც ენგელსი მიმართავდა და რომლებსაც არ განუცდიათ და ახლოს არ უნახავთ არც ერთი დიდი რევოლუცია. მათთვის სრულიად გაუგებარია, თუ რა არის ეს რაღაც «მოსახლეობის თვითმოქმედი შეიარაღებული ორგანიზაცია»? რომ საკითხზე, თუ რატომ შეიქნა საჭირო შეიარაღებულ ადამიანთა განსაკუთრებული, საზოგადოების ზემოთ დაყენებული, შეიარაღებულ ადამიანთა რაზმები (პოლიცია, მუდმივი არმია), რომლებიც ეთიშებიან საზოგადოებას, დასავლეთ-ევროპელი და რუსი ფილისტერი მზად არის გიპასუხოთ სპენსერისაგან ან მიხაილოვსკისაგან ნასესხები ორიოდე ფრაზის დამოწმებით საზოგადოებრივი ცხოვრების გართულებაზე, ფუნქციების დიფერენციაციაზე და სხვ.

ასეთი დამოწმება «მეცნიერული» ჩანს და ჩინებულად აძინებს ფილისტერს, აბნელებს რა მთავარსა და ძირითადს: საზოგადოების გათიშვას შეურიგებელ მტრულ კლასებად.

ეს გათიშვა რომ არ იყოს, «მოსახლეობის თვითმოქმედი შეიარაღებული ორგანიზაცია» თავისი სირთულით, თავისი ტექნიკის სიმაღლით და მისთანებით განსხვავებული იქნებოდა ჯოხებით აღჭურვილ მაიმუნთა ჯოგის, ან პირველყოფილ ადამიანთა, ან კლანურ საზოგადოებებად გაერთიანებულ ადამიანთა პრიმიტიული ორგანიზაციისაგან, მაგრამ ასეთი ორგანიზაცია შესაძლებელი იქნებოდა.

იგი შეუძლებელია იმიტომ, რომ ცივილიზაციის საზოგადოება გათიშულია მტრულ და ამასთან შეურიგებელ მტრულ კლასებად, რომელთა «თვითმოქმედი» შეიარაღება გამოიწვევდა შეიარაღებულ ბრძოლას მათ შორის. ეწყობა სახელმწიფო, იქმნება განსაკუთრებული ძალა, შეიარაღებულ ადამიანთა განსაკუთრებული რაზმები, და ყოველი რევოლუცია, ანგრევს რა სახელმწიფო აპარატს, თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ როგორ ისწრაფის გაბატონებული კლასი აღადგინოს მ ი ს მომსახურე შეიარაღებულ ადამიანთა განსაკუთრებული რაზმები, თუ როგორ ისწრაფის ჩაგრული კლასი შექმნას ამდაგვარი ახალი ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება ემსახუროს **არა** ექსპლოატატორებს, არამედ ექსპლოატირებულებს.

ენგელსი ზემოთ მოყვანილ მსჯელობაში თეორიულად სწორედ იმ საკითხს აყენებს, რომელსაც პრაქტიკულად, თვალნათლივ და თანაც მასობრივი მოქმედების მასშტაბით აყენებს ჩვენს წინაშე ყოველი დიდი რევოლუცია, სახელდობრ — შეიარაღებულ ადამიანთა «განსაკუთრებული» რაზმებისა და «მოსახლეობის თვითმოქმედი შეიარაღებული ორგანიზაციის» ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. ჩვენ დავინახავთ, თუ კონკრეტულად როგორ ნათელყოფს ამ საკითხს ევროპისა და რუსეთის რევოლუციების გამოცდილება.

მაგრამ დავუბრუნდეთ ენგელსის მსჯელობას.

ის აღნიშნავს, რომ ზოგჯერ, მაგალითად, აქა-იქ ჩრდილო ამერიკაში, ეს საჯარო ხელისუფლება სუსტია (ლაპარაკია კაპიტალისტური საზოგადოებისათვის იშვიათ გამონაკლისზე და წინაიმპერიალისტური პერიოდის ჩრდილო ამერიკის იმ ნაწილებზე, სადაც თავისუფალი კოლონისტი სჭარბობდა), მაგრამ, საერთოდ რომ ითქვას, იგი ძლიერდება:

...«საჯარო ხელისუფლება ძლიერდება იმდენად, რამდენადაც კლასობრივი წინააღმდეგობანი სახელმწიფოს შიგნით მწვავდება და რამდენადაც ერთიმეორის მოსაზღვრე სახელმწიფოები უფრო დიდი და

უფრო დასახლებული ხდებიან.] გადაავლეთ თვალი თუნდაც ჩვენს დღევანდელ ევროპას, სადაც კლასობრივმა ბრძოლამ და დაპყრობათა კონკურენციამ საჯარო ხელისუფლება ესოდენ დაძაბული გახადეს, რომ იგი მთელ საზოგადოებასა და სახელმწიფოსაც კი შთანთქმას უქადის.»...

ეს დაწერილია არა უგვიანეს გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგისა. ენგელსის უკანასკნელი წინასიტყვაობა დათარიღებულია 1891 წლის 16 ივნისით. მაშინ იმპერიალიზმისაკენ შებრუნება — ტრესტების სრული ბატონობის აზრითაც, უმსხვილესი ბანკების ყოვლისშემძლეობის აზრითაც, გრანდიოზული კოლონიური პოლიტიკის აზრითაც და სხვა — ის-ის იყო მხოლოდ იწყებოდა საფრანგეთში, კიდევ უფრო სუსტად — ჩრდილო ამერიკასა და გერმანიაში. მას შემდეგ «დაპყრობათა კონკურენციამ» უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა წინ, ვით უფრო, რომ დედამიწა XX საუკუნის მეორე ათეულ წლის დამდეგს საბოლოოდ დაყოფილი აღმოჩნდა ამ «კონკურენტ დამპყრობთა» შორის, ე. ი. დიდ მძარცველ სახელმწიფოთა შორის. სამხედრო და საზღვაო შეიარაღება მას შემდეგ უზომოდ გაიზარდა, და 1914 — 1917 წლების მძარცველურმა ომმა, რომელიც წარმოებს მსოფლიოში ინგლისისა თუ გერმანიის ბატონობის გამო, ნადავლის გაყოფის გამო, მტაცებლური სახელმწიფო ხელისუფლების მიერ საზოგადოების მთელი ძალების «შთანთქმა» სრულ კატასტროფას მიუახლოვა.]

ენგელსმა ჯერ კიდევ 1891 წელს შესძლო აღენიშნა «დაპყრობათა კონკურენცია», როგორც დიდ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანი, ხოლო სოციალ-შოვინიზმის არამზადები 1914 — 1917 წლებში, როდესაც სწორედ ამ კონკურენციამ, ბევრად უფრო გამწვავებულმა, იმპერიალისტური ომი წარმოშვა, «თავიანთი» ბურჟუაზიის მძარცველური ინტერესების დაცვას ფარავენ ფრაზებით «სამშობლოს დაც-

ვის» შესახებ, «რესპუბლიკისა და რევოლუციის თავდაცვის» შესახებ და მისთ.!

3. სახელმწიფოს ჩაგრული კლასის ექსპლოატაციის იარაღია

განსაკუთრებული, საზოგადოების ზემოთ მდგომი, საჯარო ხელისუფლების შესანახად საჭიროა გადასახადები და სახელმწიფო ვალები.

> «საჯარო ხელისუფლებითა და გადასახადების აკრეფის უფლებით აღჭურვილი მოხელეები, — წერს ენგელსი, — როგორც საზოგადოების ორგანოები, საზოგადოებაზე მაღლა დგებიან. ის თავისუფალი, ნებაყოფლობითი პატივისცემა, რომლითაც გვაროვნული (კლანური) საზოგადოების ორგანოებს ეპყრობოდნენ, ამ მოხელეებისათვის უკვე საკმაო არ არის, კიდეც რომ შეეძლოთ მათ ასეთი პატივისცემის მოხვეჭა»... იქმნება განსაკუთრებული კანონები მოხელეთა შეუვალობისა და ხელუხლებლობის შესახებ. «პოლიციის ყველაზე უბადრუკ მსახურს» უფრო მეტი «ავტორიტეტი» აქვს, ვიდრე კლანის წარმომადგენლებს, მაგრამ ცივილიზებული სახელმწიფოს სამხედრო ხელისუფლების მეთაურსაც კი შეშურდებოდა კლანის უხუცესისა, რომელიც საზოგადოების «ძალდაუტანებელი პატივისცემით» სარგებლობს.

აქ დასმულია მოხელეების, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, პრივილეგიური მდგომარეობის საკითხი. დასახულია, როგორც ძირითადი: რა აყენებს მათ საზოგადოების ზემოთ? ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ წყვეტდა ამ თეორიულ საკითხს პრაქტიკულად პარიზის კომუნა 1871 წელს და როგორ ჩქმალავდა მას რეაქციულად კაუცკი 1912 წელს.

> ...«რადგან სახელმწიფო იმ მოთხოვნილებიდან წარმოიშვა, რომ კლასების წინააღმდეგობა აღვირამო-

დებული ყოფილიყო; რადგან იგი ამავე დროს ამ კლასების შეჯახებაშივე წარმოიშვა, ამიტომ იგი, როგორც საერთო წესი, იმ უძლიერესი, ეკონომიურად გაბატონებული კლასის სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოს დახმარებით პოლიტიკურადაც გაბატონებული კლასი ხდება და ამნაირად ახალ საშუალებებს იძენს ჩაგრული კლასის დასათრგუნავად და საექსპლოატაციოდ»... არა მარტო ანტიკური და ფეოდალური სახელმწიფოები იყვნენ მონებისა და ყმების ექსპლოატაციის ორგანოები, არამედ «თანამედროვე წარმომადგენლობითი სახელმწიფოც იარაღია, რომლითაც კაპიტალი დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას ეწევა. მაგრამ გამონაკლისის სახით გვხვდება ისეთი პერიოდები, როდესაც მებრძოლი კლასები ძალთა ისეთ წონასწორობას აღწევენ, რომ სახელმწიფო ხელისუფლება დროებით ერთგვარ დამოუკიდებლობას იძენს ორივე კლასის მიმართ, როგორც მოჩვენებითი შუამავალი მათ შორის». ასეთია XVII და XVIII საუკუნეების აბსოლუტური მონარქია, საფრანგეთის პირველი და მეორე იმპერიის ბონაპარტიზმი, ბისმარკი გერმანიაში.

ასეთია — დავძენთ ჩვენის მხრივ — კერენსკის მთავრობა რესპუბლიკურ რუსეთში მას შემდეგ, რაც ამ მთავრობამ დაიწყო რევოლუციური პროლეტარიატის დევნა ისეთ მომენტში, როდესაც საბჭოები წვრილბურჟუაზიული დემოკრატების ხელმძღვანელობის წყალობით უკვე უძლურნი არიან, ხოლო ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ ძლიერი, რომ პირდაპირ გარეკოს ისინი.

დემოკრატიულ რესპუბლიკაში — განაგრძობს ენგელსი — «სიმდიდრე თავის ძალაუფლებას, არაპირდაპირ, მაგრამ სამაგიეროდ მით უფრო მტკიცედ იყენებს, სახელდობრ, ჯერ ერთი, «მოხელეთა პირდაპირი

მოსყიდვის» საშუალებით (ამერიკა), მეორეც, «მთავრობისა და ბირჟის კავშირის» საშუალებით (საფრანგეთი და ამერიკა).

ამჟამად იმპერიალიზმმა და ბანკების ბატონობამ არაჩვეულებრივ ოსტატობამდე «განავითარეს» ორივე ეს წესი სიმდიდრის ყოვლისშემძლეობის დაცვისა და განხორციელებისა ყოველნაირ დემოკრატიულ რესპუბლიკაში. თუ, მაგალითად, რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირველ თვეებშივე, შეიძლება ითქვას, კოალიციურ მთავრობაში ბურჟუაზიასთან «სოციალისტი» ესერებისა და მენშევიკების შეუღლების სიამტკბილობის თვეს, ბ-ნი პალჩინსკი საბოტაჟს უწევდა კაპიტალისტებისა და მათი მარიონეტობის, მათ მიერ სამხედრო მასალათა შეკვეთების საშუალებით ხაზინის ძარცვის ალაგმვის ყველა ღონისძიებას, თუ ამის შემდეგ სამინისტროდან გასული ბ-ნი პალჩინსკი (რა თქმა უნდა, მეორე სრულიად ასეთივე პალჩინსკით შეცვლილი) კაპიტალისტებმა «დაასაჩუქრეს» წელიწადში 120 000 მან. ჯამაგირიანი ადგილით, — რა არის ეს? პირდაპირი თუ არაპირდაპირი მოსყიდვა? მთავრობის კავშირი სინდიკალისტებთან, თუ «მხოლოდ» მეგობრული ურთიერთობა? რა როლს თამაშობენ ჩერნოვები და წერეთლები, ავქსენტიევები და სკობელევები? — «პირდაპირი» მოკავშირენი არიან ისინი ხაზინის ქურდი მილიონერებისა თუ მხოლოდ არაპირდაპირი მოკავშირენი?

«სიმდიდრის» ყოვლისშემძლეობა იმიტომ არის დემოკრატიულ რესპუბლიკაში უ ფ რ ო უ ტ ყ უ ა რ ი, რომ იგი დამოკიდებული არ არის კაპიტალიზმის ცუდ პოლიტიკურ გარსზე. დემოკრატიული რესპუბლიკა კაპიტალიზმის საუკეთესო შესაძლო პოლიტიკური გარსია, და ამიტომ კაპიტალი, ეუფლება რა (პალჩინსკების, ჩერნოვების, წერეთლებისა და კომპ. მეშვეობით) ამ საუკეთესო გარსს, ისე საიმედოდ, ისე მტკიცედ ამკვიდრებს თავის ძალაუფლებას, რომ ვ ე რ ა ვ ი თ ა რ ი შეცვლა ვერც პირების, ვერც დაწესებულებე-

ბისა, ვერც პარტიებისა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვერ არყევს ამ ძალაუფლებას.

უნდა აღინიშნოს კიდევ, რომ ენგელსი საყოველთაო საარჩევნო უფლებას სრული გარკვეულობით უწოდებს ბურჟუაზიის ბატონობის იარაღს. ის აშკარად ითვალისწინებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ხანგრძლივ გამოცდილებას და ამბობს, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლება

> «მუშათა კლასის სიმწიფის მაჩვენებელია. მეტის მოცემა ამ საარჩევნო უფლებას არ შეუძლია და მეტს ვერაფერს ვერც მოგვცემს იგი ახლანდელ სახელმწიფოში».

წვრილბურჟუაზიული დემოკრატები, ჩვენებური ესერებისა და მენშევიკების მსგავსნი, აგრეთვე მათი ღვიძლი ძმები, დასავლეთ ევროპის ყველა სოციალ-შოვინისტი და ოპორტუნისტი, სწორედ «მეტს» მოელიან საყოველთაო საარჩევნო უფლებისაგან. ისინი თვითონაც იზიარებენ და ხალხსაც უნერგავენ იმ მცდარ აზრს, თითქოს «ახლანდელ სახელმწიფოში» საყოველთაო საარჩევნო უფლებას შეეძლოს ნამდვილად გამოავლინოს მშრომელთა უმრავლესობის ნება და განამტკიცოს მისი გატარება ცხოვრებაში.

ჩვენ აქ შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნოთ ეს ყალბი აზრი, ვიხილოთ მიეუთითოთ იმაზე, რომ ენგელსის სავსებით ნათელი, ზუსტი, კონკრეტული განცხადება ყოველ ნაბიჯზე მახინჯდება «ოფიციალური» (ე. ი. ოპორტუნისტული) სოციალისტური პარტიების პროპაგანდასა და აგიტაციაში. იმ აზრის სრულ სიყალბეს, რომელსაც აქ ენგელსი უკუაგდებს, ჩვენ დაწვრილებით გარკვევთ ქვემოთ, როცა გადმოვცემთ მარქსისა და ენგელსის შეხედულებებს «ახლანდელ» სახელმწიფოზე.

ენგელსი თავის შეხედულებათა საერთო შეჯამებას იძლევა თავის ყველაზე პოპულარულ თხზულებაში შემდეგი სიტყვებით:

> «ამრიგად, სახელმწიფო დასაბამიდანვე როდი არსებობდა. იყვნენ ისეთი საზოგადოებანი, რომელნიც ოდესმე ძლებდნენ, რომელთაც სახელ-

მწიფოზე და სახელმწიფო ხელისუფლებაზე წარმოდგენაც არა ჰქონდათ. ეკონომიური განვითარების გარკვეულ საფეხურზე, რომელიც აუცილებლად დაკავშირებული იყო საზოგადოების კლასებად გათიშვასთან, სახელმწიფო ამ გათიშვის გამო აუცილებლობად იქცა. ახლა ჩვენ სწრაფი ნაბიჯით ვუახლოვდებით წარმოების განვითარების ისეთ საფეხურს, როცა ამ კლასების არსებობა არათუ აღარ წარმოადგენს აუცილებლობას, არამედ იგი წარმოების პირდაპირ დაბრკოლებად იქცევა. კლასები ისევე გარდუვალობით გაქრებიან, როგორც გარდუვალობითაც ისინი წარსულში წარმოიშვნენ. კლასების გაქრობასთან ერთად გარდუვალად გაქრება სახელმწიფოც. საზოგადოება, რომელიც ახლებურად მოაწყობს წარმოებას მწარმოებელთა თავისუფალი და თანასწორი ასოციაციის საფუძველზე, მთელ სახელმწიფო მანქანას იქ მოათავსებს, სადაც მაშინ მისი ნამდვილი ადგილი იქნება: სიძველეთა მუზეუმში, ჯარასა და ბრინჯაოს ცულის გვერდით».

ხშირად როდი შევხვდებით ამ ციტატას თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის საპროპაგანდო და საagიტაციო ლიტერატურაში. მაგრამ მაშინაც კი, როცა ამ ციტატას შევხვდებით, იგი მეტწილად ისე მოჰყავთ, თითქოს ხატის წინ მუხლს იყრიანო, ე. ი. იმისათვის, რომ ოფიციალურად გამოხატონ პატივისცემა ენგელსისადმი, და ამავე დროს სრულიადაც არ ცდილობენ ჩაუფიქრდნენ იმას, თუ რევოლუციის რაოდენად ფართო და ღრმა გაქანებას გულისხმობს ეს «მთელი სახელმწიფო მანქანის სიძველეთა მუზეუმში მოთავსება». მეტწილად იმის გაგებაც კი არ ეტყობათ, თუ რას უწოდებს ენგელსი სახელმწიფო მანქანას.

4. სახელმწიფოს «კვდომა» და ძალადატანებითი რევოლუცია

ენგელსის სიტყვები სახელმწიფოს «კვდომის» შესახებ ისე ფართოდ არის ცნობილი, ეს სიტყვები იხე ხშირად მოყავთ, ისე ნათლად გვიჩვენებენ, თუ რა შეადგენს მარქსიზმის

ოპორტუნისტული გაყალბების დედააზრს, რომ აუცილებელია მათზე დაწვრილებით შევჩერდეთ. მოვიყვანოთ მთელი მსჯელობა, საიდანაც ამოღებულია ეს სიტყვები:

«პროლეტარიატი ხელთ იღებს სახელმწიფო ძალაუფლებას და აქცევს უწინარეს ყოვლისა წარმოების საშუალებებს სახელმწიფო საკუთრებად. მაგრამ ის ამითვე სპობს თავის თავს როგორც პროლეტარიატი, ამით ის სპობს ყველა კლასობრივ განსხვავებას და კლასობრივ წინააღმდეგობას, ამასთან ერთად სახელმწიფოსაც როგორც სახელმწიფოს. აქამდე არსებული და ახლა არსებული საზოგადოებისათვის, რომელიც კლასობრივ წინააღმდეგობებში მოძრაობს, აუცილებელი იყო სახელმწიფო, ე. ი. ექსპლოატატორული კლასის ორგანიზაცია მისი წარმოების გარეგნული პირობების დასაცავად, მაშასადამე, განსაკუთრებით იმისათვის, რომ ძალდატანებით ეყოლებინა ექსპლოატირებული კლასი დათრგუნვის იმ პირობებში, რომლებსაც წარმოების მოცემული წესი განსაზღვრავს (მონობა, ბატონყმობა, დაქირავებული შრომა). სახელმწიფო იყო მთელი საზოგადოების ოფიციალური წარმომადგენელი, მისი თავმომყრელი მოჩვენებით კორპორაციაში, მაგრამ იგი ასეთი იყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იმ კლასის სახელმწიფო იყო, რომელიც თავისი ეპოქისათვის ერთადერთი წარმოადგენდა მთელ საზოგადოებას: ძველად იგი იყო სახელმწიფო მონათმფლობელებისა — სახელმწიფოს მოქალაქეებისა, შუა საუკუნეებში — ფეოდალური თავადაზნაურობისა, ჩვენს დროში არის — ბურჟუაზიისა. როდესაც სახელმწიფო ბოლოს და ბოლოს მართლაც მთელი საზოგადოების წარმომადგენლად იქცევა, მაშინ იგი თვითონ ზედმეტს გახდის თავის თავს. იმ დროიდან, როცა აღარ იქნება არც ერთი საზოგადოებრივი კლასი, რომლის დათრგუნვაც საჭირო იყოს, იმ დროიდან, როცა კლასობრივ ბატონობასთან ერთად, ცალკე არსებობისა-

თვის ბრძოლასთან ერთად, რომელსაც წარმოშობს წარმოების ახლანდელი ანარქია, გაქრება ის შეჯახებანი და ექსცესები (უკიდურესობანი), რაც ამ ბრძოლიდან წარმოსდგება, — ამ დროიდან აღარა იქნება რა დასათრგუნავი და აღარც საჭირო იქნება დათრგუნვის განსაკუთრებული ძალა, სახელმწიფო. პირველი აქტი, რომელშიც სახელმწიფო მართლაც გამოდის, როგორც მთელი საზოგადოების წარმომადგენელი — საზოგადოების სახელით წარმოების საშუალებათა დაუფლება, — ამავე დროს წარმოადგენს მისი, როგორც სახელმწიფოს, უკანასკნელ დამოუკიდებელ აქტს. სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევა საზოგადოებრივ ურთიერთობაში მაშინ ზედმეტი ხდება და თავისთავად ქრება სხვადასხვა დარგში ერთიმეორის მიყოლებით. პირთა მმართველი მთავრობის ადგილს იჭერს საგნების გამგებლობა და წარმოების პროცესების ხელმძღვანელობა. სახელმწიფო კი არ «უქმდება», იგი კ ვ დ ე ბ ა. ამის მიხედვით უნდა შეფასდეს ფრაზა «თავისუფალი სახალხო სახელმწიფოს» შესახებ, ფრაზა, რომელსაც ერთ დროს არსებობის აგიტატორული უფლება ჰქონდა, მაგრამ საბოლოო ანგარიშით მეცნიერულად უსუსურია. ამის მიხედვით უნდა შეფასდეს ეგრეთწოდებული ანარქისტების მოთხოვნაც, რომ სახელმწიფო დღეს თუ ხვალ გაუქმდეს» («ანტი-დიურინგი». «გადატრიალება მეცნიერებაში, მოხდენილი ბატონ ევგენი დიურინგის მიერ», მე-3 გერმანული გამოცემა, გვ. 301 — 302) [94].

შეუცდომლად შეიძლება ითქვას, რომ ენგელსის ამ მსჯელობიდან, რომელიც შესანიშნავად მდიდარია აზრებით, სოციალისტური აზრის ნამდვილ კუთვნილებად თანამედროვე სოციალისტურ პარტიებში იქცა მხოლოდ ის, რომ, სახელმწიფო, მარქსის მიხედვით, «კვდება», მაშინ როდესაც, ანარქისტული მოძღვრების თანახმად, სახელმწიფო «უქმდება». მარქსიზმის

ასე შეკვეცა იმას ნიშნავს, რომ იგი ოპორტუნიზმამდე დაიყვანო, ვინაიდან ასეთი «განმარტებისას» რჩება მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ნელ-წყნარ, თანდათანობით ცვლილებაზე, იმაზე, რომ არ არის ნახტომები და ქარიშხალი, არ არის რევოლუცია. სახელმწიფოს «კვდომა» ჩვეულებრივი, საერთოდ გავრცელებული, მასობრივი, თუ ასე შეიძლება ითქვას, გაგებით, უეჭველია, ნიშნავს რევოლუციის მიფუჩეჩებას, თუ უარყოფას არა.

ამავე დროს კი, ამგვარი «განმარტება» არის მარქსიზმის ყოვლად უხეში, მხოლოდ ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი დამახინჯება, რაც თეორიულად დამყარებულია იმ უმნიშვნელოვანეს გარემოებათა და მოსაზრებათა დავიწყებაზე, რომლებიც აღნიშნულია ენგელსის თუნდაც იმავე, ჩვენ მიერ მთლიანად მოყვანილ, «შემაჯამებელ» მსჯელობაში.

ჯერ ერთი. ამ მსჯელობის დასაწყისშივე ენგელსი ამბობს, პროლეტარიატი რომ სახელმწიფო ძალაუფლებას ხელთ იღებს, «ამით სპობს სახელმწიფოს როგორც სახელმწიფოს». თუ რას ნიშნავს ეს, ამაზე ფიქრი «არ არის მიღებული». ჩვეულებრივ ამას ან სრულიად უგულებელყოფენ, ან ენგელსის რაღაც «ჰეგელურ სისუსტედ» თვლიან. ნამდვილად კი ამ სიტყვებით გამოხატულია ერთ-ერთი უდიდესი პროლეტარული რევოლუციის გამოცდილება, 1871 წლის პარიზის კომუნის გამოცდილება, რაზედაც უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ თავის ადგილას. ნამდვილად აქ ენგელსი ლაპარაკობს პროლეტარული რევოლუციის მიერ ბურჟუაზიის სახელმწიფოს «მოსპობაზე», მაშინ როდესაც სიტყვები კვდომის შესახებ ეხება პროლეტარული სახელმწიფოებრიობის ნაშთებს სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ბურჟუაზიული სახელმწიფო კი არ «კვდება», ენგელსის მიხედვით, არამედ «ხახრჩობა» პროლეტარიატის მიერ რევოლუციაში. ამ რევოლუციის შემდეგ კვდება პროლეტარული სახელმწიფო ან ნახევარსახელმწიფო.

მეორეც. სახელმწიფო არის «დათრგუნვის განსაკუთრებული ძალა». ენგელსის ეს საუცხოო და უაღრესად ღრმა განსაზღვრება აქ ყოვლად სრული სიცხადით არის მის მიერ მოცემული. ამ განსაზღვრებიდან კი გამომდინარეობს, რომ ბურჟუაზიის მიერ პროლეტარიატის, ერთი მუჭა მდიდრების მიერ მილიონობით მშრომელის «დათრგუნვის განსაკუთრებული ძალა» უნდა შესცვალოს პროლეტარიატის მიერ ბურჟუაზიის «დათრგუნვის განსაკუთრებულმა ძალამ» (პროლეტარიატის დიქტატურა). სწორედ ამაში მდგომარეობს «სახელმწიფოს როგორც სახელმწიფოს მოსპობა». სწორედ ამაში მდგომარეობს საზოგადოების სახელით წარმოების საშუალებათა დაუფლების «აქტი». და თავისთავად ცხადია, რომ ერთი (ბურჟუაზიული) «განსაკუთრებული ძალის» ასეთი შეცვლა მეორე (პროლეტარული) «განსაკუთრებული ძალით» არასგზით არ შეიძლება მოხდეს «კვდომის» სახით.

მესამეც. «კვდომაზე» და უფრო რელიეფურად და უფრო სურათოვნადაც კი — «მიძინებაზე» ენგელსი სავსებით ცხადად და გარკვევით ლაპარაკობს იმ ეპოქის მიმართ, რომელიც დადგება «სახელმწიფოს მიერ მთელი საზოგადოების სახელით წარმოების საშუალებათა დაუფლების» **შემდეგ**, ე. ი. სოციალისტური რევოლუციის **შემდეგ**. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ «სახელმწიფოს» პოლიტიკურ ფორმას ამ დროს წარმოადგენს უაღრესად სრული დემოკრატია. მაგრამ არც ერთ ოპორტუნისტთაგანს, რომლებიც უსირცხვილოდ ამახინჯებენ მარქსიზმს, აზრად არ მოსდის, რომ აქ ენგელსი, მაშასადამე, ლაპარაკობს **დემოკრატიის** «მიძინებასა» და «კვდომაზე». ეს ერთი შეხედვით ძალიან უცნაური ჩანს. მაგრამ ეს «გაუგებარია» მხოლოდ იმისთვის, ვინც არ ჩაფიქრებია, რომ დემოკრატიაც **აგრეთვე** სახელმწიფოა და რომ, მაშასადამე, დემოკრატიაც გაქრება, როდესაც სახელმწიფო გაქრება. ბურჟუაზიული სახელმწიფოს «მოსპობა» მხოლოდ რევოლუციას შეუძლია. სახელმწიფო საერთოდ, ე. ი. ყველაზე სრული დემოკრატია, შეიძლება მხოლოდ «მოკვდეს».

მეოთხეც. აყენებს რა თავის ცნობილ დებულებას: «სახელმწიფო კვდებაო», ენგელსი იქვე განმარტავს კონკრეტულად, რომ ეს დებულება მიმართულია ოპორტუნისტების წინააღმდეგაც და ანარქისტების წინააღმდეგაც. ამასთან «სახელმწიფოს კვდომის» შესახებ ენგელსს პირველ ადგილზე ის დასკვნა აქვს წამოყენებული, რომელიც მიმართულია ოპორტუნისტების წინააღმდეგ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ 10 000 კაციდან, რომლებსაც წაუკითხავთ ან გაუგონიათ სახელმწიფოს «კვდომის» ამბავი, 9 990 კაცს სულაც არ გაუგონია ან არ ახსოვს, რომ ენგელსი ამ დებულებიდან გამოყვანილ თავის დასკვნებს მიმართავდა არა მარტო ანარქისტების წინააღმდეგ. დანარჩენი ათი კაციდან კი, ალბათ, ცხრამ არ იცის, თუ რა არის «თავისუფალი სახალხო სახელმწიფო» და რატომ შეიცავს ამ ლოზუნგის წინააღმდეგ გალაშქრება ოპორტუნისტების წინააღმდეგ გალაშქრებას. ასე იწერება ისტორია! ასე შეუმჩნეველად ხდება დიადი რევოლუციური მოძღვრების გაყალბება გაბატონებული ფილისტერობის ყაიდაზე. ანარქისტების წინააღმდეგ მიმართული დასკვნა ათასჯერ განუმეორებიათ, გაუუხამსებიათ, რაც შეიძლება უფრო გამარტივებულად ჩაუგონებიათ, მან ცრურწმენის სიმტკიცე მოიპოვა. ოპორტუნისტების წინააღმდეგ მიმართული დასკვნა კი მიაფუჩეჩეს და «დაივიწყეს»!

«თავისუფალი სახალხო სახელმწიფო» 70-იანი წლების გერმანელი სოციალ-დემოკრატების პროგრამული მოთხოვნა და გავრცელებული ლოზუნგი იყო. არავითარი პოლიტიკური შინაარსი, გარდა დემოკრატიის ცნების ფილისტერულად მაღალფარდოვანი აღწერილობისა, ამ ლოზუნგში არ არის. რამდენადაც ამ ლოზუნგში ლეგალურად გადაკვრით ლაპარაკობდნენ დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, იმდენად ენგელსი მზად იყო აგიტატორის თვალსაზრისით «დროებით» «გაემართლებინა» ეს ლოზუნგი. მაგრამ ეს ლოზუნგი ოპორტუნისტული იყო, ვინაიდან იგი გამოხატავდა არა მარტო ბურჟუაზიული დემოკრატიის შელამაზებას, არამედ საერთოდ ყოველგვარი სახელ-

მწიფოს მიმართ სოციალისტური კრიტიკის გაუგებლობასაც. ჩვენ მომხრენი ვართ დემოკრატიული რესპუბლიკისა, როგორც კაპიტალიზმის დროს პროლეტარიატისათვის სახელმწიფოს საუკეთესო ფორმისა, მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ, რომ დაქირავებული მონობა ხალხის ხვედრია ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაშიც. მემდეგ, ყოველი სახელმწიფო არის ჩაგრული კლასის «დათრგუნვის განსაკუთრებული ძალა». ამიტომ ყოველი სახელმწიფო არა-თავისუფალია და არა-ხალხურია. მარქსსა და ენგელსს არაერთხელ განუმარტავთ ეს თავიანთი პარტიული ამხანაგებისათვის 70-იან წლებში.

მეხუთეც. ენგელსის იმავე თხზულებაში, საიდანაც ყველას ახსოვს მსჯელობა სახელმწიფოს კვდომის შესახებ, არის მსჯელობა ძალდატანებითი რევოლუციის მნიშვნელობაზე. მისი როლის ისტორიული შეფასება წარმოადგენს ძალდატანებითი რევოლუციის ნამდვილ ხოტბას ენგელსის მხრივ. ეს «არავის არ ახსოვს», ამ აზრის მნიშვნელობაზე ლაპარაკი და ფიქრიც კი თანამედროვე სოციალისტურ პარტიებში მიღებული არ არის, მასებს შორის ყოველდღიურ პროპაგანდასა და აგიტაციაში ეს აზრები არავითარ როლს არ ასრულებენ. ამავე დროს კი ისინი სახელმწიფოს «კვდომასთან» განუყრელად, ერთ მწყობრ მთელად არიან დაკავშირებულნი. აი ენგელსის ეს მსჯელობა:

> «ისტორიაში ძალდატანება სხვა როლსაც რომ ასრულებს» (გარდა ბოროტების ჩამდენისა), «სახელდობრ რევოლუციურ როლს, იგი, მარქსის სიტყვით, ყოველი ძველი საზოგადოების ბებიაქალს რომ წარმოადგენს, როდესაც ეს საზოგადოება ორსულად არის ახალით, ძალდატანება იმ იარაღს რომ წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც საზოგადოებრივი მოძრაობა გზას იკაფავს და გაქვავებულ, მკვდარ პოლიტიკურ ფორმებს ამსხვრევს, — ყოველივე ამაზე ბ-ნი დიურინგი კრინტსაც არ ძრავს. მხოლოდ ოხვრითა და კვნესით აღიარებს იგი იმის შესაძლებლობას, რომ ეჭს-

პლოატატორული მეურნეობის დასამხობად, იქნებ, საჭირო გახდეს ძალდატანება და ეს, თურმე, სამწუხაროდ! ვინაიდან ძალდატანების ყოველგვარი გამოყენება რყვნის თვითონ იმას, ვინც მას იყენებსო. და ამას ამბობს ის, მიუხედავად იმ მაღალი ზნეობრივი და იდეური აღმაფრენისა, რომელიც შედეგი იყო ხოლმე ყოველი ძლევამოსილი რევოლუციისა! და ამას ამბობს ის გერმანიაში, სადაც ძალდატანებითს შეჯახებას, რომელიც ხომ შეიძლება თავს მოახვიონ ხალხს, ის უპირატესობა მაინც ექნებოდა, რომ იგი აღმოფხვრიდა იმ მონურ სულს, რომელიც ოცდაათწლიანი ომით გამოწვეული დამცირების გამო ეროვნულ შეგნებაში შეიჭრა. და ეს უფერული, უილაჯო, უძლური ხუცური აზროვნება ბედავს თავი შესთავაზოს ყველაზე რევოლუციურ პარტიას, როგორსაც კი იცნობს ისტორია?» (მე-3 გერმ. გამოც., გვ. 193, II განყოფილების მე-4 თავის ბოლო).

როგორ შეიძლება შევაერთოთ ერთ მოძღვრებაში სახელმწიფოს «კვდომის» თეორიასთან ძალდატანებითი რევოლუციის ეს ხოტბა, რომელსაც ენგელსი დაჟინებით უმეორებდა გერმანელ სოციალ-დემოკრატებს 1878 წლიდან 1894 წლამდე, ე. ი. თვით სიკვდილამდე?

ჩვეულებრივ აერთებენ ერთსა და მეორეს ეკლექტიციზმის საშუალებით, ხან ერთი, ხან მეორე მსჯელობის უღირსად ან სოფისტური, თვითნებური (ან ამა ქვეყნის ძლიერთა საამებელი) ამოგლეჯის გზით, ამასთან ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში, თუ უფრო ხშირადაც არა, პირველ ადგილზე წამოსწევენ სწორედ «კვდომას». დიალექტიკას სცვლიან ეკლექტიციზმით: ეს ყველაზე ჩვეულებრივი, ყველაზე გავრცელებული მოვლენაა ჩვენი დროის ოფიციალურ სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაში მარქსიზმის მიმართ. ასეთი შეცვლა, რა თქმა უნდა, ახალი რამ არ არის, ეს კლასიკური ბერძნული ფილოსოფიის ისტორიაშიც კი ხდებოდა. მარქსიზმის ოპორტუნისტულად გაყალბების დროს

ეკლექტიციზმის ყალბი მიმსგავსება დიალექტიკისათვის ყველაზე უფრო ადვილად ატყუებს მასებს, იძლევა მოჩვენებითს დაკმაყოფილებას, ვითომდა ითვალისწინებს პროცესის ყველა მხარეს, განვითარების ყველა ტენდენციას, ყველა წინააღმდეგურ გავლენას და სხვ., ნამდვილად კი არ იძლევა საზოგადოებრივი განვითარების პროცესის არავითარ მთლიანსა და რევოლუციურ გაგებას.

ჩვენ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ და შემდგომ გადმოცემაში უფრო დაწვრილებით ცხადვყოფთ, რომ მარქსისა და ენგელსის მოძღვრება ძალდატანებითი რევოლუციის გარდუვალობაზე ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ეხება. იგი არ შეიძლება «კვდომის» გზით შეიცვალოს პროლეტარული სახელმწიფოთი (პროლეტარიატის დიქტატურით), არამედ, საერთო წესისამებრ, იგი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ძალდატანებითი რევოლუციის საშუალებით. ხოტბა, რომელიც ენგელსმა ამ რევოლუციას შეასხა და სავსებით შეესაბამება მარქსის მრავალგზის განცხადებას — (გავიხსენოთ დასასრული «ფილოსოფიის სიღატაკის»[95] და «კომუნისტური მანიფესტისა»[96], სადაც ამაყად და აშკარად არის დიდარებული ძალდატანებითი რევოლუციის გარდუვალობა; გავიხსენოთ გოთას პროგრამის კრიტიკა, მოცემული 1875 წელს, თითქმის 30 წლის შემდეგ. სადაც მარქსი სასტიკად გმობს ამ პროგრამის ოპორტუნიზმს[97]) — ეს ხოტბა სრულიადაც არ არის «გატაცება», სრულიადაც არ არის დეკლამაცია, პოლემიკური ფანდი. მარქსისა და ენგელსის მთელ მოძღვრებას საფუძვლად უდევს იმის აუცილებლობა, რომ სისტემატურად ჩავუნერგოთ მასებს ასეთი და სწორედ ასეთი შეხედულება ძალდატანებითს რევოლუციაზე. მათი მოძღვრების ღალატი ამჟამად გაბატონებულ სოციალ-შოვინისტურ და კაუცკიანურ პაციფისტურ ბანდიტარეობათა მხრივ განსაკუთრებით ნათლად გამოიხატება იმით, რომ ერთმაც და მეორემაც დაივიწყეს მისცა ასეთი პროპაგანდა, ასეთი აგიტაცია.

ბურჟუაზიული სახელმწიფოს შეცვლა პროლეტარული სახელმწიფოთი შეუძლებელია ძალდატანებითი რევოლუციის გარეშე. პროლეტარული სახელმწიფოს მოსპობა, ე. ი. ყოველგვარი სახელმწიფოს მოსპობა, შეუძლებელია სხვანაირად, თუ არა «კვდომის» გზით.

ამ შეხედულებებს მარქსი და ენგელსი დაწვრილებით და კონკრეტულად აკითარებდნენ, როცა იკვლევდნენ ყოველ ცალკეულ რევოლუციურ სიტუაციას და ანალიზს უკეთებდნენ ყოველი ცალკეული რევოლუციის გამოცდილების გაკვეთილებს. და ჩვენც გადავდივართ მათი მოძღვრების ამ, უეჭველად ყველაზე მნიშვნელოვანი, ნაწილის განხილვაზე.

თავი II

სახელმწიფო და რევოლუცია. 1848 — 1851 წლების გამოცდილება

1. რევოლუციის წინახანი

მომწიფებული მარქსიზმის პირველი ნაწარმოებნი, «ფილოსოფიის სიღატაკე» და «კომუნისტური მანიფესტი», სწორედ 1848 წლის რევოლუციის წინახანს ეკუთვნის. ამ გარემოების წყალობით, მარქსიზმის ზოგადი საფუძვლების გადმოცემასთან ერთად, ჩვენ აქ რამდენადმე გვაქვს მაშინდელი კონკრეტული რევოლუციური სიტუაციის ასახულება, და ამიტომ, მგონია, უფრო მიზანშეწონილი იქნება განვიხილოთ ის, რასაც ამბობენ ამ ნაწარმოებთა ავტორები სახელმწიფოს შესახებ, მათ მიერ უშუალოდ 1848 — 1851 წლების გამოცდილებიდან დასკვნების გამოყვანამდე.

> ...«მუშათა კლასი, — წერს მარქსი «ფილოსოფიის სიღატაკეში», — განვითარების მსვლელობაში ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ნაცვლად ისეთ ასოციაციას შექმნის, რომელიც გამორიცხავს კლასებსა და მათ წინააღმდეგობას; უკვე არ იქნება არავითარი საკუთრივ პოლიტიკური ხელისუფლება, ვინაიდან სწო-

რედ პოლიტიკური ხელისუფლებაა ოფიციალური გამოხატულება კლასების წინააღმდეგობისა ბურჟუაზიული საზოგადოების შიგნით» (გვ. 182, 1885 წ. გერმანული გამოცემა) [98].

საგულისხმოა შევადაროთ აქ ზოგადად გამოთქმულ აზრს სახელმწიფოს გაქრობაზე კლასების მოსპობის შემდეგ ის მსჯელობა, რომელიც მოცემულია მარქსისა და ენგელსის მიერ რამდენიმე თვის შემდეგ, სახელდობრ, 1847 წლის ნოემბერს დაწერილ «კომუნისტურ მანიფესტში»:

...«როდესაც პროლეტარიატის განვითარების ყველაზე ზოგად ფაზებს აღვნიშნავდით, ჩვენ კვალდაკვალ მივყვებოდით მეტნაკლებ ფარულ სამოქალაქო ომს არსებული საზოგადოების შიგნით იმ მომენტამდე, როდესაც იგი აშკარა რევოლუციად იფეთქებს და როდესაც ბურჟუაზიის ძალდატანებითი დამხობის გზით პროლეტარიატი თავის ბატონობას ამყარებს»...

...«ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ პირველ ნაბიჯს მუშათა რევოლუციაში წარმოადგენს პროლეტარიატის გადაქცევა» (სიტყვასიტყვით: ამაღლება) «გაბატონებულ კლასად, დემოკრატიის ბრძოლით მოპოვება».

«პროლეტარიატი თავის პოლიტიკურ ბატონობას იმისათვის გამოიყენებს, რომ თანდათან გამოგლიჯოს ბურჟუაზიას მთელი კაპიტალი, მოახდინოს წარმოების ყველა იარაღის ცენტრალიზაცია სახელმწიფოს, ე. ი. გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატის ხელში და რაც შეიძლება სწრაფად გაამრავლოს საწარმოო ძალთა ჯამი» (გვ. 31 და 37, 1906 წლის მე-7 გერმანული გამოცემა).

აქ ჩვენ ვხედავთ სახელმწიფოს საკითხის შესახებ მარქსიზმის ერთ-ერთი უაღრესად შესანიშნავი და უმნიშვნელოვანესი იდეის ფორმულირებას, სახელდობრ «პროლეტარიატის დიქტატურის» იდეისა (როგორც პარიზის კომუნის შემდეგ იწყეს ლაპარაკი მარქსმა და ენგელსმა), შემდეგ კი —

ესო განსაზღვრებას, რო-
ს «დავიწყებული სიტ-
ო, ეს ე იგი გაბა-
იზებული პრო ლე-

არათუ არასოდეს არ
ალ-დემოკრატიული პარ-
ი და სააგიტაციო ლიტე-
ნსაზღვრება სწორედ რომ
ულიად შეურიგებელია
ამტკერებს ჩვეულებრივს
ებს და ფილისტერულ
იანი განვითარების» შე-

აჭიროება — ამას იმეო-
ლ-შოვინისტი და კაუც-
მარქსის მოძღვრებაო,
რომ, ჯერ ერთი, მარქსის
ება მხოლოდ კვდომადი
სახელმწიფო, რომ მან
რომ მას არ შეეძლოს არ
ესაჭიროებათ «სახელ-
კლასად ორგანიზებული

თრებული ორგანიზაცია,
რომელიმე კლასის
უნდა დათრგუნოს პრო-
მხოლოდ ექსპლოატა-
მშრომელებს სახელ-
პლოატატორთა წინააღ-
დათრგუნვის ხელმძღვა-
ალუძს მხოლოდ პრო-
ოლომდე რევოლუციურ
ასაც უნარი შესწევს

ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული გააერთიანოს ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად, მის სავსებით დასამხობად.

ექსპლოატატორულ კლასებს პოლიტიკური ბატონობა ესაჭიროებათ ექსპლოატაციის შენარჩუნების ინტერესებისათვის, ე. ი. სრულიად უმნიშვნელო უმცირესობის ანგარებითი ინტერესებისათვის, წინააღმდეგ ხალხის უდიდესი უმრავლესობისა. ექსპლოატირებულ კლასებს პოლიტიკური ბატონობა ესაჭიროებათ ყოველგვარი ექსპლოატაციის სავსებით მოსპობის ინტერესებისათვის, ე. ი. ხალხის უდიდესი უმრავლესობის ინტერესებისათვის, წინააღმდეგ თანამედროვე მონათმფლობელთა სრულიად უმნიშვნელო უმცირესობისა, ე. ი. მემამულეებისა და კაპიტალისტებისა.

წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს, ამ ვითომდა სოციალისტებს, რომლებიც კლასობრივ ბრძოლას კლასების შეთანხმების ოცნებით სცვლიდნენ, სოციალისტური გარდაქმნაც წარმოდგენილი ჰქონდათ ოცნების სახით, არა როგორც დამხობა ექსპლოატატორული კლასის ბატონობისა, არამედ როგორც უმცირესობის მშვიდობიანი დამორჩილება უმრავლესობისადმი, რომელსაც თავისი ამოცანები შეუგნია. ეს წვრილბურჟუაზიული უტოპია, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია ზეკლასობრივი სახელმწიფოს აღიარებასთან, პრაქტიკულად იწვევდა მშრომელი კლასების ინტერესთა გამცემლობას, როგორც ეს კიდევაც ცხადყო, მაგალითად, საფრანგეთის 1848 და 1871 წლების რევოლუციების ისტორიამ, როგორც ეს ცხადყო ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს ბურჟუაზიულ სამინისტროებში «სოციალისტების» მონაწილეობის გამოცდილებამ.

მარქსი მთელ თავის სიცოცხლეში ებრძოდა ამ წვრილბურჟუაზიულ სოციალიზმს, რომელიც ახლა აღადგინეს რუსეთში ესერებისა და მენშევიკების პარტიებმა. მარქსმა თანამიმდევრად გაატარა მოძღვრება კლასობრივ ბრძოლაზე,

თვით მოძღვრებამდე პოლიტიკური ძალაუფლების, სახელმწიფოს შესახებ.

ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს, როგორც განსაკუთრებულ კლასს, რომლის არსებობის ეკონომიური პირობები ამზადებენ მას ასეთი დამხობისათვის, აძლევენ მას შესაძლებლობასა და ძალას განახორციელოს ეს დამხობა. ბურჟუაზია გლეხობას და მთელ წვრილბურჟუაზიულ ფენებს აჭუცმაცებს, ქსაქსავს, პროლეტარიატს კი აკავშირებს, აერთიანებს, რაზმავს. მხოლოდ პროლეტარიატს, — იმ ეკონომიური როლის გამო, რომელსაც იგი ასრულებს მსხვილ წარმოებაში, — შესწევს უნარი იყოს ბელადი მ თ ე ლ ი მშრომელი და ექსპლოატირებული მასებისა, რომლებსაც ბურჟუაზია ექსპლოატაციას უწევს, ჩაგრავს, თრგუნავს ხშირად არა ნაკლებად, არამედ უფრო ძლიერადაც, ვიდრე პროლეტარებს, მაგრამ რომლებსაც არა აქვთ უნარი დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ იბრძოლონ თავიანთი განთავისუფლებისათვის.

კლასობრივი ბრძოლის მოძღვრება, რაც მარქსმა მიუყენა სახელმწიფოს და სოციალისტურ რევოლუციის საკითხს, აუცილებლად იწვევს პროლეტარიატის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბ ა ტ ო ნ ო ბ ი ს, მისი დიქტატურის აღიარებას, ე. ი. ისეთი ხელისუფლების აღიარებას, რომელიც არავის არ უნაწილდება და უშუალოდ ემყარება მასების შეიარაღებულ ძალას. ბურჟუაზიის დამხობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმით, რომ პროლეტარიატი გადაიქცეს გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ ულ კ ლ ა ს ად, რომელსაც ექნება უნარი დათრგუნოს ბურჟუაზიის გარდუვალი, გააფთრებული წინააღმდეგობა და დარაზმოს მეურნეობის ახალი წყობისათვის მ თ ე ლ ი მშრომელი და ექსპლოატირებული მასები.

პროლეტარიატისათვის აუცილებელია სახელმწიფო ძალაუფლება, ძალის ცენტრალიზებული ორგანიზაცია, ძალდატანების ორგანიზაცია ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვისთვისაც და სოციალისტური მეურნეობის «მოწესრიგების» საქმეში მოსახლეობის უზარმაზარი მასის,

გლეხობის, წვრილი ბურჟუაზიისა და ნახევრადპროლეტარების მიმართ ხელმძღვანელობის გასაწევად ა ც.

მარქსიზმი, მუშათა პარტიას რომ ზრდის, იგი ზრდის პროლეტარიატის ავანგარდს, რომელსაც შეეძლება ხელთ აიღოს ძალაუფლება და გაუძღვეს მთელ ხალხს სოციალიზმისაკენ, წარმართოს და მოაწყოს ახალი წყობილება, იყოს ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასწავლებელი, ხელმძღვანელი, ბელადი უბურჟუაზიოდ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის საქმეში. პირიქით, ამჟამად გაბატონებული ოპორტუნიზმი მუშათა პარტიიდან ზრდის მეტი ხელფასის მქონე მუშების წარმომადგენლებს, რომლებიც სწყდებიან მასებს, გვარიანად «ეწყობიან» კაპიტალიზმის დროს, ოსპის შეჭამადში ჰყიდიან პირმშოობის უფლებას, ე. ი. უარს ამბობენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ ხალხის რევოლუციური ბელადების როლზე.

«სახელმწიფო, ესე იგი გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატი», — მარქსის ეს თეორია განუყრელად დაკავშირებულია მთელ მის მოძღვრებასთან პროლეტარიატის რევოლუციური როლის შესახებ ისტორიაში. ამ როლის დაგვირგვინება არის პროლეტარული დიქტატურა, პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობა.

მაგრამ ვის პროლეტარიატს ესაჭიროება სახელმწიფო, როგორც ძალადატანების განსაკუთრებული ორგანიზაცია ბურჟუაზიის წინააღმდეგ, აქედან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა, შესაძლებელია თუ არა ასეთი ორგანიზაციის შექმნა ისე, თუ წინასწარ არ იქნა მოსპობილი, არ იქნა დამსხვრეული ის სახელმწიფო მანქანა, რომელიც ბურჟუაზიას თავისთვის შეუქმნია? ამ დასკვნამდე პირდაპირ მივყავართ «კომუნისტურ მანიფესტს» და ამ დასკვნაზე ლაპარაკობს მარქსი, როდესაც აჯამებს 1848 — 1851 წლების რევოლუციის გამოცდილების შედეგებს.

2. რევოლუციის შედეგები

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე სახელმწიფოს შესახებ მარქსი 1848 — 1851 წლების რევოლუციის შედეგებს შემდეგი **შჯელობით** აჯამებს, თხზულებიდან «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა»:

...«მაგრამ რევოლუცია საფუძვლიანია. ის ჯერ კიდევ სალხინებელში მოგზაურობს. თავის საქმეს ის პეთოდურად ასრულებს. 1851 წლის 2 დეკემბრამდე» (ამ დღეს ლუი ბონაპარტმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა) «მან თავისი მოსამზადებელი მუშაობის ერთი ნახევარი დაამთავრა, ახლა იგი მეორე ნახევარს ამთავრებს. ჯერ მან პარლამენტური ხელისუფლება სრულყო, რომ მისი დამხობა შესძლებოდა. ახლა, რაკი ამას მიაღწია, აღმასრულებელ ხელისუფლებას სრულყოფს, მას უწმინდეს გამოსახულებას **აძლევს, ანცალკევებს,** თავის თავს უპირისპირებს, როგორც ერთადერთ ობიექტს, რომ ყველა თავისი ძალა მის განადგურებლად მოიკრიბოს» (ხაზგასმა ჩვენია). «და როდესაც ის თავისი მოსამზადებელი მუშაობის ამ მეორე ნახევარს დაამთავრებს, ევროპა თავისი ადგილიდან წარმოდგება და ზარზეიმით წამოიძახებს: რა კარგად გითხრია, ძველო თხუნელავ!

ეს აღმასრულებელი ხელისუფლება, მისი უზარმაზარი ბიუროკრატიული და სამხედრო ორგანიზაციით, მისი რთული და ხელოვნური სახელმწიფოებრივი მექანიზმით, ნახევარმილიონიანი მოხელეთა არმიით და ამდენივე სამხედრო არმიით, ეს საშინელი პარაზიტული ორგანიზმი, რომელიც ბადესავით გარს ეხვევა საფრანგეთის საზოგადოების სხეულს და მას ყველა სვრეტს უცობს, წარმოიშვა აბსოლუტური მონარქიის დროს ფეოდალიზმის დაცემისას, რის დაჩქარებასაც მან ხელი შეუწყო». საფრანგეთის პირველმა რევოლუციამ განავითარა ცენტრალიზაცია, «მაგ-

რამ ამასთან ერთად გააფართოვა მთავრობის ხელისუფლების მოცულობა, ატრიბუტები და გაადიდა ხელშემწყობთა რიცხვი. ნაპოლეონმა სრულყო ეს სახელმწიფო მანქანა». ლეგიტიმისტურ მონარქიას და ივლისის მონარქიას «არაფერი მიუმატებიათ მისთვის, გარდა შრომის უფრო მეტი დანაწილებისა»...

...«დასასრულ, პარლამენტური რესპუბლიკა იძულებული შეიქნა რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რეპრესიულ ზომებთან ერთად, გაეძლიერებინა მთავრობის ხელისუფლების სახსრები და ცენტრალიზაცია. **ყველა გადატრიალება აუმჯობესებდა ამ მანქანას იმის ნაცვლად, რომ ის დაემსხვრია»** (ხაზგასმა ჩვენია). «პარტიებს, რომლებიც ერთმანეთს ცვლიდნენ და ბატონობისათვის იბრძოდნენ, ამ კეთებერთელა სახელმწიფო შენობის დაუფლება მიაჩნდათ გამარჯვების მთავარ ნადავლად» («თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა», გვ. 98 — 99, გამოც. მე-4, ჰამბურგი, 1907 წ.) [100].

ამ შესანიშნავ მსჯელობაში მარქსიზმი უზარმაზარ ნაბიჯს დგამს წინ «კომუნისტურ მანიფესტთან» შედარებით. იქ სახელმწიფოს საკითხი ჯერ კიდევ მეტისმეტად აბსტრაქტულად, ძალიან ზოგადი ცნებებისა და გამოთქმების სახით ისმება. აქ საკითხი კონკრეტულად არის დაყენებული, და დასკვნაც გამოყვანილია უაღრესად ზუსტი, გარკვეული, პრაქტიკულად ხელშესახები: ყველა წინანდელი რევოლუცია აუმჯობესებდა სახელმწიფო მანქანას, საჭირო კი არის მისი დამტვრევა, დამსხვრევაო.

ეს დასკვნა მთავარია, ძირითადია მარქსიზმის მოძღვრებაში სახელმწიფოს შესახებ. და სწორედ ეს ძირითადი არათუ სრულიად დავიწყებულია გაბატონებული ოფიციალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების მიერ, არამედ პირდაპირ დამახინჯებულიცაა (როგორც ქვემოთ დავინახავთ) II ინტერნაციონალის უთვალსაჩინოესი თეორეტიკოსის კ. კაუცკის მიერ.

«კომუნისტურ მანიფესტში» შეჯამებულია ისტორიის საერთო შედეგები, რომლებიც გვაიძულებენ მივიჩნიოთ სახელმწიფო კლასობრივი ბატონობის ორგანოდ და რომლებსაც იმ აუცილებელ დასკვნამდე მივყავართ, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია დაამხოს ბურჟუაზია ისე, თუ მან ჯერ არ დაიპყრო პოლიტიკური ძალაუფლება, არ მოიპოვა პოლიტიკური ბატონობა, არ გადააქცია სახელმწიფო «გაბატონებულ კლასად ორგანიზებულ პროლეტარიატად», და რომ ეს პროლეტარული სახელმწიფო მაშინვე, როგორც კი გაიმარჯვებს, იწყებს კვდომას, ვინაიდან საზოგადოებაში, სადაც კლასობრივი წინააღმდეგობა არ არსებობს, სახელმწიფო საჭირო არ არის და შეუძლებელია. აქ არ ისმის საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს — ისტორიული განვითარების თვალსაზრისით — ბურჟუაზიული სახელმწიფოს ეს შეცვლა პროლეტარული სახელმწიფოთი.

სწორედ ასეთ საკითხს აყენებს და წყვეტს მარქსი 1852 წელს. თავისი დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიის ერთგული, მარქსი საფუძვლად იღებს რევოლუციის დიადი წლების — 1848 — 1851 წლების — ისტორიულ გამოცდილებას. მარქსის მოძღვრება აქაც — ისევე როგორც ყოველთვის — არის გამოცდილების შეჯამება, გაშუქებული ღრმა ფილოსოფიური მსოფლმხედველობით და ისტორიის მდიდარი ცოდნით.

სახელმწიფოს საკითხი კონკრეტულად ისმის: როგორ წარმოიშვა ისტორიულად ბურჟუაზიული სახელმწიფო, ბურჟუაზიის ბატონობისათვის აუცილებელი სახელმწიფო მანქანა? როგორია მისი ცვლილებანი, როგორია მისი ევოლუცია ბურჟუაზიული რევოლუციების მსვლელობაში და ჩაგრული კლასების დამოუკიდებელი გამოსვლების დროს? როგორია პროლეტარიატის ამოცანები ამ სახელმწიფო მანქანის მიმართ?

ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლება, რაც ბურჟუაზიული საზოგადოების დამახასიათებელია, წარმოიშვა აბსოლუტიზმის დაცემის ეპოქაში. ამ სახელმწიფო

მანქანისათვის ყველაზე მეტად ორი დაწესებულებაა დამახასიათებელი: მოხელეობა და მუდმივი არმია. ეს დაწესებულებები რომ ათასი ძაფით დაკავშირებულია სწორედ ბურჟუაზიასთან, ამაზე არაერთხელ არის ლაპარაკი მარქსისა და ენგელსის თხზულებებში. ყოველი მუშის გამოცდილება უაღრესად თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად ცხადყოფს ამ კავშირს. მუშათა კლასი თავის ზურგზე სწავლობს ამ კავშირის გაგებას, — და ამიტომაც არის, რომ ის ასე ადვილად სწვდება და ასე მტკიცედ ითვისებს ამ კავშირის გარდუვალობის მეცნიერებას, მეცნიერებას, რომელსაც წვრილბურჟუაზიული დემოკრატები ან უმეცრად და ქარაფშუტულად უარყოფენ, ან კიდევ «საერთოდ» აღიარებენ უფრო ქარაფშუტულად, — მაგრამ სათანადო პრაქტიკული დასკვნების გამოყვანას ივიწყებენ.

მოხელეობა და მუდმივი არმია, ეს «პარაზიტია» ბურჟუაზიული საზოგადოების სხეულზე, პარაზიტი, წარმოშობილი იმ შინაგანი წინააღმდეგურობით, რომელიც ღრღნის ამ საზოგადოებას, მაგრამ სწორედ ისეთი პარაზიტი, რომელიც სასიცოცხლო ფორებს «გმანავს». ოფიციალურ სოციალ-დემოკრატიაში ამჟამად გაბატონებულ კაუცკიანურ ოპორტუნიზმს შეხედულება სახელმწიფოზე, როგორც პ ა რ ა ზ ი ტ უ ლ ო რ გ ა ნ ი ზ მ ზ ე, ანარქიზმის სპეციალურ და განსაკუთრებულ კუთვნილებად მიაჩნია. რასაკვირველია, მარქსიზმის ეს დამახინჯება უაღრესად ხელსაყრელია იმ ფილისტერებისათვის, რომლებმაც სოციალიზმი ისეთ გაუგონარ შერცხვენამდე მიიყვანეს, რომ ამართლებენ და ალამაზებენ იმპერიალისტურ ომს მის მიმართ «სამშობლოს დაცვის» ცნების გამოყენების გზით, მაგრამ მაინც ეს უეჭველი დამახინჯებაა.

ყველა ბურჟუაზიული რევოლუციის გზით, რომელიც ევროპას მრავალზე-მრავალი უნახავს ფეოდალიზმის დაცემის დროიდან, ხდება ამ მოხელეობრივი და სამხედრო აპარატის განვითარება, გაუმჯობესება, განმტკიცება. კერძოდ, სწორედ წვრილ ბურჟუაზიას მიიზიდავენ ხოლმე მსხვილი

ბურჟუაზიის მხარეზე და უმორჩილებენ ამ უკანასკნელს მნიშვნელოვნად ამ აპარატის საშუალებით, რომელიც გლეხობის, წვრილი ხელოსნების, ვაჭრებისა და სხვათა ზედაფენებს აძლევს შედარებით ხელსაყრელ, მშვიდ და საპატიო ადგილებს, რაც მათ მფლობელებს ხალხზე ზემოთ აყენებს. აიღეთ ის, რაც მოხდა რუსეთში ნახევარი წლის მანძილზე 1917 წ. 27 თებერვლის შემდეგ: მოხელეთა ადგილები, რომლებიც უპირატესად შავრაზმელებს ეძლეოდა, კადეტების, მენშევიკებისა და ესერების დავლის საგანი გახდა. არსებითად, არავითარ სერიოზულ რეფორმებზე არ ფიქრობდნენ, ცდილობდნენ გადაედოთ ისინი «დამფუძნებელ კრებამდე» — ხოლო დამფუძნებელი კრება ნელ-ნელა გადაედოთ ომის დამთავრებამდე! ნადავლის გაყოფას კი, მინისტრების, მინისტრის ამხანაგების, გენერალ-გუბერნატორებისა და სხვათა და სხვათა ადგილების დაკავებას არ აგვიანებდნენ და არავითარ დამფუძნებელ კრებას არ ელოდებოდნენ! მთავრობის შემადგენლობის გამო კომბინაციების გათამაშება, არსებითად, მხოლოდ გამოხატულება იყო ამ «ნადავლის» გაყოფისა და გადაყოფისა, რაც ხდებოდა ზევითაც და ქვევითაც, მთელ ქვეყანაში, მთელ ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობაში. 1917 წ. 27 თებერვლიდან 27 აგვისტომდე გასული ნახევარი წლის შედეგი, ობიექტური შედეგი უეჭველია: რეფორმები გადადებულია, მოხელეთა ადგილები გაყოფილია, და გაყოფის «შეცდომები» გამოსწორებულია რამდენიმე ხელახალი გაყოფით.

მაგრამ რაც უფრო ხშირია მოხელეთა აპარატის «გადაყოფა» სხვადასხვა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიათა შორის (რუსეთის მაგალითი რომ ავიღოთ, კადეტებსა, ესერებსა და მენშევიკებს შორის), მით უფრო აშკარა ხდება ჩაგრული კლასებისათვის და მათ სათავეში მდგომი პროლეტარიატისათვის, — მათი შეურიგებელი მტრობა მთელი ბურჟუაზიული საზოგადოებისადმი. ამ ფაქტიდან წარმოსდგება აუცილებლობა ყველა ბურჟუაზიული პარტიისათვის, მათ შორის ყველაზე დემოკრატიული და «რევოლუციურ-

დემოკრატიული» პარტიებისთვისაც კი, გააძლიერონ რეპრესიები რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ, განამტკიცონ რეპრესიების აპარატი, ე. ი. იგივე სახელმწიფო მანქანა. მოვლენათა ასეთი მსვლელობა აიძულებს რევოლუციას «ნგრევის მთელი ძალები მოიკრიბოს» სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ, აიძულებს ამოცანად დაისახოს არა სახელმწიფო მანქანის გაუმჯობესება, არამედ მისი დანგრევა, მოსპობა.

ამოცანის ასეთი დაყენება გამოიწვია არა ლოგიკურმა მსჯელობამ, არამედ მოვლენების ნამდვილმა განვითარებამ, 1848 — 1851 წლების ცოცხალმა გამოცდილებამ. თუ რამდენად მტკიცედა დგას მარქსი ისტორიული გამოცდილების ფაქტიურ ბაზაზე, ეს ჩანს იქიდან, რომ 1852 წელს ის ჯერ კიდევ არ აყენებს კონკრეტულად საკითხს, თუ რით უნდა შეიცვალოს ეს მოსასპობი სახელმწიფო მანქანა. გამოცდილება მაშინ ჯერ კიდევ არ იძლეოდა მასალას ასეთი საკითხისათვის, რომელიც ისტორიამ დღის წესრიგში დააყენა უფრო გვიან, 1871 წელს. 1852 წელს ბუნებისმეტყველის დაკვირვების სიზუსტით მხოლოდ იმის აღნიშვნა შეიძლებოდა, რომ პროლეტარული რევოლუცია **მიადგა** ამოცანას — «ნგრევის მთელი ძალები მოეკრიბა» სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ, — მიადგა სახელმწიფო მანქანის «დამსხვრევის» ამოცანას.

აქ შეიძლება წამოიჭრას საკითხი, სწორია თუ არა მარქსის გამოცდილების, დაკვირვებისა და დასკვნების განზოგადება, მათი უფრო ფართო ფარგლებზე გადატანა, ვიდრე არის საფრანგეთის სამი წლის, 1848 — 1851 წლების, ისტორია? ამ საკითხის გასარკვევად ჯერ გავიხსენოთ ენგელსის ერთი შენიშვნა, შემდეგ კი გადავიდეთ ფაქტიურ მონაცემებზე.

> ...«საფრანგეთი — წერდა ენგელსი «თვრამეტი ბრიუმერის» მე-3 გამოცემის წინასიტყვაობაში — ის ქვეყანაა, სადაც კლასების ისტორიული ბრძოლა უფრო მეტად, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ყოველთვის გადამწყვეტ

შედეგს აღწევდა. საფრანგეთში ყველაზე უფრო მკვეთრად ყალიბდებოდა ის ცვალებადი პოლიტიკური ფორმები, რომელთა შიგნითაც ეს კლასობრივი ბრძოლა წარმოებდა და რომლებშიც თავის გამოხატულებას ჰპოულობდნენ მისი შედეგები. საფრანგეთმა, შუა საუკუნეებში ფეოდალიზმის ცენტრმა, რენესანსის დროიდან ერთსახოვანი წოდებრივი მონარქიის სანიმუშო ქვეყანამ, დიდი რევოლუციის დროს გაანადგურა ფეოდალიზმი და დაამყარა ბურჟუაზიის წმინდა ბატონობა ისეთი კლასიკური სიცხადით, როგორც ეს ევროპის არც ერთ სხვა ქვეყანას არ უქნია, და აღმდგარი პროლეტარიატის ბრძოლაც გაბატონებული ბურჟუაზიის წინააღმდეგ აქ თავს იჩენს ისეთი მწვავე ფორმით, როგორიც უცნობია სხვა ქვეყნებისათვის» (გვ. 4, 1907 წ. გამოცემა).

ეს უკანასკნელი შენიშვნა მოძველდა, რამდენადაც 1871 წლიდან დროებით შეწყდა საფრანგეთის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლა, თუმცა ეს შეწყვეტა, რაც უნდა ხანგრძლივი იყოს იგი, სრულიადაც არა სპობს იმის შესაძლებლობას, რომ მომავალ პროლეტარულ რევოლუციაში საფრანგეთმა თავი იჩინოს, როგორც კლასების გადამწყვეტ შედეგამდე ბრძოლის კლასიკურმა ქვეყანამ.

მაგრამ ზოგადად გადავავლოთ თვალი მოწინავე ქვეყნების XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამდეგის ისტორიას. ჩვენ დავინახავთ, რომ უფრო ნელა, უფრო მრავალნაირად, მაგრამ გაცილებით უფრო ფართო ასპარეზზე ხდებოდა სწორედ იგივე პროცესი, — ერთი მხრივ, ყალიბდებოდა «პარლამენტური ხელისუფლება» როგორც რესპუბლიკურ ქვეყნებში (საფრანგეთი, ამერიკა, შვეიცარია), ისე მონარქიულ ქვეყნებში (ინგლისი, გერმანია რამდენადმე, იტალია, სკანდინავიის ქვეყნები და ა. შ.), — მეორე მხრივ, წარმოებდა სხვადასხვა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების ბრძოლა ძალაუფლებისათვის, რომელნიც იყოფნენ და ხელახლა ინაწილებდნენ მოხელეთა ადგილების

«ნადავლს», ბურჟუაზიული წყობილების საფუძვლების შეუცვლელად, — დასასრულ, უმჯობესდებოდა და მტკიცდებოდა «აღმასრულებელი ხელისუფლება», მისი მოხელეობრივი და სამხედრო აპარატი.

სრულიად უეჭველია, რომ ეს არის საზოგადოდ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მთელი უახლესი ევოლუციის საერთო ნიშნები. სამი წლის — 1848 — 1851 წლების მანძილზე საფრანგეთმა სწრაფი, მკვეთრი, კონცენტრირებული ფორმით გვიჩვენა განვითარების სწორედ ის პროცესები, რომლებიც მთელ კაპიტალისტურ სამყაროს ახასიათებენ.

განსაკუთრებით კი იმპერიალიზმი, საბანკო კაპიტალის ეპოქა, უზარმაზარი კაპიტალისტური მონოპოლიების ეპოქა, მონოპოლისტური კაპიტალიზმის **სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტურ** კაპიტალიზმად გადაზრდის ეპოქა, გვიჩვენებს «სახელმწიფო მანქანის» არაჩვეულებრივ გაძლიერებას, მისი მოხელეობრივი და სამხედრო აპარატის გაუგონარ ზრდას, როგორც მონარქიულ, ისე ყველაზე თავისუფალ, რესპუბლიკურ ქვეყნებში პროლეტარიატის წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერებასთან დაკავშირებით.

უეჭველია, მსოფლიო ისტორიას ახლა შეუდარებლად უფრო ფართო მასშტაბით მივყავართ, ვიდრე ეს იყო 1852 წელს, პროლეტარული რევოლუციის «მთელი ძალების მოკრებისაკენ» სახელმწიფო **მანქანის «დასანგრევად»**.

თუ რით შესცვლის მას პროლეტარიატი, ამის შესახებ ფრიად საგულისხმო მასალა მოგვცა პარიზის კომუნამ.

3. მარქსის მიერ საკითხის დასმა 1852 წელს *

1907 წელს მერინგმა ჟურნალ **«Neue Zeit»**-ში [101] (XXV, 2, 164) გამოაქვეყნა ნაწყვეტები მარქსის 1852 წ. 5 მარტის წერილიდან ვეიდემეიერისადმი. ეს წერილი შეიცავს, სხვათა შორის, შემდეგ შესანიშნავ მსჯელობას:

«რაც შემეხება მე, მე არ მეკუთვნის არც თანამედროვე საზოგადოებაში კლასების არსებობისა და არც მათ

* მეორე გამოცემის დამატება.

შორის ბრძოლის აღმოჩენის დამსახურება. ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა დიდი ხნით ჩემზე ადრე გადმოსცეს კლასთა ამ ბრძოლის ისტორიული განვითარება, ხოლო ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა — კლასების ეკონომიური ანატომია. ის ახალი, რაც მე გავაკეთე, იმის დამტკიცებაში მდგომარეობს: 1) რომ კლასების არსებობა დაკავშირებულია წარმოების განვითარების მხოლოდ განსაზღვრულ ისტორიულ ფაზებთან (**historische Entwicklungsphasen der Produktion**), 2) რომ კლასთა ბრძოლას აუცილებლად მივყავართ პროლეტარიატის დიქტატურამდე, 3) რომ თვით ეს დიქტატურა წარმოადგენს მხოლოდ გადასვლას ყოველგვარი კლასის მოსპობისა და უკლასო საზოგადოებისაკენ»... [102]

ამ სიტყვებში მარქსმა შესძლო გასაოცარი სიცხადით გამოეხატა, ჯერ ერთი, თავისი მოძღვრების მთავარი და ძირითადი განსხვავება ბურჟუაზიის მოწინავე და ყველაზე ღრმა მოაზროვნეთა მოძღვრებისაგან, და მეორეც, სახელმწიფოს შესახებ თავისი მოძღვრების არსი.

მარქსის მოძღვრებაში მთავარია კლასობრივი ბრძოლაო. ასე ამბობენ და წერენ ძალიან ხშირად. მაგრამ ეს მართალი არ არის. და ამ შეცდომიდან ძალიან ხშირად გამომდინარეობს მარქსიზმის ოპორტუნისტული დამახინჯება, მისი გაყალბება ბურჟუაზიისათვის მისაღები სახით. ვინაიდან კლასობრივი ბრძოლის მოძღვრება შექმნილია არა მარქსის მიერ, არამედ ბურჟუაზიის მიერ მარქსამდე და, საერთოდ რომ ითქვას, იგი მისაღებია ბურჟუაზიისათვის. ვინც მხოლოდ კლასების ბრძოლას აღიარებს, ის ჯერ კიდევ არ არის მარქსისტი, ის შეიძლება ჯერ კიდევ არ სცილდებოდეს ბურჟუაზიული აზროვნებისა და ბურჟუაზიული პოლიტიკის ფარგლებს. მარქსიზმის შემოფარგლა კლასების ბრძოლის მოძღვრებით იმას ნიშნავს, რომ შეკვეცო მარქსიზმი, დაამახინჯო იგი, აქციო იმად, რაც მისაღებია ბურჟუაზიისათვის. მარქსისტი მხოლოდ ის არის, ვინც კლასების ბრძოლის აღიარებას პროლეტარიატის დიქტატურის

აღიარებამდე განავრცობს. ეს არის მარქსისტის ყველაზე ღრმა განსხვავება ჩვეულებრივი წვრილი (და აგრეთვე მსხვილი) ბურჟუისაგან. ამ სასინჯით უნდა შემოწმდეს მარქსიზმის ნამდვილი გაგება და აღიარება. და გასაკვირი როდია, რომ როდესაც ევროპის ისტორიამ მუშათა კლასი პრაქტიკულად მიიყვანა ხსენებულ საკითხთან, მაშინ არათუ ყველა ოპორტუნისტი და რეფორმისტი, არამედ ყველა «კაუცკელიც» (რეფორმიზმსა და მარქსიზმს შორის მერყეევი ადამიანები) პროლეტარიატის დიქტატურის უარმყოფელი უბადრუკი ფილისტერები და წვრილბურჟუაზიული დემოკრატები აღმოჩნდნენ. კაუცკის ბროშურა «პროლეტარიატის დიქტატურა», რომელიც გამოვიდა 1918 წ. აგვისტოში, ე. ი. წინამდებარე წიგნაკის პირველი გამოცემის დიდი ხნის შემდეგ, არის სამით მარქსიზმის ფილისტერული დამახინჯებისა და მისი საზიზღარი უარყოფისა, ხოლო სიტყვით მისი თვალთმაქცური აღიარების ნიმუში (იხ. ჩემი ბროშურა: «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი», პეტროგრადი და მოსკოვი, 1918 წ.).

თანამედროვე ოპორტუნიზმს, მისი მთავარი წარმომადგენლის, ყოფილი მარქსისტის კ. კაუცკის სახით, მთლიანად მიუდგება მარქსის მიერ ბურჟუაზიული პოზიციის დახასიათება, ვინაიდან ეს ოპორტუნიზმი კლასობრივი ბრძოლის აღიარების სფეროს ბურჟუაზიულ ურთიერთობათა სფეროთი ფარგლავს. (ხოლო ამ სფეროს შიგნით, მის ფარგლებში არც ერთი განათლებული ლიბერალი არ იტყვის უარს — «პრინციპულად» აღიაროს კლასობრივი ბრძოლა!) ოპორტუნიზმს კლასობრივი ბრძოლის აღიარება არ მიჰყავს სწორედ უმთავრესამდე, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდამდე, ბურჟუაზიის დამხობისა და მისი სრული მოსპობის პერიოდამდე. სინამდვილეში ეს პერიოდი აუცილებლად წარმოადგენს უმაგალითოდ გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის, მისი უმაგალითოდ მწვავე ფორმების პერიოდს, და, მაშასადამე, ამ პერიოდის სახელმწიფოც გარდუვალად უნდა იყოს ახლებურად დემო-

კრატიული (პროლეტართა და საერთოდ უქონელთათვის) და ა ხ ლ ე ბ უ რ ა დ დიქტატორული (ბურჟუაზიის წინააღმდეგ).

შემდეგ. სახელმწიფოს შესახებ მარქსის მოძღვრების არსი შეთვისებულ აქვს მხოლოდ იმას, ვინც გაიგო, რომ ერთი კლასის დიქტატურა აუცილებელია არა მარტო ყოველი კლასობრივი საზოგადოებისათვის საერთოდ, არა მარტო პროლეტარიატისათვის, რომელსაც ბურჟუაზია დაუმხია, არამედ მთელი იმ ისტორიული პერიოდისთვისაც, რომელიც კაპიტალიზმს ჰყოფს «უკლასო საზოგადოებისაგან», კომუნიზმისაგან. ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ფორმები უაღრესად ნაირნაირია, მაგრამ მათი არსი ერთია: ყველა ეს სახელმწიფო ასე თუ ისე, მაგრამ საბოლოო ანგარიშით აუცილებლად ბურჟუაზიის დიქტატურას წარმოადგენს. კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ მოგვცეს პოლიტიკური ფორმების დიდი სიმრავლე და ნაირნაირობა, მაგრამ არსი ამასთან გარდუვალად ერთი იქნება: პროლეტარიატის დიქტატურა.

თავი III

სახელმწიფო და რევოლუცია. 1871 წლის პარიზის კომუნის გამოცდილება. მარქსის ანალიზი

1. რაშია კომუნარების ცდის გმირობა?

ცნობილია, რომ კომუნამდე რამდენიმე თვით ადრე, 1870 წლის შემოდგომაზე, მარქსი აფრთხილებდა პარიზელ მუშებს და ამტკიცებდა, რომ მთავრობის დამხობის ცდა სასოწარკვეთილებით გამოწვეული სისულელე იქნებოდაო. მაგრამ როდესაც 1871 წლის მარტში მუშებს თავს მოახვიეს გადამწყვეტი ბრძოლა და ისინი ჩაებნენ ამ ბრძოლაში, როდესაც აჯანყება ფაქტი გახდა, მარქსი, მიუხედავად ცუდის მომასწავებელი ნიშნებისა, უდიდესი აღტაცებით მიესალმა პროლეტარულ რევოლუციას. მარქსს პედანტური ჯიუტობით არ გაუკიცხავს «უდროო მოძრაობა», როგორც ეს

ჩაიდინა სავალალოდ ცნობილმა მარქსიზმის რუსმა რენეგატმა პლეხანოვმა, რომელიც 1905 წლის ნოემბერს თავის ნაწერებში ბრძოლის სულისკვეთებას უნერგავდა მუშებსა და გლეხებს, ხოლო 1905 წლის დეკემბრის შემდეგ ლიბერალურად გაიძახოდა: «ხელი არ უნდა მოგვეკიდნა იარაღისთვისაო».

მაგრამ მარქსი არა მარტო აღტაცებული იყო კომუნარების გმირობით, რომლებიც, მისი სიტყვით, «ზეცას უტევდნენ». მასობრივ რევოლუციურ მოძრაობაში, თუმცა ამ მოძრაობამ მიზანს ვერ მიაღწია, იგი ხედავდა უდიდესი მნიშვნელობის ისტორიულ ცდას, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გარკვეულ წინგადადგმულ ნაბიჯს, ისეთ პრაქტიკულ ნაბიჯს, რომელსაც მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ასობით პროგრამასა და მსჯელობას. ამ გამოცდილების ანალიზი, მისგან ტაქტიკის გაკვეთილების გამოყვანა, მის საფუძველზე თავისი თეორიის გადასინჯვა — აი როგორ დააყენა თავისი ამოცანა მარქსმა.

«კომუნისტური მანიფესტის» ერთადერთი «შესწორება», რომელიც მარქსმა აუცილებლად მიიჩნია, მან გააკეთა პარიზელი კომუნარების რევოლუციური გამოცდილების საფუძველზე.

«კომუნისტური მანიფესტის» ახალი გერმანული გამოცემის უკანასკნელი წინასიტყვაობა, ხელმოწერილი მისი ორივე ავტორის მიერ, დათარიღებულია 1872 წლის 24 ივნისით. ამ წინასიტყვაობაში ავტორები, კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, ამბობენ, რომ «კომუნისტური მანიფესტის» პროგრამა «ახლა ალაგ-ალაგ მოძველებულია».

> ...«განსაკუთრებით — განაგრძობენ ისინი — კომუნამ დაამტკიცა, რომ «მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოდ დაეუფლოს მზა სახელმწიფო მანქანას და აამუშაოს იგი თავისი საკუთარი მიზნებისათვის»»... [103]

ამ ციტატის ის სიტყვები, რომლებიც მეორე ბრჭყალებშია ჩასმული, მისი ავტორების მიერ აღებულია მარქსის თხზულებიდან: «სამოქალაქო ომი საფრანგეთში».

— ამრიგად, პარიზის კომუნის ერთი ძირითადი და მთავარი გაკვეთილი მარქსსა და ენგელსს ისეთი უდიდესი მნიშვნელობის მქონედ მიაჩნდათ, რომ მათ იგი შეიტანეს «კომუნისტურ მანიფესტში», როგორც არსებითი შესწორება.

მეტისმეტად დამახასიათებელია, რომ სწორედ ეს არსებითი შესწორება დაამახინჯეს ოპორტუნისტებმა, და მისი აზრი, ალბათ, უცნობია «კომუნისტური მანიფესტის» მკითხველთა ცხრა მეათედისათვის, თუ ოთხმოცდაცხრამეტი მეასედისათვის არა. ამ დამახინჯებაზე ჩვენ ვილაპარაკებთ ქვემოთ, იმ თავში, რომელიც სპეციალურად მიეძღვნება დამახინჯებებს. ახლა კი საკმარისი იქნება აღვნიშნოთ, რომ მარქსის ცნობილი, ჩვენ მიერ მოყვანილი, ნათქვამის გავრცელებული, ვულგარული «გაგება» იმაში მდგომარეობს, თითქოს მარქსი აქ ხაზს უსვამდეს ნელი განვითარების იდეას ძალაუფლების დაპყრობის საპირდაპიროდ და სხვა ამგვარი.

სამწუხაროდ კი **სწორედ პირიქითაა.** მარქსის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მუშათა კლასმა უნდა **დაანგრიოს, დაამსხვრიოს** «მზა სახელმწიფო მანქანა» და კი არ დასჯერდეს მის უბრალო დაპყრობას.

1871 წლის 12 აპრილს, ე. ი. სწორედ კომუნის დროს, მარქსი სწერდა კუგელმანს:

> ...«თუ გადახედავ ჩემი «თვრამეტი ბრიუმერის» უკანასკნელ თავს, დაინახავ, რომ საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ ცდად მე ვაცხადებ არა სამხედრო-ბიუროკრატიული მანქანის ერთი ხელიდან მეორეში გადაცემას, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, არამედ მის **დამსხვრევას»** (ხაზგასმა მარქსისაა; ორიგინალში არის **zerbrechen**), «და სწორედ ასეთია წინასწარი პირობა ყოველი ნამდვილი ხალხური რევოლუციისა კონტინენტზე, სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი გმირი პარიზელი ამხანაგების ცდა» (გვ. 709, «**Neue Zeit**», XX, 1,

წელი 1901 — 1902) [104]. (მარქსის წერილები კუგელმანისადმი რუსულად გამოვიდა სულ ცოტა ორ გამოცემად, ერთი მათგანი — ჩემი რედაქციითა და წინასიტყვაობით *.)

ამ სიტყვებში: «ბიუროკრატიულ-სამხედრო სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა» მოკლედ გამოთქმულია მარქსიზმის მთავარი გაკვეთილი იმ საკითხის შესახებ, თუ როგორია რევოლუციაში პროლეტარიატის ამოცანები სახელმწიფოს მიმართ. და სწორედ ეს გაკვეთილი არათუ სავსებით დაივიწყა, არამედ პირდაპირ დაამახინჯა მარქსიზმის გაბატონებულმა, კაუცკიანურმა «განმარტებამ»!

რაც შეეხება მარქსის მიერ «თვრამეტი ბრიუმერის» დამოწმებას, ჩვენ ზემოთ მთლიანად მოვიყვანეთ სათანადო ადგილი.

საინტერესოა განსაკუთრებით აღინიშნოს მარქსის ამ მსჯელობის ორი ადგილი. ჯერ ერთი, ის თავის დასკვნას კონტინენტით ზღუდავს. ეს გასაგები იყო 1871 წელს, როდესაც ინგლისი ჯერ კიდევ წმინდა კაპიტალისტური ქვეყნის ნიმუშს წარმოადგენდა, მაგრამ იქ სამხედრო ხროვა არ იყო გაბატონებული და არც ბიუროკრატია იყო მაინცდამაინც მომძლავრებული. ამიტომ მარქსი გამორიცხავდა ინგლისს, სადაც რევოლუცია, სახალხო რევოლუციაც კი, წარმოსადგენი იყო და მაშინ შესაძლებელი იყო წინასწარი პირობის გარეშე — «მზა სამხედრო მანქანის» დაუმსხვრევლად.

ახლა, 1917 წელს, პირველი დიდი იმპერიალისტური ომის გაპოჭაში, მარქსის მიერ მიღებული ეს შეზღუდვა იხსნება: ინგლისიც და ამერიკაც — უდიდესი და უკანასკნელი წარმომადგენლები მთელ მსოფლიოში ანგლოსაქსური «თავისუფლებისა» იმ აზრით, რომ იქ არ იყო სამხედრო ხროვა და ბიუროკრატიზმი, სავსებით ჩაეფლნენ იმ ბიუროკრატიულ-სამხედრო დაწესებულებათა საერთო-ევროპულ ბინძურ, სისხლიან ჭაობში, რომლებიც ყველაფერს იმორჩი-

* იხ. ოხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 12, გვ. 111 — 122. რედ.

ლებენ, ყველაფერს თრგუნავენ. ახლა ინგლისშიც და ამერიკაშიც «ყოველი ნამდვილი ხალხური რევოლუციის წინასწარი პირობაა» «მზა» (იქ 1914 — 1917 წლებში «საერთო-ევროპულ», საერთო-იმპერიალისტურ სრულყოფამდე მიყვანილი) «სახელმწიფო მანქანის» **დამსხვრევა, დანგრევა.**

მეორეც, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მარქსის მეტად ღრმააზროვანი შენიშვნა, რომ ბიუროკრატიულ-სამხედრო სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა «ყოველი ნამდვილი ხალხური რევოლუციის წინასწარ პირობას» წარმოადგენს. მარქსის მხრივ უცნაური ჩანს ეს «ხალხური» რევოლუციის ცნება, და რუს პლეხანოველებსა და მენშევიკებს, სტრუვეს ამ მიმდევრებს, რომლებსაც სურთ მარქსისტებად ითვლებოდნენ, შეუძლიათ კიდევაც განაცხადონ, მარქსს ეს სიტყვა «წამოსცდაო». მათ მარქსიზმი ისეთ უბადრუკ-ლიბერალურ დამახინჯებამდე ჩამოაქვეითეს, რომ მათთვის ბურჟუაზიული და პროლეტარული რევოლუციის დაპირისპირების გარდა არაფერი არ არსებობს, და ეს დაპირისპირებაც მათ წარმოუდგენლად უსიცოცხლოდ აქვთ გაგებული.

მაგალითისათვის XX საუკუნის რევოლუციები რომ ავიღოთ, მაშინ, რა თქმა უნდა, პორტუგალიის რევოლუციაც და თურქეთის რევოლუციაც ბურჟუაზიულ რევოლუციად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ «ხალხური» არც ერთია და არც მეორე, ვინაიდან ხალხის მასა, მისი დიდი უმრავლესობა აქტიურად, დამოუკიდებლად, თავისი საკუთარი ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნებით არც ერთ, არც მეორე რევოლუციაში შესამჩნევად არ გამოდის. პირიქით, რუსეთის 1905 — 1907 წლების ბურჟუაზიული რევოლუცია, თუმცა მას არა ჰქონია ისეთი «ბრწყინვალე» წარმატებანი, როგორიც ხანდახან წილად ხვდებოდა ხოლმე პორტუგალიისა და თურქეთის რევოლუციებს, მაინც, უეჭველია, «ნამდვილი ხალხური» რევოლუცია იყო, ვინაიდან ხალხის მასა, მისი უმრავლესობა, საზოგადოების ულრმესი «ქვედაფენები», ჩაგვრითა და ექსპლოატაციით გასრესილნი, დამოუკიდებლად დგებოდნენ ფეხზე, მათ რევოლუციის მთელ მსვლელობას დაასვეს ბეჭედი თ ა ვ ი-

ა წ თ ი მოთხოვნებისა, თ ა ვ ი ა ნ თ ი ცდებისა — თავისებურად აეშენებინათ ახალი საზოგადოება ძველი საზოგადოების ნაცვლად, რომელსაც ისინი ანგრევდნენ.

1871 წლის ევროპაში კონტინენტზე პროლეტარიატი არც ერთ ქვეყანაში არ შეადგენდა ხალხის უმრავლესობას. «ხალხური» რევოლუცია, რომელიც მოძრაობაში აბამს ნამდვილ უმრავლესობას, შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, თუ იგი პროლეტარიატსაც და გლეხობასაც მოიცავს. სწორედ ეს ორი კლასი შეადგენდა მაშინ «ხალხს». ორივე ეს კლასი გაერთიანებულია იმით, რომ «ბიუროკრატიულ-სამხედრო სახელმწიფო მანქანა» ჩაგრავს, თრგუნავს, ექსპლოატაციას უწევს მათ. ამ მანქანის დ ა მ ს ხ ვ რ ე ვ ა, მისი დ ა ნ გ რ ე ვ ა — ასეთია «ხალხის», მისი უმრავლესობის, მუშებისა და გლეხთა უმრავლესობის ნამდვილი ინტერესი, ასეთია «წინასწარი პირობა» უღარიბეს გლეხთა თავისუფალი კავშირისა პროლეტარებთან, ხოლო თუ ასეთი კავშირი არ არის, ისე მტკიცე არ არის დემოკრატია და შეუძლებელია სოციალისტური გარდაქმნა.

როგორც ცნობილია, სწორედ ასეთი კავშირისაკენ იკაფავდა გზას პარიზის კომუნა, რომელმაც მიზანს ვერ მიაღწია საშინაო და საგარეო ხასიათის მთელი რიგი მიზეზების გამო.

მაშასადამე, მარქსი, როდესაც «ნამდვილად ხალხურ რევოლუციაზე» ლაპარაკობდა, სრულიადაც არ იკიწყებდა წვრილი ბურჟუაზიის თავისებურებებს (მათ შესახებ ის ბევრსა და ხშირად ლაპარაკობდა), და ზედმიწევნით ითვალისწინებდა კლასების ფაქტიურ თანაფარდობას ევროპის მეტწილ კონტინენტურ სახელმწიფოებში 1871 წელს. მეორე მხრივ კი, ის აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო მანქანის «დამსხვრევას» მოითხოვს როგორც მუშების, ისე გლეხების ინტერესები, ეს «დამსხვრევა» მათ აერთიანებს, მათს წინაშე აყენებს საერთო ამოცანას — თავიდან მოიშორონ «პარაზიტი» და რაიმე ახლით შესცვალონ იგი.

სახელდობრ რით?

2. რით შეიცვალოს დამსხვრეული სახელმწიფო მანქანა?

ამ კითხვაზე მარქსი 1847 წელს, «კომუნისტურ მანიფესტში», იძლეოდა ჯერ კიდევ სრულიად აბსტრაქტულ პასუხს, უფრო სწორად, ისეთ პასუხს, რომელიც მიუთითებდა ამოცანებზე, მაგრამ არა მათი გადაწყვეტის საშუალებებზე. უნდა შეიცვალოს «პროლეტარიატის ორგანიზაციით გაბატონებულ კლასად», «დემოკრატიის მოპოვებით» — ასეთი იყო «კომუნისტური მანიფესტის» პასუხი.

მარქსი არ ეძლეოდა უტოპიებს და მასობრივი მოძრაობის გამოცდილებიდან ელოდა იმ კითხვის პასუხს, თუ რა კონკრეტულ ფორმებად ჩამოყალიბდება პროლეტარიატის, როგორც გაბატონებული კლასის, ეს ორგანიზაცია, სახელდობრ რანაირად მოხდება ამ ორგანიზაციის შეთავსება «დემოკრატიის» ყველაზე სრულ და თანამიმდევარ «მოპოვებასთან».

კომუნის გამოცდილებას, თუმცა მცირე იყო იგი, მარქსი უდიდესი ყურადღებით უკეთებს ანალიზს ნაშრომში «სამოქალაქო ომი საფრანგეთში». მოვიყვანოთ უმნიშვნელოვანესი ადგილები ამ თხზულებიდან:

> XIX საუკუნეში განვითარდა შუა საუკუნეებიდან მომდინარე «ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლება თავისი ყველგან მყოფი ორგანოებით: მუდმივი ჯარით, პოლიციით, ბიუროკრატიით, სამღვდელოებით, მოსამართლეთა წოდებით». კაპიტალსა და შრომას შორის კლასობრივი ანტაგონიზმის განვითარებასთან ერთად «სახელმწიფო ხელისუფლება სულ უფრო და უფრო იღებდა შრომის მჩაგვრელი საზოგადოებრივი ხელისუფლების ხასიათს, კლასობრივი ბატონობის მანქანის ხასიათს. ყოველი რევოლუციის შემდეგ, რომელიც გარკვეულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის განვითარებაში, სულ უფრო და უფრო აშკარად მჟღავნდება სახელმწიფო ხელისუფლე-

ბის მჩაგვრელობითი ხასიათი». სახელმწიფო ხელისუფლება 1848 — 1849 წლების რევოლუციის შემდეგ «შრომის წინააღმდეგ კაპიტალის ომის ნაციონალური იარაღი» ხდება.

«კომუნა იმპერიის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა». «იგი იყო გარკვეული ფორმა» «ისეთი რესპუბლიკისა, რომელსაც უნდა მოესპო არა მარტო მონარქიული ფორმა კლასობრივი ბატონობისა, არამედ თვით კლასობრივი ბატონობაც»...

სახელდობრ რაში მდგომარეობდა პროლეტარული, სოციალისტური რესპუბლიკის ეს «გარკვეული» ფორმა? როგორი იყო ის სახელმწიფო, რომლის შექმნაც მან დაიწყო?

...«კომუნის პირველი დეკრეტი სპობდა მუდმივ ჯარს და მას სცვლიდა შეიარაღებული ხალხით»...

ეს მოთხოვნა ახლა შეტანილია ყველა იმ პარტიის პროგრამებში, რომლებსაც სურთ სოციალისტურ პარტიებად იწოდებოდნენ. მაგრამ თუ რა ფასი აქვს მათს პროგრამებს, ეს ყველაზე უკეთ ჩანს ჩვენი ესერებისა და მენშევიკების ქცევა-მოქმედებიდან, რომლებმაც სინამდვილეში სწორედ 27 თებერვლის რევოლუციის შემდეგ უარი თქვეს ამ მოთხოვნის განხორციელებაზე!

...«კომუნა შესდგა ქალაქის ხმოსნებისაგან, რომელნიც პარიზის სხვადასხვა უბანში საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე იქნენ არჩეულნი. ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ და მათი გამოცვლა ყოველთვის შეიძლებოდა. თავისთავად იგულისხმება, რომ მათი უმრავლესობა მუშებისაგან ან მუშათა კლასის ცნობილი წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა»...

...«პოლიციას, რომელიც დღემდე ცენტრალური ხელისუფლების იარაღი იყო, დაუყოვნებლივ ჩამოერთვა ყველა მისი პოლიტიკური ფუნქცია, და ის გადაიქცა კომუნის პასუხისმგებელ ორგანოდ, რომლის გამო-

ცვლა ყოველ ჟამს შეიძლებოდა. იგივე ბედი ეწია მმართველობის ყველა დანარჩენი დარგის მოხელეებსაც... კომუნის წევრებით დაწყებული, ყველას უკლებლივ, საზოგადოებრივი სამსახურის შესრულებისათვის მუშის ხელფასი უნდა მისცემოდა. უმაღლეს სახელმწიფო მოხელეთა ყოველგვარი პრივილეგია და მათთვის საწარმომადგენლო თანხების გაცემა გაქრა თვით ამ მოხელეებთან ერთად... მუდმივი ჯარისა და პოლიციის, ძველი მთავრობის მატერიალური ძალაუფლების ამ იარაღების მოსპობისთანავე, კომუნა დაუყოვნებლივ შეუდგა სულიერი ჩაგვრის იარაღის, ხუცების ძალის შემუსვრას... მოსამართლეებმა დაკარგეს თავიანთი მოჩვენებითი დამოუკიდებლობა... ამიერიდან ისინიც უნდა ყოფილიყვნენ აშკარად არჩეულნი, პასუხისმგებელნი და შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მათი გამოცვლა»... [105]

ამრიგად, დამსხვრეული სახელმწიფო მანქანა კომუნამ შესცვალა თითქოს «მხოლოდ» უფრო სრული დემოკრატიით: მუდმივი არმიის მოსპობა, ყველა თანამდებობის პირთა სრული არჩევითობა და გამოცვლის შესაძლებლობა. მაგრამ სინამდვილეში ეს «მხოლოდ» ნიშნავს ერთ დაწესებულებათა გიგანტურ შეცვლას პრინციპულად სხვაგვარი დაწესებულებებით. აქ ვხედავთ სწორედ «რაოდენობის თვისებრიობად გადაქცევის» ერთ-ერთ შემთხვევას: დემოკრატია, ისეთი უდიდესი სისრულითა და თანამიმდევრობით გატარებული, როგორც ეს საერთოდ წარმოსადგენია, ნაცვლად ბურჟუაზიული დემოკრატიისა იქცევა პროლეტარულ დემოკრატიად, ნაცვლად სახელმწიფოსი (= განსაკუთრებული ძალა გარკვეული კლასის დასათრგუნავად) რაღაც ისეთად, რაც უკვე არ არის საკუთრივ სახელმწიფო.

ბურჟუაზიისა და მისი წინააღმდეგობის დათრგუნვა ჯერ კიდევ აუცილებელია. კომუნისათვის ეს განსაკუთრებით აუცილებელი იყო, და მისი დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მან ეს არასაკმაოდ გადაჭრით

მოიმოქმედა. მაგრამ დამთრგუნავ ორგანოს აქ უკვე წარმოადგენს მოსახლეობის უმრავლესობა, და არა უმცირესობა, როგორც ეს იყო ყოველთვის მონობის დროსაც, ბატონყმობის დროსაც და დაქირავებული მონობის დროსაც. ხოლო რაკი ხალხის უმრავლესობა თვითონ თრგუნავს თავის მჩაგვრელებს, «განსაკუთრებული ძალა» დასათრგუნავად **უკვე საჭირო არ არის!** ამ აზრით სახელმწიფო იწყებს კვდომას. ნაცვლად პრივილეგიური უმცირესობის განსაკუთრებული დაწესებულებებისა (პრივილეგიური მოხელეები, მუდმივი არმიის უფროსები) თვითონ უმრავლესობას შეუძლია უშუალოდ შეასრულოს ეს, ხოლო რაც უფრო საყოველთაო-სახალხო ხდება თვით სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების შესრულება, მით უფრო ნაკლებად საჭირო ხდება ეს ხელისუფლება.

ამ მხრივ განსაკუთრებით შესანიშნავია კომუნის ღონისძიება, რომელსაც ხაზს უსვამს მარქსი: საწარმომადგენლო ფულის ყოველგვარი გაცემის, მოხელეთა ყოველგვარი პრივილეგიის გაუქმება, სახელმწიფოს ყველა თანამდებობის პირის გასამრჯელოს დაყვანა «მუშის ხელფასის» დონემდე.

სწორედ აქ ყველაზე თვალსაჩინოდ აშკარავდება გარდატეხა — ბურჟუაზიული დემოკრატიიდან პროლეტარული დემოკრატიისაკენ, მჩაგვრელი დემოკრატიიდან ჩაგრული კლასების დემოკრატიისაკენ, სახელმწიფოდან, როგორც გარკვეული კლასის დათრგუნვის «განსაკუთრებული ძალიდან», ხალხის უმრავლესობის, მუშებისა და გლეხების საყოველთაო ძალით მჩაგვრელთა დათრგუნვისაკენ. და სწორედ ამ განსაკუთრებით თვალსაჩინო საკითხზე — სახელმწიფოს საკითხზე, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტში, მარქსის გაკვეთილები ყველაზე მეტად დავიწყებულია! პოპულარულ კომენტარებში — რაც უთვალავია — ამაზე არ ლაპარაკობენ. «მიღებულია», რომ ამაზე არაა თქვან რა, თითქოს ისეთ «გულუბრყვილობაზე», რომელსაც თავისი დრო მოუჭამია, — მსგავ-

სად იმისა, როგორც ქრისტიანებს, როცა მათ სახელმწიფო რელიგიის მდგომარეობას მიაღწიეს, «დაავიწყდათ» დემოკრატიულ-რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული პირვანდელი ქრისტიანობის «გულუბრყვილობანი».

უმაღლეს სახელმწიფო მოხელეთა გასამრჯელოს შემცირება გულუბრყვილო, პრიმიტიული დემოკრატიზმის «უბრალო» მოთხოვნად ჩანს. უახლესი ოპორტუნიზმის ერთერთ «დამაარსებელს», ყოფილ სოციალ-დემოკრატს ედ. ბერნშტეინს არაერთხელ უვარჯიშნია «პრიმიტიული» დემოკრატიზმის უხამსი ბურჟუაზიული დაცინვის განმეორებაში. როგორც ყველა ოპორტუნისტმა, როგორც ახლანდელმა კაუცკელებმა, მან სრულიად ვერ გაიგო ის, რომ, ჯერ ერთი, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ისე, თუ არ მოხდა ერთგვარი «დაბრუნება» «პრიმიტიული» დემოკრატიზმისაკენ (ვინაიდან სხვაგვარად როგორ უნდა მოხდეს მოსახლეობის უმრავლესობისა და უკლებლივ მთელი მოსახლეობის გადასვლა სახელმწიფო ფუნქციების შესრულებაზე?), მეორეც, რომ «პრიმიტიული დემოკრატიზმი» კაპიტალიზმისა და კაპიტალისტური კულტურის ბაზაზე ის როდია, რაც არის პრიმიტიული დემოკრატიზმი პირველყოფილ ან წინაკაპიტალისტურ ხანებში. კაპიტალისტურმა კულტურამ შ ე ქ მ ნ ა მსხვილი წარმოება, ფაბრიკები, რკინიგზები, ფოსტა, ტელეფონი და სხვ., ხოლო ა მ ბ ა ზ ა ზ ე ძველი «სახელმწიფო ხელისუფლების» ფუნქციების დიდი უმრავლესობა ისე გამარტივდა და ისე შეიძლება დაყვანილ იქნას რეგისტრაციის, ჩაწერის, შემოწმების უმარტივეს ოპერაციებამდე, რომ ეს ფუნქციები სავსებით ხელმისაწვდომი გახდება წერა-კითხვის მცოდნე ყველა ადამიანისათვის, ამ ფუნქციების შესრულება სავსებით შესაძლებელი იქნება ჩვეულებრივ «მუშის ხელფასად», შეიძლება (და საჭიროც არის) წაერთვას ამ ფუნქციებს რაიმე პრივილეგიურის, «მბრძანებლურის» ყოველგვარი ნასახი.

. უკლებლივ ყველა თანამდებობის პირის სრული არჩევითობა, მათი ყოველ ჟამს გამოცვლის შესაძლებლობა, მათი ჯამაგირის დაყვანა ჩვეულებრივ «მუშის ხელფასამდე», ეს მარტივი და «თავისთავად გასაგები» დემოკრატიული ღონისძიებანი, სავსებით აერთიანებენ რა მუშებისა და გლეხთა უმრავლესობის ინტერესებს, ამავე დროს წარმოადგენენ ხიდს, რომელსაც კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ მივყავართ. ეს ღონისძიებანი ეხებიან საზოგადოების სახელმწიფოებრივ, წმინდა-პოლიტიკურ გარდაქმნას, მაგრამ, ცხადია, მთელი თავისი აზრი და მნიშვნელობა მათ მხოლოდ მაშინ ეძლევათ, როცა ისინი დაკავშირებული არიან «ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის» განხორციელებასთან ან მომზადებასთან, ე. ი. წარმოების საშუალებათა კაპიტალისტური კერძო საკუთრების გადაქცევასთან საზოგადოებრივ საკუთრებად.

«კომუნამ — წერდა მარქსი — სიმართლედ აქცია ყველა ბურჟუაზიული რევოლუციის ლოზუნგი, იაფი მთავრობა, მოსპო რა ხარჯების ორი უდიდესი მუხლი, არმია და მოხელეობა».

გლეხობიდან, ისევე როგორც წვრილი ბურჟუაზიის სხვა ფენებიდან, მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობა «იწევს მაღლა», «კაცი ხდება» ბურჟუაზიული აზრით, ე. ი. იქცევა ან შეძლებულ ადამიანად, ბურჟუად, ან უზრუნველყოფილ და პრივილეგიურ მოხელედ. გლეხობის დიდი უმრავლესობა ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში, სადაც კი არის გლეხობა (ხოლო ასეთი კაპიტალისტური ქვეყნები უმრავლესობას შეადგენენ), დაჩაგრულია მთავრობის მიერ და მოწყურებულია მის დამხობას, მოწყურებულია «იაფ» მთავრობას. ამის განხორციელება მ ხ ო ლ ო დ პროლეტარიატს შეუძლია, და ამის განხორციელებით იგი ამასთან ერთად დგამს ნაბიჯს სახელმწიფოს სოციალისტური გარდაქმნისაკენ.

3. პარლამენტარიზმის მოსპობა

«კომუნა — წერდა მარქსი — უნდა ყოფილიყო არა პარლამენტური დაწესებულება, არამედ მომუშავე კორპორაცია, ერთსა და იმავე დროს კანონმდებლობა და კანონების აღმასრულებელიც»...

...«საყოველთაო საარჩევნო უფლებას, ნაცვლად იმისა, რომ ყოველი სამი ან ექვსი წლის განმავლობაში ერთხელ გადაეწყვიტა, თუ გაბატონებული კლასის რომელი წევრი უნდა წარმოადგენდეს და თრგუნავდეს (**ver-und zertreten**) ხალხს პარლამენტში, ამის ნაცვლად მას სამსახური უნდა გაეწია კომუნებად ორგანიზებული ხალხისათვის, რათა გამოეძებნა თავისი საწარმოსათვის მუშები, ზედამხედველები, ბუღალტრები, ისევე როგორც ინდივიდუალური საარჩევნო უფლება ამავე მიზნით სამსახურს უწევს ყოველ სხვა დამქირავებელს».

პარლამენტარიზმის ეს შესანიშნავი კრიტიკაც, მოცემული 1871 წელს, ახლა, სოციალ-შოვინიზმისა და ოპორტუნიზმის ბატონობის წყალობით, მარქსიზმის «დავიწყებული სიტყვების» რიცხვს ეკუთვნის. მინისტრებმა და პარლამენტარებმა პროფესიით, პროლეტარიატის მოღალატეებმა და ჩვენი დროის «საჭმოსანმა» სოციალისტებმა პარლამენტარიზმის კრიტიკა სავსებით დაუთმეს ანარქისტებს, და ამ გასაოცრად-გონივრულ საფუძველზე «ანარქიზმად» გამოაცხადეს პარლამენტარიზმის **ყოველგვარი** კრიტიკა!! რა გასაკვირია, თუ «მოწინავე» პარლამენტური ქვეყნების პროლეტარიატი, რაკი ზიზღს გრძნობდა ისეთი «სოციალისტების» დანახვისას, როგორიც არიან შეიდემანები, დავიდები, ლეგინები, სამბები, რენოდელები, ჰენდერსონები, ვანდერველდეები, სტაუნინგები, ბრანტინგები, ბისოლატები და კომპ., სულ უფრო ხშირად ეკიდებოდა სიმპათიით **ანარქიზმ-სინდიკალიზმს**, მიუხედავად იმისა, რომ იგი ოპორტუნიზმის ღვიძლი ძმა იყო.

მაგრამ მარქსისათვის რევოლუციური დიალექტიკა არასოდეს არ ყოფილა ისეთი ცარიელი მოდური და ჟღარუნა ფრაზა, როგორ ფრაზადაც იგი გადააქციეს პლეხანოვმა, კაუცკიმ და სხვებმა. მარქსი დაუზოგავად ებრძოდა ანარქიზმს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს უნარი არ ჰქონდა გამოეყენებინა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის «ბოსელიც» კი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აშკარად არ არის რევოლუციური სიტუაცია, მაგრამ ამავე დროს მარქსს ჰქონდა უნარი პარლამენტარიზმის მართლაც რევოლუციურ-პროლეტარული კრიტიკაც მოეცა.

რამდენიმე წელიწადში ერთხელ გადაწყვეტა იმისა, თუ გაბატონებული კლასის რომელმა წევრმა უნდა დათრგუნოს, გასრისოს ხალხი პარლამენტში — აი ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ნამდვილი არსი, არა მარტო პარლამენტურ-კონსტიტუციურ მონარქიებში, არამედ ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკებშიც.

მაგრამ თუ დავსვამთ სახელმწიფოს საკითხს, თუ განვიხილავთ პარლამენტარიზმს, როგორც სახელმწიფოს ერთერთ დაწესებულებას პროლეტარიატის ამოცანების თვალსაზრისით ა მ დარგში, მაშინ სადღა არის გამოსავალი პარლამენტარიზმიდან? როგორღა შეიძლება შეველიოთ მას?

ისევ და ისევ უნდა ვთქვათ: მარქსის გაკვეთილები, კომუნის შესწავლაზე დაფუძნებული, იმდენად დავიწყებულია, რომ თანამედროვე «სოციალ-დემოკრატისათვის» (იგულისხმე: სოციალიზმის თანამედროვე გამცემლისათვის) პირდაპირ გაუგებარია პარლამენტარიზმის სხვანაირი კრიტიკა, გარდა ანარქისტული ან რეაქციული კრიტიკისა.

გამოსავალი პარლამენტარიზმიდან, რა თქმა უნდა, არის არა წარმომადგენლობითი დაწესებულებებისა და არჩევითობის მოსპობა, არამედ წარმომადგენლობითი დაწესებულებების გადაქცევა სალაყბოებიდან «მომუშავე» დაწესებულებად. «კომუნა უნდა ყოფილიყო არა პარლამენტური, არამედ მომუშავე დაწესებულება, ერთსა და იმავე დროს კანონმდებელიც და კანონების აღმასრულებელიც».

«არა პარლამენტური, არამედ მომუშავე» დაწესებულება, — ეს სიტყვები პირდაპირ ცხვირ-პირში ურტყამს თანამედროვე პარლამენტარებსა და სოციალ-დემოკრატიის პარლამენტურ «თვინიერ ფინიებს»! შეხედეთ რომელსაც გნებავთ პარლამენტურ ქვეყანას, ამერიკიდან შვეიცარიამდე, საფრანგეთიდან ინგლისამდე, ნორვეგიამდე და სხვ.: ნამდვილ «სახელმწიფოებრივ» მუშაობას კულისებში ეწევიან და ასრულებენ დეპარტამენტები, კანცელარიები, შტაბები. პარლამენტებში კი მხოლოდ ლაყბობენ იმ სპეციალური მიზნით, რომ ატყუონ «მდაბიო ხალხი». ეს იმდენად მართალია, რომ რუსეთის რესპუბლიკაშიც კი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მანამდე, ვიდრე იგი მოასწრებდეს ნამდვილი პარლამენტის შექმნას, უცებ იჩინა თავი პარლამენტარიზმის ყველა ამ ცოდვამ. დამპალი ფილისტერობის ისეთმა გმირებმა, როგორიც არიან სკობელევები და წერეთლები, ჩერნოვები და ავქსენტიევები, მოახერხეს საბჭოებიც გაეთახსირებინათ უსაზიზღრესი ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის მსგავსად, გადააქციეს რა ისინი ფუჭ სალაყბოებად. საბჭოებში ბატონი «სოციალისტი» მინისტრები ატყუებენ გულმხდობილ გლეხებს ყბედობითა და რეზოლუციებით. მთავრობაში გამართულია განუწყვეტელი კადრილი, რათა, ერთი მხრივ, რიგრიგად მიუსვან შემოსავლიანი და საპატიო ადგილების «ქადას» რაც შეიძლება მეტი ესერი და მენშევიკი, მეორე მხრივ, «თავშესაქცევი გაუჩინონ» ხალხს. ხოლო კანცელარიებში, შტაბებში «სახელმწიფოებრივ» სამუშაოზე «მუშაობენ»!

«სოციალისტ-რევოლუციონერთა» მმართველი პარტიის ორგანომ, «დელო ნაროდამ», ამას წინათ სარედაქციო მოწინავე სტატიაში აღიარა, — ისეთი უებრო გულახდილობით, როგორიც სჩვევიათ «კარგი საზოგადოების» ადამიანებს, სადაც «ყველა» პოლიტიკურ პროსტიტუციას მისდევს, — რომ იმ სამინისტროებშიც კი, რომლებიც ეკუთვნის «სოციალისტებს» (ბოდიში ამ სიტყვისათვის!), იქაც კი მოხელეთა მთელი აპარატი არსებითად ძველი დარ-

ჩენილა, ძველებურად მოქმედებს, სავსებით «თავისუფლად» ეწევა რევოლუციურ წამოწყებათა საბოტაჟს! ეს აღიარებაც რომ არ ყოფილიყო, განა მთავრობაში ესერებისა და მენშევიკების მონაწილეობის ფაქტიური ისტორიაც არ ამტკიცებს ამას? აქ დამახასიათებელია მხოლოდ ის, რომ ბატონ ჩერნოვებს, რუსანოვებს, ზენზინოვებს და «დელო ნაროდას» სხვა რედაქტორებს კადეტი მინისტრების საზოგადოებაში ყოფნისას იმდენად დაუკარგავთ სირცხვილი, რომ არ ეთაკილებათ საჯაროდ, გაუწითლებლად, თითქოს რაღაც უბრალო რამეზე, ილაპარაკონ, რომ «მათს» სამინისტროებში ყველაფერი ძველებურად არის დარჩენილი!! რევოლუციურ-დემოკრატიული ფრაზა სოფლელი მრამიტი ადამიანების გასაბრიყვებლად, ხოლო საქმის მოხელეობრივი კანცელარული გაჯანჯლება კაპიტალისტების «გულის მოსაგებად» — აი «პატიოსანი» კოალიციის ა რ ს ი.

ბურჟუაზიული საზოგადოების მოსყიდულ და დამპალ პარლამენტარიზმს კომუნა ისეთი დაწესებულებებით სცვლის, სადაც მსჯელობისა და განხილვის თავისუფლება მატყუარობად არ იქცევა, ვინაიდან პარლამენტარებმა თვითონ უნდა იმუშაონ, თვითონ უნდა შეასრულონ თავიანთი კანონები, თვითონ უნდა შეამოწმონ ის, თუ რა გამოდის ნამდვილად, თვითონ უშუალოდ უნდა აგონ პასუხი თავიანთ ამომრჩეველთა წინაშე. წარმომადგენლობითი დაწესებულებები რჩება, მაგრამ პარლამენტარიზმი, როგორც განსაკუთრებული სისტემა, როგორც კანონმდებლობითი და აღმასრულებელი შრომის დანაწილება, როგორც დეპუტატების პრივილეგიური მდგომარეობა, აქ ა რ ა რ ი ს. ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დემოკრატია, პროლეტარული დემოკრატიაც კი, თუ არ არის წარმომადგენლობითი დაწესებულებები, უპარლამენტარიზმოდ კი შეგვიძლია და უ ნ დ ა წარმოვიდგინოთ, თუკი ბურჟუაზიული საზოგადოების კრიტიკა ჩვენთვის ფუჭი სიტყვა არ არის, თუკი ბურჟუაზიის ბატონობის დამხობის მისწრაფება ჩვენი სერიოზული და გულწრფელი მის-

წრაფებაა და არა «საარჩევნო» ფრაზა მუშების ხმების მისაღებად, როგორც ეს სჩვევიათ მენშევიკებსა და ესერებს, შეიდემანებსა და ლეგინებს, სამბებსა და ვანდერველდეებს.

ძალიან საგულისხმოა, რომ, როცა მარქსი ლაპარაკობს იმ მოხელეობის ფუნქციებზე, რომელიც ესაჭიროება კომუნასაც და პროლეტარულ დემოკრატიასაც, ის შედარებისათვის იღებს «ყოველი სხვა დამქირავებლის» მოსამსახურეებს, ე. ი. ჩვეულებრივ კაპიტალისტურ საწარმოს მისი «მუშებით, ზედამხედველებითა და ბუღალტრებითურთ».

მარქსს ოდნავადაც კი არ ახასიათებს უტოპიზმი იმ აზრით, რომ ის თხზავდეს, იგონებდეს «ახალ» საზოგადოებას. არა, ის სწავლობს ახალი საზოგადოების წ ა რ მ ო შ ო ბ ა ს ძველი საზოგადოების **წიაღიდან,** მეორიდან პირველზე გარდამავალ ფორმებს, როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს. ის იღებს მასობრივი პროლეტარული მოძრაობის ფაქტიურ გამოცდილებას და ცდილობს გამოიყვანოს იქიდან პრაქტიკული გაკვეთილები. ის «სწავლობს» კომუნისაგან, ისე როგორც არც ერთი დიდი რევოლუციური მოაზროვნე არ გაურბოდა იმას, რომ ესწავლა ჩაგრული კლასის დიად მოძრაობათა გამოცდილებით, და ამავე დროს არასოდეს არ მიმართავს მათ პედანტური «რჩევა-დარიგებით» (პლეხანოვისებურად: «არ უნდა მოგვეკიდნა ხელი იარალისთვისაო» ან წერეთლისებურად: «კლასი თავს უნდა იზღუდავდესო»).

მოხელეობის ერთბაშად, ყველგან და საბოლოოდ მოსპობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ეს უტოპიაა. მაგრამ ძველი მოხელეობრივი მანქანის ერთბაშად დ ა მ ს ხ ვ რ ე ვ ა და ისეთი ახალი მანქანის შენების მაშინვე დაწყება, რომელიც შესაძლებელს გახდის თანდათან არარად აქციოს ძველი მოხელეობა, ეს უტოპია **არ არის,** ეს არის კომუნის გამოცდილება, ეს არის რევოლუციური პროლეტარიატის პირდაპირი, მორიგი ამოცანა.

კაპიტალიზმი ამარტივებს «სახელმწიფო» მმართველობის ფუნქციებს, შესაძლებლობას იძლევა უკუგდებულ იქნას «მბრძანებლობა» და დაყვანილ იქნას მთელი საქმე პროლეტარების (როგორც გაბატონებული კლასის) ორგანიზაციამდე, რომელიც მთელი საზოგადოების სახელით ქირაობს «მუშებს, ზედამხედველებს, ბუღალტრებს».

ჩვენ უტოპისტები არა ვართ. ჩვენ არ «ვოცნებობთ» იმაზე, რომ როგორმე ერთბაშად შეველიოთ ყოველგვარ მმართველობას, ყოველგვარ ხელქვეითობას; ეს ანარქისტული ოცნებანი, რაც პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანების გაუგებლობაზეა დამყარებული, სრულიად უცხოა მარქსიზმისათვის და სინამდვილეში ემსახურება მხოლოდ იმას, რომ სოციალისტური რევოლუცია გადაიდოს მანამდე, სანამ ადამიანები სხვანაირნი გახდებოდნენ. არა, ჩვენ გვინდა სოციალისტური რევოლუცია ისეთ ადამიანთა არსებობისას, როგორიც ისინი არიან ახლა, რომელნიც ვერ შეელევიან ხელქვეითობას, კონტროლს, «ზედამხედველებსა და ბუღალტრებს».

მაგრამ უნდა დაემორჩილონ ყველა ექსპლოატირებულისა და მშრომელის შეიარაღებულ ავანგარდს — პროლეტარიატს. ახლავე, დღეს თუ — ხვალ, შეიძლება დავიწყოთ სახელმწიფო მოხელეთა სპეციფიკური «მბრძანებლობის» შეცვლა «ზედამხედველებისა და ბუღალტრების» უბრალო ფუნქციებით, ფუნქციებით, რომლებიც უკვე ახლა სავსებით ხელმისაწვდომია მოქალაქეთა განვითარების დონისათვის საერთოდ და სავსებით შეიძლება შესრულებულ იქნას «მუშის ხელფასად».

თვითონ ჩვენ, მუშები, მოვაწყობთ მსხვილ წარმოებას, ამასთან დავემყარებით იმას, რაც უკვე შეუქმნია კაპიტალიზმს, დავეყრდნობით ჩვენს მუშურ გამოცდილებას, შევქმნით უსასტიკეს, რკინისებურ დისციპლინას, რომელსაც დაიცავს შეიარაღებული მუშების სახელმწიფო ხელისუფლება, და ამნაირად სახელმწიფო მოხელეებს გავხდით ჩვენი დავალებების უბრალო შემსრულებლებად, პასუხის-

მგებელ, ადვილად შესაცვლელ, ზომიერი ხელფასის მქონე «ზედამხედველებად და ბუღალტრებად» (რა თქმა უნდა, ყველა ჯურის, სახისა და ხარისხის ტექნიკოსებთან ერთად) — აი ჩვენი, პროლეტარული ამოცანა, აი საიდან შეიძლება და უნდა დავიწყოთ საქმე პროლეტარული რევოლუციის მოხდენის დროს. ასეთი დასაწყისი, მსხვილი წარმოების ბაზაზე, თავისთავად იწვევს ყოველგვარი მოხელეობის თანდათან «კვდომას», ისეთი წესწყობილების თანდათანობით შექმნას, — წესწყობილებისა უბრჭყალებოდ, წესწყობილებისა, რომელიც არა ჰგავს დაქირავებულ მონობას, — ისეთი წესწყობილებისა, როდესაც ზედამხედველობისა და ანგარიშგების სულ უფრო და უფრო გამარტივებულ ფუნქციებს ყველა რიგრიგობით შეასრულებს, ხოლო ეს ფუნქციები შემდეგ ჩვეულებად გადაიქცევა და, ბოლოს, გაქრება, როგორც ადამიანთა განსაკუთრებული ფენის განსაკუთრებული ფუნქციები.

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ერთმა გონებამახვილმა გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა ფოსტას სოციალისტური მეურნეობის ნიმუში უწოდა. ეს სავსებით სწორია. ახლა ფოსტა ისეთი მეურნეობაა, რომელიც სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური მონოპოლიის ტიპის მიხედვით არის მოწყობილი. იმპერიალიზმი თანდათან ყველა ამგვარი ტიპის ორგანიზაციებად აქცევს ყველა ტრესტს. «უბრალო» მშრომელებს, რომლებიც ძალზე დატვირთულნი არიან მუშაობით და შიმშილობენ, აქ თავს ადგას იგივე ბურჟუაზიული ბიუროკრატია. მაგრამ მეურნეობის საზოგადოებრივი გაძღოლის მექანიზმი აქ უკვე მზად არის. დავამხოთ კაპიტალისტები, შეიარაღებულ მუშათა რკინის ხელით გავტეხოთ ამ ექსპლოატატორების წინააღმდეგობა, დავამსხვრიოთ თანამედროვე სახელმწიფოს ბიუროკრატიული მანქანა — და ჩვენ ხელთ გვექნება «პარაზიტისაგან» განთავისუფლებული, ტექნიკურად კარგად მოწყობილი მექანიზმი, რომლის ამუშავებასაც სავსებით შესძლებენ თვითონ გაერთიანებული მუშები, ამასთან ისინი დაიქირავებენ ტექ-

ნიკოსებს, ზედამხედველებს, ბუღალტრებს და ყ ვ ე ლ ა ამათ შრომას, ისევე როგორც საერთოდ ყველა «სახელმწიფო მოხელის» მუშაობას, აანაზღაურებენ მუშის ხელფასით. აი კონკრეტული, პრაქტიკული ამოცანა, რომლის განხორციელება ახლავე შეიძლება ყველა ტრესტის მიმართ, ამოცანა, რომელიც მშრომელებს ათავისუფლებს ექსპლოატაციისაგან და ითვალისწინებს კომუნის მიერ უკვე პრაქტიკულად დაწყებულ ცდას (განსაკუთრებით სახელმწიფო მშენებლობის დარგში).

მ თ ე ლ ი სახალხო მეურნეობა, ფოსტასავით მოწყობილი, ისე, რომ ტექნიკოსები, ზედამხედველები, ბუღალტრები, როგორც ყ ვ ე ლ ა თანამდებობის პირნიც, იღებდნენ «მუშის ხელფასზე» არა-უმეტეს, შეიარაღებული პროლეტარიატის კონტროლისა და ხელმძღვანელობის ქვეშ — აი ჩვენი უახლოესი მიზანი. აი როგორი სახელმწიფო, აი რანაირ ეკონომიურ საფუძველზე მოწყობილი სახელმწიფოა ჩვენთვის აუცილებელი. აი რა გზით მოისპობა პარლამენტარიზმი და შენარჩუნებული იქნება წარმომადგენლობითი დაწესებულებანი, აი რა გაათავისუფლებს მშრომელ კლასებს ბურჟუაზიის მიერ ამ დაწესებულებათა გათახსირებისაგან.

4. ერის მთლიანობის ორგანიზაცია

...«ნაციონალური ორგანიზაციის იმ მოკლე ნარკვევში, რომლის შემდგომ დასამუშავებლად კომუნას დრო აღარ ჰქონდა, სავსებით გარკვეულად არის ნათქვამი, რომ კომუნა თვით უმცირესი სოფლის პოლიტიკურ ფორმად უნდა ქცეულიყო»... კომუნებიდან უნდა აერჩიათ აგრეთვე «ნაციონალური დელეგაცია» პარიზში წარსაგზავნად.

...«მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქციები, რომლებიც მაშინ კიდევ დარჩებოდა ცენტრალურ მთავრობას, როდი უნდა მოსპობილიყო, — ასეთი მტკიცება შეგნებული სიყალბე იქნებოდა, —

არამედ კომუნალურ, ე. ი. მკაცრად პასუხისმგებელ, მოხელეებს უნდა გადასცემოდა»...

...«ერის მთლიანობა კი არ უნდა მოსპობილიყო, არამედ, პირიქით, ორგანიზებული უნდა ყოფილიყო კომუნალური წყობილების საშუალებით. ერის მთლიანობა სინამდვილედ უნდა გადაქცეულიყო იმ სახელმწიფო ხელისუფლების მოსპობის გზით, რომელიც თავის თავს ამ მთლიანობის განსახიერებად თვლიდა, მაგრამ რომელსაც უნდოდა ერისაგან დამოუკიდებელი ყოფილიყო, მასზე მაღლა მდგარიყო. ნამდვილად კი ეს სახელმწიფო ხელისუფლება მხოლოდ პარაზიტულ ხორცმეტს წარმოადგენდა ერის სხეულზე». «ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ მოსპობილიყო ძველი მთავრობის ხელისუფლების ის ორგანოები, რომლებიც მხოლოდ ჩაგვრას ემსახურებოდნენ; მისი უფლებრივი ფუნქციები კი უნდა ჩამორთმეოდა იმ ხელისუფლებას, რომელიც თავის თავს საზოგადოებაზე მაღლა აყენებდა, და საზოგადოების პასუხისმგებელ მსახურთ გადასცემოდა».

თუ რამდენად ვერ გაიგეს თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტებმა, — შესაძლოა, უფრო სწორი იყოს ვთქვათ, არ მოისურვეს გაეგოთ, — მარქსის ეს მსჯელობა, ამას ყველაზე უკეთ გვიჩვენებს რენეგატ ბერნშტეინის ჰეროსტრატისებურად სახელგანთქმული წიგნი: «სოციალიზმის წანამძღვრები და სოციალ-დემოკრატიის ამოცანები». სწორედ მარქსის ზემომოყვანილი სიტყვების გამო ბერნშტეინი წერდა, რომ ეს პროგრამა «თავისი პოლიტიკური შინაარსით ყოველი არსებითი მხარეების მიხედვით ამყოვანებს უდიდეს მსგავსებას პრუდონის ფედერალიზმთან... მარქსსა და «წვრილ ბურჟუა» პრუდონს შორის არსებული ყველა სხვა განსხვავების მიუხედავად (ბერნშტეინი «წვრილ ბურჟუას» ბრჭყალებში სვამს, რაც, მისი აზრით, ირონიული უნდა იყოს), ამ პუნქტებში მათი აზრის მსვლელობა იმდენად უახლოვდება ერთმანეთს, რამდენადაც კი შესაძლებელია». რა თქმა უნდა, განაგრძობს ბერნშტეინი, — მუნიციპალიტეტების მნიშვნე-

ლობა იზრდება, მაგრამ «მე საეჭვოდ მეჩვენება, რომ დემოკრატიის პირველი ამოცანა იყოს თანამედროვე სახელმწიფოთა ისეთი გაუქმება (**Auflösung** — სიტყვასიტყვით: დათხოვნა, გათქვეფვა) და მათი ორგანიზაციის ისეთი სრული შეცვლა (**Umwandlung** — გადატრიალება), როგორც ეს წარმოუდგენიათ მარქსსა და პრუდონს — ნაციონალური კრების შექმნა პროვინციული ან საოლქო კრებების დელეგატებისაგან, კრებებისა, რომლებიც თავის მხრივ შეიქმნებოდა კომუნების დელეგატებისაგან, — ასე რომ ნაციონალურ წარმომადგენლობათა მთელი წინანდელი ფორმა სავსებით გაქრებოდა» (ბერნშტეინი, «წანამძღვრები», გვ. 134 და 136, 1899 წლის გერმანული გამოცემა).

ეს პირდაპირ გასაოცარია: ერთმანეთში აურიოთ მარქსის შეხედულებანი «სახელმწიფო ხელისუფლების — პარაზიტის» მოსპობის შესახებ და პრუდონიზმის ფედერალიზმი! მაგრამ ეს შემთხვევითი როდია, ვინაიდან ოპორტუნისტს აზრადაც კი არ მოსდის, რომ მარქსი აქ ლაპარაკობს სრულიადაც არა ფედერალიზმზე ცენტრალიზმის საპირისპიროდ, არამედ ძველი, ბურჟუაზიული, ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანაში არსებული, სახელმწიფო მანქანის დამსხვრევაზე.

ოპორტუნისტს მხოლოდ ის მოსდის აზრად, რასაც იგი ხედავს თავის ირგვლივ, მეშჩანური ფილისტერობისა და «რეფორმისტული» დახავსებულობის გარემოში, სახელდობრ მხოლოდ «მუნიციპალიტეტები»! პროლეტარიატის რევოლუციაზე ოპორტუნისტი ფიქრსაც კი გადაეჩვია.

ეს სასაცილოა. მაგრამ საგულისხმოა, რომ ამ პუნქტში ბერნშტეინს არ შეჰკამათებიან. ბერნშტეინის შეხედულებებს ბევრი აბათილებდა — განსაკუთრებით პლეხანოვი რუსულ ლიტერატურაში, კაუცკი — ევროპულში, მაგრამ არც ერთს, არც მეორეს ბერნშტეინის მიერ მარქსის ამ დამახინჯებაზე არაფერი უთქვამს.

ოპორტუნისტი იმდენად გადაეჩვია რევოლუციურად აზროვნებას და რევოლუციის შესახებ ფიქრს, რომ ის მარქსს «ფედერალიზმს» მიაწერს და მას ანარქიზმის ფუძემდებელ

პრუდონში ურევს. კაუცკი და პლეხანოვი კი, რომლებსაც სურვილი აქვთ ორთოდოქსი მარქსისტები იყვნენ და რევოლუციური მარქსიზმის მოძღვრება დაიცვან, ამაზე სდუმან! აქ არის ერთ-ერთი სათავე იმ შეხედულებათა უკიდურესი გაუხამსებისა, თუ რა განსხვავებაა მარქსიზმსა და ანარქიზმს შორის, — გაუხამსებისა, რომელიც ახასიათებს კაუცკელებსაც და ოპორტუნისტებსაც და რომლის შესახებ ჩვენ კიდევ მოგვიხდება ლაპარაკი.

მარქსის ზემომოყვანილ მსჯელობაში კომუნის გამოცდილების შესახებ ფედერალიზმის ნასახიც არ არის. მარქსი ეთანხმება პრუდონს სწორედ იმაში, რასაც ვერ ხედავს ოპორტუნისტი ბერნშტეინი. მარქსი არ ეთანხმება პრუდონს სწორედ იმაში, რაშიაც ბერნშტეინი მათ შორის მსგავსებას ხედავს.

მარქსი ეთანხმება პრუდონს იმაში, რომ ისინი ორივენი საჭიროდ სცნობენ თანამედროვე სახელმწიფო მანქანის «დამსხვრევას». არც ოპორტუნისტებს, არც კაუცკელებს არ სურთ დაინახონ მარქსიზმის ეს მსგავსება ანარქიზმთან (პრუდონთანაც და ბაკუნინთანაც), რადგან ისინი ამ პუნქტში დაშორდნენ მარქსიზმს.

მარქსი შორდება პრუდონსაც და ბაკუნინსაც სწორედ ფედერალიზმის საკითხში (პროლეტარიატის დიქტატურაზე რომ აღარაფერი ვთქვათ). ფედერალიზმი პრინციპულად გამომდინარეობს ანარქიზმის წვრილბურჟუაზიული შეხედულებებიდან. მარქსი ცენტრალისტია. და მის ზემომოყვანილ მსჯელობაში არავითარი გადახვევა არ არის ცენტრალიზმისაგან. მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებიც გაჟღენთილნი არიან სახელმწიფოსადმი «ცრუმორწმუნეობის რწმენით», შეუძლიათ ცენტრალიზმის მოსპობად მიიჩნიონ ბურჟუაზიული მანქანის მოსპობა!

თუ პროლეტარიატი და უღარიბესი გლეხობა ხელთ აიღებენ სახელმწიფო ძალაუფლებას, სავსებით თავისუფლად შეკავშირდებიან კომუნებად და გაანაწილებენ ყველა კომუნის მოქმედებას კაპიტალზე შესატევად, კაპიტალისტთა

წინააღმდეგობის გასატეხად, რკინიგზების, ფაბრიკების, მიწისა და სხვათა კერძო საკუთრების მ თ ე ლ ი ერისათვის, მთელი საზოგადოებისათვის გადასაცემად, განა ეს ცენტრალიზმი არ იქნება? განა ეს არ იქნება უალრესად თანამიმდევრული დემოკრატიული ცენტრალიზმი? და ამასთან პროლეტარული ცენტრალიზმი?

ბერნშტეინს ფიქრადაც კი არ მოსდის, რომ შესაძლებელია ნებაყოფლობითი ცენტრალიზმი, კომუნების ნებაყოფლობითი გაერთიანება ერად, პროლეტარული კომუნების ნებაყოფლობითი შეერთება ბურჟუაზიული ბატონობისა და ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დანგრევის საქმეში. ბერნშტეინს, ისევე როგორც ყოველ ფილისტერს, ცენტრალიზმი წარმოდგენილი აქვს, როგორც ისეთი რამ, რაც მხოლოდ ზემოდან, მხოლოდ მოხელეებისა და სამხედრო ხროვის საშუალებით შეიძლება თავს მოხვეული და შენარჩუნებული იქნას.

მარქსი განზრახ, თითქოს ითვალისწინებდეს თავის შეხედულებათა დამახინჯების შესაძლებლობას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომუნის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება, ვითომ მას უნდოდა მოესპო ერის მთლიანობა, გაეუქმებინა ცენტრალური ხელისუფლება, შეგნებული სიყალბეა. მარქსი განზრახ ხმარობს გამოთქმას «მოეწყოს ერის მთლიანობა», რათა შეგნებული, დემოკრატიული, პროლეტარული ცენტრალიზმი დაუპირისპიროს ბურჟუაზიულ, სამხედრო, მოხელეობრივ ცენტრალიზმს.

მაგრამ... ყოველ ყრუზე უარესია ის, ვისაც არ უნდა ისმინოს. სწორედ თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტებს არ უნდათ ისმინონ სახელმწიფო ხელისუფლების მოსპობა, პარაზიტის მოკვეთა.

5. პარაზიტი-სახელმწიფოს მოსპობა

ჩვენ უკვე მოვიყვანეთ მარქსის სათანადო სიტყვები და უნდა შევავსოთ ისინი.

...«ახალი ისტორიული შემოქმედების ჩვეულებრივი ბედი ისაა, — წერდა მარქსი, — რომ მას საზოგადოებ-

რივი ცხოვრების ძველი და თვით დრომოჭმული ფორმების მსგავსებად თვლიან, რომლებსაც ახალი დაწესებულებანი რამდენადმე ჰგავს. ასევე ეს ახალი კომუნაც, რომელიც ამსხვრევს (**bricht** — ამტვრევს) თანამედროვე სახელმწიფო ხელისუფლებას, მიიჩნიეს შუასაუკუნეობრივი კომუნის გაცოცხლებად... პატარა სახელმწიფოების კავშირად (მონტესკიე, ჟირონდისტები)... მეტისმეტი ცენტრალიზაციის წინააღმდეგ მიმართული ძველი ბრძოლის გაზვიადებულ ფორმად»...

...«კომუნალური წყობილება საზოგადოებრივ სხეულს დაუბრუნებდა მთელ იმ ძალებს, რასაც დღემდე ითქავდა ეს პარაზიტული ხორცმეტი — «სახელმწიფო», რომელიც საზოგადოების ხარჯზე საზრდოობს და მის თავისუფალ მოძრაობას აფერხებს. უკვე მარტო ეს წასწევდა წინ საფრანგეთის აღორძინების საქმეს»...

...«კომუნალური წყობილება სოფლის მწარმოებელთ ყოველი ოლქის მთავარი ქალაქების სულიერ ხელმძღვანელობას დაუმორჩილებდა და მათთვის იქ, ქალაქის მუშებს სახით, მათი ინტერესების ბუნებრივ წარმომადგენლებს უზრუნველყოფდა. უკვე თვით კომუნის არსებობიდან, როგორც თავისთავად ნაგულისხმევი, გამომდინარეობდა ადგილობრივი თვითმმართველობა, მაგრამ ეს უკანასკნელი აღარ წარმოადგენდა სახელმწიფო ხელისუფლების საწინააღმდეგო რამეს, — ხელისუფლებისა, რომელიც ახლა ზედმეტი ხდებოდა».

«მოსპობა სახელმწიფო ხელისუფლებისა», რომელიც «პარაზიტული ხორცმეტი» იყო, მისი «მოკვეთა», მისი «დანგრევა»; «სახელმწიფო ხელისუფლება ახლა ზედმეტი ხდება» — აი რა სიტყვებით ლაპარაკობს მარქსი სახელმწიფოს შესახებ, როდესაც აფასებს და ანალიზს უკეთებს კომუნას გამოცდილებას.

ყოველივე ეს დაწერილია ნახევარ საუკუნეზე ცოტა ნაკლები ხნის წინათ, და ახლა საჭირო ხდება თითქოს გათხრე-

ბის წარმოება, რათა ფართო მასების შეგნებამდე მივიტანოთ შეურყვნელი მარქსიზმი. იმ უკანასკნელი დიდი რევოლუციის დაკვირვებიდან გამოყვანილი დასკვნები, რომელსაც მარქსი მოესწრო, სწორედ მაშინ დაიწყეს, როდესაც პროლეტარიატის შემდგომი დიდი რევოლუციების ხანამ მოაღწია.

> ...«სხვადასხვანაირი განმარტება, რაც კომუნამ გამოიწვია, და მის მიერ გამოხატული ინტერესების სხვადასხვაობა, ამტკიცებენ, რომ იგი მეტისმეტად მოქნილი პოლიტიკური ფორმა იყო, მაშინ როდესაც მმართველობის ყველა წინანდელი ფორმა, არსებითად, ჩაგვრის ფორმები იყო. მისი ნამდვილი საიდუმლოება შემდეგში მდგომარეობდა: იგი იყო, არსებითად, მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს მ თ ა ვ რ ო ბ ა, შედეგი მწარმოებელი კლასის ბრძოლისა მიმთვისებელი კლასის წინააღმდეგ. იგი, ბოლოს და ბოლოს, იყო აღმოჩენილი პოლიტიკური ფორმა, რომლის დროსაც შესაძლებელი იყო შრომის ეკონომიური განთავისუფლება მომხდარიყო»...
>
> «ამ უკანასკნელი პირობის გარეშე კომუნალური წყობილება შეუძლებელი და მატყუარობა იქნებოდა»...

უტოპისტები ისეთი პოლიტიკური ფორმების «აღმოჩენით» იყვნენ გართულნი, რომელთა დროსაც უნდა მომხდარიყო საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნა. ანარქისტები საერთოდ გაურბოდნენ პოლიტიკური ფორმების საკითხს. თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტებმა პარლამენტური დემოკრატიული სახელმწიფოს ბურჟუაზიული პოლიტიკური ფორმები გადაულახავ ზღვარად მიიჩნიეს, ისინი შუბლს იტეხდნენ ამ «ნიმუშის» წინაშე ლოცვით, ანარქიზმად აცხადებდნენ ყოველგვარ მისწრაფებას ამ ფორმების დ ა მ ს ხ ვ რ ე ვ ი ს ა კ ე ნ.

მარქსმა სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლის მთელი ისტორიიდან ის დასკვნა გამოიყვანა, რომ სახელმწიფო

უნდა გაქრეს, რომ მისი გაქრობის გარდამავალი ფორმა (სახელმწიფოდან არა-სახელმწიფოზე გადასვლა) იქნება «გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატი». მაგრამ ამ მომავლის პოლიტიკური ფორმების აღმოჩენა მარქსს არ უკისრნია. ის დასჯერდა საფრანგეთის ისტორიის ზუსტ დაკვირვებას, მის ანალიზს და იმ დასკვნას, რომელიც 1851 წლიდან გამომდინარეობდა: საქმე ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევას უახლოვდებაო.

და როდესაც პროლეტარიატის მასობრივმა რევოლუციურმა მოძრაობამ იფეთქა, მარქსი, მიუხედავად ამ მოძრაობის წარუმატებლობისა, მიუხედავად მისი ხანმოკლეობისა და მეტად აშკარა სისუსტისა, შეუდგა იმის შესწავლას, თუ რა ფორმები აღმოაჩინა ამ მოძრაობამ.

კომუნა რევოლუციის მიერ «ბოლოს და ბოლოს აღმოჩენილი» პროლეტარული ფორმაა, რომლის დროსაც შესაძლებელია მოხდეს შრომის ეკონომიური განთავისუფლება.

კომუნა პროლეტარული რევოლუციის პირველი ცდაა ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევისა და «ბოლოს და ბოლოს აღმოჩენილი» პოლიტიკური ფორმაა, რომლითაც შესაძლებელია და უნდა შეიცვალოს დამსხვრეული მანქანა.

ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ რუსეთის 1905 და 1917 წლების რევოლუციები, სხვანაირ ვითარებაში და სხვანაირ პირობებში, განაგრძობენ კომუნის საქმეს და ადასტურებენ მარქსის გენიალურ ისტორიულ ანალიზს.

თავი IV

გაბრძელება. ენგელსის დამატებითი განმარტებანი

მარქსმა ძირითადი მხარე მოგვცა კომუნის გამოცდილების მნიშვნელობის საკითხზე. ენგელსი არაერთხელ დაუბრუნდა ამავე თემას; ის განმარტავდა მარქსის ანალიზსა და დასკვნებს, ამასთან ზოგჯერ ისეთი სიძლიერითა და სიცხადით აშუქებდა საკითხის სხვა მხარეებს, რომ ამ განმარტებებზე აუცილებელია ცალკე შევჩერდეთ.

1. «ბინის საკითხი»

თავის თხზულებაში ბინის საკითხის შესახებ (1872 წ.) ენგელსი უკვე ითვალისწინებს კომუნის გამოცდილებას და რამდენიმეჯერ ჩერდება რევოლუციის ამოცანებზე სახელმწიფოს მიმართ. საინტერესოა, რომ კონკრეტულ თემაზე თვალსაჩინოდ ირკვევა, ერთი მხრივ, ახლანდელ სახელმწიფოსთან პროლეტარული სახელმწიფოს მსგავსების ნიშნები, — ნიშნები, რომლებიც საფუძველს გვაძლევენ ორივე შემთხვევაში ვილაპარაკოთ სახელმწიფოზე, ხოლო, მეორე მხრივ, განსხვავების ნიშნები ანუ სახელმწიფოს მოსპობაზე გადასვლა.

> «როგორ უნდა გადაწყდეს ბინის საკითხი? თანამედროვე საზოგადოებაში ეს საკითხი სწორედ ისევე წყდება, როგორც ყოველი სხვა საზოგადოებრივი საკითხი: მოთხოვნისა და მიწოდების თანდათანი ეკონომიური გათანაბრებით, ეს კი ისეთი გადაწყვეტაა, რომელიც მუდამ თვითონ ხელახლა წარმოშობს საკითხს, ე. ი. არავითარ გადაწყვეტას არ იძლევა. თუ როგორ გადაწყვეტს ამ საკითხს სოციალური რევოლუცია, ეს დამოკიდებულია არა მარტო დროისა და ადგილის გარემოებებზე, არამედ ეს დაკავშირებულია აგრეთვე ისეთ საკითხებთან, რომლებიც გაცილებით უფრო შორს მიდიან და რომელთა შორის ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების მოსპობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ვინაიდან ჩვენ მომავალი საზოგადოების მოწყობის უტოპიურ სისტემებს არ ვთხზავთ, ამიტომ ამაზე შეჩერება ფუჭზე ფუჭი იქნებოდა. მაგრამ ერთი რამ უეჭველია, — სახელდობრ ის, რომ უკვე ამჟამად დიდ ქალაქებში საკმარ საცხოვრებელი შენობებია, რათა ნამდვილ საბინაო გაჭირვებას ახლავე ეშველოს, თუკი ეს შენობები გონივრულად იქნება გამოყენებული. ამის განხორციელება შეიძლება, რასაკვირველია, მხოლოდ ახლანდელ მფლობელთა ექსპროპრიაციის საშუალებით და ამ სახლებში უბინაო

მუშების ან ისეთი მუშების ჩასახლებით, რომლებიც ახლა მეტისმეტად ჭარბდასახლებულ ბინებში ცხოვრობენ. და როგორც კი პროლეტარიატი პოლიტიკურ ძალაუფლებას დაიპყრობს, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინტერესებით ნავარაუდევი ასეთი ღონისძიება ისევე ადვილად განსახორციელებელი იქნება, როგორც სხვა ექსპროპრიაციები და ბინების დაკავება თანამედროვე სახელმწიფოს მიერ» (გვ. 22, 1887 წლის გერმანული გამოცემა) [106].

აქ სახელმწიფო ხელისუფლების ფორმის შეცვლა კი არ არის განხილული, არამედ აღებულია ამ ხელისუფლების მოღვაწეობის მხოლოდ შინაარსი. ბინების ექსპროპრიაცია და დაკავება ახლანდელი სახელმწიფოს განკარგულებითაც ხდება. პროლეტარული სახელმწიფოც, საქმის ფორმალური მხრივ, აგრეთვე «გასცემს განკარგულებას» დაიკავონ ბინები და მოახდინონ სახლების ექსპროპრიაცია. მაგრამ ცხადია, რომ ძველი აღმასრულებელი აპარატი, ბურჟუაზიასთან დაკავშირებული მოხელეობა, პირდაპირ გამოუსადეგარი იქნებოდა პროლეტარული სახელმწიფოს განკარგულებათა განსახორციელებლად.

...«აუცილებელია აღინიშნოს, რომ მშრომელი ხალხის მიერ შრომის ყველა იარაღის, მთელი ინდუსტრიის ფაქტიური დაუფლება პრუდონისებური «გამოსყიდვის» სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს. ამ გამოსყიდვის დროს ცალკეული მუშა ბინის, გლეხური მიწის ნაკვეთის, შრომის იარაღების მესაკუთრე ხდება; პირველ შემთხვევაში კი სახლების, ფაბრიკებისა და შრომის იარაღების ერთობლივ მესაკუთრედ «მშრომელი ხალხი» რჩება. საეჭვოა, რომ ამ სახლებით, ფაბრიკებით და მისთანებით სარგებლობა, გარდამავალ ხანაში მაინც, ცალკეულ პირებს ან ამხანაგობებს ხარჯების აუნაზღაურებლად დაეთმოს. სწორედ ასევე მიწის საკუთრების მოსპობა გულისხმობს არა მიწის რენტის

> მოსპობას, არამედ მის გადაცემას საზოგადოებისათვის, თუმცა სახეშეცვლილი ფორმით. მაშასადამე, მშრომელი ხალხის მიერ შრომის ყველა იარაღის ფაქტიური დაუფლება სრულიადაც არ გამორიცხავს დაქირავება-გაქირავების ურთიერთობათა შენარჩუნებას» (გვ. 58).

ამ მსჯელობაში აღძრულ საკითხს, სახელდობრ: სახელმწიფოს კვდომის ეკონომიური საფუძვლების საკითხს, ჩვენ შემდეგ თავში განვიხილავთ. ენგელსი მეტისმეტად ფრთხილ გამოთქმას ხმარობს, როდესაც ამბობს, რომ პროლეტარულმა სახელმწიფომ «საეჭვოა» უფასოდ დაარიგოს ბინები «გარდამავალ დროს მაინცო». მთელი ხალხის კუთვნილი ბინების ცალკეული ოჯახებისათვის ქირით გაცემა გულისხმობს ამ ქირის გადახდევინებასაც, გარკვეულ კონტროლსაც, ბინების განაწილების ამა თუ იმ ნორმირებასაც. ყოველივე ეს მოითხოვს სახელმწიფოს გარკვეულ ფორმას, მაგრამ სრულიადაც არ მოითხოვს განსაკუთრებულ სამხედრო და ბიუროკრატიულ აპარატს, თანამდებობის პირთა განსაკუთრებულ პრივილეგიურ მდგომარეობას. საქმის ისეთ მდგომარეობაზე გადასვლა კი, როდესაც შესაძლებელი იქნება ბინების უფასოდ გაცემა, დაკავშირებულია სახელმწიფოს სრულ «კვდომასთან».

ენგელსი, როდესაც ეხება, კომუნის შემდეგ და მისი გამოცდილების გავლენით, ბლანკისტების გადასვლას მარქსიზმის პრინციპულ პოზიციაზე, გაკვრით შემდეგნაირად აყალიბებს ამ პოზიციას:

> ...«პროლეტარიატის პოლიტიკური მოქმედებისა და მისი დიქტატურის აუცილებლობა, როგორც კლასებისა და მათთან ერთად აგრეთვე სახელმწიფოს გაუქმებაზე გადასვლა»... (გვ. 55).

რომელიმე ასოკირკიტა კრიტიკოსები ან მარქსიზმის ბურჟუაზიული «გამანადგურებელნი», ალბათ, წინააღმდეგობას დაინახავენ «სახელმწიფოს გაუქმების» ამ აღიარებასა და ასეთი ფორმულის, როგორც ანარქისტული ფორ-

მულის უარყოფას შორის «ანტი-დიურინგის» ზემოთ მოყვანილ ადგილას. გასაკვირი არ იქნებოდა, ოპორტუნისტებს ენგელსიც რომ «ანარქისტებში» ჩაერიცხათ, — ახლა სულ უფრო და უფრო ვრცელდება სოციალ-შოვინისტების მხრივ ინტერნაციონალისტებისათვის ანარქიზმის დაბრალება.

კლასების გაუქმებასთან ერთად სახელმწიფოც რომ გაუქმდება, ამას მარქსიზმი ყოველთვის გვასწავლიდა. «ანტი-დიურინგის» საყოველთაოდ ცნობილი ადგილი «სახელმწიფოს კვდომის» შესახებ ანარქისტებს ბრალად სდებს არა უბრალოდ იმას, რომ ისინი სახელმწიფოს გაუქმების მომხრენი არიან, არამედ იმას, რომ ისინი ქადაგებენ, თითქოს შესაძლებელი იყოს სახელმწიფოს «დღეს თუ ხვალ» გაუქმება.

იმის გამო, რომ ახლა გაბატონებული «სოციალ-დემოკრატიული» დოქტრინის სავსებით დამახინჯებულია მარქსიზმის დამოკიდებულება ანარქიზმისადმი სახელმწიფოს მოსპობის საკითხში, განსაკუთრებით სასარგებლო იქნება გავიხსენოთ მარქსისა და ენგელსის ერთი პოლემიკა ანარქისტებთან.

2. პოლემიკა ანარქისტებთან

ეს პოლემიკა 1873 წელს გაიმართა. მარქსმა და ენგელსმა იტალიურ სოციალისტურ კრებულში მოათავსეს სტატიები პრუდონისტების, «ავტონომისტების» ანუ «ანტიავტორიტარისტების» წინააღმდეგ, და მხოლოდ 1913 წელს გამოქვეყნდა ამ სტატიების გერმანული თარგმანი «Neue Zeit»-ში [107].

> ...«თუ მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლა — წერდა მარქსი, დასცინოდა რა ანარქისტებს მათ მიერ პოლიტიკის უარყოფის გამო — რევოლუციურ ფორმებს იღებს, თუ მუშები ბურჟუაზიის დიქტატურის ნაცვლად თავიანთ რევოლუციურ დიქტატურას ამყარებენ, ისინი პრინციპების შეურაცხყოფის საშინელ დანაშაულს სჩადიან, ვინაიდან თავიანთ საცოდავ, ტლანქ სადღეისო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ბურჟუაზიის წინააღმდეგობის გასატეხად, მუ-

შები სახელმწიფოს აძლევენ რევოლუციურ და გარდამავალ ფორმას, ნაცვლად იმისა, რომ იარაღი დაჰყარონ და გააუქმონ სახელმწიფო»... («**Neue Zeit**», 1913 — 14, წელიწადი 32, ტ. 1, გვ. 40).

აი სახელმწიფოს მხოლოდ და მხოლოდ რანაირი «გაუქმების» წინააღმდეგ ილაშქრებდა მარქსი, როდესაც ანარქისტებს აბათილებდა! ის ილაშქრებდა სრულიადაც არა იმის წინააღმდეგ, რომ სახელმწიფო გაქრება კლასების გაქრობასთან ერთად — ან გაუქმებული იქნება მათ გაუქმებასთან ერთად, არამედ იმის წინააღმდეგ, რომ მუშებს უარი ეთქვათ იარაღის ხმარებაზე, ორგანიზებულ ძალდატანებაზე, ე ს ე ი გ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ზ ე, რომელსაც უნდა ემსახურნა მიზნისათვის: «გაეტეხა ბურჟუაზიის წინააღმდეგობა».

პროლეტარიატისათვის აუცილებელი სახელმწიფოს «რევოლუციურ და წ ა რ მ ა ვ ა ლ ფორმას» მარქსი განგებ უსვამდა ხაზს, რათა არ დაემახინჯებინათ ანარქიზმთან მისი ბრძოლის ჭეშმარიტი აზრი. პროლეტარიატს მხოლოდ დროებით სჭირდება სახელმწიფო. ჩვენ სრულიადაც არა გვაქვს უთანხმოება ანარქისტებთან სახელმწიფოს გაუქმების, როგორც მ ი ზ ნ ი ს, საკითხში. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების იარაღთა, საშუალებათა, ხერხთა დროებითი გამოყენება ექსპლოატატორების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ისევე როგორც კლასების მოსასპობად აუცილებელია ჩაგრული კლასის დროებითი დიქტატურა. მარქსი ირჩევს ანარქისტების წინააღმდეგ საკითხის ყველაზე მკვეთრად და ყველაზე ნათლად დაყენებას: მუშებმა, როცა ისინი კაპიტალისტების უღელს ამხობენ, უნდა «დაჰყარონ იარაღი» თუ გამოიყენონ იგი კაპიტალისტების წინააღმდეგ, რათა გასტეხონ მათი წინააღმდეგობა? ხოლო იარაღის სისტემატური გამოყენება ერთი კლასის მიერ მეორე კლასის წინააღმდეგ, — რა არის ეს, თუ არა სახელმწიფოს «წარმავალი ფორმა»?

დაე, ყოველმა სოციალ-დემოკრატმა ჰკითხოს თავის თავს: განა ა ს ე აყენებდა ის სახელმწიფოს საკითხს

ანარქისტებთან პოლემიკის დროს? განა ასე აყენებდა ამ საკითხს მეორე ინტერნაციონალის ოფიციალური სოციალისტური პარტიების დიდი უმრავლესობა?

ენგელსი კიდევ უფრო დაწვრილებით და უფრო პოპულარულად გადმოგვცემს იმავე აზრებს. ის სასაცილოდ იგდებს უწინარეს ყოვლისა იმას, თუ აზრის რანაირი არევ-დარევა სუფევს პრუდონისტებში, რომლებიც თავიანთ თავს უწოდებდნენ «ანტიავტორიტარისტებს», ე. ი. უარყოფდნენ ყოველგვარ ავტორიტეტს, ყოველგვარ ხელქვეითობას, ყოველგვარ ხელისუფლებას. აიღეთ ფაბრიკა, რკინიგზა, გემი გაშლილ ზღვაში, — ამბობს ენგელსი, — განა აშკარა არ არის, რომ, თუ არ არის გარკვეული ხელქვეითობა, მაშასადამე, გარკვეული ავტორიტეტიანი ხელისუფლება, ისე ვერ იმუშავებს ვერც ერთი ამ რთული ტექნიკური დაწესებულებათაგანი, რომლებიც დამყარებულია მანქანების გამოყენებაზე და მრავალი პირის გეგმაშეწონილ თანამშრომლობაზე?

...«თუ მე ამ არგუმენტებს წავუყენებ უკიდურეს ანტიავტორიტარისტებს, — წერს ენგელსი, — მათ ესღა შეუძლიათ მიპასუხონ: «ეს მართალი გახლავთ, მაგრამ აქ ლაპარაკია იმ ავტორიტეტზე კი არა, რომლითაც ჩვენ აღვჭურვავთ ჩვენს დელეგატებს, არამედ გარკვეულ დავალებაზე». ამ ადამიანებს ჰგონიათ, ვითომ საგნის სახელის გამოცვლით შეგვიძლია თვით საგანიც გამოვცვალოთ»...

როცა ამრიგად ენგელსმა გვიჩვენა, რომ ავტორიტეტი და ავტონომია შეფარდებითი ცნებებია, რომ მათი გამოყენების სფერო იცვლება საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ფაზასთან ერთად, რომ მათი მიჩნევა აბსოლუტებად უაზრობაა და დასძინა, რომ მანქანებისა და მსხვილი წარმოების გამოყენების სფერო სულ უფრო და უფრო ფართოვდება, იგი ამის შემდეგ გადადის ზოგადი მსჯელობიდან ავტონომიის შესახებ სახელმწიფოს საკითხზე.

...«ავტონომისტებს მარტო იმის თქმა რომ სურდეთ, — წერს ენგელსი, — რომ მომავლის სოციალური

ორგანიზაცია ავტორიტეტს დაუშვებს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებიც გარდუვალად ნაკარნახევია წარმოების პირობებით, მაშინ კიდევ შეიძლებოდა მათთან შეთანხმება. მაგრამ ისინი სიბრმავეს იჩენენ იმ ფაქტების მიმართ, რომლებიც აუცილებელს ხდიან ავტორიტეტს, და ისინი გაშმაგებით ებრძვიან სიტყვას.

რატომ არა სჯერდებიან ანტიავტორიტარისტები იმას, რომ იყვირონ პოლიტიკური ავტორიტეტის წინააღმდეგ, სახელმწიფოს წინააღმდეგ? ყველა სოციალისტი თანახმაა, რომ სახელმწიფო და მასთან ერთად პოლიტიკური ავტორიტეტიც გაქრება მომავალი სოციალური რევოლუციის შედეგად, ესე იგი რომ საზოგადოებრივი ფუნქციები თავის პოლიტიკურ ხასიათს დაკარგავენ და უბრალო ადმინისტრაციულ ფუნქციებად გადაიქცევიან, რომლებიც სოციალურ ინტერესებს დაიცავენ. მაგრამ ანტიავტორიტარისტები მოითხოვენ, რათა პოლიტიკური სახელმწიფო გაუქმებულ იქნას ერთი დაკვრით და იმაზე ადრეც, ვიდრე გაუქმდებოდეს ის სოციალური ურთიერთობანი, რომლებმაც იგი წარმოშვეს. ისინი მოითხოვენ, რათა სოციალური რევოლუციის პირველი აქტი ავტორიტეტის გაუქმება იყოს.

უნახავთ თუ არა ამ ვაჟბატონებს ოდესმე რევოლუცია? უეჭველია, რომ რევოლუცია ყველაზე ავტორიტარული მოვლენაა, როგორიც კი შესაძლებელია იყოს. რევოლუცია ისეთი აქტია, რომლის დროსაც მოსახლეობის ერთი ნაწილი თოფების, ხიშტების, ზარბაზნების შემწეობით, ე. ი. უაღრესად ავტორიტარული საშუალებებით მოსახლეობის მეორე ნაწილს თავს ახვევს თავის ნება-სურვილს. და გამარჯვებული პარტია აუცილებლობის გამო იძულებული ხდება შეინარჩუნოს თავისი ბატონობა იმ შიშის საშუალებით, რომელსაც მისი იარაღი ჰგვრის რეაქციონერებს. პარიზის კომუნა განა ერთ დღეზე მეტს გასძლებდა, იგი ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ შეიარაღებული ხალ-

ხის ავტორიტეტზე რომ არ ყოფილიყო დაყრდნობილი? განა ჩვენ, პირიქით, მართალი არ ვიქნებით, თუ იმას ვუსაყვედურებთ კომუნას, რომ იგი ძალიან ნაკლებად იყენებდა ამ ავტორიტეტს? მაშასადამე, ორში ერთი: ან ავტორიტარისტებმა თვითონაც არ იციან, რას ამბობენ, და ამ შემთხვევაში ისინი მხოლოდ არევ-დარევას თესავენ, ან ეს მათ კარგად იციან, და ამ შემთხვევაში ღალატობენ პროლეტარიატს საქმეს. ორივე შემთხვევაში ისინი მხოლოდ რეაქციას ემსახურებიან» (გვ. 39).

ამ მსჯელობაში აღძრულია საკითხები, რომლებიც უნდა განვიხილოთ იმ თემასთან დაკავშირებით, თუ როგორია პოლიტიკისა და ეკონომიკის თანაფარდობა სახელმწიფოს კვდომის დროს (ამ თემას მიეძღვნება შემდეგი თავი). ასეთია საკითხები საზოგადოებრივი ფუნქციების პოლიტიკურიდან უბრალო ადმინისტრაციულ ფუნქციებად გადაქცევისა და «პოლიტიკური სახელმწიფოს» შესახებ. ეს უკანასკნელი გამოთქმა, რომელსაც განსაკუთრებით შეუძლია გამოიწვიოს გაუგებრობა, მიგვითითებს სახელმწიფოს კვდომის პროცესზე: კვდომადს სახელმწიფოს მისი კვდომის გარკვეულ საფეხურზე შეიძლება არაპოლიტიკური სახელმწიფო ეწოდოს.

ენგელსის ამ მსჯელობაში ყველაზე შესანიშნავია ისევ და ისევ საკითხის დაყენება ანარქისტების წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატები, რომლებსაც სურდათ ენგელსის მოწაფეები ყოფილიყვნენ, მილიონჯერ ეკამათებოდნენ ანარქისტებს 1873 წლიდან, მაგრამ ეკამათებოდნენ სახელდობრ ა რ ა ისე, როგორც შეიძლება და უნდა იკამათონ მარქსისტებმა. ანარქისტული წარმოდგენა სახელმწიფოს გაუქმებაზე აბნეული და ა რ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ა ო, — ის როგორ აყენებდა საკითხს ენგელსი. ანარქისტებს არ უნდათ სწორედ რევოლუცია დაინახონ მის წარმოშობასა და განვითარებაში, მისი სპეციფიკური ამოცანებით ძალდატანებისა, ავტორიტეტისა, ხელისუფლებისა და სახელმწიფოს მიმართ.

თანამედროვე სოციალ-დემოკრატების მიერ ანარქიზმის ჩვეულებრივი კრიტიკა ყოვლად ფილისტერულ უხამსობად

გადაიქცა: «აი ჩვენ სახელმწიფოს ვცნობთ, ანარქისტები კი არ სცნობენო!» რასაკვირველია, ასეთმა უხამსობამ არ შეიძლება არ ჩამოგვაშოროს რამდენადმე მოაზროვნე და რევოლუციური მუშები. ენგელსი სხვას ამბობს: ის ხაზს უსვამს, რომ ყველა სოციალისტი აღიარებს სახელმწიფოს გაქრობას, როგორც სოციალისტური რევოლუციის შედეგს. შემდეგ ის კონკრეტულად აყენებს რევოლუციის საკითხს, სწორედ იმ საკითხს, რომელსაც ოპორტუნისტი სოციალ-დემოკრატები ჩვეულებრივ გვერდს უვლიან და მარტოოდენ ანარქისტებს უტოვებენ, ასე ვთქვათ, «დასამუშავებლად». და, ამ საკითხს რომ აყენებს, ენგელსი ხელს სჭიდებს საქმის არსს: განა კომუნას უფრო მეტად არ უნდა გამოეყენებინა სახელმწიფოს, ე. ი. შეიარაღებულ, გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატის რევოლუციური ხელისუფლებაო?

გაბატონებული ოფიციალური სოციალ-დემოკრატია იმ საკითხისაგან, თუ როგორია პროლეტარიატის კონკრეტული ამოცანები რევოლუციაში, ჩვეულებრივ ან მხოლოდ ფილისტერის დაცინვით იძვრენდა თავს ან, უკეთეს შემთხვევაში, სოფისტურად სიტყვის ბანზე აგდებით: «მერე ვნახავთო». და ანარქისტებს უფლება ეძლეოდათ ასეთი სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ეთქვათ, მუშების რევოლუციური აღზრდის ამოცანას ღალატობსო. ენგელსი უკანასკნელი პროლეტარული რევოლუციის გამოცდილებას სწორედ იმისათვის იყენებს, რომ ზედმიწევნით კონკრეტულად შეისწავლოს, რა და როგორ უნდა აკეთოს პროლეტარიატმა ბანკების მიმართაც და სახელმწიფოს მიმართაც.

3. წერილი ბებელისადმი

მარქსისა და ენგელსის თხზულებებში ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ მსჯელობას სახელმწიფოს საკითხზე, თუ ყველაზე შესანიშნავს არა, წარმოადგენს შემდეგი ადგილი ენგელსის 1875 წლის 18—28 მარტის წერილისა ბებელისადმი. ეს წერილი, აღვნიშნავთ ფრჩხილებში, რამდენადაც

ვიცით, პირველად დაბეჭდა ბებელმა თავისი მემუარების («ჩემი ცხოვრებიდან») მეორე ტომში, რომელიც გამოქვეყნდა 1911 წელს, ე. ი. მისი დაწერისა და გაგზავნის 36 წლის შემდეგ.

ენგელსი აკრიტიკებდა გოთას პროგრამის სწორედ იმ პროექტს, რომელიც გააკრიტიკა მარქსმა ცნობილ წერილში ბრაკესადმი, და, ეხებოდა რა სპეციალურად სახელმწიფოს საკითხს, შემდეგს სწერდა ბებელს:

...«თავისუფალი სახალხო სახელმწიფო თავისუფალ სახელმწიფოდ გადაიქცა. ამ სიტყვების გრამატიკული აზრით თავისუფალი სახელმწიფო არის ისეთი სახელმწიფო, რომელშიც სახელმწიფო თავისუფალია თავის მოქალაქეთა მიმართ, ე. ი. სახელმწიფო, რომელსაც ჰყავს დესპოტური მთავრობა. საჭირო იყო უკუგვეგდო მთელი ეს ლაყბობა სახელმწიფოს შესახებ, განსაკუთრებით კომუნის შემდეგ, რომელიც აღარც კი იყო სახელმწიფო საკუთარი აზრით. «სახალხო სახელმწიფოს» ანარქისტები მომაბეზრებლად გვჩხირავდნენ თვალში, თუმცა უკვე მარქსის თხზულება პრუდონის წინააღმდეგ, შემდეგ კი «კომუნისტური მანიფესტი» პირდაპირ ამბობენ, რომ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების დამყარებით სახელმწიფო თვითონვე გაითქვიფება (**sich auflöst**) და გაქრება. რადგან სახელმწიფო მხოლოდ წარმავალი დაწესებულებაა, რომლითაც ბრძოლაში, რევოლუციაში უნდა ვისარგებლოთ იმისათვის, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი ძალდატანებით დავთრგუნოთ, ამიტომ თავისუფალ სახალხო სახელმწიფოზე ლაპარაკი სრული უაზრობაა: სანამ პროლეტარიატი კიდევ საჭიროებს სახელმწიფოს, იგი მას საჭიროებს არა თავისუფლების ინტერესების გამო, არამედ თავის მოწინააღმდეგეთა დათრგუნვის ინტერესების გამო, ხოლო როცა თავისუფლებაზე ლაპარაკი შესაძლებელი გახდება, მაშინ სახელმწიფო, როგორც ასეთი, აღარ იარსებებს. ამიტომ ჩვენი წინადადება იქ-

ნებოდა, რომ ყველგან სიტყვა **სახელმწიფო** შეცვლილიყო სიტყვით: «თემი» (**Gemeinwesen**), მშვენიერი ძველი გერმანული სიტყვით, რომელიც შეესაბამება ფრანგულ სიტყვას «კომუნა»» (გერმანული ორიგინალი, გვ. 321 — 322) [108].

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს წერილი ეხება პარტიულ პროგრამას, რომელსაც მარქსი აკრიტიკებდა ამ წერილთან შედარებით მხოლოდ რამდენიმე კვირით უფრო გვიან დათარიღებულ წერილში (მარქსის წერილი დაწერილია 1875 წლის 5 მაისს) და რომ ენგელსი მაშინ, მარქსთან ერთად, ცხოვრობდა ლონდონში. ამიტომ, როცა ენგელსი უკანასკნელ ფრაზაში ამბობს: «ჩვენაო», ის, უეჭველია, თავისი და მარქსის სახელით აძლევს წინადადებას გერმანიის მუშათა პარტიის ბელადს — **ამოაგდოს პროგრამიდან** სიტყვა «სახელმწიფო» და შესცვალოს იგი სიტყვით «**თემი**».

რა ღმუილს ასტეხდნენ «ანარქიზმის» შესახებ ახლანდელი, ოპორტუნისტების სასარგებლოდ გაყალბებული, «მარქსიზმის» მეთაურები, მათთვის რომ შეეთავაზებინათ პროგრამის ასეთი გასწორება!

დაე ღმუოდნენ. ამისათვის მათ ბურჟუაზია ხოტბას შეასხამს.

ჩვენ კი განვაგრძობთ ჩვენი საქმის კეთებას. ჩვენი პარტიის პროგრამის გადასინჯვისას უსათუოდ უნდა მივიღოთ მხედველობაში ენგელსისა და მარქსის რჩევა, რათა უღრო ახლოს ვიყოთ ჰეშმარიტებასთან, რათა გავწმინდოთ მარქსიზმი დამახინჯებათაგან და ამ გზით აღვადგინოთ იგი, რათა უფრო უტყუარად წარვმართოთ მუშათა კლასის ბრძოლა მისი განთავისუფლებისათვის. ბოლშევიკებს შორის, უეჭველია, ენგელსისა და მარქსის რჩევის მოწინააღმდეგენი არ აღმოჩნდებიან. სიძნელეს, თითქოს, მხოლოდ ტერმინი თუ გამოიწვევს. გერმანულად არის ორი სიტყვა: «თემი», ამათგან ენგელსმა ისეთი აირჩია, რომელიც **ნიშნავს არა** ცალკეულ თემს, არამედ მათს ერთობლიობას, თემების სისტემას. რუ-

სულად ასეთი სიტყვა არ მოიპოვება და, იქნებ, საჭირო გახდეს ვირჩიოთ ფრანგული სიტყვა «კომუნა», თუმცა ამასაც აქვს თავისი უხერხულობა.

«კომუნა უკვე არ იყო სახელმწიფო საკუთარი აზრით» — აი ენგელსის თეორიულად უმნიშვნელოვანესი მტკიცება. ზემონათქვამის შემდეგ ეს მტკიცება სავსებით გასაგებია. კომუნა კ ა რ გ ა ვ დ ა სახელმწიფოს ხასიათს, რამდენადაც მას უხდებოდა მოსახლეობის არა უმრავლესობის, არამედ უმცირესობის (ექსპლოატატორების) დათრგუნვა; ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა მან დაამსხვრია; დათრგუნვის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ძალის ნაცვლად სცენაზე თვითონ მოსახლეობა გამოდიოდა. ყოველივე ეს გადახვევაა საკუთარი აზრით აღებული სახელმწიფოსაგან. და კომუნა რომ განმტკიცებულიყო, მასში თავისთავად «მოკვდებოდა» სახელმწიფოს ნიშნები, მას არ დასჭირდებოდა სახელმწიფოს დაწესებულებათა «გაუქმება»: ეს დაწესებულებანი შეწყვეტდნენ მოქმედებას იმდენად, რამდენადაც მათ გასაკეთებელი აღარაფერი არ დარჩებოდათ.

«ანარქისტები ჩვენ თვალში გვჩხირავენ «სახალხო სახელმწიფოსაო»»; როდესაც ამას ამბობს, ენგელსი უწინარეს ყოვლისა გულისხმობს ბაკუნინს და მის თავდასხმებს გერმანელ სოციალ-დემოკრატებზე. ენგელსს ეს თავდასხმები იმდენად მიაჩნია სამართლიანად, რამდენადაც «სახალხო სახელმწიფო» ისეთივე უაზრობა და ისეთივე გადახვევაა სოციალიზმიდან, როგორც «თავისუფალი სახალხო სახელმწიფოც». ენგელსი ცდილობს გამოასწოროს გერმანელი სოციალ-დემოკრატების ბრძოლა ანარქისტების წინააღმდეგ, გახადოს ეს ბრძოლა პრინციპულად სწორი, გაწმინდოს იგი ოპორტუნისტულ ცრურწმენათაგან «სახელმწიფოს» შესახებ. ვაი რომ ენგელსის წერილი 36 წლის განმავლობაში მაუდის ქვეშ იყო ამოდებული. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგაც კაუცკი დაჟინებით იმეორებს, არსებითად, იმავე შეცდომებს, რომელთა გამო ენგელსი იძლეოდა გაფრთხილებას.

ბებელმა ენგელსს უპასუხა 1875 წ. 21 სექტემბრის წერილით, სადაც ის, სხვათა შორის, წერდა, «სავსებით ვეთანხმები» თქვენს აზრს პროგრამის პროექტის შესახებ და ლიბკნეხტს ვუსაყვედურე დამთმობლობაო (ბებელის მემუარების გერმანული გამოცემა, ტ. II, გვ. 334). მაგრამ რომ ავიღოთ ბებელის ბროშურა «ჩვენი მიზნები», ჩვენ იქ შევხვდებით სრულიად არასწორ მსჯელობას სახელმწიფოზე:

«სახელმწიფო უნდა გადაიქცეს კლასობრივ ბატონობაზე დამყარებული სახელმწიფოდან სახალხო სახელმწიფოდ» («Unsere Ziele»-ს გერმან. გამოცემა, 1886, გვ. 14).

ასეა დაბეჭდილი ბებელის ბროშურის მე-9 (მეცხრე!) გამოცემაში! გასაკვირი არ არის, რომ სახელმწიფოს შესახებ ესოდენ დაჟინებით განმეორებულ ოპორტუნისტულ მსჯელობას ისისხლხორცებდა გერმანიის სოციალ-დემოკრატია, განსაკუთრებით როცა ენგელსის რევოლუციურ განმარტებებს მაუდის ქვეშ ინახავდნენ, ხოლო ცხოვრების მთელი ვითარება დიდი ხნით «ავიწყებინებდა» მათ რევოლუციას.

4. ერფურტის პროგრამის პროექტის კრიტიკა

ერფურტის პროგრამის პროექტის კრიტიკას [109], რომელიც ენგელსმა კაუცკის გაუგზავნა 1891 წლის 29 ივნისს და გამოქვეყნდა მხოლოდ ათი წლის შემდეგ «Neue Zeit»-ში, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ, როცა განვიხილავთ მარქსიზმის მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ, რადგან იგი, უმთავრესად, აკრიტიკებს სწორედ სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტულ შეხედულებებს სახელმწიფო წყობილების საკითხებზე.

გაკვრით აღვნიშნავთ, რომ ეკონომიკის საკითხებზე ენგელსი იძლევა აგრეთვე ერთ მეტად საგულისხმო მითითებას, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა ყურადღებითა და დაკვირვებით ადევნებდა ის თვალყურს სწორედ უახლესი კაპიტალიზმის ცვლილებებს და თუ როგორ შესძლო მან ამიტომ

რამდენიმედ წინასწარ განეკვრიტა ჩვენი, იმპერიალისტური, ეპოქის ამოცანები. აი ეს მითითება: პროგრამის პროექტში კაპიტალიზმის დასახასიათებლად ნახმარი სიტყვის «გეგმაზომიერების უქონლობის» გამო (**Planlosigkeit**) ენგელსი წერს:

> ...«თუ ჩვენ სააქციო საზოგადოებებიდან გადავალთ ტრესტებზე, რომლებიც იმორჩილებენ და თავის მონოპოლიად აქცევენ მრეწველობის მთელ დარგებს, მაშინ აქ წყდება არა მარტო კერძო წარმოება, არამედ გეგმაზომიერების უქონლობაც» (**«Neue Zeit»**, წელი 20, ტ. 1, 1901 — 1902, გვ. 8).

აქ აღებულია ყველაზე ძირითადი რამ, რაც უახლესი კაპიტალიზმის, ე. ი. იმპერიალიზმის, თეორიულ შეფასებაშია, სახელდობრ, რომ კაპიტალიზმი იქცევა მონოპოლისტურ კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ა დ. ამ უკანასკნელ გარემოებას ხაზი უნდა გაესვას, ვინაიდან ყველაზე გავრცელებულ შეცდომას წარმოადგენს ის ბურჟუაზიულ-რეფორმისტული მტკიცება, თითქოს მონოპოლისტური ან სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი უკვე აღარ იყოს კაპიტალიზმი, უკვე შეიძლებოდეს ეწოდოს მას «სახელმწიფოებრივი სოციალიზმი» და სხვა ამგვარი. სრულ გეგმაზომიერებას ტრესტები, რა თქმა უნდა, არ იძლეოდნენ, დღემდე არ იძლევიან და ვერც მოგვცემენ. მაგრამ რამდენადაც ისინი იძლევიან გეგმაზომიერებას, რამდენადაც კაპიტალის მაგნატები წინასწარ ითვალისწინებენ წარმოების ოდენობას ნაციონალური ან ინტერნაციონალური მასშტაბითაც კი, რამდენადაც ისინი გეგმაზომიერად აწესრიგებენ მას, ჩვენ მაინც ვრჩებით კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს პირობებში, თუმცა მის ახალ სტადიაში, მაგრამ მაინც უეჭველად კაპიტალიზმის პირობებში. ასეთი კაპიტალიზმის «სიახლოვე» სოციალიზმთან პროლეტარიატის ნამდვილი წარმომადგენლებისათვის იმის საბუთი უნდა იყოს, რომ სოციალისტური რევოლუცია მოახლოებულია, ადვილია, განსახორციელებელია, გადაუდებელია, და

სრულიადაც არა იმის საბუთი, რომ მოთმინებით მოვეკიდოთ ამ რევოლუციის უარყოფას და კაპიტალიზმის შელამაზებას, რასაც სჩადის ყველა რეფორმისტი.

მაგრამ დავუბრუნდეთ სახელმწიფოს საკითხს. სამგვარ განსაკუთრებით საგულისხმო მითითებას იძლევა აქ ენგელსი: ჯერ ერთი, რესპუბლიკის საკითხზე; მეორეც, ნაციონალური საკითხის კავშირზე სახელმწიფოს წყობილებასთან; მესამეც, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

რაც შეეხება რესპუბლიკას, ენგელსმა ეს გადააქცია იმ კრიტიკის სიმძიმის ცენტრად, რომელსაც ის იძლევა ერფურტის პროგრამის პროექტის გამო. ხოლო თუ ჩვენ გავიხსენებთ, რა მნიშვნელობა მოიპოვა ერფურტის პროგრამამ მთელ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში, როგორ გადაიქცა იგი ნიმუშად მთელი მეორე ინტერნაციონალისათვის, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ენგელსი აქ მთელი მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნიზმს აკრიტიკებს.

> «პროექტის პოლიტიკურ მოთხოვნებს — წერს ენგელსი — დიდი ნაკლი აქვს. მასში არ არის ის (ხაზგასმა ენგელსისაა), რაც ნამდვილად უნდა თქმულიყო».

და შემდეგ განმარტებულია, რომ გერმანიის კონსტიტუცია, ნამდვილად რომ ითქვას, არის 1850 წლის ფრიად რეაქციული კონსტიტუტიის ასლი, რომ რეიხსტაგი, როგორც ეს თქვა ვილჰელმ ლიბკნეხტმა, მხოლოდ «აბსოლუტიზმის» დასაფარავი «ლეღვის ფოთოლია», რომ «აშკარა უაზრობაა» სურვილი «შრომის ყველა იარაღის საერთო საკუთრებად გადაქცევის» განხორციელებისა ისეთი კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც აკანონებს პატარა სახელმწიფოებს და გერმანიის პატარა სახელმწიფოთა კავშირს.

> «ამ თემაზე ლაპარაკი სახიფათოა», — დასძენს ენგელსი, რომელმაც ჩინებულად იცოდა, რომ გერმანიაში რესპუბლიკის მოთხოვნის ლეგალურად წამოყენება პროგრამაში შეუძლებელი იყო. მაგრამ ენგელსი

ასე უბრალოდ როდი ურიგდება ამ აშკარა მოსაზრებას, რომლითაც «ყველა» კმაყოფილდება. ენგელსი განაგრძობს: «მაგრამ საქმე, მიუხედავად ამისა, ასე თუ ისე მაინც უნდა დაიძრას ადგილიდან. თუ რამდენად აუცილებელია ეს, ამას გვიჩვენებს ოპორტუნიზმი, რომელიც სწორედ ახლა ვრცელდება (**einreissende**) სოციალ-დემოკრატიული პრესის მეტ ნაწილში. შიშობენ, ვაი თუ აღადგინონ სოციალისტების წინააღმდეგ მიმართული კანონიო, ან იხსენებენ ამ კანონის ბატონობის დროს გაკეთებულ ზოგიერთ ნაადრევ განცხადებას და ამიტომ ახლა სურთ, რათა პარტიამ გერმანიაში ამჟამად არსებული კანონიერი წესწყობილება საკმარისად სცნოს ყველა თავისი მოთხოვნის მშვიდობიანი განხორციელებისათვის»...

გერმანელი სოციალ-დემოკრატები განსაკუთრებული კანონის აღდგენის შიშით რომ მოქმედებდნენ, ამ ძირითად ფაქტს ენგელსი პირველ რიგში აყენებს, აშკარად უწოდებს მას ოპორტუნიზმს და სრულიად უაზრო ოცნებად აცხადებს ოცნებას «მშვიდობიანი» გზის შესახებ სწორედ იმის გამო, რომ გერმანიაში რესპუბლიკა და თავისუფლება არ არსებობს. ენგელსი საკმაოდ ფრთხილია და ხელებს არ იბორკავს. ის აღიარებს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც არის რესპუბლიკა ან ძალიან დიდი თავისუფლება, «შესაძლებელია წარმოვიდგინოთ» (მხოლოდ «წარმოვიდგინოთ»!) მშვიდობიანი განვითარება სოციალიზმისკენაო, მაგრამ გერმანიაში, — იმეორებს ის,

...«გერმანიაში, სადაც მთავრობა თითქმის ყოვლისშემძლეა, ხოლო რეიხსტაგსა და ყველა სხვა წარმომადგენლობითს დაწესებულებას ნამდვილი ძალაუფლება არა აქვთ, — გერმანიაში მსგავსი რამის **აღიარება, ისიც** მაშინ, როცა ამას არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, იმას ნიშნავს, რომ ლეღვის ფოთოლი მოაკალო აბსოლუტიზმს და თვითონ ჩამოეფარო მას მისი სიშიშვლის დასაფარავად»...

აბსოლუტიზმის დამფარველი მართლაც აღმოჩნდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოფიციალური ბელადების უდიდესი უმრავლესობა, — პარტიისა, რომელმაც «მაუდქვეშ» ამოსდო ეს. მითითებანი.

...«ამგვარ პოლიტიკას, ბოლოს და ბოლოს, შეუძლია მხოლოდ ყალბ გზაზე დააყენოს პარტია. პირველ ადგილზე აყენებენ ზოგად, აბსტრაქტულ პოლიტიკურ საკითხებს და ამრიგად ჩქმალავენ უახლოეს კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც თავისთავად დგება დღის წესრიგში პირველივე დიდი მოვლენების დროს, პირველი პოლიტიკური კრიზისის დროს. რა შეიძლება აქედან გამოვიდეს, გარდა იმისა, რომ პარტია გადამწყვეტ მომენტში უეცრად უმწეო აღმოჩნდება, რომ გადამწყვეტ საკითხებზე მასში გაბატონებულია ბუნდოვანება და ერთიანობის უქონლობა, რადგან ეს საკითხები არასოდეს არ განუხილავთ...

დიად, ძირეულ მოსაზრებათა ეს დავიწყება წუთიერი ყოველდღიური ინტერესების გამო, წუთიერ წარმატებათა ეს გამოდევნება და ბრძოლა მათ გამო შემდგომი შედეგების გაუთვალისწინებლად, მომავალი მოძრაობის ეს მსხვერპლად მიტანა აწმყოსადმი — იქნებ, «პატიოსანი» მოტივებითაც ხდებოდეს. მაგრამ ეს ოპორტუნიზმია და ოპორტუნიზმად რჩება, «პატიოსანი» ოპორტუნიზმი კი, შესაძლებელია, ყოველ სხვა ოპორტუნიზმზე უფრო საშიშია...

...თუ რამეა ყოველივე ეჭვს გარეშე, ეს სწორედ ის, რომ ჩვენს პარტიასა და მუშათა კლასს შეუძლიათ გაბატონდნენ მხოლოდ ისეთი პოლიტიკური ფორმის დროს, როგორიც არის დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს უკანასკნელი სპეციფიკური ფორმაც კია პროლეტარიატის დიქტატურისა, როგორც უკვე გვიჩვენა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ»...

ენგელსი აქ განსაკუთრებით მკაფიო ფორმით იმეორებს იმ ძირითად იდეას, რომელიც წითელ ზოლად გასდევს

მარქსის ყველა ნაწარმოებს, სახელდობრ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა პროლეტარიატის დიქტატურის უახლოესი მისადგომია. ვინაიდან ასეთი რესპუბლიკა, თუმცა სრულიადაც არა სპობს კაპიტალის ბატონობას და, მაშასადამე, მასების ჩაგვრასა და კლასობრივ ბრძოლას, მაინც გარდუვალად იწვევს ამ ბრძოლის ისეთ გაფართოებას, გაჩაღებას, გაშლას და გამწვავებას, რომ, რაკი ჩნდება ჩაგრული მასების ძირეული ინტერესების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, ეს შესაძლებლობა ხორციელდება გარდუვალად და მარტოოდენ პროლეტარიატის დიქტატურაში, პროლეტარიატის მიერ ამ მასების ხელმძღვანელობაში. მთელი მეორე ინტერნაციონალისათვის ესეც მარქსიზმის «დავიწყებული სიტყვებია», და მათი დავიწყება არაჩვეულებრივი სიცხადით გამოააშკარავა მენშევიკების პარტიის ისტორიამ რუსეთის 1917 წელს რევოლუციის პირველი ნახევარი წლის მანძილზე.

ფედერაციული რესპუბლიკის საკითხზე მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობასთან დაკავშირებით ენგელსი წერდა:

> «რა უნდა შეიქმნას ახლანდელი გერმანიის ნაცვლად?» (მისი რეაქციული მონარქისტული კონსტიტუციით და ასევე რეაქციული დაყოფით წვრილ სახელმწიფოებად, დაყოფით, რაც ამარადისებს «პრუსიელობის» თავისებურებებს, ნაცვლად იმისა, რომ გათქვიფოს ისინი გერმანიაში, როგორც მთელში). «ჩემი აზრით, პროლეტარიატს შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ ერთიანი და განუყოფელი რესპუბლიკის ფორმა. ფედერაციული რესპუბლიკა ახლაც, საერთოდ და მთლიანად, აუცილებლობას წარმოადგენს შეერთებული შტატების უზარმაზარ ტერიტორიაზე, თუმცა მათს აღმოსავლეთ ნაწილში იგი უკვე დაბრკოლებად იქცევა. იგი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ინგლისში, სადაც ორ კუნძულზე ოთხი ერი ცხოვრობს და, პარლამენტის ერთიანობის მიუხედავად, ერთიმეორის გვერდით ჯანმრთელობის სამი სის-

ტემა არსებობს. უკვე დიდი ხანია, რაც იგი დაბრკოლებად იქცა პატარა შვეიცარიაში, და თუ იქ კიდევ შეიძლება ფედერაციული რესპუბლიკის მოთმენა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შვეიცარია ევროპული სახელმწიფო სისტემის წმინდა პასიური წევრის როლს სჯერდება. გერმანიისათვის მისი ფედერალისტური გაშვეიცარიულება დიდი ნაბიჯი იქნებოდა უკან. ორი პუნქტი განასხვავებს საკავშირო სახელმწიფოს სავსებით ერთიანი სახელმწიფოსაგან, სახელდობრ: კავშირში შემავალ თვითეულ ცალკე სახელმწიფოს თავისი განსაკუთრებული სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა აქვს, თავისი განსაკუთრებული სასამართლო წყობილება, შემდეგ ის, რომ სახალხო პალატის გვერდით არსებობს სახელმწიფოების წარმომადგენელთა პალატა, და იქ თვითეული კანტონი ხმას აძლევს, როგორც ასეთი, დამოუკიდებლად იმისა, დიდია იგი თუ პატარა». გერმანიაში საკავშირო სახელმწიფო ერთიან სახელმწიფოზე გადასვლას წარმოადგენს, და 1866 და 1870 წლების «ზემოდან მომხდარი რევოლუცია» უკან კი არ უნდა შეაბრუნო, არამედ «ქვემოდან მოძრაობით» უნდა შეავსო.

ენგელსი არათუ არ იჩენს გულგრილობას სახელმწიფოს ფორმების საკითხისადმი, არამედ, პირიქით, მეტად გულდასმით ცდილობს ანალიზი გაუკეთოს სწორედ გარდამავალ ფორმებს, რათა გაითვალისწინოს, ყოველი ცალკეული შემთხვევის კონკრეტულ-ისტორიულ თავისებურებათა მიხედვით, თუ რისაგან რაზე გადასვლას წარმოადგენს ესა თუ ის გარდამავალი ფორმა.

ენგელსი, ისევე როგორც მარქსი, იცავს, პროლეტარიატისა და პროლეტარული რევოლუციის თვალსაზრისით, დემოკრატიულ ცენტრალიზმს, ერთიან და განუყოფელ რესპუბლიკას. ფედერაციულ რესპუბლიკას ის განიხილავს ან როგორც გამონაკლისს და განვითარების დაბრკოლებას, ანდა როგორც

გადასვლას მონარქიიდან ცენტრალისტურ რესპუბლიკაზე, როგორც «წინგადადგმულ ნაბიჯს» გარკვეულ, განსაკუთრებულ პირობებში. და ამ განსაკუთრებულ პირობებს შორის წინ დგება ნაციონალური საკითხი.

ენგელსს, ისევე როგორც მარქსს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ულმობლად აკრიტიკებენ პატარა სახელმწიფოთა რეაქციულობას და ამ რეაქციულობის ნაციონალური საკითხით დაფარვას განსაზღვრულ კონკრეტულ პირობებში, არსად ჭმჩნევა ოდნავი მისწრაფებაც კი თავიდან მოიშოროს ნაციონალური საკითხი, — მისწრაფება, რითაც ხშირად სცოდავენ ჰოლანდიელი და პოლონელი მარქსისტები, რომლებიც გამოდიან ფრიად კანონიერი ბრძოლიდან «თავიანთ» პატარა სახელმწიფოთა ფილისტერულად ვიწრო ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

ინგლისშიც კი, სადაც გეოგრაფიულმა პირობებმაც, ენის ერთიანობამაც, მრავალი ასეული წლის ისტორიამაც, თითქოს, «ბოლო მოუღეს» ინგლისის ცალკეულ წვრილ დანაყოფთა ნაციონალურ საკითხს, აქაც კი ენგელსი ანგარიშს უწევს იმ აშკარა ფაქტს, რომ ნაციონალური საკითხი ჯერ კიდევ არსებობს, და ამიტომ «წინგადადგმულ ნაბიჯად» თვლის ფედერაციულ რესპუბლიკას. რასაკვირველია, აქ ოდნავადაც არ არის უარყოფილი ფედერაციული რესპუბლიკის ნაკლოვანებათა კრიტიკა და უაღრესად გაბედული პროპაგანდა და ბრძოლა ერთიანი, ცენტრალისტურ-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის.

მაგრამ დემოკრატიული ცენტრალიზმი ენგელსს ესმის სრულიადაც არა იმ ბიუროკრატიული აზრით, რა აზრითაც ამ ცნებას ხმარობენ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგები, ამ უკანასკნელთა შორის ანარქისტებიც. ცენტრალიზმი ენგელსისათვის სრულიად არ გამორიცხავს ისეთ ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც «კომუნებისა» და ოლქების მიერ სახელმწიფოს ერთიანობის ნებაყოფლობითი დაცვისას, უთუოდ სპობს ყოველგვარ ბიუროკრატიზმს და ყოველგვარ «მბრძანებლობას» ზემოდან.

...«ამრიგად, ერთიანი რესპუბლიკა», — წერს ენგელსი, ავითარებს რა მარქსიზმის პროგრამულ შეხედულებებს სახელმწიფოზე, — «მაგრამ არა ახლანდელი საფრანგეთის რესპუბლიკის აზრით, რომელიც სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა 1798 წელს დაარსებულ იმპერიას უიმპერატოროდ. 1792 წლიდან 1798 წლამდე საფრანგეთის ყოველი დეპარტამენტი, ყოველი თემი (Gemeinde) სარგებლობდა სრული თვითმმართველობით ამერიკის მსგავსად, და ეს უნდა გვქონდეს ჩვენც. თუ როგორ უნდა მოეწყოს თვითმმართველობა და როგორ შეიძლება უბიუროკრატიოდ არსებობა, ეს გვიჩვენეს და დაგვიმტკიცეს ამერიკამ და საფრანგეთის პირველმა რესპუბლიკამ, ახლა კი ამას გვიჩვენებენ კიდევ კანადა, ავსტრალია და ინგლისის სხვა კოლონიები. და ასეთი პროვინციული (საოლქო) და თემური თვითმმართველობა გაცილებით უფრო თავისუფალი დაწესებულებაა, ვიდრე, მაგალითად, შვეიცარიის ფედერალიზმი, სადაც კანტონი, მართალია, ძალიან დამოუკიდებელია ბუნდის მიმართ» (ე. ი. მთლიანად აღებული ფედერაციული სახელმწიფოს მიმართ), «მაგრამ დამოუკიდებელია აგრეთვე მაზრის (ბეცირკის) მიმართაც და თემის მიმართაც. კანტონალური მთავრობები ნიშნავენ მაზრების უფროსებს (შტატჰალტერებს) და პრეფექტებს, რაც სრულიადაც არ არის ინგლისური ენის ქვეყნებში და რაც მომავალში ჩვენც ისევე გადაჭრით უნდა უარვყოთ, როგორც პრუსიის ლანდრატები და რეგირუნგსრატები» (კომისრები, უფროსები, გუბერნატორები, საერთოდ ზემოდან დანიშნული მოხელეები). ენგელსი წინადადებას იძლევა ამის შესაბამისად შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს თვითმმართველობის შესახებ პროგრამის პუნქტი: «სრული თვითმმართველობა პროვინციაში» (გუბერნიასა თუ ოლქში), «მაზრასა და თემში საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული მოხელეების მეშვეობით;

ყველა იმ ადგილობრივ და პროვინციულ ხელისუფალთა ინსტიტუტის გაუქმება, რომლებსაც სახელმწიფო ნიშნავს».

კერენსკისა და სხვა «სოციალისტი» მინისტრების მთავრობის მიერ დახურულ «პრავდაში» (№ 68, 1917 წლის 28 მაისი) * მე უკვე მქონდა შემთხვევა მიმეთითებინა, თუ ამ პუნქტში — რა თქმა უნდა, სრულიადაც არა მარტო ამ ერთ პუნქტში — როგორ აშკარად შორდებოდნენ დემოკრატიზმს ჩვენი ვითომდა სოციალისტი წარმომადგენლები ვითომდა რევოლუციური დემოკრატიისა. გასაგებია, რომ ის ადამიანები, რომლებმაც თავი შეიბორკეს იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან «კოალიციით», ყრუნი რჩებოდნენ ამ მითითებებისადმი.

მეტისმეტად საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ენგელსი ფაქტებით, ფრიად ზუსტი მაგალითით, აქარწყლებს უაღრესად გავრცელებულ — განსაკუთრებით წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიაში გავრცელებულ — ცრურწმენას, თითქოს ფედერაციული რესპუბლიკა უეჭველად მეტ თავისუფლებას ნიშნავდეს, ვიდრე ცენტრალისტური რესპუბლიკა. ეს მართალი არ არის. ამას უარყოფენ ფაქტები, რომლებიც ენგელსს მოჰყავს საფრანგეთის 1792 — 1798 წლების ცენტრალისტური რესპუბლიკისა და შვეიცარიის ფედერალისტური რესპუბლიკის შესახებ. ნამდვილად დემოკრატიული ცენტრალისტური რესპუბლიკა მეტ თავისუფლებას იძლეოდა, ვიდრე ფედერალისტური რესპუბლიკა. ანუ სხვანაირად: ყველაზე მეტი ადგილობრივი, საოლქო და სხვ. თავისუფლება, როგორიც კი ცნობილია ისტორიაში, მოცემული იყო არა ფედერაციული, არამედ ცენტრალისტური რესპუბლიკის მიერ.

ამ ფაქტს, ისევე როგორც საერთოდ ფედერაციული და ცენტრალისტური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მთელ საკითხს, ჩვენს პარტიულ პროპაგანდასა და აგიტაციაში ნაკლები ყურადღება ექცეოდა და ექცევა.

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 24, გვ. 650 — 654. რედ.

5. 1891 წლის წინასიტყვაობა მარქსის «სამოქალაქო ომისათვის»

«სამოქალაქო ომი საფრანგეთში»-ს მე-3 გამოცემის წინასიტყვაობაში — ეს წინასიტყვაობა დათარიღებულია 1891 წლის 18 მარტით და თავდაპირველად დაიბეჭდა ჟურნალ «Neue Zeit»-ში — ენგელსი, სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საინტერესო, გაკვრით გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად, იძლევა კომუნის გაკვეთილების შესანიშნავად მკაფიო შეჯამებას [110]. ეს შეჯამება, გაღრმავებული იმ ოცი წლის პერიოდის მთელი გამოცდილებით, რომელიც ავტორს კომუნის დროისაგან აშორებდა, და სპეციალურად მიმართული გერმანიაში გავრცელებული «სახელმწიფოსადმი ცრუმორწმუნეობრივი რწმენის» წინააღმდეგ, სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ მარქსიზმის უკანასკნელ სიტყვად განსახილველ საკითხზე.

> «საფრანგეთში, აღნიშნავს ენგელსი, ყოველი რევოლუციის შემდეგ მუშები შეიარაღებულნი იყვნენ; «ამიტომ სახელმწიფოს საჭესთან მდგომი ბურჟუებისათვის პირველი მცნება იყო მუშების განიარაღება. აქედან — მუშების მიერ ბრძოლით მოპოვებულ ყოველ რევოლუციას ახალი ბრძოლა მოსდევდა, რომელიც მუშების დამარცხებით თავდებოდა»...

ბურჟუაზიული რევოლუციების გამოცდილების შეჯამება იმდენადვე მოკლეა, რამდენადაც მეტყველია. საქმის არსი — სხვათა შორის სახელმწიფოს საკითხზეც (**აქვს თუ არა იარაღი ჩაგრულ კლასს?**) — აქ შესანიშნავად არის მიგნებული. სწორედ ამ არსს ყველაზე უფრო ხშირად უკლიან გვერდს როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენაში მყოფი პროფესორები, ისე წვრილბურჟუაზიული დემოკრატები. რუსეთის 1917 წლის რევოლუციაში «მენშევიკს», «ვითომდა-მარქსისტ» წერეთელს წილად ხვდა პატივი (კავენიაკისებური პატივი) წამოეყრანტალებინა ბურჟუაზიული რევოლუციების ეს საიდუმლოება. თავის 11 ივნისის «ისტორიულ»

სიტყვაში წერეთელს წამოსცდა, ბურჟუაზიას გადაწყვეტილი აქვს განაიარაღოს პიტერელი მუშებიო, ამასთან ეს გადაწყვეტილება მან, რა თქმა უნდა, თავისადაც გამოაცხადა და საერთოდ «სახელმწიფოებრივ» აუცილებლობადაც!

წერეთლის 11 ივნისის ისტორიული სიტყვა, რა თქმა უნდა, 1917 წლის რევოლუციის ყოველი ისტორიკოსისათვის ერთ-ერთი ფრიად თვალსაჩინო ილუსტრაცია იქნება იმისა, თუ როგორ გადავიდა ესერებისა და მენშევიკების ბლოკი, რომელსაც ბატონი წერეთელი წინამძღოლობს, ბურჟუაზიის მხარეზე რევოლუციური პროლეტარიატის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

ენგელსის მეორე გაკვრით ნათქვამი შენიშვნა, რომელიც აგრეთვე დაკავშირებულია სახელმწიფოს საკითხთან, რელიგიას ეხება. ცნობილია, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია, რაც უფრო ლპებოდა, რაც უფრო ოპორტუნისტული ხდებოდა, მით უფრო და უფრო ქვეითდებოდა ცნობილი ფორმულის: «რელიგიის კერძო საქმედ გამოცხადების» ფილისტერულად მახინჯ განმარტებამდე. სახელდობრ: ამ ფორმულას ისე განმარტავდნენ, თითქოს რევოლუციური პროლეტარიატის პ ა რ ტ ი ი ს თ ვ ი ს აც რელიგიის საკითხი კერძო საქმე **იყოს**!! პროლეტარიატის რევოლუციური პროგრამისადმი **სწორედ** ამ სრული ღალატის წინააღმდეგ გაილაშქრა ენგელსმა, რომელიც თავის პარტიაში 1891 წელს ოპორტუნიზმის მხოლოდ მ ე ტ ა დ ს უ ს ტ ჩანასახებს ხედავდა და ამიტომ რაც შეიძლება ფრთხილად გამოთქვამდა თავის **აზრს:**

> «რადგან კომუნაში თითქმის მხოლოდ მუშები ან მუშების მიერ აღიარებული წარმომადგენლები ისხდნენ, ამიტომ მის დადგენილებებსაც გარკვევით პროლეტარული ხასიათი ჰქონდათ. ეს დადგენილებანი ან ისეთ რეფორმებს ადეკრეტებდნენ, რომლებიც რესპუბლიკურმა ბურჟუაზიამ მხოლოდ საზიზღარი სიმხდალის გამო უარყო და რომლებიც მუშათა კლასის თავისუფალი საქმიანობის აუცილებელ საფუძველს შეადგენენ. ასეთია იმ პრინციპის განხორციელება, რომ ს ა ხ ე ლ-

მწიფოს მიმართ რელიგია მხოლოდ კერძო საქმეაო. ან კომუნა ისეთ დადგენილებებს გამოსცემდა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებული იყვნენ მუშათა კლასის ინტერესებთან და რომლებიც რამდენადმე ღრმად იჭრებოდნენ ძველ საზოგადოებრივ წესწყობილებაში»...

ენგელსმა განზრახ გაუსვა ხაზი სიტყვებს «სახელმწიფოს მიმართ», რითაც მახვილი მიმართა პირდაპირ გერმანული ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, რომელიც რელიგიას კერძო საქმედ აცხადებდა პარტიის მიმართ და ამრიგად რევოლუციური პროლეტარიატის პარტიას აქვეითებდა «თავისუფლად მოაზროვნე» ყოვლად უხამსი ფილისტერობის დონემდე, — იმ ფილისტერობისა, რომელიც მზად იყო დაეშვა სარწმუნოებისგარეშე მდგომარეობა, მაგრამ უარყოფდა ამოცანას — ეწარმოებინა პარტიული ბრძოლა ხალხის გამასულელებელი რელიგიური ბანგის წინააღმდეგ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მომავალი ისტორიკოსი, როცა გამოიკვლევს მისი 1914 წლის სამარცხვინო კრახის ფესვებს, ცოტა საინტერესო მასალას როდი იპოვნის ამ საკითხზე, დაწყებული პარტიის იდეური ბელადის კაუცკის სტატიებში მოცემული მიკიბულ-მოკიბული, ოპორტუნიზმისათვის კარის ფართოდ გამღები განცხადებებით და გათავებული პარტიის დამოკიდებულებით «Los-von-Kirche-Bewegung»-ისადმი (ეკლესიისაგან გამოყოფის მოძრაობისადმი) 1913 წელს.

მაგრამ გადავიდეთ იმაზე, თუ როგორ შეაჯამა ენგელსმა კომუნის ოცი წლის შემდეგ მისი გაკვეთილები მებრძოლი პროლეტარიატისათვის.

აი რა გაკვეთილებს აყენებდა ენგელსი პირველ რიგში:

...«სწორედ წინანდელი ცენტრალიზებული მთავრობის ჩაგვრითი ძალა, არმია, პოლიტიკური პოლიცია, ბიუროკრატია, რომელიც ნაპოლეონმა შექმნა 1798 წელს და რომელსაც მას შემდეგ ყოველი ახალი მთავ-

რობა გადმოიღებდა ხოლმე, როგორც სასურველ იარაღს, და თავისი მტრების წინააღმდეგ იყენებდა, სწორედ ეს ძალა უნდა დამხობილიყო ყველგან საფრანგეთში, როგორც დაემხო იგი პარიზში.

კომუნა იმთავითვე იძულებული იყო ელიარებინა, რომ მუშათა კლასს, რაკი მან ბატონობა მოიპოვა, აღარ შეუძლია ძველი სახელმწიფო მანქანით იმუშაოს; რომ მუშათა კლასმა, რათა თავისი ახლად მოპოვებული ბატონობა კვლავ არ დაკარგოს, ერთი მხრივ, უნდა თავიდან მოიშოროს მთელი ძველი, დღემდე მის წინააღმდეგ მიმართული, ჩაგვრის მანქანა, ხოლო მეორე მხრივ, თავი უნდა დაიცვას საკუთარი დეპუტატებისა და მოხელეებისაგან, რისთვისაც უნდა გამოაცხადოს, რომ ყველა ისინი, სრულიად უგამონაკლისოდ, ყოველ ჟამს შეიძლება შეცვლილ იქნან»...

ენგელსი კიდევ და კიდევ ხაზს უსვამს, რომ არა მარტო მონარქიაში, არამედ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ი ც სახელმწიფო რჩება სახელმწიფოდ, ე. ი. ინარჩუნებს თავის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს: გადააქციოს თანამდებობის პირნი, «საზოგადოების მსახურნი», მისი ორგანოები საზოგადოების ბ ა ტ ო ნ ე ბ ა დ.

...«კომუნამ ორი უტყუარი საშუალება გამოიყენა ამ, ყველა აქამდე არსებულ სახელმწიფოში გარდუვალი, მდგომარეობის წინააღმდეგ, როცა სახელმწიფო და სახელმწიფო ორგანოები საზოგადოების მსახურებიდან საზოგადოების ბატონებად იქცეოდნენ. ჯერ ერთი, იგი ყველა თანამდებობაზე, მმართველობის, სასამართლოს, სახალხო განათლების დარგში, ნიშნავდა საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეულ პირებს, ამასთან მან შემოიღო უფლება — ყოველ ჟამს უკან გაეწვიათ ეს არჩეულნი მათი ამომრჩეველთა გადაწყვეტილებით. მეორეც, ყოველ მოსამსახურეს, მაღალი თანამდებობა ეჭირა მას თუ დაბალი, იგი მხოლოდ

იმდენ გასამრჯელოს აძლევდა, რამდენსაც სხვა მუშები იღებდნენ. ყველაზე დიდი ჯამაგირი, რომელსაც კომუნა საერთოდ იძლეოდა, იყო 6 000 ფრანკი *. ამრიგად საიმედო დაბრკოლება შეიქმნა ადგილების გამოდევნების და კარიერიზმის წინააღმდეგ, თვით იმპერატიული მანდატების დამოუკიდებლადაც, რაც ამას გარდა შემოღებული იყო კომუნის მიერ წარმომადგენლობით დაწესებულებათა დეპუტატებისათვის»...

ენგელსი აქ იმ საინტერესო საზღვარს ადგება, სადაც თანამიმდევარი დემოკრატია, ერთი მხრივ, იქცევა სოციალიზმად და სადაც იგი, მეორე მხრივ, სოციალიზმს მოითხოვს. ვინაიდან სახელმწიფოს მოსასპობად აუცილებელია სახელმწიფო სამსახურის ფუნქციების გადაქცევა კონტროლისა და აღრიცხვის ისეთ მარტივ ოპერაციებად, რომელთა განხორციელებაც ხელმისაწვდომი და შესაძლებელი იქნება მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის, შემდეგ კი — უკლებლივ მთელი მოსახლეობისათვის. კარიერიზმის სრული მოსპობა კი მოითხოვს, რათა «საპატიო», თუმცა არაშემოსავლიანი, ადგილი სახელმწიფო სამსახურში ვერ გამოიყენონ იმისათვის, რომ გადახტნენ მაღალშემოსავლიან თანამდებობაზე ბანკებსა და სააქციო საზოგადოებებში, როგორც ეს მუდამ ხდება ყველა ფრიად თავისუფალ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

მაგრამ ენგელსი არ სჩადის იმ შეცდომას, რასაც სჩადის, მაგალითად, ზოგიერთი მარქსისტი ერთა თვითგამორკვევის უფლების საკითხში: კაპიტალიზმის დროს ეს შეუძლებელია, სოციალიზმის დროს კი ზედმეტიაო. ამგვარი, ვითომდა სიტყვამოსწრებული, ნამდვილად კი შემცდარი, მსჯელობა შეიძ-

* ნომინალურად ეს 2 400-მდე მანეთის უდრის, ახლანდელი კურსით კი — დაახლოებით 6 000 მანეთს. სრულიად შეუწყნარებლად იქცევიან ის ბოლშევიკები, რომლებიც წინადადებას იძლევიან, რომ, მაგალითად, ქალაქის თვითმმართველობებში იყოს ჯამაგირი 9 000 მან. და არ მოითხოვენ, მთელი სახელმწიფოსათვის დაწესდეს მაქსიმუმი 6 000 მან., — რაც საკმაო თანხაა.

ლება განიმეორო ყოველი დემოკრატიული დაწესებულების შესახებ, მათ შორის მოხელეთა ზომიერი ჯამაგირის შესახებაც, ვინაიდან ბოლომდე თანამიმდევარი დემოკრატიზმი კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია, სოციალიზმის დროს კი ყოველი დემოკრატია გაქრება ო.

ეს არის სოფიზმი, რომელიც ჰგავს ძველ ოხუნჯობას: გამელოტდება თუ არა კაცი, თუ მის თმას ერთი ბეწვი მოაკლდებაო.

დემოკრატიის ბოლომდე განვითარება, ასეთი განვითარების ფორმების გამოძებნა, მათი შემოწმება პრაქტიკით და ა. შ., — ყოველივე ეს სოციალური რევოლუციისათვის ბრძოლის ერთ-ერთი შემადგენელი ამოცანაა. ცალკე აღებული, ვერავითარი დემოკრატიზმი ვერ მოგვცემს სოციალიზმს, მაგრამ ცხოვრებაში დემოკრატიზმი არასოდეს არ იქნება «ცალკე აღებული», არამედ იქნება «ერთად აღებული», თავის გავლენას მოახდენს ეკონომიკაზედაც, ხელს შეუწყობს მის გარდაქმნას, თვითონაც განიცდის ეკონომიური განვითარების გავლენას და ა. შ.. ასეთია ცოცხალი ისტორიის დიალექტიკა.

ენგელსი განაგრძობს:

> ...«ძველი სახელმწიფო ხელისუფლების ეს აფეთქება (**Sprengung**) და მისი შეცვლა ახალი, ჭეშმარიტად დემოკრატიული ხელისუფლებით დაწვრილებით არის აღწერილი «სამოქალაქო ომის» მესამე ნაწილში. მაგრამ მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ აქ მოკლედ ერთხელ კიდევ შევჩერებულიყავით ამ შეცვლის ზოგიერთ მხარეზე, იმიტომ რომ სწორედ გერმანიაში ცრუმორწმუნეობრივი შეხედულება სახელმწიფოზე ფილოსოფიიდან ბურჟუაზიის და თვით მრავალი მუშის საერთო შეგნებაში გადავიდა. ფილოსოფოსთა მოძღვრების მიხედვით, სახელმწიფო არის «იდეის განხორციელება» ანუ, ფილოსოფიურ ენაზე გადატანით, ღვთის მეუფება დედამიწაზე, სახელმწიფო ისეთ სარბიელს წარმოადგენს, სადაც

მარადიული ჭეშმარიტება და სამართლიანობა ხორციელდება ან უნდა განხორციელდეს. აქედან კი გამომდინარეობს ცრუმორწმუნეობრივი თაყვანისცემა სახელმწიფოსი და ყოველივე იმისა, რაც სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული, — ცრუმორწმუნეობრივი თაყვანისცემა, რომელიც მით უფრო ადვილად მკვიდრდება, რომ ადამიანი ბავშვობიდანვე ეჩვევა ფიქრს, თითქოს მთელი საზოგადოებისათვის საერთო საქმეებისა და ინტერესების შესრულება და დაცვა მხოლოდ ისეა შესაძლებელი, როგორც დღემდე ხდებოდა, სახელდობრ, სახელმწიფოს და შემოსავლიანი თანამდებობის მქონე მისი მოხელეების შემწეობით. ჰგონიათ, რომ არაჩვეულებრივად გაბედულ ნაბიჯს დგამენ წინ, თუ თავს დააღწევენ მემკვიდრეობითი მონარქიისადმი რწმენას და დემოკრატიული რესპუბლიკის მომხრენი ხდებიან. ნამდვილად კი სახელმწიფო სხვა არა არის რა, თუ არა მანქანა, რომლითაც ერთი კლასი მეორეს ჩაგრავს და ამასთანავე დემოკრატიულ რესპუბლიკაში სრულიადაც არა ნაკლებ, ვიდრე მონარქიაში. უკეთეს შემთხვევაშიც სახელმწიფო ბოროტებაა, რომელიც კლასობრივი ბატონობისათვის ბრძოლაში გამარჯვებულ პროლეტარიატს მემკვიდრეობად გადაეცემა; გამარჯვებული პროლეტარიატი, კომუნის მსგავსად, იძულებული გახდება დაუყოვნებლივ წარკვეთოს ამ ბოროტების უარესი მხარეები, სანამ ახალ, თავისუფალ საზოგადოებრივ პირობებში აღზრდილი თაობა შეძლებდეს სახელმწიფოებრიობის მთელი ამ ნაგვის გადაყრას».

ენგელსი აფრთხილებდა გერმანელებს, რომ მათ მონარქიის რესპუბლიკად შეცვლის გამო არ დაევიწყნათ სოციალიზმის საფუძველი საერთოდ სახელმწიფოს საკითხში. მისი გაფრთხილება ახლა იკითხება, როგორც პირდაპირი გაკვეთილი, მიცემული ბატონ წერეთლებისა და ჩერნოვებისათვის, რომლებმაც თავიანთ «კოალიციურ» პრაქტიკაში გამოიჩინეს

ცრურწმენა სახელმწიფოსადმი და ცრუმორწმუნეობითი მოწიწება მის წინაშე.

კიდევ ორი შენიშვნა: 1) თუ ენგელსი ამბობს, რომ სახელმწიფო «ერთი კლასის მიერ მეორის ჩაგვრის მანქანად» რჩება დემოკრატიულ რესპუბლიკაში «სრულიადაც არა ნაკლებ», ვიდრე მონარქიის დროს, ეს ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩაგვრის ფორმა პროლეტარიატისათვის სულ ერთი იყოს, როგორც ამას ზოგიერთი ანარქისტი «გვასწავლის». კლასობრივი ბრძოლისა და კლასობრივი ჩაგვრის უფრო ფართო, უფრო თავისუფალი, უფრო აშკარა ფორმა პროლეტარიატს უაღრესად უადვილებს ბრძოლას საერთოდ კლასების მოსპობისათვის.

2) რატომ შესძლებს მხოლოდ ახალი თაობა სავსებით მოიშოროს თავიდან სახელმწიფოებრიობის მთელი ეს ნაგავი, — ეს საკითხი დაკავშირებულია დემოკრატიის დაძლევის საკითხთან, და ჩვენც სწორედ ამ საკითხზე გადავალთ.

6. ენგელსი დემოკრატიის დაძლევის შესახებ

ენგელსს ამის შესახებ თავისი აზრის გამოთქმა მოუხდა სახელწოდებას «სოციალ-დემოკრატის» მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი უსწორობის საკითხთან დაკავშირებით.

1870-იან წლებში სხვადასხვა თემაზე, უმთავრესად «ინტერნაციონალური» შინაარსის თემებზე («**Internationales aus dem Volksstaat**» *) დაწერილი თავისი სტატიების გამოცემის წინასიტყვაობაში, რომელიც დათარიღებულია 1894 წლის 3 იანვრით, ე. ი. დაწერილია ენგელსის სიკვდილამდე წელიწად-ნახევრით ადრე, ენგელსი წერდა, რომ ყველა სტატიაში ნახმარია სიტყვა «კომუნისტი» და არა «სოციალ-დემოკრატი», ვინაიდან მაშინ სოციალ-დემოკრატებს უწოდებდნენ თავიანთ თავს პრუდონისტები საფრანგეთში, ლასალელები — გერმანიაში.

...«მარქსისათვის და ჩემთვის — განაგრძობს ენგელსი — ამიტომ სრულიად შეუძლებელი იყო გვეხმარა

* — «მაერთაშორისო» თემებზე «სახალხო სახელმწიფოდან». რ ე დ.

სპეციალურად ჩვენი თვალსაზრისის გამოსახატავად ესოდენ ბევრის შემცველი გამოთქმა. ამჟამად საქმე სხვანაირადაა, და ეს სიტყვა («სოციალ-დემოკრატი»), თითქოს, შეიძლება გამოდგეს (**mag passieren**), თუმცა იგი არაზუსტი (**unpassend**, შეუფერებელი) რჩება ისეთი პარტიისათვის, რომლის ეკონომიური პროგრამა მარტო სოციალისტური კი არ არის საერთოდ, არამედ პირდაპირ კომუნისტურია, — ისეთი პარტიისათვის, რომლის საბოლოო პოლიტიკური მიზანი არის მთელი სახელმწიფოს და, მაშასადამე, აგრეთვე დემოკრატიის დაძლევა. მაგრამ ნ ა მ დ ვ ი ლ ი (ხაზგასმა ენგელსისაა) პოლიტიკური პარტიების სახელწოდება სავსებით არასოდეს არ შეესაბამება მათ, პარტია ვითარდება, სახელწოდება კი რჩება» [111].

დიალექტიკოსი ენგელსი თავისი სიცოცხლის მიწურულშიც დიალექტიკის ერთგული რჩება. მე და მარქსს, ამბობს ის, გვქონდა პარტიის საუცხოო, მეცნიერულად ზუსტი, სახელწოდება, მაგრამ არ გვყავდა ნამდვილი, ე. ი. მასობრივი პროლეტარული პარტიაო. ახლა (XIX საუკუნის დამლევს) არსებობს ნამდვილი პარტია, მაგრამ მისი სახელწოდება მეცნიერულად სწორი არ არის. არა უშავს რა, «გამოდგება», ოღონდ პარტია ვ ი თ ა რ დ ე ბ ო დ ე ს, ოღონდ მისი სახელწოდების მეცნიერული არასიზუსტე მისგან დაფარული არ იყოს და ხელს არ უშლიდეს მის სწორი მიმართულებით განვითარებას!

იქნებ, ზოგიერთმა ხუმარამ ჩვენც, ბოლშევიკებიც, გვანუგეშოს ენგელსისებურად: ჩვენ გვყავს ნამდვილი პარტია, იგი ჩინებულად ვითარდება; «გამოდგება» ისეთი უაზრო, მახინჯი სიტყვაც, როგორიც არის «ბოლშევიკი», რომელიც აბსოლუტურად არაფერს გამოხატავს, გარდა იმ სრულიად შემთხვევითი გარემოებისა, რომ ბრიუსელ-ლონდონის 1903 წლის ყრილობაზე ჩვენ უმრავლესობა გვყავდა... იქნებ, ახლა, როდესაც რესპუბლიკელებისა და «რევოლუციურის» მეშჩანური

დემოკრატიის მიერ ივლისსა და აგვისტოში ჩვენი პარტიის დევნამ სიტყვა «ბოლშევიკი» ესოდენ საყოველთაო-სახალხო და საპატიო სიტყვად აქცია, როდესაც ამ დევნამ, გარდა ამისა, ალბეჭდა ერთობ უზარმაზარი, ისტორიული ნაბიჯი წინ, რაც ჩვენმა პარტიამ გადადგა თავის ნამდვილ განვითარებაში, იქნებ, მეც შევყოყმანებულიყავი ჩემს აპრილის წინადადებაში ჩვენი პარტიის სახელწოდების შეცვლის შესახებ. იქნებ, შემეთავაზებინა ჩემი ამხანაგებისათვის «კომპრომისი»: გვეწოდებინა ჩვენთვის კომუნისტური პარტია, ხოლო ფრჩხილებში დაგვეტოვებინა სიტყვა ბოლშევიკები...

მაგრამ პარტიის სახელწოდების საკითხი შეუდარებლად უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფოსადმი რევოლუციური პროლეტარიატის დამოკიდებულების საკითხი.

ჩვეულებრივს მსჯელობაში სახელმწიფოს შესახებ ყოველთვის სჩადიან იმ შეცდომას, რომლის წინააღმდეგაც ენგელსი გაფრთხილებას იძლევა და რომელიც ჩვენ ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ. სახელდობრ: ყოველთვის ივიწყებენ, რომ სახელმწიფოს მოსპობა არის აგრეთვე დემოკრატიის მოსპობაც, რომ სახელმწიფოს კვდომა არის დემოკრატიის კვდომა.

ერთი შეხედვით ასეთი მტკიცება მეტისმეტად უცნაური და გაუგებარი ჩანს; შესაძლოა, ზოგ ვინმეს იმის შიშიც კი დაებადოს, ხომ არ—მოველით ჩვენ ისეთი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებას, როდესაც არ იქნება დაცული უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილების პრინციპი, ვინაიდან დემოკრატია ხომ სწორედ ამ პრინციპის აღიარებაა?

არა. დემოკრატია იგივე არ არის, რაც უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილება. დემოკრატია არის ისეთი სახელმწიფო, რომელიც აღიარებს უმცირესობის დამორჩილებას უმრავლესობისადმი, ე. ი. ორგანიზაცია სისტემატური ძალდატანებისა, რომელსაც ერთი კლასი ახდენს მეორეზე, მოსახლეობის ერთი ნაწილი მეორეზე.

ჩვენ საბოლოო მიზნად ვისახავთ მოვსპოთ სახელმწიფო, ე. ი. ყოველგვარი ორგანიზებული სისტემატური ძალდატანება, ყოველგვარი ძალდატანება საერთოდ ადამიანებზე. ჩვენ

არ ველით ისეთი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებას, როდესაც არ იქნებოდა დაცული უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილების პრინციპი. მაგრამ, მივისწრაფვით რა სოციალიზმისაკენ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი გადაიზრდება კომუნიზმში და ამასთან დაკავშირებით თანდათან გაქრება ყოველგვარი საჭიროება ადამიანებზე ძალდატანებისა საერთოდ, საჭიროება იმისა, რომ ერთი კაცი დაემორჩილოს მეორეს, მოსახლეობის ერთი ნაწილი მეორე ნაწილს, ვინაიდან ადამიანები შეეჩვევიან საზოგადოებრიობის ელემენტარული პირობების ძალდაუტანებლად დაუმორჩილებლად დაცვას.

შეჩვევის ამ ელემენტს რომ ხაზი გაესვას, სწორედ ამიტომ ლაპარაკობს ენგელსი ახალ თაობაზე, რომელიც «გაიზრდება ახალ, თავისუფალ საზოგადოებრივ პირობებში და რომელიც შესძლებს სავსებით მოიშოროს თავიდან სახელმწიფოებრიობის მთელი ეს ნაგავი», — ყოველგვარი სახელმწიფოებრიობისა, მათ შორს დემოკრატიულ-რესპუბლიკური სახელმწიფოებრიობისაც.

ამის ნათელსაყოფად ხაჭიროა განვიხილოთ სახელმწიფოს კვდომის ეკონომიური საფუძვლების საკითხი.

თავი V

სახელმწიფოს კვდომის ეკონომიური საფუძვლები

ამ საკითხის ყველაზე საფუძვლიანი განმარტება მოგვცა მარქსმა თავის «გოთას პროგრამის კრიტიკაში» (1875 წლის 5 მაისის წერილი ბრაკესადმი; იგი დაიბეჭდა მხოლოდ 1891 წელს «Neue Zeit»-ში, IX, 1, რუსულად გამოვიდა ცალკეულ გამოცემად). ამ შესანიშნავი ნაწარმოების პოლემიკურმა ნაწილმა, რომელიც ლასალელობის კრიტიკას შეიცავს, ასე ვთქვათ, დაჩრდილა მისი დადებითი ნაწილი, სახელდობრ: იმის ანალიზი, თუ რა კავშირი არსებობს კომუნიზმის განვითარებასა და სახელმწიფოს კვდომას შორის.

1. საკითხის დასმა მარქსის მიერ

თუ ზერელედ შევადარეთ ერთმანეთს მარქსის 1875 წლის 5 მაისის წერილი ბრაკესადმი და ენგელსის 1875 წლის 28 მარტის ზემოთ განხილული წერილი ბებელისადმი, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მარქსი გაცილებით უფროა «სახელმწიფოელი», ვიდრე ენგელსი, და რომ ორივე მწერლის შეხედულებანი სახელმწიფოზე ძალიან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

ენგელსი წინადადებას აძლევს ბებელს სრულიად უკუგდებულ იქნას ლაყბობა სახელმწიფოს შესახებ, სავსებით გაანადგუროს სიტყვა სახელმწიფო პროგრამიდან და შეიცვალოს იგი სიტყვით «თემი»; ენგელსი იმასაც კი აცხადებს, რომ კომუნა უკვე არ იყო სახელმწიფო საკუთარი აზრით. ამავე დროს მარქსი «კომუნისტური საზოგადოების მომავალი სახელმწიფოებრიობის» შესახებაც კი ლაპარაკობს, ე. ი. თითქოს აღიარებს სახელმწიფოს აუცილებლობას კომუნიზმის დროსაც კი.

მაგრამ ამგვარი შეხედულება სრულიად შემცდარი იქნებოდა. უახლოესი განხილვა გვიჩვენებს, რომ მარქსისა და ენგელსის შეხედულებანი სახელმწიფოზე და მის კვდომაზე სავსებით ემთხვევიან ერთმანეთს, ხოლო მარქსის ზემომოყვანილი გამოთქმა სწორედ ა მ კ ვ დ ო მ ა დ ს სახელმწიფოებრიობას ეხება.

ცხადია, ლაპარაკიც კი არ შეიძლება სახელმწიფოს მ ო მ ა ვ ა ლ ი «კვდომის» მომენტის განსაზღვრაზე, მით უფრო, რომ იგი აშკარად ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს. მოჩვენებითი განსხვავება მარქსსა და ენგელსს შორის აიხსნება მათ მიერ აღებული თემების, მათ მიერ დასახული ამოცანების განსხვავებით. ენგელსი ამოცანად ისახავდა ნათლად, მკვეთრად, მსხვილი ხაზებით ეჩვენებინა ბებელისათვის მთელი უაზრობა გავრცელებული ცრუშეხედულებისა. (რომელსაც ლასალიც ცოტათი როდი იზიარებდა) სახელმწიფოს შესახებ. მარქსი მხოლოდ გაკვრით ეხება ამ საკითხს, მას სხვა თემა აინტერესებს: კომუნისტური საზოგადოების გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა.

მარქსის მთელი თეორია არის განვითარების თეორიის გამოყენება — მისი ყველაზე თანამიმდევარი, სრული, მოფიქრებული და შინაარსით მდიდარი ფორმით — თანამედროვე კაპიტალიზმის მიმართ. ბუნებრივია, რომ მარქსისათვის დაისვა საკითხი — გამოეყენებინა ეს თეორია კაპიტალიზმის მოახლოებული კრახის მიმართაც და მომავალი კომუნიზმის მომავალი განვითარების მიმართაც.

რა მონაცემების საფუძველზე შეიძლება დაისვას მომავალი კომუნიზმის მომავალი განვითარების საკითხი?

იმ საფუძველზე, რომ იგი წარმოსდგება კაპიტალიზმიდან, ისტორიულად ვითარდება კაპიტალიზმიდან, შედეგია ისეთი საზოგადოებრივი ძალის მოქმედებისა, რომელიც კაპიტალიზმმა წარმოშვა. მარქსი ოდნავადაც არ ცდილობს შეთხზას უტოპიები, ტყუილ-უბრალოდ ეწეოდეს ვარაუდს იმაზე, რისი ცოდნაც შეუძლებელია. მარქსი კომუნიზმის საკითხს ისე აყენებს, როგორც ბუნებისმეტყველი დააყენებდა ახალი, ვთქვათ, ბიოლოგიური ნაირსახეობის განვითარების საკითხს, რაკი ჩვენ ვიცით, რომ იგი ასე და ასე წარმოიშვა და ასეთი და ასეთი გარკვეული მიმართულებით იცვლის სახეს.

მარქსი უწინარეს ყოვლისა უკუაგდებს იმ აბნეულობას, რაც გოთას პროგრამას შეაქვს სახელმწიფოს და საზოგადოების თანაფარდობის საკითხში.

> ...«თანამედროვე საზოგადოება — წერს ის — კაპიტალისტური საზოგადოებაა, რომელიც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში არსებობს და რომელიც მეტნაკლებად თავისუფალია შუასაუკუნეობრიობის შენარევისაგან, თვითეული ქვეყნის ისტორიული განვითარების თავისებურებებით მეტნაკლებად სახეშეცვლილია, მეტნაკლებად განვითარებულია. «თანამედროვე სახელმწიფო», პირიქით, ყოველ სახელმწიფოებრივ საზღვართან ერთად იცვლება. პრუსია-გერმანიის იმპერიაში ის სრულიად სხვანაირია, ვიდრე შვეიცარიაში, ინგლისში სრუ-

ლიად სხვანაირია, ვიდრე შეერთებულ შტატებში. მაშასადამე, «თანამედროვე სახელმწიფო» ფიქციაა.

მაგრამ სხვადასხვა ცივილიზებული ქვეყნის სხვადასხვა სახელმწიფოს, მიუხედავად მათი ფორმების ჭრელი სხვადასხვაობისა, ურთიერთშორის საერთო ის აქვს, რომ ისინი თანამედროვე, კაპიტალისტურად მეტნაკლებად განვითარებული, ბურჟუაზიული საზოგადოების ნიადაგზე დგანან. ამიტომ მათ აქვთ ზოგიერთი საერთო არსებითი ნიშანი. ამ აზრით შეიძლება ლაპარაკი «თანამედროვე სახელმწიფოებრიობაზე» იმ მომავლის საპირდაპიროდ, როდესაც მისი ახლანდელი ფესვი, ბურჟუაზიული საზოგადოება მოკვდება.

შემდეგ საკითხი ასე ისმება: რა გარდაქმნას განიცდის სახელმწიფოებრიობა კომუნისტურ საზოგადოებაში? სხვა სიტყვებით: რა საზოგადოებრივი ფუნქციები დარჩება მაშინ ახლანდელი სახელმწიფო ფუნქციების ანალოგიური? ამ კითხვას მხოლოდ მეცნიერულად შეიძლება ვუპასუხოთ; და ათასჯერაც რომ შევაერთოთ სიტყვა «ხალხი» სიტყვა «სახელმწიფოსთან», ეს ოდნავადაც ვერ წასწევს წინ საკითხის გადაწყვეტას»... [112]

დასცინის რა ამრიგად ყოველგვარ ლაყბობას «სახალხო სახელმწიფოს» შესახებ, მარქსი აყენებს საკითხს და თითქოს გაფრთხილებას იძლევა, რომ ამ საკითხზე მეცნიერული პასუხის გასაცემად შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მეცნიერულად მტკიცედ დადგენილი მონაცემები.

პირველი, რაც სავსებით ზუსტად არის დადგენილი განვითარების მთელი თეორიით, საერთოდ მთელი მეცნიერებით, — და რასაც ივიწყებდნენ უტოპისტები, რასაც ივიწყებენ ახლანდელი ოპორტუნისტები, რომლებსაც სოციალისტური რევოლუციისა ეშინიათ, — ეს ის გარემოებაა, რომ ისტორიულად უსათუოდ უნდა არსებობდეს კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის განსაკუთრებული სტადია ან განსაკუთრებული ეტაპი.

2. კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა

«კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის — განაგრძობს მარქსი — მდებარეობს ერთის მეორედ რევოლუციური გარდაქმნის პერიოდი. ამ პერიოდს შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არ პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა».

ამ დასკვნას მარქსი ამყარებს იმ როლის ანალიზზე, რომელსაც ასრულებს პროლეტარიატი თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ამყარებს ამ საზოგადოების განვითარების მონაცემებზე და პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის საპირისპირო ინტერესთა შეურიგებლობაზე.

წინათ საკითხი ასე ისმებოდა: თავისი განთავისუფლების მისაღწევად პროლეტარიატმა უნდა დაამხოს ბურჟუაზია, დაიპყროს პოლიტიკური ძალაუფლება, დაამყაროს თავისი რევოლუციური დიქტატურა.

ახლა საკითხი რამდენადმე სხვანაირად ისმება: კაპიტალისტური საზოგადოებიდან, რომელიც კომუნიზმისაკენ ვითარდება, კომუნისტურ საზოგადოებაში გადასვლა შეუძლებელია «პოლიტიკური გარდამავალი პერიოდის» გარეშე, და ამ პერიოდის სახელმწიფო შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა.

როგორია ამ დიქტატურის დამოკიდებულება დემოკრატიისადმი?

ჩვენ დავინახეთ, რომ «კომუნისტური მანიფესტი» პირდაპირ ერთიმეორის გვერდით აყენებს ორ ცნებას: «პროლეტარიატის გადაქცევა გაბატონებულ კლასად» და «დემოკრატიის დაპყრობა». ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე შეგვიძლია უფრო ზუსტად განვსაზღვროთ, თუ როგორ იცვლება დემოკრატია კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის დროს.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მისი ყველაზე ხელსაყრელი განვითარების პირობებში, ჩვენ გვაქვს მეტნაკლებად

სრული დემოკრატიზმი დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მაგრამ ეს დემოკრატიზმი ყოველთვის შებოჭილია კაპიტალისტური ექსპლოატაციის ვიწრო ჩარჩოებით და ამიტომ, არსებითად, ყოველთვის რჩება დემოკრატიზმად უმცირესობისათვის, მხოლოდ მქონებელი კლასებისათვის, მხოლოდ მდიდრებისათვის. კაპიტალისტური საზოგადოების თავისუფლება დაახლოებით ყოველთვის ისეთივე რჩება, როგორიც იყო თავისუფლება ძველი საბერძნეთის რესპუბლიკებში: თავისუფლებად მონათმფლობელთათვის. თანამედროვე დაჩაგრავებული მონები, კაპიტალისტური ექსპლოატაციის პირობების გამო, იმდენად დაბეჩავებული არიან გაჭირვებითა და სიღატაკით, რომ მათ «არა სცხელათ დემოკრატიისათვის», «არა სცხელათ პოლიტიკისათვის», რომ მოვლენათა ჩვეულებრივი, მშვიდობიანი მსვლელობისას მოსახლეობის უმრავლესობა ჩამოცილებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას.

ამ დებულების სისწორეს, იქნებ, ყველაზე თვალსაჩინოდ გერმანია ადასტურებდეს სწორედ იმიტომ, რომ ამ სახელმწიფოში კონსტიტუციურმა ლეგალობამ საოცრად დიდხანს და მტკიცედ გასძლო თითქმის ნახევარ საუკუნეს (1871 — 1914), ხოლო სოციალ-დემოკრატიამ ამ ხნის განმავლობაში გაცილებით მეტის გაკეთება შესძლო, ვიდრე სხვა ქვეყნებში, «ლეგალობის გამოყენებისათვის» და მუშათა ისეთი დიდი ნაწილის შეკავშირებისათვის პოლიტიკურ პარტიად, რომ ქვეყნად ეს არსად არ მომხდარა.

მერე როგორია კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებულთან შედარებით პოლიტიკურად შეგნებული და დაჩირავებული აქტიური მუშების ეს ყველაზე დიდი ნაწილი? სოციალ-დემოკრატების პარტიის ერთი მილიონი წევრი — 15 მილიონი დაქირავებული მუშიდან! სამი მილიონი პროფესიულად ორგანიზებული მუშა — 15 მილიონიდან!

დემოკრატია უმნიშვნელო უმცირესობისათვის, დემოკრატია მდიდრებისათვის — აი როგორია კაპიტალისტური საზოგადოების დემოკრატიზმი. უფრო ახლოს რომ დავა-

კვირდეთ კაპიტალისტური დემოკრატიის მექანიზმს, ჩვენ უკლებლივ და ყველგან დავინახავთ, საარჩევნო უფლების «წვრილმანებშიც», ვითომ წვრილმანებშიც (ბინადრობის ცენზი, ქალების გამორიცხვა და ა. შ.), საწარმომადგენლო დაწესებულებათა ტექნიკაშიც, კრებების უფლების ფაქტიურ დაბრკოლებებშიც (საზოგადოებრივი შენობები «ღატაკთათვის» არ არის!), ყოველდღიური პრესის წმინდა კაპიტალისტურ ორგანიზაციაშიც და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, — ჩვენ დავინახავთ დემოკრატიზმის შეზღუდვას და კვლავ შეზღუდვას. ეს შეზღუდვა, გამორიცხვა, გამონაკლისი, დაბრკოლება ღარიბთათვის წვრილმანი ჩანს, მეტადრე იმათ თვალში, ვისაც გაჭირვება თვითონ არასოდეს არ უნახავს და ვინც ჩაგრულ კლასებთან და მათს მასობრივ ცხოვრებასთან დაახლოებული არ ყოფილა (ხოლო ასეთია ბურჟუაზიული პუბლიცისტებისა და პოლიტიკოსების ცხრა მეათედი, თუ ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი არა), — მაგრამ ეს შეზღუდვანი, ერთად აღებულნი, გამორიცხავენ, ერეკებიან ღარიბ ხალხს პოლიტიკიდან, დემოკრატიაში აქტიური მონაწილეობიდან.

მარქსი საუცხოოდ ჩასწვდა კაპიტალისტური დემოკრატიის ამ **არსს**, როცა მან კომუნის გამოცდილების ანალიზში თქვა: ჩაგრულებს რამდენიმე წელში ერთხელ რთავენ ნებას გადაწყვიტოს, თუ მჩაგვრელი კლასის სახელდობრ რომელი წარმომადგენელი იქნება პარლამენტში მათი წარმომადგენელი და დამთრგუნველი!

მაგრამ ამ გარდუვალად ვიწრო, ღარიბების ფარულად უკუმგდები და ამიტომ მთლად თვალთმაქცური და ყალბი კაპიტალისტური დემოკრატიიდან განვითარება არ მიდის წინ ისე უბრალოდ, პირდაპირ და შეუფერხებლად, «უფრო მეტი და მეტი დემოკრატიისაკენ», როგორც ეს წარმოუდგენიათ ლიბერალ პროფესორებსა და წვრილბურჟუაზიულ ოპორტუნისტებს. არა. განვითარება წინ, ე. ი. კომუნიზმისაკენ, მიდის პროლეტარიატის დიქტატურის გზით და სხვაგვარად

ვერც წავა, ვინაიდან ექსპლოატატორი კაპიტალისტების წინააღმდეგობის გატეხა სხვას არავის არ შეუძლია და სხვა გზით არ შეიძლება.

ხოლო პროლეტარიატის დიქტატურას, ე. ი. ჩაგრულთა ავანგარდის ჩამოყალიბებას გაბატონებულ კლასად მჩაგვრელთა დასათრგუნავად, არ შეუძლია მოგვცეს უბრალოდ, მარტოოდენ დემოკრატიის გაფართოება. დემოკრატიზმის უდიდეს გაფართოებასთან ერთად, დემოკრატიზმისა, რომელიც პირველად ხდება დემოკრატიზმად ღარიბთათვის, დემოკრატიზმად ხალხისათვის და არა დემოკრატიზმად მდიდრებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურა მთელ რიგ გამონაკლისს ახდენს თავისუფლებიდან მჩაგვრელების, ექსპლოატატორების, კაპიტალისტების მიმართ. ისინი ჩვენ უნდა დავთრგუნოთ, რათა გავათავისუფლოთ კაცობრიობა დაქირავებული მონობისაგან, ძალით უნდა გავტეხოთ მათი წინააღმდეგობა, — ცხადია, იქ, სადაც არის დათრგუნვა, ძრის ძალადობა, იქ არ არის თავისუფლება, არ არის დემოკრატია.

ენგელსმა ეს ჩანებულად გამოხატა თავის წერილში ბებელისადმი, სადაც ის, როგორც ეს მკითხველს ეხსომება, ამბობს, რომ «პროლეტარიატს სახელმწიფო ესაჭიროება არა თავისუფლების ინტერესებისათვის, არამედ თავის მოწინააღმდეგეთა დათრგუნვის ინტერესებისათვის, ხოლო როცა შესაძლებელი იქნება თავისუფლებაზე ლაპარაკი, მაშინ სახელმწიფო არ იქნებაო».

დემოკრატია ხალხის უდიდესი უმრავლესობისათვის და ექსპლოატატორების, ხალხის მჩაგვრელების ძალით დათრგუნვა, ე. ი. გამონაკლისი დემოკრატიიდან, — აი რანაირად იცვლება დემოკრატია კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის დროს.

მხოლოდ კომუნისტურ საზოგადოებაში, როდესაც კაპიტალისტების წინააღმდეგობა უკვე საბოლოოდ გატეხილია, როდესაც კაპიტალისტები ქრებიან, როდესაც კლასები აღარ არსებობენ (ე. ი. არ არის განსხვავება საზოგადოების წევრთა

შორის წარმოების საზოგადოებრივ საშუალებათადმი დამოკიდებულების მხრივ), — მხოლოდ მაშინ «გაქრება სახელმწიფო და შესაძლებელი იქნება თავისუფლებაზე ლაპარაკი». მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი და კიდევაც განხორციელდება ნამდვილად სრული დემოკრატია, ნამდვილად ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. და მხოლოდ მაშინ დაიწყებს დემოკრატია კვდომას იმ უბრალო გარემოების გამო, რომ, ადამიანები, კაპიტალისტური მონობისაგან, კაპიტალისტური ექსპლოატაციის უამრავ საშინელებათა, სიველურეთა, უმსგავსობათა და საზიზღრობათაგან განთავისუფლებულნი, თანდათან შეეჩვევიან საერთო თანაცხოვრების ელემენტარულს, საუკუნეობით ცნობილი, ათასეული წლების მანძილზე ყოველნაირად გადაღეჭილი წესების დაცვას, მათ დაცვას ისე, რომ საჭირო არ იყოს ძალდატანება, იძულება, დამორჩილება, საჭირო არ იყოს იძულების ის **განსაკუთრებული აპარატი**, რომელსაც სახელმწიფო ეწოდება.

გამოთქმა «სახელმწიფო კვდება» ძალიან მარჯვედ არის შერჩეული, ვინაიდან იგი მიგვითითებს პროცესის თანდათანობაზედაც და მის სტიქიურობაზედაც. მხოლოდ ჩვეულებას შეუძლია მოახდინოს ასეთი მოქმედება და იგი უეჭველია მოახდენს ასეთ მოქმედებას, ვინაიდან ჩვენ მილიონჯერ ვხედავთ ჩვენს ირგვლივ, თუ რა ადვილად ეჩვევიან ადამიანები მათთვის აუცილებელი საერთო თანაცხოვრების წესების დაცვას, თუ არ არის ექსპლოატაცია, თუ არ არსებობს ისეთი რამ, რაც იწვევს აღშფოთებას, პროტესტსა და აჯანყებას, ქმნის დათრგუნვის აუცილებლობას. ამრიგად: კაპიტალისტურ საზოგადოებაში ჩვენ გვაქვს შეკვეცილი, უბადრუკი, ყალბი დემოკრატია, დემოკრატია მხოლოდ მდიდრებისათვის, უმცირესობისათვის. პროლეტარიატის დიქტატურა, კომუნიზმზე გადასვლის პერიოდი, პირველად მოგვცემს დემოკრატიას ხალხისათვის, უმრავლესობისათვის, უმცირესობის, ექსპლოატატორების აუცილებელ დათრგუნვასთან ერთად. მხოლოდ და მარტოოდენ

კომუნიზმს ძალუძს მოგვცეს ნამდვილად სრული დემოკრატია, და რაც უფრო სრულია იგი, მით უფრო მალე გახდება იგი ზედმეტი, მოკვდება თავისთავად.

სხვანაირად რომ ითქვას: კაპიტალიზმის დროს ჩვენ გვაქვს სახელმწიფო ამ სიტყვის საკუთარი აზრით, საგანგებო მანქანა ერთი კლასის მიერ მეორის დასათრგუნავად და ამასთან უმცირესობის მიერ უმრავლესობის დასათრგუნავად. გასაგებია, რომ ისეთი საქმის წარმატებისათვის, როგორიცაა ექსპლოატატორთა უმცირესობის მიერ ექსპლოატირებულთა უმრავლესობის სისტემატური დათრგუნვა, საჭიროა უკიდურესი სისასტიკე, მხეცური დათრგუნვა, საჭიროა ზღვა სისხლი, რომლითაც კაცობრიობა მიიკვლევს თავის გზას მონობის, ბატონყმობის, დაქირავებულობის მდგომარეობაში.

შემდეგ, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის დროს დათრგუნვა ჯერ კიდევ აუცილებელია, მაგრამ დათრგუნვა უკვე ექსპლოატატორთა უმცირესობისა ექსპლოატირებულთა უმრავლესობის მიერ. დათრგუნვის საგანგებო აპარატი, საგანგებო მანქანა, «სახელმწიფო» ჯერ კიდევ აუცილებელია, მაგრამ ეს უკვე გარდამავალი სახელმწიფოა, ეს უკვე აღარ არის სახელმწიფო საკუთარი აზრით, ვინაიდან ექსპლოატატორთა უმცირესობის დათრგუნვა გუშინდელი დაქირავებული მონების უმრავლესობის მიერ შედარებით იმდენად ადვილი, უბრალო და ბუნებრივი საქმეა, რომ იგი გაცილებით ნაკლებ სისხლად დაჯდება, ვიდრე მონების, ყმების, დაქირავებული მუშების აჯანყებათა დათრგუნვა, რომ იგი კაცობრიობას გაცილებით უფრო იაფად დაუჯდება. და ეს ეთავსება დემოკრატიის გავრცელებას მოსახლეობის ისეთ დიდ უმრავლესობაზე, რომ დათრგუნვის საგანგებო მანქანის საჭიროება გაქრობას იწყებს. ექსპლოატატორებს, ცხადია, არ ძალუძთ დათრგუნონ ხალხი, თუ არ ექნებათ ურთულესი მანქანა ასეთი ამოცანის შესასრულებლად, მაგრამ ხალხს ექსპლოატატორთა დათრგუნვა შეუძლია ძალიან მარტივი «მანქანითაც», თითქმის «უმანქანოდ», განსაკუთრებული აპარა-

ტის გარეშე, შეიარაღებული მასების უბრალო ორგანიზაციით (როგორიცაა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები — შევნიშნავთ ჩვენ წინდაწინვე).

დასასრულ, მხოლოდ კომუნიზმი ხდის სახელმწიფოს სრულიად ზედმეტს, ვინაიდან აღარავინ არის დასათრგუნავი, — «აღარავინ» კლასის აზრით, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილთან სისტემატური ბრძოლის აზრით. ჩვენ უტოპისტები არა ვართ და სრულიადაც არ უარვყოფთ ცალკეულ პირთა ექსცესების შესაძლებლობასა და გარდუვალობას, აგრეთვე ასეთი ექსცესების დათრგუნვის აუცილებლობას. მაგრამ, ჯერ ერთი, ამისათვის საჭირო არ არის განსაკუთრებული მანქანა, დათრგუნვის განსაკუთრებული აპარატი, ამას შეასრულებს თვითონ შეიარაღებული ხალხი ისევე მარტივად და ადვილად, როგორც ცივილიზებულ ადამიანთა რომელიმე ჯგუფი თანამედროვე საზოგადოებაშიც კი აშველებს მოჩხუბართ ან ხელს უშლის ძალადობას ქალის მიმართ. მეორეც, ჩვენ ვიცით, რომ ძირითადი სოციალური მიზეზი ექსცესებისა, რომლებიც საერთო თანაცხოვრების წესების დარღვევით გამოიხატება, არის მასების ექსპლოატაცია, მათი გაჭირვება და სიღატაკე. ამ მთავარი მიზეზის მოსპობასთან ერთად ექსცესებიც გარდუვალად დაიწყებენ «ქვდომასს». ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენად სწრაფად და როგორი თანდათანობით მოხდება ეს, მაგრამ ვიცით კი, რომ ისინი მოკვდებიან. მათ სიკვდილთან ერთად სახელმწიფოც მოკვდება.

მარქსმა, რომელიც არ აჰყოლია უტოპიას, უფრო დაწვრილებით განსაზღვრა ის, რისი განსაზღვრაც შესაძლებელია ახლა ამ მომავლის შესახებ, სახელდობრ: კომუნისტური საზოგადოების დაბალი და უმაღლესი ფაზის (საფეხურის, ეტაპის) განსხვავება.

3. კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზა

«გოთას პროგრამის კრიტიკაში» მარქსი დაწვრილებით არღვევს ლასალის იმ იდეას, თითქოს მუშა სოციალიზმის

დროს მიიღებდეს «შრომის შეუკვეცელს» ან «სრულ პროდუქტს». მარქსი ცხადყოფს, რომ მთელი საზოგადოების მთელ საზოგადოებრივ შრომას აუცილებლად უნდა გამოაკლდეს სათადარიგო ფონდიც, წარმოების გაფართოების ფონდიც, «გაცვეთილი» მანქანების საზღაურიც და სხვა, შემდეგ მოხმარების საგნებს — მმართველობის, სკოლების, საავადმყოფოების, მოხუცთა თავშესაფრებისა და სხვა ხარჯების ფონდი.

ნაცვლად ლასალის ბუნდოვანი, გაურკვეველი, ზოგადი ფრაზისა («შრომის სრული პროდუქტი — მუშას») მარქსი ფხიზლად ითვალისწინებს, თუ სახელდობრ როგორ უნდა გაუძღვეს მეურნეობას სოციალისტური საზოგადოება. მარქსი მიდის ისეთი საზოგადოების ცხოვრების პირობების ე კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ანალიზამდე, რომელშიც კაპიტალიზმი არ იქნება, და ამასთან ამბობს:

> «აქ ჩვენ საქმე გვაქვს» (მუშათა პარტიის პროგრამის განხილვის დროს) «არა ისეთ კომუნისტურ საზოგადოებასთან, რომელიც თავის საკუთარ საფუძველზე განვითარდა, არამედ ისეთთან, რომელიც ეს არის ახლა გამოდის კაპიტალისტური საზოგადოებიდან; ამიტომ მას ყოველმხრივ, ეკონომიურად, ზნეობრივად და გონებრივად, ჯერ კიდევ დაღი აზის ძველი საზოგადოებისა, რომლის წიაღიდან ის გამოვიდა».

ეს ამ კომუნისტურ საზოგადოებას, რომელიც ეს არის ახლა გამოვიდა დღის სინათლეზე კაპიტალიზმის წიაღიდან და რომელსაც ყველა მხრივ ძველი საზოგადოების დაღი აზის, უწოდებს მარქსი კომუნისტური საზოგადოების «პირველ» ან დაბალ ფაზას.

წარმოების საშუალებანი უკვე არ შეადგენენ ცალკეულ პირთა კერძო საკუთრებას. წარმოების საშუალებანი მთელ საზოგადოებას ეკუთვნის. საზოგადოების ყოველ წევრს, რომელიც ასრულებს საზოგადოებრივ-აუცილებელ

სამუშაოს გარკვეულ წილს, საზოგადოებისაგან ეძლევა მოწმობა, რომ მან ამდენი და ამდენი სამუშაო შეასრულა. ამ მოწმობით ის მოხმარების საგანთა საზოგადოებრივი საწყობებიდან პროდუქტების სათანადო რაოდენობას იღებს. მაშასადამე, შრომის იმ რაოდენობის გამოკლებით, რომელიც საზოგადოებრივ ფონდში გადადის, ყოველი მუშა საზოგადოებისაგან იმდენსავე იღებს, რამდენიც თვითონ მისცა საზოგადოებას.

თითქოს «თანასწორობა» სუფევს.

მაგრამ, როდესაც ლასალი ხმობს, გულისხმობს რა ასეთ საზოგადოებრივ წესწყობილებას (რომელსაც ჩვეულებრივ სოციალიზმს უწოდებენ, მარქსი კი კომუნიზმის პირველ ფაზას უწოდებს), რომ ეს არის «სამართლიანი განაწილება», რომ ეს არის «თვითეულის თანასწორი უფლება შრომის თანასწორი პროდუქტის მიმართო», აქ ლასალი სცდება, და მარქსი განმარტავს მის შეცდომას.

«თანასწორი უფლება» — ამბობს მარქსი — აქ ჩვენ მართლაც გვაქვს, მაგრამ **ეს ჯერ კიდევ** «ბურჟუაზიული უფლებაა», რომელიც, როგორც ყოველი უფლება, **უთანასწორობას გულისხმობს**. ყოველი უფლება არის **თანაბარი** მასშტაბის მიყენება სხვადასხვა ადამიანისადმი, რომლებიც სინამდვილეში არ არიან თანაბარნი, არ არიან ერთიმეორის თანასწორნი, და ამიტომ «თანასწორი უფლება» თანასწორობის დარღვევა და უსამართლობაა. მართლაც, თვითეულს, რომელმაც გამოიმუშავა საზოგადოებრივი შრომის იმდენი წილი, რამდენიც მეორემ—საზოგადოებრივი პროდუქტის თანაბარი წილი ეძლევა (ზემოთ აღნიშნულის გამოკლებით).

ამავე დროს კი ცალკეული ადამიანები თანასწორნი არ არიან: ერთი უფრო ღონიერია, მეორე — უფრო სუსტი; ერთი ცოლიანია, მეორე კი არა, ერთს მეტი შვილები ჰყავს, მეორეს ნაკლები, და ა. შ.

...«მაშასადამე, — დაასკვნის მარქსი, — თანასწორი შრომის დროს, საზოგადოებრივი მოხმარების ფონდში

5

თანასწორი მონაწილეობის დროს სინამდვილეში ერთი მეტს მიიღებს, ვიდრე მეორე, ერთი უფრო მდიდარი აღმოჩნდება, ვიდრე მეორე, და ა. შ.. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად უფლება, ნაცვლად იმისა, რომ თანასწორი იყოს, უთანასწორო უნდა იყოს»...

მაშასადამე, კომუნიზმის პირველ ფაზას ჯერ კიდევ არ შეუძლია მოგვცეს სამართლიანობა და თანასწორობა: განსხვავება სიმდიდრის მხრივ, — უსამართლო განსხვავება, — რჩება, მაგრამ შეუძლებელი იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ვინაიდან არ შეიძლება კერძო საკუთრებად ჩაიგდო ხელში წარმოების საშუალებანი, ფაბრიკები, მანქანები, მიწა და სხვა. აბათილებს რა ლასალის წვრილბურჟუაზიულად ბუნდოვან ფრაზას საერთოდ «თანასწორობისა» და «სამართლიანობის» შესახებ, მარქსი გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდება კომუნისტური საზოგადოება, რომელიც იძულებულია ჯერ მოსპოს მხოლოდ ის «უსამართლობა», რომ წარმოების საშუალებანი ხელში აქვთ ჩაგდებული ცალკეულ პირებს, და რომელსაც არ ძალუძს ერთბაშად მოსპოს შემდგომი უსამართლობაც, რაც მდგომარეობს მოხმარების საგნების «მუშაობის მიხედვით» (და არა მოთხოვნილების მიხედვით) განაწილებაში.

ვულგარული ეკონომისტები, მათ შორის ბურჟუაზიული პროფესორები, მათ შორის «ჩვენი» ტუგანი, სულ მუდამ უსაყვედურებენ სოციალისტებს, თითქოს ისინი ივიწყებენ ადამიანთა უთანასწორობას და «ოცნებობენ» მოსპონ ეს უთანასწორობა. ასეთი საყვედური, როგორც ვხედავთ, მხოლოდ ბატონი ბურჟუაზიული იდეოლოგების უკიდურეს უმეცრებას ამტკიცებს.

მარქსი არათუ ყოველად ზუსტად ითვალისწინებს ადამიანთა გარდუვალ უთანასწორობას, ის ითვალისწინებს აგრეთვე იმას, რომ მარტოოდენ წარმოების საშუალებათა

გადასცეს მთელი საზოგადოების საერთო საკუთრებად («სოციალიზმი», ჩვეულებრივი სიტყვა რომ ვიხმაროთ) არ სპობს «ბურჟუაზიული უფლების» დამახასიათებელი განაწილებისა და უთანასწორობის ნაკლოვანებებს, რომ ეს «უფლება» განაგრძობს ბატონობას, რამდენადაც პროდუქტები «მუშაობის მიხედვით» ნაწილდება.

...«მაგრამ — განაგრძობს მარქსი — ამ ნაკლოვანებათა თავიდან აცილება შეუძლებელია კომუნისტური საზოგადოების პირველ ფაზაში, როდესაც იგი ეს არის წარმოიშვა კაპიტალისტური საზოგადოებიდან მძიმე მშობიარობის ხანგრძლივი ტკივილების შემდეგ. უფლება არასოდეს არ შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ვიდრე არის საზოგადოების ეკონომიური წყობილება და მით შეპირობებული კულტურული განვითარება საზოგადოებისა»...

ამრიგად, კომუნისტური საზოგადოების პირველ ფაზაში (რომელსაც, ჩვეულებრივ, სოციალიზმს უწოდებენ) «ბურჟუაზიული უფლება» უქმდება არა სავსებით, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც უკვე მიღწეულია ეკონომიური გადატრიალება, ე. ი. მხოლოდ წარმოების საშუალებათა მიმართ. «ბურჟუაზიული უფლება» ამ საშუალებებს ცალკეულ პირთა კერძო საკუთრებად აღიარებს. სოციალიზმი კი მათ საერთო საკუთრებად აქცევს. ამდენად — და მხოლოდ ამდენად — ისპობა «ბურჟუაზიული უფლება».

მაგრამ იგი მაინც რჩება თავის შეორე ნაწილში, რჩება საზოგადოების წევრთა შორის პროდუქტების განაწილებისა და შრომის განაწილების რეგულატორად (განმსაზღვრელად). «ვინც არ მუშაობს, ის არცა სჭამს», — ეს სოციალისტური პრინციპი უკვე განხორციელებულია; «შრომის თანასწორი რაოდენობისათვის — პროდუქტების თანასწორი რაოდენობა» — ეს სოციალისტური პრინციპიც უკვე განხორციელებულია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის

კომუნიზმში, და ეს ჯერ კიდევ არა სპობს «ბურჟუაზიულ უფლებას», რომელიც არათანასწორ ადამიანებს შრომის არათანასწორ (ფაქტიურად არათანასწორ) რაოდენობაში აძლევს პროდუქტის თანასწორ რაოდენობას.

ეს — «ნაკლია», ამბობს მარქსი, მაგრამ მისი თავიდან აცილება არ შეიძლება კომუნიზმის პირველ ფაზაში, ვინაიდან, უტოპიზმში თუ არ შესტოპე, შეუძლებელია იფიქრო, რომ, დააშხობენ რა კაპიტალიზმს, ადამიანები ერთბაშად ისწავლიან საზოგადოებისათვის მუშაობას უფლების უღველგვარი ნორმების გარეშე, თანაც ასეთი ცვლილების ეკონომიურ წანაძღვრებს კაპიტალიზმის გაუქმება ერთბაშად არ იძლევა.

სხვა ნორმები კი, გარდა «ბურჟუაზიული უფლებისა», არ არსებობს. და ამდენად ჯერ კიდევ აუცილებელია სახელმწიფო, რომელიც, დაიცავს რა წარმოების საშუალებათა საერთო საკუთრებას, ამავე დროს დაიცავს შრომის თანასწორობას და პროდუქტის გაყოფის თანასწორობას.

სახელმწიფო კვდება, რამდენადაც კაპიტალისტები უკვე აღარ არსებობენ, კლასები უკვე აღარ არსებობენ, და ამიტომ რომელიმე კლასის დათრგუნვა არ შეიძლება.

მაგრამ სახელმწიფო სავსებით ჯერ კიდევ არ მომკვდარა, ვინაიდან რჩება დაცვა «ბურჟუაზიული უფლებისა», რომელიც ფაქტიურ უთანასწორობას აკანონებს. სახელმწიფოს სრული კვდომისათვის სრული კომუნიზმია საჭირო.

4. კომუნისტური საზოგადოების უმაღლესი ფაზა

მარქსი განაგრძობს:

...«კომუნისტური საზოგადოების უმაღლეს ფაზაში, მას შემდეგ, რაც გაქრება ადამიანის დამმონავებელი დაქვემდებარება შრომის დანაწილებისადმი; როდესაც ამასთან ერთად გაქრება გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირება; როდესაც შრომა

არა მარტო ცხოვრების საშუალება იქნება, არამედ თვითონ გადაიქცევა პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად; როდესაც ინდივიდთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალებიც გაიზრდება და საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო უხვად გამოდინდება, — მხოლოდ მაშინ შეიძლება სრულიად გადალახულ იქნეს ბურჟუაზიული უფლების ვიწრო ჰორიზონტი, და საზოგადოება შეძლებს თავის დროშას წააწეროს: «თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით»».

მხოლოდ ახლა შეგვიძლია დავაფასოთ ენგელსის შენიშვნების მთელი სისწორე, როდესაც ის ულმობლად დასცინოდა სიტყვების: «თავისუფლებისა» და «სახელმწიფოს» შეერთების უაზრობას. ვიდრე სახელმწიფო არსებობს, არ არის თავისუფლება. როდესაც თავისუფლება იქნება, სახელმწიფო არ იქნება.

სახელმწიფოს სრული კვდომის ეკონომიურ საფუძველს კომუნიზმის ისეთი მაღალი განვითარება წარმოადგენს, როდესაც გაქრება გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირება, გაქრება, მაშასადამე, თანამედროვე საზოგადოებრივი უთანასწორობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო და თანაც ისეთი წყარო, რომლის ერთბაშად მოსპობა მარტოოდენ წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევით, მარტოოდენ კაპიტალისტთა ექსპროპრიაციით არასგზით არ შეიძლება.

ეს ექსპროპრიაცია მოგვცემს საწარმოო ძალთა გიგანტური განვითარების შესაძლებლობას. და, როდესაც ჩვენ ვხედავთ, თუ რა წარმოუდგენლად აფერხებს კაპიტალიზმი უკვე ახლაც ამ განვითარებას, თუ რა ბევრი რამ შეიძლებოდა წინ წაწეულიყო თანამედროვე, უკვე მიღწეული ტექნიკის ბაზაზე, ჩვენ უფლება გვაქვს სრული რწმენით ვთქვათ, რომ კაპიტალისტთა ექსპროპრიაცია გარდუვალად გამოიწვევს ადამიანთა საზოგადოების საწარმოო ძალთა გიგანტურ განვითარებას.

მაგრამ თუ რამდენად სწრაფად წავა წინ ეს განვითარება, რამდენად ჩქარა მივა იგი შრომის დანაწილების უკუგდებამდე, გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსპობამდე, შრომის «პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად» გადაქცევამდე, ეს ჩვენ არ ვიცით და არც შეგვიძლია ვიცოდეთ.

სწორედ ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ სახელმწიფოს მხოლოდ გარდუვალ კვდომაზე, ამასთან ხაზი გავუსვათ ამ პროცესის ხანგრძლივობას, მის დამოკიდებულებას კომუნიზმის უმაღლესი ფაზის განვითარების სისწრაფეზე და სრულიად ღიად დავტოვოთ ამ კვდომის ვადების ან კონკრეტული ფორმების საკითხი, ვინაიდან ასეთი საკითხების გადასაწყვეტად მასალა არ მოიპოვება.

სახელმწიფო მაშინ შეიძლება სავსებით მოკვდეს, როდესაც საზოგადოება განახორციელებს წესს: «თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით», ე. ი. როდესაც ადამიანები იმდენად შეეჩვევიან საერთო თანაცხოვრების ძირითადი წესების დაცვას და როდესაც მათი შრომა იმდენად ნაყოფიერი იქნება, რომ ისინი ნებაყოფლობით იშრომებენ უნარის მიხედვით. «ბურჟუაზიული უფლების ვიწრო ჰორიზონტი», რომელიც აიძულებს კაცს, გულქვა შეილოკის მსგავსად, გამოიანგარიშოს, ისე არ მომივიდეს, რომ სხვაზე ნახევარი საათით მეტი ვიმუშაო, სხვაზე ნაკლები გასამრჯელო მივიღო — ეს ვიწრო ჰორიზონტი მაშინ გადალახული იქნება. პროდუქტების განაწილება მაშინ აღარ მოითხოვს საზოგადოებისაგან დაადგინოს ნორმები, თუ რამდენი პროდუქტი უნდა მიიღოს თვითეულმა; ყველა თავისუფლად მიიღებს «მოთხოვნილების მიხედვით».

ბურჟუაზიული თვალსაზრისით ადვილია ამგვარი საზოგადოებრივი წყობილების «წმინდა უტოპიად» გამოცხადება და ღრეჯა იმის გამო, რომ სოციალისტები ყველას აღუთქვამენ უფლებას — მიიღონ საზოგადოებისაგან, ცალკეული მოქალაქის შრომაზე კონტროლის სრულიად გაუ-

წევლად, რამდენიც ნებავთ იმდენი ჭამა-სოკო, ავტომობილი, პიანინო და სხვა. ასეთი ღრეჭით ირთობს თავს დღესაც ბურჟუაზიულ «მეცნიერთა» უმრავლესობა, რომელნიც ამით თავიანთ უმეცრებასაც ამჟღავნებენ და კაპიტალიზმის ანგარებიან დაცვასაც.

უმეცრებას, — ვინაიდან არც ერთ სოციალისტს ფიქრადაც არ მოსვლია «აღეთქვა», რომ დადგება კომუნიზმის განვითარების უმაღლესი ფაზა, ხოლო დიდი სოციალისტების განჭვრეტა, რომ ეს ფაზა დადგება, არ გულისხმობს არც შრომის ახლანდელ ნაყოფიერებას და არც ახლანდელ ფილისტერს, რომელსაც, პომიალოვსკის ბურსელების მსგავსად, შეუძლია «ტყუილ-უბრალოდ» გააფუჭოს საზოგადოებრივი სიმდიდრის საწყობები და მოითხოვოს შეუძლებელი.

მანამდე, სანამ კომუნიზმის «უმაღლესი» ფაზა დადგებოდეს, სოციალისტები მოითხოვენ შრომის ზომისა და მოხმარების ზომის უსასტიკეს კონტროლს საზოგადოების მხრივაც და სახელმწიფოს მხრივაც, ოღონდ ეს კონტროლი უნდა დაიწყოს კაპიტალისტების ექსპროპრიაციით, მუშების კონტროლით კაპიტალისტებზე და უნდა ტარდებოდეს არა მოხელეთა სახელმწიფოს მიერ, არამედ შეიარაღებული მუშების სახელმწიფოს მიერ.

კაპიტალიზმის ანგარებიანი დაცვა ბურჟუაზიული იდეოლოგების მიერ (და მათი დამჭაშების მიერ, როგორიც არიან ბბ. წერეთლები, ჩერნოვები და კომპანია) სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შორეულ მომავალზე დავითა და ლაპარაკით ისინი სცვლიან დღევანდელი პოლიტიკის საარსებო და საჭირბოროტო საკითხს: კაპიტალისტების ექსპროპრიაციას, ყველა მოქალაქის გადაქცევას ერთი მსხვილი «სინდიკატის», სახელდობრ მთელი სახელმწიფოს მუშაკებად და მოსამსახურეებად, და მთელი ამ სინდიკატის მთელი მუშაობის სრულ დამორჩილებას ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფოსადმი, მუშების

და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოების სახელმწიფოსადმი.

არსებითად, როდესაც განსწავლული პროფესორი, ხოლო მის კვალზე ობივატელი, მის კვალზე კი ბატონები წერეთლები და ჩერნოვები ლაპარაკობენ უაზრო უტოპიებზე, ბოლშევიკების დემაგოგიურ დაპირებებზე, სოციალიზმის «შემოღების» შეუძლებლობაზე, მათ მხედველობაში აქვთ კომუნიზმის სწორედ უმაღლესი სტადია ანუ ფაზა, რომლის «შემოღება» არათუ არავის აღუთქვამს, არამედ არც კი უფიქრია ვისმე, რადგან მისი «შემოღება» საერთოდ შეუძლებელია.

და აქ ჩვენ მივადექით სოციალიზმისა და კომუნიზმის მეცნიერული განსხვავების იმ საკითხს, რომელსაც ენგელსი შეეხო თავის ზემოთმოყვანილ მსჯელობაში სახელწოდების «სოციალ-დემოკრატების» უსწორობის გამო. პოლიტიკურად განსხვავება კომუნიზმის პირველ ანუ დაბალ და უმაღლეს ფაზას შორის თავის დროზე, ალბათ, დიდი იქნება, მაგრამ ახლა, კაპიტალიზმის დროს, მისი აღიარება სასაცილო იქნებოდა და ამ განსხვავებას პირველ ადგილზე მხოლოდ ცალკეული ანარქისტები თუ წამოაყენებდნენ (თუ ანარქისტებს შორის კიდევ დარჩენილან ისეთი ადამიანები, რომლებმაც ვერაფერი ისწავლეს მას შემდეგაც კი, რაც კროპოტკინები, გრავი, კორნელისენი და ანარქიზმის სხვა «მნათობნი» «პლეხანოვისებურად» გარდაიქმნენ სოციალ-შოვინისტებად ან ანარქო-მესანგრეებად, როგორც თქვა გემ, ერთ-ერთმა იმ მცირერიცხოვან ანარქისტთა შორის, რომლებსაც პატიოსნება და სინდისი შერჩენიათ).

მაგრამ მეცნიერული განსხვავება სოციალიზმსა და კომუნიზმს შორის ნათელია. იმას, რასაც ჩვეულებრივ სოციალიზმს უწოდებენ, მარქსმა კომუნისტური საზოგადოების «პირველი» ანუ დაბალი ფაზა უწოდა. რამდენადაც წარმოების საშუალებანი საგრთო საკუთრება ხდება, იმდენად სიტყვა «კომუნიზმი» აქაც შეიძლება ვიხმაროთ, თუ არ დავივიწყებთ, რომ ეს სრული კომუნიზმი არ არის. მარქსის

განმარტებათა უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის აქაც თანამიმდევრად იყენებს მატერიალისტურ დიალექტიკას, განვითარების მოძღვრებას და განიხილავს კომუნიზმს, როგორც ისეთ რამეს, რაც კაპიტალიზმიდან ვითარდება. სქოლასტიკურად გამოგონილ, «შეთხზულ» განსაზღვრებათა და სიტყვების შესახებ უნაყოფო დავის ნაცვლად (რა არის სოციალიზმი, რა არის კომუნიზმი), მარქსი იძლევა იმის ანალიზს, რასაც კომუნიზმის ეკონომიურად მომწიფების საფეხურები შეიძლება ეწოდოს.

თავის პირველ ფაზაში, თავის პირველ საფეხურზე კომუნიზმი ჯერ კიდევ არ შეიძლება ეკონომიურად სავსებით მომწიფებული, სავსებით თავისუფალი იყოს კაპიტალიზმის ტრადიციებისა ან ნაშთებისაგან. აქედან წარმოსდგება ისეთი საინტერესო მოვლენა, როგორიცაა კომუნიზმის დროს, მის პირველ ფაზაში, «ბურჟუაზიული უფლების ვიწრო ჰორიზონტის» შენარჩუნება. რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული უფლება მოხმარების პროდუქტთა განაწილების მიმართ გარდუვალად გულისხმობს ბურჟუაზიულ სახელმწიფოსაც, ვინაიდან უფლება არარა არის, თუ არ არსებობს ისეთი აპარატი, რომელსაც შეეძლება გაიძულოს დავიცვათ უფლების ნორმები.

გამოდის, რომ მარტო ბურჟუაზიული უფლება კი არ რჩება კომუნიზმის დროს გარკვეული ხნის განმავლობაში, ვრამედ ბურჟუაზიული სახელმწიფოც კი — უბურჟუაზიოდ!

ეს შეიძლება პარადოქსად მოეჩვენოს ან პირდაპირ გონების დიალექტიკურ თამაშად, რასაც ხშირად აბრალებენ მარქსიზმს ის ადამიანები, რომლებიც ოდნავადაც არ გარჯილან, რომ შეესწავლათ მისი მეტისმეტად ღრმა შინაარსი.

ნამდვილად კი ძველის ნაშთებს ახალში ჩვენ ყოველ ნაბიჯზე გვიჩვენებს ცხოვრება, ბუნებაშიც და საზოგადოებაშიც და მარქსს თვითნებურად კი არ შეუქმნია «ბურჟუაზიული» უფლების ნაცვლად კომუნიზმში, არამედ მან აიღო ის, რაც ეკონომიურად და პოლიტიკურად გარდუვა-

ლია იმ საზოგადოებაში, რომელიც კაპიტალიზმის წ ი ა ღ ი-დ ან გამოდის.

დემოკრატიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის ბრძოლაში კაპიტალისტების წინააღმდეგ თავისი განთავისუფლებისათვის. მაგრამ დემოკრატია სრულიადაც არ არის გადაულახავი საზღვარი, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი ეტაპია ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ და კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

დემოკრატია თანასწორობას ნიშნავს. გასაგებია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროლეტარიატის ბრძოლას თანასწორობისათვის და თანასწორობის ლოზუნგს, თუ ეს ლოზუნგი სწორად გაგებულია იმ აზრით, რომ უნდა მოისპოს კ ლ ა ს ე ბ ი. მაგრამ დემოკრატია მხოლოდ ფ ო რ მ ა ლ უ რ თანასწორობას ნიშნავს. და როგორც კი განხორციელდება საზოგადოების ყველა წევრის თანასწორობა წარმოების საშუალებათა ფლობის მ ხ რ ი ვ, ე. ი. შრომის თანასწორობა, ხელფასის თანასწორობა, კაცობრიობის წინაშე გარდუვალად დადგება საკითხი, რომ გასწიოს წინ — ფორმალური თანასწორობიდან ფაქტიურისაკენ, ე. ი. იქითკენ, რომ განხორციელდეს წესი: «თვითეულისაგან—უნარის მიხედვით, თვითეულს—მოთხოვნილების მიხედვით». რა ეტაპებით, რა პრაქტიკულ ღონისძიებათა გზით გასწევს კაცობრიობა ამ უმაღლესი მიზნისაკენ, ეს ჩვენ არ ვიცით და არც შეგვიძლია ვიცოდეთ. მაგრამ საგულისხმოა ნათელვყოთ, თუ რა ცსაზღვროდ ყალბია ჩვეულებრივი ბურჟუაზიული წარმოდგენა, თითქოს სოციალიზმი რაღაც მკვდარი, გაყინული, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ იყოს, მაშინ როდესაც ნამდვილად მ ხ ო ლ ო დ სოციალიზმიდან დაიწყება სწრაფი, ნამდვილი, მართლაც მასობრივი, მოსახლეობის უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს, შემდეგ კი მთელი მოსახლეობის მონაწილეობით წარმოებული წინსვლა საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა დარგში.

დემოკრატია არის სახელმწიფოს ფორმა, სახელმწიფოს ერთ-ერთი ხარისხეობა. და, მაშასადამე, იგი, ისევე რო-

ყორც ყოველი სახელმწიფო, წარმოადგენს ძალდატანების ორგანიზებულ, სისტემატურ გამოყენებას ადამიანთა მიმართ. ეს ერთი მხრივ. მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ნიშნავს მოქალაქეთა თანასწორობის ფორმალურ აღიარებას, სახელმწიფოს წყობილების განსაზღვრისა და მისი მართვა-გამგეობის მიმართ ყველას თანასწორი უფლების აღიარებას. ეს კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია იმასთან, რომ დემოკრატიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე იგი, ჯერ ერთი, რაზმავს კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ კლასს — პროლეტარიატს და შესაძლებლობას აძლევს მას დაამტვრიოს, ნამსხვრევებად აქციოს, აღგავოს პირისაგან მიწისა ბურჟუაზიული, თუნდაც რესპუბლიკურ-ბურჟუაზიული, სახელმწიფო მანქანა, მუდმივი არმია, პოლიცია, მოხელეობა, შესცვალოს ისინი უ ფ რ ო დემოკრატიული, მაგრამ ჯერ კიდევ სახელმწიფო მანქანით — შეიარაღებული მუშათა მასების სახით, რაც გადაიქცევა უკლებლივ მთელი ხალხის მონაწილეობად მილიციაში.

აქ «რაოდენობა გადადის თვისებაში»: დემოკრატიზმის ა ს ე თ ი დონე დაკავშირებულია ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებიდან გამოსვლასთან, მისი სოციალისტური გარდაქმნის დასაწყისთან. თუ მართლაც ყ ვ ე ლ ა მონაწილეობს სახელმწიფოს მმართველობაში, აქ კაპიტალიზმი ვეღარ იარსებებს. კაპიტალიზმის განვითარებაც, თავის მხრივ, ქმნის იმის წ ა ნ ა მ ძ ღ ვ რ ე ბ ს, რომ მართლაც «ყველას» შ ე ე ძ ლ ო ს მონაწილეობა სახელმწიფოს მმართველობაში. ასეთ წანამძღვრებს ეკუთვნის საყოველთაო წიგნიერობა, რაც უკვე განახორციელეს მთელმა რიგმა ყველაზე მოწინავე კაპიტალისტურმა ქვეყნებმა, შემდეგ მილიონობით მოშის «გაწვრთნა და დისციპლინირება» ფოსტის, რკინიგზების, მსხვილი ფაბრიკების, მსხვილი ვაჭრობის, საბანკო საქმისა და სხვათა მსხვილი, რთული, განსაზოგადებული აპარატის მიერ.

ასეთი ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი წანამძღვრების დროს სავსებით შესაძლებელია დაუყოვნებლივ, დღეს-ხვალ გადასვლა იმაზე, რომ კაპიტალისტებისა და მოხელეების დამხობისთანავე ისინი

შესცვალონ წარმოებისა და განაწილების კონტროლის საქმეში, შრომისა და პროდუქტების აღრიცხვის საქმეში — შეიარაღებულმა მუშებმა, უკლებლივ მთელმა შეიარაღებულმა ხალხმა. (არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში კონტროლისა და აღრიცხვის საკითხი და ინჟინრების, აგრონომებისა და სხვათა მეცნიერულად განათლებული პერსონალის საკითხი: ეს ვაჟბატონები მუშაობენ დღეს, როცა კაპიტალისტებს ემორჩილებიან, კიდევ უკეთ იმუშავებენ ხვალ, როცა შეიარაღებულ მუშებს დაემორჩილებიან.)

აღრიცხვა და კონტროლი — აი მთავარი, რაც საჭიროა კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის «მოწესრიგებისათვის», სწორი ფუნქციონირებისათვის. აქ ყველა მოქალაქე იქცევა იმ სახელმწიფოს მიერ დაქირავებულ მოსამსახურედ, რომელსაც შეიარაღებული მუშები წარმოადგენენ. ყველა მოქალაქე ხდება ერთი საყოველთაო-სახალხო, სახელმწიფო «სინდიკატის» მოსამსახურედ და მუშად. მთელი საქმე ის არის, რომ მათ თანაბრად «იმუშაონ», სწორად დაიცვან მუშაობის ზომა და თანაბრად მიიღონ გასამრჯელოც. ამის აღრიცხვა, ამის კონტროლი უაღრესად გამარტივებულია კაპიტალიზმის მიერ, დაყვანილია მეთვალყურეობისა და ჩაწერის, არითმეტიკის ოთხი მოქმედების ცოდნისა და სათანადო ხელწერილების გაცემის არაჩვეულებრივ მარტივ, ყოველი წერაკითხვის მცოდნე ადამიანისათვის ხელმისაწვდომ ოპერაციებამდე *.

როდესაც ხალხის უმრავლესობა დამოუკიდებლად და ყველგან დაიწყებს ასეთი აღრიცხვის, ასეთი კონტროლის წარმოებას კაპიტალისტების მიმართ (რომლებიც ახლა გადაქცეული იქნებიან მოსამსახურეებად) და ბატონ ინტელიგენ-

* როდესაც სახელმწიფო მისი ფუნქციების უმთავრეს ნაწილში დაჰყავთ ასეთ აღრიცხვამდე და კონტროლამდე თვით მუშების მხრივ, მაშინ ფაქტი აღარ არის «პოლიტიკური სახელმწიფო», მაშინ «საზოგადოებრივი ფუნქციები იქცევა პოლიტიკური ფუნქციების ნაცვლად უბრალო ადმინისტრაციულ ფუნქციებად» (შეად. ზემოთ, თ. IV, § 2, ენგელსის პოლემიკაზე ანარქისტებთან).

ტების მიმართ, რომლებსაც კაპიტალისტური ზნე-ჩვეულებანი შეუნარჩუნებიათ, მაშინ ეს კონტროლი ნამდვილად უნივერსალური, საყოველთაო, საყოველთაო-სახალხო გახდება, მაშინ მას ვერასგზით ვერ აარიდებ თავს, «ვერსად გაექცევი».

მთელი საზოგადოება იქნება ერთი კანტორა და ერთი ფაბრიკა, სადაც განხორციელებული იქნება შრომის თანასწორობა და გასამრჯელოს თანასწორობა.

მაგრამ ეს «ფაბრიკული» დისციპლინა, რომელსაც კაპიტალისტების დამმარცხებელი, ექსპლოატატორების დამამხობელი პროლეტარიატი მთელ საზოგადოებაზე გაავრცელებს, არასგზით არ წარმოადგენს არც ჩვენს იდეალს, არც ჩვენს საბოლოო მიზანს, არამედ იგი მხოლოდ საფეხურია, რომელიც აუცილებელი არის კაპიტალისტური ექსპლოატაციის საძაგლობისა და სიბილწისაგან საზოგადოების რადიკალური გაწმენდისათვის და შემდგომი წინსვლისათვის.

ამ მომენტიდან, როდესაც საზოგადოების ყველა წევრმა ან თუნდაც მათმა დიდმა უმრავლესობამ თვითონ ისწავლა სახელმწიფოს მართვა, თვითონ იკისრა ეს საქმე, «მოაწესრიგა» კონტროლი კაპიტალისტების სრულიად უმნიშვნელო უმცირესობის მიმართ, იმ ვაჟბატონების მიმართ, რომელთაც სურთ კაპიტალისტური ზნე-ჩვეულებანი შეინარჩუნონ, იმ მუშების მიმართ, რომლებიც კაპიტალიზმის მიერ ღრმად არიან გახრწნილნი, — ამ მომენტიდან იწყებს გაქრობას საერთოდ ყოველი მმართველობის საჭიროება. რაც უფრო სრულია დემოკრატია, მით უფრო ახლოსაა ის მომენტი, როდესაც იგი ზედმეტი გახდება. რაც უფრო დემოკრატიულია «სახელმწიფო», რომელიც შეიარაღებული მუშებისაგან შესდგება და უკვე წარმოადგენს «არა სახელმწიფოს ამ სიტყვის საკუთარი აზრით», მით უფრო სწრაფად იწყებს კვდომას ყოველი სახელმწიფო.

ვინაიდან როდესაც **ყველანი** ისწავლიან მართვა-გამგებლობას და მართლაც დამოუკიდებლად გაუძღვებიან საზოგადოებრივ წარმოებას, დამოუკიდებლად განახორციელებენ მუქთახორების, ბატონკაცების, თაღლითებისა და სხვა მათ

მსგავსთა — «კაპიტალიზმის ტრადიციების დამცველთა» მიმართ აღრიცხვასა და კონტროლს, — მაშინ ამ საყოველთაო სახალხო აღრიცხვისა და კონტროლისაგან თავის არიდება აუცილებლად გახდება ისე არაჩვეულებრივად ძნელი, ისე უაღრესად იშვიათი გამონაკლისი, შას, ალბათ, ისეთი სწრაფი და სერიოზული სასჯელი მოჰყვება (ვინაიდან შეიარაღებული მუშები პრაქტიკული ცხოვრების ადამიანები არიან და არა სენტიმენტალური ინტელიგენტუნები, და საეჭვოა, რომ ვისმე ხუმრობის ნება მისცენ), რომ ძალიან მალე ჩვეულებად გადაიქცევა საერთო თანაცხოვრების მარტივი, ძირითადი წესების დაცვის აუცილებლობა.

და მაშინ ფართოდ გაიღება კარები კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზიდან მის უმაღლეს ფაზაზე გადასვლისათვის და ამასთან ერთად სახელმწიფოს სრული კვდომისათვის.

თავი VI

მარქსიზმის გაუხამსება ოპორტუნისტების მიერ

II ინტერნაციონალის (1889 — 1914) უთვალსაჩინოეს თეორეტიკოსებსა და პუბლიცისტებს ძალიან ნაკლებ იზიდავდა საკითხი სახელმწიფოს დამოკიდებულებისა სოციალური რევოლუციისადმი და სოციალური რევოლუციისა — სახელმწიფოსადმი, ისევე როგორც საერთოდ რევოლუციის საკითხი. მაგრამ ოპორტუნიზმის თანდათანი ზრდის იმ პროცესში, რომელმაც გამოიწვია II ინტერნაციონალის კრახი 1914 წელს, ყველაზე დამახასიათებელი ის არის, რომ მაშინაც კი, როდესაც პირისპირ მიადგებოდნენ ხოლმე ამ საკითხს, ც დ ი ლ ო ბ დ ნ ე ნ გ ვ ე რ დ ი ა ე ვ ლ ო თ მისთვის, ან ვერ ამჩნევდნენ მას.

საერთოდ და მთლიანად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოსადმი პროლეტარული რევოლუციის დამოკიდებულების საკითხში თ ა ვ ი ს ა რ ი დ ე ბ ა მ, რაც ხელსაყრელი იყო ოპორტუნიზმისათვის და ასაზრდოებდა მას, წარმოშვა მარქსიზმის დამახინჯება და მისი სრული გაუხამსება.

ამ სავალალო პროცესის თუნდაც მოკლედ დასახასიათებლად ავიღოთ მარქსიზმის უთვალსაჩინოესი თეორეტიკოსები, პლეხანოვი და კაუცკი.

1. პლეხანოვის პოლემიკა ანარქისტებთან

პლეხანოვმა სოციალიზმისადმი ანარქიზმის დამოკიდებულების საკითხს მიუძღვნა ცალკე ბროშურა: «ანარქიზმი და სოციალიზმი», რომელიც გერმანულად გამოვიდა 1894 წელს.

პლეხანოვმა მოახერხა განეხილა ეს თემა ისე, რომ სრულიად აუარა გვერდი იმას, რაც ყველაზე აქტუალური, საჭიროროტო და პოლიტიკურად ყველაზე არსებითია ანარქიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, სახელდობრ რევოლუციის დამოკიდებულებას სახელმწიფოსადმი და საერთოდ სახელმწიფოს საკითხს! მის ბროშურაში გამოიყოფა ორი ნაწილი: ერთი — ისტორიულ-ლიტერატურული, რომელიც საგულისხმო მასალას შეიცავს შტირნერის, პრუდონისა და სხვათა იდეების ისტორიიდან. მეორე ნაწილი: ფილისტერული, სადაც ჩვენ ვხვდებით უშნო მსჯელობას იმ თემაზე, რომ ანარქისტს ბანდიტისაგან ვერ გაარჩევთო.

თემების ასეთი შეხამება მეტად სასაცილო და მეტად დამახასიათებელია პლეხანოვის მთელი მოღვაწეობისათვის რუსეთის რევოლუციის წინახანებში და რევოლუციური პერიოდის განმავლობაში: პლეხანოვმა 1905 — 1917 წლებში გამოამჟღავნა თავი სწორედ ნახევრადდოქტრინერად, ნახევრადფილისტერად, ბურჟუაზიის მაჩანჩალად პოლიტიკაში.

ჩვენ დავინახეთ, რომ მარქსი და ენგელსი უაღრესი გულმოდგინებით არკვევდნენ თავიანთ შეხედულებებს რევოლუციის დამოკიდებულებაზე სახელმწიფოსადმი, როდესაც ისინი ანარქისტებს ეკამათებოდნენ. ენგელსი, როდესაც ის 1891 წელს აქვეყნებდა მარქსის «გოთას პროგრამის კრიტიკას», წერდა, რომ «ჩვენ (ე. ი. ენგელსსა და მარქსს) მაშინ გახურებული ბრძოლა გვქონდა ბაკუნინთან და მის ანარქისტებთან — (პირველი) ინტერნაციონალის ჰააგის კონგრესის [111] შემდეგ ორი წელიწადი ძლივს იყო გასული».

ანარქისტები ცდილობდნენ სწორედ პარიზის კომუნა გამოეცხადებინათ, ასე ვთქვათ, «თავისად», თავიანთი მოძღვრების დამადასტურებლად, ამასთან მათ სრულიად ვერ გაიგეს კომუნის გაკვეთილები და მარქსის მიერ ამ გაკვეთილების ანალიზი. ანარქიზმს არ მოუცია არაფერი ისეთი, რაც დაახლოებით მაინც წააგავდეს ჰეშმარიტებას კონკრეტულ-პოლიტიკურ საკითხებზე: უნდა დაიმსხვრეს თუ არა ძველი სახელმწიფო მანქანა? და რით შეიცვალოს იგი?

მაგრამ «ანარქიზმსა და სოციალიზმზე» ლაპარაკი ისე, რომ გვერდი აუარო მთელ საკითხს სახელმწიფოს შესახებ, ვერ შეამჩნიო მარქსიზმის მთელი განვითარება კომუნამდე და მის შემდეგ, ეს ნიშნავს გარდუვალად დაქანებას ოპორტუნიზმისაკენ, ვინაიდან ოპორტუნიზმისათვის ყველაზე მეტად სწორედ ის არის საჭირო, რომ ჩვენ მიერ ახლა აღნიშნული ორი საკითხი სრულიადაც არ იყოს დასმული. ეს უკვე არის ოპორტუნიზმის გამარჯვება.

2. კაუცკის პოლემიკა ოპორტუნისტებთან

უეჭველია, რუსულ ლიტერატურაში კაუცკის ნაწერები განუზომლად მეტია გადმოთარგმნილი, ვიდრე რომელიმე სხვა ლიტერატურაში. ტყუილად კი არ ხუმრობს ზოგიერთი გერმანელი სოციალ-დემოკრატი, კაუცკის უფრო მეტად კითხულობენ რუსეთში, ვიდრე გერმანიაშიო (ფრჩხილებში ვიტყვით, რომ ამ ხუმრობაში გაცილებით უფრო ღრმა ისტორიული შინაარსია, ვიდრე მის მთქმელთ ჰგონიათ, სახელდობრ: რუსმა მუშებმა, რომლებმაც 1905 წელს არაჩვეულებრივად ძლიერი, უმაგალითო მოთხოვნა წამოაყენეს მსოფლიოს საუკეთესო სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებზე და სხვა ქვეყნებში გაუგონარი რაოდენობით მიიღეს ამ ნაწარმოებთა თარგმანები და გამოცემები, ამით ჩვენი პროლეტარული მოძრაობის, ასე ვთქვათ, ნორჩ ნიადაგზე აჩქარებული ტემპით გადმოიტანეს უფრო მოწინავე მეზობელი ქვეყნის უზარმაზარი გამოცდილება).

კაუცკი, გარდა მარქსიზმის პოპულარული გადმოცემისა, განსაკუთრებით ცნობილია ჩვენში თავისი პოლემიკით ოპორტუნისტებთან და მათ მეთაურ ბერნშტეინთან. მაგრამ თითქმის უცნობია ფაქტი, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი, ამოცანად რომ დაისახო იმის გამოკვლევა, თუ როგორ ჩამოქვეითდა კაუცკი წარმოუდგენლად სამარცხვინო დაბნეულობამდე და სოციალ-შოვინიზმის დაცვამდე 1914 — 1915 წლების უდიდესი კრიზისის დროს. ეს სახელდობრ ის ფაქტია, რომ, სანამ კაუცკი გაილაშქრებდა საფრანგეთისა (მილიერანი და ჟორესი) და გერმანიის (ბერნშტეინი) ოპორტუნიზმის უთვალსაჩინოეს წარმომადგენელთა წინააღმდეგ, მან ძალიან დიდი მერყეობა გამოიჩინა. მარქსისტული «ზარია» [114], რომელიც შტუტგარტს გამოდიოდა 1901 — 1902 წლებში და იცავდა რევოლუციურ-პროლეტარულ შეხედულებებს, იძულებული იყო პოლემიკა გაემართა კაუცკისთან, «კაუჩუკური» ეწოდებინა იმ უსაზური, მიკიბულ-მოკიბული, ოპორტუნისტების მიმართ შემარიგებლური რეზოლუციისათვის, რომელიც კაუცკიმ წარადგინა პარიზის 1900 წლის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე [115]. გერმანულ ლიტერატურაში დაიბეჭდა კაუცკის წერილები, რომლებმაც გამოააშკარავეს, რომ ის არანაკლებ მერყეობდა ბერნშტეინის წინააღმდეგ გალაშქრების წინ.

მაგრამ განუზომლად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ თვით მის პოლემიკაში ოპორტუნისტებთან, მის მიერ საკითხის დასმაში და საკითხის განმარტების ხერხში ჩვენ ახლა, როდესაც ვიკვლევთ კაუცკის მხრივ მარქსიზმის უახლესი ღალატის ისტორიას, ვამჩნევთ სისტემატურ გადახრას ოპორტუნიზმისაკენ სწორედ სახელმწიფოს საკითხში.

ავიღოთ კაუცკის პირველი დიდი ნაწარმოები ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, მისი წიგნი «ბერნშტეინი და სოციალ-დემოკრატიული პროგრამა». კაუცკი დაწვრილებით აბათილებს ბერნშტეინის შეხედულებებს. მაგრამ აი რა არის დამახასიათებელი.

ბერნშტეინი თავის ჰეროსტრატისებურად განთქმულ «სოციალიზმის წანამძღვრებში» მარქსიზმს ბრალსა სდებს «ბლანკიზმში» (ეს ბრალდება მას შემდეგ ათასჯერ იქნა განმეორებული ოპორტუნისტებისა და ლიბერალური ბურჟუების მიერ რუსეთში რევოლუციური მარქსიზმის წარმომადგენლების. ბოლშევიკების წინააღმდეგ). ამასთან ბერნშტეინი საგანგებოდ ჩერდება მარქსის «სამოქალაქო ომზე საფრანგეთში» და ცდილობს — როგორც ჩვენ დავინახეთ, ყოვლად უხეიროდ — გააიგივეოს მარქსის თვალსაზრისი კომუნის ვაკვეთილების შესახებ პრუდონის თვალსაზრისთან. ბერნშტეინის განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს მარქსის ის დასკვნა, რომელსაც მარქსმა ხაზი გაუსვა «კომუნისტური მანიფესტის» 1872 წლის წინასიტყვაობაში და რომელშიც ნათქვამია: «მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოდ დაეუფლოს მზა სახელმწიფო მანქანას და ამუშაოს იგი თავისი საკუთარი მიზნებისათვის».

ბერნშტეინს ისე «მოეწონა» ეს გამოთქმა, რომ ის თავის წიგნში სამჯერ მაინც იმეორებს და ყოვლად დამახინჯებული, ოპორტუნისტული აზრით განმარტავს მას.

მარქსს, როგორც დავინახეთ, იმის თქმა უნდა, რომ მუშათა კლასმა უნდა დაამტვრიოს, დაამსხვრიოს, აფეთქოს (**Sprengung**, აფეთქება, — გამოთქმა, რომელიც ენგელსმა იხმარა) მთელი სახელმწიფო მანქანა. ბერნშტეინს კი გამოუდის, თითქოს მარქსი ამ სიტყვებით აფრთხილებდა მუშათა კლასს მეტისმეტი რევოლუციურობის წინააღმდეგ ძალაუფლების დაპყრობის დროს.

მარქსის აზრის ამაზე უფრო უხეშ და საზიზღარ დამახინჯებას ვერც კი წარმოიდგენ.

მერე როგორ მოიქცა კაუცკი, როდესაც ის ფრიად დაწვრილებით აბათილებდა ბერნშტეინიადას?

მან თავი აარიდა იმას, რომ ცხადეყო ოპორტუნიზმის მიერ ამ პუნქტში მარქსიზმის დამახინჯების მთელი სიღრმე. მან მოიყვანა ზემოთ ციტირებული ნაწყვეტი ენგელსის წინასიტყვაობიდან, რომელიც წამძღვარებული აქვს მარქსის

«სამოქალაქო ომს», და თქვა, რომ, მარქსის აზრით, მუშათა კლასს არ შეუძლია უ ბ რ ა ლ ო დ დაეუფლოს მ ზ ა სახელმწიფო მანქანას, მაგრამ საერთოდ კი შ ე უ ძ ლ ი ა დაეუფლოს მას, და მეტი არაფერი. ბერნშტეინმა რომ მარქსს მიაწერა მარქსის ნამდვილი აზრის **სრულიად საწინააღმდეგო** რამ, მარქსი რომ 1852 წლიდან პროლეტარული რევოლუციის ამოცანად აყენებდა სახელმწიფო მანქანის «დამსხვრევას», ამაზე კაუცკი კრინტსაც არა სძრავს.

ისე გამოვიდა, რომ მარქსიზმის ყველაზე არსებითი განსხვავება ოპორტუნიზმისაგან პროლეტარული რევოლუციის ამოცანების საკითხში კაუცკიმ მიაფუჩეჩა!

«პროლეტარული დიქტატურის პრობლემის საკითხის გადაწყვეტა, — წერდა კაუცკი ბერნშტეინის «წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ», — ჩვენ შეგვიძლია სრულიად გულდამშვიდებით მივანდოთ მომავალს» (გერმანული გამოცემა, გვ. 172).

ეს არის არა პოლემიკა ბერნშტეინის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, არამედ არსებითად დ ა თ მ ო ბ ა მისდამი, პოზიციების ჩაბარება ოპორტუნიზმისათვის, ვინაიდან ოპორტუნისტებს ჯერ-ჯერობით იმაზე მეტი არა უნდათ რა, რომ «სრულიად გულდამშვიდებით მიანდონ მომავალს» პროლეტარული რევოლუციის ამოცანების ყველა ძირითადი საკითხი.

მარქსი და ენგელსი 1852 წლიდან 1891 წლამდე, ორმოცი წლის განმავლობაში, იმას ასწავლიდნენ პროლეტარიატს, რომ მან უნდა დაამსხვრიოს სახელმწიფო მანქანა. კაუცკი კი 1899 წელს, როდესაც ოპორტუნისტებმა მარქსიზმს ამ პუნქტში სავსებით უღალატეს, — იმ საკითხს, აუცილებელია თუ არა ამ მანქანის დამსხვრევა, ს ც ვ ლ ი ს დამსხვრევის კონკრეტული ფორმების საკითხით და ხსნას პოულობს იმ «უდავო» (და უნაყოფო) ფილისტერულ ჭეშმარიტებაში, რომ კონკრეტული ფორმები ჩვენ არ შეგვიძლია წინასწარ ვიცოდეთო!!

მარქსსა და კაუცკის შორის მთელი უფსკრულია იმ მხრივ, თუ როგორ ეკიდებიან ისინი პროლეტარული პარტიის ამოცანას — ამზადოს მუშათა კლასი რევოლუციისათვის.

ავიღოთ კაუცკის შემდეგი, უფრო მომწიფებული ნაწარმოები, რომელიც საგრძნობლად არის მიმართული აგრეთვე ოპორტუნიზმის შეცდომების გაბათილებისაკენ. ეს არის მისი ბროშურა «სოციალური რევოლუციის» შესახებ. აქ ავტორს თავის სპეციალურ თემად აუღია «პროლეტარული რევოლუციისა» და «პროლეტარული რეჟიმის» საკითხი. ავტორმა ძალიან ბევრი რამ მოგვცა უაღრესად საგულისხმო, მაგრამ სწორედ სახელმწიფოს საკითხს ა უ ა რ ა გ ვ ე რ დ ი. ბროშურაში ყველგან ლაპარაკია სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობაზე, და მეტი არაფერი, ე. ი. არჩეულია ისეთი ფორმულირება, რომელიც უთმობს ოპორტუნისტებს, რამდენადაც უ შ ვ ე ბ ს ძალაუფლების დაპყრობას სახელმწიფო მანქანის დ ა უ მ ს ხ ვ რ ე ვ ლ ა დ. სწორედ ის, რაც მარქსმა 1872 წელს «კომუნისტური მანიფესტის» პროგრამაში «დაძველებულად» გამოაცხადა, კაუცკიმ ა ა ღ ო რ ძ ი ნ ა 1902 წელს.

ბროშურაში სპეციალური პარაგრაფი აქვს მიძღვნილი «სოციალური რევოლუციის ფორმებსა და იარაღს». აქ ლაპარაკია მასობრივ პოლიტიკურ გაფიცვაზედაც, სამოქალაქო ომზედაც. «თანამედროვე დიდი სახელმწიფოს ძალის» ისეთ «იარაღებზედაც, როგორიცაა ბიუროკრატია და არმია», მაგრამ კრინტიც არ არის დაძრული იმაზე, რაც უკვე ასწავლა მუშებს კომუნამ. აშკარაა, ენგელსი ტყუილად არ აფრთხილებდა, განსაკუთრებით გერმანელ სოციალისტებს სახელმწიფოს მიმართ «ცრუმორწმუნეობრივი თაყვანისცემის» წინააღმდეგ.

კაუცკი საქმეს ასე წარმოგვიდგენს: გამარჯვებული პროლეტარიატი «განახორციელებს დემოკრატიულ პროგრამასაო», და გადმოგვცემს ამ პროგრამის პარაგრაფებს. იმაზე, თუ რა მოგვცა ახალი 1871 წელმა ბურჟუაზიული დემოკრატიის პროლეტარული დემოკრატიით შეცვლის საკითხზე, კრინტიც არ არის დაძრული. კაუცკი თავს იძვრენს ასეთი «დარბაისლურად» მჭერი ბანალობით:

«თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ ახლანდელი წესწყობილების დროს ბატონობას ვერ მივაღწევთ. რევოლუცია თვითონ გულისხმობს ხანგრძლივსა

და ღრმად მიმზიდველ ბრძოლას, რომელიც უკვე მოასწრებს ჩვენი ახლანდელი პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურის შეცვლას».

უეჭველია, რომ ეს ისევე «თავისთავად ცხადია», როგორც ის ჭეშმარიტება, რომ ცხენი ჭამს შვრიას და რომ ვოლგა ერთვის კასპიის ზღვას. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ უშინაარსო და გაბერილი ფრაზით «ღრმად მიმზიდველი» ბრძოლის შესახებ გ ვ ე რ დ ი ე ქ ც ე ვ ა რევოლუციური პროლეტარიატისათვის საარსებო საკითხს, თუ რით გამოიხატება მისი რევოლუციის «სიღრმე» სახელმწიფოს მიმართ, დემოკრატიის მიმართ, წინანდელი, არაპროლეტარული რევოლუციებისაგან განსხვავებით.

ამ საკითხს რომ გვერდს უვლის, კაუცკი ს ა ქ მ ი თ უთმობს ოპორტუნიზმს ამ ფრიად არსებით პუნქტში, ამავე დროს კი ს ი ტ ყ ვ ი თ მრისხანე ომს უცხადებს მას და ხაზს უსვამს «რევოლუციის იდეის» მნიშვნელობას (რა ფასი აქვს ამ «იდეას», თუ გეშინია იმისა, რომ მუშებში გასწიო რევოლუციის კონკრეტული გაკვეთილების პროპაგანდა?), ან ამბობს: «რევოლუციური იდეალიზმი უწინარეს ყოვლისა», ან აცხადებს, ინგლისელი მუშები ახლა «არა მგონია იმაზე მეტს» წარმოადგენდნენ, «ვიდრე წვრილი ბურჟუები არიანო».

«სოციალისტურ საზოგადოებაში — წერს კაუცკი — შეიძლება ერთიმეორის გვერდით არსებობდნენ... საწარმოთა სრულიად სხვადასხვანაირი ფორმები: ბიუროკრატიული (??), ტრედუნიონისტული, კოოპერაციული, ერთპიროვნული»... «არსებობს, მაგალითად, საწარმოები, რომლებიც ვერ შეელევიან ბიუროკრატიულ (??) ორგანიზაციას, — ასეთია რკინიგზები. აქ დემოკრატიულ ორგანიზაციას შეუძლია შემდეგი სახე მიიღოს: მუშები ირჩევენ დელეგატებს, რომლებიც ქმნიან რაღაც პარლამენტის მსგავსს, და ეს პარლამენტი ამყარებს მუშაობის წესრიგს და თვალყურს ადევნებს ბიუროკრატიული აპარატის მმართველობას. სხვა საწარმოები შეიძლება გადაეცეს მუშათა კავშირების გამგებლობას, მესამენი შეიძლება მოეწყოს კოოპერაციულ საფუძვლებზე» (რუსული თარგმანი, გვ. 148 და 115, ჟენევის გამოცემა, 1903 წელი).

ეს მცდარი მსჯელობაა და უკანგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს იმასთან შედარებით, რასაც 70-იან წლებში გან-

მარტავდნენ მარქსი და ენგელსი კომუნის გაკვეთილების მაგალითით.

ვითომდა აუცილებელი «ბიუროკრატიული» ორგანიზაციის თვალსაზრისით, რკინიგზები სრულიად არაფრით არ განსხვავდებიან საერთოდ მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ყველა სხვა საწარმოსაგან, რომელიც გნებავთ ფაბრიკისაგან, დიდი მაღაზიისაგან, მსხვილი კაპიტალისტური სასოფლო-სამეურნეო საწარმოსაგან. ყველა ასეთ საწარმოში, მთელი საქმის გაჩერების, ან მექანიზმის გაფუჭების, პროდუქტის გაფუჭების საფრთხის გამო, ტექნიკა აუცილებლად მოითხოვს უსასტიკეს დისციპლინას, უდიდეს მუყაითობას თვითეულის მიერ თავისი წილი სამუშაოს შესრულების დროს. ყველა ასეთ საწარმოში მუშები, რა თქმა უნდა, «აირჩევენ დელეგატებს, რომლებიც შექმნიან რაღაც პარლამენტის მსგავსს».

მაგრამ მთელი საქმეც ის არის, რომ ეს «რაღაც პარლამენტის მსგავსი» **არ** იქნება პარლამენტი ბურჟუაზიულ-პარლამენტურ დაწესებულებათა აზრით. მთელი საქმეც ის არის, **რომ ეს «რაღაც პარლამენტის მსგავსი» არა** მარტო «დაამყარებს წესრიგს და თვალყურს ადევნებს ბიუროკრატიული აპარატის მმართველობას», როგორც ეს წარმოუდგენია კაუცკის, რომლის აზრი არ სცილდება ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ფარგლებს. სოციალისტურ საზოგადოებაში მუშათა დეპუტატებისაგან შემდგარი «რაღაც პარლამენტის მსგავსი», რა თქმა უნდა, «დაამყარებს წესრიგს და თვალყურს ადევნებს» «აპარატის» «მმართველობას», **მაგრამ** სწორედ ეს აპარატი **არ** იქნება «ბიუროკრატიული». მუშები, დაიპყრობენ რა პოლიტიკურ ძალაუფლებას, დაამსხვრევენ ძველ ბიუროკრატიულ აპარატს, მთლად დალეწავენ მას, ქვას-ქვაზე არ დასტოვებენ მისგან და შესცვლიან ახალი აპარატით, რომელიც შედგენილი იქნება სწორედ ამავე მუშა-მოსამსახურეებისაგან, და მათი ბიუროკრატებად გადაქცევის **წინააღმდეგ მაშინვე** მიღებული იქნება ღონისძიებანი, რომლებიც დაწვრილებით არის განხილული მარქსისა და ენგელსის

მიერ: 1) არა მარტო არჩევითობა, არამედ ყოველ დროს შესაძლებელი გამოცვლაც; 2) მუშის ხელფასზე არა უმეტესი გასამრჯელო; 3) დაუყოვნებლივ გადასვლა იმაზე, რომ ყველა ასრულებდეს კონტროლისა და მეთვალყურეობის ფუნქციებს, რომ დროებით ყველანი ხდებოდნენ «ბიუროკრატები» და რომ ამიტომ **არავის** არ შეეძლოს გახდეს «ბიუროკრატი».

კაუცკი სრულიად არ ჩაფიქრებია მარქსის სიტყვებს: «კომუნა იყო არა პარლამენტური, არამედ მომუშავე კორპორაცია, ერთსა და იმავე დროს კანონების გამომცემელიც და მათი შემსრულებელიც».

კაუცკის სრულიად ვერ გაუგია, თუ რით განსხვავდება ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი, რომელიც აერთებს დემოკრატიას **(არა ხალხისათვის)** ბიუროკრატიზმთან **(ხალხის წინააღმდეგ)**, პროლეტარული დემოკრატიზმისაგან, რომელიც მაშინვე მიიღებს ზომებს, რათა ძირშივე მოჰკვეთოს ბიუროკრატიზმი, და რომელიც შესძლებს ბოლომდე, ბიუროკრატიზმის სრულ მოსპობამდე, ხალხისათვის დემოკრატიის სრულ შემოღებამდე მიიყვანოს ეს ღონისძიებანი.

კაუცკიმ აქ გამოიჩინა იგივე «ცრუმორწმუნეობრივი თაყვანისცემა» სახელმწიფოსადმი, «ცრუმორწმუნეობრივი რწმენა» ბიუროკრატიზმისადმი.

გადავიდეთ კაუცკის უკანასკნელ და საუკეთესო ნაწარმოებზე ოპორტუნისტების წინააღმდეგ, მის ბროშურაზე «გზა ძალაუფლებისაკენ» (რომელიც, მგონია, რუსულად არ გამოცემულა, რადგან იგი გამოვიდა 1909 წელს, როცა ჩვენში რეაქცია მძვინვარებდა). ეს ბროშურა დიდი ნაბიჯია წინ, რამდენადაც აქ ლაპარაკია არა რევოლუციურ პროგრამაზე საერთოდ, როგორც ბერნშტეინის წინააღმდეგ 1899 წელს გამოცემულ ბროშურაში, არა სოციალური რევოლუციის ამოცანებზე მისი დაწყების დროის დამოუკიდებლად, როგორც 1902 წლის ბროშურაში «სოციალური რევოლუცია», არამედ კონკრეტულ პირობებზე, რომლებიც ჩვენ გვაიძულებენ აღვიაროთ, რომ «რევოლუციების ერა» იწყება.

ავტორი გარკვევით მიუთითებს კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებაზე საერთოდ და იმპერიალიზმზე, რომელსაც ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. დასავლეთ ევროპის «1789—1871 წლების რევოლუციური პერიოდის» შემდეგ, 1905 წლიდან იწყება ანალოგიური პერიოდი აღმოსავლეთისათვის. მსოფლიო ომი საშინელი სისწრაფით გვიახლოვდება. «პროლეტარიატს უკვე აღარ შეუძლია ნაადრევ რევოლუციაზე ილაპარაკოს». «ჩვენ რევოლუციურ პერიოდში შევედით». «იწყება რევოლუციური ერა».

ეს განცხადებანი სავსებით ნათელია. კაუცკის ეს ბროშურა **საზომი უნდა გახდეს** ომის შესადარებლად, თუ რა უნდა **ყოფილიყო** გერმანიის სოციალ-დემოკრატია იმპერიალისტური ომის წინ და რა დაბლა დაეცა იგი (მათ შორის თვითონ კაუცკიც), როდესაც ომი ატყდა. «ახლანდელ სიტუაციას, — წერდა კაუცკი ხსენებულ ბროშურაში, — თან მოაქვს ის საფრთხე, რომ ჩვენ (ე. ი. გერმანიის სოციალ-დემოკრატია) ადვილად შეიძლება მიგვიჩნიონ უფრო ზომიერებად, ვიდრე ნამდვილად ვართ». აღმოჩნდა, რომ ნამდვილად გერმანიის სოციალ-დემოკრატია შეუდარებლად უფრო **ზომიერი და ოპორტუნისტული**ა, ვიდრე იგი ჩანდა!

მით უფრო დამახასიათებელია, რომ, თუმცა კაუცკი ასე გარკვევით აცხადებს, რევოლუციების ერა უკვე დაიწყოო, მაგრამ მან ბროშურაშიც, რომელიც მისი საკუთარი სიტყვითვე იკვლევს სწორედ «**პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი** რევოლუციის» საკითხს, ისევ სრულიად აუარა გვერდი სახელმწიფოს საკითხს.

საკითხის ამ გვერდის ავლის, დუმილის, მიკიბ-მოკიბვის ჯამიდან გარდუვალად წარმოსდგა ის სრული გადასვლა ოპორტუნიზმისაკენ, რაზედაც ჩვენ ახლა მოგვიხდება ლაპარაკი.

გერმანიის **სოციალ-დემოკრატია**, კაუცკის სახით, თითქოს აცხადებდა: მე კვლავ რევოლუციურ შეხედულებათა ნიადაგზე ვრჩები (1899 წ.). მე განსაკუთრებით აღვიარებ პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის გარდუვალობას (1902 წ.). მე აღვიარებ რევოლუციების ახალი ერის დაწყებას (1909 წ.).

მაგრამ მე მაინც უკან ვიხევ იმასთან შედარებით, რასაც მარქსი უკვე 1852 წელს ამბობდა, რაკი ისმება საკითხი პროლეტარული რევოლუციის ამოცანების შესახებ სახელმწიფოს მიმართო (1912 წ.).

სწორედ ასე დაისვა საკითხი კაუცკის პოლემიკაში პანეკუკთან.

3. კაუცკის პოლემიკა პანეკუკთან

პანეკუკმა გაილაშქრა კაუცკის წინააღმდეგ, როგორც ერთ-ერთმა წარმომადგენელმა იმ «მემარცხენე-რადიკალური» მიმდინარეობისა, რომელიც თავის რიგებში ითვლიდა როზა ლუქსემბურგს, კარლ რადეკს და სხვებს და რომელიც, იცავდა რა რევოლუციურ ტაქტიკას, გაერთიანებული იყო იმ რწმენით, რომ კაუცკი გადადის «ცენტრის» პოზიციაზე — «ცენტრისა», რომელიც უპრინციპოდ მერყეობს მარქსიზმსა და ოპორტუნიზმს შორის. ამ შეხედულების სისწორე სავსებით დაამტკიცა ომმა, როდესაც «ცენტრის» (რომელსაც უმართებულოდ მარქსისტულს უწოდებენ) ან «კაუცკიანელობის» მიმდინარეობამ სავსებით გამოააშკარავა მთელი თავისი საზიზღარი უბადრუკობა.

პანეკუკმა სტატიაში «მასობრივი მოქმედება და რევოლუცია» («**Neue Zeit**», 1912, XXX, 2), სადაც აღძრული იყო სახელმწიფოს საკითხი, დაახასიათა კაუცკის პოზიცია, როგორც «პასიური რადიკალიზმის» პოზიცია, როგორც «უმოქმედო ლოდინის თეორია». «კაუცკის არა სურს დაინახოს რევოლუციის პროცესი» (გვ. 616). საკითხის ამნაირი დასმით პანეკუკი მიადგა ჩვენთვის საინტერესო თემას — სახელმწიფოს მიმართ პროლეტარული რევოლუციის ამოცანების შესახებ.

«პროლეტარიატის ბრძოლა — წერდა ის — არის არა უბრალო ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ სახელმწიფო ძალაუფლების ხ ა მ ო, არამედ არის ბრძოლა სახელმწიფო ძალაუფლების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ... პროლეტარული რევოლუციის შინაარსს შეადგენს სახელმწიფოს ძალის იარაღთა მოსპობა და მათი განდევნა (სიტყვასიტყვით: დაშლა, **Auflösung**) პროლეტა-

რიატის ძალის იარაღებით... ბრძოლა **მხოლოდ მაშინ** წყდება, როდესაც, როგორც მისი საბოლოო შედეგი, **სავსებით** ანგრევა სახელმწიფო ორგანიზაცია. უმრავლესობის **ორგანიზაცია იმით** ამტკიცებს თავის უპირატესობას, რომ სპობს გაბატონებული **უმცირესობის** ორგანიზაციას» (გვ. 548).

ამ ფორმულირებას, რომელშიც პანეკუკმა თავისი აზრები ჩამოაყალიბა, ძალიან დიდი ნაკლოვანებანი აქვს. მაგრამ აზრი მაინც ნათელია, და საინტერესოა, რ ო გ ო რ არღვევდა მას კაუცკი.

«დღემდე — წერდა ის — სოციალ-დემოკრატები და ანარქისტები იმით უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, რომ პირველებს უნდოდათ დაეპყროთ სახელმწიფო ძალაუფლება, მეორეებს კი—დაენგრიათ იგი. პანეკუკს ერთიც უნდა და მეორეც» (გვ. 724).

თუ პანეკუკის მსჯელობას ახასიათებს გაურკვევლობა და არასაკმაო კონკრეტულობა (რომ აღარ ვილაპარაკოთ აქ მისი სტატიის სხვა ნაკლოვანებებზე, რომლებიც განსახილველ თემას არ ეხება), სამაგიეროდ კაუცკიმ აიღო საქმის სწორედ ის პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი არსი, რომელიც პანეკუკმა დასახა, და ძ ი რ ი თ ა დ პ რ ი ნ ც ი პ უ ლ საკითხში კაუცკიმ მთლიანად მიატოვა მარქსიზმის პოზიცია და სავსებით გადავიდა ოპორტუნიზმისაკენ. სოციალ-დემოკრატებსა და ანარქისტებს შორის არსებული განსხვავება მას სრულიად არასწორად აქვს განსაზღვრული, მარქსიზმი მან საბოლოოდ დაამახინჯა და გააუხამსა.

განსხვავება მარქსისტებსა და ანარქისტებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ (1) პირველნი, მიზნად ისახავენ რა სახელმწიფოს სრულ მოსპობას, თვლიან, რომ ეს მიზანი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის მიერ კლასების მოსპობის შემდეგ, როგორც შედეგი სოციალიზმის დამყარებისა, რომელიც იწვევს სახელმწიფოს კვდომას; მეორეებს სურთ სახელმწიფოს სრული მოსპობა დღეს-ხვალ და არ ესმით ასეთი მოსპობის განხორციელების შესაძლებლობის პირობები. (2) პირველნი აუცილებლად თვლიან, რომ პროლეტარიატმა, როცა იგი პოლიტიკურ ძალაუფლებას დაიპყრობს, სავსებით დაამსხვრიოს ძველი სახელ-

მწიფო მანქანა და შესცვალოს იგი ახალი მანქანით, რომელიც შესდგება შეიარაღებული მუშების ორგანიზაციისაგან, კომუნის ტიპის მიხედვით; მეორეებს, როცა ისინი იცავენ სახელმწიფო მანქანის დამსხვრევას, სრულიად ბუნდოვნად აქვთ წარმოდგენილი, თუ რ ი თ შესცვლის მას პროლეტარიატი და რ ო გ ო რ გამოიყენებს ის რევოლუციურ ძალაუფლებას; ანარქისტები იმასაც კი უარყოფენ, რომ სახელმწიფო ძალაუფლება გამოყენებულ იქნას რევოლუციური პროლეტარიატის მიერ, უარყოფენ პროლეტარიატის რევოლუციურ დიქტატურას. (3) პირველნი მოითხოვენ პროლეტარიატის მომზადებას რევოლუციისათვის თანამედროვე სახელმწიფოს გამოყენების გზით; ანარქისტები ამას უარყოფენ.

ამ დავაში კაუცკის წინააღმდეგ მარქსიზმი წარმოდგენილია სწორედ პანეკუკით, ვინაიდან სწორედ მარქსი გვასწავლიდა იმას, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია უბრალოდ დაიპყროს სახელმწიფო ძალაუფლება ძველი სახელმწიფო აპარატის ახალ ხელში გადასვლის აზრით, არამედ მან უნდა დაამტვრიოს, დაამსხვრიოს ეს აპარატი, შესცვალოს იგი ახალი აპარატით.

კაუცკი სტოვებს მარქსიზმს და ოპორტუნისტების მხარეზე გადადის, ვინაიდან მისი თვალთახედვის არედან სავსებით ქრება სახელმწიფო მანქანის სწორედ ეს დამსხვრევა, რომელიც სრულიად მიუღებელია ოპორტუნისტებისათვის, და მათთვის რჩება ხვრელი იმ აზრით, რომ «დაპყრობა» განმარტებულ იქნას როგორც უმრავლესობის უბრალო მოპოვება.

კაუცკი, მარქსიზმის დამახინჯება რომ მიჩქმალოს, გაქნილი მწიგნობარივით იქცევა: თვით მარქსის ნაწერებიდან იშველიებს «ციტატას». 1850 წელს მარქსი წერდა, რომ აუცილებელია «ძალის ამკარა ცენტრალიზაცია სახელმწიფო ხელისუფლების ხელში». და კაუცკი ნიშნის მოგებით კითხულობს: ხომ არა სურს პანეკუკს «ცენტრალიზმი» დაანგრიოსო?

ეს უკვე პირდაპირ იმის მსგავსი ყალთაბანდობაა, როგორიც ჩაიდინა ბერნშტეინმა, რომელმაც გააიგივა მარქსიზმისა

და პრუდონიზმის შეხედულებანი ფედერაციაზე ცენტრალიზმის ნაცვლად.

«ციტატა» კაუცკის მიერ სრულიად უადგილოდ არის მოყვანილი. ცენტრალიზმი შესაძლებელია როგორც ძველ, ისე ახალი სახელმწიფო მანქანის არსებობისას. თუ მუშები ნებაყოფლობით გააერთიანებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს, ეს ცენტრალიზმი იქნება, მაგრამ იგი დამყარებული იქნება სახელმწიფო ცენტრალისტური აპარატის, მუდმივი არმიის, პოლიციის, ბიუროკრატიის «სრულ დამსხვრევაზე». კაუცკი საკმაოდ თავლიერად იქცევა, როდესაც გვერდს უვლის მარქსისა და ენგელსის ძალიან კარგად ცნობილ მსჯელობას კომუნის შესახებ და გამოათრევს ციტატას, რომელიც საკითხს არ ეხება.

...«იქნებ, პანეკუკს სურს მოსპოს მოხელეთა სახელმწიფო ფუნქციები? — განაგრძობს კაუცკი. — მაგრამ ჩვენ მოხელეებს ვერ ველევით ვერც პარტიულ და ვერც პროფესიულ ორგანიზაციაში, სახელმწიფო მმართველობაზე რომ აღარ ვილაპარაკოთ. ჩვენი პროგრამა მოითხოვს არა სახელმწიფო მოხელეთა მოსპობას, არამედ მოხელეთა არჩევას ხალხის მიერ»... «ჩვენ ახლა ლაპარაკი გვაქვს არა იმაზე, თუ რა სახეს მიიღებს მმართველობის აპარატი «მომავალ სახელმწიფოში», არამედ იმაზე, სპობს თუ არა (სიტყვა-სიტყვით: შლის, **auflöst**) ჩვენი პოლიტიკური ბრძოლა სახელმწიფო ძალაუფლებას უფრო ადრე, ვ ი დ რ ე ჩ ვ ე ნ ი გი დ ა გ ვ ი პ ყ რ ი ა (ხაზგასმა კაუცკისაა). რომელი სამინისტრო შეიძლებოდა მოსპობილიყო თავისი მოხელეებითურთ?» აქ ჩამოთვლილია განათლების, იუსტიციის, ფინანსთა და სამხედრო სამინისტროები. «არა, არც ერთი ახლანდელი სამინისტრო არ იქნება მოსპობილი ჩვენი პოლიტიკური ბრძოლით მთავრობის წინააღმდეგ... გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მე ვიმეორებ: ლაპარაკია არა იმაზე, თუ რა ფორმას მისცემს «მომავლის სახელმწიფოს» ძლევამოსილი სოციალ-დემოკრატია, არამედ იმაზე, თუ როგორ სცვლის ახლანდელ სახელმწიფოს ჩვენი ოპოზიცია» (გვ. 725).

ეს აშკარა დამახინჯებაა. პანეკუკი სწორედ რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს საკითხს აყენებდა. ეს ნათლად არის ნათქვამი მისი სტატიის სათაურშიც და მოყვანილ ციტატებშიც. «ოპოზიციის» საკითხზე რომ გადახტის, კაუცკი სწორედ რევოლუციურ თვალსაზრისს სცვლის ოპორტუნისტული თვალსაზრისით. მას ასე გამოუდის: ახლა ოპოზიცია, ხოლო ძალაუფლე-

ბის დაპყრობის შემდეგ ცალკე მოვილაპარაკოთო. რევოლუცია ქრება! ეს სწორედ ის არის, რასაც ოპორტუნისტები მოითხოვდნენ.

ლაპარაკია არა ოპოზიციაზე და არა პოლიტიკურ ბრძოლაზე საერთოდ, არამედ სწორედ რევოლუციაზე. რევოლუცია იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარიატი ანგრევს «მმართველობის აპარატს» და მთელ სახელმწიფო აპარატს და სცვლის მას ახალი აპარატით, რომელიც შეიარაღებული მუშებისაგან შესდგება. კაუცკი «ცრუმორწმუნეობრივ პატივისცემას» იჩენს «სამინისტროებისადმი», მაგრამ რატომ არ შეიძლება შეცვლილ იქნან ისინი, ვთქვათ, სპეციალისტთა კომისიებით, რომლებიც შეიქმნებოდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სრულუფლებიან და ყოვლისშემძლე საბჭოებთან?

საქმის არსი სულაც არ არის ის, დარჩებიან თუ არა «სამინისტროები», იქნებიან თუ არა «სპეციალისტთა კომისიები» ან სხვა რაიმე დაწესებულებანი; ამას სრულიადაც არა აქვს მნიშვნელობა. საქმის არსი ის არის, რჩება თუ არა ძველი სახელმწიფო მანქანა (ბურჟუაზიასთან ათასი ძაფით დაკავშირებული და რუტინითა და უძრაობით მთლად გაქღენთილი), თუ მას ანგრევენ და ახალი მანქანით სცვლიან. რევოლუცია იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ ახალი კლასი მბრძანებლობდეს და მართავდეს ძველი სახელმწიფო მანქანის შემწეობით, არამედ იმაში, რომ მან დაამსხვრიოს ეს მანქანა და რომ იგი მბრძანებლობდეს და მართავდეს ახალი მანქანის შემწეობით, — მარქსიზმის ეს ძირითადი აზრი კაუცკიმ მიაფუჩეჩა ან სრულიად ვერ გაიგო.

მისი კითხვა მოხელეთა შესახებ ნათლად გვიჩვენებს, რომ მას ვერ გაუგია კომუნის გაკვეთილები და მარქსის მოძღვრება. «ჩვენ მოხელეებს ვერ ველევით ვერც პარტიულ და ვერც პროფესიულ ორგანიზაციაშიო»...

ჩვენ ვერ ველევით მოხელეებს კაპიტალიზმის დროს, ბურჟუაზიის ბატონობის დროს. პრო-

ლეტარიატი დაჩაგრულია, მშრომელი მასები დამონებული არიან კაპიტალიზმის მიერ. კაპიტალიზმის დროს დემოკრატიზმი შევიწროებულია, შეხუთულია, შეკვეცილია, დამახინჯებულია დაჭირავებული მონობის, მასების გაჭირვებისა და სიღატაკის მთელი ვითარებით. ამიტომ, და მხოლოდ ამიტომ, ჩვენს პოლიტიკურ და პროფესიულ ორგანიზაციებში თანამდებობის პირნი ირყვნებიან (ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ტენდენციას ამჟღავნებენ, რომ გაირყვნებიან) კაპიტალიზმის ვითარებით და იჩენენ ტენდენციას — გადაიქცნენ ბიუროკრატებად, ე. ი. მასებისაგან მოწყვეტილ, მასებს ზემოთ მდგომ პრივილეგიურ პირებად.

ეს არის ბიუროკრატიზმის არსი, და ვიდრე კაპიტალისტების ექსპროპრიაცია არ მომხდარა, ვიდრე ბურჟუაზია არ დამხობილა, მანამდე გარდუვალია ერთგვარი «ბიუროკრატიზაცია» პროლეტარული თანამდებობის პირებისაც კი.

კაუცკის ასე გამოუდის: რაკი არჩევითი თანამდებობის პირნი დარჩებიან, მაშასადამე, სოციალიზმის დროს დარჩებიან მოხელეებიც, დარჩება ბიუროკრატია! სწორედ ეს არ არის მართალი. სწორედ კომუნის მაგალითით გვიჩვენა მარქსმა, რომ სოციალიზმის დროს თანამდებობის პირნი აღარ არიან «ბიუროკრატები», აღარ არიან «მოხელეები», აღარ არიან იმდენად, რამდენადაც შემოღებული იქნება, გარდა არჩევითობისა, კიდევ მათი შეცვლა ყოველ დროს, და კიდევ დაყვანილი იქნება გასამრჯელო მუშის საშუალო ხელფასის დონემდე, და კიდევ ის, რომ შეიცვლება პარლამენტური დაწესებულებანი «მომუშავე» დაწესებულებებად, «ე. ი. კანონების გამომცემ და მათ გამტარებელ დაწესებულებებად».

არსებითად, კაუცკის მთელი არგუმენტაცია პანეკუკის წინააღმდეგ და განსაკუთრებით კაუცკის საუცხოო საბუთი, ჩვენ ვერც პარტიულ და ვერც პროფესიულ ორგანიზაციებში ვერ ველევით მოხელეებსაო, გვიჩვენებს, რომ კაუცკი იმეორებს ბერნშტეინის ძველ «საბუთებს» საერთოდ მარქსიზმის წინააღმდეგ. თავის რენეგატულ წიგნში «სოციალიზმის წანა-

მძღვრები» ბერნშტეინი ებრძვის «პრიმიტიული» დემოკრატიის იდეებს, იმას, რასაც ის «დოქტრინიორულ დემოკრატიზმს» უწოდებს — იმპერატიული მანდატები, უგასამრჯელო თანამდებობის პირნი, უძლური ცენტრალური წარმომადგენლობა და ა. შ.. ამ «პრიმიტიული» დემოკრატიზმის უსუსურობის დასამტკიცებლად ბერნშტეინი იმოწმებს ინგლისის ტრედუნიონების გამოცდილებას, როგორც ეს ცოლქმარ ვებებს აქვთ განმარტებული. თავიანთი განვითარების სამოცდაათი წლის განმავლობაშიო ტრედუნიონები, რომლებიც ვითომდა «სრულიად თავისუფლად» ვითარდებოდნენ (გვ. 137, გერმ. გამოც.), დარწმუნდნენ სწორედ პრიმიტიული დემოკრატიზმის უვარგისობაში და შესცვალეს იგი ჩვეულებრივი დემოკრატიზმით: ბიუროკრატიზმთან შეერთებული პარლამენტარიზმითაო.

ნამდვილად კი ტრედუნიონები ვითარდებოდნენ არა «სრულიად თავისუფლად», არამედ სრულ კაპიტალისტურ მონობაში, რომლის დროსაც, რა თქმა უნდა, «თავს ვერ გაიტანს» ისე, თუ მთელი რიგი რამ არ დაუთმე «გამეფებულ» ბოროტებას, ძალადობას, უსამართლობას, «უმაღლესი» მმართველობის საქმეებიდან ღარიბთა გამორიცხვას. სოციალიზმის დროს ბევრი რამ «პრიმიტიული» დემოკრატიიდან აუცილებლად გაცოცხლდება, ვინაიდან ცივილიზებულ საზოგადოებათა ისტორიაში მოსახლეობის მასა პირველად ამაღლდება დამოუკიდებელ მონაწილეობამდე არა მარტო კენჭისყრასა და არჩევნებში, არამედ ყოველდღიურ მმართველობაშიც. სოციალიზმის დროს **ყველა** რიგრიგობით დაიწყებს მართვას და მალე შეეჩვევა იმას, რომ არავინ არ მართავდეს.

მარქსმა თავისი გენიალური კრიტიკულ-ანალიტიკური გონებით დაინახა კომუნის პრაქტიკულ ღონისძიებებში ის გარდატეხა, რომლისაც ეშინიათ და რომლის აღიარება არა სურთ **ოპორტუნისტებს** სილაჩრის გამო, იმის გამო, რომ მათ არა სურთ საბოლოოდ გაწყვიტონ კავშირი ბურჟუაზიასთან, და რომლის დანახვაც არა სურთ ანარქისტებს ან

აჩქარების გამო, ანდა იმიტომ, რომ მათ არ ესმით საერთოდ მასობრივ სოციალისტურ გარდაქმნათა პირობები. «არც კი უნდა ვიფიქროთ ძველი სახელმწიფო მანქანის დამსხვრევაზე, აბა, რანაირად შეველევით სამინისტროებსა და მოხელეებსაო», — მსჯელობს ოპორტუნისტი, რომელიც მთლად გაჟღენთილია ფილისტერობით და რომელსაც, არსებითად, არათუ არა სწამს რევოლუცია, რევოლუციის შემოქმედება, არამედ საშინლად ეშინია მისი (როგორც ეშინიათ მისი ჩვენს მენშევიკებსა და ესერებს).

«უნდა ვიფიქროთ ძველი სახელმწიფო მანქანის მ ხ ო ლ ო დ დამსხვრევაზე, რა საჭიროა ჩავწვდეთ წინანდელი პროლეტარული რევოლუციების კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ გაკვეთილებს და ანალიზი გავუკეთოთ იმას, თუ რ ი თ და რ ო გ ო რ შევცვალოთ დამსხვრეულიო» — მსჯელობს ანარქისტი (რა თქმა უნდა, საუკეთესო ანარქისტთაგანი, და არა ისეთი, რომელიც, ბბ. კროპოტკინებისა და კომპანიის კვალდაკვალ, კუდში მისჩანჩალებს ბურჟუაზიას); და ამიტომ ანარქისტს გამოუდის ს ა ს ო წ ა რ კ ვ ე თ ი ლ ე ბ ი ს ტაქტიკა და არა ისეთი ტაქტიკა, რომელიც მოითხოვს ულმობელ, გაბედულ და ამავე დროს მასების მოძრაობის პრაქტიკული პირობებისათვის ანგარიშის გამწევ რევოლუციურ მუშაობას კონკრეტულ ამოცანებზე.

მარქსი გვასწავლის თავი ავარიდოთ ორივე შეცდომას, გვასწავლის უსაზღვრო გაბედულებას მთელი ძველი სახელმწიფო მანქანის დამსხვრევაში და ამავე დროს გვასწავლის საკითხის კონკრეტულად დასმას: კომუნამ შესძლო რამდენიმე კვირაში დ ა ე წ ყ ო ა ხ ა ლ ი, პროლეტარული, სახელმწიფო მანქანის ასე და ასე შენება და გაეტარებინა აღნიშნული ღონისძიებანი მეტი დემოკრატიზმის დასამყარებლად და ბიუროკრატიზმის აღმოსაფხვრელად. ვისწავლოთ კომუნარებისაგან რევოლუციური გაბედულება, დავინახოთ მათ პრაქტიკულ ღონისძიებებში პრაქტიკულად საარსებო და დაუყოვნებლივ შესაძლებელ ღონისძიებათა დ ა ს ა ხ ვ ა დ ა

მაშინ, თუ ამ გზით ვივლით, ჩვენ ბიუროკრატიზმის სრულ დამსხვრევას მივაღწევთ.

ასეთი დამსხვრევის შესაძლებლობა იმითაა უზრუნველყოფილი, რომ სოციალიზმი შეამოკლებს სამუშაო დღეს, აამოძრავებს მასებს ახალი ცხოვრებისათვის, ჩააყენებს მოსახლეობის უმრავლესობას ისეთ პირობებში, რომლებიც უკლებლივ **ყველას** საშუალებას მისცემს შეასრულოს «სახელმწიფო ფუნქციები», ეს კი გამოიწვევს საერთოდ ყოველგვარი სახელმწიფოს სრულ კვდომას.

...«მასობრივი გაფიცვის ამოცანა — განავრძობს კაუცკი — არასოდეს არ შეიძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ დაანგრიოს სახელმწიფო ხელისუფლება, არამედ მხოლოდ იმაში, რომ დაათმობინოს მთავრობას რომელიმე გარკვეულ საკითხში ან პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილი მთავრობა შესცვალოს ისეთი მთავრობით, რომელიც ანგარიშს გაუწევს მას **(entgegenkommende)**... მაგრამ არასოდეს და არავითარ პირობებში არ შეიძლება, რომ ამან» (ე. ი. პროლეტარიატის გამარჯვებამ მტრულ მთავრობაზე) «გამოიწვიოს სახელმწიფო ხელისუფლების დანგრევა. არამედ შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ ძალთა თანაფარდობის გარკვეული გადაჯგუფება **(Verschiebung)** სახელმწიფო ხელისუფლების შიგნით... და ამ დროს, ისევე როგორც დღემდე, ჩვენი პოლიტიკური ბრძოლის მიზნად რჩება სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვება უმრავლესობის მოპოვებით პარლამენტში და პარლამენტის გადაქცევა მთავრობის ბატონად» (გვ. 726, 727, 732).

ეს უკვე წმინდა წყლის და ყოვლად უხამსი ოპორტუნიზმია, რევოლუციაზე ხელისაღებაა ნამდვილად და ამავე დროს მისი ცნობა სიტყვიერად. კაუცკის აზრი ვერ სცილდება ისეთ «მთავრობას, რომელიც ანგარიშს უწევს პროლეტარიატს», რაც ნაბიჯია უკან — ფილისტერობისაკენ 1847 წელთან შედარებით, როდესაც «კომუნისტურმა მანიფესტმა» გამოაცხადა «პროლეტარიატის ორგანიზება გაბატონებულ კლასად».

კაუცკის მოუხდება განახორციელოს თავისი საყვარელი «ერთიანობა» შეიდემანებთან, პლეხანოვებთან, ვანდერველ-

დეებთან, რომელნიც ყველანი თანახმანი არიან იბრძოლონ ისეთი მთავრობისათვის, რომელიც «ანგარიშს გაუწევს პროლეტარიატს».

ჩვენ კი გავეთიშებით სოციალიზმის ამ მოღალატეებს და ვიბრძოლებთ მთელი ძველი სახელმწიფო მანქანის დასანგრევად, ისე რომ თვით შეიარაღებული პროლეტარიატი იყოს მ თ ა ვ რ ო ბ ა. ამ ორ რამეს «შუა უზის დიდი ზღვარი».

კაუცკის მოუხდება იყოს სასიამოვნო კომპანიაში — ლეგინებისა და დავიდების, პლეხანოვების, პოტრესოვების, წერეთლების, ჩერნოვების კომპანიაში, რომლებიც სავსებით თანახმანი არიან «იბრძოლონ ძალთა თანაფარდობის გადაჯგუფებისათვის სახელმწიფო ხელისუფლების შიგნით», «პარლამენტში უმრავლესობის მოპოვებისათვის და პარლამენტის გაბატონებისათვის მთავრობაზე», — ეს უკეთილშობილესი მიზანია, რომელშიაც ყველაფერი მისაღებია ოპორტუნისტებისათვის, ყველაფერი რჩება ბურჟუაზიული პარლამენტური რესპუბლიკის ჩარჩოებში.

ჩვენ კი გავეთიშებით ოპორტუნისტებს; და მთელი შეგნებული პროლეტარიატი ჩვენთან იქნება ბრძოლაში არა «ძალთა თანაფარდობის გადაჯგუფებისათვის», არამედ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს დ ა მ ხ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს, ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის დ ა ნ გ რ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს, კომუნის ტიპის დემოკრატიული რესპუბლიკის ან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკისათვის, პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურისათვის.

* * *

საერთაშორისო სოციალიზმში კაუცკიზე უფრო მარჯვნივ დგანან ისეთი მიმდინარეობანი, როგორიცაა «სოციალისტური ყოველთვიური» [116] გერმანიაში (ლეგინი, დავიდი,

ჯოლბინგი და მრავალი სხვა, სკანდინავების სტაუნინგისა და ბრანტინგის ჩათვლით), ჟორესისტები და ვანდერველდე საფრანგეთსა და ბელგიაში, ტურატი, ტრევესი და იტალიური პარტიის მემარჯვენე ფრთის სხვა წარმომადგენლები, ფაბიენელები და «დამოუკიდებელნი» («დამოუკიდებელი მუშათა პარტია», რომელიც ნამდვილად ყოველთვის დამოკიდებულია ლიბერალებისაგან) ინგლისში [117] და სხვა მისთანანი. ყველა ეს ვაჟბატონები, რომლებიც დიდ, ძალიან ხშირად უპირატეს როლს ასრულებენ პარლამენტურ მუშაობაში და პარტიის პუბლიცისტიკაში, პირდაპირ უარყოფენ პროლეტარიატის დიქტატურას, ახორციელებენ აშკარა ოპორტუნიზმს. ამ ვაჟბატონებისათვის პროლეტარიატის დიქტატურა «ეწინააღმდეგება» დემოკრატიას!! ისინი, არსებითად, სერიოზულად არაფრით არ განსხვავდებიან წვრილბურჟუაზიული დემოკრატებისაგან.

ვიღებთ რა მხედველობაში ამ გარემოებას, ჩვენ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ მეორე ინტერნაციონალი თავის ოფიციალურ წარმომადგენელთა უდიდესი უმრავლესობის სახით სავსებით დაეშვა ოპორტუნიზმამდე. კომუნის გამოცდილება არათუ დაივიწყეს, არამედ დაამახინჯეს კიდევაც. მუშათა მასებს არათუ არ ჩააგონებდნენ, რომ ახლოვდება დრო, როდესაც მათ უნდა გაილაშქრონ და დაამსხვრიონ ძველი სახელმწიფო მანქანა, შესცვალონ იგი ახალი მანქანით და ამრიგად გადააქციონ თავიანთი პოლიტიკური ბატონობა საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის ბაზად, — მასებს ამის საწინააღმდეგოს ჩააგონებდნენ, და «ძალაუფლების დაპყრობას» ისე წარმოგვიდგენდნენ, რომ ათასი ხვრელი რჩებოდა ოპორტუნიზმისათვის.

სახელმწიფოსადმი პროლეტარული რევოლუციის დამოკიდებულების საკითხის დამახინჯებას და მიჩქმალვას არ შეიძლებოდა დიდი როლი არ შეესრულებინა მაშინ, როდესაც სახელმწიფოები, იმპერიალისტური მეტოქეობის გამო

გაძლიერებული სამხედრო აპარატის მქონენი, გადაიქცნენ სამხედრო ურჩხულებად, რომლებიც მილიონობით ადამიანს ყლეტენ იმისათვის, რომ გადაწყდეს დავა, ვინ ბატონობდეს მსოფლიოში — ინგლისი თუ გერმანია, ეს ფინანსური კაპიტალი თუ ისა *.

---

* ხელნაწერში შემდეგ არის:

«თ ა ვ ი VII

რუსეთის 1905 და 1917 წლების რევოლუციების გამოცდილება

ამ თავის სახელწოდებაში აღნიშნული თემა ისე უსაზღვროდ დიდია, რომ მის შესახებ შეიძლება და უნდა დაიწეროს მთელი ტომები. ამ ბროშურაში, ცხადია, უნდა დავჯერდეთ გამოცდილების მხოლოდ უმთავრეს გაკვეთილებს, რომლებიც უშუალოდ ეხება პროლეტარიატის ამოცანებს რევოლუციაში სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ». (აქ ხელნაწერი წყდება.) რ ე დ.

პირველი გამოცემის გოლოსიტყვაობა

ეს ბროშურა დაწერილია 1917 წლის აგვისტოსა და სექტემბერში. მე უკვე შედგენილი მქონდა გეგმა შემდეგი, მეშვიდე თავისა: «რუსეთის 1905 და 1917 წლების რევოლუციების გამოცდილება». მაგრამ გარდა სათაურისა, ამ თავის ერთი სტრიქონის დაწერაც ვეღარ მოვასწარი: «ხელი შემიშალა» პოლიტიკურმა კრიზისმა, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის წინახანმა. ასეთი «ხელის შეშლა» მხოლოდ სასიხარულოა. მაგრამ ბროშურის მეორე ნაკვეთი (მიძღვნილი «რუსეთის 1905 და 1917 წლების რევოლუციების გამოცდილებისადმი»), ალბათ, დიდი ხნით უნდა გადავდო, უფრო სასიამოვნო და სასარგებლოა «რევოლუციის გამოცდილების» კეთება, ვიდრე მის შესახებ წერა.

ა ვ ტ ო რ ი

პეტროგრადი.

1917 წლის 30 ნოემბერი.

შენიშვნები

1 მუშათა, და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების პირველი სრულიად რუსეთის ყრილობა მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 3-დან 24 ივნისამდე (16 ივნისიდან 7 ივლისამდე). ყრილობას ესწრებოდა 1 000-ზე მეტი დელეგატი. ბოლშევიკებს, რომლებიც იმ დროს უმცირესობას შეადგენდნენ საბჭოებში, ჰყავდათ 105 დელეგატი. უმრავლესობა ესერებსა და მენშევიკებს ეკუთვნოდა. ყრილობის დღის წესრიგში იდგა საკითხები: დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ, ომის შესახებ, დამფუძნებელი კრებისათვის მზადების შესახებ და სხვა. ლენინი გამოვიდა ყრილობაზე სიტყვებით დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულებისა და ომის შესახებ. ყველა ძირითად საკითხზე ბოლშევიკები თავიანთი რეზოლუციებით გამოდიოდნენ. ისინი ამხელდნენ ომის იმპერიალისტურ ხასიათს, ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის დამღუპველობას და მოითხოვდნენ მთელი ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში. თავის გადაწყვეტილებებში ყრილობა დადგა დროებითი მთავრობისათვის მხარის დაჭერის პოზიციაზე, მან მოიწონა რუსეთის ჯარების შეტევა ფრონტზე, რასაც ეს მთავრობა ამზადებდა, და გაილაშქრა საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლის წინააღმდეგ. — 1.

2 «რაბოჩაია გაზეტა»—მენშევიკების ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა ყოველდღიურად პეტროგრადში 1917 წლის მარტიდან ნოემბრამდე. — 6.

3 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 436. — 6.

4 ლენინს მხედველობაში აქვს რსდმპ(ბ) მეშვიდე (აპრილის) სრულიად რუსეთის კონფერენციის გადაწყვეტილებანი. კონფერენცია შესდგა პეტროგრადში 1917 წლის 24 — 29 აპრილს (7 — 12 მაისს) (იხ. «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ.-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. 1, 1940, გვ. 224 - 239). — 8.

ლიახოვი, ვ. პ. — მეფის არმიის პოლკოვნიკი; სარდლობდა რუსეთის ჯარებს, რომლებიც ახშობდნენ სპარსეთის 1908 წლის ბურჟუაზიულ რევოლუციას. ლიახოვის პოლიტიკაზე რომ ლაპარაკობს, ლენინი გულისხმობს მეფის მთავრობის მიერ რევოლუციური და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას. — **10.**

ლაპარაკია «მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს უწყებებზე» (იზვესტია)—ყოველდღიურ გაზეთზე, რომელიც გამოდიოდა 1917 წლის 28 თებერვლიდან (13 მარტიდან). საბჭოების I სრულიად რუსეთის ყრილობაზე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შექმნის შემდეგ გაზეთი გახდა ც. ა. კომიტეტის ორგანო და 1917 წლის 1 (14) აგვისტოდან (№ 132-დან) გამოდიოდა სახელწოდებით: «ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს უწყებები» (იზვესტია). მთელი ამ ხნის განმავლობაში გაზეთი მენშევიკებისა და ესერების ხელში იყო და გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. 1917 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან), საბჭოების II სრულიად რუსეთის ყრილობის შემდეგ, «იზვესტია» გახდა საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური ორგანო. 1918 წლის მარტში, სრ. რუსეთის ც. ა. კომიტეტისა და სახკომსაბჭოს მოსკოვში გადასვლასთან დაკავშირებით, გაზეთის გამოცემა გადატანილ იქნა პეტროგრადიდან მოსკოვში. — **10.**

გლეხთა დეპუტატების პირველი სრულიად რუსეთის ყრილობა მომდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 4 — 28 მაისს (17 მაისიდან 10 ივნისამდე). ყრილობას ესწრებოდა 1 115 დელეგატი გუბერნიებიდან და არმიის ნაწილებიდან. ბოლშევიკები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყრილობის მუშაობაში, ამხელდნენ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის იმპერიალისტურ პოლიტიკას და მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლობას. აგრარული საკითხის შესახებ ყრილობაზე გამოვიდა ლენინი. მან მოითხოვა მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივი კონფისკაცია, მათი გადაცემა გლეხთა კომიტეტებისათვის და ქვეყნის მთელი მიწის ნაციონალიზაცია. ესერების სიჭარბემ ყრილობაზე განსაზღვრა მის გადაწყვეტილებათა ხასიათი. ყრილობამ მოიწონა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის პოლიტიკა, აგრეთვე მხარი დაუჭირა თავის გადაწყვეტილებებში ომის განგრძობას «ძლევამოსილ დასასრულამდე» და შეტევას ფრონტზე, რაც მზადდებოდა. ყრილობამ გაიღაშქრა გლეხებისათვის მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივი გადაცემის წინააღმდეგ და დამფუძნებელ კრებამდე გადასდო მიწის საკითხის გადაწყვეტა. — **11.**

8 «ნ ო ვ ა ი ა ჟ ი ზ ნ» — მენშევიკური მიმართულების ყოველდღიური გაზეთი, ორგანო სოციალ-დემოკრატების, ეგრეთწოდებული «ინტერნაციონალისტების» ჯგუფისა, რომელიც აერთიანებდა მენშევიკებს, მარტოვის მომხრეებს, და ნახევრადმენშევიკური ჯურის ცალკეულ ინტელიგენტებს. «ნოვაია ჟიზნის» ჯგუფი მუდამ მერყეობდა შემთანხმებლებსა და ბოლშევიკებს შორის.

«ნოვაია ჟიზნ» გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის აპრილიდან; ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიკავა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული პოზიცია და დახურულ იქნა 1918 წლის ივლისში. — **12.**

9 ლენინს მხედველობაში აქვს ინგლისის მთავრობის მიერ პასპორტის გაცემა ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ლიდერის რამსეი მაკდონალდისათვის რუსეთში გასამგზავრებლად, სადაც ის უნდა ჩამოსულიყო მენშევიკთა ბელადების მოწვევით. მაკდონალდი არ ჩამოსულა. — **13.**

10 მ უ შ ა თ ა და ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს პ ე ტ რ ო გ რ ა დ ი ს ს ა ბ ჭ ო ს მ ო წ ო დ ე ბ ა «მ თ ე ლ ი მ ს ო ფ ლ ი ო ს ხ ა ლ ხ ე ბ ი ს ა დ მ ი» მიღებულ იქნა საბჭოს 1917 წლის 14 (27) მარტის სხდომაზე და მეორე დღეს გამოქვეყნდა ცენტრალურ გაზეთებში. ესერებისა და მენშევიკების ბელადები იძულებული იყვნენ მიეღოთ იგი რევოლუციური მასების ზეგავლენით, რომლებიც ომის დამთავრებას მოითხოვდნენ.

მოწოდება მოუხმობდა მეომარი ქვეყნების მშრომელებს გამოსულიყვნენ ზავის სასარგებლოდ. მაგრამ მოწოდება არ ამხელდა ომის დაპყრობითს ხასიათს, არ აყენებდა ზავისათვის ბრძოლის პრაქტიკულ ღონისძიებებს და არსებითად ამართლებდა იმპერიალისტური ომის განგრძობას ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის მიერ. — **14.**

11 1917 წლის მაის-ივნისში ალბანეთი ოკუპირებულ იქნა იტალიის მიერ, საბერძნეთში საფრანგეთისა და ინგლისის ჯარებმა დაიკავეს მთელი რიგი ქალაქები. სპარსეთი მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) ოკუპირებულ იქნა: ჩრდილო და ცენტრალური ნაწილი რუსეთის ჯარების მიერ, ხოლო სამხრეთი ნაწილი — ინგლისის ჯარების მიერ. — **15.**

12 იგულისხმება ბოლშევიკთა ფრაქციის ბიუროს და გაერთიანებული სოციალ-დემოკრატი ინტერნაციონალისტების ბიუროს განცხადება

საბჭოების I სრულიად რუსეთის ყრილობაზე; განცხადებაში მოთხოვნილი იყო დაესკათ ყრილობაზე პირველ რიგში საკითხი ფრონტზე შეტევისა, რასაც დროებითი მთავრობა ამზადებდა. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ეს შეტევა ნაკარნახევია მოკავშირეთა იმპერიალიზმის მაგნატების მიერ, რომ რუსეთის კონტრრევოლუციური წრეები ვარაუდობენ ასეთი გზით ძალაუფლება მოაქციონ სამხედრო-დიპლომატიური და კაპიტალისტური ჯგუფების ხელში და იერიში მიიტანონ ზავისათვის ბრძოლისა და რუსეთის დემოკრატიის მიერ მოპოვებული პოზიციების წინააღმდეგო. განცხადება აფრთხილებდა მუშათა კლასს, არმიასა და გლეხობას ქვეყნისათვის მოვლენილი საფრთხის გამო და მოუწოდებდა ყრილობას დაუყოვნებლივ უკუეგდო კონტრრევოლუციური შემოტევა. — **15.**

13 «დ ე ლ ო ნ ა რ ო დ ა» — ყოველდღიური გაზეთი, ესერების პარტიის ორგანო; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის მარტიდან 1918 წლის ივნისამდე, ამასთან არაერთხელ შეუცვლია სახელწოდება. გაზეთის გამოცემა განახლდა 1918 წლის ოქტომბერს სამარაში (გამოვიდა სამი ნომერი) და 1919 წლის მარტს მოსკოვში (გამოვიდა ათი ნომერი). გაზეთი მაშინვე დახურულ იქნა კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის. — **15.**

14 ბ ა ზ ე ლ ი ს მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი ომის შესახებ მიღებულ იქნა 1912 წელს II ინტერნაციონალის საგანგებო ყრილობაზე ბაზელში (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 21, გვ. 240—253 და 372—373).—**28.**

15 კ ი ა ო-ჩ ა ო — ოლქი ჩრდილო ჩინეთის პროვინცია შანდუნში, აგრეთვე წ ყ ნ ა რ ი ო კ ე ა ნ ი ს კ უ ნ ძ უ ლ ე ბ ი — კაროლინის, მარიანის და მარშალისა, რომლებიც 1914 წლამდე გერმანიას ეკუთვნოდა, ხელში ჩაიგდო იაპონიამ მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს (1914 — 1918). — **29.**

16 ლ ა პ ა რ ა კ ი ა დროებითი მთავრობის სამხედრო მინისტრის კერენსკის მიერ უკრაინის ჯარის ყრილობის აკრძალვაზე; აკრძალვის მიუხედავად ყრილობა შესდგა 1917 წლის ივნისს კიევში.

დროებითი მთავრობისა და მენშევიკებისა და ესერების პარტიათა კონტრრევოლუციური პოლიტიკა უკრაინის მიმართ ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა სტატიებში «უკრაინა» და «უკრაინა და რუსეთის მმართველი პარტიების დამარცხება» (იხ. ეს ტომი, გვ. 96 — 98 და 106 — 109). — **30.**

17 რუსეთის 1905 — 1907 წლების რევოლუციამ გამოიწვია რევოლუციური მოძრაობა აღმოსავლეთის ხალხთა შორის. 1908 წელს მოხდა ბურჟუაზიული რევოლუცია თურქეთში. 1906 წელს დაიწყო ბურჟუაზიული რევოლუცია სპარსეთში, რასაც მოჰყვა 1909 წელს სპარსეთის შაჰის დამხობა. 1910 წელს გაჩაღდა რევოლუციური მოძრაობა ჩინეთში ჩინელი ფეოდალებისა და უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ. ამ მოძრაობამ გამოიწვია რევოლუცია ჩინეთში და ბურჟუაზიული რესპუბლიკის შექმნა 1911 წლის დეკემბერს. — **34**.

18 «სოციალ-დემოკრატი» — ყოველდღიური გაზეთი, ბოლშევიკების პარტიის მოსკოვის საოლქო ბიუროს, მოსკოვის კომიტეტის, უფრო გვიან — აგრეთვე მოსკოვის საოკრუგო კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა 1917 წლის მარტიდან 1918 წლის მარტამდე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხოსკოვში გადასვლასთან დაკავშირებით გაზეთი შეუერთდა «პრავდას». — **37**.

19 «პრავდა» — ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში; დაარსებულია ვ. ი. ლენინის მითითებით და ი. ბ. სტალინის ინიციატივით 1912 წლის აპრილში.

«1912 წლის «პრავდა» — ეს არის საძირკვლის ჩაყრა ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის 1917 წელს» (ს ტ ა ლ ი ნ ი).

პირველი ნომრის გამოსვლიდან (1912 წლის 22 აპრილი (5 მაისი)) ორნახევარ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მეფის მთავრობამ «პრავდა» რვაჯერ დახურა, მაგრამ გაზეთი განაგრძობდა გამოსვლას სხვა სახელწოდებებით. იმპერიალისტური ომის წინ — 1914 წლის 8 (21) ივნისს გაზეთი დახურულ იქნა.

«პრავდის» გამოცემა განახლდა თებერვლის რევოლუციის შემდეგ — 1917 წლის 5 (18) მარტს. გაზეთმა იწყო გამოსვლა როგორც ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ.

15 (28) მარტს რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე «პრავდის» რედაქციის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ი. ბ. სტალინი. რუსეთში 1917 წლის აპრილს დაბრუნების შემდეგ ვ. ი. ლენინი სათავეში ჩაუდგა «პრავდის» ხელმძღვანელობას. 1917 წლის 5 (18) ივლისს «პრავდის» რედაქცია დაარბიეს იუნკრებმა და კაზაკებმა. ივლისის დღეების შემდეგ, ვ. ი. ლენინის არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, პარტიის ცენტრალური ორგანოს პასუხისმგებელი რედაქტორი გახდა ი. ბ. სტალინი.

1917 წლის ივლის-ოქტომბერში «პრავდას», რომელსაც დროებითი მთავრობა სდევნიდა, არაერთხელ შეუცვლია თავისი სახელწოდება:

იგი გამოდიოდა როგორც «ლისტოკ «პრავდი»», «პროლეტარი», «რაბოჩი», «რაბოჩი პუტ». 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) გაზეთმა იწყო გამოსვლა თავისი ძველი სახელწოდებით — «პრავდა». — **87.**

20 საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კონფერენცია მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 30 მაისიდან 3 ივნისამდე (12-დან 16 ივნისამდე). კონფერენციას ესწრებოდა 568 დელეგატი ქ. პეტროგრადის საქარხნო და საფაბრიკო კომიტეტებისაგან და პროფესიულ კავშირთა ბიუროსაგან. კონფერენციისათვის ლენინმა დაწერა «რეზოლუცია ნგრევასთან ბრძოლის ეკონომიურ ღონისძიებათა შესახებ» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 24, გვ. 622—625), რომელიც ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გამოქვეყნდა 1917 წლის 25 მაისს (7 ივნისს) მოსკოვის ბოლშევიკურ გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» და შემდეგ 2 (15) ივნისს გაზეთ «პრავდაში» № 71. როგორც რეზოლუცია, წარმოდგენილი კონფერენციის მომწვევი ორგანიზაციული ბიუროს მიერ. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა საკითხები: წარმოების კონტროლისა და მოწესრიგების შესახებ, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ამოცანების შესახებ, პროფმოძრაობაში საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების როლის შესახებ. კონფერენციაზე გამოვიდა ლენინი. მან მკაცრად გააკრიტიკა გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» წარმომადგენლის ავილოვის ანტირევოლუციური გამოსვლა და მის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია წარმოების კონტროლისა და მოწესრიგების საკითხზე. კონფერენციამ უდიდესი უმრავლესობით მიიღო ლენინის მიერ დაწერილი «რეზოლუცია ნგრევასთან ბრძოლის ეკონომიურ ღონისძიებათა შესახებ». — **88.**

21 «რეჩ» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტთა პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან; დახურულ იქნა პეტროგრადის საბჭოსთან არსებული სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მიერ 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს); გამოდიოდა სხვა სახელწოდებებით 1918 წლის აგვისტომდე. — **89.**

22 «ედინსტვო» — ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის მარტიდან ნოემბრამდე, აგრეთვე 1917 წლის დეკემბერში და 1918 წლის იანვარში სხვა სახელწოდებით; რედაქტორობდა გ. ვ. პლეხანოვი. აერთიანებდა მენშევიკ-ობორონცების უკიდურეს მემარჯვენე ჯგუფს და უსიტყვოდ უჭერდა მხარს ბურჟუაზიულ დროებითს შთავრობას; აწარმოებდა გააფთრებულ ბრძოლას ბოლშევიკების პარტიის წინააღმდეგ. — **89.**

23 «**V o r w ä r t s**» («წინ») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა 1876 წლიდან ვ. ლიბკნეხტის რედაქციით. გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი ბრძოლას ეწეოდა ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ, «Vorwärts»-ში სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები ოპორტუნისტებისა, რომლებიც ბატონობდნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში და II ინტერნაციონალში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) «Vorwärts» იდგა სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გაზეთი «Vorwärts» გახდა ანტისაბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთი ცენტრი; გამოდიოდა ბერლინში 1933 წლამდე.

1946 წლის აპრილიდან «Vorwärts» კვლავ გამოდის ბერლინში; მას სცემს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის ორგანიზაცია. — **42.**

24 ლაპარაკია მემამულეებისა და კაპიტალისტების, IV სახელმწიფო სათათბიროს წევრების თათბირის შესახებ, რომელიც შესდგა 1917 წლის 3 (16) ივნისს პეტროგრადში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დროებითს მთავრობას სახელმწიფო სათათბირო ოფიციალურად არ დაუთხოვნია. სათათბიროს წევრები, მემამულეები და კაპიტალისტები, ისევ იკრიბებოდნენ თავიანთ თათბირებზე, რომლებიც კონტრრევოლუციის კერას წარმოადგენდნენ. დადგენილება სათათბიროს დათხოვნის შესახებ დროებითმა მთავრობამ გამოიტანა მხოლოდ 1917 წლის 6 (19) ოქტომბერს. — **44.**

25 «**ვ ო ლ ი ა ნ ა რ ო დ ა**» — ყოველდღიური გაზეთი, ესერების პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წელს; დახურულ იქნა 1917 წლის ნოემბერში; შემდეგშიც გამოდიოდა, მაგრამ სხვა სახელწოდებით; საბოლოოდ დახურულ იქნა 1918 წლის ოქტომბერში. — **51.**

26 «**ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა**» — რეაქციული თავადაზნაურული და მოხელურ-ბიუროკრატიული წრეების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან; 1905 წლიდან გახდა შავრაზმელთა ერთ-ერთი ორგანო. ლენინი მას მოჭრილი გაზეთების ნიმუშს უწოდებდა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ «ნოვოე ვრემია» სავსებით უჭერდა მხარს ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციურ პოლიტიკას და გააფთრებულ კამპანიას ეწეოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა

სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს). — **57.**

27 პირველი კოალიციური მთავრობა შეიქმნა 1917 წლის 5 (18) მაისს. ცნობა მისი შემადგენლობის შესახებ გამოქვეყნდა 6 (19) მაისს. კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან ერთად შევიდნენ ესერები — კერენსკი და ჩერნოვი, ესერებთან ახლო მდგომი — პერევერზევი, მენშევიკები — სკობელევი და წერეთელი, «სახალხო სოციალისტი» — პეშეხონოვი. — **58.**

28 იგულისხმება დროებითი მთავრობის შრომის მინისტრის მენშევიკ სკობელევის გამოსვლა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე 1917 წლის 13 (26) მაისს; მან განაცხადა, რომ მჭონებელი კლასების დაბეგვრის განაკვეთი საჭიროა გადიდდეს «მოგების 100 პროცენტამდეო». — **65.**

29 ლენინს მხედველობაში აქვს საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობის გადაწყვეტილება იმ დემონსტრაციის აკრძალვის შესახებ, რომელიც ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დანიშნული იყო 1917 წლის 10 (23) ივნისისათვის. დემონსტრაციას უნდა გამოევლინა საბჭოების ყრილობის წინაშე პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა ნება, რომელნიც მოითხოვდნენ მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადაცემას საბჭოების ხელში. მენშევიკები და ესერები გამოვიდნენ განზრახული დემონსტრაციის წინააღმდეგ. 9 (22) ივნისს საბჭოების ყრილობის სხდომაზე მათ გაატარეს დადგენილება დემონსტრაციის აკრძალვის შესახებ. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დაემორჩილა საბჭოების ყრილობის დადგენილებას და გააუქმა დემონსტრაცია; მისი ჩატარება გადაიდო 18 ივნისისათვის (1 ივლისისათვის) — იმ დღისათვის, რომელიც თვითონ საბჭოების ყრილობამ დანიშნა სადემონსტრაციოდ. მენშევიკები და ესერები ვარაუდობდნენ ჩაეტარებინათ იგი ანტიბოლშევიკური ლოზუნგებით. 18 ივნისს (1 ივლისს) დემონსტრაციაზე გამოვიდა პეტროგრადის 500 ათასამდე მუშა და ჯარისკაცი. დემონსტრანტების უდიდესი უმრავლესობა ბოლშევიკური პარტიის რევოლუციური ლოზუნგებით მიდიოდა. მხოლოდ მცირერიცხოვან ჯგუფებს მიჰქონდათ შემთანხმებლური პარტიების ლოზუნგები დროებითი მთავრობისადმი ნდობის გამოცხადების შესახებ. დემონსტრაციამ ცხადყო მასების მზარდი რევოლუციურობა და ბოლშევიკური პარტიის გავლენისა და ავტორიტეტის უდიდესი ზრდა. ამასთან ერთად დემონსტრაციამ ცხადყო

წვრილბურჟუაზიული შემთანხმებლური პარტიების სრული დამარცხება და დროებითი მთავრობის დამარცხება დედაქალაქში. (ივნისის დემონსტრაციის შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 119—122 და ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 3, 1948, გვ. 111 — 115.) — **71.**

30 1917 წლის 7 (20) ივნისს დროებითმა მთავრობამ გასცა განკარგულება, რომ ანარქისტები გაესახლებინათ მეფის ყოფილი მინისტრის დურნოვოს აგარაკიდან. ეს განკარგულება სინამდვილეში მიმართული იყო წითელგვარდიელთა რაზმებისა და პროფესიული ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებსაც ეკავათ აგარაკის მეტი ნაწილი. პეტროგრადის მუშები პროტესტით გამოვიდნენ; გაიფიცა მთელი რიგი ქარხნები. დროებითი მთავრობა იძულებული იყო დაეთმო. მაგრამ უფრო გვიან, 18 ივნისს (1 ივლისს) ღამით, დროებითმა მთავრობამ გაგზავნა კაზაკთა და ჯარისკაცთა შეიარაღებული რაზმი, რომელმაც დაარბია აგარაკი. თავდასხმამ გამოიწვია პეტროგრადის მუშების აღშფოთება. — **71.**

31 კ ა ტ ი ლ ი ნ ა, ლ უ ც ი უ ს ს ე რ გ ი — რომაელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე; 63 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოაწყო შეთქმულება იმ მიზნით, რომ მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება, ბოლო მოეღო რესპუბლიკისათვის რომში და დაემყარებინა სამხედრო დიქტატურა. — **74.**

32 ამ პროექტის ძირითადი დებულებანი შეტანილია რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობის ბოლშევიკთა ფრაქციის ბიუროს განცხადებაში იმის გამო, რომ ყრილობამ აკრძალა ბოლშევიკების მიერ 10 (23) ივნისისათვის დანიშნული მშვიდობიანი დემონსტრაცია.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეორე და მესამე გამოცემის **XX** ტომში ეს დოკუმენტი გამოქვეყნებულია სარედაქციო სათაურით «მონახაზი სტატიისა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ». თხზულებათა მე-4 გამოცემაში სათაური შეცვლილია დოკუმენტის შინაარსის შესაბამისად. — **78.**

33 ლენინს მხედველობაში აქვს დროებითი მთავრობის მინისტრის, მენშევიკ წერეთლის სიტყვა, წარმოთქმული 1917 წლის 11 (24) ივნისს საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობის პრეზიდიუმის, პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და ყრილობის ყველა ფრაქციის ბიუროების გაერთიანებულ სხდომაზე. სხდომა მოწვეული იყო იმ დემონსტრაციის გამო, რომელიც ბოლშევიკების მიერ დასახული იყო

10 (23) ივნისისათვის. წერეთლის სიტყვის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ბოლშევიკებმა სხდომა დასტოვეს. — **81.**

84 კავენიაკი, ლუი-ეუგენ — ფრანგი გენერალი, 1848 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საფრანგეთის დროებითი მთავრობის სამხედრო მინისტრი; 1848 წლის ივნისის დღეებში ხელმძღვანელობდა პარიზელი მუშების აჯანყების ჩახშობას. — **86.**

85 იგულისხმება რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობის ბოლშევიკთა ფრაქციის ბიუროს განცხადება ყრილობის მიერ იმ მშვიდობიანი დემონსტრაციის აკრძალვის გამო, რომელიც დანიშნული იყო ბოლშევიკური პარტიის მიერ 1917 წლის 10 (23) ივნისისათვის. განცხადებაში ბოლშევიკები ამხელდნენ საბჭოების ყრილობის მენშევიკ-ესერთა ბელადების პროვოკაციულ მოქმედებას, რომლებმაც აკრძალეს მშვიდობიანი დემონსტრაცია, აგრეთვე დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციურ პოლიტიკას; გაფრთხილებას იძლეოდნენ, რომ რევოლუცია საფრთხეშია და მოუწოდებდნენ მუშათა კლასს სიმტკიცისა და სიფხიზლისაკენ. განცხადება გამოქვეყნებულ იქნა 11 (24) ივნისს საბჭოების ყრილობის პრეზიდიუმისა და პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და ყრილობის ყველა ფრაქციის ბიუროების გაერთიანებულ სხდომაზე. ბოლშევიკებს უნდოდათ გამოექვეყნებინათ ეს განცხადება საბჭოების ყრილობის 12 (25) ივნისის სხდომაზე, მაგრამ კრების თავმჯდომარემ სიტყვა წაართვა ბოლშევიკების წარმომადგენელს. განცხადება გადაეცა საბჭოების ყრილობის პრეზიდიუმს. ყრილობის ამავე სხდომაზე, მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკებმა გააუქმეს დემონსტრაცია, გამოტანილ იქნა ბოლშევიკური პარტიის დაგმობის რეზოლუცია. — **92.**

86 «მალენკაია გაზეტა» — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პეტროგრადში 1914 წლის სექტემბრიდან 1917 წლის ივლისამდე. — **105.**

87 «რუსსკაია ვოლია» — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი, რომელიც შექმნილი იყო და არსებობდა მსხვილი ბანკების სახსრებით; ეწეოდა რბევა-აწიოკების კამპანიას ბოლშევიკების წინააღმდეგ. ლენინი მას უწოდებდა ერთ-ერთ უსაზიზღრეს ბურჟუაზიულ გაზეთს. გამოდიოდა პეტროგრადში 1916 წლის დეკემბრიდან 1917 წლის ოქტომბრამდე. — **105.**

38 მეფის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ჯუნკოვსკიმ 1914 წელს შეიტყო, რომ IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი მალინოვსკი პროვოკატორია. მაშინვე ჯუნკოვსკიმ «პატიოსანი სიტყვის» ჩამორთმევით ეს აცნობა IV სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს როძიანკოს. მათ გადაწყვიტეს გაეძევებინათ მალინოვსკი სათათბიროდან, მაგრამ ისე, რომ «არ გამოეწვიათ სკანდალი არც სათათბიროსათვის, არც მინისტრებისათვის». მალინოვსკიმ მოიხსნა დეპუტატის რწმუნებულობა და პოლიციის დეპარტამენტის დახმარებით საზღვარგარეთ გაემგზავრა. მალინოვსკი მხილებულ იქნა მხოლოდ 1917 წელს პოლიციის დეპარტამენტის არქივების მასალებით. 1918 წელს საბჭოთა მთავრობამ მალინოვსკი სამართალში მისცა, და ის რევოლუციური ტრიბუნალის განაჩენით დახვრეტილ იქნა. — **110.**

39 «დ ე ნ» — ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი; იცემოდა პეტერბურგში ბანკების სახსრებით 1912 წლიდან, მენშევიკ-ლიკვიდატორების მონაწილეობით, რომელთა ხელშიც გაზეთი მთლიანად გადავიდა 1917 წლის თებერვლის შემდეგ. დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს), რის შემდეგ გამოდიოდა სხვა სახელწოდებებითაც 1918 წლის მაისამდე. — **111.**

40 1917 წლის 16 (29) ივნისს გაზეთებში «დენ», «ნოვაია ჟიზნ», «ბირჟევიე ვედომოსტი» გამოქვეყნდა მეფის ხელისუფლების დანაშაულობათა გამოსარკვევად დროებითი მთავრობის მიერ შექმნილი საგანგებო საგამომძიებლო კომისიის დასკვნა. დასკვნაში პირველად იყო გამოქვეყნებული მასალები პროვოკატორ მალინოვსკის საქმეზე. — **111.**

41 «ბ ი რ ჟ ე ვ კ ა»—«ბ ი რ ჟ ე ვ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1880 წლიდან. სახელწოდება «ბირჟევკა» საზოგადო გახდა ბურჟუაზიული პრესის უპრინციპობისა და მოქრთამვის აღსანიშნავად. 1917 წლის ოქტომბრის დამლევს გაზეთი დახურა პეტროკრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა. — **111.**

42 იგულისხმება პროვოკატორობა აზეფისა, ესერების პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრისა, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში პოლიციის დეპარტამენტის აგენტი იყო. 1908 წელს მხილებულ იქნა და საზღვარგარეთ გაიქცა. — **111.**

43 იგულისხმება რუსეთის ჯარების შეტევა ფრონტზე, რაც დაწყებულ იქნა 1917 წლის 18 ივნისს (1 ივლისს) დროებითი მთავრობის მიერ მენშევიკებისა და ესერების თანხმობით. — **128.**

44 პროფესიული კავშირების სრულიად რუსეთის კონფერენცია მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 21 — 28 ივნისს (4 — 11 ივლისს). კონფერენციას ესწრებოდა 211 კაცი; მათგან 73 ბოლშევიკი, დანარჩენები იყვნენ მენშევიკები, ესერები, ბუნდელები და უპარტიოთა ნაწილი. დღის წესრიგში იდგა საკითხები: პროფესიული მოძრაობის ამოცანების შესახებ, პროფესიული მშენებლობის შესახებ, ეკონომიური ბრძოლის შესახებ და სხვა. ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე ბოლშევიკები გამოდიოდნენ თავიანთი რეზოლუციებით ან შესწორებებით. უმნიშვნელო უმრავლესობით — 10—12 ხმის უმრავლესობით — კონფერენციამ მიიღო მენშევიკ ობორონცების მიერ წარმოდგენილი რეზოლუციები. კონფერენციამ აირჩია პროფესიული კავშირების დროებითი ცენტრალური კომიტეტი. — **134**.

45 ლაპარაკია მემარჯვენე ესერ ე. კ. ბრეშკო-ბრეშკოვსკაიაზე. მან უარი თქვა შესულიყო ესერების პარტიის ცენტრალურ კომიტეტში პროტესტის ნიშნად იმის გამო, რომ მის შემადგენლობაში ესერების პარტიის III ყრილობამ (მიმდინარეობდა 1917 წლის მაისის დამლევს — ივნისის დამდეგს მოსკოვში) არ აირჩია კერენსკი. — **142**.

46 «ზემლია ი ვოლია» — ესერების გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1917 წლის მარტიდან 1918 წლის მაისამდე. — **142**.

47 **კადეტები** — მინისტრები შინგარიოვი, მანუილოვი, შახოვსკი გავიდნენ დროებითი მთავრობის შემადგენლობიდან 1917 წლის 2 (15) ივლისს. ლენინის სტატია «რა შეეძლოთ ევარაუდნათ კადეტებს, როცა სამინისტროდან გადიოდნენ?» პირველად გამოქვეყნდა ხელმოუწერლად 1917 წლის 15 (28) ივლისს გაზეთ «პროლეტარსკოე დელოში».

«პროლეტარსკოე დელო» — ყოველდღიური გაზეთი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების კრონშტადტის საბჭოს ბოლშევიკთა ფრაქციის ორგანო, რომელიც გამოდიოდა 1917 წელს კრონშტადტის ბოლშევიკური გაზეთის «გოლოს პრავდის» ნაცვლად, რაც დახურა დროებითმა მთავრობამ ივლისის დღეებში. — **169**.

48 ლენინს მხედველობაში აქვს 1917 წლის 3 — 4 (16 — 17) ივლისს პეტროგრადში შემდგარი დემონსტრაცია. 3 (16) ივლისს დაიწყო სტიქიური დემონსტრაციები დროებითი მთავრობის წინააღმდეგ ვიბორგის რაიონში. პირველად გამოვიდა ტყვიამფრქვეველთა 1-ლი პოლკი. მას შეუერთდნენ ჯარის სხვა ნაწილები და ფაბრიკა-ქარხნების მუშები.

იყო იმის საფრთხე, რომ დემონსტრაცია გადაიქცეოდა შეიარაღებულ გამოსვლად დროებითი მთავრობის წინააღმდეგ.

ბოლშევიკების პარტია იმ მომენტში წინააღმდეგი იყო შეიარაღებული გამოსვლისა, რადგან თვლიდა, რომ რევოლუციური კრიზისი ჯერ კიდევ არ მომწიფებულა, რომ არმია და პროვინცია არ იყვნენ მზად — მხარი დაეჭირათ აჯანყებისათვის დედაქალაქში. ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, რომელიც მოწვეული იყო 3 (16) ივლისს, დღის 4 საათზე, რსდმპ(ბ) პეტროგრადის კომიტეტთან და სამხედრო ორგანიზაციასთან ერთად, გადაწყდა თავი შეეკავებინათ გამოსვლისაგან. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო ბოლშევიკების პეტროგრადის მეორე საერთო-საქალაქო კონფერენციამაც, რომელიც იმ დროს მიმდინარეობდა. კონფერენციის დელეგატები გაემგზავრნენ ქარხნებსა და რაიონებში, რათა შეეკავებინათ მასები გამოსვლისაგან. მაგრამ გამოსვლა მაინც დაიწყო, და მისი შეჩერება უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა.

ცენტრალურმა კომიტეტმა ანგარიში გაუწია მასების სულისკვეთებას და პეტროგრადის კომიტეტთან და სამხედრო ორგანიზაციასთან ერთად 3 (16) ივლისს, გვიან საღამოს, მიიღო გადაწყვეტილება დემონსტრაციაში მონაწილეობის შესახებ, რათა მიეცა მისთვის მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი. ლენინი ამ დროს პეტროგრადში არ იყო. ეს ამბები აცნობეს, და ის ჩამოვიდა პეტროგრადში 4 (17) ივლისს დილით. 4 (17) ივლისს დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 500 ათასზე მეტმა კაცმა. დემონსტრაცია მიმდინარეობდა ბოლშევიკების ძირითადი ლოზუნგით «მთელი ძალაუფლება საბჭოებს».

მუშებისა და ჯარისკაცების მშვიდ დემონსტრაციას, მენშევიკურ-ესერული ც ა კ-ის ცნობითა და თანხმობით, მიუსიეს იუნკერთა და ოფიცერთა რაზმები. მათ სროლა აუტეხეს დემონსტრანტებს. ფრონტიდან გამოიხმეს ჯარის ნაწილები რევოლუციური მოძრაობის გასანადგურებლად.

ბოლშევიკების ცენტრალურმა კომიტეტმა 4 (17) ივლისს ღამით მიიღო გადაწყვეტილება დემონსტრაციის შეწყვეტის შესახებ. გვიან ღამით ლენინი მივიდა «პრავდის» რედაქციაში, რათა გადაეთვალიერებინა გაზეთის მორიგი ნომერი, ხოლო მისი წასვლიდან ნახევარი საათის შემდეგ რედაქცია დაარბია იუნკერთა და კაზაკთა რაზმმა. მენშევიკები და ესერები ფაქტიურად კონტრრევოლუციური ჯალათობის მონაწილენი და ხელშემწყობნი აღმოჩნდნენ. დემონსტრაცია რომ დაარბიეს, მათ ბურჟუაზიასთან ერთად გაილაშქრეს ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. დროებითმა მთავრობამ დახურა ბოლშევიკური გაზეთები «პრავდა», «სოლდატსკაია პრავდა» და სხვ.. დაიწყო მასობრივი დაპატიმრება, ჩხრეკა და რბევა-აწიოკება. პეტროგრადის გარ-

ნიზონის რევოლუციური ნაწილები გაჰყავდათ დედაქალაქიდან და მათ ფრონტზე გზავნიდნენ.

ივლისის დღეების შემდეგ ძალაუფლება ქვეყანაში სავსებით გადავიდა კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის ხელში. საბჭოები მის უძლურ დანამატადღა იქცნენ. ორხელისუფლებიანობა დამთავრდა. რევოლუციის მშვიდობიანი პერიოდი დასრულდა. ბოლშევიკების წინაშე დადგა ამოცანა — მოემზადებინათ შეიარაღებული აჯანყება დროებითი მთავრობის დასამხობად. — **175.**

49 «ქ ი ვ ო ე ს ლ ო ვ ო» — ქუჩურ-შავრაზმული ტიპის ყოველდღიური გაზეთი, რომელსაც სცემდნენ პეტროგრადში 1916 წლიდან; 1917 წელს ეწეოდა რბევა-აწიოკების აგიტაციას ბოლშევიკების წინააღმდეგ; გამოდიოდა ოქტომბრის რევოლუციამდე. — **177.**

50 «უ კ რ ა ი ნ ი ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს კ ა ვ შ ი რ ი» («სოიუზ ვოზროჟდენნია უკრაინი») — ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაცია; წარმოიშვა 1914 წელს, მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებისს. კავშირი, რომელსაც ორიენტაცია ჰქონდა აღებული გერმანიის მიერ მეფის რუსეთის განადგურებაზე, ამოცანად ისახავდა უკრაინის გამოყოფას რუსეთისაგან და უკრაინის ბურჟუაზიულ-მემამულური მონარქიის შექმნას გერმანიის პროტექტორატით, რაც ნიშნავდა უკრაინის გადაქცევას გერმანიის იმპერიალიზმის კოლონიად. — **177.**

51 დ რ ე ი ფ უ ს ი ს ს ა ქ მ ე — პროვოკაციული პროცესი, მოწყობილი 1894 წელს საფრანგეთის მხედრობის რეაქციულ-მონარქისტული წრეების მიერ გენერალური შტაბის ოფიცრის ებრაელ დრეიფუსის წინააღმდეგ, რომელსაც ყალბად აბრალებდნენ ჯაშუშობასა და სახელმწიფო ღალატს. სამხედრო სასამართლომ დრეიფუსს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. დრეიფუსის საქმის გადასინჯვისათვის საფრანგეთში გაჩაღებული საზოგადოებრივი მოძრაობა მიმდინარეობდა რესპუბლიკელებისა და მონარქისტების გაფთრებულ ბრძოლაში, რასაც ბოლოს და ბოლოს მოჰყვა დრეიფუსის გამართლება 1906 წელს.

ლენინი დრეიფუსის საქმეს უწოდებდა «რეაქციული სამხედრო ხროვის ერთ-ერთ ხრიკს ათასობითა და ათასობით უნამუსო ხრიკთა შორის». — **189.**

52 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი» — რსდმპ ცენტრალური ორგანო, არალეგალური გაზეთი; იცემოდა 1908 წლის თებერვლიდან 1917 წლის იანვრამდე; გამოვიდა 58 ნომერი. პირველი ნომერი გამოვიდა რუსეთში, შემდგომ გამოცემა გადატანილ იქნა საზღვარგარეთ, ჯერ პარიზში, მერე

ქენევაში. ცენტრალური ორგანოს რედაქცია შედგენილი იყო, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, ბოლშევიკებისა, მენშევიკებისა და პოლონელი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებისაგან. გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» დაბეჭდილია ლენინის 80-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. გაზეთის რედაქციის შიგნით ლენინი ეწეოდა ბრძოლას თანამიმდევარი ბოლშევიკური ხაზისათვის. რედაქციის ნაწილი (კამენევი, ზინოვიევი) შემარიგებლურად ეპყრობოდა ლიკვიდატორებს, ცდილობდა ჩაეშალა ლენინური ხაზის გატარება. რედაქციის წევრები, მენშევიკები მარტოვი და დანი, საბოტაჟს უწევდნენ ცენტრალური ორგანოს რედაქციაში მუშაობას და ამავე დროს აშკარად იცავდნენ ლიკვიდატორობას თავიანთ ფრაქციულ გაზეთ «გოლოს სოციალ-დემოკრატაში». ლენინის შეურიგებელ ბრძოლას ლიკვიდატორების წინააღმდეგ მოჰყვა მარტოვისა და დანის გასვლა «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შემადგენლობიდან 1911 წლის ივნისში. 1911 წლის დეკემბრიდან «სოციალ-დემოკრატს» რედაქტორობდა ვ. ი. ლენინი. გაზეთში დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის მთელი რიგი სტატიები. — **193.**

53 ლენინის პატივსაცემად, რომელიც ერთი დღით შეჩერდა სტოკჰოლმში შვეიცარიიდან რუსეთს გამომგზავრებისას, შვედმა მემარცხენე სოციალისტებმა 1917 წლის 13 აპრილს (ახ. სტ.) საზეიმო სხდომა მოაწყვეს. — **193.**

54 ლენინის სტატია «ს ა მ ი კ რ ი ზ ი ს ი» პირველად გამოქვეყნდა 1917 წელს ჟურნალ «რაბოტნიცაში» № 7.

ჟურნალი «რ ა ბ ო ტ ნ ი ც ა» — ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა ლეგალურად 1914 წლის თებერვლიდან ივნისამდე პეტერბურგში, რის შემდეგ მისი გამოცემა შეწყდა და განახლდა 1917 წლის მაისში. ჟურნალი გამოდიოდა 1918 წლის იანვრამდე. — **196.**

55 ივლისის დემონსტრაციის დარბევის შემდეგ დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 7 (20) ივლისს გასცა ბრძანება ლენინის დაპატიმრების შესახებ. ტროცკიმ, კამენევმა, ზინოვიევმა ის აზრი გამოთქვეს, რომ ლენინი გამოცხადებულიყო კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის სამსჯავროზე. მათი წინადადების წინააღმდეგ გადაჭრით გამოვიდა ი. ბ. სტალინი. მისი დაჟინებითი მოთხოვნით 7 (20) ივლისს, საღამოს, ს. ი. ალილუევის ბინაზე ლენინის დასწრებით შემდგარ თათბირზე გადაწყდა, რომ ლენინი სამსჯავროზე არ უნდა გამოცხადებულიყო. ამ გადაწყვეტილების მეოხებით ლენინის სიცოცხლე გადარ-

ჩენილ იქნა. როგორც შემდეგ გამოირკვა, იუნკრებს ხელისუფალთაგან დავალება ჰქონდათ დაეპატიმრებინათ ლენინი და გზაში მოეკლათ. ლენინი ი. ბ. სტალინის დახმარებით ღრმა იატაკქვეშეთში გადავიდა და იქიდან განაგრძობდა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობას. — **202**.

56 სტატია «პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა» პირველად გამოქვეყნდა კრონშტადტის ბოლშევიკურ გაზეთ «პროლეტარსკოე დელოში» № 6, 1917 წლის 2 აგვისტოს (20 ივლისს), სათაურით «პოლიტიკური განწყობილება».

ამ მიზნით, რომ გაზეთი არ დაეხურა დროებითს მთავრობას, სიტყვები «შეიარაღებული აჯანყება» სტატიის გამოქვეყნებისას რედაქციამ შესცვალა სიტყვებით «გადამწყვეტი ბრძოლა». სტატია იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით. — **204**.

57 «პ რ ა ვ დ ი ს» ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი გერმანულ ენაზე გამოდიოდა სტოკჰოლმში 1917 წლის ივნისიდან ნოემბრამდე სათაურით «**Russische Korrespondenz «Prawda»**» («პრავდის» რუსული ბიულეტენი»). სცემდა რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული წარმომადგენლობა. ბიულეტენი გამოდიოდა ფრანგულ ენაზედაც. — **209**.

58 ბ ე ი ლ ი ს ს ა ქ მ ე — პროვოკაციული სასამართლო პროცესი, მოწყობილი 1913 წელს კიევში მეფის მთავრობის მიერ ებრაელ ბეილისის წინააღმდეგ, რომელსაც ყალბად სდებდნენ ბრალს რიტუალური მიზნით ქრისტიანი ბავშვის იუშჩინსკის მკვლელობაში (სინამდვილეში მკვლელობა მოაწყეს შავრაზმელებმა). ამ პროცესის ინსპირირებით მეფის მთავრობა ცდილობდა გაეღვივებინა ანტისემიტიზმი და გამოეწვია ებრაელთა რბევა-აწიოკება, რათა მასები ჩამოეშორებინა ქვეყანაში მზარდი რევოლუციური მოძრაობისაგან. პროცესმა ძლიერი საზოგადოებრივი მღელვარება გამოიწვია; მთელ რიგ ქალაქებში გაიმართა მუშათა საპროტესტო დემონსტრაციები. ბეილისი სასამართლოს მიერ გამართლებულ იქნა. — **211**.

59 იხ. ფ. ენგელსი. «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწარმოებნი ორ ტომად, ტომი II, 1950, გვ. 384). — **219**.

60 სტატია «კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი ი ლ უ ზ ი ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» პირველად გამოქვეყნდა 1917 წელს გაზეთ «რაბოჩი ი სოლდატში» და შემდეგ გამოიცა ცალკეულ ბროშურად სათაურით «მომენტისათვის». გაზეთი რომ დახურვისაგან გადაერჩინათ და ბოლშევიკური პარტიის

მიერ შეიარაღებული აჯანყების მომზადება საიდუმლოდ შეენახათ, დაბეჭდილ ტექსტში სიტყვები «შეიარაღებულ ბრძოლამდე» სტატიის გამოქვეყნებისას შეცვლილ იქნა რედაქციის მიერ სიტყვებით «მის გადამწყვეტ ფორმებამდე». სტატია იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით. — **228.**

61 ლენინს მხედველობაში აქვს ფრანკფურტის პარლამენტი — ნაციონალური კრება, მოწვეული 1848 წლის მაისს გერმანიაში მარტის რევოლუციის შემდეგ. უმრავლესობა ამ პარლამენტში ეკუთვნოდა ლიბერალურ ბურჟუაზიას, რომელიც გართული იყო უნაყოფო ლაყბობით კონსტიტუციის პროექტის შესახებ და ნამდვილად კი ძალაუფლებას მეფის ხელში სტოვებდა. — **233.**

62 ლენინს მხედველობაში აქვს კ. მარქსის «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტომი I, 1950, გვ. 262 — 383). — **234.**

63 ფ. ენგელსი. «გლეხთა ომი გერმანიაში». 1939. — **237.**

64 კ ა ნ ო ს ა ს წ ა ს ვ ლ ა — ნიშნავს ყოველგვარ დათმობასა და დამცირებაზე წასვლას.

1077 წელს კანოსას (იხე-დარბაზი ჩრდილო იტალიაში) პაპთან — გრიგოლ VII-თან გაემგზავრა გერმანიის მეფე ჰენრიხ IV. მას უნდოდა გამოეთხოვა პატიება პაპისაგან, რომელთანაც ის ბრძოლას აწარმოებდა და რომელმაც გარიცხა იგი ეკლესიიდან და სამეფო ძალაუფლება ჩამოართვა. ჰენრიხ IV სამ დღეს მომნანიებელი ცოდვილის ტანისამოსით იდგა იხე-დარბაზის კართან და ითხოვდა შეხვედრას პაპთან, ვიდრე პაპმა ის არ მიიღო. — **244.**

65 ლაპარაკია სახელმწიფო თათბირზე, რომელსაც დროებითი მთავრობა ამზადებდა. თათბირი მოწვეულ იქნა მოსკოვში 1917 წლის 12 (25) აგვისტოს. თათბირის მონაწილეთა უმრავლესობას შეადგენდნენ მემამულეების, ბურჟუაზიის, გენერალიტეტის, ოფიცრობისა და კაზაკობის წარმომადგენელნი. საბჭოების დელეგაცია მენშევიკებისა და ესერებისაგან შესდგებოდა. თათბირის მიზანი იყო ბურჟუაზიისა და მემამულეების კონტრრევოლუციური ძალების მობილიზება რევოლუციის გასანადგურებლად. თათბირზე კორნილოვი, ალექსეევი, კალედინი და სხვები გამოვიდნენ რევოლუციის ჩახშობის პროგრამით. კერენსკი თავის სიტყვაში იმუქრებოდა, რევოლუციურ მოძრაობას ჩავახშობთ და გლეხთა მიერ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდების ცდებს აღვ-

კვეთთო. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოწოდებაში, რომელიც დაწერილი იყო ი. ბ. სტალინის მიერ, მოუწოდებდა პროლეტარიატს — პროტესტი განეცხადებინა მოსკოვის სახელმწიფო თათბირის წინააღმდეგ. მოსკოვში ბოლშევიკებმა თათბირის გახსნის დღეს მოაწყეს ერთდღიანი საყოველთაო გაფიცვა, რომელშიც 400 ათასამდე კაცი მონაწილეობდა. საპროტესტო მიტინგები და გაფიცვები გაიმართა მთელ რიგ ქალაქებში. (სახელმწიფო თათბირის შესახებ იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 3, 1948, გვ. 218 — 221, 226 — 232, 238 — 246.) — **244**.

66 «კ ო ლ ო კ ო ლ» («Die Glocke») — ჟურნალი, რომელსაც სცემდა მოუნხენში, შემდეგ კი ბერლინში 1915 — 1925 წლების მანძილზე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, სოციალ-შოვინისტი პარვუსი (გელფანდი) — გერმანიის იმპერიალიზმის აგენტი. — **257**.

67 კ ო ა ლ ი ც ი უ რ ი დ რ ო ე ბ ი თ ი მ თ ა ვ რ ო ბ ა კერენსკის, ნეკრასოვის, ავქსენტიევისა და სხვათა შემადგენლობით შეიქმნა 1917 წლის 24 ივლისს (6 აგვისტოს). ამ მთავრობაში შევიდნენ კადეტები, მენშევიკები, ესერები, «სახალხო სოციალისტები» და კადეტებთან ახლოს მდგომი უპარტიონი. ახალი შემადგენლობის მთავრობა კადეტების ხელში აღმოჩნდა. — **261**.

68 ლაპარაკია დროებითი მთავრობის 1917 წლის 8 (21) ივლისის დეკლარაციაზე. დეკლარაცია შეიცავდა მთელ რიგ დემაგოგიურ დაპირებებს, რომელთა საშუალებითაც დროებით მთავრობას, ესერებსა და მენშევიკებს სურდათ დაემშვიდებინათ მასები ივლისის დღეების შემდეგ. მოუწოდებდა რა იმპერიალისტური ომის განგრძობისაკენ, დროებითი მთავრობა დაპირებას იძლეოდა, რომ დასახულ ვადაზე — 17 (30) სექტემბერს — ჩაატარებდა დამფუძნებელი კრების არჩევნებს, შეიმუშავებდა კანონპროექტებს 8 საათის სამუშაო დღის, სოციალური დაზღვევისა და სხვათა შესახებ. — **261**.

69 «ს ა კ ო ნ ტ ა ქ ტ ო კ ო მ ი ს ი ა» გამოყოფილ იქნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს მენშევიკურ-ესერული აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1917 წლის 8 (21) მარტს დროებითს მთავრობასთან კონტაქტის დასამყარებლად, მასზე «ზეგავლენის მოსახდენად» და მისი საქმიანობისათვის «კონტროლის გასაწევად». სინამდვილეში კი «საკონტაქტო კომისია» ხელს უწყობდა დროებითი მთავრობის ბურჟუაზიული პოლიტიკის განხორციელებას და ცდილობ-

და შეეკავებინა მუშათა მასები აქტიური რევოლუციური ბრძოლისაგან საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლისათვის. «საკონტაქტო კომისიის» შემადგენლობაში შედიოდნენ ჩხეიძე, სტეკლოვი, სუხანოვი, ფილიპოვსკი და სკობელევი (უფრო გვიან შევიდნენ ჩერნოვი და წერეთელი). «საკონტაქტო კომისია» არსებობდა 1917 წლის მაისამდე, როდესაც მენშევიკებისა და ესერების წარმომადგენელნი უშუალოდ შევიდნენ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის შემადგენლობაში. — **277.**

70 სტოკჰოლმის კონფერენციის საკითხი წამოიჭრა 1917 წლის აპრილში. დანიის სოციალ-დემოკრატი ბორგბერგი ჩამოვიდა პეტროგრადს და დანიის, ნორვეგიის, შვეციის მუშათა პარტიების გაერთიანებული კომიტეტის სახელით მიიწვია რუსეთის სოციალისტური პარტიები მიეღოთ მონაწილეობა სტოკჰოლმის კონფერენციაში ზავის დადების საკითხზე. ესერულ-მენშევიკურმა აღმასკომმა, შემდეგ კი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭომაც გადაწყვიტეს მიეღოთ მონაწილეობა სტოკჰოლმის კონფერენციაში და თვითონ ეკისრნათ მისი მოწვევის ინიციატივა. ბოლშევიკების მეშვიდე (აპრილის) სრულიად რუსეთის კონფერენციამ, გაითვალისწინა რა, რომ კონფერენციაზე უნდა შეკრებილიყვნენ სოციალ-შოვინისტები, გადაჭრით გაილაშქრა სტოკჰოლმის კონფერენციაში მონაწილეობის წინააღმდეგ და ამხილა მისი იმპერიალისტური ხასიათი. 6 (19) აგვისტოს, ცაკ-ის სხდომაზე, სტოკჰოლმის კონფერენციის საკითხის განხილვის დროს, გამოვიდა კამენევი მოწოდებით — მიეღოთ მონაწილეობა კონფერენციაში. ცაკ-ის კომიტეტის ბოლშევიკური ფრაქცია გაემიჯნა კამენევის გამოსვლას, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო მისი ოპორტუნისტული ხაზი და დაადგინა გაეშუქებინა ცენტრალურ ორგანოში პარტიის შეხედულება ამ საკითხზე. 9 (22) აგვისტოს გაზეთ «რაბოჩი ი სოლდატში» გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის სტატია «ერთხელ კიდევ სტოკჰოლმის შესახებ» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 3, 1948, გვ. 222 — 225). ხოლო 16 (29) აგვისტოს გაზეთ «პროლეტარში» მოთავსებულ იქნა ვ. ი. ლენინის წერილი «კამენევის გამოსვლის შესახებ ცაკში სტოკჰოლმის კონფერენციის გამო». სტოკჰოლმის კონფერენცია არ შემდგარა. — **288.**

71 ლენინს ხელთ აქვს რეზოლუცია «პარტიის გაერთიანების შესახებ», მიღებული ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობის მიერ. რეზოლუცია ამხელდა მენშევიკების კავშირს კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასთან და მოუწოდებდა სოციალ-დემოკრატიის ყველა რევოლუციურ ელემენტს გაერთიანებულიყო ბოლშევიკური პარტიის ირგვლივ.

ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობა მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე (8-დან 16 აგვისტომდე). ყრილობა არალეგალურ პირობებში მიმდინარეობდა. ლენინი ყრილობას ხელმძღვანელობდა იატაკქვეშეთიდან თავისი თანამებრძოლების: ი. ბ. სტალინის, ი. მ. სვერდლოვის, ვ. მ. მოლოტოვის, გ. კ. ორჯონიკიძის მეშვეობით. ყრილობის უშუალო ხელმძღვანელი იყო ი. ბ. სტალინი. ყრილობას ესწრებოდა 157 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 128 დელეგატი სათათბირო ხმით, რომელნიც იყვნენ პარტიის 240 ათასი წევრის წარმომადგენელნი.

ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ორგანიზაციული ბიუროს მოხსენება; 2) რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენება; 3) ანგარიშები ადგილებიდან; 4) მიმდინარე მომენტი: ა) ომი და საერთაშორისო მდგომარეობა, ბ) პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა; 5) პროგრამის გადასინჯვა; 6) ორგანიზაციული საკითხი; 7) დამფუძნებელი კრების არჩევნები; 8) ინტერნაციონალი; 9) პარტიის გაერთიანება; 10) პროფესიული მოძრაობა; 11) არჩევნები; 12) სხვადასხვა. გარდა ამისა, ყრილობაზე განხილულ იქნა საკითხი ლენინის გამოცხადებისა სამსჯავროზე.

ყრილობის ძირითადი საკითხები იყო ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და მოხსენება პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ამ საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდა ი. ბ. სტალინი. ამ მოხსენებებში ი. ბ. სტალინმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა პარტიის ტაქტიკური ხაზი სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში და აღნიშნა, რომ რევოლუციის მშვიდობიანი პერიოდი დამთავრდა, დაისვა დროებითი მთავრობის დამხობის ამოცანა, დადგა შეტაკებათა და აფეთქებათა პერიოდი. ი. ბ. სტალინმა ბრწყინვალედ დაიცვა ლენინური თეორია თავდაპირველად ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. ყრილობაზე ტროცკისტების გამოხდომის პასუხად, რომლებიც ცდილობდნენ პარტიის კურსი სოციალისტური რევოლუციისაკენ დამოკიდებული გაეხადათ დასავლეთის პროლეტარული რევოლუციისაგან, ი. ბ. სტალინმა განაცხადა: «გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ სწორედ რუსეთი იქნება ის ქვეყანა, რომელიც გზას გაკაფავს სოციალიზმისკენაო» (სტალინი). ყრილობამ მიიღო ბოლშევიკური პარტიის ეკონომიური პროგრამა და დაამტკიცა პარტიის ახალი წესდება. გ. კ. ორჯონიკიძის მოხსენების გამო მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამსჯავროზე ლენინის გამოცხადების წინააღმდეგ. პარტიის VI ყრილობის ყველა გადაწყვეტილება მიმართული იყო დროებითი მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებისათვის პროლეტარიატის და

უღარიბესი გლეხობის მომზადებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლისაკენ. პარტიის მანიფესტი, ყრილობის მიერ გამოქვეყნებული, მოუწოდებდა მუშებს, ჯარისკაცებს, გლეხებს მოეკრიბათ ძალები და ბოლშევიკური პარტიის დროშით მომზადებულიყვნენ ბურჟუაზიასთან გადამწყვეტი შეტაკებისათვის. ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ლენინი, სტალინი, სვერდლოვი, ძერჟინსკი, შაუმიანი, არტემი (სერგეევი) და სხვ. — **295**.

72 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი»—ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანო, ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა 1917 წლის 13 (26) აგვისტოდან 24 აგვისტომდე (6 სექტემბრამდე) დროებითი მთავრობის მიერ დახურული გაზეთის «პრავდის» ნაცვლად. გამოვიდა 10 ნომერი. — **295**.

73 ვ. ი. ლენინს ციტატა მოჰყავს ნ. ა. ნეკრასოვის ლექსიდან «ნეტარია უბოროტო პოეტი» (იხ. ნ. ა. ნეკრასოვი. თხზულებათა და წერილთა სრული კრებული, ტ. I, 1949, გვ. 66). — **309**.

74 «გ ე რ მ ა ნ ი ი ს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ა» — ცენტრისტული პარტია, რომელიც შეიქმნა 1917 წლის აპრილში. პარტიის ძირითად ნაწილს შეადგენდა კაუცკიანური ორგანიზაცია «შრომითი თანამეგობრობა». «დამოუკიდებელნი» ქადაგებდნენ ერთიანობას აშკარა სოციალ-შოვინისტებთან, ამართლებდნენ და იცავდნენ მათ, მოითხოვდნენ კლასობრივ ბრძოლაზე ხელისაღებას.

1920 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჰალეს ყრილობაზე მოხდა გათიშვა. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი 1920 წლის დეკემბერში გაერთიანდა გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან. მემარჯვენე ელემენტებმა შექმნეს ცალკეული პარტია და მიიღეს ძველი სახელწოდება დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, რომელმაც იარსება 1922 წლამდე. — **321**.

75 «გ ლ ე ხ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს რ უ ს ე თ ი ს ს ა ბ ჭ ო ს უ წ ყ ე ბ ე ბ ი» (ი ზ ვ ე ს ტ ი ა) — ყოველდღიური გაზეთი, გლეხთა დეპუტატების საბჭოს ოფიციალური ორგანო; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის მაისიდან დეკემბრამდე; გამოხატავდა ესერთა მემარჯვენე ფრთის შეხედულებებს. — **330**.

76 ლენინს მხედველობაში აქვს ფ. ენგელსის ნაშრომი «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 523 — 528). — **339**.

77 «რ ა ბ ო ჩ ი ი» — ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანო, ყოველდღიური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა 1917 წლის 25 აგვისტოდან (7 სექტემბრიდან) 2 (15) სექტემბრამდე დროებითი მთავრობის მიერ დახურული გაზეთის «პრავდის» ნაცვლად. გამოვიდა 12 ნომერი. გაზეთ «რაბოჩის» პირველ ნომრებში გამოქვეყნებული მოწინავე სტატიები — «ყვითლების კავშირი», «ჩვენ მოვითხოვთ», «შეთქმულება გრძელდება» და სტატია «ან — ან» ეკუთვნის ი. ბ. სტალინის კალამს (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 3, 1948, გვ. 282 — 301). — 348.

78 შენშევიკების «გ ა მ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ე ლ ი» ყრილობა მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 19 — 26 აგვისტოს (1 — 8 სექტემბერს) და მოწვეული იყო იმ მიზნით, რომ გაეერთიანებინათ ცალკეული მენშევიკური ჯგუფები ერთიან პარტიად. ყრილობას ესწრებოდნენ მენშევიკი-ობორონცები (პლეხანოველები, პოტრესოველები), მენშევიკი-«ინტერნაციონალისტები» (მარტოვის მომხრენი) და გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» წარმომადგენლები. ყრილობამ ნდობა გამოუცხადა დროებითს მთავრობას და ჭხარი დაუჭირა იმპერიალისტური ომის განგრძობას ძლევამოსილ დასასრულამდე. ყრილობის მუშაობის მსვლელობაში გამოაშკარავდა მის მონაწილეთა სრული დაბნეულობა, და გაერთიანების ამოცანა განუხორციელებელი დარჩა. — 350.

79 ლენინს მხედველობაში აქვს 1907 წლის 3 (16) ივნისის სახელმწიფო გადატრიალება. სამი ივნისის სახელმწიფო გადატრიალებამ დასაბამი მისცა სტოლიპინის რეაქციის პერიოდს, რომელიც ცნობილია «სამი ივნისის რეჟიმის» სახელწოდებით. — 356.

80 პეტროგრადის რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნებში, რაც მიმდინარეობდა 1917 წლის 27 მაისიდან 5 ივნისამდე (9 — 18 ივნისს), ბოლშევიკებმა მიიღეს ყველა ხმის 20 პროცენტამდე. პეტროგრადის ქალაქის თვითმმართველობის 1917 წლის 20 აგვისტოს (2 სექტემბრის) არჩევნებში ბოლშევიკებისათვის ხმის მიმცემთა რაოდენობა გადიდდა 33 პროცენტამდე. — 359.

81 «ს პ ა რ ტ ა კ ი» — რსდმპ(ბ) მოსკოვის საოლქო ბიუროს, მოსკოვის კომიტეტისა და (№ 2-დან) მოსკოვის საოკრუგო კომიტეტის ჟურნალი; გამოდიოდა 1917 წლის 20 მაისიდან (2 ივნისიდან) 29 ოქტომბრამდე (11 ნოემბრამდე). — 368.

82 ლენინს მხედველობაში აქვს გადაწყვეტილება, მიღებული 1917 წლის 25 აგვისტოს (7 სექტემბერს) პეტროგრადის საბჭოს ჯარისკაცთა სექციის მიერ საბჭოს ხელახალი არჩევნების საკითხზე. სექციამ ის

აზრი გამოთქვა, რომ ჯარისკაცებს მისცემოდათ უფლება აერჩიათ საბჭოს დეპუტატები თვითეული ასეულისა და რაზმისაგან, მაშინ როცა მუშები ირჩევდნენ 1 დეპუტატს ათასი ამომრჩევლისაგან. ჯარისკაცთა სექციის გადაწყვეტილება არღვევდა თანასწორი საარჩევნო უფლების პრინციპს და შესაძლებლობას აძლევდა ჯარისკაცებს უფრო მეტი დეპუტატები ჰყოლოდათ საბჭოში, ვიდრე მუშებს. — **367.**

88 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 224 — 230. — **369.**

84 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 378. — **369.**

85 კორნილოვის ამბოხების განადგურების შემდეგ, როდესაც წამოიჭრა ახალი შემადგენლობის დროებითი მთავრობის შედგენის საკითხი, მენშევიკებმა და ესერებმა გამოიტანეს გადაწყვეტილება არ შესულიყვნენ მთავრობაში კადეტებთან ერთად. მთავრობის კრიზისი გადაწყდა იმით, რომ შეიქმნა დირექტორია 5 კაცის შემადგენლობით (კერენსკი, ტერეშჩენკო, ვერხოვსკი, ვერდერევსკი, ნიკიტინი). თუმცა დირექტორიის შემადგენლობაში არ იყვნენ კადეტების ოფიციალური წარმომადგენლები, მაგრამ იგი შექმნილი იყო მათთან ფარული შეთანხმების შედეგად. მენშევიკებმა და ესერებმა სრ. რუსეთის ცაკ-ის 1917 წლის 2 (15) სექტემბრის სხდომაზე გამოიტანეს გადაწყვეტილება მხარი დაეჭირათ დირექტორიისათვის და ამით დაეხმარნენ მემამულეებსა და კაპიტალისტებს შეენარჩუნებინათ ძალაუფლება. (იხ. ი. ბ. სტალინი. «კრიზისი და დირექტორია», თხზულებანი, ტომი 3, 1948, გვ. 304—307.) — **376.**

86 «პ რ ო ე ქ ტ ი რ ე ზ ო ლ უ ც ი ი ს თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ ო მ ე ნ ტ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» ლენინის მიერ განკუთვნილი იყო ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე შესატანად; პლენუმის მოწვევა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით დასახული იყო 1917 წლის 3 (16) სექტემბრისათვის. დანიშნულ დღეს მოწვეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის ვიწრო თათბირი, სადაც ეს პროექტი არ ყოფილა განხილული. რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ პერიოდის ოქმებში, რომლებიც შემონახულია და გამოქვეყნებულია, არ არის მითითება, რომ ეს პროექტი ცენტრალური კომიტეტის პლენუმს განეხილოს. — **378.**

87 ს რ უ ლ ი ა დ-რ უ ს ე თ ი ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი თ ა თ ბ ი რ ი, მოწვეული მენშევიკებისა და ესერების მიერ მზარდი რევოლუციური

აღმავლობის შესუსტების მიზნით, მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 14-დან 22 სექტემბრამდე (27 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე). თათბირს ესწრებოდნენ წვრილბურჟუაზიული პარტიების, შემთანხმებლური საბჭოების, პროფკავშირების, ერობების, ვაჭარ-მრეწველთა წრეებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენელნი.

დემოკრატიულმა თათბირმა გამოჰყო წინაპარლამენტი (რესპუბლიკის დროებითი საბჭო), რომლის დახმარებითაც მენშევიკები და ესერები ვარაუდობდნენ გადაეყვანათ ქვეყანა საბჭოთა რევოლუციის გზიდან ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური განვითარების გზაზე, ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ბოიკოტი გამოეცხადებინა წინაპარლამენტისათვის, მხოლოდ კაპიტულანტები — კამენევი, ზინოვიევი, რომლებიც ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ პროლეტარიატი აჯანყების მომზადებისაგან,— იცავდნენ მასში მონაწილეობას. ბოლშევიკები ამხელდნენ წინაპარლამენტის გამცემლურ საქმიანობას და ამზადებდნენ მასებს შეიარაღებული აჯანყებისათვის. — **396**.

88 «**ს ვ ო ბ ო დ ნ ა ი ა ჟ ი ზ ნ**» — მენშევიკური მიმართულების გაზეთი, გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის 2 (15)-დან 8 (21) სექტემბრამდე დროებით დახურული გაზეთის «ნოვაია ჟიზნის» ნაცვლად. — **428**.

89 ოგულისხმება საბჭოების გადასვლა ბოლშევიკების ხელში: პეტროგრადის საბჭოსი — 1917 წლის 31 აგვისტოს (13 სექტემბერს) და მოსკოვის საბჭოსი — 5 (18) სექტემბერს. — **445**.

90 «**რ უ ს ს კ ო ე ს ლ ო ვ ო**» — ყოველდღიური ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1895 წლიდან; დახურულ იქნა 1917 წლის ნოემბერში. — **460**.

91 წიგნი «**ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო დ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი ა**» ლენინმა დაწერა არალეგალურ მდგომარეობაში, 1917 წლის აგვისტო-სექტემბერში. სახელმწიფოს საკითხის თეორიული დამუშავების აუცილებლობის აზრი ლენინმა გამოთქვა 1916 წლის მეორე ნახევარში. იმავე დროს დაწერა მან შენიშვნა «**ახალგაზრდობის ინტერნაციონალი**» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 23, გვ. 208—213), რომელშიც გააკრიტიკა ბუხარინის ანტიმარქსისტული პოზიცია სახელმწიფოს საკითხზე და შეგვიპირდა, რომ დაწერდა ვრცელ სტატიას მარქსიზმის დამოკიდებულების შესახებ სახელმწიფოსადმი. 1917 წლის 17 თებერვლის (ახ. სტ.) წერილში ა. მ. კოლონტაისადმი ლენინი იუწყებოდა, რომ მან თითქმის დაამზადა მასალა სახელმწიფოსადმი მარქსიზმის დამოკიდებულების საკითხზე. ეს მასალა დაწერილი იყო წვრილი მიჯრილი ხელით ლურჯ

გარეკანიან რვეულში, რომელსაც სათაურად ჰქონდა «მარქსიზმი სახელმწიფოს შესახებ». ამ რვეულში შეკრებილი იყო ციტატები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაწარმოებებიდან, აგრეთვე ამონაწერები კაუცკის, პანეკუკისა და ბერნშტეინის წიგნებიდან ვ. ი. ლენინის კრიტიკული შენიშვნებით, დასკვნებითა და განზოგადებით.

დასახული გეგმის თანახმად, წიგნი «სახელმწიფო და რევოლუცია» შვიდი თავისაგან უნდა ყოფილიყო შედგენილი, მაგრამ უკანასკნელი, მეშვიდე, თავი «რუსეთის 1905 და 1917 წლების რევოლუციების გამოცდილება» ლენინს არ დაუწერია, დარჩენილია ამ თავის მხოლოდ დაწვრილებით დამუშავებული გეგმა (იხ. ლენინის კრებული XXI, 1933, გვ. 25 — 26). წიგნის გამოცემის საკითხზე ლენინი გამომცემლისადმი მიმართულ ბარათში წერდა, რომ თუ «ძალიან დავაგვიანებ ამ, VII თავის, დამთავრებას, ან თუ ეს თავი უზომოდ გაიზრდება, მაშინ ექვსი თავი ცალკე უნდა გამოიცეს, როგორც პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა კ ვ ე თ ი ო...».

ხელნაწერის პირველ გვერდზე წიგნის ავტორი აღნიშნულია ფსევდონიმით «ფ. ფ. ივანოვსკი». ლენინი ფიქრობდა ასეთი ფსევდონიმით გამოეშვა თავისი წიგნი, რადგან სხვანაირად დროებითი მთავრობა მოახდენდა მის კონფისკაციას. წიგნი გამოიცა მხოლოდ 1918 წელს და ამ ფსევდონიმის საჭიროება ზედმეტი გახდა. წიგნის მეორე გამოცემა მეორე თავში ლენინის მიერ შეტანილი ახალი განყოფილებით «მარქსის მიერ საკითხის დასმა 1852 წელს» გამოვიდა 1919 წელს. — **465.**

92 ფ ა ბ ი ა ნ ე ლ ე ბ ი — ბურჟუაზიული ინტელიგენციის ჯგუფის მიერ ინგლისში 1884 წელს დაარსებული რეფორმისტული, უკიდურესად ოპორტუნისტული «ფაბიანელთა საზოგადოების» წევრები. ამ საზოგადოებას ასე ეწოდა რომაელი სარდლის ფაბიუს კუნქტატორის («ზოზინას») სახელის მიხედვით, რომელიც ცნობილი იყო თავისი დაცდის ტაქტიკით, გადამწყვეტი ბრძოლებისაგან თავის არიდებით. ფაბიანელთა საზოგადოება, ლენინის თქმით, წარმოადგენს «ოპორტუნიზმისა და ლიბერალური მუშათა პოლიტიკის უაღრესად დამთავრებულ გამოხატულებას». ფაბიანელები პროლეტარიატის ყურადღებას აშორებდნენ კლასობრივ ბრძოლას, ქადაგებდნენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე რეფორმების გზით მშვიდობიანი, თანდათანი გადასვლის შესაძლებლობას. მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) ფაბიანელებს სოციალ-შოვინიზმის პოზიცია ეკავათ. ფაბიანელთა დახასიათება იხ. ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში: «წინასიტყვაობა რუსულად ნათარგმნი წიგნისა «ი. ფ. ბეკერის, ი. დიცგენის,

ფ. ენგელსის, კ. მარქსისა და სხვ. წერილები ფ. ა. ზორგესადმი და სხვ.» (თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 12, გვ. 451 — 452), «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის რევოლუციაში» (თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 15, გვ. 203). «ინგლისური პაციფიზმი და ინგლისური სიძულვილი თეორიისა» (თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 21, გვ. 311 — 312) და სხვა. — **468.**

93 ფ. ენგელსი. «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 383).

ქვემოთ, ტომის 474 — 475, 477 — 483 გვ. ვ. ი. ლენინს ციტატები მოჰყავს ფ. ენგელსის ამავე ნაწარმოებიდან (იხ. იქვე, გვ. 383—386). — **472.**

94 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი», 1948, გვ. 264 — 265.

ქვემოთ, ტომის 489—490 გვ. ვ. ი. ლენინს ციტატა მოჰყავს ფ. ენგელსის ამავე ნაწარმოებიდან (იხ. იქვე, გვ. 172 — 173). — **485.**

95 იხ. კ. მარქსი. «ფილოსოფიის სიღატაკე», 1941. — **491.**

96 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1948. — **491.**

97 იხ. კ. მარქსი. «გოთას პროგრამის კრიტიკა» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 5 — 45).

გ ო თ ა ს პ რ ო გ რ ა მ ა — გერმანიის სოციალისტური მუშათა პარტიის პროგრამა, მიღებული 1875 წელს გოთას ყრილობაზე გერმანიის ორი, მანამდე ცალცალკე არსებული, სოციალისტური პარტიის — ეიზენახელებისა და ლასალელების გაერთიანების დროს. პროგრამა მთლად ოპორტუნისტული იყო, რადგან ეიზენახელებმა ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში დაუთმეს ლასალელებს და მიიღეს ლასალელთა ფორმულირებანი. მარქსმა და ენგელსმა გოთას პროგრამა სასტიკად გააკრიტიკეს. — **491.**

98 იხ. კ. მარქსი. «ფილოსოფიის სიღატაკე». 1941, გვ. 148—149. — **498.**

99 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1948, გვ. 63, 78. — **498.**

100 იხ. კ. მარქსი. «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 369 — 371).

ქვემოთ, ტომის 503 — 504 გვ. ვ. ი. ლენინს ციტატა მოჰყავს ფ. ენგელსის წინასიტყვაობიდან ამ ნაშრომის მესამე გამოცემისთვის (იხ. იქვე, გვ. 264 — 266). — **409.**

101 **«Die Neue Zeit»** («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი; გამოდიოდა შტუტგარტში 1883-დან 1923 წლამდე. 1885 — 1895 წლების მანძილზე **«Die Neue Zeit»**-ში გამოქვეყნებულია ფ. ენგელსის ზოგიერთი სტატია. ის ხშირად აძლევდა მითითებას ჟურნალის რედაქციას და მკაცრად აკრიტიკებდა მას მარქსიზმიდან გადახვევებისათვის. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ, ჟურნალი სისტემატურად ბეჭდავდა რევიზიონისტების სტატიებს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) ჟურნალს ცენტრისტული, კაუცკიანური პოზიცია ეკავა, იგი მხარს უჭერდა სოციალ-შოვინისტებს. — **505.**

102 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები. 1949, გვ. 62. — **506.**

103 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1948, გვ. 9. — **509.**

104 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 285. — **511.**

105 იხ. კ. მარქსი. «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 593—598).

ქვემოთ, ტომის 520, 527 — 533 გვ. ვ. ი. ლენინს ციტატები მოჰყავს კ. მარქსის ამავე ნაწარმოებიდან (იხ. იქვე, გვ. 601, 597 — 602). — **516.**

106 ფ. ენგელსი. **«ბინის საკითხისათვის»** (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტომი I, 1950, გვ. 661).

ქვემოთ, ტომის 536—537 გვ. ვ. ი. ლენინს ციტატები მოჰყავს ფ. ენგელსის ამავე ნაწარმოებიდან (იხ. იქვე. გვ. 731, 711 — 712). — **586.**

107 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს კ. მარქსის სტატია **«პოლიტიკური ინდიფერენტიზმი»** და ფ. ენგელსის სტატია **«ავტორიტეტის შესახებ»** (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 88 — 95 და 134 — 137).

ქვემოთ, ტომის 538—542 გვ. ვ. ი. ლენინს ციტატები მოჰყავს ამავე ნაწარმოებიდან (იხ. იქვე, გვ. 88 — 91, 136, 136 — 137). — **588.**

108 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 323. — **545.**

109 ერფურტის პროგრამა გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა მიღებული იყო 1891 წლის ოქტომბერში ერფურტის ყრილობაზე გოთას 1875 წლის პროგრამის ნაცვლად. ერფურტის პროგრამის შეცდომები გააკრიტიკა ენგელსმა ნაშრომში «სოციალ-დემოკრატიული პროგრამის 1891 წლის პროექტის კრიტიკისათვის» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი. ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 101 — 116).

ქვემოთ, ტომის 548 — 556 გვ. ვ. ი. ლენინს ციტატა მოჰყავს ფ. ენგელსის ამავე ნაწარმოებიდან (იხ. იქვე, გვ. 105—111). — **547.**

110 ლაპარაკია ფ. ენგელსის შესავალზე კ. მარქსის ნაშრომისათვის «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 541 — 555).

ქვემოთ, ტომის 557 — 563 გვ. ვ. ი. ლენინს ციტატები მოჰყავს ფ. ენგელსის ამავე ნაწარმოებიდან (იხ. იქვე, გვ. 543, 548, 552 — 554). — **557.**

111 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 386 — 387. — **565.**

112 იხ. კ. მარქსი. «გოთას პროგრამის კრიტიკა» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 26—27).

ქვემოთ, ტომის 571, 578, 579 — 583 გვ. ვ. ი. ლენინს ციტატები მოჰყავს კ. მარქსის ამავე ნაწარმოებიდან (იხ. იქვე, გვ. 28, 15, 17 — 18). — **570.**

113 ინტერნაციონალის ჰააგის კონგრესი მიმდინარეობდა 1872 წლის 2 — 7 სექტემბერს (ახ. სტ.). კონგრესს ესწრებოდნენ მარქსი და ენგელსი. კონგრესზე იყო 65 დელეგატი. დღის წესრიგში იდგა საკითხები: 1) გენერალური საბჭოს უფლებათა შესახებ; 2) პროლეტარიატის პოლიტიკური საქმიანობის შესახებ და სხვ.. კონგრესის მთელი მუშაობა მიმდინარეობდა ბაკუნისტებთან მწვავე ბრძოლაში. კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება გენერალური საბჭოს უფლებათა გაფართოების შესახებ. საკითხზე «პროლეტარიატის პოლიტიკური საქმიანობის შესახებ» კონგრესის გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო, რომ პროლეტარიატმა უნდა შექმნას თავისი საკუთარი პოლიტიკური პარტია სოციალური რევოლუციის გამარჯვების უზრუნველსაყოფად და რომ მის დიად ამოცანად ხდება პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა. ამ კონგრესზე ბაკუნინი და გილიომი გამორიცხეს ინტერნაციონალიდან როგორც დეზორგანიზატორები და ახალი, ანტიპროლეტარული პარტიის შემქმნელნი. — **568.**

114 «ზ ა რ ი ა» — მარქსისტული სამეცნიერო-პოლიტიკური ჟურნალი. ჟურნალს სცემდა 1901 — 1902 წლების მანძილზე შტუტგარტში გაზეთ «ისკრის» რედაქცია. გამოვიდა 4 ნომერი — სამი წიგნი. «ზარიაში» დაბეჭდილია ლენინის სტატიები: «შემთხვევითი შენიშვნები», «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები», პირველი ოთხი თავი ნაშრომისა «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» (სათაურით «ბბ. «კრიტიკოსები» აგრარულ საკითხში»), «შინაური მიმოხილვა» და «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა». — **595.**

115 ლაპარაკია II ინტერნაციონალის მეხუთე საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე, რომელიც მიმდინარეობდა 1900 წლის 23 — 27 სექტემბერს (ახ. სტ.) პარიზში. კონგრესს ესწრებოდა 791 დელეგატი. რუსეთის დელეგაცია წარმოდგენილი იყო 23 კაცის შემადგენლობით. ძირითად საკითხზე — პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შესახებ — კონგრესმა ხმების უმრავლესობით მიიღო კაუცკის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია, «ოპორტუნისტების მიმართ შემარიგებელი» რეზოლუცია, რომელსაც იხსენიებს ლენინი. სხვა გადაწყვეტილებათა შორის კონგრესმა დაადგინა შეექმნა საერთაშორისო სოციალისტური ბიურო ყველა ქვეყნის სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებისაგან; ბიუროს სამდივნოს ადგილსამყოფელად მიღებულ იქნა ბრიუსელი. — **595.**

116 «ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი უ რ ი» (**«Sozialistische Monatshefte»**) — ჟურნალი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტთა მთავარი ორგანო და საერთაშორისო ოპორტუნიზმის ერთ-ერთი ორგანო; მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს (1914 — 1918) ეკავა სოციალ-შოვინიზმის პოზიცია; გამოდიოდა ბერლინში 1897-დან 1933 წლამდე. — **613.**

117 ი ნ გ ლ ი ს ი ს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა (**Independent Labour Party**) დაარსებულია 1893 წელს. პარტიის სათავეში იდგნენ ჯემს კეირ-გარდი, რ. მაკდონალდი და სხვ.. დამოუკიდებელი მუშათა პარტია, რომელიც ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული პარტიებისაგან პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ნამდვილად იყო «სოციალიზმისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ ლიბერალიზმისაგან დამოკიდებული» (ლ ე ნ ი ნ ი). მსოფლიო ომის პერიოდში (1914 — 1918) დამოუკიდებელი მუშათა პარტია ჯერ გამოვიდა მანიფესტით ომის წინააღმდეგ (1914 წლის 13 აგვისტოს (ახ. სტ.)). შემდეგ. 1915 წლის თებერვალში, ანტანტის ქვეყნების სოციალისტთა ლონდონის კონფერენციაზე, დამოუკიდებელნი შეუერთდნენ კონფერენციაზე მიღებულ სოციალ-შოვინისტურ რეზოლუციას. ამ დროიდან

დამოუკიდებელთა ბელადებს, რომლებიც პაციფისტურ ფრაზებს იყვნენ ამოფარებულნი, სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეჭირათ. 1919 წელს კომინტერნის დაარსების შემდეგ, პარტიული მასების გამემარცხენების ზეგავლენით, დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ბელადებმა მიიღეს გადაწყვეტილება II ინტერნაციონალიდან გასვლის შესახებ. 1921 წელს დამოუკიდებელნი შევიდნენ ეგრეთწოდებული $2^1/_2$ ინტერნაციონალში, ხოლო მისი დაშლის შემდეგ კვლავ შეუერთდნენ II ინტერნაციონალს. — **618.**

ვ. ი. ლენინის

ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1917* წლის ივნისი—სექტემბერი)

1917

ივნისი, 3 — 24 (ივნისი, 16—ივლისი, 7). ლენინი მონაწილეობს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სრულიად რუსეთის I ყრილობის მუშაობაში.

ივნისი, 4 (17). ლენინი გამოდის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე სიტყვით დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ლენინის სტატიები «ნგრევა და პროლეტარული ბრძოლა მასთან» და «კაპიტალისტების ათასპირველი სიცრუე» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 73-ე ნომერში.

ივნისი, 6 (19). ლენინის სტატიები «სამი ივნისის ზუბრები დაუყოვნებლივს შეტევას მოითხოვენ», «რევოლუციის შესაჩერებელი კავშირი» და «მადლობა» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 74-ე ნომერში.

ლენინი მონაწილეობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულ სხდომაში, სადაც მას შეაქვს წინადადება მუშათა და ჯარისკაცთა მშვიდობიანი დემონსტრაციის მოწყობის შესახებ. სტალინი მხარს უჭერს ლენინის წინადადებას.

ივნისი, 7 (20). ლენინის სტატიები «არსებობს თუ არა სამართლიანი ზავის გზა?», «ხალხის მტრების შესახებ» და «შენიშვნა» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 75-ე ნომერში.

ივნისი, 8 (21). ლენინის სტატიები «დიადი ჩამოშორება», «არსებითი პოლემიკის სარგებლობის შესახებ», «გულმინდობილობის ეპიდემია» და «ხვალინდელი ქათამი თუ დღევან-

დელი კვერცხი» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 76-ე ნომერში.

ივნისი, 9 (22). ლენინის სტატია «სოციალიზმის შემოღება თუ ხაზინის ქურდობის გამომჟღავნება?» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 77-ე ნომერში.

ლენინი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე გამოდის სიტყვით ომის შესახებ.

ივნისი, 9, დამე (22, დამე). ვ. ი. ლენინი მონაწილეობს საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის სხდომაში, შემდეგ — რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომაში. ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის წინადადებით ცენტრალური კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას 10 (23) ივნისისათვის დანიშნული დემონსტრაციის გადადების შესახებ.

გვიან ღამით ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ამზადებენ მასალებს «პრავდისათვის» და ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს დემონსტრაციის გადადების შესახებ ც. კ.-ის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

ივნისი, 11 (24). ლენინის სტატიები «დაბნეულნი და დაშინებულნი», «გადაკრული სიტყვები», «მოსახლეობის ამაღელვებელი სიტყვები» და «გამოცანა» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 79-ე ნომერში.

ლენინი წერს «პროექტს რსდმპ(ბ) ც. კ.-ისა და ბოლშევიკების ფრაქციის ბიუროს განცხადებისას საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის მიმართ დემონსტრაციის აკრძალვის გამო».

ლენინი რსდმპ(ბ) პეტროგრადის კომიტეტის სხდომაზე გამოდის სიტყვით დემონსტრაციის გადადების გამო.

ივნისი, 13 (26). ლენინის სტატია «გარდატეხის გზაზე» და «წერილი რედაქციის მიმართ» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 80-ე ნომერში.

ივნისი, 14 (27). ლენინის სტატიები «რუსეთის რევოლუციის საგარეო პოლიტიკა» და «წინააღმდეგობრივი პოზიცია» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 81-ე ნომერში.

ივნისი, 15 (28). ლენინის სტატია «უკრაინა» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 82-ე ნომერში.

ივნისი, 16 (29). ლენინის სტატია «რა კლასობრივი სათავიდან მოდიან და «მოვლენ» კავენიაკები?» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 83-ე ნომერში.

ივნისი, 16 — 23 (ივნისი, 29 — ივლისი, 6). ლენინი ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებს რსდმპ(ბ) ფრონტისა და ზურგის სამხედრო ორგანიზაციების სრულიად რუსეთის კონფერენციის მუშაობაში; ლენინს ირჩევენ პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

ივნისი, 17 (30). ლენინი სწერს წერილს სტოკჰოლმში რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს.

ლენინის სტატიები «როგორ ვებრძოლოთ კონტრრევოლუციას», «უკრაინა და რუსეთის მმართველი პარტიების დამარცხება», «სამართალში მივცეთ როძიანკო და ჯუნკოვსკი პროვოკატორის დამალვისათვის!», «ციტატების უცნაური დამახინჯება» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 84-ე ნომერში.

ივნისი, 18 (ივლისი, 1). ლენინი ატარებს რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კერძო თათბირს 18 ივნისის (1 ივლისის) დემონსტრაციის შედეგების შესახებ.

ლენინის სტატიები «მმართველი და პასუხისმგებელი პარტიები» და «კიდევ ერთი კომისია» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 85-ე ნომერში.

ივნისი, 20 (ივლისი, 3). ლენინის სტატია «თვრამეტი ივნისი» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 86-ე ნომერში.

ლენინი რსდმპ(ბ) ფრონტისა და ზურგის ორგანიზაციების სრულიად რუსეთის კონფერენციაზე გამოდის მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ.

საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობა ლენინს ირჩევს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

21 და 22 ივნისს (3 და 4 ივლისს) წუ. ლენინი რსდმპ(ბ) ფრონტისა და ზურგის სამხედრო ორგანიზაციების სრულიად რუსეთის კონფერენციაზე გამოდის მოხსენებით აგრარული საკითხის შესახებ.

ივნისი, 21 (ივლისი, 4). ლენინის სტატიები «რევოლუცია, შეტევა და ჩვენი პარტია», «რითლა განსხვავდებით თქვენ პლეხანოვისაგან, ბატონო ესერებო და მენშევიკებო?» და «როგორ იმართლებს თავს როძიანკო» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 87-ე ნომერში.

ივნისი, 22 (ივლისი, 5). ლენინის სტატია «სად მიიყვანეს რევოლუცია ესერებმა და მენშევიკებმა?» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 88-ე ნომერში.

ივნისი, 24 (ივლისი, 7). ლენინის სტატიები «შეიძლება თუ არა მუშათა კლასის დაშინება «იაკობინელობით»?» და «რუსეთის სოფლის მუშათა კავშირის დაარსების საჭიროების შესახებ» (სტატია პირველი) ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 90-ე ნომერში.

ივნისი, 25 (ივლისი, 8). ლენინის სტატიები «რუსეთის სოფლის მუშათა კავშირის დაარსების საჭიროების შესახებ» (სტატია მეორე) და «უნიათო რევოლუცია» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 91-ე ნომერში.

ივნისი, 27 (ივლისი, 10). ლენინის სტატიები «კლასობრივი ძერა» და «რევოლუციური ენერგიის სასწაულები» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 92-ე ნომერში.

ივნისი, 29 (ივლისი, 12). ლენინის სტატიები «ფრაზები და ფაქტები» და «როგორ მალავენ მოგებას ბატონი კაპიტალისტები (კონტროლის საკითხისათვის)» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 94-ე ნომერში.

ივნისი, 29 — ივლისი, 4 (ივლისი, 12 — 17). ლენინი ავადმყოფობის გამო რამდენიმე დღეს ატარებს სოფელ ნეივოლაში, სადგურ მუსტამიაკის ახლოს (ფინეთი).

ივნისი, 30 (ივლისი, 13). ლენინის სტატიები «კრიზისი ახლოვდება, ნგრევა იზრდება» და «მაშ როგორ მოვიქცეთ?» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 95-ე ნომერში.

ივლისი, 1 (14). ლენინის სტატიები «როგორ და რატომ მოატყუეს გლეხები?» და «ვინ არის პასუხისმგებელი?» ქვეყნდება გაზეთ «პრავდის» 96-ე ნომერში.

ივლისი, 8 (16). ლენინი წერს სტატიას «რა შეეძლოთ ევარაუდნათ კადეტებს, როცა სამინისტროდან გადიოდნენ?».

ივლისი, არაუგვიანეს 4 (17). ლენინი წერს სტატიას «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!». სტატია გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდის» 99-ე ნომერში 18 (5) ივლისს.

ივლისი, 4 (17). ლენინი დემონსტრანტების წინაშე გამოდის სიტყვით კშესინსკაიას სასახლის აივნიდან.

ივლისი, 4, ღამე (17, ღამე). ლენინი მონაწილეობს რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომაში, რომელმაც მიიღო მოწოდება ივლისის დემონსტრაციის შეწყვეტის შესახებ.

ივლისი, 5 (18). ლენინი გადადის კონსპირაციულ ბინაზე.

ლენინი წერს სტატიებს: «სად არის ხელისუფლება და სად არის კონტრრევოლუცია?», «შავრაზმული გაზეთებისა და ალექსინსკის საზიზღარი ცილისწამება», «ავყიაობა და ფაქტები», «დედაარსთან სიახლოვე» და «დრეიფუსის ახალი საქმე?». სტატიები გამოქვეყნებულია «ლისტოკ «პრავდიში»» 19 (6) ივლისს.

ივლისი, 6 (19). ლენინი ატარებს რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ვიწრო თათბირს ივლისის ამბების გამო.

ლენინი მონაწილეობს რსდმპ(ბ) პეტროგრადის კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის თათბირში, რომელიც მიმდინარეობდა რენოს ქარხნის (ახლა ლენინგრადის სახელმწიფო ქარხანა «კრასნი ოქტიაბრი») სადარაჯო ჯიხურში.

ლენინი წერს «რსდმპ(ბ) პეტროგრადის კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის მოწოდებას».

ივლისი, 6 — 7 (19 — 20). ლენინი წერს სტატიას «დრეიფუსიადა».

ივლისი, 6 — 11 (19 — 24). ლენინი იმალება მუშა ს. ი. ალილუევის ბინაზე.

ივლისი, 7 (20). დროებითი მთავრობა სცემს ბრძანებას ლენინის დაპატიმრების შესახებ.

ლენინი წერს სტატიებს «ბნელი ხმების გაბათილებისათვის» და «სამი კრიზისი».

ლენინი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს სწერს წერილს, სადაც პროტესტს აცხადებს მისი ბინის გაჩხრეკის გამო.

ვ. ი. ლენინი ეთათბირება ი. ბ. სტალინს, გ. კ. ორჯონიკიძეს და სხვებს დროებითი მთავრობის სამსჯავროზე გამოცხადების საკითხზე.

ივლისი, 8 (21). ლენინი წერს სტატიას «ბოლშევიკთა ბელადების სასამართლოში გამოცხადების საკითხისათვის».

ივლისი, 10 (23). ლენინი წერს სტატიას «პოლიტიკური მდგომარეობა». სტატია ქვეყნდება გაზეთ «პროლეტარსკოე დელოს» მე-6 ნომერში 2 აგვისტოს (20 ივლისს).

ივლისი, 11 (24). ლენინის წერილი «ნოვაია ჟიზნის» რედაქციის მიმართ ქვეყნდება გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» 71-ე ნომერში.

ივლისი, 11 (24) ღამე. ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინის ხელშეწყობით გადადის სადგურ რაზლივის ახლოს მდებარე სოფელში. რამდენიმე დღის შემდეგ ლენინი დაბინავდა კარავში რაზლივის ტბის ნაპირას.

ივლისი, 15 (28). ლენინის სტატია «რა შეეძლოთ ევარაუდნათ კადეტებს, როცა სამინისტროდან გადიოდნენ?» და «წერილი «პროლეტარსკოე დელოს» რედაქციის მიმართ» ქვეყნდება გაზეთ «პროლეტარსკოე დელოს» მე-2 ნომერში.

შუა ივლისი. ლენინი წერს სტატიას «ლოზუნგებისათვის». სტატია დაიბეჭდა 1917 წელს ცალკეულ ბროშურად, რომელიც გამოსცა რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომიტეტმა.

ივლისი, 19 (აგვისტო, 1). ლენინის სტატია «მადლობა თავად გ. ე. ლვოვს» ქვეყნდება გაზეთ «პროლეტარსკოე დელოს» მე-5 ნომერში. ლენინის სტატია «სამი კრიზისი» ქვეყნდება ჟურნალ «რაბოტნიცას» მე-7 ნომერში.

ივლისი, 26 (აგვისტო, 8). ლენინი წერს სტატიას «კონსტიტუციური ილუზიების შესახებ».

ივლისი, 26 და 27 (აგვისტო, 8 და 9). ლენინის სტატია «პასუხი» ქვეყნდება გაზეთ «რაბოჩი ი სოლდატის» მე-3 და მე-4 ნომრებში.

ივლისი, 26 — აგვისტო, 3 (აგვისტო, 8 — 16). ლენინი იატაკქვეშეთიდან ხელმძღვანელობს რსდმპ(ბ) VI ყრილობას. ყრილობა ლენინს ირჩევს საპატიო თავმჯდომარედ და მისალმებას უგზავნის მას.

ივლისი, 29 (აგვისტო, 11). ლენინს რსდმპ(ბ) VI ყრილობა ირჩევს ცენტრალური კომიტეტის წევრად.
ლენინის სტატია «ბონაპარტიზმის ღასაწყისი» ქვეყნდება გაზეთ «რაბოჩი ი სოლდატის» მე-6 ნომერში.

ივლისის დამლევი. ლენინი წერს სტატიას «რევოლუციის გაკვეთილები». სტატია გამოქვეყნდა გაზეთ «რაბოჩის» მე-8 და მე-9 ნომრებში 12 და 13 სექტემბერს (30 და 31 აგვისტოს).

ივლისი — აგვისტო. ვ. ი. ლენინი ორჯერ ხვდება ი. ბ. სტალინს რაზლივში.

აგვისტო, 3 (16). პარტიის VI ყრილობა ლენინს ასახელებს დამფუძნებელი კრების დეპუტატობის კანდიდატად.

აგვისტო, 4 და 5 (17 და 18). ლენინის სტატია «კონსტიტუციური ილუზიების შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «რაბოჩი ი სოლდატის» მე-11 და მე-12 ნომრებში.

აგვისტო, 16 (29). ლენინის წერილი «კაპენევის გამოსვლის შესახებ ცაკში სტოკჰოლმის კონფერენციის გამო» ქვეყნდება გაზეთ «პროლეტარის» მე-3 ნომერში.

აგვისტო. 17 — 25 (აგვისტო, 30 — სექტემბერი, 7). ლენინი სწერს წერილს რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს.

აგვისტო, 18 — 19 (აგვისტო, 31 — სექტემბერი, 1). ლენინი წერს სტატიას «ხმები შეთქმულების შესახებ».

აგვისტო, 19 (სექტემბერი, 1). ლენინის სტატია «ქვეყებს ხედავს, რიყეს ვერაო» ქვეყნდება გაზეთ «პროლეტარის» მე-6 ნომერში.

აგვისტო, 21 და 22 (სექტემბერი, 3 და 4). ლენინი რაზლივიდან გადადის სადგურ უდელნაიაში და იქიდან არალეგალურად გადმოდის ფინეთის საზღვარს ორთქლმავლით ვიიომდა როგორც ცეცხლფარეში.

აგვისტო, 22 — სექტემბერი, 17 (სექტემბერი, 4 — 30). ლენინი იმალება ფინეთში, სოფელ იალკალაში, ტერიოკის სადგურის ახლოს, შემდეგ ქალაქ ლახტში, ჰელსინგფორსიდან 130 კილომეტრზე, და ჰელსინგფორსში.

აგვისტო, 24 (სექტემბერი, 6). ლენინის სტატია «პოლიტიკური შანტაჟი» ქვეყნდება გაზეთ «პროლეტარის» მე-10 ნომერში.

აგვისტო, 26 (სექტემბერი, 8). ლენინის სტატიები «ქალალდის რეზოლუციები» და «სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «რაბოჩის» მე-2 ნომერში.

აგვისტო, 29 (სექტემბერი, 11). ლენინის სტატია «პუბლიცისტის დღიურიდან. გლეხები და მუშები» ქვეყნდება გაზეთ «რაბოჩის» მე-6 ნომერში.

აგვისტო, 30 (სექტემბერი, 12). ლენინის სტატია «ცილისმწამებელთა შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «რაბოჩის» მე-8 ნომერში.
ლენინი სწერს წერილს «რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს».

აგვისტო — სექტემბერი. ლენინი წერს წიგნს «სახელმწიფო და რევოლუცია. მარქსიზმის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ და პროლეტარიატის ამოცანები რევოლუციაში».

სექტემბერი, 1 (14). ლენინის სტატია «პუბლიცისტის დღიურიდან» ქვეყნდება გაზეთ «რაბოჩის» მე-10 ნომერში.

სექტემბრის პირველი ნახევარი. ლენინი წერს წერილებს «პარტიის პროგრამის საკითხზე», «ციმერვალდის საკითხზე» და «დემოკრატიზმის დარღვევაზე მასობრივ ორგანიზაციებში».

სექტემბერი, 1 — 3 (14 — 16). ლენინი წერს სტატიას «კომპრომისების შესახებ». სტატია ქვეყნდება გაზეთ «რაბოჩი პუტის» მე-3 ნომერში 19 (6) სექტემბერს.

არა უგვიანეს 3 (16) სექტემბრისა. ლენინი წერს «პროექტს რეზოლუციისას თანამედროვე პოლიტიკური მომენტის შესახებ».

სექტემბერი, 6 (19). ლენინს რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ასახელებენ დემოკრატიული თათბირის დელეგატობის კანდიდატად.

სექტემბერი, 10—14 (23—27). ლენინი წერს ბროშურას «კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას».

სექტემბერი, 11 (24). მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭო ლენინს ირჩევს დემოკრატიული თათბირის დელეგატად.

სექტემბერი, 14 (27). ლენინის სტატია «რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი» ქვეყნდება გაზეთ «რაბოჩი პუტის» მე-10 ნომერში.

სექტემბერი, 15 (28). ლენინის სტატია «როგორ უზრუნველვყოთ დამფუძნებელი კრების წარმატება (ბეჭდური სიტყვის თავისუფლების შესახებ)» ქვეყნდება «რაბოჩი პუტის» მე-11 ნომერში.

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1917 წ. ივნისი — სექტემბერი

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების I სრულიად რუსეთის ყრილობა, 1917 წ. 3—24 ივნისი (16 ივნისი—7 ივლისი) . . . . . 1—37

1. სიტყვა დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ, 4 (17) ივნისი . . . 3
2. სიტყვა ომის შესახებ, 9 (22) ივნისი . 19

ნბრევა და პროლეტარული ბრძოლა მასთან . 38—41

კაპიტალისტების ათასპირველი სიცრუე . . . 42—43

სამი ივნისის ზუბრები დაუყოვნებლივს შეტევას მოითხოვენ . . . . . 44—46

რევოლუციის შესაჩერებელი კავშირი . . . . 47—50

მადლობა 51

არსებობს თუ არა სამართლიანი ზავის გზა? . . 52—54

ხალხის მტრების შესახებ . . . . . 55—56

შენიშვნა 57

«დიადი ჩამოშორება» . . . . . 58—61

არსებითი პოლემიკის სარგებლობის შესახებ . . 62—63

გუდმინდობილობის ეპიდემია . . . 64—66

ხვალინდელი ჟათაგი თუ დღევანდელი კვერცხი . 67

სოციალიზმის შემოღება თუ ხაზინის ჭურდღების გამოშღავნება? . . . . . 68—70

დაბნეულნი და დაშინებულნი . . . . . 71—73

გადაკრული სიტყვები . . . . . 74—75

«მოსახლეობის ამაღელვებელი სიტყვები» . . . 76

გამოცანა 77

პროექტი რსდმპ(ბ) ც. კ.-ისა და გოლშევიკების ფრაქციის ბიუროს განცხადებისა საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის მიმართ დემონსტრაციის აკრძალვის გამო . . . . . 78—80

სიტყვა, წარმოთქმული რსდმპ(ბ) პეტროგრადის კომიტეტის სხდომაზე 1917 წ. 11 (24) ივნისს, დემონსტრაციის აკრძალვის გამო . . . . . 81—83

გარდატეხის გზაზე . . . . . 84—86

წერილი რედაქციის მიმართ 87

რუსეთის რევოლუციის საგარეო პოლიტიკა . . 88—91

წინააღმდეგობრივი პოზიცია . . . . . 92—95

უკრაინა . . . . . 96—98

რა კლასობრივი სათავიდან მოდიან და «მოვლენ» კავენიაკები? . . . . . 99—103

როგორ ვებრძოლოთ კონტრრევოლუციას . . 104—105

უკრაინა და რუსეთის მმართველი პარტიების დამარცხება . . . . . 106—109

სამართალში მიეცით როძიანკო და ჯუნკოვსკი პროვოკატორის დამალვისათვის! 110

ციტატების უცნაური დამახინჯება . . . . 111—112

მმართველი და პასუხისმგებელი პარტიები . . . 113—116

კიდევ ერთი კომისია . . . . . 117—118

თვრამეტი ივნისი . . . . . 119—122

რევოლუცია, შეტევა და ჩვენი პარტია . . . . . 123—125

რითლა განსხვავდებით თქვენ პლეხანოვისაგან, ბატონო ესერებო და მენშევიკებო? 126

როგორ იმართლებს თავს როძიანკო 127

სად მიიყვანეს რევოლუცია ესერებმა და მენშევიკებმა? . . . . . 128—130

შეიძლება თუ არა მუშათა კლასის დაშინება «იაკობინელობით»? . . . . . 131—133

რუსეთის სოფლის მუშათა ქავშირის დაარსების საპირობების შესახებ . . . . . 134—139

სტატია პირველი 134
სტატია მეორე 136

უნიათო რევოლუცია . . . . . 140—143

კლასობრივი ძვრა . . . . . 144—146

რევოლუციური ენერგიის სასწაულები . . . 147—149

ფრაზები და ფაქტები . . . . . 150—152

როგორ მალავენ მოგებას ბატონი კაპიტალისტები (კონტროლის საკითხისათვის) . . . . 153—155

კრიზისი ახლოვდება, ნგრევა იზრდება . . . . 156—159

მაშ როგორ მოვიქცეთ? . . . . . 160—162

როგორ და რატომ მოატყუეს გლეხები? . . . 163—166

ვინ არის პასუხისმგებელი? . . . . . 167—168

რა შეეძლოთ ევარაუდნათ კადეტებს, როცა სამინისტროდან გადიოდნენ? . . . . . 169—171

მთელი ძალაუფლება საბჭოებს! . . . . 172—174

სად არის ხელისუფლება და სად არის კონტრრევოლუციაᲘ . . . . . 175—181

შავრაზმული გაზეთებისა და ალექსინსკის საზიზღარი ცილისწამება . . . . . 182—183

ავყიაობა და ფაქტები . . . . . 184—186

დედაარსთან სიახლოვე . . . . . 187—188

დრეიფუსის ახალი საქმეᲘ . . . . . 189—190

რსდმპ(ბ) პეტროგრადის კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის მოწოდება 191

დრეიფუსიადა . . . . . 192—194

ბნელი ხმების გაბათილებისათვის 195

სამი კრიზისი . . . . . 196—201

ბოლშევიკთა ბელადების სასამართლოში გამოცხადების საკითხისათვის . . . . . 202—203

პოლიტიკური მდგომარეობა . . . . . 204—207

წერილი «ნოვაია ჟიზნის» რედაქციის მიმართ . . 208—210

წერილი «პროლეტარსკოე დელოს» რედაქციის მიმართ . . . . . 211—213

ლოზუნგებისათვის . . . . . 214—223

მადლობა თავად გ. ე. ლვოვს . . . . . 224—227

კონსტიტუციური ილუზიების შესახებ . . . . 228—245

I 229
II 234
III 238

პასუხი . . . . . 246—260

I 246
II 257
III 259

ბონაპარტიზმის დასაწყისი . . . . . 261—266

რევოლუციის გაკვეთილები . . . . . 267—287

I 269
II 272
III 273
IV 276
V 276
VI 278
VII 283
VIII 284
IX 285

გოლოსიტყვაობა 287

კამენევის გამოსვლის შესახებ ცაკში სტოკჰოლმის კონფერენციის გამო . . . . . 288—290

ხმები შეთქმულების შესახებ . . . . . 291—299

ქვებს ხედავს, რიყეს ვერაო . . . . . 300—307

პოლიტიკური შანტაჟი . . . . . 308—312

ქაღალდის რეზოლუციები . . . . . 313—317

სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ . . . . 318—329

პუბლიცისტის დღიურიდან. გ ლ ე ხ ე ბ ი დ ა მ უ შ ე ბ ი. . 330—340

ცილისმწამებელთა შესახებ . . . . . 341—342

რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს . . . . . 343—348

პუბლიცისტის დღიურიდან . . . . . 349—362

1. ბოროტების ფესვი 349
2. სობატონო ბეგარა და სოციალიზმი 359

პარტიის პროგრამის საკითხზე . . . . . 363—364

ციმერვალდის საკითხზე . . . . . 365—366

დემოკრატიზმის დარღვევაზე მასობრივ ორგანიზაციებში . . . . . 367—368

კომპრომისების შესახებ . . . . . 369—377

პროექტი რეზოლუციისა თანამედროვე პოლიტიკური მომენტის შესახებ . . . . . 378—386

კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას 387—446
შიმშილი ახლოვდება 391
მთავრობის სრული უმოქმედობა 393
კონტროლის ღონისძიებათა საყოველთაო ცოდნა და სიადვილე 397
ბანკების ნაციონალიზაცია 399
სინდიკატების ნაციონალიზაცია 407
კომერციული საიდუმლოების გაუქმება 411
იძულებითი გაერთიანება კავშირებად 417
მოხმარების მოწესრიგება 421
მთავრობის მიერ დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობის ჩაშლა 425
ფინანსური კრახი და მისი საწინააღმდეგო ღონისძიებანი . 430
შეიძლება თუ არა წინ იაროს, თუ სოციალიზმისაკენ სვლისა გეშინია? 435
ნგრევასთან ბრძოლა და ომი 439
რევოლუციური დემოკრატია და რევოლუციური პროლეტარიატი 444
რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი . . 447—457
როგორ უზრუნველვყოთ დამფუძნებელი კრების წარმატება (ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ) . . 458—464
სახელმწიფო და რევოლუცია. მარქსიზმის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ და პროლეტარიატის ამოცანები რევოლუციაში . . . . . 465—615
პირველი გამოცემის წინასიტყვაობა 467
მეორე გამოცემის წინასიტყვაობა 469
თავი I. **კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო** . . 470
1. სახელმწიფო კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის პროდუქტია 470
2. შეიარაღებულ ადამიანთა განსაკუთრებული რაზმები, საპყრობილეები და სხვ. 474
3. სახელმწიფო ჩაგრული კლასის ექსპლოატაციის იარაღია 479
4. სახელმწიფოს «კვდომა» და ძალდატანებითი რევოლუცია 483
თავი II. **სახელმწიფო და რევოლუცია. 1848—1851 წლების გამოცდილება** 492

1. რევოლუციის წინახანი 492
2. რევოლუციის შედეგები 498
3. მარქსის მიერ საკითხის დასმა 1852 წელს . . . 505

თავი III. **სახელმწიფო და რევოლუცია. 1871 წლის პარიზის კომუნის გამოცდილება. მარქსის ანალიზი** . . . 508
1. რაშია კომუნარების ძალის გმირობა? 508
2. რით შეიცვალოს დამსხვრეული სახელმწიფო მანქანა? . 514
3. პარლამენტარიზმის მოსპობა 520
4. ერის მთლიანობის ორგანიზაცია 527
5. პარაზიტი-სახელმწიფოს მოსპობა 531

თავი IV. **გაგრძელება. ენგელსის დამატებითი განმარტებანი** . 534
1. «ბინის საკითხი» 535
2. პოლემიკა ანარქისტებთან 538
3. წერილი ბებელისადმი 543
4. ერფურტის პროგრამის პროექტის კრიტიკა . . . 547
5. 1891 წლის წინასიტყვაობა მარქსის «სამოქალაქო ომისათვის» 557
6. ენგელსი დემოკრატიის დაძლევის შესახებ . . . 564

თავი V. **სახელმწიფოს კვდომის ეკონომიური საფუძვლები** . 567
1. საკითხის დასმა მარქსის მიერ 568
2. კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა . . . 571
3. კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზა . . 577
4. კომუნისტური საზოგადოების უმაღლესი ფაზა . . 582

თავი VI. **მარქსიზმის გაუხამსება ოპორტუნისტების მიერ** . 592
1. პლეხანოვის პოლემიკა ანარქისტებთან . . . 593
2. კაუცკის პოლემიკა ოპორტუნისტებთან 594
3. კაუცკის პოლემიკა პანეკუკთან 603
პირველი გამოცემის ბოლოსიტყვაობა 615

შენიშვნები . . . . . 617—648

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 649—659

ილუსტრაციები

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «ხმები შეთქმულების შესახებ». —1917 წ. აგვისტო 293

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის წერილისა რსდმპ ცენტრალური კომიტეტისადმი. — 1917 წ. 30 აგვისტო (12 სექტემბერი) . 345

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას». — 1917 წ. 10—14 (23—27) სექტემბერი 389

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «სახელმწიფო და რევოლუცია». — 1917 წ. აგვისტო — სექტემბერი . . 466—467

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/I — 1952.
უე 00110. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. $42^{3}/_{8}$.
ფასი 8 მან.

*

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.
შეკვეთის № 1200.